ISSN 0182—599 X
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

2

1992

# მნათობი

წელიწადი 68-ე | № 2 | თებერვალი 1992 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი

ბიბლია. ძველი აღთქმა . . . . . . . . . 3

### პროზა, პოეზია

ზურაბ ზეზეშიძე — სისხლის წვიმები. რომანი. გაგრძელება . . . . . . 35
გუჩა კვარაცხელია — ლექსები . . . . . . . 96
თედო ბექიშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . 101
ელა გოჩიაშვილი — ლექსი . . . . . . . . . . . 104
ეთერ თედიაშვილი — დისჰარმონია. მოთხრობა . . . . . . . . . 106

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

თამაზ ბიბილური — ესე იტყოდა ოთარაანთ ქვრივი . . . . . . . . 116
თეიმურაზ ჯანგულაშვილი — დიდი გიორგი . . . . . . . . . 127

### მეცნიერება

ვახტანგ გოილაძე — ქართლის ერისთავთა-მთავარი სტეფანოზ I . . . . . . . 140
ლელა პატარიძე — „ალხემართა ჯუარი ესე"... . . . . . . . . 148
მერი ინაძე — აფხაზეთის ძველი მოსახლეობა . . . . . . . 158

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი **არჩილ სულაკაური**

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო  კ ო ლ ე გ ი ა:

გრ. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. გვერდწითელი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. ზაიჟაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. კატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიბლია. ძველი აღთქმა

## მეოთხე მეფეთა

### თავი პირველი

1. განუდგა მოაბი ისრაელს ახაბის სიკვდილის შემდეგ. **1.** გადმოვარდა ახაზია თავისი ზემოთვალის სარკმლიდან სამარიაში და დასნეულდა. გაგზავნა მოციქულები და დააბარა: წადით და დაეკითხეთ ბაალზებუბს, ეკრონის ღმერთს, მოვრჩები თუ არა ამ სნეულებისგან? **3.** უფლის ანგელოზი ეუბნა ელია თიშბელს: წადი, და დახვდი სამარიის მეფის მოციქულებს და ეუბნე: ნუთუ აღარ არის ღმერთი ისრაელში, რომ ეკრონის ღმერთთან, ბაალზებუბთან მიდიხარ საკითხავად? **4.** ამიტომ ასე ამბობს უფალი: ვეღარ ადგები მაგ საწოლიდან, რომელზეც წევხარ, რადგან უნდა მოკვდე. და წავიდა ელია. **5.** დაბრუნდნენ მოციქულები მასთან და უთხრა მათ: რისთვის დაბრუნდით? **6.** უთხრეს: კაცი შემოგვხვდა და გვითხრა: წადით, დაბრუნდით მეფესთან, რომელმაც გამოგგზავნათ და უთხარით: ასე ამბობსთქო უფალი: ნუთუ აღარ არის ღმერთი ისრაელში, რომ ეკრონის ღმერთთან, ბაალზებუბთან მიდიხართ სამკითხაოდ? ამიტომაც ვეღარ ადგები მაგ საწოლიდან, რომელზეც წევხარ, რადგან უნდა მოკვდე. **7.** ეუბნა მათ: როგორ გამოიყურება ის კაცი, წინ რომ შემოგხვდათ და ეს სიტყვები გითხრათ? **8.** უთხრეს მას: ბალანი მოსავს იმ კაცს და წელზე ტყავის სარტყელი არტყია. თქვა: ეს ელია თიშბელია. **9.** მიუგზავნა მას ორმოცდაათისთავი თავისი ორმოცდაათეულითურთ. ავიდა მასთან და, აჰა, მთის თხემზე ზის ელია. ეუბნა მას: ღვთის კაცო! მეფე გეუბნება. ძირს ჩამოხვიდე. **10.** მიუგო ელიამ და უთხრა ორმოცდაათისთავს: თუ მე ღვთისკაცი ვარ, ცეცხლი ჩამოიჭრას ციდან და გშთანთქას შენი ორმოცდაათი კაცითურთ. ჩამოიჭრა კაცი ციდან და შთანთქა მისი ორმოცდაათი კაცითურთ. **11.** კიდევ მიუგზავნა სხვა ორმოცდაათისთავი თავის ორმოცდაათეულითურთ. მიუგო. და უთხრა მას: ღვთისკაცო! ასე ბრძანებს მეფე: ჩამოდი მთიდან! **12.** მიუგო ელიამ და უთხრა: თუ მე ღვთისკაცი ვარ, ცეცხლი ჩამოიჭრას ციდან და გშთანთქას შენი ორმოცდაათი კაცითურთ. ჩამოიჭრა ცეცხლი ციდან და შთანთქა იგი მის ორმოცდაათი კაცითურთ. **13.** მესამედ მიუგზავნა ორმოცდაათისთავი თვისი ორმოცდაათეულითურთ. ავიდა მესამე ორმოცდაათისთავი და მუხლი მოიყარა ელიას წინაშე შევედრა მას და ეუბნა: ღვთისკაცო! ფასი დასდე ჩემს სიცოცხლეს და ამ ორმოცდაათი შენი მსახურის სიცოცხლეს შენს თვალში. **14.** აჰა, ციდან ჩამოიჭრა ცეცხლი და შთანთქა ორი წინა ორმოცდაათისთავი თავის ორმოცდაათ კაცთან ერთად. ახლა ფასი დასდე ჩემს სიცოცხლეს შენს თვალში. **15.** ეუბნა უფლის ანგელოზი ელიას: ჩაჰყევი, ნუ გეშინია მათი. ადგა ელია და ჩავიდა მათთან ერთად მეფესთან. **16.** ეუბნა მას: ასე ამბობს უფალი: რაკი ბაალზებუბთან, ეკრონის ღმერთთან, გაგზავნა მოციქულები სამკითხაოდ, თითქოს არ ყო-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 1.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილიყოს ისრაელში ღმერთი, რომ დაჰკითხოდი მის სიტყვას, ამიტომაც ვერ ადგები მაგ საწოლიდან, სადაც წევხარ, რადგან უსათუოდ მოკვდები. 17. მოკვდა კიდეც უფლის სიტყვისამებრ, ელიამ რომ გააცხადა. მის ნაცვლად იორამი გამეფდა იუდას მეფის იორამ იოშაფატის ძის მეორე წელს, რადგან ძე არ ჰყოლია. 18. ახაზიას დანარჩენი საქმენი, რაც გააკეთა, ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი.

## თავი მეორე

1. როცა უფალი ელიას ცადაყვანას აპირებდა ქარბორბალათი, გილგალიდან გადიოდა ამ დროს ელისესთან ერთად. 2. უთხრა ელიამ ელისეს: აქ დარჩი, რადგან ბეთელში მაგზავნის უფალი. თქვა ელისემ: უფალს და შენს თავს გეფიცები, არ მიგატოვებ. და წავიდნენ ბეთელს. 3. გამოვიდნენ ბეთელის წინასწარმეტყველთა ძენი ელისესაკენ და უთხრეს: ხომ იცი, რომ დღეს წაიყვანს უფალი შენს ბატონს შენს თავს ზემოთ? თქვა: მეც ვიცი. იდუმეთ. 4. უთხრა მას ელიამ: ელისე! აქ დარჩი, რადგან ერიხონში მაგზავნის უფალი. თქვა: უფალს და შენს გეფიცები, თუ მიგატოვო. და წავიდნენ იერიხონში. 5. მიადგნენ ელისეს იერიხონის წინასწარმეტყველთა ძენი და უთხრეს: ხომ იცი, რომ დღეს წაიყვანს უფალი შენს ბატონს შენს თავს ზემოთ? თქვა: მეც ვიცი. იდუმეთ. 6. უთხრა მას ელიამ: აქ დარჩი, რადგან იორდანეზე მგზავნის უფალი. თქვა: უფალს და შენს თავს გეფიცები, თუ მიგატოვო. და წავიდნენ ორნი, 7. წამოვიდა ორმოცდაათი კაცი წინასწარმეტყველთა გუნდიდან და მოშორებით დადგნენ მათ პირდაპირ. ეს ორნი იორდანესთან იდგნენ. 8. აიღო ელიამ თავისი მოსასხამი, დაგორგლა და დაარტყა წყალს. შუა გაიპო წყალი და ორივენი მშრალზე გავიდნენ. 9. როცა გაღმა იყვნენ გასული, უთხრა ელიამ ელისეს: მთხოვე, რა გაგიკეთო, ვიდრე ავმაღლდებოდე შენგან. თქვა ელისემ: შენი სულის ორმაგი წილი გადმოვიდეს ჩემზე. 10. უთხრა: ძნელს რასმე ითხოვ. თუ მომკრავ თვალს შენგან ამაღლებულს, აგისრულდება, თუ ვერა და არ აგისრულდება. 11. როცა მიდიოდნენ და მისაუბრობდნენ, აჰა, ჩადგა მათ შორის ცეცხლის ეტლი და ცეცხლის ცხენები და განაშორა ორნი ერთმანეთს და ცად ავიდა ელია ქარბორბალათი. 12. უყურებდა ელისე და ეძახდა: ჩემო მამავ, ჩემო მამავ, ისეტლო და მისო მხედრობავ! მეტი არაფერი დაუნახავს. ხელი ჩაავლო თავის სამოსელს და ორად გახია. 13. აიღო მოსასხამი, ელიას რომ დაუვარდა, გაბრუნდა და იორდანეს ნაპირზე ჩამოჯდა. 14. დაარტყა წყალს მოსასხამი. ელიას რომ დაუვარდა, და თქვა: სად არის უფალი, ელიას ღმერთი? დაარტყა წყალს და შუა გაიპო წყალი და გავიდა ელისე გაღმა. 15. შორიდან დაინახეს იგი იერიხონის წინასწარმეტყველთა ძეთა და თქვეს: ელიას სული გადმოვიდა ელისეზე. მიეგებნენ და მიწამდე თაყვანისცეს. 16. უთხრეს: აჰა, ორმოცდაათი მარჯვე კაცი გვყავს შენს მსახურთ. თუ გინდა, წავლენ და მოგიძებნიან შენს ბატონს. იქნებ უფლის სულმა აიტაცა და სადმე მთაში, ან ხევში ჩამოაგდო. თქვა: ნუ გაგზავნით. 17. დიდხანს არ ეშვებოდნენ და ბოლოს უთხრა: გაგზავნეთ. გაგზავნეს ორმოცდაათი კაცი. სამ დღეს ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს. 18. მობრუნდნენ ელისესთან, რომელიც იერიხონში იჯდა. უთხრა მან: ხომ გეუბნებოდით, ნუ წახვალთ-მეთქი. 19. უთხრეს ქალაქის მცხოვრებლებმა ელისეს: კარგი მდებარეობა აქვს ამ ქალაქს, როგორც თავად ხედავს ჩემი ბატონი. მაგრამ ცუდი წყალი აქვს და უნაყოფო მიწა. 20. თქვა: მომეცით ახალი თასი და მარილი ჩაყარეთ შიგ. მისცეს. 21. ავიდა წყლის სათავესთან და ჩაყარა მარილი, თქვა: ასე ამბობს უფალი: განმიკურნავს ეს წყალი. ამიერიდან ნულარ იქ-

ნება მისგან სიკვდილი და უნაყოფობა. 22. დღემდე ჯანსაღია ეს წყალი ელისეს სიტყვით, რომელიც წარმოთქვა მან. 23. იქიდან ბეთელისკენ დაიძრა. აღმართს რომ შეუყვა, პატარა ბიჭები გამოვიდნენ ქალაქიდან, დასცინოდნენ და მისძახოდნენ: წადი, ქაჩალო! წადი, ქაჩალო! 24. უკან მოხედა, დაინახა ისინი და უფლის სახელით შეაჩვენა. გამოვიდა ტყიდან ორი დათვი და დაგლიჯეს მათგან ორმოცდაორი ბავშვი. 25. იქიდან ქარმელის მთისკენ წავიდა და კვლავ სამარიაში დაბრუნდა.

## თავი მესამე

1. იორამ ახაბის ძე გამეფდა ისრაელზე სამარიაში იუდას მეფის იოშაფატის მეთვრამეტე წელს და იმეფა თორმეტი წელი. 2. ბოროტად იქცეოდა უფლის თვალში, ოღონდ არა მამამისივით და დედამისივით. მან გადააგდო ბაალის სვეტი, მამამისმა რომ აღმართა. 3. მაგრამ მიწებებული იყო და არ განრიდებია ცოდვებს იერობოამისა, ნაბატის ძისა, რომელმაც აცთუნა ისრაელი. 4. მეშას, მოაბის მეფეს, ბევრი ცხვარი ჰყავდა და უგზავნიდა ისრაელის მეფეს ასი ათას მატყლიან ვერძს. 5. მხოლოდ ახაბის სიკვდილის შემდეგ განუდგა მოაბის მეფე ისრაელის მეფეს. 6. გავიდა მეფე იორამი იმხანად სამარიიდან და აღრიცხა მთელი ისრაელი. 7. წავიდა და შეუთვალა იოშაფატს, იუდას მეფეს: განმიდგა მოაბის მეფე. ხომ არ წამოხვალ ჩემთან ერთად მოაბის წინააღმდეგ? მიუგო: წამოვალ. რამ გაგვყო მე და შენ, რამ გაჰყო ჩემი ხალხი და შენი ხალხი, ჩემი ცხენები და შენი ცხენები? 8. თქვა: რომელი გზით წავიდეთ? თქვა: ედომის უდაბნოს გზით. 9. წავიდნენ ისრაელის მეფე, იუდას მეფე და ედომის მეფე. იტრიალეს შვიდი დღე და ვერ ნახეს წყალი ლაშქრისთვის და პირუტყვისთვის, უკან რომ მოჰყვებოდათ. 10. თქვა ისრაელის მეფემ: აჰა, შეჰყარა უფალმა ეს სამი მეფე, მოაბს რომ ჩაუგდო ხელში. 11. თქვა იოშაფატმა: ხომ არ არის აქ სადმე უფლის წინასწარმეტყველი, რომ უფლისთვის ვაკითხვინოთ? მიუგო ისრაელის მეფის ერთ-ერთმა მსახურმა და თქვა: არის აქ ელისე შაფატის ძე, რომელიც ელიას უსხამდა წყალს ხელის დასაბანად. 12. თქვა იოშაფატმა: უფლის სიტყვაა მასთან. ჩააკითხეს მას ისრაელის მეფემ, იოშაფატმა და ედომის მეფემ. 13. უთხრა ელისემ ისრაელის მეფეს: რა გინდა ჩემგან? წადი მამაშენის წინასწარმეტყველებთან და დედაშენის წინასწარმეტყველებთან. თქვა ისრაელის მეფემ: არა. იმისთვის ხომ არ შეუყრია უფალს ეს სამი მეფე, რომ მოაბს ჩაუგდოს ხელში. 14. თქვა ელისემ: ცაბაოთ უფალს გეფიცები, რომლის წინაშეც მე ვდგავარ, რომ ზედაც არ შეგხედავდი, პატივს რომ არ ვცემდე იოშაფატს, იუდას მეფეს. 15. ახლა. მომიყვანეთ მეჩანგე. როცა უკრავდა მეჩანგე, უფლის ხელი იყო ელისეზე. 16. თქვა: ასე ამბობს უფალი: თხრილები დათხარეთ ამ ხევში. 17. რადგან ასე ამბობს უფალი: ვერ დაინახავთ ქარს, ვერ დაინახავთ წვიმას, მაგრამ წყლით აივსება ეს ხევი. თქვენც სვით, თქვენმა ჯოგმაც და თქვენმა პირუტყვმაც. 18. ამას არ აკმარებს უფალი: მოაბსაც ჩაგაგდებინებთ ხელში. 19. ყველა გამაგრებულ ქალაქს, ყველა რჩეულ ქალაქს შემუსრავთ, ყველა საუკეთესო ხეს აჩეხავთ, ყველა წყაროსთვალს ამოყორავთ, საუკეთესო ყანებს ქვებით აავსებთ. 20. დილით, მსხვერპლის მიტანისას, წამოვიდა წყალი ედომის გზაზე და წყლით აივსო მიწა. 21. გაიგო მთელმა მოაბმა, რომ დაიძრნენ მეფეები მათთან საომრად. ყველამ თავი მოიყარა სარტყლის მატარებელმა და უხსენებმაც, და დადგნენ საზღვართან. 22. გაიღვიძეს დილაადრიან და, როცა მზე წყალზე გაბრწყინდა, მოაბელებს შორიდან წყალი სისხლივით წითელი მოეჩვენათ. 23.

თქვეს: ეს სისხლია, დატაკებიან მეფეები და ერთმანეთი დაუხოცავთ. აბა, შენია ნადავლი, მოაბო! 24. მიადგნენ ისრაელის ბანაკს. შეუტია ისრაელმა და დასცხო მოაბს და უკუაქცია. მიეწივნენ და დახოცეს მოაბელები. 25. ქალაქები დაანგრიეს. საუკეთესო ყანებში თითოეულმა თითო ქვა ისროლა და ქვებით აავსეს. ყველა წყაროსთვალი ამოყორეს, ყველა საუკეთესო ხე ამოჩეხეს. ქვა ქვაზე არ დაუტოვებიათ კირ-ხარაშეთში, შემოადგნენ მეშურდულენი და დააქციეს. 26. დაინახა მოაბის მეფემ, რომ იძლია ბრძოლაში, გაიყოლა შვიდასი კაცი, მახვილის ამომღები, და შეეცადა, ედომის მეფესკენ გაეღწია. მაგრამ ვერ შეძლეს. 27. მაშინ მოჰკიდა ხელი თავის პირმშოს, მის ნაცვლად რომ უნდა გამეფებულიყო, და აღსავლენ მსხვერპლად შესწირა გალავანზე. დიდად შეზარა ამან ისრაელი, და მოსცილდნენ მოაბს და თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ.

## თავი მეოთხე

1. ერთმა ქალმა, რომელიღაც წინასწარმეტყველის ცოლმა, შეჰღაღადა ელისეს: მოკვდა ჩემი ქმარი, შენი მსახური. შენ იცი, ღვთისმოშიში იყო შენი მსახური. მოვიდა მევალე და ჩემი ორი ბავშვი მონებად მიჰყავს. 2. უთხრა ელისემ: რა გიყო? მითხარი. რა გაქვს სახლში? თქვა: სახლში არაფერი აქვს შენს მხევალს, გარდა მცირედი ზეთისა. 3. უთხრა: წადი და ჰურჭელი ინათხოვრე ყველა მეზობლისაგან, ცარიელი ჰურჭელი. ბევრი დააგროვე. 4. მერე მოდი, ჩაიკეტეთ სახლში შენ და შენი შვილები და აავსე ყველა ეს ჰურჭელი. სავსე გვერდზე გადადგი. 5. წავიდა მისგან ქალი და ჩაიკეტა სახლში თავის შვილებიანად. ისინი აწვდიდნენ, თვითონ ასხამდა. 6. როცა ჰურჭლები აივსო, უთხრა ვაჟიშვილს: კიდევ მომაწოდე ჰურჭელი. უთხრა: არ არის მეტი ჰურჭელი და შეწყდა ზეთის. 7. მივიდა და უამბო ღვთისკაცს. უთხრა მან: წადი, გაყიდე ზეთი და გაისტუმრე ვალი. დანარჩენით თავი ირჩინეთ შენ და შენმა შვილებმა. 8. ერთ დღესაც შუნემში გაიარა ელისემ. ცხოვრობდა იქ ერთი მდიდარი ქალი, რომელმაც პურის საჭმელად მიიწვია იგი. და რამდენჯერაც არ ჩაივლიდა, ყოველთვის შეუხვევდა ხოლმე იქ პურის საჭმელად. 9. უთხრა ქალმა თავის ქმარს: ნამდვილად ვიცი, რომ წმიდაა ღვთის კაცი, ჩვენთან რომ დადის ხოლმე მუდამ. 10. მოვუწყოთ მცირე ოთახი ზემოთვალში, დავუდგათ იქ საწოლი, ტაბლა, სკამი და ლამპარი. როცა ჩვენთან გამოივლის, იქ შევიდეს. 11. ერთ დღესაც გამოიარა მათთან, შევიდა ზემოთვალში და დაწვა. 12. უთხრა ელისემ გეხაზის, თავის მსახურ ბიჭს: დაუძახე ამ შუნამელ ქალს. მანაც დაუძახა და ეახლა ქალი. 13. უთხრა ელისემ მსახურ ბიჭს: უთხარი მაგას: აჰა, დიდად ზრუნავ-თქო ჩვენზე, რა შემიძლია, რომ გაგიკეთო? იქნებ ველაპარკო შენზე მეფეს ან მხედართმთავარს? მიუგო: ჩემიანებში ვცხოვრობ. 14. თქვა: მაინც რა გავუკეთო? თქვა გეხაზიმ: ჰო, მართლა, შვილი არა ჰყავს. ქმარი კი მოხუცია. 15. თქვა: დაუძახე. დაუძახა და კართან დადგა ქალი. 16. თქვა: გაის ამ დროს ჩახუტებული გეყოლება ვაჟიშვილი. თქვა ქალმა: არა, ჩემო ბატონო, ღვთისკაცო, ნუ მატყუებ შენს მხევალს. 17. დაორსულდა ის ქალი და წლის სწორზე შვა ძე, როგორც ნათქვამი ჰქონდა მისთვის ელისეს. 18. გაიზარდა ბავშვი და ერთ დღესაც წავიდა მამამისთან, მომკელებთან. 19. უთხრა მამას: ვაი! ვაი, თავი! უთხრა კაცმა მსახურ ბიჭს: დედას წაუყვანე! 20. წაიყვანა და მიუყვანა დედას. იჯდა მის მუხლებზე შუადღემდე და მოკვდა. 21. ავიდა ქალი ზემოთვალში და ღვთისკაცის საწოლში ჩააწვინა ბავშვი. კარი გამოიკეტა და გარეთ გავიდა. 22.

დაუძახა ქმარს და უთხრა: გამომიგზავნე ერთი ვინმე მსახური და ერთი ვირი. ღვთისკაცთან გავიქცევი და ისევ მოვბრუნდები. 23. უთხრა: რისთვის მიდიხარ მასთან? დღეს ხომ არც ახალმთვარობაა და არც შაბათი. თქვა: მშვიდობით. 24. შეკაზმა ვირი და უთხრა მსახურ ბიჭს: წინ წაუძეღი და იარე. გზად ნუ გამაჩერებ, თუ მე არ გიბრძანე. 25. გაემგზავრნენ, და მივიდნენ ღვთისკაცთან, ქარმელის მთაზე. როცა შორიდან მოჰკრა თვალი ქალს ღვთისკაცმა, უთხრა გეხაზის, თავის მსახურს: აგერ, ის შუნამელი ქალი. 26. აბა, გაიქეცი. მიეგებე და ჰკითხე: როგორ ხარ-თქო, როგორ არისთქო შენი ქმარი, როგორ გყავს-თქო შვილი. თქვა ქალმა: მშვიდობით. 27. მივიდა ქალი ღვთისკაცთან მთაზე და ფეხებში მოეჭიდა. მივარდა გეხაზი, რომ მოერიდებინა მისგან, მაგრამ უთხრა ღვთისკაცმა: თავი დაანებე, რადგან სული აქვს გამწარებული, ღმერთმა კი დამიმალა და არ გამოუცხადებია ჩემთვის. 28. თქვა ქალმა: მითხოვნია შვილი ჩემი ბატონისთვის? ხომ ვთქვი, ტყუილად ნუ დამპირდები-მეთქი. 29. უთხრა გეხაზის: სარტყელი შემოირტყი წელზე, ჩემი არგანი დაიჭირე ხელში და წადი. შემხვედრს არავის მიესალმო. თუ ვინმე მოგესალმა, პასუხი არ გასცე. სახეზე დაადე ბავშვს ეს ჩემი არგანი. 30. თქვა ყმაწვილის დედამ: უფალს და შენს თავს გეფიცები, რომ არ დაგტოვებ. ადგა ღვთისკაცი და გაჰყვა ქალს. 31. მათზე წინ მივიდა გეხაზი და სახეზე არგანი დაადო ბავშვს. არ ისმოდა ხმა და ჩამიჩუმი. უკან გაბრუნდა მის შესახვედრად და მოახსენა: არ იღვიძებს ბავშვი. 32. შევიდა ,სახლში ელისე და, აჰა, მკვდარი წევს ბავშვი მის საწოლზე. 33. შევიდა, გამოიკეტა კარი და ილოცა უფლისადმი. 34. ზემოდან დააწვა ბავშვს, პირი პირზე დაადო, თვალი თვალზე, ხელის მტევნები ხელის მტევნებზე და გადაწვა მის ზემოდან. და გათბა ბავშვის სხეული. 35. ერთი გაიარ-გამოიარა სახლში და კვლავ განერთხა ბავშვს ზემოთ. შვიდჯერ დაამცხიკვა ყრმამ და გაახილა თვალი. 36. დაუძახა გეხაზის და უთხრა: დაუძახე იმ შუნამელს. მანაც დაუძახა. მივიდა მასთან ქალი და უთხრა ელისემ: წაიყვანე შენი შვილი. 37. მივარდა, ფეხებში ჩაუვარდა და მდაბლად თაყვანისცა. მერე აიყვანა თავისი შვილი და გავიდა. 38. დაბრუნდა ელისე გილგალს. შიმშილობა იყო ქვეყანაში. წინ დაუსხდნენ წინასწარმეტყველთა ძენი და უთხრა მსახურ ბიჭს: დადგი დიდი ქვაბი და კერძი მოუხარშე წინასწარმეტყველთა ძეთ. 39. გავიდა ერთი მათგანი მინდორში მწვანილის მოსაკრეფად, იპოვა ველური ვაზი და დაკრიფა მთელი კალთა ველური ნაყოფი. მოვიდა და ჩააჭრა შეჭამადის ქვაბში, რადგან არ იცოდნენ რა იყო. 40. ჩამოუსხეს კაცებს საჭმელად. როგორც კი გასინჯეს კერძი, ატეხეს ყვირილი: სიკვდილია ქვაბში, ღვთისკაცო! და ველარ შეჭამეს. 41. თქვა: მომეცით ფქვილი. ჩაყარა ქვაბში და თქვა: დაუსხით ხალხს, ჭამონ. ცუდი აღარაფერი იყო დარჩენილი ქვაბში. 42. მოვიდა ვილაც კაცი ბაალ-შალიშიდან და მოუტანა ღვთისკაცს პირველმოწეული პური: ოცი ქერის პური და თავთავები გუდით. თქვა ელისემ: მიეცი ხალხს, შეჭამონ. 43. თქვა მისმა მსახურმა: რა მივცე აქედან ამ ას კაცს? უთხრა: მიეცი ხალხს, ჭამონ, რადგან ასე ამბობს უფალი: შეჭამენ და კიდეც მორჩებათ. 44. მისცა, ჭამეს და კიდეც მორჩათ, უფლის სიტყვისამებრ.

## თავი მეხუთე

1. ნაყამანი, არამის მეფის სარდალი, დიდად მიღებული და პატივდებული კაცი იყო თავისი ბატონის წინაშე, რადგან მისი წყალობით გაამარჯვებინა უფალმა არამელებს. მამაცი კაცი იყო, მაგრამ კეთროვანი. 2. როცა სათარეშოდ იყვნენ გასული

არამელები, ტყვედ წაიყვანეს ისრაელის ქვეყნიდან პატარა გოგონა. ნაყამანის ცოლს ემსახურებოდა იგი. ȝ. უთხრა თავის ქალბატონს. ნეტავ მისულიყო ჩემი ბატონი წინასწარმეტყველთან სამარიაში, ხომ განკურნავდა კეთრისაგან. 4. მივიდა და უამბო თავის ბატონს: ასე და ასე ამბობს ისრაელის ქვეყნიდან წამოყვანილი გოგონა. 5. თქვა არამის მეფემ: წადი, წერილს გაგატან ისრაელის მეფესთან. წავიდა და თან წაიღო ათი ქანქარი ვერცხლი, ექვსი ათასი შეკელი ოქრო და ათი ხელი ტანისამოსი. 6. მიართვა ისრაელის მეფეს წერილი, სადაც ეწერა: ამ წერილთან ერთად გიგზავნი ნაყამანს, ჩემს მსახურს, რომ განკურნო იგი კეთრისგან. 7. როცა წაიკითხა ისრაელის მეფემ წერილი, შემოიხია სამოსელი და თქვა: ღმერთი ხომ არა ვარ, რომ ვკლავდე და ვაცოცხლებდე, რომ მითვლის: კეთრისგან განმიკურნეო ეს კაცი. ცოდეთ, შემოჩენილია იგი და მიზეზს ეძებს. 8. როცა გაიგო ელისემ, ღვთისკაცმა, სამოსელი შემოიხიაო ისრაელის მეფემ, შეუთვალა: რისთვის შემოიხიე სამოსელი? მოვიდეს ჩემთან და დარწმუნდეს, რომ არის წინასწარმეტყველი ისრაელში. 9. მივიდა ნაყამანი თავისი ცხენებითა და ეტლით და ელისეს სახლის შესასვლელთან გაჩერდა. 10. გაუგზავნა ელისემ მოციქული, შეუთვალა: წადი, შვიდგზის იბანე იორდანეში და გაგიახლდება ხორცი, და გაწმედილი იქნები. 11. გაბრაზდა ნაყამანი, წავიდა და თქვა: აჰა, ვიფიქრე, გარეთ გამოვა, დადგება და უფლის, თვისი ღვთის სახელს ახსენებს, ადგილზე დამადებს ხელს და კეთრისგან განმკურნავსმეთქი. 12. განა დამასკოს მდინარეები აბანა და ფარფარი ისრაელის მთელს მდინარეებს არ სჯობია? განა იქ ვერ ვიბანებ და ვერ განვიწმიდები? გატრიალდა და წავიდა ბრაზმორეული. 18. მიეახლნენ მისი მსახურნი, ელაპარაკნენ და ასე უთხრეს: ჩემო მამავ! საძნელო რამე რომ მოეთხოვა შენგან მაგ წინასწარმეტყველს რომ შეასრულებდი? მით უმეტეს, როცა გეუბნება: იბანე და განიწმიდებიო! 14. ჩავიდა, შვიდგზის ჩაყვინთა იორდანეში ღვთისკაცის სიტყვისამებრ და ჩვილი ბავშვივით განუახლდა ხორცი და განიწმიდა. 15. დაბრუნდა ღვთისკაცთან ის და მთელი მისი ამალა. მივიდა და გაჩერდა მის წინ და უთხრა: აჰა, დავრწმუნდი, რომ მთელს ქვეყანაზე მხოლოდ ისრაელშია ღმერთი. ახლა, მიიღე საჩუქარი შენი მსახურისგან. 16. თქვა ელისემ: ვფიცავ უფალს, რომლის წინაშეც ვდგავარ, თუ მივიღო. აიძულებდა აღებას, მაგრამ არ დაჰყვა. 17. თქვა ნაყამანმა: თუ ასეა, მომცენ შენს მსახურს იმდენი მიწა, რამდენსაც წყვილი ვირი წაიღებს, რომ ამიერიდან უფლის გარდა სხვა ღმერთებს არ შესწიროს მსხვერპლი შენმა მსახურმა. 18. ეს ერთი რამე მაპატიოს უფალმა შენს მსახურს: როცა მოვა ხოლმე ჩემი ბატონი რიმონის სახლში თაყვანის საცემად, დაეყრდნობა ჩემს ხელს და მეც მომიხდება თაყვანისცემა რიმონის სახლში, ჰოდა, რიმონის სახლში თაყვანისცემისას აპატიოს ეს შენს მსახურს. 19. უთხრა: მშვიდობით იარე. წავიდა და როცა მცირე მანძილზე გასცდა მას, 20. თქვა გეხაზიმ, ღვთისკაცის მსახურმა: აჰა, არ გამოართვა ჩემმა ბატონმა ნაყამანს, ამ არამელს, მათი მორთმეული ძღვენი. უფლის მადლმა, გავეკიდები და მე გამოვართმევ რამეს. 21. დაედევნა გეხაზი ნაყამანს. როცა დაინახა ნაყამანმა, რომ ვიღაც მისდევს, ეტლიდან ამოვიდა და წინ შეეგება, თქვა: მშვიდობაა? 22. თქვა: მშვიდობა. ჩემმა ბატონმა შემოგითვალა: ეფრემის მთიდან მესტუმრა ორი ყმაწვილი წინასწარმეტყველთაგან. იქნებ ერთი ქანქარი ვერცხლი და ორი ხელი ტანსაცმელი გეჩუქებინა მათთვის. 23. თქვა: ნაყანმა: ორი ქანქარი აიღე ბარემ. ეხვეწა და მერე ჩაუწყო ორი ქანქარი ვერცხლი ორ ქისაში და ორ

ხელ ტანსაცმელთან ერთად გაატანა წასაღებად თავის ორ მსახურს. 24. როცა მივიდნენ ბორცვთან, გამოართვა მათ ეს ყველაფერი და სახლში გადამალა. უკან გაისტუმრა მსახურები და წავიდნენ ისინიც. 25. მივიდა და გამოცხადდა ბატონთან. უთხრა ელისემ: საიდან მოდიხარ, გეხაზი? თქვა: არსად არ წასულა შენი მსახური. 26. უთხრა: არსად არ წასულა ჩემი გული, როცა ეტლიდან ჩამოხდა ის კაცი და წინ შეგეგება. დრო დაგიდგა, რომ იხვეჭდე ვერცხლს, იხვეჭდე ტანსაცმელს, ზეთისა და ყურძენს, ცხვარ-ძროხას, ყმებსა და მხევლებს? 27. შენ და შენს შთამომავლობას გადაედოს ნაყამანის კეთრი საუკუნოდ. და წავიდა მისგან გეხაზი კეთროვანი, როგორც თოვლი.

## თავი მეექვსე

1. უთხრეს წინასწარმეტყველთა ძეთა ელისეს: აჰა, გვევიწროება ეს ადგილი, სადაც შენ წინაშე ვცხოვრობთ. 2. იორდანეზე ჩავალთ, თითო მორს ავიღებთ იქიდან და ავიშენებთ იქ სადგომს საცხოვრებლად. თქვა: ჩადით: 3. თქვა ერთმა: იქნებ შენც წამოგვყვე შენს მსახურთ. თქვა: წამოგყვებით. 4. და წაჰყვა მათ. ჩავიდნენ იორდანეზე და შეუდგნენ ხის ჭრას. 5. ძირს დასცა ერთმა მორი და წყალში ჩაუვარდა რკინა. იყვირა: ვაი, ბატონო! ნანათხოვარი იყო! 6. თქვა ღვთისკაცმა: სად ჩავარდა? მანაც უჩვენა ადგილი. მოჭრა ხე, ისროლა იქითკენ და ამოტივტივდა რკინა. 7. თქვა: ამოიღე. მანაც გაიწოდა ხელი და აიღო. 8. ებრძოდა არამის მეფე ისრაელს და თათბირობდა თავის მსახურებთან, ამა და ამ ადგილზე დავბანაკდებით. 9. შეუთვალა ღვთისკაცმა ისრაელის მეფეს: მოერიდე ამ ადგილზე გავლას, არამელები არიან შემოპარული. 10. გზავნიდა ისრაელის მეფე ხალხს იმ ადგილას, რომელზეც ღვთისკაცი ეუბნებოდა და აფრთხილებდა. და არა ერთხელ და ორჯერ გადარჩენილა იქ. 11. შეაშფოთა არამის მეფე ამ ამბავმა, უხმო თავის მსახურთ და უთხრა: არ მეტყვით, ვინ მიდი-მოდის ჩვენიანებიდან ისრაელის მეფესთან? 12. თქვა ერთ-ერთმა მსახურთაგან: არავინ, მეფე-ბატონო. ელისე ისრაელის წინასწარმეტყველი, ატყობინებს ისრაელის მეფეს ყოველ სიტყვას, რასაც შენს საძილე ოთახში ლაპარაკობ. 13. თქვა: წადით, და გაიგეთ, სად არის იგი. ხალხს გავაგზავნი და მოვაყვანინებ. შეატყობინეს: დოთანში არისო. 14. გაგზავნა იქ ცხენები, ეტლები და დიდძალი ჯარი. მივიდნენ ღამით და ალყა შემოარტყეს ქალაქს. 15. ადგა დილაადრიანად ღვთისკაცის მსახური, გამოვიდა გარეთ და, აჰა, ჯარია ქალაქის ირგვლივ, ცხენები და ეტლები. უთხრა ბატონის მსახურმა ბიჭმა: ვაი, ბატონო, რა გვეშველება? 16. უთხრა: ნუ გეშინია, რადგან ჩვენ უფრო ბევრი გვყავს, ვიდრე მათ. 17. ილოცა ელისემ და თქვა: უფალო! აუხილე თვალი რომ, დაინახოს. აუხილა უფალმა თვალი მსახურ ბიჭს და მანც დაინახა: აჰა, სავსეა მთა ელისეს გარშემო ცხენებითა და ცეცხლოვანი ეტლებით. 18. ჩავიდნენ მათან არამელები. ილოცა ელისემ უფლისადმი და თქვა: დააბრმავე ეს ხალხი! და დააბრმავა ისინი ელისეს სიტყვისამებრ. 19. უთხრა მათ ელისემ: აქ არ არის გზა და არც ქალაქი. წამომყევით და მიგიყვანთ იმ კაცთან, ვისაც ეძებთ. და წაუძღვა სამარიამდე. 20. როცა სამარიაში მივიდნენ, თქვა ელისემ: უფალო! აუხილე თვალი ამათ. აუხილა უფალმა მათ თვალი და დაინახეს, რომ სამარიაში არიან. 21. უთხრა ისრაელის მეფემ ელისეს, როცა დაინახა ისინი: დავხოცო, დავხოცო, მამაო? 22. უთხრა: არ დახოცო. შენი მახვილით და მშვილდით ხომ არ დაგიტყვევებია, რომ შენ ამოხოცო? მიეცი პური და წყალი. ჭამონ და სვან, და თავიანთ ბატონთან წავიდნენ. 23. გა-

უმართა დიდი პურობა. მათაც ჭამეს, სვეს და თავიანთ ბატონთან წავიდნენ. ამის მეტად აღარ შემოსულან სათარეშოდ ისრაელის ქვეყანაში არამელები. **24.** ამის შემდეგ შეკრიბა ბენ-ჰადადმა, არამის მეფემ, მთელი თავისი ლაშქარი, წამოვიდა და შემოადგა სამარიას. **25.** დიდი შიმშილობა იყო სამარიაში. სანამ ალყა ჰქონდა შემორტყმული, სახედრის თავი ოთხმოც ვერცხლად გადიოდა, ხოლო კაბის მეოთხედი მტრედის სკორე — ხუთ ვერცხლად. **26.** გაიარა ერთხელ ისრაელის მეფემ გალავანზე და შეჰბღავლა ერთმა ქალმა: მიშველე, მეფე-ბატონო! **27.** უთხრა: თუ უფალმა ვერ გიშველა, მე საიდან გიშველო? კალოდან თუ საწნახელიდან? **28.** ჰკითხა ქალს მეფემ: რა მოგივიდა? მიუგო: ამ ქალმა მითხრა: მოიტა, დღეს შენი შვილი შევჭამოთ, ხვალ ჩემიო. **29.** მოვხარშეთ ჩემი შვილი და შევჭამეთ. ვუთხარი მეორე დღეს: მოიტა, ახლა შენი შვილი შევჭამოთ-მეთქი. მან კი გადამალა თავისი შვილი. **30.** როცა გაიგონა მეფემ ქალის ნათქვამი, შემოიხია სამოსელი და გალავანზე გავიდა. დაინახა ხალხმა, რომ ჯვალო ემოსა შიშველ ხორცზე. **31.** თქვა: ასე და ასე მიყოს ღმერთმა და უარესიც დამმართოს, თუ თავი შერჩეს მხრებზე საღამომდე ელისე შაფატის ძეს. **32.** ხოლო ელისე იჯდა თავის სახლში და უხუცესები გვერდით უსხდნენ. გააგზავნა მეფემ თავისგან კაცი. ვიდრე მოციქული მივიდოდა, ელისემ უთხრა უხუცესებს: ხედავთ, კაცს მიგზავნის მკვლელის შვილი, რომ თავი მომკვეთოს? იცოდეთ, როცა მოციქული მოვა, ჩაკეტეთ კარი და მაგრად მიაწექით კარს, რომ ვერ შემოვიდეს. აჰა, მისი ბატონის ფეხის ხმაც ისმის მის უკან! **33.** ვიდრე მათ ელაპარაკებოდა, აჰა, მოვიდა მოციქულიც, და თქვა ელისემ: აი, რა უბედურება დაგვატეხა უფალმა! რაღას უნდა მოველოდე უფლისგან.

## თავი მეშვიდე

ეროვნული

**1.** თქვა ელისემ: ისმინეთ უფლის სიტყვა. ასე ამბობს უფალი: ხვალ ამ დროს ერთი სეა გამტკიცული ფქვილი ერთი შეკელი ეღირება, ორი სეა ქერიც — ერთი შეკელი სამარიის კარიბჭესთან. **2.** მიუგო ღვთისკაცმა, რომლის მკლავს ეყრდნობოდა მეფე, და უთხრა: აჰა, სარკმელებიც რომ გააკეთოს უფალმა ცაზე, განა მოხდება ასეთი ამბავი? თქვა ღვთისკაცმა: აჰა, შენი თვალით იხილავ, მაგრამ ჭამით ვერ შეჭამ. **3.** ოთხი კეთროვანი იჯდა კარიბჭის შესასვლელთან და ეუბნებოდა ერთმანეთს: რისთვის ვსხედვართ აქ და ველოდებით სიკვდილს? **4.** თუ ქალაქში წასვლას დავაპირებთ, შიმშილობაა ქალაქში და იქ დავიხოცებით. თუ აქ დავრჩებით, მაინც დავიხოცებით. მოდით, ავდგეთ და არამელთა ბანაკში ჩავიდეთ. თუ ცოცხალი დაგვტოვეს, ხომ კარგი, თუ დაგვხოცეს, დავიხოცოთ. **5.** ადგნენ ბინდბუნდში, რომ არამელთა ბანაკში წასულიყვნენ. მიადგნენ არამელთა ბანაკს და, აჰა, კაციშვილი არ იყო იქ. **6.** უფალს ჩაესმინა არამელთა ბანაკისთვის ეტლებისა და ცხენების ხმაური და დიდძალი ჯარის ყიჟინა. უთქვამთ ერთმანეთისთვის: ჩვენს წინაღმდეგ დაიქირავა ალბათ ისრაელის მეფემ ხეთელთა და ეგვიპტელთა მეფეები და დაგვესხნენ თავს. **7.** ამდგარან და გაქცეულან დილის ბინდბუნდში, მიუტოვებიათ კარვები, ცხენები და სახედრები, მთელი ბანაკი ხელუხლებლად, და გაქცეულან თავის გადასარჩენად. **8.** მიადგნენ ეს კეთროვანები ბანაკის კიდეს და შევიდნენ ერთ კარავში. ჭამეს, სვეს, აიღეს იქიდან ოქრო-ვერცხლი და ტანისამოსი, წამოიღეს და დამალეს. მობრუნდნენ, სხვა კარავში შევიდნენ, იქიდანაც წამოიღეს და დამალეს. **9.** უთხრეს ერთმანეთს: ასე არ უნდა ვიქცეოდეთ. ეს დღე ხარების დღეა. თუ გავჩუმდით და დილამდე ვიცადეთ,

ბრალს დაგვდებენ. წამო, წავიდეთ და მეფის სახლს შევატყობინოთ. 10. მივიდნენ, გამოიძახეს კარიბჭის მცველი და უამბეს: არამელთა ბანაკში მივედით, კაციშვილი არ იყო იქ, ადამიანის ხმა არ ისმოდა. მხოლოდ ცხენები და სახედრები დაგვხვდა დაბმული, და კარვები ხელუხლებლად. 11. დაუძახა მცველებს და მათაც მიიტანეს, ამბავი მეფის სახლში. 12. ადგა ღამით მეფე და უთხრა თავის მსახურთ: გეტყვით, რას გვიპირებენ არამელები. იციან, რომ ვშიმშილობთ. ბანაკიდან გავიდნენ, რომ ველზე ჩაგვისაფრდნენ. ფიქრობენ, ქალაქიდან გავალთ თუ არა, ცოცხლად შეგვიპყრან და ქალაქში შემოიჭრან. 13. მიუგო ერთმა მსახურთაგანმა და თქვა: გამოიყვანონ ხუთი ცხენი ქალაქში დარჩენილთაგან (აჰა ისინი იქნებიან მთელი ისრაელის სიმრავლესავით, ქალაქში რომ დარჩა; აჰა, იქნებიან მთელი ისრაელის სიმრავლესავით, რომელიც დაილია), გავგზავნოთ და ვნახოთ. 14. გაიყვანეს ცხენიანი ორი ეტლი. გაგზავნა მეფემ არამელთა ლაშქრის კვალზე და დააბარა: წადით და ნახეთ. 15. იორდანემდე მიყვნენ მათ და, რას ხედავენ, მთელი გზა მოფენილია სამოსელითა და იარაღით, არამელებს რომ დაეყარათ ფაციფუცში. გამობრუნდნენ მოციქულები და მოახსენეს მეფეს. 16. გამოეფინა ხალხი და გაძარცვეს არამელთა ბანაკი. ერთი სეა გამტკიცული ფქვილი ერთი შეკელი გახდა, ორი სეა ქერიც — ერთი შეკელი, უფლის სიტყვისამებრ. 17. კარიბჭესთან დააყენა მეფემ კარისკაცი, რომლის მკლავსაც ეყრდნობოდა. გათელა იგი ბრბომ კარიბჭეში და მოკვდა, როგორც ნათქვამი ჰქონდა ღვთისკაცს. როცა მასთან მივიდა მეფე. 18. ასე უთხრა მაშინ ღვთისკაცმა მეფეს: ერთი სეა გამტკიცული ფქვილი ერთი შეკელი ეღირება, ორი სეა ქერიც — ერთი შეკელი ხვალ ამ დროს სამარიის კარიბჭესთან. 19. მაშინ მიუგო კარისკაცმა და უთხრა: აჰა, სარკმელებიც რომ გააკეთოს უფალმა ცაზე, განა მოხდება ასეთი ამბავი? ღვთისკაცმა თქვა: შენი თვალით იხილავ, [illegible] შეჭამ. 20. ასეც აუხდა. გათელა იგი ბრბომ კარიბჭეში და მოკვდა.

## თავი მერვე

1. ასე უთხრა ელისემ ქალს, შვილი რომ გაუცოცხლა: ადექი და წადი შენი სახლითურთ და დადექი სადმე მდგმურად, სადაც შეგეძლება, რადგან მოუხმო უფალმა შიმშილობას და მოვიდა კიდეც ქვეყანაზე შვიდი წლით. 2. ადგა ის ქალი და ღვთისკაცის სიტყვისამებრ მოიქცა: წავიდა თავისი სახლითურთ და შვიდ წელიწადს მდგმურობდა ფილისტიმელთა ქვეყანაში. 3. შვიდი წლის თავზე დაბრუნდა ეს ქალი ფილისტიმელთა ქვეყნიდან, და მოვიდა მეფესთან თავისი სახლ-კარისა და ყანის გამოსათხოვად. 4. ამ დროს გეხაზის, ღვთისკაცის მსახურს ელაპარაკებოდა მეფე და ეუბნებოდა, მიამბე ყველა დიდი საქმე, რაც ელისეს გაუკეთებია. 5. ისიც უამბობდა მეფეს, როგორ გააცოცხლა ელისემ მკვდარი, და სწორედ მაშინ მივიდა მეფესთან ქალი, რომელსაც შვილი გაუცოცხლა, თავისი სახლ-კარისა და ყანის სათხოვნელად. თქვა გეხაზიმ: მეფევ ბატონო! ის ქალია! ამის შვილია, ელისემ რომ გააცოცხლა! 6. გამოჰკითხა მეფემ ქალს და მანაც უამბო. მიუჩინა მას მეფემ ერთი კარისკაცი და უთხრა: დაუბრუნეთ მისი საბადებელი და მთელი მოსავალი იმ დღიდან, რაც ქვეყანა მიატოვა, დღემდე. 7. მივიდა ელისე დამასკოში, როცა ავად იყო ბენ-ჰადადი, არამის მეფე. მოახსენეს და უთხრეს, ღვთისკაციაო მისული. 8. უთხრა მეფემ ხაზაელს: აიღე ხელში ძღვენი და შეეგებე ღვთისკაცს. უფალთან ამკითხვინე, განვიკურნები თუ არა ამ სენისგან? 9. წავიდა ხაზაელი მისაგებებლად. ხელში აილო ძღვენი და ყველაფერი, რაც კი საუკეთე-

სო იყო დამასკოში, ორმოცი აქლემის ტვირთი. მივიდა, წარუდგა მას და თქვა: შენმა შვილმა ბენ-ჰადადმა, არამის მეფემ, გამომგზავნა შენთან საკითხავად, განვიკურნები თუ არა ამ სენისგანო? 10. უთხრა ელისემ: წადი და უთხარი: განიკურნები-თქო. მაგრამ გამომიცხადა უფალმა, რომ მაინც მოკვდება. 11. მიაშტერა ელისემ სახე და დიდხანს იყო ასე. მერე ატირდა ღვთისკაცი. 12. თქვა ხაზაელმა: რატომ სტირი, ბატონო? მიუგო: იმიტომ, რომ ვიცი, თუ რა ბოროტებას უზამ ისრაელიანებს: ცეცხლს მისცემ მათ ციხესიმაგრეებს, მახვილით ამოხოცავ მათ ჭაბუკებს, გასრეს მათ თითო ბავშვებს და შუაზე გაკვეთ მათ ორსულ ქალებს. 13. თქვა ხაზაელმა: ვინ ძაღლი გდია შენი მსახური, რომ ასეთი დიდი საქმე გააკეთოს? მიუგო ელისემ: შენი თავი მახილვინა უფალმა არამის მეფედ. 14. წავიდა ელისესგან და მივიდა თავის ბატონთან. ჰკითხა: რა გითხრა ელისემ? თქვა: მითხრა, გამოჯანმრთელდებაო. 15. აილო მეორე დღეს საბანი, წყალში დაასველა და სახეზე დაადო მას. მოკვდა ბენ-ჰადადი და გამეფდა მის ნაცვლად ხაზაელი. 16. ისრაელის მეფის იორამ ახაბის ძის მეხუთე წელს, იუდას მეფის იოშაფატის შემდეგ გამეფდა იორამ იოშაფატის ძე, იუდას მეფე. 17. ოცდათორმეტი წლისა იყო, როცა გამეფდა, და რვა წელი იმეფა იერუსალიმში. 18. ისრაელის მეფეთა გზით დადიოდა იგი, როგორც იქცეოდა ახაბის სახლი, რადგან არაბის ასული ჰყავდა ცოლად და უკულმართად იქცეოდა უფლის თვალში. 19. მაგრამ არ უნდოდა უფალს იუდას დაღუპვა დავითის, თავისი მსახურის გამო, როგორც შეპირებული იყო, რომ მისცემდა ლამპარს მას და მის შთამომავალთ სამარადისოდ. 20. მის დროს განუდგა ედომი იუდას და დაისვეს მეფე. 21. გაემართა იორამი ცაყირისკენ მთელი თავისი ეტლებითურთ, ადგა ღამით და სძლია ედომელებს, გარს რომ ეხვივნენ, და ეტლის მეთაურებს, და გაიქცა ხალხი თავ-თავის კარვებში. 22. განუდგა ედომი იუდას [illegible] დღემდე. იმ ხანადვე განდგა ლიბნაც. 23. იორამის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გაუკეთებია, იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 24. განისვენა იორამმა თავის მამა-პაპასთან და დამარხა თავის მამა-პაპის გვერდით დავითის ქალაქში. მის ნაცვლად მისი ძე ახაზია გამეფდა. 25. ისრაელის მეფის, იორამ ახაბის ძის მეთორმეტე წელს გამეფდა ახაზია იორამის ძე, იუდას მეფე. 26. ოცდაორი წლისა იყო ახაზია, რომ გამეფდა და ერთი წელი იმეფა იერუსალიმში. მისი დედა იყო ღოთოლია, ისრაელის მეფის, ყამრის ასული. 7. ახაბის სახლის გზით დადიოდა იგი და უკულმართად იქცეოდა უფლის თვალში, როგორც ახაბის სახლი, რადგან ახაბის სახლის სიძე იყო. 28. წავიდა იორამ ახაბის ძე ხაზაელთან, არამის მეფესთან საომრად გალაადის რამოთში და დაჭრეს არამელებმა იორამი. 29. მობრუნდა იორამ მეფე, რომ იზრეყელში ემკურნალა ჭრილობისათვის, არამელებმა რომ მიაყენეს რამოთში, როცა ხაზაელს, არამის მეფეს, ეომებოდა. ჩამოვიდა ახაზია იორამის ძე, იუდას მეფე, იზრეყელში იორამ ახაბის ძის სანახავად, რადგან ავად იყო იგი.

## თავი მეცხრე

1. მოუხმო ელისე წინასწარმეტყველმა ერთ-ერთ წინასწარმეტყველს და უთხრა: შეიბი სარტყელი წელზე, აილე ეს ზეთის ჭურჭელი და წადი გალაადის რამოთს. 2. მიხვალ და მოძებნი იქ იეჰუს, იოშაფატ ნიმშის ძის ძეს. მიხვალ და წამოაყენებ მისი ძმებისგან და უკანა ოთახში შეიყვან. 3. აიღებ ზეთის ჭურჭელს და ზეთს დაასხამ თავზე. ეტყვი: ასე ამბობს უფალი: მე გცხებ ისრაელის მეფედ.. მერე კარს გააღებ და დაუყოვნებლივ გაიქცევი. 4. წავიდა ყმაწვილი, წინასწარმეტყვე-

ლის მსახური, გალაადის რამოთს. 5. მივიდა და, აჰა, სხედან ჯარის სარდლები. უთხრა: სიტყვა მაქვს შენთან, სარდალო. თქვა იეჰუმ: რომელ ჩვენგანთან? თქვა: შენთან, სარდალო. 6. ადგა და შევიდა სახლში. გადაასხა ზეთი თავზე და უთხრა: ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: მე გცხებ უფლის ერის, ისრაელის მეფედ. 7. შენ მოსპობ შენი ბატონის, ახაბის სახლს, რომ ავილო ჩემს მსახურთა—წინასწარმეტყველთა სისხლი და უფლის ყველა მსახურის სისხლი იზებელისგან. 8. განადგურდება ახაბის მთელი სახლი, ამოვუძირკვავ ახაბს კედელთან მშარდავს — ყმს და აზატს ისრაელში. 9 გადავაქცევ ახაბის სახლს იერობოამ ნაბატის ძის სახლად და ბაყაშა ახიას ძის სახლად. 10. იზებელს ძაღლები შაჭამენ იზრეყელის ველზე და არავინ იქნება დამმარხველი. გაალო კარი და გაიქცა. 11. გავიდა იეჰუ თავისი ბატონის მსახურებთან და უთხრეს: ხომ მშვიდობაა? რისთვის მოვიდა შენთან ეგ შეშლილი? მიუგო: თქვენ იცით მაგ კაციც და მისი ნალაპარაკევიც. 12. თქვეს: ტყუილია. გვითხარი. თქვა: ასე და ასე მითხრა, ასე ამბობს უფალი: მე გცხებ ისრაელის მეფედ. 13. მყისვე დასტაცეს ხელი თავ-თავის მოსასხამებს და ზედ საფეხურებზე დაუფინეს. ბუკსა ჰკრეს და გამოაცხადეს: გამეფდა იეჰუ! 14. შეთქმულება მოაწყო იეჰუმ, იოშაფატ ნიმშის ძის ძემ, იორამის წინააღმდეგ. ხოლო იორამი მთელ ისრაელთან ერთად არამის მეფეს, ხაზაელს, უდარაჯებდა გალაადის რამოთში. 15. თავად იორამ მეფე უკან დაბრუნდა, რათა იზრეყელში განეკურნა ჭრილობები, არამელებმა რომ მიაყენეს ხაზაელ არამის მეფესთან ბრძოლის დროს. თქვა იეჰუმ: თუ თანახმა ხართ, ნურავის გაუშვებთ ქალაქიდან იზრეყელში შესატყობინებლად. 16. ამხედრდა იეჰუ და გასწია იზრეყელისკენ, რადგან იქ იწვა იორამი და იუდას მეფეც იქ იყო მისული იორამის სანახავად. 17. ებგური იდგა კოშკზე იზრეყელში. დაინახა, იეჰუს ჯარი რომ [illegible] თქვა: ჯარს ვხედავ. თქვა [illegible]ლე და გაგზავნე მხედარი მისაგებებლად, ჰკითხონ: მშვიდობაა? 18. წავიდა მხედარი მისაგებებლად და უთხრა: ასე ამბობს მეფე: მშვიდობაა! მიუგო იეჰუმ: შენ ვინ გეკითხება მშვიდობას? უკან წამომყევი. შეატყობინა ებგურმა: მივიდა მათთან მოციქული და აღარ ბრუნდება. 19. გაგზავნა მეორე მხედარი. ისიც მივიდა მათთან და თქვა: ასე ამბობს მეფე: მშვიდობაა? თქვა იეჰუმ: შენ ვინ გეკითხება მშვიდობას? უკან წამომყევი. 20. შეატყობინა ებგურმა: მივიდა მათთან და აღარ ბრუნდება. ქცევით იეჰუ ნიმშის ძესა ჰგავს, რადგან გადარეულივით იქცევა. 21. თქვა იორამმა: შემიკაზმეთ. შეუკაზმეს ეტლი და გავიდნენ იორამ ისრაელის მეფე და ახაზია იუდას მეფე თავ-თავისი ეტლებით. გავიდნენ იეჰუს შესახვედრად და შეეყარნენ მას ნაბოთ იზრეყელელის ნაკვეთზე. 22. როცა დაინახა იორამმა იეჰუ, თქვა: მშვიდობაა, იეჰუ? თქვა: რა მშვიდობა უნდა იყოს დედაშენის, იზებელის გარყვნილებისა და მისი იმდენი ჯადოქრობის მერე? 23. უკან გატრიალდა იორამი და გაიქცა. უთხრა ახაზიას: ღალატია, ახაზია! 24. მოზიდა მშვილდს იეჰუმ, ბეჭებს შორის დაჰკრა და გულს უწვდინა ისარი. ჩაიჩოქა თავის ეტლზე იორამმა. 25. უთხრა იეჰუმ ბიდეკარს, თავის მხლებელს: აიღე და გადააგდე იგი ნაბოთ იზრეყელელის ყანაში. გაიხსენე, წყვილად რომ მივყვებოდით უკან ცხენდაცხენ მე და შენ მამამისს, ახაბს, და ეს განაჩენი რომ გამოუტანა უფალმა. 26. განა ნაბოთის და მისი შვილების სისხლი არ ვიხილე გუშინ? ამბობს უფალი. ამავე ყანაში მოგკითხავ სამაგიეროს, ამბობს უფალი. აიღე და გადაგდე ყანაში უფლის სიტყვისამებრ. 27. ეს რომ დაინახა ახაზიამ, იუდას მეფემ, ბაალის სახლისკენ გაიქცა. გაეკიდა იეჰუ და დაიძახა: მაგასაც დაჰკარით მისსავე

ეტლზე. და დაჰკრეს მას გურის მაღლობზე, იბლეყამთან. მეგიდოში. გაიქცა და იქ მოკვდა. **28.** წაასვენეს მისმა მსახურებმა იერუსალიმს და დამარხეს იგი თავის სამარხში მამა-პაპის გვერდით, დავითის ქალაქში. **29.** იორამ ახაბის მეთერთმეტე წელს გამეფდა ახაზია იუდაში. **30.** მივიდა იეჰუ იზრეყელში და, როცა მოესმა ამბავი იზებელს, საოლავი წაისვა თვალებზე თავი გაილამაზა და გაიხედა სარკმელში. **31.** შევიდა თუ არ იეჰუ კარიბჭეში, თქვა: მშვიდობაა, ზიმრი, საკუთარი ბატონის მკვლელო? **32.** აჰხედა სარკმელს და დაიძახა: ვინ არის ჩემს მხარეზე, ვინ? და გადმოხედა მას ორმა-სამმა კარისკაცმა. **33.** თქვა: გადმოაგდეთ! გადმოაგდეს და მიესხა მისი სისხლი კედელს და ცხენებს. და გადათელა იგი. **34.** მივიდა, ჭამა და სვა, თქვა: მოძებნეთ ის შეჩვენებული და დამარხეთ, რადგან მეფის ასულია. **35.** წავიდნენ მის დასამარხავად, მაგრამ ვერაფერი ნახეს მისგან. თავის ქალისა და ხელ-ფეხის მეტი. **36.** დაბრუნდნენ და მოახსენეს. თქვა იეჰუმ: ასეთი იყო უფლის სიტყვა, რომელიც გამოაცხადა მან თავისი მსახურის, ელია თიშბელის პირით: იზრეყელის ველზე შეჭამენო ძაღლები იზებელს. **37.** იქნება იზებელის გვამი, როგორც ნეხვი ყანაში. იზრეყელის ველზე, რომ ვერავინ თქვასო: აი. ეს არის იზებელი.

## თავი მეათე

**1.** სამოცდაათი შვილი ჰყავდა ახაბს სამარიაში. დაწერა იეჰუმ წერილები და დაუგზავნა სამარიაში იზრეყელის მთავრებს, უხუცესებს და ახაბის გამზრდელებს; წერდა: **2.** როცა მოგივათ ეს წერილი, ხომ თქვენთან იქნებიან თქვენი ბატონიშვილები, თქვენს ხელთ იქნება ეტლები და ცხენები, ციხე-ქალაქი და საჭურველი. **3.** ჰოდა, ამორჩიეთ ბატონიშვილებიდან უკეთესი, ვინც თქვენ მოგწონთ. დასვით მამამისის ტახტზე და იბრძოლეთ თქვენი ბატონის სახლისათვის. **4.** დიდად, დიდად შეშინდნენ და თქვეს: აჰა, ორი მეფე ვერ დაუდგა წინ, ჩვენ როგორღა დავუდგეთ? **5.** შეუთვალეს იეჰუს სასახლის მოურავმა, ქალაქის განმგებელმა, უხუცესობამ და გამზრდელებმა: შენი მსახურნი ვართ, როგორც გვიბრძანებ, ისე მოვიქცევით. არავის გავამეფებთ. როგორც გერჩიოს, ისე მოიქეცი. **6.** მისწერა მათ მეორე წერილი: თუ ჩემიანები ხართ და ჩემს სიტყვას ემორჩილებით, წამოიღეთ თქვენი ბატონიშვილების თავები და ხვალ ამ დროს იზრეყელში გამოცხადდით ჩემთან. უფლისწულები — სამოცდათი კაცი. ქალაქის დიდებულებთან იყვნენ, რომელნიც ზრდიდნენ მათ. 7. როცა წერილი მოუვიდათ, გამოიყვანეს უფლისწულები და დახოცეს — სამოცდაათი კაცი. კალათებში ჩააწყვეს მათი თავები და იზრეყელში გაუგზავნეს. **8.** მივიდა მოციქული და მოახსენა: მოიტანეს უფლისწულთა თავები. თქვა: ორ გროვად დაჰყარეთ დილამდე კარიბჭის შესასვლელთან. **9.** დილით გამოვიდა, დადგა და უთხრა მთელ ხალხს: თქვენ უბრალონი ხართ. აჰა, მე ავუჯანყდი ჩემს ბატონს, მე მოვკალი, მაგრამ ესენი ვინ დახოცა? **10.** ამიერიდან იცოდეთ, რომ უფლის არცერთი სიტყვა, რაც უბრძანებია უფალს. ახაბის სახლზე, ფუჭად არ ჩაივლის, აღასრულა უფალმა, რაც ბრძანა თავისი მსახურის, ელიას პირით. **11.** ამოხოცა იეჰუმ ვინც კი იყო დარჩენილი ახაბის სახლიდან იზრეყელში, ყველა მისი დიდებული, მისი მახლობლები, მისი მღვდლები, არავინ დარჩენილა მისიანი ცოცხალი. **12.** ადგა და წავიდა სამარიაში. მწყემსების ბინებთან მისულს გზაზე **13.** შეხვდა იეჰუს იუდას მეფის, ახაზიას ძმები და თქვა: ვინა ხართ? თქვეს: ახაზიას ძმები ვართ. მეფისა და დედოფლის შვილების ამბის გასაგებად მივდივართ. **14.** თქვა:

ცოცხლად შეიპყარით. შეიპყრეს ცოცხლად და ჭასთან დახოცეს, მწყემსთა ბინაში, ორმოცდაორი კაცი. ერთიც არ დარჩენილა მათგან ცოცხალი. **15.** წავიდა იქიდან და შეეყარა იონადაბ რექაბის ძეს, რომელიც მის შესახვედრად მოდიოდა. მიესალმა და უთხრა: ისევე წრფელია შენი გული, როგორც ჩემი გული შენდამი? თქვა იონადაბმა: წრფელია. წრფელია და მომეცი ხელი. მისცა ხელი და მანაც აიყვანა თავის ეტლზე. **16.** თქვა: წამომყევი და ნახე ჩემი შური უფლისადმი .და დასვეს ეტლზე. **17.** მივიდა სამარიას და ამოხოცა ყველა, ვინც კი დარჩენოდა ახაბს სამარიაში .ბოლომდე გაანადგურა ყველანი, უფლის სიტყვისამებრ, როგორც ნაბრძანები ჰქონდა უფალს ელიასთვის. **18.** შეკრიბა იეჰუმ მთელი ერი და გამოუცხადა: ცუდად ემსახურებოდა ახაბი ბაალს. ახლა იეჰუ მოუმატებს სამსახურს. **19.** ახლა შემიყარეთ ბაალის ყველა ქადაგი, ყველა მისი მსახური და ყველა მისი ქურუმი, კაციშვილი არ აკლდეს, რადგან დიდი მსხვერპლშეწირვა მექნება ბაალისთვის. ვინც დააკლდება ვერ გადარჩება ცოცხალი. ასეთი ხრიკი მოიგონა იეჰუმ, რომ ამოეწყვიტა ბაალის თაყვანისმცემლები. **20.** თქვა იეჰუმ: გამოაცხადეთ ბაალის დღესასწაული, და გამოაცხადეს. **21.** დაგზავნა იეჰუმ მოციქულები მთელს ისრაელში და მოვიდა ბაალის ყველა მსახური, კაციშვილი არ დარჩენილა მოუსვლელი. შევიდნენ ბაალის სახლში და პირთამდე გაივსო ბაალის სახლი. **22.** უთხრა მეტანსაცმელეს იეჰუმ: გამოუტანე სამოსელი ბაალის ყველა მსახურს. მანაც გამოუტანა შესამოსელი. **23.** შევიდა იეჰუ იონადაბ რექაბის ძესთან ერთად ბაალის სახლში და უთხრა ბაალის მსახურებს: მიათვალ-მოათვალიერეთ, არ იყოს თქვენს შორის უფლის მსახურთაგანი ვინმე, რადგან მხოლოდ ბაალის მსახურები უნდა იყოთ აქ. **24.** შეუდგნენ მსხვერპლშეწირვას და აღსავლენს. გარეთ დააყენა იეჰუმ ოთხმოცი კაცი და უბრძანა: იცოდეთ, თუ ვინმე გადარჩა იმათგან, ვისაც გაბარებთ, მის სულს თქვენ მოგკითხავთ. **25.** როცა დასრულდა აღსავლენი, უბრძანა იეჰუმ მალემსრბოლებსა და მეთაურებს: წადით და დახოცეთ, არავინ გაგექცეთ. მახვილით დახოცეს და იქვე დაყარეს მალემსრბოლებმა და მეთაურებმა. თავად კი ბაალის სახლის ქალაქისკენ წავიდნენ. **26.** გამოიტანეს ბაალის სახლიდან ბაალის ქანდაკებები და დაწვეს. **27.** დაამსხვრიეს ბალის ქანდაკი, დაანგრიეს ბაალის სახლი და სანაგვე ადგილად აქციეს დღესამომდე. **28.** ასე გადააშენა იეჰუმ ბაალი ისრაელიდან. **29.** ოღონდ იერობოამ ნაბატის ძის ცოდვებისთვის, რითაც მან აცთუნა ისრაელი, არ დაუნებებია იეჰუს თავი, და არც ოქროს ხბოებისთვის, ბეთელსა და დანში რომ იყო. **30.** უთხრა უფალმა იეჰუს: იმის გამო, რომ სწორად მოიქეცი ჩემს თვალში და ყველაფერი აღასრულე ახაბის სახლზე, რაც გულში მქონდა, მეოთხე თაობამდე ისხდებიან შენი შთამომავლები ისრაელის ტახტზე. **31.** მაგრამ მთელი გულით არ იცავდა იეჰუ უფლის, ისრაელის ღმერთის რჯულს. არ დაუნებებია თავი იერობოამის ცოდვებისთვის, რომლებითაც აცთუნა მან ისრაელი. **32.** იმ ხანებში დაიწყო უფალმა მიწების ჩამოჭრა ისრაელისთვის. სძლია ისრაელს ხაზაელმა მთელს მის საზღვარზე და წაართვა. **33.** იორდანედან მზის აღმოსავლეთით გალაადის მთელი მხარე, გადის, რეუბენის, მენაშეს მიწები ყაროყედან მოწყებული არნონის ხეობაში რომ არის, გალაადი და ბაშანი. **34.** იეჰუს დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გააკეთა, ყველა მისი გმირობა, ისრაელის მეფეთა მატიანეში ჩაწერილი. **35.** განისვენა იეჰუმ თავის მამა-პაპასთან და დამარხეს სამარიაში. მის ნაცვლად მისი ძე იოახაზი გამეფდა. **36.** სულ ოცდარვა წელი იმეფა იეჰუმ ისრაელზე სამარიაში.

## თავი მეთერთმეტე

1. როცა დაინახა ლოთოლიამ, ახაზიას დედამ, რომ მოკვდა მისი შვილი, ადგა და ამოწყვიტა მთელი სამეფო მოდგმა. 2. მაგრამ იეჰოშებაყმა, მეფე იორამის ასულმა, ახაზიას დამ, მოარიდა იოაში, ახაზიას ძე, დასახოცად განწირულ უფლისწულებს და მის ძიძასთან ერთად საწოლ ოთახში დამალა, ლოთოლიასგან, და ვერ მოკლეს. 3. ექვს წელს იმალებოდა მასთან ერთად უფლის სახლში, ხოლო ლოთოლია მეფობდა ქვეყანაზე. 4. მეშვიდე წელს დაიბარა იეჰოიადაყმა მცველთა და მალემსრბოლთა ასისთავები და შეიყვანა ისინი უფლის სახლში. აღთქმა მოსთხოვა მათ, დააფიცა უფლის სახლში და აჩვენა მეფისწული. 5. უბრძანა: აი, როგორ უნდა მოიქცეთ: თქვენგან მესამედმა, შაბათს მომსვლელთაგან, მეფის სასახლეში უნდა იყარაულოს. 6. მესამედმა — სურის კარიბჭესთან, მესამედმაც — კარიბჭესთან, მალემსრბოლთა უკან. მორიგეობით იყარაულეთ სასახლეში. 7. თქვენგან ორმა მესამედმა, შაბათს გამომსვლელთაგან, უფლის სახლში უნდა იყარაულოს მეფის წინაშე. 8. გარს შემოერტყით მეფეს იარაღით ხელში. ვინც რიგებში შემოვა, მოკვდეს. ედექით მეფეს მისი გამოსვლისას და შესვლისას. 9. ყველაფერი ისე გააკეთეს ასისთავებმა, როგორც დარიგა მათ იეჰოიადაყ მღვდელმა: წაიყვანეს თავ-თავისი ხალხი — შაბათს მომსვლელნი შაბათის გამსვლელებთან ერთად — და იეჰოიადაყ მღვდელთან მივიდნენ. 10. დაურიგა მღვდელმა ასისთავებს შუბები და ფარები, მეფე დავითს რომ ჰქონდა უფლის სახლში. 11. დადგნენ მალემსრბოლები იარაღით ხელში სახლის მარჯვენა ფრთიდან სახლის მარცხენა ფრთამდე, სამსხვერპლოსთან და სახლთან, მეფის ირგვლივ. 12. გამოიყვანა მეფისწული, დაადგა შარავანდი და მისცა მოწმობა. და გაამეფეს და სცხეს მირონი. ტაშს უკრავდნენ და ყვიროდნენ: იცოცხლოს მეფემ! 13. შემოესმა ლოთოლიას ხალხის ჟრიამული და გავიდა ხალხთან უფლის სახლში. 14. დაინახა მდგარი მეფე წესისამებრ, და სარდლები და საყვირები მეფის გვერდით. მხიარულობს ქვეყნის ერი და საყვირებს ახმიანებენ. შემოიგლიჯა სამოსელი ლოლოთიამ და იყვირა: ღალატია! ღალატი! 15. უბრძანა იეჰოიადაყ მღვდელმა ასისთავებს, ჯარის მეთაურებს და უთხრა: გარეთ გაიყვანეთ. ვინც უკან გაჰყვება, მახვილით მოკალითო, რადგან იფიქრა მღვდელმა, უფლის სახლში არ მოკლანო. 16. გზა მისცეს და წავიდა ცხენთა შესასვლელით სასახლისკენ, და იქ მოკლეს. 17. დადო იეჰოიადაყმა აღთქმა უფალსა და მეფეს შორის, და ერს შორის, რათა ერი საუფლო ყოფილიყო, და მეფესა და ერს შორის. 18. შევიდა მთელი ქვეყნის ხალხი ბაალის სახლში და დაანგრიეს იგი სამსხვერპლოიანად, დალეწეს მისი გამოსახულებანი და მოკლეს მათანი, ბაალის ქურუმი, სამსხვერპლოების წინ. დააწესა მღვდელმა ზედამხედველობა უფლის სახლზე. 19. წამოიყვანა ასისთავები, სასახლის მცველები, მალემსრბოლები და ქვეყნის ერი და მათაც გამოიყვანეს მეფე უფლის სახლიდან. მალემსრბოლთა შესასვლელით სამეფო სახლში მივიდნენ და მეფეთა ტახტზე დაჯდა მეფე. 20. გამხიარულდა მთელი ქვეყნის ერი და დაწყნარდა ქალაქი, ხოლო ლოთოლია მახვილით მოკლეს სამეფო სახლში.

## თავი მეთორმეტე

1. შვიდი წლისა იყო იოაში, როცა გამეფდა. 2. იეჰუს მეშვიდე წელს გამეფდა იოაში და ორმოცი წელი იმეფა იერუსალიმში. მისი დედა იყო ციბია, ბერშებადან. 3. სწორად იქცეოდა უფლის თვალში იოაში მთელი თავისი სიცოცხლე, სანამ იეჰოიადაყ მღვდელი მოძღვრავდა მას. 4. ოღონდ გორაკე-

ბი არ ყოფილა გაუქმებული. გორაკებზე სწირავდა ხალხი მსხვერპლს და აკმევდა საკმეველს. 5. უთხრა იოაშმა მღვდლებს: მთელი შემოწირული ვერცხლი, რომელიც უფლის სახლში შემოდის, რომელიც სურვილისამებრ შემოაქვთ უფლის სახლში, 6. აილონ მღვდლებმა თავ-თავისი ნაცნობებისგან და შეაკეთონ სახლში ყველაფერი, რასაც შესაკეთებელს აღმოაჩენენ. 7. როცა მეფე იოაშის ოცდამესამე წელს მაინც არ ჰქონდათ შეკეთებული მღვდლებს, რაც შესაკეთებელი იყო სახლში, 8. დაუძახა მეფე იოაშმა იეჰოიადაყ მღვდელს და სხვა მღვდლებს და უთხრა: რატომ არ შეგიკეთებიათ სახლი, მეტად ნულარ აილებთ თქვენთქვენი ნაცნობებისგან ვერცხლს სახლის შესაკეთებლად. 9. შეთანხმდნენ მღვდლები, აღარ აელოთ ვერცხლი სახლის შესაკეთებლად. 10. აილო იეჰოიადაჷ მღვდელმა ერთი კიდობანი, ზემოდან ნახვრეტი გაუკეთა და სამსხვერპლოს გვერდით დადგა, უფლის სახლში შემომსვლელთა მხარმარჯვნივ. იქ ყრიდნენ ზღურბლის მცველი მღვდლები უფლის სახლში შემოტანილ მთელს ვერცხლს. 11. როცა ნახავდნენ, რომ ბევრი ვერცხლი დაგროვდა კიდობანში ამოვიდოდნენ მეფის მწერალი და მღვდელმთავარი, გადმოყრიდნენ და დაითვლიდნენ უფლის სახლში შეგროვებულ ვერცხლს. 12. ხელში აბარებდნენ დათვლილ ვერცხლს სამუშაოთა შემსრულებლებს, რომელნიც უფლის სახლში იყვნენ განწესებულნი. ესენი ურიგებდნენ დურგლებს და მშენებლებს, უფლის სახლში მომუშავეთ, 13. ქვისმთლელებს და ქვითხუროებს, ყიდულობდნენ ხეს და თლილ ქვას უფლის სახლის შესაკეთებლად და ყველაფერს, რაც სახლის გასამაგრებლად იყო საჭირო. 14. ოღონდ უფლის სახლისთვის საჭირო ვერცხლის თასები, მაშები, სასხურებლები, საყვირები: ოქროსა და ვერცხლის ყოველგვარი ჭურჭელი არ მზადდებოდა უფლის სახლში შემოსული ვერცხლით, 15. რადგან სამუშაოთა შემსრულებლებს ეძლეოდათ, რომ მისი ხარჯით შეეკეთებინათ უფლის სახლი. 16. ანგარიშს არ სთხოვდნენ იმ პირებს, რომელნიც სამუშაოთა შემსრულებლებს აბარებდნენ ხელში ვერცხლს, რადგან პატიოსნად იქცეოდნენ. 17. დანაშაულის გამოსასყიდი ვერცხლი და ცოდვის გამოსასყიდი ვერცხლი არ შემოდიოდა უფლის სახლში. მღვდლებს ეკუთვნოდათ იგი. 18. მაშინ გაემართა ხაზაელი, არამის მეფე, და გაილაშქრა გათის წინააღმდეგ და აილო იგი. მერე იერუსალიმზე გალაშქრება განიზრახა. 19. მაშინ აილო იოაშ იუდას მეფემ მთელი შემოწირულობა, რაც შემოწირული ჰქონდათ იოშაფატს, იორამს და ახაზიას — მის მამა-პაპას, იუდას მეფეებს, თავისი შემოწირულობაც და მთელი ოქროულობა, რაც კი იპოებოდა უფლის სახლსა და მეფის სახლის საგანძურებში, და გაუგზავნა ხაზაელს, არამის მეფეს. და ისიც გაეცალა იერუსალიმს. 20. იოაშის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გააკეთა, იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 21. აღდგნენ მისი მსახურნი და შეითქვნენ მის წინააღმდეგ, და მოკლეს იოაში მილოს სახლში, სილას ჩასავალთან. 22. მისმა მსახურებმა — იოზაქარ შიმყათის ძემ და იეჰოზაბად შომერის ძემ მოკლეს იგი. მოკვდა და დამარხეს თავის მამა-პაპის გვერდით, დავითის ქალაქში. მის ნაცვლად მისი ძე ამაცია გამეფდა.

## თავი მეცამეტე

1. იუდას მეფის, იოაშ ახაზიას ძის, ოცდამესამე წელს გამეფდა იეჰოახაზ იეჰუს ძე ისრაელზე სამარიაში და იმეფა ჩვიდმეტი წელი. 2. უკეთურად იქცეოდა უფლის თვალში და მიჰყვებოდა იერობოამ ნაბატის ძის ცოდვის კვალს, რომელმაც შეაცდინა ისრაელი, არ განრიდებია მას. 3. აღიგზნო უფლის რისხვა ისრაელიანთა მიმართ და



საქართველოს

ჩაუგდო ისინი ხელში ხაზაელს, არამის მეფეს, და ბენ-ჰადადს, ხაზაელის ძეს, დიდი ხნით. 4. შეევედრა იეჰოახაზი უფალს და უსმინა მას უფალმა, რადგან დაინახა ისრაელიანთა შეჭირვება, როგორ აჭირვებდა მათ არამის მეფე. 5. მისცა უფალმა ისრაელს მხსნელი და დააღწიეს თავი არამის ბატონობას, და იწყეს ცხოვრება ისრაელიანებმა თავთავის კარვებში, როგორც გუშინ და გუშინწინ ცხოვრობდნენ. 6. ოღონდ არ განრიდებიან იერობოამის სახლის ცოდვებს, რომელმაც შეაცდინა ისრაელი, მისდევდნენ მათ და ხემხვივანებიც კვლავინდებურად იდგა სამარიაში. 7. ორმოცდაათი ცხენოსანი, ათი საომარი ეტლი და ათი ათასი ქვეითი-ღა შერჩა იეჰოხოაზს, რადგან გაანადგურა ისინი არამის მეფემ და მიწის მტვერივით გასათელი გახადა. 8. იეჰოხოაზის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გააკეთა და მისი გმირობანი, ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 9. განისვენა იეჰოხოაზმა თავის მამა-პაპასთან და დამარხეს იგი სამარიაში. მის ნაცვლად მისი ძე იოაში გამეფდა. 10. იუდას მეფის, იოაშის ოცდამეჩვიდმეტე წელს გამეფდა იეჰოაშ იეჰოხოაზის ძე ისრაელზე სამარიაში და თექვსმეტი წელი იმეფა. 11. უკუღმართად იქცეოდა უფლის თვალში, არ მიუტოვებია ცოდვები იერობოამ ნაბატის ძისა, რომელმაც შეაცდინა ისრაელი, არამედ მისდევდა მათ. 12. იოაშის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გააკეთა, მისი გმირობანი, იუდას მეფეს, ამაციას რომ ეომებოდა, ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 13. განისვენა იოაშმა თავის მამა-პაპასთან და დაჯდა მის ტახტზე იერობოამი. ხოლო იოაში სამარიაში დაიმარხა ისრაელის მეფეთა გვერდით. 14. დასნეულდა ელისე და მოკვდა კიდეც ამ სენისაგან. ჩავიდა მასთან იოაშ ისრაელის მეფე, თავზე დასტიროდა და ეუბნებოდა: მამავ, მამავ, ისრაელის ეტლო და მხედრობავ! 15. უთხრა ელისემ: აიღე მშვილდ-ისარი, მანაც აიღო მშვილდ-ისარი. 16. უთხრა ისრაელის მეფეს: დაადე ხელი მშვილდს. და დაადო ხელი. ხოლო ელისემ მეფის ხელებზე დააწყო თავისი ხელები. 17. თქვა: გააღე აღმოსავლეთის სარკმელი. გააღო. თქვა ელისემ: სტყორცნე. სტყორცნა. თქვა: ძლევის ისარი უფლისაგან და ძლევის ისარი არამისკენ. სძლევ არამს აფეკში საბოლოოდ. 18. თქვა: აიღე ისრები. აიღო. უთხრა ისრაელის მეფეს: დაჰკარი მიწას. სამგზის დაჰკრა მიწას და გაჩერდა. 19. გაუბრაზდა ღვთისკაცი და უთხრა: ხუთგზის ან ექვსგზის რომ დაგეკრა, საბოლოოდ სძლევდი არამს. ახლა მხოლოდ სამგზის სძლევს არამს. 20. მოკვდა ელისე და დამარხეს იგი. მოაბის მოთარეშენი დაეცნენ ქვეყანას წლის დამდეგს. 21. ერთხელ ვიღაც კაცს მარხავდნენ და, აჰა, როცა დაინახეს მოთარეშენი, ჩააგდეს ეს კაცი ელისეს სამარხში. როგორც კი შეეხო კაცი ელისეს ძვლებს, მყისვე გაცოცხლდა და ფეხზე წამოდგა. 22. ხაზაელი, არამის მეფე, აჭირვებდა ისრაელიანებს იეჰოახაზის მეფობის მთელს ხანში. 23. მაგრამ შეიბრალა ისინი უფალმა და შეიწყალა. მოხედა მათ აბრაამთან, ისაკთან და იაკობთან დადებული აღთქმის გამო და არ ინება მათი მოსპობა. თავიდან არ მოუშორებია ისინი დღესამომდე. 24. მოკვდა ხაზაელი, არამის მეფე, და მის ნაცვლად მისი ძე ბენ-ჰადადი გამეფდა. 25. უკანვე დაიბრუნა იოაშ იეჰოახაზის ძემ ბენ-ჰადად ხაზაელის ძისგან ქალაქები, რომლებიც ბრძოლით ჰქონდა წართმეული მისი მამისთვის, იეჰოხოაზისთვის. სამგზის სძლია მას იოაშმა და დაიბრუნა ისრაელის ქალაქები.

## თავი მეთოთხმეტე

1. ისრაელის მეფის იოაშ იოახაზის ძის მეორე წელს გამეფდა ამაციაჰუ, იოაშის ძე, იუდას მეფე 2. ოცდახუთი წლისა იყო, რომ გამეფდა და ოცდაცხრა წელი იმეფა იერუსა-

ლიმში. დედამისი იყო იეჰოყადანი, იერუსალიმიდან. 3. სწორად იქცეოდა უფლის თვალში, ოღონდ არა ისე როგორც მისი მამა დავითი. ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც იოაში, მამამისი. 4. ოღონდ გორაკები არ იყო ჯერ კიდევ გაუქმებული. გორაკებზე სწირავდა ხალხი მსხვერპლს და აკმევდა საკმეველს. 5. როცა ხელში გაუმტკიცდა მეფობა, დახოცა თავისი მსახურები, რომელთაც მოკლეს მეფე, მისი მამა. 6. მკვლელების შვილები კი არ დაუხოცავს, როგორც სწერია მოსეს რჯულის წიგნში, უფლის ბრძანებისამებრ: არ უნდა დაისაჯონ სიკვდილით მამები შვილთა გამო და შვილები მამათა გამო არ უნდა დაისაჯონ სიკვდილით, არამედ თითოეული თავისი დანაშაულისთვის უნდა მოკვდეს. 7. მან სძლია ედომელებს მარილოვან ველზე, ათი ათას კაცს, და ბრძოლით აიღო სელაყი და უწოდა სახელად იოკთიელი, როგორც დღემდე ეწოდება. 8. მაშინ გაუგზავნა ამაციამ მოციქულები იოაშს, იოახაზ იეჰუს ძის ძეს, ისრაელის მეფეს და შეუთვალა: მოდი, მოვსინჯოთ ერთმანეთი. 9. შეუთვალა იოაშ ისრაელის მეფემ ამაციაჰუს, იუდას მეფეს: ლიბანის კვრინჩხმა შეუთვალა ლიბანის კედარს: ცოლად მიათხოვე შენი ასული ჩემს ვაჟს. მაგრამ ჩაიარა ლიბანის გარეულმა მხეცმა და გათელა კვრინჩხი. 10. დაგიმარცხებია ედომი და გაღიდგულებულხარ. ღირსეულად გეჭიროს თავი და შენთვის იჯექი სახლში. რისთვის სტეხ შფოთს? შენც დაეცემი და იუდაც შენთან ერთად. 11. ყური არ ათხოვა ამაციაჰუმ. მაშინ გამოვიდა იოაშ ისრაელის მეფე და მოსინჯეს ერთმანეთი, მან და ამაციაჰუმ, იუდას მეფემ ბეთ-შემეშთან, იუდაში რომ არის. 12. დამარცხდნენ იუდაელები ისრაელიანებთან და თავ-თავის კარვებში გაიფანტნენ. 13. ხოლო ამაციაჰუ, იუდას მეფე, იოაშ ახაზიაჰუს ძის ძე, შეიპყრო იოაშ ისრაელის მეფემ ბეთ-შემეშში და მიადგა იერუსალიმს. დაანგრია იერუსალიმის კედელი ეფრემის კარიბჭიდან კუთხის კარიბჭემდე ოთხასი წყრთის სიგრძეზე. 14. წაიღო მთელი ოქრო-ვერცხლი და მთელი ჭურჭელი, რაც კი უფლის სახლში და მეფის სახლის საგანძურებში ინახებოდა. აიყვანა მძევლები და გაბრუნდა სამარიას. 15. იეჰოაშის დანარჩენი საქმენი, რაც გააკეთა და გმირობანი, რომ ესხმოდა ამაციაჰუს, იუდას მეფეს, ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 16. განისვენა იეჰოაშმა თავის მამა-პაპასთან და დაიმარხა სამარიაში ისრაელის მეფეთა გვერდით, და მის ნაცვლად მისი ძე იერობოამი გამეფდა. 17. ისრაელის მეფის იეჰოაშ იეჰოახაზის ძის სიკვდილის შემდეგ თხუთმეტი წელი იცოცხლა ამაციაჰუ იოაშის ძემ, იუდას მეფემ. 18. ამაციაჰუს დანარჩენი საქმენი იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 19. შეითქვნენ მის წინააღმდეგ იერუსალიმში და თავი შეაფარა მან ლახიშს. მიუგზავნეს კაცები ლაქიშში და იქ მოკლეს. 20. წამოასვენეს ცხენებით და დამარხეს იერუსალიმში თავისი მამა-პაპის გვერდით, დავითის ქალაქში. 21. გამოიყვანა იუდას მთელმა ხალხმა ყაზარია, თექვსმეტი წლის ყმაწვილი, და მამამისის ამაციაჰუს ნაცვლად გაამეფეს. 22. მან აღადგინა ელათი და დაუბრუნა იუდას. მერე განისვენა მეფემ თავის მამა-პაპასთან. 23. იუდას მეფის ამაციაჰუ იოაშის ძის მეთხუთმეტე წელს გამეფდა იერობოამ იოაშის ძე, ისრაელის მეფე სამარიაში და იმეფა ორმოცდაერთი წელი. 24. უკუღმართად იქცეოდა იგი უფლის თვალში და არ მიუტოვებია იერობოამ ნაბატის ძის ცოდვები, რომელმაც შეაცდინა ისრაელი. 25. მან აღადგინა ისრაელის საზღვრები ხამათის შესასვლელიდან უდაბნოს ზღვამდე, როგორც ნათქვამი ჰქონდა უფალს, ისრაელის ღმერთს, თავისი მსახურის, გათ-ხეფერელი წინასწარმეტყველის, იონა ამითაის ძის პირით. 26. რადგან დაინახა უფალმა ისრაელის გაჭირვება, ძალზე მწარე. არ დარჩენილა არც ყმა და

არც აზატი, არ ჰყავდა შემწე ისრაელს. 27. არ ინება უფალმა ისრაელის სახსენებლის მოსპობა ცისქვეშეთიდან და იერობოამ იოაშის ძის ხელით იხსნა იგი. 28. იერობოამის დანარჩენი საქმენი ყველაფერი, რაც გააკეთა, მისი გმირობანი, რომ იბრძოდა და ისრაელს დაუბრუნა იუდას კუთვნილი დამასკო და ხამათი, ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 29. განისვენა იერობოამმა თავის მამა-პაპასთან, ისრაელის მეფეებთან. მის ნაცვლად მისი ძე ზაქარია გამეფდა.

## თავი მეთხუთმეტე

1. იერობოამ ისრაელის მეფის ოცდამეშვიდე წელს გამეფდა ყაზარია ამაციაჰუს ძე, იუდას მეფე. 2. თექვსმეტი წლისა იყო, რომ გამეფდა და ორმოცდათორმეტი წელი იმეფა იერუსალიმში. მისი დედა იყო იექოლიაჰუ, იერუსალიმიდან. 3. სწორად იქცეოდა უფლის თვალში, ისევე როგორც მამამისი ამაციაჰუ. 4. ოღონდ გორაკები არ იყო გაუქმებული. გორაკებზე სწირავდა მსხვერპლს ხალხი და აკმევდა საკმეველს. 5. დასაჯა იგი ღმერთმა და სიკვდილამდე კეთროვანი იყო, და ცხოვრობდა სამკურნალო სახლში. იოთამი, მეფისწული, სასახლეს ზედამხედველობდა და განსჯიდა ქვეყნის ხალხს. 6. ყაზარიას დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გააკეთა, იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 7. განისვენა ყაზარიამ თავის მამა-პაპასთან და დამარხეს იგი თავისი მამა-პაპის გვერდით დავითის ქალაქში. მის ნაცვლად მისი ძე იოთამი გამეფდა. 8. იუდას მეფის, ყაზარიას ოცდამეთვრამეტე წელს გამეფდა ზაქარია იერობოამის ძე ისრაელზე სამარიაში და ექვსი თვე იმეფა. 9. უკულმართად იქცეოდა უფლის თვალში, როგორც მისი მამა-პაპა იქცეოდა. არ განრიდებია იერობოამ ნაბატის ძის ცოდვებს, რომელმაც შეაცდინა ისრაელი. 10. შეთქმულება მოუწყო მას შალუმმა, იაბეშის ძემ, და მოკლა [illegible] და გამეფდა მის ნაცვლად. 11. ზაქარიას დანარჩენი საქმენი ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 12. ასეთი იყო უფლის სიტყვა, რომელიც გამოუცხადა მან იეჰუს: მეოთხე თაობამდე ისხდებიანო შენი შვილები ისრაელის ტახტზე. და ახდა კიდეც. 13. შალუმ იაბიშის ძე გამეფდა იუდას მეფის, ყუზიას, ოცდამეცხრამეტე წელს და ერთი თვე იმეფა სამარიაში. 14. წამოვიდა მენახემ გადის ძე თირცადან და მოადგა სამარიას. დაამარცხა შალუმ იაბეშის ძე სამარიაში, მოკლა იგი და გამეფდა მის ნაცვლად. 15. შალუმის საქმენი და მისი შეთქმულების ამბავი, რომელიც მან მოაწყო, ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 16. მაშინ მოსრა მენახემმა თიფსახი და ყველაფერი, რაც მასში იყო. მოსრა მთელი მხარე თირცადან მოყოლებული რადგან არ გააღეს კარიბჭეები. შუაზე გააპო ყველა ორსული ქალი. 17. იუდას მეფის, ყაზარიას, ოცდამეცხრამეტე წელს გამეფდა მენახემ გადის ძე ისრაელის მეფე, და ათი წელი იმეფა სამარიაში. 18. უკულმართად იქცეოდა უფლის თვალში, არ განრიდებია მთელი თავისი სიცოცხლე იერობოამ ნაბატის ძის ცოდვებს, რომელმაც შეაცდინა ისრაელი. 19. წამოვიდა ფული, აშურის მეფე; ქვეყნისაკენ და მისცა მენახემმა ფულს ათასი ქანქარი ვერცხლი, რომ ყოფილიყო მისი შემწეობის ქვეშ და მტკიცედ სჭეროდა ხელში მეფობა. 20. დააკისრა მენახემმა ეს ვერცხლი ისრაელს, ყველა შეძლებულ კაცს — კაცზე ორმოცდაათი შეკელი აშურის მეფისთვის მისაცემად. უკან გაბრუნდა აშურის მეფე, არ გაჩერებულა იქ, ქვეყანაში. 21. მენახემის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი რაც გააკეთა, ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 22. განისვენა მენახემმა თავის მამა-პაპასთან და მის ნაცვლად მისი ძე ფეკახია გამეფდა. 23. იუდას მეფის, ყაზარიას ორმოცდამეათე წელს გამე-

ფდა ფეკახია მენახემის ძე ისრაელზე სამარიაში და ორი წელი იმეფა. 24. უკუღმართად იქცეოდა უფლის თვალში, არ განრიდებია იერობოამ ნაბატის ძის ცოდვებს, რომელმაც შეაცდინა ისრაელი. 25. შეთქმულება მოუწყო მას ფეხაკმა, რემალიაჰუს ძემ, მისმა კარისკაცმა, მიუხდა სამარიაში, მეფის სასახლის დარბაზში, არგობთან და არიასთან ერთად, თან ორმოცდაათი გალაადელი ახლდა, მოკლა იგი და გამეფდა მის ნაცვლა. 26. ფეკახიას დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გაუკეთებია, ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 27. იუდას მეფის ყაზარიას, ორმოცდამეთორმეტე წელს გამეფდა ფეხაკ რემალიაჰუს ძე ისრაელზე სამარიაში და იმეფა ოცი წელი. 28. უკუღმართად იქცეოდა უფლის თვალში. არ განრიდებია იერობოამ ნაბატის ძის ცოდვებს, რომელმაც შეაცდინა ისრაელი. 29. ისრაელის მეფის, ფეკახიას დროს მოვიდა თიგლათფილასარი, აშურის მეფე და აილო ყიონი, აბელ-ბეთ-მაყაქა-იანოახი, კედეში, ხაცორი, გალადი და გალილა, მთელი ხაფთალის ქვეყანა და აშურში გადაასახლა ხალხი. 30. შეთქმულება მოუწყო ჰოშეაყმა ელიას ძემ, ფეკახ რემალიაჰუს ძეს, სძლია მას, მოკლა და გამეფდა მის ნაცვლად იოთამ ყუზიას ძის მეოცე წელს. 31. ფეკახიის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გაუკეთებია, ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 32. ისრაელის მეფის, ფეკახ რემალიაჰუს ძის მეორე წელს გამეფდა იოთამ ყუზიას ძე, იუდას მეფე. 33. ოცდახუთი წლის იყო, როცა გამეფდა და თექვსმეტი წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო იერუშა, ცადოკის ასული. 34. სწორად იქცეოდა უფლის თვალში, მამამისი ყუზია როგორც იქცეოდა, ისევე იქცეოდა იგი. 35. ოღონდ გორაკები არ იყო გაუქმებული. ჯერაც გორაკებზე სწირავდა ხალხი მსხვერპლს და აკმევდა საკმეველს. მან აღადგინა უფლის სახლის ზემო კარიბჭე. 36. იოთამის დანარჩენი საქმენი ყველაფერი, რაც გაუკეთებია, იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 37. იმხანებში შეუჩინა უფალმა იუდას რეცინი, არამის მეფე, და ფეკახ რემალიაჰუს ძე. 38. განისვენა იოთამმა თავის მამა-პაპასთან და დაიმარხა თავისი მამა-პაპის გვერდით თავისი მამის დავითის ქალაქში და მის ნაცვლად მისი ძე ახაზი გამეფდა.

## თავი მეთექვსმეტე

1. ფეკახ რემალიაჰუს ძის მეჩვიდმეტე წელს გამეფდა ახაზ იოთამის ძე, იუდას მეფე. 2. ოცი წლისა იყო ახაზი, როცა გამეფდა და თექვსმეტი წელი იმეფა იერუსალიმში. არ იქცეოდა სწორად უფლის, თავისი ღვთის თვალში, როგორც იქცეოდა მამამისი დავითი. 3. დადიოდა ისრაელის მეფეთა გზით. თავისი შვილიც კი ცეცხლში გაატარა იმ წარმართთა ბილწი ჩვეულებისამებრ, რომელნიც აჰყარა უფალმა ისრაელიანთაგან. 4. მსხვერპლს სწირავდა და საკმეველს აკმევდა გორაკებზე, ბორცვებზე და ყოველი ხემხვივანის ქვეშ. 5. მაშინ აღდგნენ რეცინი, არამის მეფე, და ფეკახ რემალიაჰუს ძე, ისრაელის მეფე, იერუსალიმის წინააღმდეგ საომრად, მოამწყვდიეს ახაზი, მაგრამ ვერ სძლიეს მას. 6. იმხანად დაუბრუნა რეცინმა, არამის მეფემ ელათი არამს და აჰყარა იუდაელები ელათიდან. ედომელები შევიდნენ ელათში და დღემდე იქ ცხოვრობენ. 7. გაუგზავნა ახაზმა თიგლათფალასარს, აშურის მეფეს, მოციქულები და შეუთვალა: შენი მსახური და შენი შვილი ვარ მე. მოდი და მიხსენი არამის მეფისა და ისრაელის მეფისგან, რომელნიც აღდგნენ ჩემს წინააღმდეგ. 8. აილო ახაზმა ოქრო-ვერცხლი, რაც კი უფლის სახლში და მეფის სახლის საგანძურებში იპოებოდა და ძღვნად გაუგზავნა აშურის მეფეს. 9. ისმინა მისი აშურის მეფემ და მოადგა აშურის მეფე დამასკოს, აილო იგი, ხალხი

კირში გადაასახლა, ხოლო რეცინი მოკლა. 10. წავიდა მეფე ახაზი აშურის მეფის, თიგლათფალასარის მისაგებებლად დამასკოში, ნახა სამსხვერპლო, დამასკოში რომ იყო, და გაუგზავნა მეფე ახაზმა ურია მღვდელს სამსხვერპლოს ნახატი და მთელი ნაგებობის გეგმა. 11. ააშენა ურია მღვდელმა სამსხვერპლო. როგორც შეუთვალა მეფე ახაზმა დამასკოდან, ისე გააკეთა ყველაფერი ურია მღვდელმა მეფე ახაზის დაბრუნებამდე დამასკოდან. 12. დაბრუნდა მეფე დამასკოდან და იხილა მეფემ სამსხვერპლო, მიეახლა მეფე სამსხვერპლოს და მიიტანა მსხვერპლი. 13. და დაწვა აღსავლენი მსხვერპლი და შესაწირავი, დაღვარა საღვრელი, და თავისი სამადლობელო მსხვერპლის სისხლი ასხურა სამსხვერპლოს. 14. სპილენძის სამსხვერპლო კი, უფლის წინაშე რომ იდგა, გადაანაცვლა ტაძრის წინა მხრიდან, სამსხვერპლოსა და უფლის სახლის შუა ადგილიდან და მოათავსა სამსხვერპლოს გვერდით, ჩრდილოეთის მხარეს. 15. ასე უბრძანა მეფე ახაზმა ურია მღვდელს: დიდ სამსხვერპლოზე დაწვი დილის აღსავლენი მსხვერპლი და საღამოს ძღვენი, მეფის აღსავლენი მსხვერპლი და მისი ძღვენი, ქვეყნის მთელი ხალხის აღსავლენი მსხვერპლი, მათი ძღვენი და მათი საღვრელი. ყოველი აღსავლენის სისხლი და ყოველი საკლავის სისხლი ასხურე მას. სპილენძის სამსხვერპლო კი ჩემი მისახედი იქნება. 16. ყველაფერი ისე გააკეთა ურია მღვდელმა, როგორც უბრძანა მას მეფე ახაზმა. 17. მოახლიჩა მეფე ახაზმა პერანგები კვარცხლბეკებს, მოხსნა მათი საბანელი, ჩამოიღო ზღვა სპილენძის ხარებიდან, რომლებზედაც იდგა ის, და ქვის იატაკზე დადგა. 18. საშაბათო ტალანი, სახლში რომ იყო გაყვანილი, და გარეთა სამეფო შესასვლელი უფლის სახლისკენ მოაქცია აშურის მეფის გულისთვის. 19. ახაზის დანარჩენი საქმენი, რაც გაუკეთებია, იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 20. განისვენა ახაზმა თავის მამა-პაპასთან და დაიმარხა თავისი მამა-პაპის გვერდით დავითის ქალაქში. მის ნაცვლად მისი ძე, ხიზკიაჰუ გამეფდა.

## თავი მეჩვიდმეტე

1. იუდას მეფის, ახაზის მეთორმეტე წელს გამეფდა ჰოშეაყ ელას ძე სამარიაში ისრაელზე და იმეფა ათი წელი. 2. უკუღმართად იქცეოდა უფლის თვალში, თუმცა არც ისე, როგორც ისრაელის მეფეები, მასზე წინ რომ იყვნენ. 3. მის წინააღმდეგ წამოვიდა შალმანესერი, აშურის მეფე, და შეიქმნა ჰოშეაყი მისი მსახური და უხდიდა ხარკს. 4. მიუხვდა აშურის მეფე ჰოშეაყს ღალატს, რადგან მოციქულებს უგზავნიდა იგი სოსს, ეგვიპტის მეფეს. და აღარ უხდიდა აშურის მეფეს ხარკს ყოველწლიურად. დაატუსაღა იგი აშურის მეფემ და საპყრობილეში ჩასვა. 5. მოადგა აშურის მეფე მთელ ქვეყანას, მოადგა სამარიას და სამ წელიწადს ალყაში ჰყავდა. 6. ჰოშეაყის მეცხრე წელს აიღო აშურის მეფემ სამარია, აშურში გადაასახლა ისრაელი და ხალახში, ხაბორსთან, გოზანის მდინარესთან, და მიდიელთა ქალაქებში დაასახლა. 7. როცა შესცოდეს ისრაელიანებმა უფალს, თავიანთ ღმერთს, რომელმაც გამოიყვანა ისინი ეგვიპტიდან და გამოიხსნა ფარაონის, ეგვიპტელთა მეფის ხელიდან, თაყვანი დაუწყეს უცხო ღმერთებს, 8. აჰყვნენ იმ ხალხთა ჩვეულებებს, რომელნიც აჰყარა უფალმა ისრაელიანთაგან და ისრაელის მეფეთა ჩვეულებებს, როგორც ისინი იქცეოდნენ, 9. იწყეს უჯეროდ ლაპარაკი ისრაელიანებმა უფალზე, თავიანთ ღმერთზე, გამართეს გორაკები ყველა ქალაქში — საყარაულო გოდოლიდან მოყოლებული ციხე-ქალაქამდე, 10. დაიდგეს ქანდაკებები და აშერები ყველა მაღალ ბორცვაზე და ყოველი ხემხვივანის ქვეშ, 11. საკმეველს აკმევდ-

ნენ იქ, ყოველ გორაკზე იმ ხალხთა მსგავსად, რომელნიც აჰყარა მათგან უფალმა, ბოროტად იქცეოდნენ, რომ განერისხებინათ უფალი, 12. ემსახურებოდნენ კერპებს, რაზეც ნაბრძანები ჰქონდა მათთვის უფალს, ნუ იზამთ ამ საქმეს, 13. აფრთხილებდა უფალი ისრაელს და იუდას თავისი ყოველი წინასწარმეტყველისა და ყოველი მისანის პირით: მიატოვეთ თქვენი უკუღმართი გზა, დაიცავით ჩემი მცნებები და წესები იმ რჯულის მიხედვით, რომელიც შთავაგონე თქვენს მამა-პაპას და თქვენც შემოგითვალეთ ჩემს მსახურთა — წინასწარმეტყველთა პირით. 14. არ შეისმინეს და გაჯიუტდნენ მათი მამებივით, რომელთაც არ ირწმუნეს უფალი, თავიანთი ღმერთი. 15. შეიძულეს მისი წესები და აღთქმა, უფალმა რომ დაუდო მათ მამა-პაპას, და გაფრთხილებები, რითაც აფრთხილებდა მათ. მიჰყვნენ ამაოებას და თავადაც ამაონი გახდნენ. წახედეს მეზობელ ხალხებს, ვისზედაც უბრძანა უფალმა, რომ არ მოქცეულიყვნენ მათ მსგავსად. 16. დაივიწყეს უფლის, თავიანთი ღვთის მცნებები, ჩამოასხეს ორი ხბოს გამოსახულებები, გააკეთეს აშერა, თაყვანს სცემდნენ ცის ვარსკვლავებს და ბაალს ემსახურებოდნენ. 17. ცეცხლში ატარებდნენ თავიანთ ვაჟებსა და ქალიშვილებს, მკითხაობდნენ, ჯადოქრობდნენ და ალარ ერიდებოდნენ უკუღმართობის ქმნას უფლის თვალში მის გასარისხებლად. 18. მაშინ დიდად განურისხდა უფალი ისრაელს და თავიდან მოიშორა ისინი, მხოლოდ ერთი იუდას ტომიღა დარჩა. 19. არც იუდა იცავდა უფლის, თავისი ღვთის მცნებას და ისრაელიანთა წესებს მისდევდა, როგორც თავად ისინი იქცეოდნენ. 20. შეიძულა უფალმა ისრაელის მთელი მოდგმა, მოტეხა იგი და მძარცველებს ჩაუგდო ხელში, ვიდრე საბოლოოდ არ მოიშორა თავიდან. 21. როცა მოწყდა ისრაელი დავითის სახლს და გაამეფეს იერობოამ ნაბატის ძე, მაშინ ჩამოაშორა იერობოამმა ისრაელი უფალს და დიდად შეაცდინა. 22. [illegible] დიოდნენ ისრაელიანები [illegible] ცოდვებში რომლებიც მას ჰქონდა ჩადენილი, და არ განრიდებიან მათ, 23. ვიდრე არ განირიდა უფალმა ისრაელი, როგორც ნათქვამი ჰქონდა თავის მსახურთა — წინასწარმეტყველთა პირით. და გადასახლებულია ისრაელი თავისი მიწიდან აშურში დღემდე. 24. წაიყვანა აშურის მეფემ ხალხი ბაბილონიდან, ქუთადან, ყავადან, ხამათიდან და სეფარვაიმიდან და ჩაასახლა სამარიის ქალაქებში ისრაელიანთა ნაცვლად. დაიმკვიდრეს მათ სამარია და ცხოვრობდნენ მის ქალაქებში. 25. არად აგდებდნენ იქ ცხოვრების პირველ ხანებში უფალს და უსევდა მათ უფალი ლომებს, რომლებიც მუსრს ავლებდნენ მათ. 26. უთხრეს აშურის მეფეს: ხალხმა, რომელიც შენ აჰყარე და სამარიის ქალაქებში ჩაასახლე, არ იციან იმ ქვეყნის ღმერთის ჩვეულება, ამიტომაც მიუსია მათ ლომები, რომლებიც მუსრს ავლებენ მათ, რადგან არ იციან იმ ქვეყნის ღმერთის ჩვეულება. 27. ბრძანება გასცა აშურის მეფემ: გაგზავნეთ იქ ვინმე მღვდელი, იქიდან გადმოსახლებულთაგან. წავიდეს და იცხოვროს იქ და ასწავლოს მათ იმ ქვეყნის ღმერთის ჩვეულება. 28. წავიდა ერთ მღვდელთაგანი, სამარიიდან გადასახლებული, და დაემკვიდრა ბეთელს და ასწავლიდა მათ უფლის მოწიწებას. 29. თავ-თავისი ღმერთები გააკეთა თითოეულმა ხალხმა და დადგეს გორაკთა სახლში, სამარიელებს რომ ჰქონდათ მოწყობილი, თითოეულმა ხალხმა თავ-თავის ქალაქში, სადაც ცხოვრობდნენ. 30. ბაბილონელებმა გააკეთეს სუქოთ-ბენოთი, ქუთელებმა გააკეთეს ნერგალი, ხამათელებმა გააკეთეს აშიმა, 31. ყაველებმა გააკეთეს ნიბხაზი და თართაკი. ხოლო სეფარვაიმელები ცეცხლში წვავდნენ თავიანთ შვილებს ადრამელექისა და ყანამელექისთვის—სეფარვაიმელი ღმერთებისთვის. 32. ეში-

ნოდათ უფლისაც და გაიჩინეს გორაკთა მღვდლები, რომლებიც მათთვის მსახურობდნენ გორაკთა სახლებში. 33. უფლისაც ეშინოდათ და თავიანთ ღმერთებსაც ემსახურებოდნენ იმ ხალხთა ჩვეულებით, რომელთაგანაც გადმოასახლეს ისინი. 34. დღევანდლამდე ძველი ჩვეულების თანახმად იქცევიან: უფლის არ ეშინიათ და არ მისდევენ იმ წესებს, კანონებს რჯულსა და მცნებებს უფალმა რომ დაუდგინა იაკობის შთამომავალთ, რომელთაც ისრაელი უწოდა სახელად. 35. დაუდო აღთქმა და უანდერძა: ნუ ესავთ უცხო ღმერთებს, ნუ სცემთ თაყვანს, ნუ ემსახურებით და მსხვერპლს ნუ შესწირავთ. 36. მარტოოდენ უფალს, რომელმაც დიდი ძალითა და მოღერებული მკლავით გამოგიყვანათ ეგვიპტიდან, ესავდეთ, თაყვანს სცემდეთ და მსხვერპლს სწირავდეთ. 37. მუდამდღე იცავდეთ წესებს, რჯულსა და მცნებას, რაც უფალმა დაგიწესათ, და უცხო ღმერთებს ნუ ესავთ. 38. ნუ დაივიწყებთ აღთქმას, მე რომ დაგიდევით, და უცხო ღმერთებს ნუ ესავთ. 39. მხოლოდ უფალს, თქვენს ღმერთს, ესავდეთ და ის გიხსნით მტრების ხელიდან. 40. მაგრამ არ ესმოდათ მათ და წინანდელ ჩვეულებას მისდევდნენ. 41. ეს ხალხები უფალსაც ესავდნენ და კერპებსაც სცემდნენ თაყვანს. როგორც მამები იქცეოდნენ, დღემდე ასე იქცევიან მათი შვილები და მათი შვილიშვილები.

## თავი მეთვრამეტე

1. ისრაელის მეფის, ჰოშეაყ ელას ძის მესამე წელს გამეფდა ხიზკია ახაზის ძე, იუდას მეფე. 2. ოცდახუთი წლისა იყო, როცა გამეფდა და ოცდაცხრა წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო აბი, ზაქარიას ასული. 3. სწორად იქცეოდა იგი უფლის თვალში, როგორც დავითი, მამამისი იქცეოდა. 4. მან გააუქმა გორაკები, დალეწა სვეტები, აჩეხა აშერა და დაამტვრია სპილენძის გველი, მოსეს გაკეთებული, რადგან იმ დრომდე უკმეველს უკმევდნენ მას ისრაელიანები და ნეხუშთანს უწოდებდნენ. 5. უფალს, ისრაელის ღმერთს, ესავდა იგი. არც მანამდე ყოფილა მისი მსგავსი ისრაელის მეფეთა შორის და არც მის მერე იქნება. 6. მიეწება იგი უფალს, არ განდგომია მას და იცავდა მის ნაბრძანებს, მოსეს რომ უბრძანა უფალმა. 7. უფალი იყო მასთან და, სადაც კი წავიდოდა, ყველგან გონივრულად იქცეოდა. განუდგა იგი აშურის მეფეს, აღარ დაემორჩილა. 8. მან დაამარცხა ფილისტიმელები ღაზამდე და მისი მხარე საყარაულო გოდოლიდან ციხე-ქალაქამდე. 9. მეფე ხიზკიას მეოთხე წელს, ესე იგი, ისრაელის მეფის ჰოშეაყ ელას ძის მეშვიდე წელს, წამოვიდა სამარიაზე აშურის მეფე შალმანასერი და ალყა შემოარტყა მას. 10. სამი წლის ბოლოს აიღეს იგი. ხიზკიას მეექვსე წელს, ესე იგი, ისრაელის მეფის, ჰოშეაყის მეცხრე წელს აღებული იქნა სამარია. 11. გადაასახლა აშურის მეფემ ისრაელი აშურში და დაასახლა ხალახში და ხაბორზე, გოზანის მდინარეზე, და მიდიის ქალაქებში. 12. იმის გამო, რომ არ ისმინეს უფლის, მათი ღვთის ხმა, დაარღვიეს მისი აღთქმა, ყველაფერი, რაც უბრძანა მათ მოსემ, უფლის მსახურმა. არც ისმენდნენ და არც ასრულებდნენ. 13. ხიზკიას მეთოთხმეტე წელს მიუხდა აშურის მეფე სანხერიბი იუდას ყველა ციხე-ქალაქს და ხელთ იგდო ისინი. 14. შეუთვალა იუდას მეფემ, აშურის მეფეს ლაქიშში: დამნაშავე ვარ. გაბრუნდი ჩემგან. რასაც დამაკისრებ, ვიტვირთავ. დააკისრა აშურის მეფემ ხიზკიას, იუდას მეფეს, სამასი ქანქარი ვერცხლი და ოცდაათი ქანქარი ოქრო. 15. გასცა ხიზკიამ მთელი ვერცხლი, რაც კი უფლის სახლში და მეფის სახლის საგანძურებში იპოვებოდა. 16. მაშინ ჩამოფხიკა ხიზკიამ უფლის ტაძრის კარები და სვეტები, რომ-

ლებიც თავად ხიზკიას, იუდას მეფის, მოოქროვილი იყო, და მისცა აშურის მეფეს. 17. გაგზავნა აშურის მეფემ ლაქიშიდან თართანი, რაბსარისი და რაბშაქე დიდძალი ჯარით მეფე ხიზკიასთან იერუსალიმში. წამოვიდნენ და მოვიდნენ იერუსალიმში. წამოვიდნენ, მოვიდნენ და დადგნენ ზემო ტბორის არხთან, მრეცხავთა მინდვრის გზაზე .რომ არის. 18. დაუძახეს მეფეს და გამოვიდნენ სასახლის მოურავი ელიაკიმ ხილკიაუჰუს ძე, შებნა მწერალი და იოახ ასაფის ძე, მემატიანე. 19. უთხრა მათ რაბშაკემ: უთხარით ხიზკიას: ასე ამბობს-თქო დიდი მეფე, აშურის მეფე: რისი იმედი გაქვს, ასე რომ დაიმედებულხარ? 20. ფუჭ სიტყვებს ლაპარაკობ. თათბირი და სიმამაცე უნდა ბრძოლას. შენ კი რისი იმედით განმიდექი? 21. დანდობიხარ მაგ გადამტვრეულ ლერწამს — ეგვიპტეს, რომელსაც თუ კაცი დაეყრდნობა, ხელში შეერჭობა და გაუხვრეტს. ასეთია ფარაონი, ეგვიპტის მეფე, ყველასათვის, ვისაც კი მისი იმედი აქვს. 22. რომ მეუბნებით, უფლის, ჩვენი ღმერთის იმედი გვაქვსო, ეს ის ღმერთი ხომ არ არის, რომლის გორაკები და სამსხვერპლოები ხიზკიამ გააუქმა და უთხრა იუდას და იერუსალიმს: ამ სამსხვერპლოსთან ეცით თაყვანი იერუსალიმსო? 23. ახლა მოდი და დაუზავდი ჩემს ბატონს, აშურის მეფეს. ათას ცხენს მე მოგცემ, თუ მხედრებს იშოვი მათთვის. 2. როგორ გააბრუნებ ერთ მოხელესაც კი ჩემი ბატონის უმცირეს მსახურთაგან, როცა ეგვიპტის ეტლების და ცხენების იმედზე ხარ? 25. მერედა, განა უფლის ნების გარეშე მოვადექი ამ ადგილს გასანადგურებლად? უფალმა მიბრძანა: მიუხდი მაგ ქვეყანას და გაანადგურეო. 26. მიუგეს ელიაკიმ ხილკიას ძემ, შებნამ და იოახმა რაბშაკეს: ელაპარაკე შენს მსახურს არამის ენაზე, რადგან გვესმის. იუდაურად ნუ გველაპარაკები ამ ხალხის გასაგონად გალავანზე რომ არიან. 27. უთხრა მათ რაბშაკემ: მხოლოდ შენს ბატონთან და შენთან სალაპარაკოდ როდი გამომგზავნა ჩემმა ბატონმა, არამედ მაგ ხალხთანაც, გალავანზე რომ დამსხდარა, რომ თქვენთან ერთად ჭამოს თავისი განავალი და სვას თავისი შარდი. 28. დადგა რაბშაკე და ხმამაღლა გაჰყვირა იუდაურად და თქვა: ისმინეთ სიტყვა, დიდი მეფისა, აშურის მეფისა. 29. ასე ამბობს მეფე: არ შეგაცდინოთ ხიზკიამ, რადგან ვერ გიხსნით იგი ჩემი ხელიდან. 30. ნუ გაიმედებთ ხიზკია, გვიხსნის უფალი და არ ჩაუგდებს ხელში ამ ქალაქს აშურის მეფესო. 31. ნუ დაუჯერებთ ხიზკიას, რადგან ასე ამბობს აშურის მეფე: დამიზავდით და გადმოდით ჩემს მხარეზე, ჭამოს თითოეულმა თავისი ყურძენი და ლეღვი, და სვას თავისი ჭის წყალი. 32. სანამ მოვიდოდე და წაგიყვანდეთ თქვენი ქვეყნისნაირ ქვეყანაში, პურისა და ღვინის ქვეყანაში, ყანებისა და ვენახების ქვეყანაში, ზეთისხილისა და თაფლის ქვეყანაში. იცოცხლებთ და არ დაიხოცებით. ნუ დაუჯერებთ ხიზკიას, რადგან გაცთუნებთ, რომ გეუბნებათ, უფალი გვიხსნისო. 33. როდის უხსნიათ ღმერთებს თავ-თავისი ქვეყნები აშურის მეფის ხელიდან? 34. სად არიან ხამათისა და არფადის ღმერთები? სად არიან სეფარვაიმის, ჰენაყისა და ივას ღმერთები? თუ იხსნეს სამარია ჩემი ხელიდან? 35. რომელმა ღმერთმა იხსნა ამ ქვეყნის ღმერთებს შორის თავისი ქვეყანა ჩემი ხელიდან, რომ უფალმა იხსნას იერუსალიმი ჩემი ხელიდან? 36. დუმდა ხალხი და პასუხს არ აძლევდა, რადგან მეფისგან ჰქონდათ ნაბრძანები, არ გაეცათ პასუხი. 37. მივიდნენ ელიამ ხილკიას ძე, სასახლის მოურავი, შებნა მწერალი და იოხა ასაფის ძე, მემატიანე, ხიზკიაჰუსთან შემოხეული ტანისამოსით და მოახსენეს მეფეს რაბშაკეს სიტყვები.

## თავი მეცხრამეტე

1. როცა გაიგონა ეს ხიზკიამ, ტანსაცმელი შემოიხია, ჯვალოთი შეიმოსა და უფლის სახლში მივიდა. 2. გააგზავნა ელიაკიმი, სასახლის მოურავი, შებნა მწერალი და ჯვალოთი მოსილი მღვდელმთავრები წინასწარმეტყველ ესაიასთან, ამოცის ძესთან. 3. უთხრეს: ასე ამბობს ხიზკია: გაჭირვების, სასჯელისა და შერცხვენის დღე არის ეს დღე, რადგან საშოს კარს არიან მომდგარი ბავშვები, მაგრამ არ არის შობის ძალა. 4. ვინძლო გაიგონოს უფალმა, შენმა ღმერთმა სიტყვები რაბშაკესი აშურის მეფეზ, მისმა ბატონმა რომ გამოგზავნა, რათა დაემცირებინა ცოცხალი ღმერთი და ეგინებინა სიტყვებით, რომლებიც გაიგონა უფალმა, შენმა ღმერთმა. აღავლინე ლოცვა დარჩენილთათვის, ვინც კი არიან. 5. მივიდნენ მეფე ხიზკიას მსახურნი ესაიასთან. 6. უთხრა მათ ესაიამ: ასე უთხარით თქვენს ბატონს, ასე ამბობს-თქო უფალი: ნუ გეშინიათ გაგონილი სიტყვებისა, რითაც მლანძღავენ აშურის მეფის მსახურნი. 7 მოვუვლენ სულს და გაიგებს ამბავს და თავის ქვეყანაში გაბრუნდება. მისავე ქვეყანაში მახვილით დავცემ. 8. დაბრუნდა რაბშაკე და, აჰა, ლიბნას ეომება აშურის მეფე, რადგან გაიგო რომ ლაქიშიდან დაიძრა იგი. 9. თირჰაკაზე ქუშის მეფეზეც გაიგო, უთხრეს: აჰა, შენთან საომრად გამოვიდაო. მაშინ ისევ გაუგზავნა მოციქულები ხიზკიას და დააბარა მათ. 10. ასე უთხარით ხიზკიას, იუდას მეფეს: არ შეგაცდინოს-თქო შენმა ღმერთმა, რომლის იმედიც გაქვს, რომ ფიქრობ, არ ჩავარდებაო იერუსალიმი აშურის მეფის ხელში. 11. ხომ გსმენია, რა უყო აშურის მეფემ ყველა ქვეყანას, როგორ ააოხრა ისინი. შენ რა გიხსნის? 12. აბა თუ უხსნიათ ღმერთებს თავ-თავისი ხალხი, რომლებსაც მუსრი გაავლო ჩემმა მამა-პაპამ — გოზანი, რეცეფი, ყედენიანები, თელასარში რომ არიან? 13. სად არიან ხამათის მეფე, არფადის მეფე, სეფარვაიმის, ჰენაყისა და ლივას მეფე? 14. გამოართვა ხიზკიამ წერილი მოციქულს, წაიკითხა, ავიდა უფლის სახლში და უფლის წინაშე გაშალა წერილი. 15. ილოცა ხიზკიამ უფლის წინაშე და თქვა: უფალო, ღმერთო ისრაელისა, ქერუბიმებზე ამხედრებულო! შენა ხარ ერთადერთი ღმერთი ქვეყნიერების ყველა სამეფოსი, შენი შექმნილია ცა და მიწა. 16. ყური მოაპყარ, და ისმინე, თვალი გაახილე და დაინახე, გაიგონე სანხერიბის სიტყვები, ცოცხალი ღვთის საგინებლად, რომ შემოთვალა. 17. მართალია, უფალო, მოაოხრეს აშურის მეფეებმა ხალხები და მათი ქვეყნები, 18. ცეცხლს მისცეს მათი ღმერთები და გაანადგურეს, რადგან ღმერთები კი არ ყოფილან ისინი, არამედ ხისგან და ქვისგან ადამიანის ხელით ნაკეთები საგნები იყო. 19. აწ გვიხსენ, უფალო, ღმერთო ჩვენო, მისი ხელიდან, რათა გაიგოს ქვეყნიერების ყველა სამეფომ, რომ შენ ხარ უფალი, ერთადერთი ღმერთი. 20. შეუთვალა ესაია ამოცის ძემ ხიზკიას: ასე ამბობს უფალი, ღმერთი ისრაელისა: შევიწყნარე რასაც მევედრებოდი აშურის მეფის, სანხერიბის წინააღმდეგ. 21. აჰა, სიტყვა, რომელიც უფალმა ბრძანა მის წინააღმდეგ: დაგცინის, გამასხრებს ქალწული, ასული სიონისა, თავს აქნევს შენს უკან ასული იერუსალიმისა. 22. ვის ლანძღავდი, ვის აგინებდი? ვისზე აღიმაღლე ხმა და ვისზე შემართე მედიდურად თვალი? ისრაელის წმიდაზე! 23. შენი მოციქულების პირით ლანძღავდი უფალს და ამბობდი: ჩემი უამრავი ეტლით ავედი მთის წვერზე, ლიბანის ფერდზე, გავჩეხე მაღალი ნაძვები, რჩეული ნაძვები, შევაღწიე მის უკიდურეს სამყოფელში, მის ულრან ტევრში. 24. ამოვთხარე და შევსვი უცხო წყალი, საკუთარი ფეხის ტერფებით ამოვაშრე ეგვიპტის მდინარეები. 25. ნუთუ არ გსმენია, რომ ეს ძველთაგანვე [illegible]ზადე, რომ წინარე დღეებში

ყვირტე? ახლაღა მოვაწიე, რომ ნანგრევებად ქცეულიყვნენ ციხე-ქალაქები. 26. მათი მცხოვრებნი დაძაბუნდნენ, შეშინდნენ და სირცხვილში არიან; მინდვრის ბალახივით შეიქმნენ, მწვანე ჯეჯილივით, ბანზე მოდებული ხავსივით, შელერებამდე დამშრული თავთავივით. 27. ვიცი, როგორ ზიხარ, როგორ გამოდიხარ და შედიხარ, როგორ მედიდგულებ. 28. იმის გამო, რომ გამიდიდგულდი და მოსწვდა ჩემს ყურებს შენი ამპარტავნება, ნესტოებში რგოლს გაგიყრი და პირში ლაგამს ამოგდებ, იმავე გზით დაგაბრუნებ, რომლითაც მოხვედი. 29. ეს გქონდეს სასწაულად: ამ წელიწადს ნაგერალი ჭამეთ, მეორე წელიწადს — ველურად გაზრდილი, მესამე წელიწადს თესეთ და მოიმკეთ, ჩაყარეთ ვაზი და ჭამეთ ნაყოფი. 30. კვლავ გაიდგამს ქვემოთ ფესვს იუდას სახლის გადარჩენილი ნატამალი და მაღლა გამოიღებს ნაყოფს. 31. რადგან იერუსალიმიდან გამოვა ნარჩომი და ნატამალი — სიონის მთიდან. ცაბაოთი უფლის შური აღასრულებს ამას. 32. ამიტომაც ამბობს უფალი აშურის მეფეზე: ვერ შევა ამ ქალაქში, ისარს ვერ შეისვრის, ვერ მიეჭრება ფარმომარჯვებული და მიწაყრილს წინ ვერ აღუმართავს. 33. უკან გაბრუნდება იმავე გზით, რომლითაც მოვიდა. ვერ შევა ამ ქალაქში, ამბობს უფალი. 34. მე დავიფარავ ამ ქალაქს, რომ ვიხსნა იგი ჩემთვის და დავითისთვის, ჩემი მსახურისთვის. 35. იმ ღამით იყო, რომ გავიდა უფლის ანგელოზი და მუსრი გაავლო აშურის ბანაკში ასოთხმოცდახუთი ათას კაცს, ადგნენ დილით და, აჰა, მკვდარი იყო ყველა. 36. აიყარა, წავიდა, გაბრუნდა სანხერიბი, აშურის მეფე, და ცხოვრობდა ნინევეში. 37. ერთხელაც, როცა ლოცულობდა თავისი ღმერთის, ნისროქის სახლში, მახვილით მოკლეს იგი ადრამელექმა და შარეცერმა, მისმა შვილებმა, და არარატის ქვეყანას შეაფარეს თავი. მის ნაცვლად მისი ძე, ესარხადონი გამეფდა.

## თავი მეოცე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. იმ ხანებში სასიკვდილოდ დასნეულდა ხიზკია. მივიდა მასთან ესაია ამოცის ძე, წინასწარმეტყველი, და უთხრა: ასე ამბობს უფალი: ანდერძი დაუტოვე შენს სახლს, რადგან კვდები, ვერ გადარჩები. 2. კედლისკენ მიაბრუნა პირი ხიზკიამ და შეევედრა უფალს: 3. უფალო! გაიხსენე, მტკიცედ წრფელი გულით რომ დავდიოდი შენს წინაშე. კეთილად რომ ვიქცეოდი შენს თვალში! და მწარედ ატირდა ხიზკია. 4. შიდა ეზოდან არ იყო ესაია გასული, რომ გამოეცხადა უფლის სიტყვა: 5. გაბრუნდი და უთხარი ხიზკიას, ჩემი ერის წინამძღოლს: ასე ამბობს-თქო, დავითის, მამაშენის ღმერთი: შევიწყნარე შენი ვედრება, დავინახე შენი ცრემლი და, აჰა, განგკურნავ. ზეგ წახვალ უფლის სახლში. 6. კიდევ თხუთმეტ წელიწადს შევმატებ შენს დღეებს და აშურის მეფის ხელიდან დაგიხსნით შენ და ამ ქალაქს, დავიფარავ ამ ქალაქს ჩემი გულისთვის და დავითის, ჩემი მსახურის გულისთვის. 7. თქვა ესაიამ: მოიტანეთ ლეღვის ტყლაპი. მოიტანეს და წყლულზე დაადეს, და განიკურნა. 8. უთხრა ხიზკიამ ესაიას: რა იქნება იმის სასწაულად, რომ განმკურნავს უფალი, რომ ზეგ უფლის სახლში წავალ? 9. თქვა ესაიამ: ეს იყო შენთვის სასწაულად უფლისგან, რომ აასრულებს უფალი თავის ნათქვამ სიტყვას. ათი საფეხურით წინ წავიდეს ჩრდილი თუ ათი საფეხურით დაბრუნდეს უკან? 10. თქვა ხიზკიამ: ადვილია ჩრდილისთვის ათი საფეხურით წინსვლა. არა, უკან დაბრუნდეს ჩრდილი ათი საფეხურით! 11. შესთხოვა უფალს ესაია წინასწარმეტყველმა და უკან დააბრუნა უფალმა ჩრდილი საფეხურებზე, რომლებზეც ჩამოდიოდა იგი, ახაზის საფეხურებზე, ათი საფეხურით. 12. ამ დროს გამოუგზავნა მეროდაქ-ბალადან ბალადანის ძემ, ბაბილონის მეფემ, ხიზკიას წერილები

და ძღვენი, რადგან გაგებული ჰქონდა, რომ ავად იყო ხიზკია. 13. მოუსმინა მათ ხიზკიამ და დაათვალიერებინა მთელი თავისი საგანძური: ოქრო-ვერცხლი, ნელსურნელებანი, რჩეული ზეთი, საჭურველის სახლი, ყველაფერი, რაც კი მის საუნჯეებში იპოვებოდა. ერთი ნივთიც არ დარჩენილა მის სახლში და მთელს მის სამფლობელოში, რომ არ ეჩვენებინოს მათთვის ხიზკიას. 14. მივიდა ესაია წინასწარმეტყველი მეფე ხიზკიასთან და უთხრა: რა თქვეს ამ კაცებმა და საიდან მოვიდნენ შენთან? მიუგო ხიზკიამ: შორი ქვეყნიდან მოვიდნენ, ბაბილონიდან. 15. თქვა: რა ნახეს შენს სახლში? მიუგო ხიზკიამ: ყველაფერი ნახეს, რაც სახლში მაქვს. არაფერი დარჩენილა ჩემს საუნჯეებში, რომ არ მეჩვენებინოს მათთვის. 16. უთხრა ესაიამ ხიზკიას: ისმინე უფლის სიტყვა: 17. აჰა, დადგება დრო და ყველაფერს, რაც სახლში გაქვს, და რაც შენს მამა-პაპას დღემდე მოუხვეჭავს, ბაბილონში წაიღებენ. აღარაფერი დარჩება, ამბობს უფალი. 18. წაასხამენ შენს შვილებსაც, რომელნიც შენგან გამოვლენ, რომელთაც შენ წარმოშობ, და საჭურისებად გახდიან ბაბილონის მეფის სასახლეში. 19. უთხრა ხიზკიამ ესაიას: კარგია უფლის სიტყვა, შენ რომ წარმოთქვი. თქვა: იქნება ჩემს მეფობაში მშვიდობა და სიმტკიცე. 20. ხიზკიას დანარჩენი საქმენი, ყველა მისი გმირობა, წყალსატევი რომ გააკეთა და ქალაქში წყალი გაიყვანა, იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 21. განისვენა ხიზკიამ თავის მამა-პაპასთან. მის ნაცვლად მისი ძე, მენაშე გამეფდა.

## თავი ოცდამეერთე

1. თორმეტი წლისა იყო მენაშე, როცა გამეფდა და ორმოცდაათი წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო ხეფციბა. 2. უკეთურად იქცეოდა უფლის თვალში იმ ხალხების სიბილწეთა კვალზე, რომლებიც [...]ყარა უფალმა ისრაელიანთაგან. 3. ხელახლა ააგო გორაკები, მამამისმა ხიზკიამ რომ მოსპო, სამსხვერპლოები აღუმართა ბაალს, გააკეთა აშერა, როგორც ახაბ ისრაელის მეფეს ჰქონდა გაშენებული თაყვანს სცემდა ცის ვარსკვლავებს და ემსახურებოდა მათ. 4. ააშენა სამსხვერპლოები უფლის სახლში, რაზეც ნაბრძანები ჰქონდა უფალს: იერუსალიმში დავდებო ჩემს სახელს. 5. აუშენა სამსხვერპლოები ცის მთელ ვარსკვლავეთს უფლის სახლის ორსავე ეზოში. 6. ცეცხლში ატარებდა შვილს, მკითხაობდა, მისნობდა და განაწესა სულთა გამომხმობნი და ჯადოქრები. ბევრ უკეთურობას სჩადიოდა უფლის თვალში მის განსარისხებლად. 7. გააკეთა აშერას კერპი და დადგა სახლში, რომელზეც ეუბნებოდა უფალი დავითს და მის ძეს სოლომონს: ამ სახლში და იერუსალიმში, რომელიც მე ამოვირჩიე ისრაელის ყველა შტოდან, საუკუნოდ დავამკვიდრებო ჩემს სახელს. 8. აღარ მოვაცვლევინებო ფეხს ისრაელის ამ მიწიდან რომელიც მივეცი მის მამა-პაპას. ოღონდ მოექცნენ ისე, როგორც ვუბრძანე, და თანახმად რჯულისა, ჩემმა მსახურმა მოსემ რომ დაუწესა მათ. 9. მაგრამ არ ისმინეს. აცთუნა ისინი მენაშემ და იმ ხალხებზე უფრო უკეთურად იქცეოდნენ, რომლებიც ამოწყვიტა უფალმა ისრაელიანთა გულისთვის. 10. ამბობდა უფალი თავის მსახურთა, წინასწარმეტყველთა, პირით: 11. იმის გამო, რომ ჩაიდინა მენაშემ, იუდას მეფემ, ეს სიბილწენი-გადააჭარბა უკეთურის ქმნაში ამორეველებს, მასზე წინ რომ იყვნენ, და იუდაც შეაცდინა თავისი კერპებით, 12. ამიტომაც, ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: აჰა, ისეთ ბოროტებას დავატეხ იერუსალიმს და იუდას, რომ ორთავე სასმენელნი გაუყრუვდება ამის გამგონეს. 13. სამარიის ლარს და ახაბის სახლის შვეულს

გადავჭიმავ იერუსალიმზე, პირწმინდად ამოვრეცხავ იერუსალიმს. რომგორც ჯამს ამორეცხავს კაცი, ამორეცხავს და გადმოაპირქვავებს. 14. მივატოვებ ჩემი წილხვედრილის ნარჩომს და მტრებს ჩავუგდებ ხელში, საძარცვავად და დასატაცებლად შეიქნებიან მათი მტრებისათვის, 15. რადგან უკუღმართად იქცეოდნენ ჩემს თვალში და მაჯავრებდნენ იმ დღიდან მოკიდებული, რაც მათი მამა-პაპა გამოვიდა ეგვიპტიდან, დღევანდლამდე, 16. უბრალო სისხლიც ბევრი დაღვარა მენაშემ, ისე რომ პირთამდე აავსო იერუსალიმი, გარდა იმ ცოდვისა, იუდა რომ შეაცდინა და უფლის თვალში უკუღმართი საქმე აკეთებინა. 17. მენაშეს დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გაუკეთებია, მისი ცოდვები, რაც კი შეუცოდავს, იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 18. განისვენა მენაშემ თავის მამა-პაპასთან და დაიმარხა თავისი სასახლის ბაღში, ყუზას ბაღში. მის ნაცვლად მისი ძე ამონი გამეფდა. 19. ოცდაორი წლისა იყო ამონი, როცა გამეფდა, და ორი წელი იმეფა იერუსალიმში. მისი დედა იყო მეშულემეთი, ხარუცის ასული, იატბიდან. 20. უკეთურად იქცეოდა უფლის თვალში, როგორც მამამისი მენაშე იქცეოდა. 21. ყველაფერში იმ გზას ადგა, რომლითაც მამამისი დადიოდა, და ემსახურებოდა იმ კერპებს, რომელთაც მამამისი ემსახურებოდა და თაყვანს სცემდა 22. დაივიწყებული ჰყავდა უფალი, თავისი მამა-პაპის ღმერთი, და უფლის გზით არ დადიოდა. 23. შეთქმულება მოუწყეს ამონს მისმა მსახურებმა და საკუთარ სახლში მოკლეს მეფე. 24. დახოცა ქვეყნის ხალხმა მეფე ამონის წინააღმდეგ შეთქმულნი. მის ნაცვლად მისი ძე, იოშია გაამეფა ქვეყნის ხალხმა. 25. ამონის დანარჩენი საქმენი, რაც გაუკეთებია, იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 26. დამარხეს იგი თავის სამარხში, ყუზას ბაღში და მის ნაცვლად მისი ძე, იოშია გამეფდა.

## თავი ოცდამეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. რვა წლისა იყო იოშია, როცა გამეფდა და ოცდათერთმეტი წელი იმეფა იერუსალიმში. მისი დედა იყო იედიდა, ყადაიას ასული, ბოცკათიდან. 2. სწორად იქცეოდა უფლის თვალში და ყველაფერში დავითის, მამამისის გზას მიჰყვებოდა, არც მარჯვნივ გადაუხვევია, არც მარცხნივ. 3. მეფე იოშიას მეთვრამეტე წელს გაგზავნა მეფემ უფლის სახლში შაფან მწერალი, მეშულამის ძის, აწალიას ძე, და დაიბარა: 4. ადი ხილკიასთან, მღვდელმთავართან და შეაგროვებინე უფლის სახლში შემოსული მთელი ვერცხლი, რომელიც ზღურბლის მცველებმა აკრიფეს ხალხისგან. 5. ხელში ჩააბარონ სამუშაოთა შემსრულებლებს, რომლებიც უფლის სახლში არიან განწესებულნი. ამათ კი უფლის სახლში მომუშავეებს დაურიგონ სახლის ბზარების შესაკეთებლად — 6. დურგლებს, მშენებლებს, ქვითხუროებს. იყიდონ ხე და თლილი ქვები სახლის შესაკეთებლად. 7. ოღონდ ნუ მოეთხოვებათ ჩაბარებული ვერცხლის ანგარიში, რადგან პატიოსნად იქცევიან. 8. უთხრა ხილკია მღვდელმთავარმა შაფანს და წაიკითხა მან. 9. მივიდა შაფან მწერალი მეფესთან და მოახსენა ამბავი. უთხრა: გადმოყარეს შენმა მსახურებმა უფლის სახლში ნაპოვნი ვერცხლი და ჩააბარეს სამუშაოთა შემსრულებლებს, რომლებიც უფლის სახლში არიან განწესებულნი. 10. ამცნო შაფან მწერალმა მეფეს: წიგნი მომცა ხილკია მღვდელმა. და წაუკითხა შაფანმა მეფეს. 11. როცა მოისმინა მეფემ რჯულის წიგნის სიტყვები, შემოიხია ტანსაცმელი. 12. უბრძანა მეფემ ხილკია მღვდელს, ახიკამ შაფანის ძეს, ყაქბორ მიქაიას ძეს, შაფან მწერალს და ყასიას, მეფის მსახურს: 13. წადით დაეკითხეთ უფალს ჩემზე, ერზე და მთელს იუდაზე ამ ნაპოვნი წიგნის სიტყვების გამო.

დიდია უფლის რისხვა, რომელიც აღიგზნო ჩვენს მიმართ, რადგან არ ისმინეს ჩვენმა მამებმა ამ წიგნის სიტყვები და არ შეასრულეს რაც მათთვის იყო დაწერილი. 14. მივიდნენ ხილკია მღვდელი, ახიკამი, აქბორი, შაფანი და ყასაია ხულდასთან, წინასწარმეტყველ ქალთან, რომლის ქმარი შალუმი, თიკვა ხარხასის ძის ძე, სამოსელთა მცველი იყო. ქალი იერუსალიმში, მეორე უბანში, ცხოვრობდა, და დაელაპარაკნენ მას. 15. უთხრა ქალმა: ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: უთხარით იმ კაცს, რომელმაც ჩემთან გამოგგზავნათ. 16. ასე ამბობს-თქო უფალი: აჰა, უბედურებას მოვუვლენ ამ ადგილს და მის მცხოვრებლებს, ახდება ამ წიგნის ყოველი სიტყვა, იუდას მეფეს რომ წაუკითხავს. 17. რაკი დამივიწყეს და საკმეველს უკმევდნენ უცხო ღმერთებს, რომ გავეჯავრებინე თავიანთი ხელის ნამოქმედარით, ჩემი რისხვა მოედება ამ ადგილს და არ ჩაქრება. 18. იუდას მეფეს კი, რომელმაც უფალთან სამკითხაოდ გამოგგზავნათ, ასე უთხარით: ასე ამბობს-თქო უფალი, ისრაელის ღმერთი: რაკი შეისმინე ეს სიტყვები, 19. რაკი გული აგიჩვილდა და ქედი მოიდრიკე უფლის წინაშე, როცა გაიგე, რაც დავძახე ამ ადგილს და მის მცხოვრებთ გაუდაბურება და შეჩვენება რომ ელით, შემოიხიე სამოსელი და ატირდი ჩემს წინაშე, მაშინ მეც ვისმინე შენი, ბრძანებს უფალი. 20. ამიტომაც, აჰა, წაგიყვანს შენს მამა-პაპასთან, მშვიდობით ჩახვალ შენს სამარხებში და არ იხილავენ შენი თვალები ყველა იმ უბედურებას, რაც უნდა დავატეხო იმ ადგილს. მიუტანეს მეფეს ამბავი.

## თავი ოცდამესამე

1. შეუთვალა მეფემ და შეიკრიბა მასთან იუდას მთელი უხუცესობა და იერუსალიმი. 2. ავიდა მეფე უფლის სახლში და ყველა იუდაელი, და იერუსალიმის ყველა მცხოვრებლები მასთან ერთად მღვდლები და წინასწარმეტყველნი, მთელი ერი დიდიან-პატარიანად, და ხმამაღლა წაუკითხა მათ მეფემ ყოველი სიტყვა აღთქმის წიგნისა, რომელიც უფლის სახლში იპოვეს. 3. შედგა მეფე ამაღლებულზე და დადო აღთქმა უფლის წინაშე, რომ ივლიდა უფლის კვალზე, ყურადიღებდა მის ბრძანებებს, მის გაფრთხილებებს და მის წესებს მთელი გულითა და სულით, რათა აღსრულებულიყო ამ წიგნში ჩაწერილი აღთქმის სიტყვები. მოიწონა აღთქმა მთელმა ერმა. 4. გამოატანინა მეფემ ხილკია მღვდელმთავარს, მეორე ხარისხის მღვდლებს და ზღურბლის მცველებს უფლის ტაძრიდან ბაალისთვის, აშერასათვის და ცის მთელი ვარსკვლავეთისთვის გაკეთებული ნივთები და ცეცხლს მისცა იერუსალიმს გარეთ, კედრონის ყანებში, ხოლო ნაცარი ბეთელში წაიღო. 5. გაყარა იუდას მეფეთა მიერ დაყენებული ქურუმები, რომლებიც მსხვერპლს სწირავდნენ გორაკებზე იუდას ქალაქებში და იერუსალიმის სანახებში და ბაალის, მზისა და მთვარის, ცთომილთა და ცის მთელი ვარსკვლავეთისთვის გუნდრუკის მკმეველნი. 6. გაიტანა აშერა უფლის სახლიდან იერუსალიმს გარეთ, კედრონის ხევისკენ, და დაწვა კედრონის ხევში, ნაცარტუტად აქცია და მისი ფერფლი მდაბიოართა სასაფლაოზე დაყარა. 7. დაანგრია უფლის ტაძართან მდგარი როსკიპთა სახლები, სადაც დედაკაცები კარვებს უქსოვდნენ აშერას. 8. გამოყარა იუდას ქალაქებიდან მღვდლები და წაბილწა გორაკები, სადაც აკმევდნენ ისინი გუნდრუკს, გებაყიდან ბეერშებამდე, და დაანგრია კარიბჭის გორაკები, ერთი — ქალაქის მთავრის, იესოს კარიბჭის შესასვლელთან რომ იყო, და მეორე — ქალაქის კარიბჭის ხელმარცხნივ. 9. თუმცა გორაკთა მღვდლები არ ადიოდნენ უფლის სამსხვე-

რპლოზე იერუსალიმში, მაგრამ ხმიადებს კი ჭამდნენ თავიანთ მოძმეებთან ერთად. 10. წაბილწა თოფეთი, ჰინომის ძეთა ველზე რომ იყო, რათა არავის გაეტარებინა ცეცხლში მოლოქისთვის თავისი ვაჟი ან ასული. 11. გაუშვა ცხენები, რომლებიც იუდას მეფეებს მზისთვის ჰყავდათ მიძღვნილი უფლის სახლში, შესასვლელის წინ, ჯარისკაც ნათან-მელექის პალატთან, გარეუბანში რომ არის. მზის ეტლები კი ცეცხლში დაწვა. 12. სამსხვერპლოებიც ახაზისეული სამყოფელის ბანზე, იუდას მეფეებმა რომ აღმართეს, და სამსხვერპლოები, რომლებიც აღმართა მენაშემ უფლის სახლის ორთავე ეზოში, დაანგრია მეფემ, მოაშორა იქაურობას და კედრონის ხევში ჩაყარა მათი ფერფლი. 13. წაბილწა გორაკები, იერუსალიმის გასწვრივ რომ არის, წარწყმედის მთის მარჯვნივ, რომლებიც სოლომონ ისრაელის მეფემ მოუწყო აშთორეთს, ციდონელთა სიბილწეს, ქამოშს, მოაბის სიბილწეს, და მილქომს, ყამონიანთა სისაძაგლეს. 14. დაამტვრია სვეტები და გაჩეხა მუხნარი, ადამიანის ძვლებით აავსო ის ადგილი. 15. ასევე დაანგრია ბეთელის სამსხვერპლო იერობოამ ნაბატის ძის, ისრაელის შემაცდენელის მოწყობილი გორაკი, ის სამსხვერპლოც და გორაკიც. ცეცხლს მისცა გორაკი და გააცამტვერა, დასწვა ხემხვივანიც. 16. გაიხედა იოშიამ და დაინახა სამარხები, მთაზე რომ იყო, ამოაღებინა სამარხებიდან ძვლები, სამსხვერპლოზე დააწვევინა და ამით წაბილწა იგი უფლის სიტყვისამებრ, როგორც გამოცხადებული ჰქონდა ღვთისკაცს, რომელმაც წინასწარ აუწყა ეს ამბები, 17. თქვა: ეს რა ძეგლია, აქ რომ ვხედავ? უთხრეს ქალაქის მცხოვრებლებმა: იუდადან მოსული ღვთისკაცის სამარხია, რომელმაც ეს ამბები გვიწინასწარმეტყველა, შენ რომ დაათიე ახლა ბეთელის სამსხვერპლოებს. 18. თქვა: მოასვენეთ, ნურვინ დასძრავს მის ძვლებს. ასე იხსნა მისმა ძვლებმა სამარიიდან მოსული წინასწარმეტყველის ძვლები. 19. ასევე, გორაკთა ყველა სახლი, სამარიის ქალაქებში რომ ჰქონდათ აშენებული ისრაელის მეფეებს უფლის გასარისხებლად, დაანგრია იოშიამ და ისეთივე დღე დააწია მათ, როგორც ბეთელში. 20. სამსხვერპლოებზე დაკლა გორაკთა მღვდლები, ვინც კი იქ იყო, ზედ დაწვა ადამიანის ძვლები და იერუსალიმში დაბრუნდა. 21. ასე უბრძანა მეფემ მთელს ერს: მოუმზადეთ პასექი უფალს, თქვენს ღმერთს, როგორც ამ აღთქმის წიგნში სწერია. 22. რადგან არ მომზადებულა ამგვარი პასექი არც მსაჯულთა დროიდან, რომლებიც განაგებდნენ ისრაელს, და არც ისრაელის მეფეთა და იუდას მეფეთა ხანაში. 23. მეფე იოაშის მეთვრამეტე წელს მომზადდა ეს პასექი უფლისათვის იერუსალიმში. 24. ასევე მესელთანეებიც, ჯადოქრები, თერაფიმები, კერპები და ყოველი სისაძაგლე, რაც კი გამოჩნდა იუდას ქვეყანაში და იერუსალიმში, აღმოფხვრა იოშიამ, რათა აღსრულებულიყო იმ წიგნში დაწერილი აღთქმის სიტყვები, რომელიც უფლის სახლში იპოვნა ხილკია მღვდელმა. 25. არ ყოფილა მანამდე მისი მსგავსი მეფე, რომელიც მთელი გულითა და სულით, მთელი თავისი არსებით, მოსეს რჯულის თანახმად, ყოფილიყო მოქცეული უფლისადმი. არც მის მერე გამოჩენილა მისი მსგავსი. 26. მაგრამ არ მოჰბრუნებია გული იმ წყენის გამო, რაც მენაშემ აწყენინა მას. 27. თქვა უფალმა: იუდასაც მოვიშორებ ჩემგან, როგორც ისრაელი მოვიშორე. არად ჩავაგდებ ამ ქალაქს, იერუსალიმს რომელიც ავირჩიე, იერუსალიმს და სახლს, რომელზეც ვთქვი, აქ იქნებამეთქი ჩემი სახელი. 28. იოშიას დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გაუკეთებია, იუდას მეფეთა მატიანეში ჩაწერილი. 29. მის დროს გამოვიდა ფარაონი ნექო, ეგვიპტელთა მეფე, აშურის მეფის წინაალმდეგ მდინარე ევფრატზე. გაემართა მეფე იოშია მის შესახ-

ვედრად, და მოკლა იგი ფარაონმა მეგიდოში, დანახვისთანავე. 30. წაასვენეს იგი მისმა მსახურებმა მეგიდოდან იერუსალიმში და მის სამარხში დამარხეს. გამოიყვანა ქვეყნის ხალხმა იეჰოახაზი, იოშიის ძე, სცხო ზეთი და მამამისის ნაცვლად გაამეფეს. 31. ოცდასამი წლისა იყო იეჰოახაზი, როცა გამეფდა და სამი თვე იმეფა იერუსალიმში. მისი დედა იყო ხამიტალი, იერემიას ასული, ლიბნადან. 32. უკუღმართად იქცეოდა უფლის თვალში, როგორც მისი მამა-პაპანი იქცეოდნენ. 33. დააკავა იგი ფარაონმა ნექომ რიბლაში, ხამათის ქვეყანაში, რომ იერუსალიმში არ ემეფა, და დააკისრა ქვეყანას ასი ქანქარი ვერცხლი და ერთი ქანქარი ოქრო. 34. გაამეფა ფარაონმა ნექომ ელიაკიმი, იოშიას ძე, მამამისის, იოშიას, ნაცვლად და დაარქვა სახელად იეჰოიაკიმი. ადგა იეჰოახაზი და წავიდა ეგვიპტეს და იქ მოკვდა. 35. ოქრო-ვერცხლს აძლევდა იეჰოიაკიმი ფარაონს. ოღონდ ქვეყანაზე გაანაწილა ფარაონის ბრძანებისამებრ მისაცემი ვერცხლი. ქვეყნის ხალხში თითოეულს მისი შეძლების მიხედვით დააკისრა ფარაონ ნექოსათვის მისაცემი ვერცხლი. 36. ოცდახუთი წლისა იყო იეჰოიაკიმი, როცა გამეფდა, და თერთმეტი წელი იმეფა იერუსალიმში. მისი დედა იყო ზებულა, ფედიას ასული, რუმადან. 37. უკუღმართად იქცეოდა უფლის თვალში, როგორც მისი მამა-პაპა იქცეოდა

## თავი ოცდამეოთხე

1. მის დროს გამოვიდა ნაბუქოდონოსორი, ბაბილონის მეფე, და იყო იეჰოიაკიმი მისი მსახური სამ წელიწადს. მერე კვლავ განუდგა მას. 2. მიუსევდა ხოლმე მას უფალი ქალდეველთა, არამელთა, მოაბელთა და ყამონიანთა ბრბოებს, შეუსევდა ხოლმე იუდას, რათა დაეღუპა იგი უფლის სიტყვისამებრ, როგორც ნაბრძანები ჰქონდა თავის მსახურთა — წინასწარმეტყველთა პირით. 3. უფლის ნებით ხდებოდა ეს იუდაში, [illegible] მოეშორებინა იგი, მენაშეს მიერ ჩადენილი ცოდვების გამო, 4. იმ უბრალოდ დაღვრილი სისხლის გამოც, რომლითაც აავსო იერუსალიმი, არ ინება უფალმა მისი პატიება. 5. იეჰოიაკიმის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გაუკეთებია, იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 7. მეტად აღარ გამოსულა ეგვიპტის მეფე თავისი ქვეყნიდან, რადგან დაიპყრო ბაბილონის მეფემ ყველაფერი, რაც ეგვიპტელთა მეფეს ეკუთვნოდა ეგვიპტის მდინარე ევფრატამდე. 8. თვრამეტი წლის იყო იეჰოიაქინი, როცა გამეფდა, და სამი თვე იმეფა იერუსალიმში. მისი დედა იყო ნეხუშთა, ელნათანის ასული, იერუსალიმიდან. 9. უკუღმართად იქცეოდა უფლის თვალში, ისევე როგორც მამამისი იქცეოდა. 10. ამ დროს დაიძრნენ ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მოლაშქრეები იერუსალიმისკენ და შემოადგნენ ქალაქს. 11. მოადგა ბაბილონის მეფეც ნაბუქოდონოსორი, ქალაქს, როცა მის მოლაშქრეებს ალყაში ჰყავდათ მოქცეული ქალაქი. 12. გავიდა იეჰოიაქინ იუდას მეფე ბაბილონის მეფესთან, გავიდნენ დედამისიც, მისი მსახურნიც დიდებულებიც, კარისკაცებიც, და წაიყვანა იგი ბაბილონის მეფემ მისი მეფობის მერვე წელს. 13. გაზიდა იქიდან უფლის სახლის საგანძური, დაამტვრია მთელი ოქროს ჭურჭელი, რომელიც გააკეთა სოლომონმა, ისრაელის მეფემ, უფლის ტაძარში უფლის ბრძანებისამებრ. 14. აჰყარა მთელი იერუსალიმი, ყველა დიდებული, ყველა მამაცი მებრძოლი — ათი ათასი კაცი იყო აყრილი — ყველა ხელოსანი და მშენებელი, არავინ დარჩენილა მდაბიორთა გარდა. 15. გადაასახლა იეჰოიაქინი ბაბილონს, მეფის დედაც, მეფის ცოლებიც, მისი კარისკაცებიც, ქვეყნის თავკაცნი წაასხა იერუსალიმიდან ბა-

ბილონში დასასახლებლად. 16. მეომრები — შვიდი ათასი კაცი, ხელოსნები და მშენებლები — ათასი კაცი, ყველა ვაჟკაცი, ომის შემძლე, წაასხა ბაბილონის მეფემ ბაბილონში დასასახლებლად. 17. მეფედ დასვა ბაბილონის მეფემ იეჰოიაქნის ნაცვლად მისი ბიძა, მათანია, და სახელად ციდკიაჰუ დაარქვა. 18. ოცდაერთი წლის იყო ციდკიაჰუ, როცა გამეფდა, და თერთმეტი წელი იმეფა იერუსალიმში. მისი დედა იყო ხამიტალი, იერემიას ასული, ლიბნადან. 19. უკუღმართად იქცეოდა უფლის თვალში, ისევე როგორც იეჰოიაკიმი იქცეოდა. 20. მრისხანებდა უფალი იერუსალიმზე და იუდაზე, ვიდრე საბოლოოდ არ მოიშორა ისინი თავიდან. ხოლო ციდკიაჰუ განუდგა ბაბილონის მეფეს.

## თავი ოცდამეხუთე

1. თავისი მეფობის მეცხრე წელს, მეცხრე თვის მეათე დღეს წამოვიდა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი მთელი თავისი ლაშქრითურთ იერუსალიმის წინააღმდეგ, შემოადგა მას და მიწაყრილები შემოავლო ირგვლივ. 2. ასე იყო ალყაში ქალაქი მეფე ციდკიაჰუს მეთერთმეტე წლამდე. 3. თვის მეცხრე დღეს გამძვინვარდა შიმშილი ქალაქში და არ ჰქონდა პური მდაბიო ხალხს. 4. გატყდა ქალაქი და გაიქცნენ ღამით მეომრები კარიბჭის გზით ორ კედელს შუა, სამეფო ბაღთან რომ არის. ქალაქის ირგვლივ იდგნენ ქალდეველები, ხოლო ციდკიაჰუმ მიმართა დაბლობისკენ მიმავალ გზას. 5. დაედევნა ქალდეველთა ჯარი და მიეწივნენ იერიხონის დაბლობზე. მთელი ჯარი გაეფანტა ციდკიაჰუს. 6. შეიპყრეს მეფე და მიუყვანეს ბაბილონის მეფეს რიბლაში, და მსჯავრი დასდეს. 7. თვალწინ დაუკლეს შვილები ციდკიაჰუს, ხოლო თავად მას თვალები დათხარეს, სპილენძის ბორკილები დაადეს და ბაბილონში წაიყვანეს. 8. მეხუთე თვის მეშვიდე დღეს, ესე იგი, ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მეცხრამეტე წელს მოვიდა ნებუზარდანი, ქონდაქართუხუცესი, ბაბილონის მეფის მსახური, იერუსალიმში. 9. და გადაწვა უფლის სახლი და მეფის სახლი, იერუსალიმის ყველა სახლი, ყველა დიდი სახლი ცეცხლს მისცა. 10. დაანგრია კედლები იერუსალიმის ირგვლივ ქალდეველთა ჯარმა, რომელიც ქონდაქართუხუცესს მოჰყვა. 11. ქალაქში დარჩენილი მოსახლეობა და ისინი, ვინც ბაბილონის მეფეს ჩაბარდნენ, ჭრელ ხალხთან ერთად აჰყარა ნებუზარდანმა, ქონდაქართუხუცესმა. 12. ნაწილი ქვეყნის ხალხისა მევენახეებად და მხვნელ-მთესველებად დატოვა ქონდაქართუხუცესმა. 13. სპილენძის სვეტები, უფლის სახლში რომ იდგა, კვარცხლბეკები და სპილენძის ზღვა, უფლის სახლში რომ იდგა, დალეწეს ქალდეველებმა და სპილენძი ბაბილონში გაზიდეს. 14. ქვაბები, აქანდაზები, მაშები, კოვზები, სპილენძის ყველა ჭურჭელი, ღვთისმსახურებისას რომ იყენებდნენ, გაზიდეს. 15. სასაკმევლეები და სასხურებლები, ოქროსა და ვერცხლის რაც იყო, ქონდაქართუხუცესმა წაიღო. 16. წყვილი სვეტიც, ერთი ზღვა და კვარცხლბეკები, სოლომონმა რომ დაამზადა უფლის სახლისთვის — წონა არ ჰქონდა სპილენძს, რისგანაც ეს საგნები იყო გაკეთებული. 17. თვრამეტი წყრთა იყო ერთი სვეტის სიმაღლე, ზედ სპილენძის გვირგვინი ედგა. სამი წყრთა იყო გვირგვინის სიმაღლე. ცხაური და ბროწეულები გვირგვინის გარშემო, ყველაფერი სპილენძისა იყო. ასეთივე იყო მეორე სვეტი ცხაურიანად. 18. გამოიყვანა ქონდაქართუხუცესმა მღვდელმთავარი სერაია, მეორე მღვდელი ცეფანიაჰუ და სამი ზღურბლის მცველი. 19. ქალაქიდან გამოიყვანა ერთი კარისკაცი, რომელიც მეომრებზე ზედამხედველობდა, ხუთი კაცი, მეფის პირისმხილველნი, რომელნიც ქალაქში

იმყოფებოდნენ, ლაშქრის მთავარი მწერალი, რომელიც იწვევდა ჯარში ქვეყნის ხალხს, და ექვსასი კაცი ქვეყნის ხალხიდან, რომლებიც ქალაქში იმყოფებოდნენ. **20.** წაიყვანა ისინი ნებუზარდანმა, ქონდაქართუხუცესმა, და მიჰგვარა ბაბილონის მეფეს რიბლაში. **21.** დაჰკრა მათ ბაბილონის მეფემ და დაახოცინა რიბლაში, ხამათის მხარეში. ასე აჰყარა იუდა თავისი ქვეყნიდან. **22.** იუდას ქვეყანაში დარჩენილ ხალხს კი, რომელიც დატოვა იქ ნაბუქოდონოსორმა ბაბილონის მეფემ, უფროსად მიუჩინა გედალიაჰუ, ძე ახიკამისა, შაფანის ძისა. **23.** გაიგეს ჯარის სარდლებმა და მათმა ხალხმა, რომ გედალიაჰუ დანიშნა უფროსად ბაბილონის მეფემ, და ეახლნენ გედალიაჰუს მიცფაში. ესენი იყვნენ: ისმაელ ნეთანიას ძე, იონათან კარეახის ძე, სერაია თანხუმეთის ძე, ნეტაფოთიდან, იაზანიაჰუ მაყაქათელის ძე და მათი ხალხი. **24.** შეჰფიცა გედალიაჰუმ მათ და მათ ხალხს და უთხრა: ნუ გეშინიათ ქალდეველთა მორჩილებისა, დასახლდით ქვეყანაში, დაემორჩილეთ ბაბილონის მეფეს და კარგი იქნება თქვენთვის. **25.** მეშვიდე თვეს მოვიდა ისმაელი, ძე ნეთანიასი, ელიშამაყის ძისა, მეფეთა თვისი, ათი კაცითურთ, და მოკლა გედალიაჰუ და ამოხოცა იუდაელები და ქალდეველები, ვინც მიცფაში ახლდნენ მას. **26.** ადგა მთელი ხალხი დიდიან-პატარიანად და მხედართმთავრები, და ეგვიპტეში გადიხვეწნენ ქალდეველების შიშით. **27.** იუდას მეფის, იეჰოაქინის გადასახლებიდან ოცდაშვიდი წლის თავზე, მეთორმეტე თვეს, თვის ოცდამეშვიდე დღეს, ევილ-მეროდახმა, ბაბილონის მეფემ, თავისი გამეფების წელს საპყრობილედან იპატივა იეჰოიაქინი, იუდას მეფე. **28.** კეთილად ელაპარაკა და დაუდგა ტახტი იმ მეფეთა ტახტზე მაღლა, რომლებიც ბაბილონში ჰყავდა მას. **29.** გამოუცვალა საპყრობილის ტანისამოსი და მის წინ ჭამდა იგი პურს მთელი სიცოცხლე. **30.** სამუდამო იყო მისი სარჩო და ეძლეოდა მეფისაგან ყოველდღიურად მთელი სიცოცხლე.

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გეგეშიძე

# სისხლის წვიმები

რომანი

6.

მატარებელი სალამო ხანს ჩავიდა თბილისში. უკვე ნავთლუღიდან გამოჩნდა ქალაქის ციმციმებული სინათლეები. მგზავრობით დაღლილი და თავმობეზრებული ბიძინა ჩამოშვებულ ფანჯარასთან იდგა და არსენალის სერზე ნელა მიმავალი მატარებლის ფერხთით გაშლილ სივრცეს გასცქეროდა, სალამოს თალხით შებინდულ ქუჩებს და ქუჩაბანდებს, სადაც ხან გამვლელს მოჰკრავდა თვალს, ხან ეტლს, ხან ავტოს, ხოლო დახუთულ ვაგონში ხუთდღიანი მოგზაურობის დასრულებით კმაყოფილი და ახმაურებული მგზავრები თაროებიდან ბარგს ილებდნენ, წინასწარ ემზადებოდნენ ჩასასვლელად, ტალანში და ტამბურში ჯგუფდებოდნენ. მხოლოდ ერთი კაცი იჯდა თავის ადგილზე, გულზე ხელებდაკრეფილი. ისიც ფანჯარაში იხედებოდა, ოღონდ საპირისპირო მხარეს, საითაც ღარიბი ქოხმახები და რკინიგზისკენ დაქანებული გამომშრალი ღარტაფები გაიელვებდნენ ხოლმე. ეს კაცი მოსკოვიდან მოდიოდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ცდილობდა არავის გამოლაპარაკებოდა. ის იყო გამხდარი, ღაწვებჩაცვენილი მამაკაცი, ფართო შუბლიანი, თმაგათხელებული და სრულიად გაჭაღარავებული, თუმცა მაინც ეტყობოდა, რომ არც ისე ბებერი იყო. როცა ბიძინა პირველად გამოელაპარაკა, უთხრა, თბილისელი კაცი ვარ, ლექსო ივანიძე, დიდი ხანია სამშობლოში არა ვყოფილვარო. ბიძინამაც მოკლედ უამბო თავისი თავგადასავალი, რადგან ყველა ცნობილი უახლოესი მეგობარი ეგონა და მყისვე გულს გადაუშლიდა ხოლმე.

— ააშენებს ღმერთი ჩვენებურ კაცს, ისე იქ მაცხოვრებელმა ჩვენიანმა მიშველა, გიორგი ყანჩელმა, თორემ შავად იყო ჩემი საქმე.

— მაშ, ის კაცი, მოსკოვის სადგურზე რომ გაცილებდა, გიორგი ყანჩელი იყო? — უცნაურად გაიღიმა ლექსო ივანიძემ.

— იცნობთ თუ?

— ვიცნობდი!

— ძალიან კარგი კაცია.

— კი.

ბაქოს რომ გამოცდნენ, ტამბურში ერთად გავიდნენ თამბაქოს მოსაწევად და ისევ გააბეს ბაასი. გადასახლებიდან ვბრუნდები, ათი წელი თეთრი ზღვის კუნძულზე, სოლოვკების ბანაკში გავატარეო, უთხრა ამჯერად ლექსო ივანიძემ.

ამასობაში, მატარებელი სადგურში

---

გაგრძელება. იხ. მნ. № 1.

გაჩერდა. უკანასკნელად ჩაირახრახეს ბორბლებმა და მუხრუჭებმა და ერთბაშად ჩამოვარდნილ სიჩუმეში მკვეთრად შემოიჭრა აღელვებული ხალხის ჩოჩქოლი. ყველა ერთად მიაწყდა გასასვლელს, პერონიდან ქურთი მებარგულების ყვირილი ისმოდა: „ნასილშჩიკ, ნასილშჩიკ, მუშა, მუშა!" ბაქნის სვეტისთავის დაჭრელებულ სამერხულზე გაკრულ ფირნიშზე მოჩანდა მსხვილი ასოებით გამოყვანილი წარწერა „თბილისი", რომელიც ისე აღიქმებოდა, ვით იდუმალი თვითმყოფი რაობა და არა როგორც ადგილის აღმნიშვნელი ნიშანი. ბიძინა ლექსოს მიუბრუნდა.

— არ ჩავიდეთ, ბატონო?

— ჩავიდეთ!

ბარგი არცერთს არ ამძიმებდა, თუ არ ჩავთვლით ჩვეულებრივი ბაწრით თავმოკრულ პატარა ტომარას, რომელიც ლექსომ იღლიაში ამოიდო. ჩარდახგადმოხურულ ბაქანზე უხერხულად მიაბიჯებდნენ და მოსაცდელი დარბაზის შესასვლელთან შეჩერდნენ უზარმაზარი მრგვალი საათის ქვეშ, რომლის გრძელი, შავი ისრები შესამჩნევი ბიძგებით მოძრაობდნენ.

— მე აქ დავრჩები, — თქვა ლექსომ, — დილით გავალ ქალაქში.

— რატომ კაცო?

— ამაღამ ვის მივადგე, განა ვინმე მელოდება?

— არც მე მელოდებიან, თორემ ბიძაჩემთან მიგიყვანდი!..

— არა, გენაცვალე, შენ შენს საქმეს მიხედე, კარგად იყავი!

— ძალიან გული მწყდება, რომ ვერ გეხმარები.

— რა უნდა დამეხმარო, — დამცინავად გაეცინა ლექსოს, — ეხლა ისეთი დრო არ არის, რომ კაცი კაცს დაეხმაროს.

— მაშინ, რომ მოეწყობი შევხვდეთ ერთმანეთს, მახარაძის ოცდაცხრაში მიკითხე, ბიძაჩემი დიდი კაცია, ეგებ, რამეში გამოგადეს!

— კარგი, ბატონო.

— ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და დასცილდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსო მოსაცდელ დარბაზში შევიდა. მან იცოდა, რომ არც ეს იყო უსაფრთხო ადგილი. ნებისმიერ მილიციელს შეეძლო პასპორტი მოეთხოვა და თუ თვალში არ მოეწონებოდი ვირის აბანოში გიკრავდა თავს. მაგრამ აქ იმდენი ხალხი ირეოდა, ისეთი გუგუნი იდგა თამბაქოს ბოლით გამოვსებულ სივრცეში, თითქოს გიგანტური სკა იყო აზუზუნებული, სადაც ვერავის გამოარჩევდი. თავისუფალი ადგილი მონახა, დაჯდა, ტომარა გვერდით ამოიდო და უზარმაზარ ფანჯარას გახედა. თანდათან უფრო მკვრივდებოდა ბინდი, ფანჯარას მტრედისფერი ფარდა აეკრა. თავი ბედნიერად იგრძნო და გაუკვირდა. თითქოს სულ გაქრა, წაიშალა ის წლები და განცდები ამდენი ხნის განმავლობაში სამშობლოს რომ აშორებდა და აწამებდა. განვლილ ტანჯვას, სიდუხჭირეს და შეურაცხყოფას, გამომძიებელთა სისასტიკეს, ზედამხედველთა პირუტყვულ სიჩლუნგეს ციხის ცივ საკნებს, ვირთხებით სავსე სოროებს, ბანაკების ყინვას და შიმშილს, ქანცგამწყვეტ შრომას, ავადმყოფობას, შიშს და სასოწარკვეთილებას, მწირი, ხრიოკი მიწის სიხისტეს, ფერდაკარგულ, გახუნებულ ცის და ცივი, პირქუში ზღვის სიუცხოვეს დავიწყების ბნელი სუდარა გადაეფარა, თითქოს უკუნეთში შთაინთქა ერთბაშად მთელი ის სიავე საწუთროსი ძლივს-ძლივობით რომ გადაიტანა და ახლა ისევ აქ იყო, მშობლიურ გარემოში, სადაც ესმოდა მშობლიური ენა, ვით ღვთაებრივი გალობა ციდან, ესოდენ სანდო, საყვარელი, განუყოფელი მის არსებასთან, მთელ სამყაროსთან, ბუნებასთან, ღმერთთან დამაკავშირებელი და თავად ღმერთი, მისი გამოვლენა, გამომჟღავნება, გამოსხივება, მისი აჟღერება, და თუმცა კარგად უწყოდა რამდენი განსაცდელი ელოდა წინ, რამდენი წვალება, უსამართლობა, თანამოძმეთა გულგრილო-

ბა და უკეთურება, — მაინც სამშობლო ყოველივე ამაზე მაღლა იდგა, როგორც სიმაღლე ვერმიღწეული და ბედნიერად გრძნობდა თავს. ათასი რამ ჰქონდა მოსაგვარებელი და გადასალახავი, რომ ეცხოვრა და გაეძლო. ეს არ იყო ადვილი საქმე. ხვალ გადასახლებიდან ამხანაგების მიერ გამოტანებული წერილები უნდა დაერიგებინა მათი ჭირისუფლებისათვის და ეს ისე უნდა მოეხერხებინა, რომ ვინმეს ყურადღება არ მიექცია. დის ოჯახი უნდა მოენახულებინა, მერე თავშესაფარი უნდა ეძებნა და ყოველდღიური საარსებო სარჩოც გამოენახა. იცოდა ბევრ წინააღმდეგობას და დაბრკოლებას წააწყდებოდა, ცხადია, ჩეკა არ მოასვენებდა, ბევრ ვერაგ და უბირ ადამიანს გადაეყრებოდა თანამოძმეთა შორის, რომელნიც არ დაინდობდნენ, ყველანაირად გაუმწარებდნენ სიცოცხლეს, ეცდებოდნენ ზიანი მიეყენებინათ მისთვის, მაგრამ მაინც ბედნიერი იყო შინ რომ დაბრუნდა, რადგან სამშობლო თავისთავად იყო იმედი.

დახუთულ დარბაზში დახლართულ ტალღებად ტრიალებდა თამბაქოს ბოლი. ლექსომ ჯიბიდან დაჭმუჭნული პაპიროსის კოლოფი ამოიღო, პაპიროსს მოუკიდა და გააბოლა. ზღაპარში ეგონა თავი, რომ ისევ აქ იყო, როგორღაც თბილისამდე რომ ჩამოაღწია და უცებ ბიძინა ნიგურიანი მოაგონდა. ნუთუ მართლა გიორგი ყანჩელმა გამოაცილა იგი მოსკოვიდან? ნუთუ მართლა გიორგი იყო ის კოხტად ჩაცმული მამაკაცი, ვაგონის კიბესთან რომ იდგა? ეჭვებმა ისევ დაიწყეს ბორგვა. დიდი ხანია ყველაფერს ეჭვით უცქეროდა, არავის და არაფერს არ ენდობოდა და ინანა იმ ახალგაზრდა ნიგურიანს საიდუმლო რომ გაუმხილა, თუმცა რა საიდუმლო ეს იყო, განა მართლა გადასახლებიდან არ ბრუნდებოდა? მაინც არ იყო საჭირო ამის თქმა, კაი ბიჭი კი ჩანს, მაგრამ ვინ იცის, ვინ არის, რა დავალებას ასრულებს?..

ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ბიძინა ამ დროს სადგურის ქუჩაზე მიაბიჯებდა. ტრამვაის ფული არა ჰქონდა, მაგრამ ხუთი დღე ვიწრო ვაგონში მუხლგაუმართავად ნაჯდომს ფეხით გავლა ისედაც ეამებოდა. კარგა ხანია ამ ქალაქის ქუჩებში არ გაევლო და ახლა ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ისევ ქიმიური ტექნიკუმის სტუდენტი იყო, ხანმოკლე არდადეგებიდან ქალქში დაბრუნებული. მერე მარცხნივ, ცარიელ ქუჩაზე შეუხვია, აქეთ გამვლელები იშვიათდ ხვდებოდა, სამაგიეროდ, ზოგიერთი დაბალი სახლების და ეზოების ჭიშკრებწინ, სიცხით შეწუხებული, შილიფად ჩაცმული მოქალაქენი შინიდან გამოტანილ სკამებზე ისხდნენ და ერთმანეთს ემასლაათებოდნენ. ქუჩა ვიწრო იყო, ტროტუარის პირას, ქუჩის გარდიგარდმო დარგული ხეების გრძელი ტოტები ერთმანეთს ეხლართებოდნენ და ქმნიდნენ გრძელ და ბნელ გვირაბს, სადაც ველარ ატანდა ძალაგამოცლილი ცის ნათელი, თუმცა განათებული ფანჯრებიდან გადმოღვრილი შუქი გრძელ ზოლებად იწვა ქვაფენილზე. უეცრად ბიძინას მოაგონა, რომ ოდესღაც ამ ქუჩაზე ცხოვრობდა მისი მეგობარი მიშა გედევანიშვილი, რომლის აღარც ასავალი იცოდა და აღარც დასავალი, მაგრამ რაკი ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს არაფერი შეცვლილიყო, თუმცა კარგად უწყოდა, რომ ყველაფერი შეცვლილი იყო, მოუნდა მის ოჯახში მისვლა, მისი ამბის გაგება, მისი დისა და დედის მონახულება.

გარეგნულად მართლაც არაფერი იყო შეცვლილი, სახლი ისევ იქ იდგა და ისევ ისე გამოიყურებოდა. ერთ ადგილზე ბათქაშჩამონგრეული კედელი ფანჯრის ლავგარდანზე დაკრული თუნუქი, სახურავის თაღქვეშ გამოკვეთილი ციფრი „1901 წ.“. ალბათ ამ სახლის აშენების თარიღი, სახლი

ისევ ისე იდგა, მაგრამ უცებ ბიძინამ გაიაზრა, რომ მიშა აღარ დახვდებოდა აქ და მთელი სიცხადით შეიგრძნო, რომ დრო, ეს უჩინარი რაობა, შემცველი დიდი და მცირე კატაკლიზმებისა, უამრავი აწ სამუდამოდ წაშლილი ამბებისა და მოვლენებისა, რომელთა კვალი აღარსად ჩანდა, მაგრამ უხილავად არსებობდა და ცვლიდა გარემოს სულს, თავისებურად აყალიბებდა, სხვა ელფერს ანიჭებდა, სხვა შინაარსს სძენდა ამწუთიერ მყოფობას, — თავაწყვეტილი მიექანებოდა უსასრულობის ბნელ უფსკრულში და თან მიათრევდა ნივთიერ სამყაროს, რომელიც ერთი შეხედვით, დროის რაღაც მონაკვეთში, ესოდენ ურყევი და მთლიანი ჩანდა. ამ ულმობელი სრბოლის მონაქროლი წამით შეეხო ბიძინას სულს, დააბნია და გააკვირვა იგი, მაგრამ მისთვის უცნაურმა, უჩვეულო შეგრძნებამ მყისვე გადაუარა, რადგან ბევრი ფიქრი ბიძინას არ უყვარდა. სადარბაზოში შეაბიჯა. იქვე მდგარმა ორმა ახალგაზრდა კაცმა, ერთმანეთს რომ ელაპარაკებოდნენ, — ერთი გაშლილი ხელით კედელს მიჰყრდნობოდა, მეორეთი დოინჯი შემოეყარა, — თვალი გააყოლეს მას. ბიძინამ კიბეები მოათავა და მიშას ბინის შუშიან კარებთან შეჩერდა. ერთერთი ახალგაზრდა იმ ორიდან უეცრად დერეფანში გამოჩნდა პირში პაპიროსგაჩრილი და ასანთი თხოვა, ბიძინამ მოაკიდებინა. როცა ახლგაზრდა დერეფნის ბოლოსკენ გაემართა, კარზე დააკაკუნა.

კარი გაიღო. მიშას და გაოცებული სახით უყურებდა უცხო სტუმარს.

— ვინ გნებავთ?

— მე მიშას მეგობარი ვარ, ვერ მიცანით?

— მიშას მეგობარი?

— დიახ, ბიძინა ნიგურიანი. ტექნიკუმში ერთად ვსწავლობდით...

— ა, ჰო, — იცნო ქალმა, — მობრძანდით!

ისევ ისეთივე წესრიგი, ისეთივე სისუფთავე დახვდა ბიძინას აქ. იატაკს ახლაც მასტიკის სუნი ასდიოდა. ეს წესრიგი და გარკვეულობა ყოველთვის აბნევდა დაუდევრობას შეჩვეულ ბიძინას და იგი ახლაც აიწურა. სასადილო მაგიდასთან სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილი იჯდა, რომელსაც მოკლედ შეკრეჭილი თმა ყურის ბიბილოსაც ვერ უფარავდა. წინ გადაშლილი წიგნი და რვეული ედო.

— ეს ქალიშვილი ქეთო სამხარაძეა, ჩვენი ყოფილი მეზობლის ტიტიკო სამხარაძის ასული, ხომ გახსოვთ ტიტიკო?

— როგორ არა! ძალიან გაზრდილხართ, მე სულ პატარა მახსოვხართ! — გაუღიმა ბიძინამ იჭვნეული მზერით გამომხედვარ ქეთოს, ბიძინას გამოწვდილ ხელს უხალისოდ რომ შეაგება თავისი. მერე ბიძინა მასპინძლის შეთავაზებულ სკამზე დაჯდა.

— რასა იქმთ, სადა მუშაობთ? — შეეკითხა მასპინძელი და თვითონაც დაჯდა თმაში ჭაღარა შეჰპარვოდა, თვალებთან ოდნავ შესამჩნევი ნაოჭები გასჩენოდა. ნაცრისფერი სადა კაბა ეცვა. ეტყობა, უკვე სათვალესაც ხმარობდა, რადგან მაგიდაზე გაშლილ წიგნებსა და რვეულებს შორის სათვალეც იდო.

— რუსეთში ვიყავი, დღეს ჩამოვედი. თქვენ როგორ ბრძანდებით?

— ჩვენ არა გვიშავს.

— დედათქვენი როგორ ბრძანდება?

— დედაჩემი სამი წლის წინ გარდაიცვალა.

— აჰ:, რას ბრძანებთ?! — შეწუხდა ბიძინა და ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო. ქეთო ადგა, პატარა მაგიდასთან მივიდა იქიდან საფერფლე აიღო და ბიძინას მიართვა. მის წინ დადგმულ საფერფლეში ბიძინამ დამწვარი ასანთის ღერი ჩააგდო.

— მიშასი ხომ არაფერი ისმის? — იკითხა მან.

— მიშა გერმანიაში ყოფილა. იქ უნახავთ. ამბობენ, კარგად არისო, კარგად მოეწყოო...

— კიდევ კარგი...

სიჩუმე ჩამოვარდა. ამ ოჯახში ბიძინა ყოველთვის უხერხულობას განიცდიდა. შენს ჰკუაზე ვერ მოიქცეოდი, შეუმჩნეველი ცივი მზერა თითქოს წონიდა და აფასებდა შენს საქციელს და ფრთებს კვეცავდა შენს ხალისს. თითქოს აქ ყველაფერი წინასწარ დადგენილი და განსაზღვრული ჰქონდათ, წინასწარ მოწესრიგებული და დაკანონებული. ბიძინას მოაგონდა, რომ მიშა შინ პაპიროსს არასოდეს ეწეოდა. ნახევრამდე მიყვანილი პაპიროსი პირიდან გამოიღო, საფერფლეში ჩასრისა და ხელი გაიქნია მაგიდის ზემოთ დაგროვილი ბოლის გასაფანტავად.

— აჰ, ბოდიშს ვიხდი, გავბოლე იქაურობა.

— არა უშავს. თქვენ ეს მითხარით, რუსეთში რას აკეთებდით?

— წყალტუბოს კოლონიიდან გავიქეცი, უბილეთოდ მგზავრობისათვის დამიჭირეს და ექვსი თვე მომისაჯეს, ეს სამართალია?

მიშას დამ უნებურად კარისკენ გაიხედა და ღია ფანჯარასაც მოავლო თვალი. ბიძინა მიხვდა რაც გაიფიქრა მან, მაგრამ აინუნშიც არ ჩაუგდია. ანგარიშს არ უწევდა თავის ბოხ ხმას და ხმამაღლა ლაპარაკის ჩვევას. დარწმუნებული იყო მესამე სართულზე ნალაპარაკევი ქუჩამდე ვერ ჩააღწევდა.

— თუ აქედან გაიქეცით, ისევ აქ რატომღა დაბრუნდით? — შიშნარევი ხმით, თითქმის ჩურჩულით შეეკითხა მასპინძელი.

— იქაც დაჭერა მემუქრებოდა და ახლა აქეთ გამოვიქეცი!

— მერე?

— მერე ვნახოთ. რაღაცას მოვახერხებ, ჯერჯერობით დავრბივარ აქეთ-იქეთ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ვითარება ისე დაიძაბა, რომ ეს ბიძინამაც იგრძნო. აშკარა იყო, ძალიან შეაშინა ქალები, უფრო სწორედ, მიშას და, რომლის სახელი არაფრით არ აგონდებოდა და ესეც უხერხულობის განცდას აძლიერებდა.

— თქვენ ისევ იქ მუშაობთ? — შეკითხვა მასპინძელი.

— არა. მიშა რომ გაიქცა, სამსახურიდან დამითხოვეს, ახლა გერმანულის კერძო გაკვეთილებით გამაქვს თავი. აი, ქეთოსაც ვასწავლი...

— როგორ ბრძანდება დედათქვენი, ქალბატონი მათიკო? — მიუბრუნდა ბიძინა ქეთოს.

— დედამისი გათხოვდა, ესენი აქ აღარ ცხოვრობენ, — უპასუხა მიშას დამ, ხოლო ქეთო მკვეთრად წამოდგა სკამიდან, გაღიზიანებული ღია ფანჯარასთან მივიდა და რაფაზე ჩამომჯდარმა ქუჩაში ცქერა დაიწყო.

ქუჩაში უკვე სულ ბნელოდა, ისმოდა გამვლელთა ფეხის ხმა მერე ისევ ჩამოყუდროვდებოდა ყველაფერი. ბავშვობიდან შეჩეული იყო ამ ქუჩას და ამ გარემოს, მაგრამ კარგა ხანია შეიძულა აქაურობა. თვითონაც არ იცოდა რატომ მოდიოდა ელიზასთან გერმანულის სასწავლად, რა თავში იხლიდა ამ ენის ცოდნას, რაში დასჭირდებოდა ან სად გამოადგებოდა? საღამოობით, ამ პატარა დახუთულ ოთახში, — ძველი ბინის გაყიდვის შემდეგ რომ ერგო დედისა და მამიანცვლისგან, — გული არ უჩერდებოდა, სამუშაოს შემდეგ შინ დაბრუნებულს ისევ გარეთ ყოფნა უნდოდა; მთელი დღე გახურებული უთოებისგან დამხუთულ სამკერვალოში ვიწრო ტაბურეტზე ნაჯდომს, სადაც საკერავი მანქანების მონოტონური თუხთუხი რაღაც უცნაური რკინის მწერების განუწყვეტლივ ჭრიალს ემსგავსებოდა, — კვლავ ოთხკედელში ყოფნა აღარ შეეძლო და რატომღაც, როგორც დამნაშავე თავის დანაშაულის ადგილზე, ისევ აქ ბრუნდებოდა. დანაშაული არავის წინაშე არ მიუძღოდა, მაგრამ მაინც იზიდავდა ეს დაწყევლილი სახლი, სადაც დაიმსხვრა და სამუდამოდ დასამარდა მისი უზრუნველი ბავშვობა, თავზარდამცემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელდა, იმ შორეულ ბავშვობაში რომ განიცადა, როცა ჩეკისტები მათი ბინის გასაჩხრეკად მოვიდნენ და დაპატიმრებული დედამისი გარეთ გამოფენილ მეზობლების თვალწინ რკინის ჭრიალა კიბეებით ეზოში ჩაიყვანეს, — ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მის სულში. დედის დაპატიმრება მამის სიკვდილს დაემთხვა, მალე დიდედასაც დამბლა დაეცა, და თითქმის ერთ წამში, ერთ თვალის დახამხამებაში დაიქცა მისი ოჯახი, შეჩვეული თავშესაფარი, საარსებო ბუდე. უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები დეიდამ და ბიძამ წაიყვანეს და შეიფარეს, მაგრამ იმათ თავიანთი უბედურება აწუხებდათ, ერთადერთი ვაჟი, ოცდახუთი წლის ლადო, მეტეხის ციხეში იჯდა სიკვდილმისჯილთა საკანში. ამ ჭაბუკს, არსენალის სამხედრო საწყობის ექსპედიტორს, ოცდაოთხი წლის აჯანყებაში მონაწილეობა ბრალდებოდა, თითქოს ქართველ გენერალთა და ოფიცერთა იმ ჯგუფს, ჯერ კიდევ აჯანყების დაწყებამდე რომ დახვრიტეს ბოლშევიკებმა, სამხედრო ამუნიცია და იარაღი გადასცა. ლადოს მამა სანდრო ჯორჯაძე ახალგაზრდობაში ბოლშევიკ აბელ ენუქიძესთან მეგობრობდა, რომელიც ახლა დიდი კაცი იყო კრემლში. ორჯერ ჩავიდა სანდრო აბელთან მოსკოვში, რომ ლადოსთვის დახვრეტა გადასახლებით შეეცვალათ, თუნდაც მუდმივი გადასახლებით, თუმცა ლადოს შინ ახალგაზრდა ცოლი და ჩვილი ბავშვი ელოდებოდა, მაგრამ ოღონდ არ მოეკლათ, ძალლივით არ მიეხვრიტათ სადღაც სოლანლუღის ან საბურთალოს სანახებში, და მშობლები ყველაფერზე თანახმა იყვნენ. ყოველდღე მიდიოდნენ მეტეხის ციხესთან ლადოს დედა ბაბო, ცოლი ბავშვით და მაშინ ჯერ კიდევ პატარა ქეთო, ქუჩიდან ელაპარაკებოდნენ მაღლა, ციხის გისოსებიან სარკმელთან ატუზულ ლადოს, მერე შინ ბრუნდებოდნენ ქალაქის მეორე ბოლოში, დიდუბის უბანში აცრემლებულნი, დაღლილნი, გასავათებულნი, გულაღრენილნი, ტახტებზე მიეყრებოდნენ და ოჯახის საზრუნავი ქეთოს სუსტ მხრებზე გადადიოდა, ყოველგვარ შავ სამუშაოს ის ასრულებდა, ბავშვის მოვლით და ჩასვრილი სახვევების რეცხვით დაწყებული, სამზარეულოს იატაკისა, ჭუჭყიანი ქვაბებისა და გაქონილი ჯამ-ჭურჭლის ხეხვით დამთავრებული. ქეთოს დეიდა კომერციული სასწავლებლის ბუფეტში მუშაობდა, მუდამ აფორიაქებული ბიძა შინ გვიან ბრუნდებოდა, გულმოკლული რძალი გულს ვერაფერს უდებდა და პატარა ქეთო იყო ამ ოჯახის ტალკვესი. ბოლოს მოსკოვიდან მოწყალება მოვიდა, დახვრეტა ყაზახეთში ათი წლის გადასახლებით შეუცვალეს ლადოს...

(ათი წელი გადასახლებაში გაატარა და სასჯელის ვადა რომ მოიხადა, შინ დეპეშა გამოგზავნა: ათში გამანთავისუფლეს, ოცდახუთში თბილისში მელოდეთო. ოჯახის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა მაგრამ ორი დღის შემდეგ მეორე დეპეშა მოვიდა: ათ რიცხვში ლადო ჯორჯაძეს ქუჩაში მანქანა დაეჯახა და ადგილზევე დაიღუპაო, ჩამობრძანდით და ცხედარი წაასვენეთო. არავინ იცოდა მანქანა დაეჯახა თუ დააჯახეს, სანდრომ და კიდევ ერთმა ნათესავმა ცხედარი შორეული ყაზახეთიდან თბილისში ჩამოასვენეს და კუკიაზე დაკრძალეს, მალე ლადოს მშვენიერი ცოლი, ათი წელი რომ ელოდა ქმარს, გათხოვდა, ოჯახი დაინგრა, დაიშალა, გაჩანაგდა, მაგრამ ყოველივე ეს მოხდა მერე, მანამდე კი...)

...ქეთო სწავლას ძლივს ახერხებდა, სკოლიდან დაბრუნებულს იმდენი საოჯახო საზრუნავი ატყდებოდა თავს. ასეთ ყოფაში სამი წელი გავიდა და მათიკოც გაანთავისუფლეს ციხიდან. მან ბავშვები წაიყვანა და ძველ ბინაში დაბრუნდა. სწორედ მაშინ გამოჩნდა ისევ ბესო ჭელიძე, ოჯახის ნათესავი თუ მეგობარი კაცი, ნაადრევად დაქვრივებული. ყველამ იცოდა, რომ ოდესღაც ბესოს მათიკო უყვარდა, ქეთო-

საც ჰქონდა ეს გაგებული და ამ კაცის სტუმრობა არ სიამოვნებდა, არც მისი საჩუქრები უხარებდა გულს, რადგან მშვენივრად ატყობდა, ამ კაცს ობოლი ბავშვები კი არ ებრალებოდა თვითონ სამი ობლის პატრონს, არამედ მათი დედა აინტერესებდა, იმას უმიზნებდა, იმის გულს ინადირებდა. ამას რომ გრძნობდა, იმიტომაც აითვალისწუნა, მეტოქეს რომ ხედავდა, იმიტომაც გაიუცხოვა, მაგრამ მაინც შეეჩვია მის არსებობას, მის ხშირ სტუმრობას და ერთხელ, ოდნავ ნასვამი რომ მოვიდა და შინ არავინ დახვდა თვითონ ქეთოს გარდა, უსიტყვოდ შემოუშვა, მერე ტახტზე წამოწვა და წიგნის კითხვა განაგრძო. ქეთო მაშინ თოთხმეტი წლისა იყო და უკვე ბევრი რამ ჰქონდა გაგებული ქალებისა და კაცების ურთიერთობის შესახებ. ამიტომ მყისვე უნდა მიმხვდარიყო მის გვერდით ჩამომჯდარი, თვალებამღვრეული და სახეარეული მამაკაცის განზრახვას, თმაზე რომ უსვამდა ხელს მოსაფერებლად, მერე ზურგზე, მერე უფრო ქვემოთ, შიშველ ბარძაყებზე რომ შეაცურა თბილი ხელის გული, მაგრამ „მანონ ლესკოს“ კითხვით გართული მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ეს ნაცნობი კაცი ურჩხულივით ზედ გადააწვა, უცნობად იქცა, ღვინიანი ოხშივარი ქოშინით შეასუნთქა, მთელ სხეულზე ხელებს უფათურებდა და ბოლოს საშინელი ტკივილი მიაყენა. ქეთო მიხვდა, რომ ადამიანთა ურთიერთობის ერთ ყველაზე დაფარულ საიდუმლოს ჩამოეხსნა ფარდა, თითქოს შეუცნობელში შეაბიჯა, სინამდვილე გაშიშვლდა და ამ უდიდესი საიდუმლოს აღქმამ იმდენად გაიტაცა, იმდენად დააინტერესა და ისე მიენდო სიახლის ბოლომდე გაგების სურვილს, რომ თვალმინაბულმა ვერც კი იგრძნო როდის წამოდგა ბესო და უთხრა, „მე მივდივარ, იცოდე, არავისთან არაფერი წამოგცდესო!“

იმ დღიდან სასტიკად შეეზიზღა ეს კაცი, აღარც კი დალაპარაკებია, თვალს არიდებდა, ყველანაირად გაურბოდა. როცა გაიგო დედამისი ბესოს ცოლად მიჰყვებოდა, უარი განაცხადა დედასთან ურთიერთობაზე, მოღალატედ მიიჩნია იგი, საკუთარ შვილებს რომ ტოვებდა და სხვა კაცს უკავშირებდა ბედს. არავისთვის უკითხავს ისე მოეწყო სამკერვალოში შეგირდად, დედას ბინა გააყიდვინა და თავისთვის პატარა სორო აყიდვინა მალაკნის ბაზართან. ცხადია არც ქორწილს დასწრებია და მას შემდეგ რაც ახალი ოჯახი ქსანში გადასახლდა საცხოვრებლად, რადგან ბესო იქ სადგურის უფროსად დანიშნეს, — დედა და მამინაცვალი აღარ უნახავს. მაგრამ მწარე მოგონებები არ ასვენებდნენ, გული ამ სახლისკენ მოუწევდა, სადაც მისი ბავშვობა მოკვდა. გაბოროტებას დედის, მამინაცვლის და მთელი ქვეყნის მიმართ აქ მოსვლით ივსებოდა, როგორც ცხოველი საარსებო წყაროს. ეს მისთვის აუცილებელი გახდა, თითქოს ეშინოდა ბოღმა არ გამოლეოდა და საბაბად აქ სიარულისა ელზასთან გერმანული ენის სწავლა გაიხადა, მით უმეტეს ელზა ფულს არ ახდევინებდა, როგორც ახლობელს, როგორც შინაურს, მხოლოდ ოჯახურ საქმეებში იხმარებდა, იყენებდა მის გამოცდილებას და ისიც თითქმის დღეგამოშვებით მოდიოდა აქ, გაჰყავდა დრო ელზასთან ჭორაობაში, კამათში თუ სხვა საქმეში და მერე ბოღმით ავსილი მიდიოდა აქედან, ამ საძულველი მოგონებებით გამოტენილ სკივრიდან, რომ სულ მალე ისევ მობრუნებულიყო და გუნებაში უიღბლო წარსულის აღდგენით შეევსო ბრაზის ახალი მარაგი. ბრაზი აძლებინებდა, ანიჭებდა სასიცოცხლო ძალას. არავის ეპუებოდა, თვითნება და ჯიუტი ახლადგაცნობილ ადამიანში უპირველეს ყოვლისა მანკს ამჩნევდა და არც ბიძინა მოუვიდა თვალში, თუმცა ოდესღაც მამამისს ახლოს იცნობდა თურმე და მიზასთანაც მეგობრობდა, მაგრამ თუ ასეთი კარგი მეგობარი იყო, ამდენ ხანს სად ბრძანდებო-

დაო, გაიფიქრა გულში დაცინვით და უცებ შინ წასვლა გადაწყვიტა, რადგან მობეზრდა ბიძინას ყბედობა.

— მე შინ მივდივარ, — გამოაცხადა ხმამაღლა და კარისკენ დაიძრა.

ბიძინაც წამოდგა.

— მეც წავალ, მეტს აღარ შეგაწუხებთ!

— თქვენ რაიმე დახმარება ხომ არ გჭირდებოდათ? — ჰკითხა ელზამ.

— არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ? უბრალოდ მიშასი და თქვენი ოჯახის ამბის გაგება მინდოდა, კარგად ბრძანდებოდეთ!

ვინაიდან ელზას არცერთი არ შეუჩერებია, უცბად ორივენი შუშაბანდში აღმოჩნდნენ. კვლავ გამოიარა პირში პაპიროსგაჩრილმა ახალგაზრდამ და კვლავ თხოვა ბიძინას ასანთი. კვლავ მოაკიდებინა ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა ბიძინამ და რომ უკიდებდა, ის ჭაბუკი ისეთი დაჟინებით ჩააცქერდა სახეში, თითქოს ძალიან უნდა ამ სიფათის დამახსოვრებაო. მერე რკინის კიბეები ჩაირბინა და ეზოში ჩავიდა.

ბიძინა და ქეთოც ჩაჰყვნენ კიბეს და ბნელ ქუჩაში გამოვიდნენ.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — უთხრა ქეთომ.

— მოიცა, გოგო, გაგაცილებ! — შესთავაზა ბიძინამ.

— არ მინდა, აქვე ახლოს ვცხოვრობ, მალაკნის ბაზართან!

— ჰოდა ერთი გზა გვქონია!

უცებ ბიძინამ კვლავ მოჰკრა თვალი იმ ახალგაზრდას ორჯერ რომ სთხოვა ამ საღამოს ასანთი. თავის თანატოლ ჭაბუკთან ერთად სწრაფად მიუყვებოდა ტროტუარს, მერე მოსახვევში მიიმალნენ.

— მე შენ სულ პატარა მახსოვხარ, მაშინ თეთრი ბაფთა გეკეთა და მოკლე კაბით დადიოდი,—ძალიან შინაურულად თქვა ბიძინამ და უნებურად ქეთოს გაელიმა, წარმოიდგინა თავისი თავი ბიძინას თვალით და გაუქრა ამ კაცისადმი უნდო დამოკიდებულება, ყური მიუგდო.

— მართალია, უფროსი კაცი ბრძანდებოდა, მაგრამ ტიტიკოსთან ვძმაკაცობდი, ჩემთან და მიშასთან ძალიან დაახლოებული იყო. რომ იცოდე რამდენჯერ გვიქეიფია ერთად „ტილიპუჭურში“, ბილიარდის და კარტის თამაშით ღამეები გვითენებია. მე მაშინ ბიძასთან ვცხოვრობდი მახარაძის ოცდაცხრაში და ყოველდღე გამოვდიოდი ამ სიშორეს ტიტიკოს და მიშას სანახავად. თავი რომ მოიკლა იმ საღამოსაც ერთად ვიყავით. ბევრი სიკეთე მახსოვს მისგან, ყველაფერს ხომ ვერ იტყვი?! იცი, რა კაცი იყო მამაშენი? ეს იყო სალი კლდე! — ვიღაცას უხილავს მუშტი მოუღერა ბიძინამ, — შენ მაშინ ბავშვი იყავი და იმიტომ არ გახსოვარ. სადმე რომ შემხვედროდი შემთხვევით, ვერც მე გიცნობდი, ან საიდან უნდა მეცანი, რამდენი დრო გავიდა მას მერე, ახლა მშვენიერი ქალიშვილი დამდგარხარ!

ისე გაიარეს რამდენიმე გზაჯვარედინი, ბიძინას ენა არ გაუჩერებია. მკრთალად განათებულ მოედანზე რომ გამოვიდნენ, საიდანაც მალაკნის ბაზარი და რკინისგზის ხიდქვეშ ნაძალადევისა და კუკიის უბნებისკენ მიმავალი ქუჩა გამოჩნდა, უცნობმა კაცებმა გზა გადაუღობეს, ბიძინა გვერდზე გაიყვანეს და საბუთები მოთხოვეს. ის საეჭვო ჭაბუკიც მათ შორის იყო, პაპიროსით რომ დაწანწალებდა მიშა გედევანიშვილის სახლის შუშაბანდში და უცებ ბიძინა მიხვდა ვისთანაც ჰქონდა საქმე, მაგრამ მაინც წამოიძახა, ვინა ხართ, რა გინდათო? თუმცა ძალიანაც კარგად იცოდა, ვინც იყვნენ და რაც უნდოდათ. გული დაწყდა თბილისში ჩამოსვლისთანავე რომ ჩავარდა, არ გაუმართლა, როგორ ვერ მოვისაზრე, რომ მიშას ბინას ჯერ კიდევ უთვალთვალებენ ჩეკას აგენტებიო. საკუთარ თავზე გაბრაზდა, იმ ასანთის მთხოვნელის ორჯერ გამოჩენამ სრულიად რომ არ დააეჭვა, მეც კაი სულელი ვარო, თვითსაყვედურით გაიფიქრა და მოედანს მოავლო თვალი, მაგრამ შორია-

ხლო არავინ ჩანდა, მილიციელის გარდა, რომელიც მშვიდად იყურებოდა აქეთ. რკინისგზის ხიდზე მატარებელმა გადაიგრუხუნა კივილით, ჩქოლო იქეთა ტროტუარზე, რომელსაც ორსართულიანი თეთრად შეღებილი გრძელი სახლის ასევე გრძელი და ფართო აივანი გადმომხობოდა, ვიღაც ქალი და კაცი მიდიოდნენ თავისთვის.

— ვინა ვართ და ჯერ საბუთები წარმოადგინე!

— რა საბუთები?

— აბა, ბევრი ლაპარაკი არ იყოს! ადგილზე გავარკვევთ მაგას. ახლა ჰკვიანად იყავი და ჩუმად წამოდი, თორემ... — ორი კაცი ორივე მხრიდან ამოუდგნენ.

— ქეთო, ბოდიში შენთან, მე ამათ წავყვები! — ისეთნაირად გადმოსძახა ბიძინამ, თითქოს თავის ნებით მიდიოდა, თუმცა შიშისგან დასუსტებული მუხლები თითქმის უკანკალებდა.

უსიტყვოდ ატარეს ბნელი ქუჩებით საღგურის მიდამოებში და რომელიღაც სახლს მიადგნენ. წინ მიმავალმა რაღაც უთხრა სომხურად ბიძინას გვერდით მომაალს და ბიძინას სულ გადაეწურა იმედი, მიხვდა, ესენი არ დაინდობდნენ. კარგად უწყოდა ყველა ჩეკისტი, ქართველი, სომეხი, რუსი თუ ებრაელი ერთნაირად დაუნდობელია, მაგრამ ამ უცხო ენის გაგონებაზე უფრო უმწეოდ იგრძნო თავი.

შენობაში შევიდნენ, შესასვლელში შეიარაღებული ყარაული იდგა. ვიწრო კორიდორს გაუყვნენ. კორიდორში გამომავალი ყველა ყარი დაკეტილი იყო. შემდეგ რკინის ვიწრო კიბით მობეტონებულ სარდაფში ჩაიყვანეს. ელექტრონის ავი შუქი აჩახჩახებდა სამარისებური გვირაბის თეთრად შეღებილ გლუვ კედლებს. ბიძინას მოეჩვენა, რომ ნახვრეხმოყრილ იატაკიდან საცხედრის მძაფრი სუნი ამოდიოდა. ტალანის ბოლოს, ერთგან გამოღებული შავი რკინის კარი მოჩანდა. სწორედ იმ კარმოღებულ, აკლდამასავით გამოუვალ უფანჯრო ფართო ოთახში შევიდნენ, სადაც ორი ჩეკისტისფორმიანი კაცი [illegible] ერთმანეთთან ლაპარაკით გართულნი. ერთი მათგანი მელნის ლაქებით დასვრილ მტვრიან მაგიდას უჯდა.

— აჰა, ჩაიბარე! — უთხრეს მას, ბიძინა ოთახში დატოვეს და მყისვე გაბრუნდნენ. მხოლოდ სომეხი შეყოვნდა წამით.

— ღარიბოვმა არ დარეკა?

— უნდა დაერეკა რო?

— მაშ, არ უნდა დაერეკა?

— მე რა ვიცი?

— კარგი კაცო, ხუმრობის გუნებაზე არა ვარ!

— არც მე ვარ!

— ლოთიანად, დარეკა თუ არ დარეკა?

— არ დაურეკია!

სომეხმა გაიცინა და ოთახიდან გავიდა. ჩეკისტმა ბიძინას კედელთან მდგარ გრძელ სკამზე მიუთითა, დაჯექიო. ბიძინა დაჯდა. ჩეკისტმა უზარმაზარი დავთარი გადმოიღო, წინ დაიდო და გადაშალა. ნელ-ნელა შლიდა ფურცლებს და თან მეორე ჩეკისტს ელაპარაკებოდა ოჯახურ საქმეზე, ეტყობა, სადღაც სახლს აშენებდა და მასალა ჰქონდა საშოვნელი. ამან ცოტათი დაამშვიდა ბიძინა, იმედი მიეცა, ბოლოს და ბოლოს ესენიც ადამიანები არიანო. დამხვდურნი ბიძინას ზედაც არ უყურებდნენ. ერთერთი გამელოტებულ თავზე წარამარა იფარებდა კეფიდან წამოღებულ დახუჭუჭებულ კულულებს. საიდანღაც დაგუბული ყვირილი გაისმა და ბიძინას გული შეუქანდა. მერე დანალული ქუსლები აბაკუნდნდნენ ბეტონის ფილებზე. კარებში ახოვანი ჩეკისტი გამოჩნდა, უსიტყვოდ შემოიხედა ოთახში, მიათვალ-მოათვალიერა აქაურობა და მყისვე გაბრუნდა.

— გვარი? — ხმამაღლა ჰკითხა მაგიდასთან მჯდარმა ბიძინას და კალმისტარი მოიმარჯვა.

ბიძინამ უთხრა გვარი, სახელი, მა

მის სახელი, დაბადების წელი და ადგილი.

— სად მუშაობ?

— ახლა არსად, ჭალცეხეში ვმუშაობდი!

ყველაფერ ამას ჩეკისტი გულმოდგინედ იწერდა თავის დავთარში და კალამს აწრიპინებდა.

7.

ისიდორე ქლენტმა საათს დახედა. ღამის ორი გამხდარიყო უკვე. გაუკვირდა, შეუმჩნევლად გასულიყო დრო. ოთახში ბინდი იდგა, მხოლოდ მაგიდას ანათებდა ღამის სანათურის მკვეთრი, თეთრი შუქი. გისოსებაკრული, მოღებული ფანჯრიდან ნოტიო ჰაერი შემოდიოდა, მაგრამ მაინც ცხელოდა. ისიდორეს კისერზე ოფლი სდიოდა და კიტელის საყელოში ჩასდიოდა. კრაგებში ჩაჭედილი ფეხებიც უბჟუოდა. იგი გაიზმორა, მერე მაგიდას დაეყრდნო იდაყვებით და კიდევ ერთხელ დახედა მის წინ გაშლილ საქმეს. ეს იყო საქმე ბიძინა ნიგურიანისა, ბიძინა ნიგურიანი იყო ძმისწული იასე ნიგურიანისა, იასე ნიგურიანი იყო ძველი რევოლუციონერი, რომელსაც ჰყავდა უამრავი ნაცნობ-მეგობარი დღეს გავლენიან პირთა შორის, ზოგიერთ იმათთაგან მას საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. ისიდორემ საქაღალდე დახურა, იღლიაში ამოიდო, წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

გრძელი კორიდორი გაიარა და ერთ-ერთი ოთახის დერმატინაკრული რბილი კარი შეაღო. მისაღებში პატარა მაგიდასთან მიმჯდარი ახალგაზრდა მდივანი ქალი საბეჭდ მანქანაზე რაღაცას ბეჭდავდა.

— მარტოა? — ჰკითხა ისიდორემ.

თანხმობის ნიშნად მდივანმა ქალმა თავი დაუქნია.

ისიდორე მიუახლოვდა ისევ დერმატინაკრულ უზარმაზარ ყრუ კარს, გამოაღო იგი და უფროსის კაბინეტში შედგა ფეხი. ფანჯრებაგმანული კაბინეტიც უზარმაზარი იყო, ამ უზარმაზარი დარბაზის ბოლოში უზარმაზარი მაგიდა იდგა. უზარმაზარ მაგიდას კედელზე დაკიდებული უზარმაზარი ბელადი სურათის ქვეშ უჯდა პატარა კაცი, რომელმაც შემოსულის ფეხის ხმის გაგონებაზე თავი ასწია და კარისკენ გამოიხედა. მისი სათვალის შუშები და ოდნავ მოწითალო მელოტი თავი ერთნაირად ბრიალებდნენ ელექტრონის ჩახჩახა შუქისგან. ისიდორე მაგიდას მიუახლოვდა. ისმოდა კარადაზე ჩამომდგარი ვენტილატორის გველის სისინისებური შრიალი.

— ლაუ პეტროვიჩ, ნიგურიანის საქმე მოვიტანე.

ლაუ პეტროვიჩმა საქაღალდე ჩამოართვა, მაგრამ არ გადაუშლია.

— მოკლედ მომახსენე რაშია საქმე?

— ეს ყმაწვილი იასე ნიგურიანის ძმისწულია. რამდენიმე წლის წინათ სწავლობდა თბილისში, ქიმიურ ტექნიკუმში, მიშა გედევანიშვილთან ერთად, რომელიც გერმანიაში გაიქცა და გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ფაშისტურ წრეებს დაუკავშირდა. ეს გედევანიშვილი სამხარაძის მეზობელი იყო, რომელმაც „ჩემოს" სალარო გაძარცვა და მერე ჩიქოვანის ბინაში თავი მოიკლა, ჩვენი აგენტის სიგნალის მერე მხილებულმა. ის აგენტი მერე უცნობმა პირმა მოკლა ქუჩაში. გედევანიშვილი სამხარაძის სიკვდილისთანავე გაქრა თბილისიდან. მასთან ერთად გაქრა ეს ნიგურიანიც, ორივემ ერთდროულად დაანება სწავლას თავი. ტექნიკუმში ისინი შოთა მამაცაშვილთან და ემილი მახარაძესთან მეგობრობდნენ. მამაცაშვილი ცოლ-შვილიანია, ამჟამად ალმასკომის თავმჯდომარეა ნაძალადევში, მახარაძე უცოლშვილოა, ჟურნალისტი, ამჟამად „კომუნისტის" რედაქციაში მუშაობს და ხშირად ბეჭდავს სტატიებს. ეს ნიგურიანი კარგა ხნით გაქრა და შარშან გამოჩნდა, უბილეთოდ მგზავრობისათვის დააპატიმრეს ხაშურში. თურმე

ახალციხეში მუშაობდა, დამზადებაში. იქ მეგობრობდა ჯაველიძესთან, მუმლაძესთან და ვაშაკიძესთან. ჯაველიძე დახვრეტილია დივერსიასთან დაკავშირებით, ვაშაკიძე გაიქცა და ერთხანს ვლადიკავკაზში იმალებოდა, მაგრამ გამოვლენილ და გასამართლებულ იქნა, ეგ ოცდაოთხი წლის გამოსვლების მონაწილე და ამისთვის დახვრეტილი მღვდლის შვილია, იანვარში თვითონაც დახვრიტეს. როგორც ჯაველიძის მავნებლური ჯგუფის წევრი. მუმლაძე ამჟამად თბილისში მუშაობს საწყობის გამგედ. შარშან ნიგურიანი ქიტიაშვილთან ერთად გაიქცა წყალტუბოს კოლონიიდან. მივიღეთ სიგნალი, რომ რუსეთის ცირკებში გამოდიოდნენ საჭიდაოდ. ქიტიაშვილი ყოფილი მოჭიდავე და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ყოფილი რაზმელია, ამასწინად დაიჭირეს მოსკოვში, ხოლო ნიგურიანი ამ ორი კვირის წინ გედევანიშვილის მარტოხელა დას ესტუმრა და იქედან რომ გამოვიდა, დააკავეს.

— მერე?

— ქიტიაშვილს, ალბათ, დახვრეტენ ან სოლოვკებში გადაასახლებენ, ნიგურიანის საქმე არ ვიცი როგორ წავიყვანოთ, შეგვიძლია დახვრეტამდე ავქაჩოთ, მაგრამ საქმე იმაშია, ლაუ პეტროვიჩ..

— მაგის დახვრეტა რა გვეჩქარება? — ხმა აუწია უფროსმა.

— გასაგებია.

— შამაცაშვილი და მახარაძეც უნდა გამოვიყენოთ!

— აუცილებლად.

— ხომ გესმის ახლა რა უნდა გააკეთო?

— მესმის.

— ყველა ესენი შალიკო ტიგროვის წინააღმდეგ გამოგვადგება. ხომ მიხვდი?

— რა თქმა უნდა.

— წადი ახლა, იმოქმედე!

ისიდორე უფროსის კაბინეტიდან გამოვიდა და თავის ოთახში დაბრუნდა. მისთვის ყველაფერი ნათელი იყო. ლაუ პეტროვიჩი და მოსკოვში მყოფი შალიკო ტიგროვი დიდი ხანია მეგობრობდნენ ერთმანეთს. შალიკო ტიგროვი და იასე ნიგურიანი ძველი მეგობრები იყვნენ. თუ თბილისში მხილებულ იქნებოდა ანტისაბჭოთა ჯგუფი ანუ ტროცკისტ-მავნებელთა ბანდა იასე ნიგურიანის ხელმძღვანელობით და მისი ძმისწულის აქტიური პრაქტიკული მოღვაწეობით, თუ დამტკიცდებოდა ამ ჯგუფის კავშირი მოსკოვში შალიკო ტიგროვთან, ცხადია, ამ უკანასკნელს ძირი გამოეთხრებოდა რაც საგრძნობლად ასწევდა ლაუ პეტროვიჩის მაზანდას და მასთან ერთად ისიდორესაც. საჭირო იყო მხოლოდ საქმის შეთხზვა და მომზადება. ასეთ რამეში ისიდორე ძლიერ გამოცდილი იყო და უცებ ახალი აღმოჩენის სიხარულმა თვალები გაუნათა. ერთბაშად მოაგონდა, რომ ინჟინერი პეტრე შაინიძე იასე ნიგურიანის ნათესავი იყო. მაშასადამე, ის და მისი ლამაზი ცოლი ელეონორა წულუკიძეც მონაწილეობდნენ ამ საქმეში, მით უმეტეს, ელეონორას პირველი ქმარი ირაკლი ჩხენკელი ცნობილი კონტრევოლუციონერი გახლდათ. ისიდორემ სიამოვნებით დაისრისა ხელები, შესანიშნავი საშუალება ეძლეოდა ელეონორასთვის სამაგიეროს გადახდისა. ელეონორას და პეტრეს ჩართვა ამ საქმეში კიდევ უფრო გაზრდიდა წრეს ანტისაბჭოთა შეთქმულებაში მონაწილე პირებისას, ბევრი ამათი ნაცნობის დაპატიმრება გახდებოდა აუცილებელი და მთელ ქვეყანაზე გახმაურდებოდა ისიდორეს შექმნილი საქმე. ისიდორემ ამაყად გაიღიმა. კმაყოფილმა გაიარ-გამოიარა ოთახში, თავისი მოღვაწეობის მეტად ფართო პერსპექტივა თვალწინ გადაეშალა. ფანჯარასთან მივიდა, რკინის წკნელებს ხელები ჩასჭიდა, სიბნელეს ჩააცქერდა და უდიდესი სიამოვნებით გაეცინა. ნათლად გაიაზრა, რომ ეს მძინარე ქალაქი მის ხელში იყო. რამდენი ადამიანის აწიოკება შეეძლო ერთბაშად?! როგორც პაიკებს ჭადრაკის დაფაზე.

ისე აყრიდა და საითაც უნდოდა იქეთ გადაყრიდა მათ. სიამაყით და ბედისადმი მადლიერებით ალსავსე, იგი ზიზღს გრძნობდა იმ საცოდავი ჭიალუების მიმართ, თავიანთ სოროებში შეყუჟულთ, თავიანთ ლოგინებში, თავიანთ | სვეს მინდობილთ რომ ეძინათ ახლა, მაშინ როდესაც ისიდორე ფხიზლობდა, უთვალთვალებდა და წყვეტდა მათ ბედს...

მაგიდას მიუჯდა და გამალებით შეუდგა წერას, რომ გონებაში მონახაზი ჩანაფიქრი სინამდვილედ ექცია. მიუხედავად იმისა, რომ წერა მაინცა და მაინც არ ეხერხებოდა უამრავ გრამატიკულ შეცდომებს უშვებდა და აზრიც ძალზე ხშირად ბუნდოვანი და გაუგებარი გამოსდიოდა, — ისეთი გატაცებით თხზავდა არარსებულ საქმეს, როგორც მწერალი რომანს ან დრამატურგი პიესას და მისთვის ეხლა, თუმცა არამარტო მისთვის, ეს ქმნილება ანტიკური ტრაგედიის ტოლფასი რამ იყო, რომელიც სულ მალე გათამაშდებოდა ცხოვრების სცენაზე, სადაც ხელოვნურის ნაცვლად ნამდვილ ტკივილს და ვნებას მოჰგვრიდა მის მონაწილეთ...

ფანჯრებში რომ დილის რიჟრაჟმა დაიწყო ლიცლიცი, სწორედ მაშინ შეყვიტა წერა. მეტი აღარ შეეძლო, კალამი დადო. დღის ნათელმა აზრი დაუფანტა, სიბნელემ შეისრუტა მისი შთაგონება და თან ჩაითრია თავის ჯურღმულში. ისიდორე წამოდგა, ისევ მივიდა ფანჯარასთან და გამომწვევით გახედა ჯერ კიდევ ბინდმოხვეულ ქალაქს, რომელიც ნელა ილვიძებდა. მუქარამ გაუელვა გუნებაში. საქმე იწერება! მართალია ჯერ ვერ მოასწრო დასრულება, მაგრამ ხვალინდელი ღამეც ხომ მისი იყო და მომდევნო ღამეებიც? მთავარი ის იყო, რომ საქმე იწერებოდა!

ქუჩაში უკვე გამოჩნდნენ იშვიათი გამვლელნი, რომელთაგან ვერავინ ბედავდა აშკარად ახედვას ზემოთ, იმ ფანჯრებისკენ, სადაც მთელი ღამე ენთო შუქი. მაგრამ თუ ვინმე მაინც ააპარებდა თვალს მაღლა მალულად, ალბათ დაინახავდა ყველასათვის საშიში შენობის ერთერთ ფანჯარასთან ჩაფიქრებით მდგარ ისიდორეს, კუშტად რომ დასცქეროდა ჯერ კიდევ მდუმარე ქუჩებს, დანამულ სახურავებს, ფერდაკარგულ კედლებს ღამენათევი, გაცრეცილი სახლებისას, რომლებიც თანდათან ფხიზლდებოდნენ ღამის ძილქუშისაგან, ზოგ ფანჯარაში უეცრად გაეილვებდა ნამძინარევი სახე, ამ მთქნარებით მოღრეცილი სხეული და ისიდორე ისევ და ისევ ღვარძლიანი სიხარულით იმეორებდა გუნებაში: საქმე იწერება! მერე იგი მობრუნდა, ქაღალდები აკრიფა, სეიფში შეინახა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

საქმე მართლაც იწერებოდა, არა ერთი და არა ორი, ქალაქი კი, ვითომც არაფერი, იწყებდა თავის ყოველდღიურ ცხოვრებას. ჯერ ტრანსპორტი ახმაურდა, მერე მაღაზიები გაიღო, მოსამსახურეები დაწესებულებებში გაემართნენ, ქუჩები თანდათან ხალხით აივსო. ისიდორე ქლენტიც გამოვიდა ქუჩაში და შეუერთდა ამ ხალხის ნაკადს. იგი ნელა მოდიოდა და ზედ არავის უყურებდა, თუმცა თვითონ . კი იქცევდა ზოგიერთის ყურადღებას თავისი ყავისფერი კრაგებით და ყელამდე შეკრული ჩეკისტის კიტელით. იგი არ გრძნობდა არავისთან საერთოს, მისთვის უცხონი იყვნენ ქუჩაში გამვლელები. მას ესმოდა ამ ხალხის ენა, მაგრამ არ ესმოდა მათი სატკივარი. კონკრეტულად ისიდორეს არც უყვარდა და არც სძულდა რომელიმე მათგანი, იგი სრულიად ცალკე იყო მათგან. მას მტკიცედ სწამდა, რომ საქმე, რომელსაც აკეთებდა, საჭირო იყო და ამიტომ აუცილებლად უნდა გაეკეთებინა. ამ მხრივ იგი ბედისწერის აღმსრულებლის მოვალეობას კისრულობდა და აი, ეს ხორცშესხმული ბედისწერა მოაბიჯებდა ქალაქში თავის მსხვერპლთა შორის, ცივი, შეუბრალებელი განუკითხავი, მხოლოდ თავისი საბედისწერო მოვალეობის ერთ-

გული, როგორც აჩრდილი მოხეტიალე, როგორც სული ხელშეუხები. იგი მივიდა შინ, სადაც უნდა დაესვენა, წაეძინა და შუადღეზე კვლავ სამსახურში დაბრუნებულიყო, რათა გაეგრძელებინა დაწყებული საქმე. შინ მარტო იყო, ცოლშვილი კვლავ კოჯორში ჰყავდა საზაფხულოდ გაგზავნილი. მუშაბანდის ფანჯარა გამოაღო და ეზოს გადახედა. მოულოდნელად, იასე ნიგურიანის ბინიდან კოხტად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, რომელსაც თვითონ იასეც გამოჰყვა გარეთ. იასემ კარი ჩაკეტა და იმ ახალგაზრდასთან ერთად ეზოში ჩავიდა. კიბე რომ ჩაათავა, უცბად ზემოთ აიხედა, ისიდორე დაინახა და გულითადად მიესალმა.

— როგორ ბრძანდებით, ამხანაგო ისიდორე?

— არა მიშავს, გმადლობთ, თქვენ როგორ გიკითხოთ? — ჩამოსძახა ზემოდან ისიდორემაც.

— არა მიშავს, გმადლობთ, კარგად!

— კარგად იყავით, კარგად იყავით!— გულთბილი ღიმილით დალოცა ისიდორემ და როცა ისინი ალაყაფში გადიოდნენ ახალმა იდეამ გაუნათა გონება, ვინ იყო ეს ახალგაზრდა და რა უნდოდა მას იასესთან? საჭირო იყო ამის გარკვევა. ისიდორეს გაეღიმა. მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება სულ უფრო ფართო მასშტაბს იძენდა მის წარმოსახვაში და უდიდეს წარმატებას პირდებოდა ამ საქმის შემქმნელს.

8.

ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ისიდორეს ყურადღება მიიქცია, ბუჭუტა უნდილაძე გახლდათ. მას ახლა აღარავინ ეძახდა ბუჭუტას, ამ ბოლო დროს ყველანი ნათლობის სახელით მიმართავდნენ: შამშე! შამშემ უნივერსიტეტი დაამთავრა, ექიმის დიპლომი მიიღო, გრუზა ქოჩორი გასცვივდა, ყოველშემთხვევაში საკმაოდ შეუთხელდა, და წვრილი ულვაშიც მოუშვა. იგი ისევ ვერაზე ცხოვრობდა. მასთან ერთად იყო მისი და ცუცა, რომელიც უნივერსიტეტში მოეწყო სასწავლებლად ეკონომიურზე, თუმცა იმასაც ექიმობა უნდოდა, მაგრამ შამშემ გადწყვიტა ორი ექიმი ერთი ოჯახიდან ზედმეტიაო და არ შეატანინა საბუთები სამკურნალოზე. ამის გამო ცუცა მთელი ცხოვრება უკმაყოფილო იყო უფროსი ძმისა, მეტოქე ჩამომიშორაო, მისი წილი პატივისცემა საკუთარ დას არ რგებოდაო. ღმერთმა უწყის რატომ ჩაიდინა შამშემ ეს საქციელი, მაშინ ექიმებს მართლაც დიდ პატივისცემდნენ და იქნებ, მართლაც არ უნდოდა მოზიარე ჰყოლოდა საკუთარ ოჯახში? ყოველშემთხვევაში, ცუცა ასეთ ბრალს დებდა, მაგრამ იგი ისეთი ჭირვეული პიროვნება გახლდათ, იმის გულს იოლად ვერ მოიგებდი. დის სიკვდილის შემდეგ მუდამ და ყველგან შავებში დადიოდა მონაზონივით, თუმცა ხასიათი სულაც არ ჰქონდა მონაზნური, პირიქით, მუდამ უკმაყოფილო იყო, მუდამ ვიღაცას ედავებოდა, კილავდა, აძაგებდა. ეს იყო პატარა ტანის პირქუში არსება დაუშრეტელი ენერგიისა, რომელიც თავის ენერგიას ძირითადად უარყოფით ქმედებებში გამოხატავდა. იგი არასოდეს არ იღიმებოდა და მით უმეტეს, არ იცინოდა. თუ გაიცინებდა, იმდენად ყალბად გამოსდიოდა ეს, რომ უნებურად უნდობლობას იწვევდა. შამშეს უჭირდა მასთან შეგუება, შეიძლება ითქვას, ცუცას ჩამოსვლისთანავე შამშემ თავისი ბინა დაჰკარგა. იგი ახლა აქ სტუმრად იქცა, რადგან მასპინძლობას, გარდა ცუცასი, ამბაკო და ტიტიკოც იჩემებდნენ, ხშირად რომ ჩამოდიოდნენ წიფლნარიდან სავაჭროდ და კარგა ხნით რჩებოდნენ თბილისში. ამის გამო შამშეს შინ გული აღარ უდგებოდა, სრულიად აერია აწყობილი ცხოვრება, და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფოთში რომ გააგზავნეს სამუ-

შაოდ, — მართალია გული დასწყდა, დედაქალაქის დატოვება ძალიან უმძიმდა, მაგრამ მეორეს მხრივ, შინაურებთან ურთიერთობისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობა შვებას ჰგვრიდა.

მიუხედავად ამისა, მაინც გუნებადამძაბებული მიემგზავრებოდა ფოთში. მასაც შეეძლო თავისი მეგობრების არჩილის და დათიკოს მსგავსად თბილისში დარჩენილიყო, თუ სპეციალურად ლარინგოლოგიას აირჩევდა არჩილისაებრ, ან ქირურგიას დათიკოსაებრ, ან თუნდაც ფსიქიატრიას, მაგრამ სისხლის დანახვაზე გული უწუხდებოდა, უსისხლოდ რა ქირურგი უნდა დამდგარიყო, ხოლო ფსიქიატრიაზე მას შემდეგ ჩაიქნია ხელი, როცა ერთ ზაფხულს, თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ბაღში იდგა და ამხანაგს ელოდა. „ვინ ხარ, მანდ რომ აყუდებულხარ?“ შემოესმა ამ დროს მეორე სართულის გისოსებაკრული ფანჯრიდან ეხივით მგრგვინავი, მრისხანე ხმა. ფანჯარასთან თმაგადაპარსული, წვერგაუპარსავი, საავადმყოფოს გახუნებულ ხალათში გამოკვართული მამაკაცი იდგა და კუშტი სახით იმზირებოდა.

— სტუდენტი ვარ, პრაქტიკანტი! — მიუგო შამშემ.

— ექიმი გინდა გამოხვიდე?

— დიახ.

— მოიწი ახლოს!

შამშე ფანჯარას მიუახლოვდა.

— შენ იცი, რომ აქ ბევრი ადამიანი ულ ტყუილუბრალოდ ზის, უმიზეზოდ აბრალებენ ავადმყოფობას. მეც აქ რისთვის დამამწყვდიეს ვერ გამიგია, — ღელვებით ლაპარაკობდა იგი.

— დაწყნარდით, თქვენს საქმეს გაარკვევენ, — ანუგეშა შამშემ.

— საბუთიც მაქვს, რომ ჯანმრთელი ვარ, ახლავე გაჩვენებ, დამიცადე ცოტა ხანს, არ წახვიდე!

— კი ბატონო.

ავადმყოფი ფანჯარას მოშორდა, როიოდ წუთში ისევ გამოჩნდა, რაღაც გადმოანთხია შამშეს თავზე და როცა აღფრთოვანებული ხარხარი მორთო და გისოსებზე ხელებჩაკიდებულმა ფანჯარასთან ხტუნაობა დაიწყო, მხოლოდ მაშინ მიხვდა ჩვენი შამშე, რომ თავიდან ფეხებამდე განავლით იყო გათხვრილი. „ეგეც შენა, ეგეც შენა, ექიმობა არ მომინდომა ამ ლაწირაკმა?!“ ღრიალებდა ზემოდან გიჟი და თუმცა გიჟისა არაფერი უნდა გეწყინოსო, შამშეს მაინც სწყინდა, ბოლმა ახრჩობდა. იმ დღეს იგი სააბაზანოში შეაგდეს სანიტრებმა, სადაც დიდხანს ირეცხებოდა და იხეხებოდა. სანამ მისი თეთრი ტანსაცმელი გასაშრობად მზეზე ეკიდა, საავადმყოფოს ხალათში გახვეული პირველი სართულის შუშაბანდში იჯდა თავჩაღუნული და საკუთარ გულუბრყვილობაზე ბოლმანარევ ღიმილმოგვრილი ამხანაგების დაცინვას ისმენდა. ამ შემთხვევამ ფსიქიატრიაზე გული აუცრუა. სწორედ მაშინ იგრძნო პირველად, რომ ავადმყოფები არ უყვარდა, ეშინოდა რამე არ გადამდონო, განსაკუთრებით ჭლექიანებს უფრთხოდა, დღეში ასჯერ მაინც იბანდა ხელს და იფერთხავდა ტანსაცმელს ავადმყოფთან შეხების შემდეგ, თითქოს ჰიგიენით ბედისწერის დამარცხება ჰქონდა განზრახული. ცხადია, ასეთი კაცი ვერც ფსიქიატრად ივარგებდა, თორემ ეს დარგი რომ აერჩია, ადვილად მოეწყობოდა თბილისის ტუბდისპანსერში. თუმცა აქ მარტო ავადმყოფობის შიშიც არ იყო, ტუბდისპანსერში თიკო თარხნიშვილმა დაიწყო მუშაობა.

თიკოს დაკარგვამ ერთხანს საკუთარი თავის რწმენა დაუკარგა შამშეს. ის ისეთი ადამიანი იყო, რომელსაც მუდმივი წახალისება სჭირდება. გახუმრება ალიზიანებდა, მცირე წარუმატებლობას მტკივნეულად განიცდიდა და წონასწორობიდან გამოჰყავდა. როცა თიკო კოხტა კახიანის ცოლი გახდა და შამშემ ისინი ერთხელ ერთად მიმავალნი დაინახა ქუჩაში, სიმწრისგან ლამის კანკალი დააწყებინა. არასრულფასოვ-

ნების შეგრძნებამ იმდენად დათრგუნა, რომ სწავლაზეც გული აიცრუა და ლექციებზე აღარ დადიოდა, თუმცა სწორედ სწავლის საშუალებით, ექიმად გახდომის შემთხვევაში ეძლეოდა მას საშუალება სოციალური თუ პიროვნული ამაღლებისა, მან კარგად იცოდა, რომ ეს ასე იყო, მაგრამ უეცარი წარმატებების თავბრუდამხვევი სიმაღლიდან ძირს დანარცხებულს, ერთხანს ყველაფრის ხალისი დაეკარგა, მარცხიანმა სიყვარულმა უფრო ძლიერი ზემოქმედება მოახდინა მის ცხოვრებაზე, ვიდრე მოწინავე ასპარეზზე გამოსვლის დაუოკებელმა წყურვილმა. იმდენად გაუტყდა გული, რომ ირწმუნა: აღარავის სჭირდებოდა, არაფრით იყო ღირშესანიშნავი, არსად არაფერი გამოუვიდოდა. სულში შემომძვრალი გამომფიტველი მელანქოლია გახდა მისი მღრღნელი მატლი და ასე მარტოსულად და მიუსაფრად მყოფს თავისი მარტოსული და მიუსაფარი ძმა მოაგონდა, ოდესღაც დაკარგული და ქალაქში ხელახლა ნაპოვნი, თავისთავს კოლას რომ ეძახდა, თუმც ბავშვობიდან რამაზად ახსოვდა. იმ საბედისწერო დღის შემდეგ, კატასტროფას რომ გადაურჩნენ ვორონცოვის ხიდზე, კოლამ რამდენჯერმე ინახულა შამშე და შინაც მიიპატიჟა, მაგრამ აფორიაქებულმა შამშემ ვერცერთხელ ვერ მოიცალა კოლასათვის და როცა ისიც აღარ გამოჩნდა და დააკლდა მისი ყურადღება, ერთ მშვენიერ დღეს თვით მოინდომა მისი ნახვა.

ნელა აუყვა ავლაბრის აღმართს, ხოჯევანის უბნის მიხვეულ-მოხვეულებში ძლივს მიაგნო საჭირო ქუჩას. „რომელი კოლა, გაფრინდა?“ ხალისით ეკითხებოდნენ ამ ქუჩის მცხოვრებნი.

— ჰო, გაფრინდა ანუ რამაზა, ანუ კოლა უნდილაძე!

— ტაშიკოლასა კითხულობს კაცო, ეგ კაცი!

— ტაშიკოლა აგე, იქა ცხოვრობს! — ერთ პატარა სახლზე მიუთითეს ბოლოს.

რიყის ქვით მოკირწყლულ, აქ-იქ ბალახით მოფენილ ვიწრო ქუჩის განაპირას, იდგა დაბალი ერ[illegible]ნი სახლი, რომელსაც პატ[illegible]ტყა, მაღალი ყორით შემოყორილი და მწვანედ შეღებილი ხის დიდი ჭიშკრით ჩარაზული. ამ ადგილიდან, ღიად გაშლილ სივრცეში, ჩანდა მთაწმინდა, ქალაქზე მდუმარედ ამაღლებული, ოდნავ ქვემოთ, ოქროყანის ხავერდოვანი კალთები და თაბორის ქედის გლუვი ფერდობები ნარიყალას ციხის ნანგრევებისკენ ეშვებოდნენ, თეთრი ღრუბლები უძრავად ეკიდნენ შორეული მთების თავზე და წამით შამშე მის თვალწინ გაშლილ სურათს მიაჩერდა. პირველად დაინახა თბილისი აქედან და მეტისმეტად მოეწონა. პირველად აღიქვა იგი, როგორც მშობლიური და საყვარელი ქალაქი, ერთბაშად კარგ გუნებაზე დადგა, ჭიშკარი შეაღო და ეზოში შევიდა. ცაცხვის ხის ჩრდილი ფარავდა მდელოს, აივნის კუთხეში მერცხალს ბუდე გაეკეთებინა და ისმოდა მისი ბარტყების საამო ჟღურტული. და მისი აივანი სამად იყო გადატიხრული,ეტყობა აქ სულ სამი მოსახლე ბინადრობდა. შამშე შუა კარს მიადგა და ალალბედზე დააკაკუნა. კარი თვითონ კოლამ გაუღო და იმდენად გაუხარდა შამშეს დანახვა, რომ სახტად დარჩა.

— ვერ მცნობ? — ჰკითხა შამშემ.

— რავა ვერ გცნობ, შემოდი! — წამოიძახა კოლამ, ხელი მოქაჩა და ოთახში შეიყვანა.

აქ გაშლილ სუფრას ორი ქალი უჯდა, ერთიქ ერა, მეორე — შავთმიანი. შამშემ შეატყო, რომ ქალებსაც ესიამოვნათ სტუმრის მოსვლა. ღიმილით შემოსცქეროდნენ, შეიძლება, ცოტა შეზარხოშებულნიც კი იყვნენ, მატაოცი თვალები მაცდურად უციმციმებდათ.

— ეს ჩემი ძმა გახლავთ! — აუწყა ქალებს კოლამ ჩიფჩიფით. წინა კბილი აკლდა, წელწვრილი, ხმელი კაცი იყო, შუბლზე გრუზა ქოჩორჩამოყრილი, სუფთად გაპარსული, მხოლოდ ოთხ-

კუთხედი ულვაში ჰქონდა დატოვებული, შალის ლურჯი ხალათი ეცვა, განიერი გალიფე შარვალი, აზიური ჩექმები, წელზე კავკასიური, ვერცხლის სალტეებიანი წვრილი ქამარი. — როგორ მოგწონთ, როგორი ბიჭია, უბრალო კაცი არ გეგონოთ, მალე ექიმი იქნება! — სიამაყით ახედა თითქმის მთელი თავით მაღალ ძმას.

— კარგი ბიჭია, მოგვწონს! — ცისფერი თვალები აუქუქუნდა ქერა ქალს, მისი უტიფარი მზერა ძალაუნებურად ძაბავდა შამშეს. მან არ იცოდა ვინ იყვნენ ეს ქალები, გაურკვევლობა და ოთახში უხილავად განფენილი ბანგი, სუნამოს მკვეთრი სურნელით გაზავებული, იწვევდა რაღაც უჩვეულოს და საამურის მოლოდინს.

— როდის აქეთ გამოგიჩნდა ძმა? — ჰკითხა შავთვალებამ კოლას.

— ყოველთვის მყავდა.

— რაღაც არ მახსოვს.

— რატომ უნდა გახსოვდეს? შენ გგონია ჩემი ამბები ყველაფერი იცი?

— შენსას კაცი რას გაიგებს, მაგას კარგა ხანია მივხვდი! — და შავთვალებამ პაპიროსი გააბოლა, —აკი მარტოსული და უპატრონო იყავი?

— მაშინ ვიყავი, ეხლა აღარა ვარ! — გაიცინა კოლამ, შამშე სკამზე დასვა, თვითონ გვერდით მოუჯდა და ღვინო დაუსხა.

— ეს ლამაზი ქალი ჩემი ყოფილი ცოლია, მერუსი მღებრიშვილი. როცა ჩემი ცოლი იყო მაშინაც მეჩხუბებოდა და ახლაც არ მასვენებს, ვერ გამიგია რას მერჩის, მით უმეტეს ჩემს მერე ბევრი გამოიცვალა, მაგრამ ხომ ხედავ, მაინც ვერ მელევა. ეს ლამაზი ქერა ქალი მერუსის მეგობარია, ყოფილი ბალერინა ლიდუსი სმირნოვა, ხომ ხედავ ქართულს რა კარგად ამტვრევს? ქართულ ცეკვასაც მშვენივრად ცეკვავს, ნაზი და გემრიელი არსებაა, მაგას ვენაცვალე, დალიე ამათი სადღეგრძელო!

შამშემ დალია, მაგრამ ვერაფრით ვერ გაერკვა აქ მყოფთა ურთიერთობებში. ეს არც იყო იოლი საქმე. ჯერ ერთი, იგი სრულიად არ [illegible] საკუთარ ძმას. ამბაკოს [illegible] არ გვანებოდა, შეიძლება ვერც დაეჯერებინა, რომ კოლა, რომელსაც ტაშიკოლასაც ეძახდნენ და გაფრინდასაც, მისი უფროსი ძმა იყო, რამაზი, ოდესღაც სადღაც გადაკარგული, განდევნილი, დავიწყებული; არც კოლას უყვარდა იმ ოდინდელი რამაზას მოგონება. რამაზა მოკვდა, ოღონდ მაგ სახელს ნუ დამიძახებ და რაც გინდა მიწოდეო, სთხოვა ერთხელ. შენ ღმერთმა გამოგაგზავნა ჩემთან, როცა ვიღუპებოდიო, ამიტომ შეგეთვისე, ამბაკოს და მისი ნაშიერის დანახვაც არ მინდა და ნურც შეატყობინებ ცოცხალი რომ ვარ, სულერთია, იმათ კარგა ხანია მკვდარი ვგონივარო, ესეც თხოვა.

შამშემ თხოვნა შეუსრულა და სანამ ცუცა ჩამოვიდოდა თბილისში, კოლა ხშირად აკითხავდა ვერაზე, ხან ხრამული თევზი ამოჰქონდა, ხან თუშური ყველი და კახური ღვინო და თუმცა შამშეს იმერული მჭადი, ლობიო და ფხალი ერჩივნა, მაინც მადლიერი იყო და თვითონაც ცდილობდა რამეში გამოდგომოდა. ერთხელ პენსიის საქმე გაუჩარხა და ისეთი აღტაცება და სიყვარული დაინახა ამის გამო, რომ თავი ისევ საჭირო კაცად იგრძნო, ყოველთვის სიამოვნებდა მისადმი მოწიწების გამოხატვა, ეს ამაღლებდა, საფუძველს უმტკიცებდა და ტაშიკოლაც თანდათან ღრმად შემოდიოდ მის ცხოვრებაში. ტაშიკოლას ერთგულებას შამშეთი თავმოწონებას და სიამაყეს საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ გულს ბოლომდე მაინც არ უხსნიდა. მისი ნაამბობიდან მხოლოდ ის შეიტყო შამშემ, რომ მენშევიკების დროს სახალხო გვარდიაში მსახურობდა და სომხებთან ომის დროს თავი გამოუჩენია. რუსთაველზე რომ გავინავარდებდი ნაბადმოხურული და იარაღში ჩამჯდარი, ყველა ლამაზ ქალს თვალი ჩემზე რჩებოდაო. სწორედ მაშინ შე-

მარქვეს ქალებმა „გაფრინდა“, რადგან ჩქარი სიარული ვიცოდიო. სწორედ მაშინვე გაუცვნია ქართულ კლუბში საქველმოქმედო კონცერტზე თვრამეტი წლის მერუსი მღებრიშვილი და ისე მოსწონებია, რომ ყველგან თან დასდევდა თურმე, აჩრდილივით. ერთ საღამოს საკუთარ სადარბაზოში მოასწრო კონსერვატორიიდან მომავალს და მოხვევა დაუპირა, მაგრამ მერუსიმ ხელი ჰკრა, თურმე, და კედელზე მიაგდო. მთელი ღამე მდგარა გათოშილი და გალურჯებული კოლა იმ კედელთან ატუზული და როცა კონსერვატორიაში მიმავალ მერუსის დილით კიბეებზე ჩამოუვლია და კოლა წუხანდელ ადგილზე დაუნახავს, გაოცებულა, აქ რას აკეთებო? შენ გელოდები, რადგან უშენოდ სიცოცხლე არ მინდაო. მერუსის ცრემლები წამოსვლია და კისერზე შემოხვევია კოლას. ცოტა ხანში ჯვარიც დაუწერია, თუმცა უმამოდ გაზრდილი მერუსის დედა და დიდედა სასტიკი წინააღმდეგნი ყოფილან ამ ქორწინებისა. სად ვილაც უჯიშო, სანგრებში ნათრევი გვარდიელი და სად წესიერ ოჯახში აზიზად გაზრდილი ქალიშვილი, სად დამბაჩა და სად ფორტეპიანო, მაგრამ ამას გაფრინდა ვერ შეუდრეკია და მთელი ორი წელი არხეინად გაატარა ცოლის მშვენიერ ბინაში სოლოლაკის ქუჩაზე, თუკი შეიძლება ჯარისკაცის ცხოვრებას არხეინი ეწოდოს. ბოლშევიკების თავდასხმისას თითქმის ბათუმამდე მიჰყვა გვარდიის ნაწილებს, ხოლო საბოლოო დამარცხების შემდეგ, როცა დიდის წვალებით სოფელ-სოფელ და ტყეტყე მავალმა დაპატიმრების და დახვრეტის შიშით რკინიგზასა და შარაგზებს განრიდებულმა, ტანთ და ფეხთ საცმელ შემოფლეთილმა ერთ ღამეს თბილისამდე მოაღწია და ცოლს ბინის კარზე მიუკაკუნა, სიდედრმა და ცოლის ბებიამ გარეთ გამოაგდეს. თურმე მერუსი თბილისში წითელ ჯართან ერთად შემოსულ ერთ ბობოლა კომისარს გაჰყოლია ცოლად პირველ ქმართან განუქორწინებლად და ცხადია, მისი დანახვაც აღარ უნდოდა. შემდეგ ხანში თავის ცხოვრებისას კოლა ტოვებდა, ცოტა ხანს ციხეში ვიჯექიო, მოკლედ ამბობდა. ეტყობა, მეტისმეტად მძიმე ჟამი დაუდგა და რადგან სივაგლახესა და გაჭირვებაზე ლაპარაკი არ უყვარდა, თავისი ცხოვრების სულ სხვა პერიოდზე გადადიოდა, ვატმანის ხელობა რომ შეისწავლა და ტრამვაის რომ დააგელვებდა თბილისის ქუჩებში, ვით ყოვლისშემძლე ზღაპრულ რაშს. ამ დროისათვის მერუსი რეჟისორმა სვიმონ სიგუამ მიიწვია თავის ახალ ფილმში გადასაღებად. არტისტულმა ცხოვრებამ მერუსი ძლიერ გაიტაცა, ეტყობა მექალთანე რეჟისორმა სიგუამაც თავბრუ დაახვია და მალე მეორე ქმარსაც გაეყარა. ერთხანს ხელმოუწერლად ცხოვრობდა რეჟისორ სიგუასთან, მაგრამ როცა ფილმის გადაღება დამთავრდა, სიგუამ მერუსისადმი ყოველგვარი ინტერესი დაჰკარგა, ისევ თავის ოჯახს დაუბრუნდა და მარტო დარჩენილ მერუსის რატომღაც თავისი პირველი ქმარი კოლა გაახსენდა, ავლაბარში ააკითხა და შევრიგდეთო, შესთავაზა.

— არც არასდროს ვყოფილვარ შენთან დამდურებული! — უპასუხა კოლამ, — ცხოვრება ცვალებადობაა გენაცვალე, განა ეგ არ მესმის? ვის რა უფლება აქვს ამის გამო ადამიანი დაძრახოს?

— მაშ, მოდი, ისევ ერთად ვიცხოვროთ!

— აჰ, ეგ რა საჭიროა, როცა გინდა მესტუმრე და მიმსახურე! — შესძახა კოლამ და იქვე გაშალა სუფრა გულუხვი, რადგან ღვინო, დუდუკი და ქალები იყო ის სამი რამ, რაც ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად უყვარდა. მაგრამ მიუხედავად ამ სიყვარულისა, მიუხედავად იმისა რომ ნაცნობებში საკმაოდ ჭკუამხიარულ კაცად ითვლებოდა, ზოგჯერ მის სახეზე მოულოდნელად აღიბეჭდებოდა მრავალი ჭირვარამ გამოვლილი ადამიანის მოწყე-

ნილი გამომეტყველება და შამშეს იგი ეცოდებოდა, გრძნობდა, ბევრი სიდუხჭირე ჰქონდა განცდილი და საწყალი იყო, თუმცა ყოველნაირად ფარავდა ამას. ეს სისაწყლე პირველსავე დღეს შეამჩნია, თავაწყვეტილი ტრამვაი გადაბრუნებას რომ გადაარჩინა, მაშინდელი სევდიანი სახე კოლასი არ ავიწყდებოდა და სიბრალულს ულვიძებდა, მაგრამ მხნეობა კოლას მაინც არ აკლდა, თუმცა მისი სულის სილრმეში იყო რალაც დამალული, დამთრგუნველი, მწუხარე, ერთბაშად რომ იჩენდა ხოლმე თავს, უფრო ხშირად ნამუსრევზე, გართობის ხალისი უეცრად რომ ეკარგებოდა ურთიერთსაწინაღმდეგო ვნებათა ჭიდილი აშკარად ისახებოდა მის სახეზე, იერზე, განწყობილებაზე...

იმ დღეს, პირველად რომ ესტუმრა შამშე ავლაბარში, კოლამ საოცრად გაიხარა. თვალებში შესციცინებდა, წარამარა საჭმელს და სასმელს სთავაზობდა, ქალებსაც მოუწოდებდა სტუმრისთვის ყურადღება მიექციათ. ქალებმა შამშესკენ მიაჩოჩეს სკამები, წაილილინეს ცოტ-ცოტას წრუპავდნენ კიდეც, ეხუმრებოდნენ, გადაკრულ სიტყვებს ესროდნენ ჭაბუკს, განსაკუთრებით ლიდუსი აქტიურობდა და შამშესაც მოეწონა იგი, — წითლად შელებილი ფრჩხილები, პომადიანი პატარა ტუჩები, კეფაზე დახვეული და სავარცხლით დამაგრებული ქერა თმა,— მაგრამ მისი საყურეები, ყელსაბამი და ბეჭდები ვულგარულ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, თიკოს გემოვნებას ამ ქალის გემოვნება ვერ შეედრებოდა და უცებ შამშემ გაიფიქრა, რომ ამ ხალხისათვის თავი არ უნდა გაეყადრებინა. რაც უფრო მეტად ცდილობდნენ ისინი მის პატივისცემას და ყურადღების გამოხატვას, მით უფრო მეტად უმტკიცდებოდა ეს აზრი. ხოლო როცა კოლა კარში გავარდა, მაყალი გააჩალა და საგანგებოდ შამშესთვის მწვადების შეწვას შეუდგა, საბოლოოდ გადაწყვიტა აქ არ დარჩენილიყო. ერთი ჭიქაც დალია და წამოდგა, უნდა წავიდე, [illegible]. და უცებ მან ისეთი [illegible] დაიხატა ძმის სახეზე, რომ გული გეტკინებოდა.

— მოიცა, სად მიდიხარ, ამ წუთში მწვადები იქნება, — საცოდავად თხოვა ხელებჩამოყრილმა და გაოცებულმა კოლამ.

— არ მცალია, საქმე მაქვს! — გასცა შამშემ სასტიკი პასუხი.

— რა იყო, არ მკადრულობ? — ხმა დაუწვრილდა კოლას.

— კადრება რა შუაშია პროფესორ რცხილაძეს უნდა შევხვდე! — ხმა გაუმტკიცდა შამშეს.

აქც ქალების ხვეწნა-მუდარამ გაჭრა. რაც უფრო მეტს ეხვეწებოდნენ, მით უფრო უძლიერდებოდა არ დათმობის სურვილი. მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ამათთან თანასწორ ურთიერთობაზე უარი უნდა ეთქვა, მართალია, კოლა ძმა იყო, მაგრამ არც მის თვალში უნდა დაემცირებინა თავისი ღირსება, რათა იმავე სიმაღლეზე დარჩენილიყო, რომელზედაც თვით კოლამ აიყვანა თავისი განსაკუთრებული მოწიწებით. უნდა შეეფერებინა ეს, უნდა ეჩვენებინა, რომ სხვა კაცი იყო, სხვა ყაიდისა და სხვა წრის წარმომადგენელი, და მიატოვა ისინი, თუმცა არავითარი საქმე არა ჰქონდა და ძალიანაც სიამოვნებდა მათთან ყოფნა.

— ხომ ხედავ, ლიდუსი! როგორ მოეწონე? მე მერუსის აქედან წავიყვან და დაგტოვებ ლიდუსისთან მარტო, ნახე, რა გოგოა?! — უკანასკნელად თხოვა კოლამ, კარში რომ აცილებდა.

— არა!

ზვიადობის გამოვლენა ყოველთვის უზომო სიამოვნებას ანიჭებდა, როცა კი ამის საშუალება ეძლეოდა, თუმცა ყოველთვის და ყველგან ეს არ ხერხდებოდა. კოლა უსიტყვოდ ემორჩილებოდა მის ჭირვეულობას, კვლავ ხაზგასმული მოწიწებით შესცქეროდა მას, ასაკით უმცროსს და თავისდაუნებურად საკუთარი თავის რწმენას უმტკი-

ცებდა, უმაგრებდა საფუძველს, მაგრამ ასეთი მოპყრობით საპასუხო მადლიერებისკენ კი არ განაწყობდა შამშეს, არამედ თავისი აღმატებულობის, უპირატესობის მედიდურ შეგრძნებას უნვითარებდა. იმ დღესაც, მოულოდნელად რომ წამოდგა და მივიდივარო განაცხადა, — სახტად დარჩენილი ქალები და კოლა შუა ქეიფში რო მიატოვა და მათი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, ავლაბრის ვიწროებში ქვემოთქენ რომ დაეშვა, — ის კი არ მოსვლია აზრად, რომ ძმას გული ატკინა. შეიძლება დაამცირა კიდეც სხვათა თვალში იმით, რომ ხათრი არ გაუწია, არაფრად ჩააგდო, — არამედ უდიდეს სიამოვნებას გრძნობდა ცდუნებას რომ გაუძლო და შეძლო თავის დაჭერა, სათანადო სიმტკიცის გამოვლენა და მასთან ყოფნის მსურველთა მიტოვება. დარწმუნებული იყო ამით ფასი ემატებოდა მის პიროვნებას და მნიშვნელოვან არსებად წარმოდგენა საკუთარი თავისა გოროზი კმაყოფილებით ავსებდა.

ამიტომაც იყო, თვითონაც რომ ვერ გრძნობდა ისე, თიკოსთან განშორებით გამოწვეული გულგატეხილობა კოლას შეძენამ დააძლევინა და კოლა მისთვის მეტად საჭირო და აუცილებელ არსებად გადაიქცა. მუდამ მზად იყო ძმურად ხელი გაეწვდინა მისთვის. უმცროსი ძმის კეთილგანწყობა კოლასაც აიძულებდა მისი უცნაურობანი არ შეემჩნია, და ფოთში რომ მოუწია გამგზავრება, დედაქალაქიდან განშორების სინანულთან ერთად, შამშესთან მიჰყვებოდა კოლას მიერ უნებურად ჩანერგილი მხნეობა, მეტადრე პატარა კაცად კი არ აგზავნიდნენ, არამედ ქალაქის მთავარ ექიმად, ამ ჯერ კიდევ გამოუცდელ, ახლადგამომცხვარ სპეციალისტს. კომკავშირში გატარებულ წლებს უქმად არ ჩაუვლია და რაკი ენდვნენ მის ერთგულებას თუ გულმოდგინებას და ანდვეს მთელი ქალაქის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, თვითონაც სურდა თავი გამოეჩინა, წარსული წარუმატებლობაში სამუდამოდ გადაევიწყებინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამგვარი განწყობით ჩავიდა ფოთში და ჩასვლისთანავე მოაგვარა თავისი საქმეები რაიკომში. ბინაც იმავე დღეს გამოუყვეს, ერთი ფართო ოთახი, საავადმყოფოზე მიშენებული. მეორე დღეს კრება მოიწვია და გაეცნო ფოთელ ექიმებს, მესამე დღეს ფოთელმა ექიმებმა თავად მიიწვიეს პურმარილზე, ალბათ, უკეთ დაახლოების მიზნით. თავდაპირველად მიპატიჟებაზე უარის თქმას აპირებდა, მაგრამ როცა გაიგო, რომ რაიკომიც იქ იქნებოდა და ალმასკომიც, ცხადია, დათანხმდა და ოჯახში ეწვია ერთერთ ხელქვეითს, ხანშიშესულ ექიმ საჯაიას, რომელიც საკუთარ სახლში ცხოვრობდა ნიკო ნიკოლაძის კოშკის შორიახლო. იგი დროული, დარბაისელი და მარტოხელა კაცი იყო, მაგრამ თავის სახლკარს ჩინებულად უვლიდა. გაკრიალებული იყო მისი ეზო-კარმიდამო, მისი ოდა სახლის ოთახები.. მისი ყველაზე ძვირფასი განძი იყო მდიდარი ბიბლიოთეკა. იგი სრულიად მარტო იყო, არავინ ჰყავდა მახლობელი. ამბობდნენ. ცოლშვილი 1921 წელს დაელუპაო. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ ემიგრაციაში აპირებდა, თურმე, წასვლას, ცოლი და ერთადერთი ქალიშვილი საფრანგეთისკენ მიმავალ გემზე დასვა, თვითონ სხვა გემს უნდა გაჰყოლოდა ევაკუირებულ ჰოსპიტალთან ერთად, მაგრამ როცა შორეულ საფრანგეთისკენ კურსაღებული გემი მოშორდა ნაპირს, როდესაც ნაპირზე დარჩენილი გამცილებლები ჯერ კიდევ ცხვირსახოცების და ქუდების ქნევით ემშვიდობებოდნენ ზღვის სიღრმეში საყვირის გუგუნით შესრიალებულ ხომალდს, უეცრად იფეთქა ზღვაში რაღაცამ, გემმა წაიფორხილა და გვერდზე წაიფერდა. გამანადგურებელი ხანძარი მოედო გემბანს და თავზარდაცემულ ჭირისუფალთა თვალწინ სწრაფად ჩაიძირა თეთრი გემი მუქლურჯი ზღვის წიაღში, ნაპირისგან არც ისე მოშორებით.

ამის შემდეგ ჯიმშერ საჯაია ემიგრაციაში აღარ წასულა. იგი ფოთში დაბრუნდა და დასახლდა. თავის უბედურებაზე ლაპარაკს ერიდებოდა, ყურმოკვრით იცოდა ეს ამბავი ხალხმა, რადგან ჯიმშერი არასოდეს არავის არ აბეზრებდა თავს სოფლის სამდურავით და საკუთარ ჭირ-ვარამზე წუწუნით. მაგარი კაცი იყო. ჭაღარით შევერცხლილი, ჯაგარივით სქელი., შავი ხუჭუჭთმა ჰქონდა. მკვრივი აგებულებისას მზერაც მტკიცე და ურყევი უსხივდებოდა თვალთაგან. მაგრამ სიკეთეც თან სდევდა მის ურყევ სიმტკიცეს და ფოთში იგი ყველას უყვარდა. ამბობდნენ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნიკოლაძეების ოჯახთანო, ხოლო ერთხანს, გიორგი ნიკოლაძისებურად, ზაფხულის ცხელ დღეებში მოკლე შორტებით დადიოდა, თურმე, ქალაქის ქუჩებში, რაც ფოთელთა გაკვირვებას და უკმაყოფილებასაც იწვევდა, ვიდრე არ მიეჩვივნენ. ის იყო ფეხბურთის დიდი მოტრფიალე და ყველანაირად ხელს უწყობდა ამ თამაშის მომდევართ და მოყვარულთ. საერთოდ, ყველა გაჭირვებულს ხელს უმართავდა, მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო. არ ყოფილა შემთხვევა, ავადმყოფის მიღებაზე უარი ეთქვა ან ვინმეს გამოძახებაზე არ წაჰყოლოდეს, თუნდაც თვითონ ყოფილიყო შეუძლოდ, საკუთარი ერთცხენიანი ეტლით ანუ „პრალიოტკით“ ხშირად ხედავდნენ მას ქალაქის ერთი ბოლოდან მეორესკენ დაძრულს, ნებისმიერ ამინდში და ნებისმიერ დროს. მისი ცხენის ფლოქვების თანაბარ თქარუნს და ეტლის თვლების თავისებურ ჭრიალს ისე მიეჩვია მოქალაქეთა ყური რომ შინ მსხდარნიც დაუნახავად ხვდებოდნენ ვინ ჩაიარა წელან სახლის წინ, ჯიმშერ საჯაიას საკმაოდ დაბერებული დიდი ლურჯა ცხენიც პატრონივით დინჯი და დარბაისელი ჩანდა, აუჩქარებლად დააგორებდა ეტლს ალვის ხეებით შემოსაზღვრულ ქუჩებში, თითქოს წინასწარ იცოდა სად უნდა მისულიყო, მხოლოდ მოსახვევში თუ მოსწევდა ჯიმშერი ალვირს, მათრახს კი არასოდეს აკადრებდა. ამბობდნენ, ეს ცხენი ბათუმიდან ჩამოჰყვა, როცა ბოლშევიკებთან დამარცხების შემდეგ ქართული ჯარი დაიშალა და ყველამ თავის კუთხეს მიაშურა. ჯიმშერს სამედიცინო განათლება რევოლუციამდე რუსეთში ჰქონდა მიღებული, მსოფლიო ომის დროს თურქეთის ფრონტზე იყო ნაბრძოლი, უფრო სწორედ, საველე ექიმად ნამუშევარი, შემდეგ, დემოკრატიული საქართველოს არმიაში ერთერთ ჰოსპიტალს განაგებდა და როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ საბოლოო დამარცხების შემდეგ დაბრუნდა ფოთში, სადაც მას ყველა აფასებდა და პატივსცემდა, როგორც მკურნალს და როგორც მოქალაქეს. იგი დიდათ გამოცდილი კაცი იყო. მთელ ქალაქს იცნობდა იგი და მთელი ქალაქი იცნობდა მას. შამშეს თავიდანვე გულთბილად შეხვდა. მალე დაუახლოვდა და იმ ქეიფის შემდეგ, სადაც მთელი ფოთის საუკეთესო საზოგადოება გაიცნო, — რჩევით და მოქმედებით გვერდით ედგა, ეხმარებოდა საქმიანობაში. შამშემაც მყისვე იგრძნო, ამ ადამიანს უნდა დაყრდნობოდა ,მასთან თავისი თანამდებობრივი უპირატესობა დაევიწყებინა. პირველად გაიაზრა, რომ ყველაზე დიდი თანამდებობაც კი ფუჭია ჭეშმარიტი კაცური კაცობის წინაშე.

ჯიმშერი რომ არ ყოფილიყო, შამშეს ძალიან გაუჭირდებოდა უცნობ ქალაქთან შეგუება. ერთი ნაცნობიც კი არ ჰყავდა აქ, შავი ზღვის ერფეროვან, სილიან ნაპირზე გაშენებულ ქალაქში, რომელსაც განუწყვეტლივ ლოკავდნენ შორიდან მომავალი დაულალავი ზვირთები და მოწყენილ გუნებაზე აყენებდნენ შამშეს, როცა მარტო რჩებოდა თავის თავთან, თავისი განცდებისა და მოგონებების წინაშე. წიფლნარი სრულიად აღარ ახსოვდა, მაგრამ თბილისი ხშირად ენატრებოდა და რომ არა ჯიმშერ საჯაია, თანდათან, შეუმჩნევლად რომ აბამდა აქაური ცხოვრების მარტივ ორომტრიალში, ალბათ, თავს ვერ და-

აღწევდა გულში შემოპარულ სპლინს. მაგრამ ჯიმშერი სულ არ ტოვებდა მარტო, თითქოს გრძნობდა მის გუნებაგანწყობას. სამსახურის შემდეგ აუცილებლად შემოუვლიდა, ხან ნავსადგურში შემოსული უცხოური გემების საცქერლად მიჰყავდა და მერე ფეხბურთის მატჩზე, ამ უცხო გემის მეზღვაურებს რომ უმართავდნენ ადგილობრივი ბიჭები, ხან აქაურ სცენისმოყვარეთა სპექტაკლზე, ხან ავადმყოფთან, სადაც მიწვეული იყო და უხსნიდა შამშეს ავადმყოფობის ნიშნებს და მისი გამოცნობის და მკურნალობის საშუალებებს, ზოგჯერ რომელიმე დუქანში პატიჟებდა საპურმარილოდ, რადგან მხიარული დროსტარება ადამიანისთვის აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა და მტკიცედ სწამდა სიბრძნე ანდაზისა, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. მრავალჯერ უნახავს, სიკვდილმისჯილნიც კი, ერთად რომ არიან, კარზე მომდგარ სიკვდილზე არ ფიქრობენ, რაღაცნაირად ახერხებენ სხვა საგანზე ფიქრის გადატანას, მხოლოდ სრული მარტოობა აყენებს ადამიანს უნუგეშო მდგომარეობაში და მაინც მარტოობაა მისი ხვედრი, რადგან ადამიანმა მხოლოდ საკუთარი თავი იცის და მეტი არაფერი. როგორც ექიმი ბევრჯერ დარწმუნებულა იმაში, რომ არ იცოდა რა სტკივა სხვას, როგორ სტკივა, რას განიცდის და ფიქრობს ამ ტკივილის დროს. ამის ცოდნა და მით უმეტეს განცდა, შეუძლებელი იყო. მან მხოლოდ ვარაუდით იცოდა ეს ყველაფერი, მაგრამ ვარაუდი და სიზუსტე სხვადასხვა რამ არის და საბოლოოდ იმ აზრამდე მიდიოდა რომ პირადი შეგრძნებების გარეშე სამყარო არ არსებობს. ამავე დროს ადამიანის ყველაზე უმაღლეს დანიშნულებად მოყვასის თანადგომა მიაჩნდა. მისი ხელობა სწორედ მოყვასის თანადგომას გულისხმობდა, მაგრამ ეს უკვე ხელობა აღარ იყო მისთვის, არამედ მოწოდება, როგორც მგოსნისთვის ლექსის შეთხზვა ან მხატვრისთვის ხატვა. სხვებზე ზრუნვა იყო მისი ხასიათის ნიშან-თვისება, ის ასეთი კაცი იყო და ამიტომ ზრუნავდა უცხო ქალაქში ჩამოსულ ახალგაზრდა შამშეზე, რომელსაც საკმაოდ რთული მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული, გამოუცდელობით კიდევ უფრო გაძნელებული. რასაკვირველია, თვითონ შამშეც თვალში მოუვიდა და ესეც იყო მისი ზრუნვისა და ყურადღების მიზეზი. ის კარგად ხედავდა შამშეს ნაკლოვანებებს. მის სიფიცხეს და თავშეუკავებლობას, ხელქვეითებთან მედიდურობას და ზოგჯერ უკმეხობასაც კი, რის გამო ზოგჯერ უკმაყოფილო თანამშრომლები ზურგს უკან საყვედურობდნენ, მაგას რა დიდი გოზლა ჰგონია თავისი თავიო, — მაგრამ ამჩნევდა იმასაც, რომ ეს იყო შედეგი სათანადო გაუწვრთნელობისა, რადგან ბუნებით გულჩვილ შამშეს გაჭირვებული ადამიანი ეცოდებოდა, შეცოდების და თანაგრძნობის უნარი კი დიდი ღირსება იყო ჯიმშერის თვალში. ამიტომ თვლიდა შამშეს ღირსეულ კაცად და პირველ ხანებში ღიმილს ჰგვრიდა მისი მდაბიო ოჯახისშვილობით გამოწვეული არასრულფასოვნების განცდა, რომლის დაძლევას მეტად სასაცილო ხერხით, საუბარში უცხო სიტყვების, განსაკუთრებით ლათინურის ჭარბად ჩართვით ცდილობდა. ეს სრულიად არ აღიზიანებდა ჯიმშერს, პირიქით, ართობდა კიდეც, თუმცა ცოდნის გამომჟღავნების ამგვარი საშუალება სისულელედ მიაჩნდა. იგი მოთმინებით ეგუებოდა შამშეს პოლიტიკურ უმწიფრობასა და მერყეობასაც, რადგან შამშე იყო კაცი, რომელიც გავრცელებული სტერეოტიპებით აზროვნებდა, თუკი ამას აზროვნება ჰქვია. მას თავი ბოლშევიკად მიაჩნდა, ბოლშევიკების ყოველგვარ მოქმედებას იცავდა და მსჯელობისას ყოველთვის მათ მხარეს იდგა, მაგრამ ამ უკანასკნელთა მიერ ჩადენილ განსაკუთრებულ სისასტიკეზე თუ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი ზოგიერთი ფანატიკოსივით ვერ ახერხებდა ბოლშევიკთა

ეგრეთწოდებული „ურყევი სიმტკიცის“ გამართლებას, ვერ პოულობდა მათი სისწორის დამადასტურებელ საბუთებს, იბნეოდა, აშკარად ეტყობოდა, რომ წამებულთ და დაჩაგრულთ თანაუგრძნობდა, თუნდაც ისინი რევოლუციის მტრები ყოფილიყვნენ და ჯიმშერისთვის ნათელი ხდებოდა, რომ ამ ჭაბუკს ადამიანი ეცოდებოდა და ეს იყო მისი მთავარი ღირსება.

გარდა ამისა, ახალგაზრდობაც უდიდესი ღირსება იყო ჯიმშერის თვალში, ადამიანის სიცოცხლის ეს განუმეორებელი ხანა, იმედებით, სიხალისით და შეცდომებით ალსავსე. თვითონ უკვე ხანდაზმული კაცი იყო და ახალგაზრდებთან ურთიერთობა უდიდეს სიამეს ჰგვრიდა. მაგრამ ახალგაზრდა მას უყვარდა ლაღი, ჰარმონიული, გონებით და სხეულით განვითარებული, რადგან მტკიცედ სწამდა, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია და როგორც ექიმი და ძველი „შევარდენისტი“ დიდ ყურადღებას აქცევდა სხეულის წვრთნას, ტანვარჯიშს, ცურვას, ცხენოსნობას, ბურთაობას, ჭიდაობასა და კრივს. როცა შეიტყო, რომ შამშემ ცურვა არ იცოდა, ურჩია ამ ხარვეზის გამოსწორება და თვითვე აილო ეს საქმე თავის თავზე. ერთ მშვენიერ დღეს, ეტლში ჩაისვა და მალთაყვაში მიიყვანა. ზღვა არ იძროდა, იდგა როგორც მყარი საგანი და ირეკლავდა ძირს დახრილი მზის ბრჭყვიალა სხივებს. სწორი და გადაგლესილი სილიანი ნაპირი უკაცრიელი ჩანდა, მაგრამ როცა ჯიმშერმა ეტლი გააჩერა, მოშორებით ხის ქვეშ წამოწოლილი ორი ახალგაზრდა წამოდგა და მათკენ გამოემართა. ერთი მათგანი მყისვე იცნო შამშემ, ეს დარდიმანდი ჭაბუკი შალიკო გაბუნია საკმაოდ ცნობილი იყო ფოთში. შამშეს იგი ფეხბურთის თამაშის დროსაც უნახავს, ქუჩაში უდარდელად მოსეირნეც, დუქანში არხეინად მოქეიფეც. პირადად არ იცნობდა, მაგრამ გაგებული ჰქონდა, რომ საუკეთესო ვაჟკაცად ითვლებოდა ამ ქალაქში, გარეგნობითაც შნოიანი, მაღალი, მხარბეჭიანი, შავქოჩორა. ამოწკეპილი ჩექმები ეცვა, თეთრი ხალათი წელზე ქამარშემოჭერილი. მეორე — ბევრად ახალგაზრდა ჩანდა, ოციოდე წლისა თუ იქნებოდა. ეს ბიჭი შამშეს ადრე არ შეუმჩნევია. ისინი ეტლთან მოვიდნენ გალიმებულნი, ხელის ჩამორთმევით მიესალმნენ ჯიმშერს და შამშეს.

— ამათზე უკეთესი მოცურავეები ფოთში არ მეგულება, ესენი იქნებიან შენი მასწავლებლები, — უთხრა ჯიმშერმა შამშეს.

— სიამოვნებით, — გაიცინა შალიკომ.

შამშე მიხვდა, რომ ჯიმშერს ეს ყმაწვილები საგანგებოდ ჰყავდა აქ დაბარებული.

— ეს ჭაბუკი შალიკო გაბუნია გახლავთ, ამ ყმაწვილს კი ფოთში ყველა ჩარირამას ეძახის, ისე კარგად მღერის ამ სიმღერას, — დაუმატა ჯიმშერმა.

ახალგაზრდები გახდას შეუდგნენ. ჩარირამამ სწრაფად გაიძრო ტანსაცმელი და უცებ შამშე გაოცებული მიაჩერდა მის გარუჯულ სხეულს, მთელი კანი წვრილი, მუქი ფორაჯებით ჰქონდა დაწინწკლული, თავიდან ფეხებამდე.

— რა სჭირს ამ ყმაწვილს? — მიუბრუნდა იგი ჯიმშერს.

ჯიმშერმაც თვალი შეავლო ტანთგახდილ ჩარირამას, სილაში ნელა რომ მიაბიჯებდა.

— ავადმყოფობა არ გეგონოს, ჩეკას კვალი, ჩემო ბატონო!

ისინი „პრალიოტკაში“ ისხდნენ და ნელა იხდიდნენ ტანსაცმელს, სადავეახდილი ცხენი ხის ჩრდილში ბალახს იწიწკნებოდა, ჩარირამა კი თავთხელ წყალში შედგაფუნდა და ზღვის გლუვი ზედაპირი ააჭყუმპალა. შორს, ჰორიზონტზე, წერტილივით მოჩანდა ლურჯ სივრცეში მოსრიალე გემი, მისგან ასვეტილი ბოლი კრიალა ცაში იფანტებოდა, ჩარირამას წყალი ჯერ მხოლოდ მუხლებამდე სწვდებოდა და შეიძლებოდა გეფიქრა, რომ იგი იმ შორს მიმავალ გემს მისდევდა. ამასობაში შა-

ლიკომაც გაიხადა და ჩარირამას გამოეკიდა. მალე მათ ღრმა წყალს მიაღწიეს და ცურვა დაიწყეს.

— აქ ნაპირი ძალიან დაბალია, ჩავიდეთ ჩვენც! — ჯიმშერი „პრალიოტკიდან“ ჩამოხტა, სადაც ტანსაცმელი დატოვა, და სილაში გაბიჯა.

— ჩეკა რა შუაშია? — უკან მიჰყვა შამშე.

სილა თბილი იყო, შრიალა, ფხვიერი. ზღვას რომ მიუახლოვდა, ჯიმშერი სილაში ჩაჯდა, შამშეც გვერდით მიუჯდა. პირველყოფილი სიწყნარე სუფევდა ირგვლივ.

— ეს ბიჭი, ჩარირამა, ოცდაოთხ წელს ჩეკისტებმა აწამეს! — წყნარად თქვა ჯიმშერმა, პეშვით სილა აიღო და ისევ დაყარა — მაშინ პატარა იყო, ფეხებით ჩამოჰკიდეს ხეზე და ანთებული პაპიროსით დაუწვეს მთელი ტანი. იმიტომაც აქვს კანი ასე დაწინწკლული!

— რატომ, რა დააშავა? — წამოიძახა შამშემ.

— არაფერი.

— არაფრისთვის ხალხს არ სჯიან.

— საკუთარი ბიძაშვილი არ გასცა, არ ჩაუგდო ჩეკას ხელში, — ზიზღით გაიცინა ჯიმშერმა, — ესანი ამას დანაშაულად თვლიან, ჩემო ბატონო. თურმე დედა, მამა, ძმა და შვილი არ უნდა გიყვარდეს, მხოლოდ პარტია ბოლშევიკებისა, რომელმაც საწყალი საქართველო ისევ რუსეთის საჯიჯგნად აქცია. — ჯიმშერი გაჩუმდა და შამშეს შეხედა, მაგრამ რაკი შამშე ხმას არ იღებდა, ისევ განაგრძო: — ოცდაოთხი წლის გამოსვლებისას ჩარირამა აჯანყებულებს ეხმარებოდა, თოთხმეტი წლის ბალღი იყო და შიკრიკის მოვალეობას ასრულებდა. აჯანყება რომ დამარცხდა, ჩარირამას უფროს ბიძაშვილს იონას ტყვიამფრქვევი უპოვნეს და დაიჭირეს, მაგრამ ვერაფრით ვერ ათქმევინეს ვისთან ჰქონდა კავშირი, მთელი ოჯახი შეჰყარეს ციხეში, ჩემო ბატონო, დედა, მამა, დები, ძმები, იონას თვალწინ აწამებდნენ ამ უდანაშაულო ხალხს, რომელთაც არაფერი იცოდნენ, მაგრამ მაინც სიტყ[illegible] აცდენინეს იონას. მერე [illegible] მაზე მიდგა, ეგონათ ბალღია, ადვილად გამოვტეხავთო, ხეზე ჩამოკიდეს და ანთებული პაპიროსით დაუწვეს სხეული, მაგრამ ვერ გატეხეს, ვერ ათქმევინეს, გაუძლო ჩარირამამ წამებას, არ გასცა არავინ, უდიდესი სიმტკიცე გამოავლინა ამ ბალღმა. მაშინ იონა დახვრიტეს ციხის ეზოში, ჩარირამა როგორც უწლოვანი, ციმბირში გადაასახლეს, იქ ბონდო კეკელიას და პოლიკარპე გეგეშიძის შემწეობით გაიტანა თავი, და სასჯელი რომ მოიხადა, დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ ოჯახი განადგურებული დაუხვდა, ჩემო ბატონო, მშობლები დახოცილი, სახლი დამწვარი, ერთი და სამეგრელოში იყო გათხოვილი და ის გადარჩა. ჩარირამამ ფოთს მოაშურა შალიკო გაბუნიას, შალიკო და იონა ერთად იბრძოდნენ ბათუმის განსათავისუფლებლად, მეც გაგებული მქონდა მაგ ოჯახის ამბავი და იონასა და ჩარირამას გმირობა, შევუწყეთ ხელი, ვუშოვეთ სამსახური, თავშესაფარი, ჰოდა, ცხოვრობს ახლა ფოთში, ნამწვავები კი სამუდამოდ დააჩნდა ტანზე, ასე რომ, ავადმყოფობა არაფერ შუაშია, პირიქით, დიდად ჯანმაგარი ყმაწვილია ეს ჩვენი ჩარირამა.

— ყველაფერი ტალახაძისა და ობოლაძისთანა სადისტების ბრალი იყო, დასავლეთ საქართველოში ეგენი ხელმძღვანელობდნენ რეპრესიებს, — წამოიძახა შამშემ.

— ცალკეულ პირებს ნუ დავაბრალებთ ყოველგვარ უბედურებას, მაგნაირ სადისტებს საბჭოთა ხელისუფლებამ გადაუშალა ფართო ასპარეზი, მათი მოქმედება პოლიტიკის დონემდე იქნა აყვანილი, — წყნარად წარმოსთქვა ჯიმშერმა.

— ისე ბრძოლას ვერ მოვიგებდით!

— გამარჯვება გამარჯვებისთვის უაზრობაა. გამარჯვებას უნდა ჰქონდეს მიზანი. ის რა გამარჯვებაა, რომელსაც

ამდენი უბედურება და უსამართლობა მოჰყვება? ეს სატანის გამარჯვებაა! შენ კარგი ბიჭი ხარ, შამშე, მაგრამ მტყუანისა და მართლის გარჩევა თუ არ ისწავლე, მტერი მოყვრისგან თუ ვერ განასხვავე, შეუდარებლად შენს მშობელ ხალხს ზიანს მოუტან. მიყვარხარ და იმიტომ გეუბნები ასე გულახდილად ყველაფერს, გენდობი, როგორც პატიოსან კაცს და არ მეშინია, რომ ამ ლაპარაკისთვის ჩეკაში დამასმენ. იცოდე, შიშმა ღირსება არ უნდა დაგაკარგვინოს, ისიც იცოდე, საბჭოთა ხელისუფლებამ ხელახლა აღორძინა რუსეთის იმპერია და ხელახლა დაუმორჩილა შენი სამშობლო საქართველო ამ იმპერიას. მაგრამ ყოველთვის ასე არ იქნება იმპერიების დროც წავა. ცხოვრება, ჩემო ბატონო, ამ სილის გროვასავითაა, — მან სილა აიღო პეშვებით, მაღლა ასწია მოკუმული ხელები, მერე მუჭი გაშალა და სილა ძირს დაყარა, — ყველაფერი იშლება, დღეს რაც მყარი გგონია, ხვალ შეიძლება ძალიან მყიფე შეიქნეს...

იმ დღიდან შამშე შალიკოსა და ჩარირამას დახმარებით ცურვას სწავლობდა. ეს ბიჭებიც კარგად გაიცნო. ორივეს სძულდა კომუნისტები. ამას აშკარად არ ამბობდნენ, მაგრამ ზოგჯერ ისეთი რამ წამოსცდებოდათ, თქმა რად უნდოდა? და შამშე საგონებელში ვარდებოდა ამგვარი განწყობილების ხალხთან რომ დაიჭირა საქმე, ჩეკამ რამე არ იფიქროს ჩემზე ცუდიო. მეორეს მხრივ, ჩარირამას და შალიკოს ისე დაუახლოვდა, რომ უიმათოდ აქაურობას ის ლაზათი არ ექნებოდა. მალე ცურვაც ისწავლა. მართალია, წყლის ეშინოდა და სიღრმეში შეცურვას ვერ ბედავდა, მაგრამ ზედაპირზე ტივტივი და წყალში თავის შეკავება თამამად შეეძლო. ესეც გამარჯვებააო, განაცხადა ჯიმშერმა და ამ მოვლენის აღსანიშნავად ახალგაზრდები სადილზე დაპატიჟა რიონისპირა რესტორან „ფაზისში". კოხტა რესტორნის წითელი კრამიტით გადახურული [illegible] აივანი მდინარეს გადაჰყურებდა [illegible] -რებული რიონის გაღმა მოჩანდა მწვანედ გადაშლილი უსიერი ჭალები, სადღაც, ნისლში მცურავ ლურჯი მთების ძირამდის გაჭიმული.

ჯიმშერმა სწორედ ეს აივანი აირჩია საპურმარილოდ, თუმცა მედუქნეები ცალკე კაბინეტს სთავაზობდნენ საპატივცემულო სტუმრებს. შამშე მოაჯირს დაეყრდნო და მდინარის მომწვანო ზედაპირს დააკვირდა. წყლის სუნი ეამებოდა, ჭაობებიდან ბაყაყების გაბმული ყიყინი ისმოდა, შორიახლო მეთევზის ნავმა ჩაიარა და ნიჩბების მშვიდმა ტყლაშუნმა სმენა ჩააწყნარა. შესართავთან ზღვა მოჩანდა ლურჯად მოლივლივე...

სუფრა სწრაფად გაიშალა, ღვინო მოართვეს. ცოტა წაიხემსეს, თითო ჭიქის დალევა ძლივს მოასწრეს, რომ აივანზე ხმაურით შემოიჭრა მხიარული ჯგუფი. ორ გამოპრანჭულ ახალგაზრდა რუსის ქალს და ერთ წვერულვაშგაპარსულ ჰალსტუკიან რუსის კაცს სამი ულვაშიანი ქართველი ჩეკისტი ახლდა, ამოწკეპილ ჩექმებში, გალიფე შარვლებში, წელზე ქამარშემორტყმულნი, ქამარზე პისტოლეტჩამოკიდებულნი. ქალები მყისვე მოაჯირს გადაეყარნენ და შეაფასეს ბუნება. მაინცადამაინც არ მოეწონათ აქედან გადაშლილი ხედი, თან ზოგჯერ დამხვდურთაკენ აპარებდნენ მალულ მზერას.

— ესენი პურმარილს ჩაგვაშხამებენ, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა შალიკო გაბუნიამ.

— ნუ მივაქცევთ ყურადღებას, ჩვენ ჩვენთვის ვიყოთ!

— ჯანდაბას მაგათი თავი, მოეშვით. მოდი, საქართველოს გაუმარჯოს! — წარმოთქვა ჯიმშერმა.

— რომელს, სსრკ-მ რომ მიისაკუთრა? — გესლიანად გაიცინა შალიკომ.

— იცით, რას ნიშნავს სსრკ? თუ გავშიფრავთ ასე გამოვა: საწყალ სა-

ქართველოს რუსეთი კლავს! — წამოიძახა ჩარირამამ.

— ჩუმად, ბიჭო, ვინმემ არ გაგიგოს! — გააფრთხილა ჯიმშერმა.

მაგრამ ეტყობა, ერთერთმა ჩეკისტთაგანმა ყური მოჰკრა ჩარირამას უკანასკნელ სიტყვებს. ეს ახოვანი ქართველი ვაჟკაცი ქალებს მიუახლოვდა, ორთავეს მკლავში ხელი გაუყარა და სწორედ იმ დროს, ჩარირამამ სსრკ-ს მნიშვნელობა თავისებურად რომ ახსნა, სწრაფად გამოიხედა მისკენ და ასევე სწრაფად აარიდა მზერა. ქალბატონები აივნის მეორე კუთხეში უკვე გაშლილ სუფრასთან მიიწვია. იგი მაღალი, ძლიერი მამაკაცი ჩანდა, პირგაპარსული, ოთხკუთხედ ულვაშიანი, თავზე ჩეკისტის ქუდი ეხურა. მისი უცნაური მიხვრა-მოხვრა და მჟღერი ხმა ძლიერ ეცნო შალიკო გაბუნიას და უცებ, მოაგონდა...

...რაზმის მეთაური, ოცდასამი წლის ქუთაისელი ვაჟკაცი, გიორგის ჯვრის კავალერი და ოქროს ხმლის მფლობელი პორუჩიკი შავგულიძე მათ თვალწინ განგმირა ასკერის ტყვიამ. ბათუმი კი იხსნეს, მაგრამ ქართული ლაშქარი დამარცხებული და დაშლილი იყო. შალიკო და იონა შინ გამობრუნდნენ, მაგრამ ხმა გავრცელდა ბოლშევიკები ყველას განურჩევლად ხვრეტენო. ლანჩხუთს რომ მოუახლოვდნენ, ერთ მიყრუებულ საყდარში თავის შეფარება გადაწყვიტეს, ვიდრე მდგომარეობა გაირკვეოდა. იონამ იცოდა, რომ იქ ვიღაც მარტოხელა ბერი ცხოვრობდა. ეკლიან ჯაგებში ჩაკარგული ბილიკით ძლივს გაიკვლიეს გზა მთის წვერამდე და დაღლილ-დაქანცულნი მიადგნენ საყდარს. შუაღამე იყო, თვალწინ თითს ვერ მიიტანდი. კარს მიუკაკუნეს და ომახიანი ხმა შემოესმათ, ვინა ხართო? ქართველები ვართ, პატიოსანი ხალხი, მიუგო იონამ. ცოტა ხნის შემდეგ მძიმე კარი გაიღო და ზღურბლზე ჭრაქით ხელში გამოჩნდა გახუნებულ ანაფორაში გახვეული ბრგე მამაკაცი. შავი წვერი მკერდამდე სწვდებოდა; აჩეჩილი თმა მხრებამდე ჰქონდა ჩამოშვებული. იარაღში ჩამჯდარ უდროო სტუმრებს უშიშრად–შეეგება, შინ შეიყვანა და ჭრაქი თაროზე ჩამოდგა. დილამდე დამარცხებულ მეომრებთან ერთად სვამდა იმათ ამოტანილ არაყს და წამით არ დატყობია ზარხოში. მთელი ღამე აგინებდნენ ბოლშევიკებს, გაქცეულ მთავრობასაც და ამ ბერს ბერისა არაფერი ეტყობოდა, იგი უფრო მებრძოლს ჰგავდა და შალიკოს ეჭვიც კი შეეპარა, ესეც ჩვენსავით ხომ არ ემალება ვინმეს აქაო. სწორედ მაშინა თქვა, ბათუმელი თუთბერიძე ვარ, კარგა ხანია განვუდექ საერო ცხოვრებასო. მეორე დღეს საკანი დაასუფთავა, სარეცხი დარეცხა, პური და სადილი მოამზადა, თან ბოდიში მოიხადა, ლობიოს გარდა ვერაფრით ვერ გაგიმასპინძლდებითო. ყველაფერს ამას ხალისით აკეთებდა, გამობრძმედილი დიასახლისის მონდომებით და ხის ქვეშ ნაბადზე წამოწოლილი შალიკო ინტერესით უთვალთვალებდა ბერს. საღამოს ილოცა მუხლმოდრეკილმა ერთადერთი ხატის წინაშე. იმ ღამეს ისევ სვეს და ისევ აგინეს ბოლშევიკები და საქართველოს ყველა მტრები. საკმაოდ შეთვრნენ, თვლემა მოერიდათ, ლაპარაკის ხალისი დაეკარგათ. საკანში მხოლოდ ორი ტახტი იდგა, ერთერთს იატაკზე უნდა გაეშალა ლოგინი და მაშინ ბერმა თქვა მაგ ტახტზე ორივენი დაეტევით, რა სჯობს, როცა მეგობრები ერთად წვანან ლოგინში ხელიხელგადახვეულნი, თუ გნებავთ, ერთ-ერთი მე შემომიწექითო. შალიკოს გაეცინა, ცოტათი გაუკვირდა კიდეც, მაგრამ იმ ჟამად ყურადღება არ მიუქცევია და იატაკზე გაიშალა ნაბადი, რადგან იონასთან წოლი ჰყარა და იატაკზე დაწოლა მას ერგო. მეორე დღეს იონა სოფელში ჩავიდა ამბის გასაგებად. დაღამდა, გაზაფხულის პირი დგებოდა და ტყეში ტურები ჩხაოდნენ. ადამიანის მოთქმას ჰგავდა ტურის კივილი, უსიამოვნო გრძნობას ბადებდა. „რამ-

დენი ხანია ამ ტყეში ცხოვრობთ?" შეეკითხა შალიკო ბერს. „ხუთი წელია უკვე", უპასუხა ბერმა. „და ამ ხნის განმავლობაში აქედან არ გასულხართ, მამაო?" „არა, აქედან ფეხი არ მომიცვლია და არც ვიცი რა ხდება ქვეყნად„ ხანდახან, წელიწადში ერთხელ, სურსათი ან ნავთი რომ შემომაკლდება, ჩავდივარ ცოტა ხნით სოფელში და მაშინ თუ გავიგებ რამეს." „საქართველო რომ ისევ დაიპყრო რუსეთმა?" „ეგ ვიცი, მესმოდა ზარბაზნების გრიალი და საგანგებოდ ჩაველი ამასწინად სოფელში ამბის შესატყობად".

მერე ბერი მუთაქაზე მიყრდნობილ, ნაბადმოხურულ შალიკოს ტახტზე ჩამოუჯდა და ლაპარაკი გაუბა, მე ვარ დიდად ტანჯული და ცოდვილი კაციო, უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილიო, ერთ დროს არაფერი მაკლდა, არც სახელი, არც ქონება, არც ქალების ყურადღება, ბრწყინვალე ოფიცერი ვიყავი, მაგრამ შემემთხვა ისეთი რამ, რამაც ცხოვრებიდან გამრიყა, საკუთარმა ძმამ ლამის სასიკვდილოდ გამიმეტა, მისმა ნასროლმა ტყვიამ თითქმის გულთან გამიარა, ბერმა ანაფორა გადაიწია და ლავიწის ძვლის ქვემოთ ნატყვიარი დაანახა შალიკოს. მაგრამ არ გაემტყუნება, იმას ენაცვალოს ჩემი თავი, დამნაშავე მე ვიყავი და გავეცალე ყველას, ვინც მიყვარდა, იძულებული გავხდი მახლობელი ადამიანები მიმეტოვებინა და ამ ტყეში შემეფარებინა თავი, ეს საყდარი უპატრონოდ იყო მიტოვებული, მე შევაკეთე, აქ დავიდე ბინა სრულიად განმარტოებულად, ახლა მხოლოდ ლოცვით ვსულდგმულობ და ღვთის მოწყალების იმედით...

იგი გულმხურვალედ ლაპარაკობდა და თვალთაგან ცრემლი სდიოდა. ჭრაქის ალზე ჩახრჩოლებული თვალის უპეები უპრიალებდა. დრო და დრო ტურები ისევ ჩხაოდნენ. ყველანი ცოდვილნი ვართ ამ ქვეყნად და ყველას გვაქვს ჩვენი ადამიანური სისუსტე, განაგრძო ბერმა, ამავე დროს ყველას გვაქვს უფლება შეწყალებულ ვიყოთ მოყვასისაგან. იმედი მოწყალებისა, ერთადერთი იმედია, რომელიც ასულდგმულებს ადამიანს და მე გთხოვ გამიგო, ჩემო შალიკო, შენ, როგორც უებრო ვაჟკაცმა ჩემი გაჭირვება უნდა დაინახო, უნდა მიშველო, უნდა მიხსნა ჯოჯოხეთის გიენისაგან...

— რა გნებავთ, მამაო, რით გიშველოთ? — ჰკითხა შალიკომ.

— უნდა იცხოვრო ჩემთან!..

პირველად შალიკო ვერც მიხვდა, რას ეუბნებოდნენ, გაკვირვებული მისჩერებოდა აცახცახებულ ბერს...

— უნდა შემიწყალო, ჩემო შალიკო, მე ეს უბედურება მჭირს და ახლა შენ იცი და შენმა კაცობამ...

ამჯერად შალიკო აზრზე მოვიდა, წამოიწია, გვერდზე ხელი გაიკრა და მაუზერის ბუდიდან ამოღებას შეუდგა. მაგრამ ბერი თუთბერიძეც მყისვე წამოიმართა, დაძარღვული ხმელი ხელი ცელივით მოიქნია და ისეთი მოსდო შალიკოს, თავი კედელზე მიახეთქებინა. წამით შალიკოს თვალთ დაუბნელდა და როცა ისევ გონს მოვიდა, საკანში არავინ იყო. ბერი გაქრა, როგორც მოჩვენება, თითქოს არც არასდროს ყოფილა, თაროზე ჩამოდგმული ჭრაქი კი კვლავ შიშინით ბოლავდა...

შალიკომ თვალები მოიფშვნიტა და კიდევ ერთხელ დააკვირდა ნაბერალ ჩეკისტს. ნუთუ მართლა თუთბერიძე იყო ეს კაცი? იმ ამბის შემდეგ ამ ადამიანზე არაფერი სმენია. მხოლოდ იონას გაანდო იმლამინდელი ამბავი, მერე იონა დახვრიტეს, თვითონ ჩეკას გადაურჩა და ახლა წყნარად ცხოვრობდა, თუთბერიძე აღარც კი მოჰგონებია, რამდენი ასეთი მანკიერი ადამიანი ცხოვრობს ქვეყნად, მაგრამ თუ ნაბერალი ჩეკაში შეაღწევდა, არ ელოდა და არც იყო მთლად დარწმუნებული, რომ მეზობელ მაგიდასთან მჯდარი თმაგაკრეჭილი და წვერგაპარსული ჩეკისტი, სწორედ ის იყო, ვინც ეგონა.

ცოტა ხანში მეზობელი სუფრა ახმაურდა და გამხიარულდა. ქალები კაცების თანაბრად სვამდნენ, გამომწვევად კისკისებდნენ და ძალაუნებურად ყურადღებას იქცევდნენ, ორივე ჯგუფი ერთმანეთს მალულად ზვერავდა და თან ვითომ ყურადღებას არ აქცევდა. გადახრილი მზე მდინარის ლურჯ ზედაპირს წითლად აფერადებდა და გაღმიდან ისე ისმოდა ბაყაყების გაბმული ყიყინი.

რუსები ამღერდნენ, ორივე დედაკაცი და მამაკაცი ერთ ხმაზე გაჰკიოდნენ, ყვირილს უფრო ჰგავდა მათი სიმღერა, უსასრულო სივრცის სიცივით გათანგულს, გამყინავს და მარტივს. იმათი თანმხლები ქართველების ლაქიური ბანი საქმეს ვერ შველოდა და უცებ, ჩარირამამ კრიმანჭული აარაკრაკა, მაღლა-მაღლა მწვანედ ჩახუჭუჭებული ფოთლებიდან თეთრად მოჭირხლული ლურჯი მთებისკენ ამავალი ბილიკი აიარა თითქოს, შალიკომ შესანიშნავად აუწყო ხმა, გეგონებოდა მხრით შეეშველა ძნელ გზაზე მიმავალს, და ჯიმშერმაც ბანი ააგუგუნა, როგორც ბნელ ხეობაში მოულოდნელად მოვარდნილი ექო; რუსებმა კიდევ უფრო მოუმატეს ღრიალს, მაგრამ კრიმანჭული ცას წვდებოდა და სიმღერაზე მწყრალად მყოფი შამშეც კი ცდილობდა თავისი უხეირო ღიღინით უფრო მაღლა აეტაცა თანამოინახეთა მიუწვდომელი ნავარდი. იგი მოზღვავებულ სისავსეს და სიამაყეს გრძნობდა იმის გამო, რომ ეს უებრო მწყობრი სიმღერა, რომელსაც ასე მწყობრად ასრულებდნენ მისი მეგობრები, ქართული სიმღერა იყო, აქაური მიწის საიდუმლოს მატარებელი, მისი ხალხის მიერ ოდესღაც შექმნილი სადღაც ბნელი საუკუნეების სიღრმეში, ამ განიერი მდინარის ნაპირებზე გადაჭიმული დაბლობის ბოლოს აღმართულ მთებში, ესოდენ მშობლიურ გარემოში, ამავე გარემოს სულის გამომხატველი და იდუმალების დამტევი, მახლობელი და გასაგები, უცნაური და არაჩვეულებრივი, და ტანში ჟრუანტელი უვლიდა მოულოდნელად [illegible]-ბულს.

რუსებმა სიმღერა შეწყვიტეს, ცნეს დამარცხება. ერთერთი ქალი წამოდგა, ბარბაცით გამოემართა მათი მაგიდისკენ, ჯიმშერის გვერდით, თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა. კრიმანჭული დამთხვრდა.

— ყოჩაღ ბიჭებო! ახლა რამე იმღერეთ რუსულად!

— საიდან მობრძანდით მშვენიერო მზეთუნახავო? — ჰკითხა ჯიმშერმა.

— მეზობელი სუფრიდან!

— მაგას არ გეკითხებით. რომელი ქვეყნის კუთხიდან, რომელი მხრიდან?

— ჩვენ მოსკოველები ვართ!

— ეს ამხანაგები ცენტრიდან ყოფილან! — პათეტიკურად წარმოსთქვა ჩარირამამ და ჩაიხითხითა.

— ჩემი ქმარი სახალხო კომისარია ჩვენ აქ, სამხრეთში დასასვენებლად ჩამოვედით და ახლა გემით ვმოგზაურობთ!..

— შესანიშნავია! რა სჯობს გემით მოგზაურობას დედამიწის გარშემო!

— დედამიწის გარშემო?

ეს ქალი ვერ გრძნობდა ჯიმშერის ნაძალადევად ზეაწეულ სახუმარო კილოს და ეჭვით უცქერდა მას. ამასობაში მეორე ქალიც გამოემართა აქეთკენ, თან სკამი მოიტანა, თავის მეგობარს გვერდით მიუჯდა და უსაყვედურა სუფრის მიტოვების გამო.

— ერთი მაგათი, ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ! ეს ჩემი მეგობარი ვალია გახლავთ, მე თვითონ დუსია მქვია.

— დუსია და ვალია! გაგიმარჯოთ თქვენ ჩრდილოეთიდან მოფრენილ თოლიებს ამ ჩვენს საწყალ ქვეყანაში. თოლიებს როგორმე გავუძლებდით შავი ყორნები სამუდამოდ რომ არ იბუდებდნენ ჩვენს პატარა მიწაზე. მაგრამ ვინძლო ოდესმე სხვა ქარმა დაბეროს. მოდით ქალბატონებო, იმ ქარს გაუმარჯოს! — წარმოსთქვა ჯიმშერმა, ქალებს ჭიქა მიუჭახუნა და გადაკრა.

ქალებმა ვერაფერი გაიგეს, მაგრამ

ღვინო მაინც შესვეს. შალიკომ და ჩარირამმ სადღეგრძელოს ცედური მრავალჟამიერი მოაყოლეს, დუსიას ქმარიც, სახალხო კომისარი, თუ ის მართლა დუსიას ქმარი იყო და თან სახალხო კომისარიც ბრძანდებოდა, წამოდგა და ჯიქურ აქეთ გამოემართა. ახოვანი ჩეკისტი, შალიკომ ბათუმელ თუთბერიძედ რომ მიიჩნია, უკან გამოყვა. კომისარი მაგიდასთან შეჩერდა, თვალებში ზიზღი და ბრაზი მოსწოლოდა. რუსული სიცივე, უხეშობა და სიძულვილი ყოველივე არარუსულისადმი აშკარად იხატებოდა მის იერში.

— აბა ადექით, და აქედან მოუსვით! — შეგინებასავით მიმართა ქალებს.

— მორჩი ერთი, მე აქ მსიამოვნებს, — სიტყვა აუგდო დუსიამ.

— თქვენ რა ტურებივით კივით? — თვალები დაუბრიალა კომისარმა მომღერლებს.

სიმღერა მოღვენთილი სანთლის ალივით ჩაქრა.

— ტურებივით ვკივით თუ მგლებივით ვღმუით, ეგ შენი საქმე არ არის, — ცივად უთხრა შალიკომ.

— ეხლავე შეწყვიტეთ ეგ ღმუილი, თორემ მუცლით გახოხებთ მიწაზე!..

— პედერასტო თუთბერიძე, ეს პირუტყვი მომაშორე თავიდან თავისი ბოზი ცოლიანად! — კბილები გააკრაჭუნა შალიკომ და ჩეკისტს ახედა. ჩეკისტმა იარაღზე გაიკრა ხელი, კომისარმა შალიკოს საყელო მოქაჩა და უცებ, დაუოკებელმა რისხვამ შალიკო ზეზე წამოაგდო, ნოყიერ რუსულ გინებას ისეთი ალიყური მიაყოლა, რომ სილანაჭამი კომისარი აივნის მოაჯირს მიაწყდა, გადაიზნიქა და თავით მდინარეში გადაეშვა. იმ წამსვე შალიკომაც ისკუპა წყალში. თუთბერიძემ ისროლა, ჩეკისტებმაც დააძრეს პისტოლეტები და რამდენჯერმე უმიზნოდ გაისროლეს. ყველანი მოაჯირს მისცვივდნენ. ჩამავალ მზისგან მეწამულად გაპრიალებულ მდინარის ზედაპირზე ორი თავი ამოყურყუმალავდა, შალიკოს თმებში ეჭირა ათვალთვალებული კომისარი და ცალი ხე[illegible]ს უსვამდა. უმწეო ჩეკ[illegible]დნენ, მაგრამ სროლას ვერ ბედავდნენ, კომისრისთვის რომ არ მოერტყათ, ვილაც ნავის საშოვნად გავარდა, შალიკომ რამდენჯერმე ჩააყოფინა წყალში თავი თავის ტყვეს, მერე სილა გაუტკაცუნა სახეში. ისინი თანდათან შორდებოდნენ ნაპირს, შალიკო ცურვით მიჰყვებოდა დინებას და თან მიათრევდა ცოცხალმკვდარ ტვირთს, როგორც ურჩხული თავის მსხვერპლს. მდინარის ერთი ტოტი მარჯვნივ უხვევდა და სწორედ იქ, წნორებით დაფარულ კბოდესთან, შალიკომ, ვით აცურებულ მორს, ხელი ჰკრა კომისარს და ნაპირისკენ მიაგდო, მისცა საშუალება მყარზე ფეხის დადგმისა და როდესაც შელონებული რუსი რიყეზე ამბობლდა, შალიკომ მდინარის შუაგულისკენ გასცურა, სადაც მძლავრმა დინებამ აიტაცა იგი და უსიერი ტევრით დაბურული მოპირდაპირე ნაპირისკენ გააქანა. ჩეკისტები ისროდნენ და ტყვიები წვიმასავით აშხეფებდნენ მდინარის გლუვ ზედაპირს, მაგრამ შალიკო მათთვის უკვე მიუწვდომელი იყო და სწორედ მაშინ, როცა შამშემ შვებით ამოისუნთქა, უცებ იგრძნო, ორივე ხელი ზურგს უკან გაუკრეს და ჩეკისტები სადღაც მიათრევდნენ. მეყვსეულად თვალი მოჰკრა ასევე გაკოჭილ ჯიმშერს და ჩარირამას, რომელთაც გაბოროტებული რუსის ქალები თავში ხელჩანთებს უხათქუნებდნენ.

მილიციაში მიყვანისთანვე ისე სცემეს, სიტყვა არ ათქმევინეს. ძლივს მოახერხა წამოძახება, მე ფოთის მთავარი ექიმი ვარო. ჩეკისტებმა ძალიანაც კარგად იცოდნენ ვინც იყო, მაგრამ სახალხო კომისარზე თავდასხმა ისეთ დანაშაულად ითვლებოდა, რომ სრულიად აქარწყლებდა შამშეს მთავარექიმობას. ცოტა ხნის შემდეგ, იგი უნებლიეთ ყლაპავდა გატეხილი ცხვირიდან და დახეთქილი ტუჩებიდან გადმოჩქეფილ სისხლს და ზიზღით იფურ-

თხებოდა. ჩეკისტები და მილიციელები ჯიმშერსა და ჩარირამასაც სცემდნენ და გვემდნენ და თავზარდაცემულმა შამშემ შეამჩნია, რომ ჩარირამამ გონება დაჰკარგა და შიშისაგან თვითონაც კინაღამ გული შეუღონდა. ისე გათელეს ულმობელო სამორიგეო საკანში, რომ ერთბაშად მთელი სიცხადით შეიგრძნო საკუთარი არარაობა იმ უზარმაზარი გიგანტური ძალის წინაშე, რომელიც წნეხივით აწვებოდა უსუსურ ადამიანს უკანონო კანონისა და ხელისუფლების სახელით, სინამდვილეში კი ბოროტ სიშავეს წარმოადგენდა, გაუმსჭვირვალს, განუკითხავს, ყრუს, სასტიკს და შეუღწეველს, უბნელესი ჯურღმულებიდან მომდინარეს. აუტანელმა შიშმა დამბლასავით დაუარა და ეს შიში შემდეგ მთელი ცხოვრება თან დაჰყვებოდა, შეიძლება იმიტომაც, რომ მისი ხასიათის თვისება იყო, მისი რაობის მუდმივი თანამგზავრი. იმ ღამეს ბნელ საკანში რომ შეაგდეს, იატაკის კუთხეში გამოღრღნილი ხვრელებიდან ვირთხა ამოძვრა და ტანზე ბურძგლი დააყარა შამშეს. ვირთხების საშინლად ეშინოდა, ჯერ შეუძახა, მერე ფეხები დაუბაკუნა, მაგრამ ვერაფრით ვერ დააფრთხო, ეტყობა ეს ვირთხა შეჩვეული იყო დილეგში ჩაგდებულ ადამიანებს და არაფრად აგდებდა მათ, თითქოს იცოდა, რომ აქ მყოფნი ანუ აქ მოხვედრილნი მართლაც არაფერს წარმოადგენდნენ, არ იყვნენ საშიშნი. იგი ცოტა ხნით იმალებოდა სოროში, მერე ისევ გამოძვრებოდა და დაცუნცულებდა საკანში. შამშეს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, საკნის ცემენტის იატაკზე თავის ნებაზე მოფაჩუნე და მოწრიპინე ვირთხა ზიზღს და შიშს უორკეცებდა, ნაცემს და შეურაცხყოფილს სხეული უცახცახებდა და მომავალი კოშმარულ ზმანებად ესახებოდა. ავი ფიქრები მთელი ღამე ტვინს უბურღავდნენ. ნუთუ ჯიმშერი და ჩარირამაც ჩემს დღეში არიანო, ნუთუ მათაც ჩემსავით ეშინიათო? მერე გაახსენდა ჩარირამამ გრძნობა რომ დაჰკარგა, მაგრამ ახლა არ შეეძლო ეს გარემოება მძაფრად განეცადა და შეწუხებულიყო, თავისი [illegible] გაჭირვება, გაურკვეველი მდგომარეობა, ვირთხის საზიზღარი წრიპინი და ფართხალი გაცილებით უფრო აწუხებდა. ფეხებაკეცილი იჯდა ნარზე, ცივ კედელს ზურგით მიყრდნობილი და რატომღაც კოხტა კახიანი აგონდებოდა. იმან ალბათ, არ იცოდა რა არის საშინელი შეუნელებელი შიში და იმიტომაც მოიგო თიკო თარხნიშვილის გული. თავისი შიშის წინაშე შიშვლად დარჩენილი შამშე ცხადად გრძნობდა, არ იყო თიკოს ღირსი და სწორედ იმიტომ დაჰკარგა იგი. ეს ფიქრიც გულს უკლავდა, თუნდაც საკუთარი თავის წინაშე, ყოველგვარი მოწმის გარეშე აღიარება იმისა, რომ მხდალი იყო,—დასაყრდენს აცლიდა ვერაფერს ვერ პოულობდა საკუთარ თავში გამამხნევებელს, დამაიმედებელს. თანდათან ბოღმა იპყრობდა შალიკოსადმი, რადგან მისი წყალობით ჩავარდა ამ დღეში, თანდათან იბოღმებოდა, ჯიმშერზეც, რომელმაც მაინცა და მაინც იმ რესტორანში მოინდომა სადილობა, სადაც მთვრალ კომისარს გადაეყარნენ. უკვე თავის თავზეც მოსდიოდა ბრაზი. რას გადავეკიდე ამ ჯიმშერს და შალიკოს, რა ჩემი ამხანაგები არიან, რა ცურვის სწავლა ამიტყდაო. ახლა უკვე აღიზიანებდა თავისი წელანდელი მეგობრები, ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნას მათ აბრალებდა და ვერ ატყობდა, რომ შიში და სულმოკლეობა აიძულებდა დამნაშავე თავისიანებს შორის ეძებნა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი შეიყვანეს იგი გამომძიებლის ოთახში მეორე დღეს. გამომძიებელმა თუთბერიძემ წინ სუფთა ქაღალდი და კალამი დაუდო.

— დაწერე!

— რა დავწერო?

— ყველაფერი!

შამშემ აიღო კალმი და დაწერა რაც მოხდა რესტორანს „ფაზისში". გამომძიებელმა წაიკითხა მისი ნაწერი, წა-

მოდგა, ქალალდი გადახია, ნაკუწები სახეში შეაყარა და მუშტი გლიჯა სახეში. ჩიტყვზე დაგდებულმა შამშემ ძლივს გაიაზრა, რომ ისევ საკუთარ სისხლს ყლაპავდა, ცემისაგან დალურჯებული სახე უხურდა და ეწვოდა, მან ვერც კი იგრძნო, როგორ ჩაავლეს ქეჩოში ხელი და როგორ დააგდეს სკამზე. გამომძიებელი უკანასკნელი სიტყვებით დედას აგინებდა.

— დაწერე, თქვენს კონტრრევოლუციურ ბანდას მავნებელი ჯიმშერ საჯაია რომ ხელმძღვანელობდა, შენ ასე და ისე, დაწერე როდის დაარსდა თქვენი ორგანიზაცია, რა კავშირი ჰქონდა გვარდიელ შალიკო გაბუნიას თურქეთის დაზვერვასთან, რა დავალებით და ვინ გამოგაგზავნა თბილისიდან ფოთში აქაურ კონტრრევოლუციონერებთან კავშირის დასამყარებლად, შენი ასე და ისე, დაწერე როდის გადაწყვიტეთ კომისარ სიდოროვზე თავდასხმა და მისი მოკვლა, შენი ასე და ისე, დაწერე ვის იცნობ მოსკოველი ტროცკისტებიდან!..

გამომძიებლის კარნახით შამშე რაღაცას წერდა, თანდათან სულს ითქვამდა, დროს აჭიანურებდა, ბოლოს კალამი დადო და ავის მომლოდინმა ისევ შეუკუმშა გული.

— წაიკითხე რაც დაწერე და ხელი მოაწერე!

შამშემ წაიკითხა და ნაწერი დახია. „მე არაფერი არ ვიცი, მე პატიოსანი კომუნისტი ვარ,“ ამის წამოძახებალა მოასწრო და ძლიერმა დარტყმამ გონი დააკარგვინა.

რამდენ ხანს გაუძლებდა უმოწყალო ცემას? ნახევრად გონდაკარგულს ხელი რაღაცაზე მოაწერინეს. მაგრამ ცოტათი რომ ძალას იკრებდა, ისევ უარს ამბობდა წინა ჩვენებაზე და ისე ცემდნენ. მთელი თვე გრძელდებოდა ეს საშინელი წამება. კი არ ჯიუტობდა, თავისი სიმართლის, კომუნისტური პარტიისადმი თავისი ერთგულების დამტკიცება სურდა. ვერაფრით ვერ იჯერებდა, რომ ჩეკისტებს სიმართლე არ აინტერესებდათ და მხოლოდ საკუთარი ვერსიის შეთ[illegible]ჯერდათ. ამიტომ ცდილობდა ხელი არ მოეწერა თავისი ყალბი ჩვენებისათვის, რადგან მაინც ჰქონდა იმედი, რომ ბოლოს და ბოლოს მისი უდანაშაულობა გაირკვეოდა.

ერთი თვის შემდეგ, საქმე თბილისიდან ჩამოსულ საგანგებო კომისიას გადაეცა გამოსაკვლევად. შამშეს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ერთ ღამეს, დაკითხვაზე დაუძახეს და გამომძიებლის ოთახში თავისი ბიძაშვილი გრიშა დევდარიანი დაინახა. მოულოდნელობამ პირში ენა ჩაუგდო, მაგრამ იმედმა მის სხეულში ჩამჯდარი ყინული გაალღო და ტირილი დააწყებინა. გრიშა ჩუმად უყურებდა, როგორ იცრემლებოდა და სლუკუნებდა ლაწვებჩავარდნილი, ვაუპარსავი თმაგაჩეჩილი შამშე. დიდი ხანია არ ენახა და ძლივს იცნო იგი. ჭაბუკი კაცი ლანდს დამსგავსებოდა, ტანსაცმელი შემოფლეთოდა, აშკარად ეტყობოდა, რომ სულითაც და ჯანითაც გატეხილი იყო.

— გეყოფა ტირილი! — უთხრა გრიშამ.

შამშემ ჭუჭყიანი ჭინჭის ნაგლეჯით თვალები ამოიწმინდა და გაიტრუნა.

— როგორა ხარ? — კვლავ გაისმა მაგიდის იქეთ მჯდარი გრიშას ხმა.

— ორჯერ გულის შეტევა მქონდა! — ბავშვივით შესჩივლა შამშემ.

გრიშამ პაპიროსი გააბოლა. შამშესაც გაუმასპინძლდა. ბოლი სასიამოვნოდ ჩაეშვა ფილტვებში, მაგრამ გულმა ისე უჩხვლიტა, შამშეს შეეშინდა, შეტევა არ გამიმეორდესო, თითი ნერწყვით დაისველა, პაპიროსი ჩააქრო და ჯიბეში შეინახა. მთელი თავისი გულისტკივილი სურდა გრიშასთვის გაეზიარებინა, მაგრამ ვერ უბედავდა, ჩეკისტის ფორმიანი ხალხი ისეთ ძრწოლას იწვევდა მასში, რომ ბიძაშვილსაც არ ენდობოდა. ამასობაში, გრიშამ პორტფელი გახსნა, იქედან რაღაც ნაბეჭდი ქაღალდი ამოიღო და შამშეს წინ და-

უდო. მერე გულის ჯიბეში რაღაც ეძება, ფული და მატარებლის ბილეთი მონახა და ესეც შამშეს წინ დაუწყო, მერე ცარიელი ფურცელი და კალამი მიაწოდა წინა გამომძიებელივით და უკვე გამომუშავებულმა რეფლექსმა კუნთები დაუძაბა შამშეს ცემის მოლოდინში, მაგრამ გრიშა მის ცემას არ აპირებდა.

— ბიჭო, როგორ მოგატყუეს მაგ კონტრრევოლუციონერებმა?

— ვინ?

— არ იცი? შენი მეგობრების სახელები დაგავიწყდა? ვინ და ჯიმშერ საჯაიამ, შალიკო გაბუნიამ, გიგა ქკუასელმა...

ეს უკანსკნელი არაფრით არ მოაგონდა შამშეს და მაგას არ ვიცნობო, სწრაფად წამოიძახა თავის გასამართლებლად.

გრიშას დამცინავად გაეცინა.

— ცურვას ვინ გასწავლიდა?

— ჩარირამა და შალიკო გაბუნია...

— არა გრცხვენია, გამოცდილი კომკავშირელი როგორ წამოეგე კლასობრივი მტრის ანკესზე? ვერ მიხვდი სად გითრევდნენ? ჩვენ მაგ ხალხს დიდი ხანია ვუთვალთვალებთ, განსაკუთრებით ჯიმშერ საჯაიას...

გრიშას ხმა ისე დამაჯერებლად ჟღერდა, რომ შამშეს სიმტკიცე მთლად წელში გატყდა.

— არ მეგონა კონტრრევოლუციონერები თუ იყვნენ, ვენდობოდი, — წამოიკვნესა მან.

— ვის ენდობოდი, რა უფლებით ენდობოდი?! — ხმას აუწია გრიშამ და ისევ დამამშვიდებლად დაუწია, — რომ არ ვიცოდე, მართლა პატიოსანი კომუნისტი ხარ, დოყლაპიობისათვის ციხეში ჩაგსვამდი, მაგრამ ამჯერად მე გიდგები თავდებად, გამოგაძვრენ ამ მდგომარეობიდან. ახლა, რაც ამ თაბახზე წერია, შენი ხელით გადაწერე მაგ ცარიელ ფურცელზე, დეტალებს ყურადღებას ნუ მიაქცევ, ზოგი რამ შეიძლება ზუსტად არ იყოს, მერე დავაზუსტებთ, ზოგი რამ არც შენ იცი, მაგრამ ასეა საჭირო მტრის გამოსავლენად, გადაწერე და ხელი მოაწერე. ამის შემდეგ თავისუფალი ხარ! [illegible] ფული ჯიბეში ჩაიდე და აი, ეს მატარებლის ბილეთიც. ამ საღამოს დააჯდები მატარებელს და ჩახვალ თბილისში. იქ რამე სამსახურში მოეწყობი.

ყველაფერი, რაც გრიშამ უბრძანა, შამშემ ზუსტად შეასრულა, მეორე დღეს უკვე თბილისში იყო. რა ბედი ეწია ჯიმშერს, შალიკოს და ჩარირამას არასოდეს არავისთვის არ უკითხავს.

9.

იმ ზაფხულს საშინლად ცხელოდა თბილისში. ერთთვიანმა პატიმრობამ შამშე ისე მოტეხა რომ უჭირდა ცხელი ხვატის ატანა. შიშს ჯერ კიდევ ვერ დაეღწია თავი და თუმცა განთავისუფლებამ უდიდესი ბედნიერება არგუნა, მაინც მოწყენილი და დათრგუნული დადიოდა. მისთვის სავსებით ნათელი გახდა, რომ მთელი ერთი თვის განმავლობაში ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე და მხოლოდ ბედისწერის უცნაურმა შემობრუნებამ იხსნა დაღუპვისაგან საბჭოთა ხელისუფლების ერთგული იქნებოდი თუ ორგული, თურმე ამას, სულაც არა ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა. სულ სხვა მიზეზები თუ უმიზეზობა განსაზღვრავდა პიროვნების აღზევებას ან დამხობას ამ უცნაურ სახელმწიფოში და შამშემ ირწმუნა, რომ ამჟამად მთავარი იყო სიფრთხილე, მორიდება, ზომიერება...

სიცხე მეტისმეტად აწუხებდა. საღამოობით პლეხანოვის გამზირზე მდებარე სტადიონს მიაშურებდა და უყურებდა ფეხბურთელთა ვარჯიშს ან თამაშს. განსაკუთრებით მოსწონდა ჟორდანიას, შავგულიძის და ვაჩნაძის ოსტატობა. ძალიან ინანა მეტად ნიჭიერი მეკარე პაპკოვი რომ მოჰკლეს მცხეთაში. პაპკოვი გურული ბიჭი იყო, მიუხედავად რუსული გვარისა ორ სიტყვას ვერ აბამდა რუსულად. ამ კა-

ტასავით მოქნილი და სხარტი გოლკიპერის ნახტომების ცქერას არაფერი ჯობდა. ერთხელ ჩვიდმეტი წლის ნიკუშა ნიგურიანი გამოსცადეს მარჯვენა ფრთაზე და მთელი არსებით განიცდიდა ამ ტანწერწეტა, მსუბუქად მორბენალი ყმაწვილის წარმატებას თუ წარუმატებლობას. ტანაყრილი შრიალა ხეებით გარშემორტყმულ მწვანე მინდორზე ფერადფორმიანი ჯანმაგარი ბიჭების ბურთაობა და მაყურებელთა ხალისიანი ყრიამული შამშეს ნერვებს უწყნარებდა, გაშლილ სივრცეზე გრილი ნიავი დაჰქროდა, მაგრამ შინ დაბრუნებულს ლამლამობით სული ეხუთებოდა თავის ნესტიან სარდაფში და იმდენად სუსტად გრძნობდა თავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს კლინიკაში გასასინჯად მიაკითხა პროფესორ რცხილაძეს, თავის ყოფილ მასწავლებელს, რომელთანაც სტუდენტობის დროს ოსტატისა და შეგირდის კეთილი ურთიერთობა აკავშირებდა.

პროფესორმა გულთბილად მიიღო ნასტუდენტარი, გამოჰკითხა ოჯახისა და საქმიანობის ამბები. მოლებულ ფანჯარასთან მჯდარი თეთრხალათიანი ჭაღარა მკურნალის საწერ მაგიდაზე უამრავი ქაღალდები და წიგნები იყო გაშლილი, შუშის კარადაში სხვადასხვა ქილები და სამედიცინო ხელსაწყოები ისვენებდნენ, ქათქათა კედელზე გაკრული იყო ადამიანის გაკვეთილი გამოსახულება, შინაგანი ორგანოები: გული, ფილტვები, კუჭი, ღვიძლი, თირკმელები, უხილავი კუნთები, ძარღვები, ძვლები, ამ სურათზე წარმოსახულნი, თითქოს აცხადებდნენ იმ საიდუმლოებას, ადამიანის გარსის შიგნით რომ არის მოქცეული, მაგრამ შამშე გრძნობდა, რომ საიდუმლო საიდუმლოდ რჩებოდა მაინც, ადამიანის ორგანოების განლაგების ცოდნა ხომ იმ პროცესის წვდომას არ ნიშნავდა, რომელიც მათ განაგებდა, ამოქმედებდა. პირიქით, საოცარ უმწეობას განიცდიდა ამ ნახატის შემყურე, მაგრამ პროფესორის მშვიდი ხმა და ყურადღებიანი თვალები ნდობას უნერგავდნენ, აწყნარებდნენ და სიამოვნებით პასუხობდა იმის კითხვებს, თითქოს ამაში იყო ხსნა, და უყვებოდა თუ რა პირობებში ცხოვრობდა, როგორ რეჟიმს მისდევდა, ფოთში როგორ მსახურობდა, როგორ იდგა იქ ჯანდაცვის საქმე...

— რატომ დაბრუნდით ფოთიდან? — ჰკითხა უცებ პროფესორმა.

ისინი მარტო იყვნენ ვრცელ კაბინეტში.

— დამაპატიმრეს! — თავისთვისვე მოულოდნელად წარმოსთქვა შამშემ და შვება იგრძნო.

პროფესორმა სათვალე გაისწორა.

— მიზეზი?

შამშემ გულწრფელად უამბო, რაც შეემთხვა, მხოლოდ ის არ უთქვამს შინსახკომის შეთითხნილ ჩვენებას რომ მოაწერა ხელი. არარც პროფესორს უკითხავს არარაფერი.

მან შამშე გულდასმით გასინჯა, ადრე გადაღებული რენტგენის სურათიც დაათვალიერა და ფილტვების დაჩრდილვა აღმოაჩინა.

— ჭლექი ხომ არ მელოდება? — შეშინდა შამშე.

— არა, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. აბასთუმანში უნდა გაემგზავროთ. საგზურს მე გიშოვით, მიგიწერთ წერილს და რომ ჩამოხვალთ, კიდევ ერთხელ უნდა გამესინჯოთ!

დალონებული გამოვიდა შამშე ქუჩაში. სრულიად ცხადად შეიგრძნო იმ დღეს, რაოდენ განსაზღვრულია ადამიანთა ყოფნა ამ ქვეყნად. სწორედ ეს ალონებდა, ეს გარდაუვალი, გამოუვალი განსაზღვრულობა და არა საშინელი ავადმყოფობა, ან თუნდაც ჩალისფერ ცხენზე ამხედრებული სიკვდილის შიში. ამჯერად იმედი ჰქონდა, განსაცდელს როგორმე გადაურჩებოდა, მაგრამ მერე?

ადამიანი იყო ბედისწერის მონა და არა ბუნების ბატონ-პატრონი, როგორც ამას ქადაგებდა ოფიციალური პროპაგანდა. ეს სიცრუეც განცხადდა მის-

თვის და ბოლშევიკების უნაპირო ოპტიმიზმი, მიწიერი სამოთხის დამკვიდრების დაპირება მეტისმეტად საეჭვო საქმედ მოეჩვენა. რა სამოთხეზე შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც სიკვდილი არსებობს? გაზეთები, ჟურნალები, წიგნები, რადიო მომავალ ბედნიერებაზე გაჰყვიროდნენ, მთა და ბარის გათანაბრება და უკონფლიქტო საზოგადოების შექმნა უეჭველ საქმედ მიაჩნდა ქვეყნის ხელმძღვანელობას. თუ ამ არარსებულ, ვილაცეების წარმოსახვაში შექმნილ მომავალზე ეჭვი შეგეპარებოდა, ხალხის მტრად გაცხადებდნენ და გსჯიდნენ. იქნებ, ძალიანაც კარგად იცოდნენ რა უნდოდათ, რას აკეთებდნენ და საით მიჰყავდათ ქვეყანა? იქნებ, მხოლოდ ბრბოს ეგონა, რომ ნათელ მომავალს უახლოვდებოდნენ? ვერ იყო საქმე მთლად ისე, როგორც ზოგიერთებს ეგონათ და ზოგჯერ თვით შამშესაც. მიუხედავად ამისა მტკიცედ გადაწყვიტა ამიერიდან ყველგან და ყველასთან მხოლოდ ის ელაპარაკა, რასაც ოფიციალური პროპაგანდა ქადაგებდა.

აბასთუმანში შამშე ზუსტად ასრულებდა ექიმის ყველა დანიშნულებას, რადგან ძალიან უნდოდა განკურნება. თეთრი, ლამაზი სანატორიუმების შიგნით საშინელი უჩინარი ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული ყოვლისშემძლე სიკვდილთან ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე მდგარ ადამიანებს და ყოველივე ეს უხილავ დაღს ასვამდა ამ უმშვენიერეს ადგილს. ჯანსაღი ჰაერი და ანკარა წყალი აქ მოწამლული იყო ჰლექის ბაცილებით, სისაღე და სენი აქ ერთმანეთის გვერდი-გვერდ სუფევდა და ყოფიერების ორსახეობას ანსახიერებდა. ფიჭვის ტყეებით შემოსილი ჩუმი ხეობაც ისე იყო განაბული, თითქოს სიკვდილის იდუმალებას უგდებდა ყურს. იმ ზაფხულს შამშე აშკარად გრძნობდა ამ იდუმალებას. იგი მთლიანად საკუთარი სხეულის ზრუნვით იყო გართული. დროზე დგებოდა, დროზე წვებოდა, დროზე სადილობდა, დროზე სეირნობდა ,წამლებსაც დროზე იღებდა, არავის არ უახლოვდებოდა. აპრილისში ჩამოსული პროფესორ რცხილაძეს ხელმეორედ რომ გაესინჯა, კმაყოფილმა მკურნალმა ღიმილით ახარა, სრულიად განკურნებული ხართო. მაგრამ კიდევ ერთხელ რომ წახვიდე აბასთუმანში ზედმეტი არ იქნებაო. ამასთან ერთად, მან საავადმყოფოში ორდინატორის ადგილი შესთავაზა შამშეს.

ეს უდიდესი წარმატება იყო. თბილისის ყველაზე დიდ საავადმყოფოში მოწყობა დამწყები ექიმისათვის ოცნებას წარმოადგენდა და შამშე ხალისით შეუდგა მუშაობას თერაპიულ განყოფილებაში. ის გრძნობდა, შემობრუნება იწყებოდა მის ცხოვრებაში, ისევ წალმა მოტრიალდა ჩარხი. ახალი კოლეგების გაცნობა სასიამოვნო და საინტერესო იყო, პროფესორ რცხილაძის ხელმძღვანელობით სულ უფრო უკეთ ეუფლებოდა თავის საქმეს და ყოველივე ეს ძალას მატებდა. ერთხელ, გრიშამაც დაიბარა შინ, აინტერესებდა როგორ მოეწყო და კმაყოფილი იყო თუ არა ახალი სამსახურით. ცხადია, შამშე კმაყოფილი იყო.

— პროფესორი რცხილაძე კარგი მკურნალია ,— თქვა გრიშამ.

— შესანიშნავი, — კვერი დაუკრა შამშემ.

— გერმანიაში აქვს დამთავრებული უნივერსიტეტი, მისგან ბევრ რამეს ისწავლი!

— იმედი მაქვს.

— მაგრამ პოლიტიკურად მთლად სანდო არ არის, ადრე ლიბერალური ფრთისკენ იხრებოდა, ხომ არ გამოუმჟღავნებია თავისი მტრული დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ?

— მე არაფერი შემიმჩნევია, — დაბნეულად ამოილუღლუღა შამშემ.

— შენ ვერაფერს ამჩნევ, ეს ჩვენთვის ცნობილი ამბავია, — ჩაიცინა გრიშამ, — მაგრამ თუ რამე შეამჩნიო საეჭვო...

ისევ დაუმძიმდა შამშეს გუნება. აშ-

კარა იყო, უხილავი თვალი ერთი წუთითაც არ შორდებოდა, გაუწყვეტლივ უთვალთვალებდა, მის ყოველ ნაბიჯს ზომავდა და რაღაცას ელოდა მისგან.

ოღონდ სიჭაბუკე, თუნდაც შიშის წნეხის ქვეშ მოქცეული, თავის საკუთარ კანონებს ემორჩილებოდა.

ის წელიწადი შამშემ ხალისიანად გაატარა და ზაფხული რომ მოახლოვდა, კვლავ მოემზადა აბასთუმანში გასამგზავრებლად პროფესორ რცხილაძის რჩევის თანახმად. ის-ის იყო სანატორიუმის საგზური იშოვა, რომ სოფლიდან დეპეშა მოუვიდა, უმცროსი და ბაბუცა ტიფით გარდაცვლილიყო. დის სიკვდილმა თავზარი დასცა, იმავე ღამეს გაემგზავრა წიფლნარში. უმცროსი და-ძმა უფროსებზე მეტად უყვარდა და მწუხარებამ გული ჩაწყვიტა. უეცრად საკუთარმა ყისმათმაც დააფიქრა, ყოველთვის, როცა მხრების გაშლას აპირებდა, რაღაც უნდა მომხდარიყო მის ცხოვრებაში ისეთი, რაც მხრებს უცილებლად ჩამოაყრევინებდა ხოლმე. ეს იყო მისი იღბალი, განდათ ნიშან-თვისება და პირველად შეამჩნია, რომ არასოდეს ეძლეოდა რითიმე ბოლომდე ტკბობის, ბოლომდე გახარების საშუალება დაბრკოლებები არ ილეოდა მის გზაზე და თავდავიწყებული სიხარულის საბაბს უსპობდა . რას უნდა მიაღწიოს ერთმა ბედის კაცმა? რა იყო ის ძალა ერთბაშად რომ დაუნგრევდა ხოლმე დიდი ხნის ნალოლიალევ ოცნების კოშკს? თითქოს უხილავი არტახებით იყო შეკრული და მისთვის განსაზღვრული არეს იქეთ ფეხის გადადგმა ეკრძალებოდა.

დაკრძალვის შემდეგ ერთი საღამოც ვერ გაძლო შინაურებთან, დაუყოვნებლივ გამოემგზავრა თბილისში სამძიმარზე ჩამოსულ არჩილთან და დათიკოსთან ერთად. აბასთუმნის საგზური დათიკოს გაატნა ჩასაბარებლად, დის სიკვდილის შემდეგ დასასვენებლად გამგზავრება მკრეხელობად ეჩვენებოდა, თუმცა დათიკომ და არჩილმა მორიდებულად ურჩია: შენ [illegible]მას რაღას უშველი, საკუთარ ჯანმრთელობას მიხედეო. მაგრამ ეს რჩევა საწყენად მიიღო და თავის ოთახში ჩაიკეტა. მეორე დღეს პროფესორმა რცხილაძემ დაიბარა და დიდხანს ებაასა მამულიშვილურად, ანუგეშა, დაარიგა, დაამშვიდა, მკურნალი სიკვდილის მუდმივი მეთვალყურეა და ვალდებულია მშვიდად შეხვდეს ბუნების ამ კანონს, ძნელია, მაგრამ ჩვენ უნდა ვცადოთ სიკვდილის არსებობამ არ დაგვირღვიოს სულიერი წონასწორობაო. ბოლოს მაგიდის უჯრა გამოსწია, იქედან აბასთუმნის საგზური ამოიღო, რომელიც წინა დღეს გაატანა შამშემ დათიკოს, და დაუბრუნა.

— ჩემი თხოვნაა დაუყოვნებლივ გაემგზავრო აბასთუმანში, კარგად დაისვენო და საბოლოოდ გამოჯანმრთელდე.

შამშე აბასთუმანში გაემგზავრა. პროფესორის სიტყვები ღრმად ჩაებეჭდა მეხსიერებაში... მართალია, გაუაზრებლად თუ გააზრებულად, დიდი სურვილი ჰქონდა ყველას დაენახა მისი მწუხარება, მაგრამ პროფესორთან ბაასის შემდეგ გადაწყვიტა თავი შეეკავებინა, საკუთარი გაჭირვება არ გამოემჟღავნებინა. ეს უფრო ღირსეული იქნებოდა. აბასთუმანში მაინც გაიგეს ცოტა ხნის წინ უმცროსი და რომ გარდაეცვალა და ყველანი თანაგრძნობით ეპყრობოდნენ, მოსწონდათ მისი ზომიერება, რომ არც წუწუნებდა და არც უდარდელობას ავლენდა. ისიც მოსწონდათ სალამოობით, გრილი სიო რომ ააშრიალებდა ხეივნებს, თბილისიდან წამოღებულ ნაბადს რომ მოიხურავდა და დასეირნობდა აბასთუმნის მიყუჩებულ ბილიკებზე. ეს ნაბადი ერთი ავადმყოფის ჭირისუფალმა აჩუქა თბილისში და ახლა ძალიან გამოადგა. სურათებსაც ამ ნაბდით იღებდა და იმ წელიწადს ახალგაზრდა ქალების დიდი ყურადღება დაიმსახურა. შარშანდელისგან განსხვავებით ყველას უახლოვდებოდა,

ექიმებსაც და დამსვენებლებსაც, კეთილგანწყობას საპასუხო კეთილგანწყობით პასუხობდა. მხოლოდ მძიმე ავადმყოფებს ერიდებოდა, თითქოს ისინი არ არსებობდნენ, აქ არ იმყოფებოდნენ, არ იწვნენ ლოგინს მიჯაჭვულნი წითელკრამიტიანი, თეთრი, ლამაზი კოტეჯების სუფთად შეღებილ კედლებს შორის გამომწყვდეულნი. გამოჯანმრთელებულებისა და იმედმომაგრებულებისაკენ მიუწევდა გული, მათთან ამყარებდა ურთიერთობას და ეს ავიწყებდა შარშანდელ პირქუშ განწყობას, როცა მოღებულ ფანჯარასთან ლოგინში ჩაწოლილი, პალატის ჭერს მიჩერებული ხშირად ფიქრობდა საკუთარ სიკვდილზე, არ ყოფნაზე და მაინც ვერაფრით ვერ ირდგენდა ამას. ალბათ, ერთბაშად ჩაქრებოდა შუქი ცნობიერებაში და ჩამოწვებოდა მუდმივი სიბნელე. ერთბაშად დაავიწყდებოდა ვინც უყვარდა და რაც უყვარდა, ერთბაშად გაცივდებოდა გული ყოველივეს მიმართ, ერთბაშად გაქრებოდა ყოველივე უკვალოდ, არაფერი აღარ იქნებოდა, როგორც დაბადებამდე არ იყო არაფერი. შეუძლებელი იყო ამის შეგრძნება და მაინც ისე საშინელი იყო ამ ნაფიქრზე ყურადღების შეჩერება, რომ ცივოფლდასხმული ზეზე წამოვარდებოდა ხოლმე და კარში გამოდიოდა, რათა ვინმეს გამოლაპარაკებოდა, სინამდვილეს შეხებოდა და მომავალი აუცილებელი განსაცდელი თავისთვის დაეტოვებინა. თავის ადგილზე და ფიქრით მაინც აღარ წამოეწია წინ. ეს იყო შარშან, ახლა კი ახალი ურთიერთობები ამხნევებდა, ნაადრევად წასულ თავის უბედურ დაზე ფიქრს და წუხილს ამ ურთიერთობებით იშორებდა, დარდს იქარვებდა და თვითვე უკვირდა, რომ უფრო ხშირად ფიქრობდა აქ გაცნობილ ქალიშვილებზე, მწუხარებით გავსებული გული მათკენ მისწრაფებას არ უშლიდა, ისევე როგორც ჭამისა და ძილის სურვილს. იმ ზაფხულს აბასთუმანში ბევრი მომხიბლავი ქალი ისვენებდა და მათთან ერთად ექსკურსიებზე სიარული სიამოვნებას ანიჭებდა. მოიარა ზარზმა, საფარა, [illegible]ზინდო და არაშენდა, საკმაოდ გადახალისდა, გულს გადააყოლა, თვითონვე გრძნობდა, რომ სულით და სხეულით გაჯანსაღდა და გაკაჟდა, მაგრამ მარტო რომ რჩებოდა, გულზე სიმძიმე მაინც აწვა, ვერ იყო მთლად ლაღად. როცა ახალ მეგობრებს გამოემშვიდობა და აბასთუმანი დასტოვა, ძლიერ მოიწყინა, თუმცა თბილისში ძალიან მიუხაროდა, მაგრამ ისეთი გრძნობა მიჰყვებოდა, თითქოს რაღაც წავიდა საამური სამუდამოდ მისი ცხოვრებიდან...

ბორჯომში ჩამოსულმა თბილისის მატარებელზე ბილეთი აიღო და სადგურზე უამრავ ნაცნობს გადაეყარა, ვინლა არ ისვენებდა აქ, ისმოდა მხიარული შეძახილები, ქალების კისკისი, ბავშვების ჟრიამული. ისეთი საზეიმო განწყობა სუფევდა წიწვიან ფერდობებს შორის მოქცეულ ხეობაში, თითქოს ყველას დავიწყებოდა ყოველდღიურობის უფერული უნიათობა, მატარებლის გასვლამდე პარკში აიარა და აჩქეფებული მინერალური წყალი შესვა საგანგებო პავილიონში, სადაც თეთრხალათიანი ახალგაზრდა ქალები შადრევანთან ჭიქებს ავსებდნენ და დამსვენებლებს უმასპინძლდებოდნენ. უკან გამობრუნებულმა ბაღში მოსეირნეთა შორის ნათელა ნიგურიანს მოჰკრა თვალი. იგი მსახიობ სერგო მაისურაძეს მოჰყვებოდა და გატაცებული უგდებდა ყურს იმის საუბარს. უეცრად ისე ეწყინა ნათელა სხვა მამაკაცთან რომ დაინახა, თვითონვე გაუკვირდა. რაღაც ჩაწყდა გულში, თითქოს კიდევ ერთი შესაძლებლობა დაუკარგა ბედისწერამ. არც უფიქრია ნაცნობ ქალიშვილთან მისვლა და მისალმება, პირიქით, თვალი აარიდა და სადგურისკენ დაეშვა.

მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სამი დღის შემდეგ საავადმყოფოში დაბრუნებული განყოფილების

გამგემ პალატაში შეიყვანა და ახალი ავადმყოფი ჩააბარა. ეს იყო ნათელა ნიგურიანი. თმაგადაკრეჭილი, მიძინებული მძიმედ სუნთქავდა და ძალზე შეცვლილი ჩანდა, მაგრამ შამშემ მყისვე იცნო და რა მოუვიდაო, შეშფოთებით ჰკითხა კოლეგას.

— ტიფი!

ტიფი მთელ ქალაქში მძვინვარებდა.

— აი, ავადმყოფის ისტორია, დანიშნულებებიც აქვე წერია, აბა, შენ იცი!

— ამ ავადმყოფს ვიცნობ, — თქვა შამშემ.

— მით უკეთესი.

ტიფი ისე იყო გავრცელებული, რომ თერაპიული განყოფილებაც დროებით ინფექციურად გადააქციეს, ყველა ექიმი ამ სენთან ბრძოლაში ჩაება, მაგრამ წამლები არ იშოვებოდა, კვების საქმეც ვერ იყო რიგზე და ბევრი ავადმყოფი იღუპებოდა. თუმცა ნათელას წამლები და საკვები არ აკლდა, ბიძამისის, იასეს წყალობით, რომელიც ყველაფერს დროზე შოულობდა. ნათელას გარდა იქ კიდევ ერთი ახალგაზრდა ქალიშვილი იწვა, ქეთო, რომელსაც კრიზისი დაეძლია და გამოჯანსაღების გზაზე შემდგარი, ოდნავ მოლონიერებული და აქეთკენ პირმობრუნებული წარამარა ხელის სარკეში იყურებოდა, გადაკრეჭილ თავზე წაკრულ ლამაზ, ჭრელ თავსაკრავს ისწორებდა, ნათელას კი, ჯერჯერობით ყველაფრის ინტერესი დაკარგული ჰქონდა. მას დედა ადგა თავზე, იასეც ყოველდღე მოდიოდა საავადმყოფოში და შამშეც, ძალაუნებურად, სულ მის საწოლთან ტრიალებდა. თავისდაუნებურად იგი ნიგურიანების იმედად იქცა და ამ როლს იფერებდა კიდეც, თუმცა ძალიან კარგად უწყოდა, რომ ავადმყოფის განსაკურნავად მარტო ექიმის მეცადინეობა არ კმარა. მაგრამ როცა ნათელამ მოიხედა და მისი მშობლები შამშეს „შენ გენაცვალე", „შენი ჭირიმეს" გარდა სხვა სიტყვებით აღარ მიმართავდნენ, საბოლოოდ ირწმუნა, რომ ნათელას მორჩენა მისი თავგამოდებით შედეგი იყო და ისეთი კმაყოფილება იგრძნო, თითქოს ის ზრუნვა, რაც საკუთარ დას ბაბუცას დააკლო, მთლიანად ნათელას მოახმარა და იხსნა, გადაარჩინა, გამოსტაცა სიკვდილის ბრჭყალებს. ცხადია, ეს ასეც იყო და სრული უფლება ჰქონდა სიამაყისა, მეტადრე, სულაც არ ავიწყდებოდა, რომ განგებასაც ასე სურდა. შამშეს მზრუნველობას ნათელა ისე შეეჩვია, რომ მის გარდა არცერთ ექიმს არ იკარებდა და არაფრად დაგიდევდათ ამ საგანზე სხვა ექიმების მრავალმნიშვნელოვან ხუმრობას. თავის დამოკიდებულებას შამშესადმი დაუფარავად გამოხატავდა. როგორც მაშინ დიდი ხნის წინათ, იასე ნიგურიანს პირველად რომ ესტუმრა შამშე თბილისში და ნათელას მაშინდელი გულუბრყვილო ბავშვური სიხარული სამუდამოდ რომ დაამახსოვრდა. მაგრამ ახლა ნათელა ბავშვი აღარ იყო. როცა საბოლოოდ დასძლია სენი, მანაც ქეთოს მსგავსად, გადაკრეჭილ თავზე ლამაზი თავსაფარი წაიკრა და ხელის სარკეშიც ხშირად დაიწყო ყურება. ამ დროისათვის შამშე ნიგურიანების ოჯახში შინაურ კაცად იქცა და სწორედ მისი რჩევით გაგზავნეს საავადმყოფოდან გამოწერილი ნათელა ქობულეთში დასასვენებლად, თან უმცროსი ძმა ავთო გააყოლეს. სადგურში, რასაკვირველია, შამშემაც გააცილა თავის ძმაკაც არჩილთან ერთად.

— შამშე, ხომ მომწერ წერილებს? — ჰკითხა უცებ ნათელამ და ატირდა.

— დაწყნარდი, შენი ნერვიულობა არ შეიძლება, მოგწერ, აბა, რას ვიზამ!?

უკან რომ ბრუნდებოდნენ, მატარებლის წასვლის შემდეგ, არჩილმა გვერდში მუჯლუგუნი გაჰკრა შამშეს.

— ბიჭო, შე ყურუმსაღო, ამ გოგოს, მე მგონი, სერიოზულად შეუყვარდი!

— მორჩი, კაცო ხუმრობას!

მაგრამ ეს არ იყო ხუმრობა და ამას უკვე თვითონაც ატყობდა. მთელი იმ

ხნის განმავლობაში, ტიფით გათანგული, გაყვითლებული, თმაგადაკრეჭილი ნათელა საავადმყოფოში რომ იწვა, სიბრალულის გარდა არაფერი უგრძვნია, მაგრამ ახლა, ქობულეთში რომ გააგზავნა მისივე რჩევით იასემ, საოცრად მოიწყინა, თითქოს ქალაქი დაცარიელდა, რაღაც დააკლდათ ქუჩებს და სახლებს, გაქრა მოსალოდნელი ზეიმის გაუაზრებელი მოლოდინი. ერთ მშვენიერ დღეს, ქობულეთიდან წერილი მიიღო, გახარებულმა კონვერტი გახსნა და სურათი ამოიღო. ამ სურათზე ნათელა და ავთო დიდი პალმის ქვეშ იდგნენ და იღიმებოდნენ, მათ ზურგს უკან მოსჩანდა ტოტებგაშლილი პალმებისა და მაგნოლიების გრძელი, დაბურული. აქაფებული ზღვისაკენ მიმავალი ხეივანი. ნათელას ისევ თეთრი ბერეტი ეხურა და ოდნავ წამოზრდილი თმა უჩანდა შუბლთან, როგორც თბილისის სადგურში, მატარებლის გასვლის წინ ვაგონში რომ ავიდა აცრემლებული და ქვედა თაროზე ჩამოჯდა. ფეხები ერთმანეთს მიატყუპა, კაბა მუხლებზე ჩამოიწია, ხელები კალთაში დაიწყო და სევდიანი სახით ამოხედა შამშეს. ეს სახე ისევ თვალწინ წარმოუდგა და წარმოუდგენელი სითბოთი აევსო გული. ასეთი რამ დიდი ხანია არ განუცდია, საოცრად მოენატრა ნათელა და ამ მონატრებამ დასვა გრძელი წერილის საწერად, რომელიც საალერსო სიტყვებით აავსო. იმ საღამოს მისთვის ცხადი შეიქმნა, რომ ნათელა უყვარდა და დაუფარავად მისწერა ამის შესახებ. ხუთი დღის შემდეგ დეპეშა მიიღო, ჩამოვდივარ, დამხვდიო. მოლოდინის საამურმა ჟრუანტელმა დაუარა მთელ ტანში ბათუმის მატარებელი ბაქანს რომ მოუახლოვდა შემოდგომის იმ ადრიან, სუსხიან დილით. ორთქმავლის კვამლით გაზავებული ცივი ჰაერი სიცხის ალმურად გადიქცა თითქოს, სახეგაბადრულმა ნათელამ ,ვაგონის კიბეები რომ ჩამოირბინა და კისერზე შემოეხვია. იმ დღიდან მათ შორის ყველაფერი გარკვეული იყო.

პირველად თვითონაც [illegible] რომ საცოლე ჰყავდა, რომ ამიერიდან მისი ცხოვრება უნდა შეცვლილიყო, მისი თავისუფლება შეზღუდულიყო, პასუხისმგებლობა გაზრდილიყო. აღელვებდა და აფორიაქებდა ეს ამბავი, მაგრამ მაინც უნდოდა ცოლის შერთვა, ეს იყო თავდაუღწეველი აუცილებლობა, გულში ეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, თუმცა ცოლის მოსაყვანად არც შესაფერი ბინა გააჩნდა, არც შესაფერი ჯამაგირი. ნათელაც არსად არ მსახურობდა და არც სწავლობდა, იმ წელიწადს აკადემიური შვებულება აიღო. როგორ უნდა ეცხოვრათ, როგორ უნდა გაეტანათ თავი, მაგრამ ქობულეთიდან დაბრუნების ერთი თვის თავზე, მაინც დაქორწინდნენ. ძლივს მიაგნეს მმაჩის ბიუროს და დახუთულ, საკანცელარიო ინვენტარის სუნით გაჟღენთილ ბნელ ოთახში ხელი მოაწერეს. აიღეს საბუთი, რომლის მიხედვით, ამიერიდან ცოლ-ქმრად იწოდებოდნენ და კვლავ ქუჩაში გამოვიდნენ, სადაც შუადღის თბილი მზე აფიცხებდა ქალაქს. ნათელას ჯერ ისევ ბერეტი ეხურა, თუმცა ამ ხნის განმავლობაში თმა საკმაოდ წამოეზარდა. ბერეტი არ მოუხდია, როცა ფოტოგრაფ ჟვანიასთან გადაიღეს სურათი. მერე შამშემ მკლავში ხელი გაუყარა თავის ცოლს და სასტუმრო „ორიანტალის“ რესტორანში შეიყვანა. მოკრძალებულად, ჩუმად ისადილეს, შამშემ ერთი ბოთლი ღვინო შესვა. თვალებით ერთმანეთს რომ წააწყდებოდნენ, ელიმებოდათ, თითქოს არც ჯეროდათ, რომ ცოლ-ქმარი იყვნენ. სინამდვილეში მართლაც არ იყვნენ ცოლ-ქმარი, ფარატინა ქაღალდს რა მნიშვნელობა ჰქონდა? როცა ჩამობნელდა, რესტორანში სინათლე აინთო და ორკესტრიც დაკვრას შეუდგა. სწორედ მაშინ წამოდგნენ, ახმაურებული და გამხიარულებული დარბაზი

დატოვეს და შამშემ სახლამდე მიაცილა ნათელა..

— ამ საღამოს ბიძაჩემს ვეტყვი, ხელი რომ მოვაწერეთ! — უთხრა ნათელამ.

— მეც ვეტყვი ჩემს დას! — უთხრა შამშემ და შინ გამობრუნდა.

მაგრამ მისმა დამ, ცუცამ უკვე იცოდა ეს ამბავი და შამშე გაოცდა, საიდან შეიტყო ამ მართლაც კუდიანმაო?

— ბიჭო, შე თვალდავსებულო, ნათელა ნიგურიანის მეტი ქალი ვერ იშოვეე? ქვეყანამ იცის, მაგას არტისტი სერგო მაისურაძე უყვარობდა! — ზიზღით მიახალა ცუცამ.

ელდანაცემ შამშეს ენა პირში ჩაუვარდა, მერე მაგიდას მუშტი დაარტყა და გიჟივით იყვირა: მომშორდი, მომწყდი აქედანო, მერე თვითონ გამოვარდა კარში და სადღაც გასწია. დის ნათქვამი არ დაუჯერებია, მაგრამ გაახსენდა ბორჯომში ნათელა სერგოს გვერდით რომ დაინახა და ეკალმა უჩხვლიტა გულში. ეჭვმა ღრღნა დაუწყო, თავის სასიყვარულო თავგადასავლებში კურორტი ბორჯომი ერთხელ უკვე თარსად ჰქონდა დაცდილი, ნუთუ მეორედაც იგივე იმედგაცრუებაც ელოდა?

ბუნებით მალემრწმენი იყო და ყველაფერს მალე იჯერებდა, შეუძლებლად არაფერი მიაჩნდა, არც მახლობელი ადამიანის ღალატი, რადგან სიმტკიცის რწმენა ბადებს ადამიანში, მას კი, გულის სიღრმეში არავისი და არაფრის არა სწამდა. თუმცა ნათელას შესაძლებელ ღალატს ვერაფრით ვერ იჯერებდა, მის ნდობით გამთბარ სახეს და გულწრფელ თვალებს რომ წარმოიდგენდა. თავგზაბნეული იმ ღამეს ტრამვაის დააჯდა და ავლაბარში კოლასთან ავიდა. ბედზე კოლაც შინ დახვდა უმცროსი ძმის სტუმრობა ძალზე გაუხარდა.

— ორიოდ ღამე გამათევინე, ცუცასთან ცხოვრება აღარ შემიძლია! — თხოვა შამშემ.

— მოგიკვდეს ჩემი თავი, სულ აქ დარჩი, თუ გინდა!

ძმის გულითადობამ და [illegible]ბამ გული გაულო და გულახდილობის გუნებაზე განაწყო.

— ცოლი შევირთე და ისეთები მითხრა მაგ წყეულმა, რომ არ ვიცი სად წავიდე, ახლადშერთული ქალი სად წავიყვანო?!

— რა გაქვს სადარდებელი, ჩემთან ამოიყვანე ის შენი ცოლი და იყავით აქა, შენ დარდი ნუ გაქვს. ჩემს თავს მივხედავ, იმდენი მეგობრები მყავს თბილისში რომა, მთელ ქალქს ეყოფა, ეხლა ცოტა ხანს ლიდუსი სმირნოვასთან შევაფარებ თავს... — აჩიფჩიფდა კოლა და მყისვე შეუდგა ოთახის მილაგებ-მოლაგებას. საიდანღაც ქალის წინდები ამოათრია და სადღაც შეჩურთა, ლოგინი გაასწორა. მაგიდიდან საჭმლის ნარჩენებიანი თეფშები და ღვინოჩარჩენილი ბოთლები აკრიფა, კარადიდან სუფთა თეთრეული გამოიტანა და შამშეს ტახტზე ქვეშაგები გაუშალა, თან თავის პირად საქმეებზე ელაპარაკებოდა, ვითომ ართობდა სტუმარს, მაგრამ შამშეს არაფერი აინტერესებდა, ძლივს უსმენდა და ძლივს პასუხობდა. ის ღამე ძილ-ღვიძილში გაატარა. უთენია სამსახურში მიმავალმა კოლამ გააღვიძა, აჩვენა სასმელ-საჭმელი სად ინახებოდა და ასწავლა გასაღები სად დაემალა. კოლას წასვლის შემდეგ შამშეს აღარ დაეძინა. მეზობელი ეზოდან ძაღლის ყეფა ისმოდა. შამშემ თავქვეშ ხელები ამოიდო და ფანჯარას მიაჩერდა. მღვრიე რიჟრაჟი თანდათან აბაცებდა ღამის სიქუფრეს. ერთბაშად მოაგონდა გუშინდელი დღე, ბედნიერი და აღელვებული რომ იყო, მაგრამ დის ერთმა ბოროტმა სიტყვამ ნისლივით რომ გაუფანტა ნათელი განწყობილება და გაურკვეველი ეჭვებისა და შეურაცხმყოფელი დამცირების ჯურღმულში ჩააგდო. უკვე მოუწამლეს სიხარული, ჯერ ბოლომდე რომ არც კი განეცადა. ლოგინიდან წამოდგა, დაიბანა, ტანთ

ეროვნული

ჩაიცვა და ქუჩაში გამოვიდა. მოლუშული დილა დარდივით ჩამოწოლილიყო ციდან, ღამით ცოტა წამოეწვიმა, ჰაერი ნესტით სუნთქავდა. სამსახურში უგუნებოდ იყო მთელი დღე, ხუთ საათზე, ზაკფედერაციის მოედანზე, ადრე თავისუფლების მოედანი რომ ეწოდებოდა, ქალაქის საბჭოს წინ უნდა შეხვედროდა ნათელას და ეს შეხვედრა აშინებდა. პაემანზე ნახევარი საათით დააგვიანა, დიდხანს შერჩა საავადმყოფოში, თითქოს ფეხს ითრევდა. ნათელა შორიდანვე დაინახა, ტრამვაის ვაგონის ფანჯრიდან, მაჯის საათზე იყურებოდა და თან ქალაქის საბჭოს ვეებერთელა საათს ასცქეროდა, ეტყობა, აშფოთებდა შამშეს დაგვიანება, მაგრამ როგორც კი დაინახა ტრამვაიდან ჩამომხტარი ქმარი, სახე მეყვსეულად გაებადრა და შამშემ აშკარა სიძულვილი იგრძნო საკუთარი დისადმი, საზიზღარი ეჭვი რომ მოახვია თავს. მაგრამ ვინ იცის, იქნებ, იყო რაღაც, ასეთი ჭორის საბაბს რომ იძლეოდა?

— რატომ დაგაგვიანდა, რამე ხომ არ შეგემთხვა, წუხელის ვუთხარი ბიძაჩემს ჩვენი ამბავი და ძალიან გაუხარდა, ოღონდ შეწუხდა, სად იცხოვრებთო?

— ჯერჯერობით ჩემს ძმასთან ვიცხოვრებთ ავლაბარში, მერე ვნახოთ.

— ბიძაჩემს შენი ნახვა უნდა, ამ საღმოს შინ გელოდება.

— კი ბატონო, — თქვა შამშემ, მკლავში ხელი გაუყარა და პუშკინის სკვერისკენ წაიყვანა. ხეებზე ბელურები ქლურტულებდნენ, მიწაზე გაყვითლებული ფოთლები ეყარა. ისინი მერხზე ჩამოსხდნენ, ყოფილი სემინარიის შენობის წინ, სალებავით გათხვრილი ხელოსნები კედელზე რაღაც დაფას ამაგრებდნენ.

— ნათელა, სერგო მაისურაძეს თუ იცნობ?

ნათელა შეკრთა, წარბები შეკრა, მკაცრად შემოხედა.

— რატომ მეკითხები?

— ისე სხვათაშორის.

ბაღის შუაგულში შადრევნიდან წყალი მოჩუხჩუხებდა, ხოლო ნათელას ცრემლმომდგარი თვალები მრისხანედ ელავდნენ შამშეს თვალებს მიბჯენილნი.

— მე ვიცი რატომაც მეკითხები. ვინც შენ ეგ ჩაგაწვეთა, ის შენი და ჩემი მტერია. სერგო მაისურაძეს ვინ არ იცნობს, ისე მომწონდა სცენაზე, რომ ლექსებიც კი მივუძღვენი, მაგრამ ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ შევხვდი ამ ზაფხულს ბორჯომში, სანამ ტიფი შემეყრებოდა, წინადღით ელიკომ გამაცნო და ისეთი არარაობა აღმოჩნდა, რომ სამუდამოდ გული ამიცრუვდა მაგის ნიჭზე და მაგის როლებზე. შენ კი მაგ ლექსების ამბავი იმიტომ გითხრეს, უნდათ ჩემი თავი შეგაძულონ. მე კი ის ლექსები დავხიე და გადავყარე... — და უეცრად ნათელა ბავშვივით აბლავლდა.

გამვლელები ყურადღებას აქცევდნენ მათ, ზოგიერთები მტრულად ათვალიერებდნენ შამშეს.

— დაწყნარდი, დაწყნარდი, ვინმეს რამე ეგონება, ეს უბრალოდ გკითხე, განა რამე დავიჯერე. ჩვენს შორის დაფარული არაფერი უნდა იყოს, თუ ლექსებს უძღვნიდი, როგორც ხელოვანს, მაშინ არა უშავს...

— რა უნდა უშავდეს? გატაცებული ვიყავი მაგის თამაშით, ეგ ლექსებიც ლიზიკოს და ელიკოს გარდა არავისთვის მიჩვენებია, საინტერესოა, ვინ ჩაგაწვეთა ეგ შხამი ყურში?

— ხომ ხედავ, ქვეყნად არაფერი იმალება...

ნათელამ ტირილს უმატა.

— რა არის აქ დასამალი?

— არაფერი, არაფერი, დაწყნარდი, სირცხვილია, ხალხი გვიყურებს! — ძლივს დაამშვიდა შამშემ, წამოაყენა და ქუჩაში გაატარა. ჭირის ოფლმა დაასხა, უკვე იგრძნო, რა მძიმე ტვირთი აიკიდა მხრებზე, რა ხათაბალაში გაჰყო თავი. ოპერამდე გაისეირნეს და ისევ უკან გამობრუნდნენ. ნათე-

თა დამშვიდდა, მკლავებზე მაგრა მიეკრო, ბავშვური სიალალით შეხედა და მიამიტი გულწრფელობით უთხრა:

— შამშე, იცოდე, ამ ქვეყნად შენსავით არავინ მიყვარს.

10.

ახალი პატიმარი ისე იყო ნაცემი, საკანში რომ შემოაგდეს ლაპარაკის თავი არა ჰქონდა. ზედამხედველებმა კარები რომ გაიბრახუნეს და ჩხაკუნით ჩაკეტეს, კუთხეში მჯდომი ჯიმშერ საჯაია წამოდგა და ცემენტის იატაკზე გაშხლართულ უცნობ პატიმართან ჩაიმუხლა. ახლადმოყვანილმა თვალები გაახილა. თმა გადაკრეჭილი ჰქონდა, წვერი კარგა ხნის გაუპარსავი, სიგამხდრის მიუხედავად, ეტყობოდა ზორბა ვაჟკაცი იყო. ტუჩის კუთხეში და ცხვირის ნესტოებთან სისხლი შეხმობოდა. ჯიმშერმა საკინძე გაუღელა, ხელი ჩაუყო და სხეული მოუსინჯა. ახლადმოყვანილმა დაიკვნესა.

— ნუ გეშინია! — უთხრა ჯიმშერმა და დანარჩენ პატიმრებს მიმართა, კომპრესები უნდა დავადოთ, ვისაც რა გაქვთ დაასველეთ წყალი და მომეცით.

მართლაც, ცოტა ხნის მერე, სველი ცხვირსახოცები, მაისურები, პერანგები და ჰინჰები შემოახვიეს მთელ ტანზე და პირში წყალი ჩაასხეს. ნაცემი მოსულიერდა, აშკარად ეამა ცემისგან გახურებულ სხეულს გრილი სისველის შეგრძნება.

— ვინ ხარ, ბიჭო, სადაური ხარ? — ჰკითხა ჯიმშერმა.

— სამტრედიელი ვარ, ბიძინა ნიგურიანი, — ოდნავ გაისმა ჩახრეწილი ბოხი ხმა.

— რომელი მუხლი გაქვს?

— ორმოცდათვრამეტი!

— თუმცა აქ ყველა ორმოცდათვრამეტით არა ვზივართ?! — თავის თავზე გაეცინა ჯიმშერს.

საკანი დიდი არ იყო, შიგ ოციოდე პატიმარი ძლივს ეტეოდა. მათ იატაკზე გაეშალათ თავიანთი ტანსაცმელი და ზედ იწვნენ ან ისხდნენ. ერთადერთი ფანჯარა დაჟანგული თუნუქით იყო აჭედილი, მაგრამ სულ ზემოთა ღიობიდან ცოტა სინათლე და ცოტა ჰაერი შემოდიოდა. კუთხეში კართან, აშმორებული ვედრო იდგა, მეორე კუთხეშიც ვედრო იდგა ტაბურეტზე, წყლით სავსე. მეტი არაფერი. არც სკამი, არც მაგიდა, არც საწოლი.

ნაცემმა ბიძინამ მეორე დღეს უკეთ იგრძნო თავი და წამოჯდომა შესძლო. სხეული ისევ უხურდა. გრილმა კომპრესებმა მის ტკივილს დიდად უშველათა და ახლა საკნის გახეხილ კედელს ზურგით მიყრდნობილი მადლიერი თვალებით ათვალიერებდა თანაბინადართ, განსაკუთრებით კი ჯიმშერ საჯაიას, თუმცა არც ის ავიწყდებოდა, რომ ციხის ყველა საკანში იჯდა თითო დამსმენი და ზედმეტი გულახდილობა პატიმარს ვნებდა. მეორეს მხრივ, დასამალიც არაფერი ჰქონდა. არავითარი მავნებლური ორგანიზაციის წევრი ის არ ყოფილა, არც ბიძამისის იასე ნიგურიანის და არც ბიძაშვილის პეტერ შაინიძის დავალებებს ის არ ასრულებდა, მოსკოვში მათ მიერ კი არ იყო გაგზავნილი შალიკო ტიგროვთან შესახვედრად და ინსტრუქციების მისაღებად ქიტიაშვილთან ერთად, არამედ საჭიდაოდ და ფულის გასაკეთებლად ჩავიდა იქ წყალტუბოს კოლონიიდან გამოქცეული. სიმართლე ეს იყო თუ ამაზე წავიდა საქმე, მაგრამ ჩეკისტებს ეს არ აკმაყოფილებდათ და არც სჯეროდათ, დაწერე, რომ ბიძაშენის დავალებით მოქმედებდიო, რას ვმოქმედებდიო, დაობდა ბიძინა. საკუთარ ბიძაზე ტყუილი როგორ დაეწერა და როგორ გაეწირა მახლობელი ადამიანი? ბიძაჩემი რამდენი წელია არ მინახავს, აღარც კი მახსოვსო, ყოველ დაკითხვაზე ჯიუტად აცხადებდა, მაგრამ უკვე თვითონაც არ იცოდა რამდენ ხანს გაუძლებდა ღამის დაკითხვებს, როცა დაღლილი გამომძიებლები ერთმანეთს

ცვლიდნენ, ის კი იჯდა მთელი ღამე თვალებში სინათლე მომუქებული. გამუდმებული უძილობა, უაზრო და მუხთალი შეკითხვების მახე, სველი თოკით ცემა და შეურაცხყოფა ძნელი გასაძლები იყო და ახლა თვითონაც არ იცოდა უკანასკნელად , ნაცემ და სიქაგამოცლილს, რაზე მოაწერინეს ხელი. სურდა ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი შეშფოთება, წუხილი, შიში და როცა იმ საღამოს ჯიმშერი ჩუმად გამოელაპარაკა, დაუფარავად გადაუშალა თავისი დარდი.

— რაკი ბიძაშენზე და ბიძაშვილზე გეკითხებიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ორივენი დაჭერილი ჰყავთ, — უთხრა ჯიმშერმა.

— ბიძაჩემი ძველი კომუნისტია...

— მაგას ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

უბედურება ის იყო, „ჩემოს“ სალაროს გატაცებაში, სულ იოლად ამხილეს, ციხეში ჯდომის პირველსავე თვეს, თუმცა ბიძინა ბოლომდე უარჰყოფდა თავის ბრალს, მაგრამ ახლა ისეთ საქმეებსაც აწერდნენ, რომელთა შესახებ წარმოდგენა არა ჰქონდა. ეტყობა, დახვრეტას უპირებდნენ და იმიტომ უდებდნენ პოლიტიკურ სარჩულს მის დანაშაულს. დახვრეტის შიში ყველა პატიმარს სულს აცლიდა ციხეში, საკნიდან დაკითხვაზე წაყვანილის დაბრუნება თითქმის ზეიმს უდრიდა ამ უბადრუკ ყოფაში, მაგრამ ყველანი ხომ ვერ ბრუნდებოდნენ, რამდენი ამთავრებდა სიცოცხლეს შუაღამისას სადღაც, სოღანლუღის სანახებში, სადაც ისინი მანქანებით მიჰყავდათ და მათ იქ უკვე ელოდათ გათხრილი სამარე, ხოლო მესაფლავენი, — ვიდრე შინსახკომის ფორმიანი ჯალათები თოფებს იმარჯვებდნენ და საფლავის პირას მდგარ ხელებშეკრულ სიკვდილმისჯილთ ჯერ კიდევ ძალუმად მფეთქავ გულში უმიზნებდნენ ,— მოშორებით იდგნენ ბარზე დაყრდნობილნი, რათა სროლის შემდეგ, მანქანის ფარებით განათებულ სუსხიან ბინდბუნდს რომ ფლეთდა უეცრად, საფლავებში ჩეყრათ დახოცილნი და [illegible] ამოთხრილი მიწა მიეყარათ.

სიცოცხლე არარაობად იყო ქცეული, გაუფასურებული, შეურაცხყოფილი, დაბეჩავებული. უდანაშაულოები აქ არ არსებობდნენ, თუმცა თავდაპირველად ყველანი თავის უდანაშაულობაზე ჩიოდნენ, მაგრამ მერე და მერე, ეს ლაპარაკი და მტკიცებანი მოსაბეზრებელ გულუბრყვილო ჰირვეულობად ალიქმებოდა და არავინ ყურადღებას არ აქცევდა. რაკი არსებობდი, დამნაშავე იყავი, ასეთი იყო აქაური ლოგიკა. ახლა მხოლოდ იმას ჰქონდა მნიშვნელობა, რა სასჯელს გარგუნებდა იღბალი. რა თქმა უნდა, ყველანი სიცოცხლეზე ოცნებობდნენ, ციმბირში გადასახლება სამოთხეში გასეირნებად ესახებოდათ დასახვრეტად განწირულთა ბედთთან შედარებით, თუმცა ისიც კარგად უწყოდნენ, რომ ჩრდილოთის ცივი ბანაკებიც იგივე სიკვდილი იყო, ოღონდ ნელი და მტანჯველი. მაგრამ კარს მომდგარ გარდუვალობას მაინც იმედით გაბუნდოვანებული და დროში და სივრცეში გაწელილი სიშორე სჯობდა, რადგან ბუნების უცნაური კანონის თანახმად, ადამიანს მისთვის დარჩენილი დღენი თითქმის უსასრულო ეჩვენება, თუმცა ძალიან კარგად იცის, რომ ეს ასე არ არის.

პატიმრები დაღვრემილნი და შეშფოთებულნი იყვნენ. ყველას აღარდებდა გარეთ დარჩენილი ოჯახი, ყველას აწუხებდა მახლობლებზე ფიქრი. გაურკვევლობა და უსამართლობა თრგუნავდა ნებას, ერთადერთი ჯიმშერ საჯაია ინარჩუნებდა მხნეობას, მხოლოდ მას შეეძლო სხვისი ბედისადმი თანაგრძნობის გამომჟღავნება, აქ ყველანი ერთ ბედს ქვეშ იყვნენ და არავინ მოელოდა ნუგეშს, მხოლოდ ჯიმშერი პოულობდა ნუგეშის სიტყვებს და ყველანი მისკენ მიილტვოდნენ, მისი იმედისკენ და მისი სიმხნევისკენ, მათ შორის ბიძინაც, რომელ-

საც ჯიმშერმა, ამ საკნის ათისთავმა, თავის გვერდით მიუჩინა დასაწოლი ადგილი, ფანჯრის სიახლოვეს, თუმცა როგორც ახალმოსულს აშმორებულ „პარაშასთან“ ერგებოდა დასაძინებელი. ავადმყოფებს და სუსტებს ჯიმშერი უპირატესობას ანიჭებდა და ამიტომ მოხვდა ნაცემი ბიძინა პირველსავე დღეს ჯიმშერის გვერდით. იგი კმაყოფილი იყო, თუკი შეიძლება კმაყოფილება ეწოდოს ციხეში მყოფი ადამიანების განწყობილების ცვლას. მიუხედავად იმისა, რომ ყველანი ერთ ბედს ქვეშ იმყოფებოდნენ, ხასიათების, წარმომავლობის და მსოფლმხედველობის განსხვავება სიკვდილის მომლოდინე პატიმრებს შორისაც ქმნიდა დაპირისპირებას, შინაგან წინააღმდეგობას. აქ იყვნენ იმ სახელმწიფოს ერთგულნიც, რომელიც მათ უმიზეზოდ სჯიდა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რაც ახლა ჩვენს ქვეყანაში ხდება ბელადმა არ იცისო.

— მით უარესი, განა ქვეყნის ბელადმა არ უნდა იცოდეს ქვეყანაში რა ხდება? — ამბობდა ჯიმშერი, მაგრამ ვერ არწმუნებდა ბელადის ერთგულებს, მათ არაფრის გაგება არ სურდათ, მხოლოდ თავიანთი აკვიატებული აზრი სწამდათ.

ავადმყოფობას ჰგავდა ასეთი ანგარიშმიუცემელი ნდობა და ეს ადამიანები აცოფებდნენ ბიძინას. ძალლი მიაკვდა თქვენს ბელადს სულში, იმან ჩაგყარათ აქ და კიდევ იმას იცავთო? თავს ვერ იკავებდა ზოგჯერ იგი, თითქოს ამით ებრძოდა განუკითხავ უსამართლობას და ავიწყდებოდა, რომ ეს მისი პროტესტი მის საწინააღმდეგოდ შეიძლებოდა შემობრუნებულიყო, თუკი ამ საკანში მსხდარი ბელადის ერთგულნი ციხის მესვეურებთან დაასმენდნენ. გონს რომ მოდიოდა, ნანობდა გაუფრთხილებლად ნასროლ სიტყვას, ეშინოდა დანარჩენი პატიმრებისა. ზოგჯერ სხვათა სიმშვიდე და თავშეკავებაც კი ნერვებს უშლიდა, როგორც ილიკო გამყრელიძისა, სამოც წლის გადაცილებულ ბრგე კაცისა, სრულიად ჭაღარასი, თეთრულვაშიანის, იგი ძველი მონადირე იყო და ძველი რევოლუციონერი, ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს რამდენჯერმე მჯდარი ციხეში, კატორღაც ნანახი ჰქონდა. როცა საქართველო ბოლშევიკურ რუსეთს აუჯანყდა 1924 წელს, ისევ აგემეს მეტეხის ციხე, მაგრამ ბრალდება ვერ დაუმტკიცდა და ექვს თვეში გამოუშვეს. შეიძლება იმედი ჰქონდა, რომ ახლაც იგივე განმეორდებოდა და იმიტომ იყო ასე მშვიდად? „ბიჭო, რას აკვლევინებ ცემით მაგათ თავს? უნდა დაუსახელო არარსებული მოგონილი გვარები, სანამ ეგენი იმათ დადგენას მოუნდებიან, ცოტა ხნით შეგეშვებიან და დაისვენებ, სულს მოითქვამს!“ ურჩია ერთხელ ბიძინას ილიკომ, მაგრამ ბიძინას ეს რჩევა არ დაუჯდა ჭკუაში, განსაკუთრებით კი უმოქმედო ლოდინს გამოჰყავდა წონასწორობიდან და ზოგჯერ, ასეთ გუნებაზე მყოფს, მისი კეთილმოსურნე და დამრიგებელი ჯიმშერიც კი არ ეხატა გულზე, მისი წვრილმანი ხინჯიც კი თვალში ხვდებოდა.

ისინი ერთმანეთის გვერდით იწვნენ იატაკზე, მთელი თვე ისმენდა ბიძინა ჯიმშერის სუნთქვას. ამ ყოველმხრივ ღირსეულ ადამიანს ერთი ნაკლი ჰქონდა, ძილში ხვრინავდა და ღამღამობით მისი ხროტინი, ხვრინვა თუ ფშვინვა, ზოგჯერ მომაკვდავის უკანასკნელ ამოსუნთქვას რომ გაგონებდა, ისე აწუხებდა და აღიზიანებდა ბიძინას, რომ რამდენჯერმე ხმამაღლაც შეუგინია მთელი ღამე თვალმოუხუჭავს, ძილგატეხილს, მშფოთვარე ფიქრებში ჩაწმახნულს. მაგრამ ზოგჯერ, ჯიმშერი არ ხვრინავდა და ბიძინა ხვდებოდა, რომ მას არ ეძინა, საკუთარ ფიქრებში იყო ჩაძირული და ბიძინას რცხვენოდა თავისი სულმოკლეობისა. დილისითაც, როცა ჯიმშერი იღვიძებდა და თავის „ტელოგრეიკაზე“ წამომჯდარი პატიმრებს ებაასებოდა, ბიძინა ნანობდა თავის წუხან-

დელ გინებას და ავ ფიქრებს, რადგან ჯიმშერის დამოკიდებულება სინამდვილისადმი თვითონაც აძლებინებდა და ძალას მატებდა.

— იყო ერთი არაბი მწიგნობარი აბულ-ფარაჯი. ერთხელ ხალიფა განაწყენდა მასზე და ბრძანება გასცა შეეპყროთ და თავი მოეკვეთათ. აბულ-ფარაჯი დილეგში ჩააგდეს. საღამოს დილეგიდან სიმღერა მოისმა, აბულ-ფარაჯი მღეროდა. ხალიფამ ვეზირი გააგზავნა, გაიგე რა ამღერებსო. „რა გამღერებს?" ჰკითხა ვეზირმა აბულ-ფარაჯს. „სამი რამ მამღერებს", მიუგო აბულ-ფარაჯმა, „პირველი ის არის, რომ რაღა დამრჩენია, დილით უნდა დავტოვო ეს მშვენიერი წუთისოფელი, არ მინდა დარდში გავატარო დარჩენილი დრო, სჯობს ისევ კეთილად გამოვიყენო იგი, ამიტომ ვმღერი, ვტკბები ჩემთვის დარჩენილი სიცოცხლის წუთებით. მეორე ის არის, რომ მახსენდება რამდენია ჩემზე უარეს დღეში თუნდაც ამ წუთას. დილამდე დიდი დროა, წინ მთელი ღამეა, მე ჯერ ცოცხალი ვარ, ვინ იცის, რამდენი კვდება ქვეყანაზე ახლა, ამ წუთში, როცა მე და შენ ვლაპარაკობთ, ასე რომ, ჩემი მდგომარეობა იმათსას ბევრად სჯობს და ეს მამღერებს. მესამეც ის არის რომ, იმედი არ მტოვებს, იქნებ, როცა გათენდება და დასასჯელად გამიყვანენ, ხალიფას კეთილ ბუნებაზე გაელვიძოს და მაპატიოს შეცოდება. ეს სამი რამ არის ჩემი მხიარულების მიზეზი!" ყვებოდა ჯიმშერი და წუთით მაინც იპყრობდა პატიმრების ყურადღებას, თითქმის ახერხებდა კიდეც მათ გამხნევებას, მაგრამ როცა ერთხელ, საკანში შემოსულმა ზედამხედველმა მისი გვარი ამოიკითხა და თან უბრძანა ბარგი აქ დატოვეო, ჯიმშერიც მიტკალივით გაფითრდა. მან იცოდა, ეს რასაც ნიშნავდა. იგი მძიმედ წამოდგა, ღრმად ამოისუნთქა, წამით დაჟანგული თუნუქით აჭედილი ფანჯრისკენ გაექცა მზერა, ალბათ, წარმოიდგინა იმის [illegible] რაც იფინებოდა განუსაზღვრელ [illegible], მერე საკანში მყოფთ[illegible] უმეტყველო სახეებს მოავლო თვალი, ბიძინაზე შეაჩერა ყურადღება, ჩემს „ტელოგრეიკას" შენ გიტოვებო, უთხრა, კართან მისული კიდევ ერთხელ შემობრუნდა, მშვიდობით, ბიჭებოო, ხმამაღლა წარმოსთქვა და თავჩაღუნული და გაფითრებული საკნიდან გავიდა.

აღარც დაბრუნებულა.

დასახვრეტად განწირულთ ბარგს საკანში ატოვებინებდნენ, ეს ყველამ იცოდა. მეორე დღეს ილიკო გაიყვანეს უბარგოდ. მესამე დღეს ბიძინას დაუძახეს. ბიძინას ბარგი არა ჰქონდა. ჯიმშერის ნაქონ „ტელოგრეიკას" დაავლო ხელი, იღლიაში ამოიდო და ტალანში გავიდა. არავის არაფერი უთქვამს. ერთი ზედამხედველი წინ დაუდგა, მეორე უკან და წაიყვანეს. ალბათ, დასახვრეტად მივყავარო, ფიქრობდა ბიძინა, მაგრამ ამას ისე განიცდიდა, თითქოს სხვაზე ფიქრობდა და არა საკუთარ თავზე. შეიძლება, თვითონაც არ იცოდა და იღლიაში ამოდებული „ტელოგრეიკა" უნერგავდა გარკვეულ იმედს? თუმცა არაფრის იმედი მას არ ჰქონდა, უბრალოდ მექანიკურად მიაბიჯებდა, სიზმარში მყოფივით. ერთი რამ კი ახსოვდა, დასახვრეტად ღამე გაჰყავდათ, ბინძური ნათურა რომ ანათებდა აშმორებულ საკანს, დღე და ღამ რომ განუწყვეტლივ ენთო და ძილს უმწარებდა საკნის ბინადართ. ოდითგანვე ასეთი წესი იყო, დილაუთენია უნდა მოეკლათ კაცი, როცა მზე ამოსვლას იწყებდა და ქვეყანა სიცოცხლეს.

ზედამხედველები ხმას არ იღებდნენ. ისინი ტალანის ბოლოში გავიდნენ და ერთ ფართო ოთახში შეიყვანეს ბიძინა. ოთახი წითელ კუთხეს ჰგავდა, წითელი დროშებით და წითელ ნაჭერზე შესრულებული პლაკატებით იყო მოფენილი. მაგიდასთან სამი შინსახკომელი იჯდა. ერთი მათგანი

ქართველი იყო, ულვაშებზე და თვალებზე ეტყობოდა, მეორე სომეხი ან ებრაელი, ძალზე ვიწრო შუბლი და ძალზე შავი ხუჭუჭა თმა ჰქონდა, წვერულვაში გაპარსული, მესამე რუსი იყო. რუსმა გვარი, სახელი და მამის სახელი ჰკითხა ბიძინას, ბიძინამ უპასუხა ძილში მყოფივით, თითქოს მის მაგიერ ვილაც სხვა იყო აქ და ის სხვა ლაპარაკობდა. რუსი შინსახკომელი რაღაც ქაღალდს კითხულობდა კარგა ხანს, დანარჩენნი უსმენდნენ, ზედამხედველი კარებთან იდგა. ბიძინამ ნაცნობ გვარებს და სახელებს მოჰკრა ყური, მერე რაღაც ათი წელი ახსენეს, მაგრამ რა უნდა მომხდარიყო ამ ათ წელიწადში ველარ გაიგო, ისე იყო გაოგნებული, თანაც ეს რუსი ძალიან სწრაფად, სიტყვების ყლაპვით ლუღლუღებდა. მერე ზედამხედველები ისევ ამოუდგნენ ორივე მხრიდან და კვლავ ბნელ ტალანში გამოიყვანეს. კიბეებით სარდაფში ჩავიდნენ. ზოგჯერ, სარდაფშიც ხვრეტდნენ, თურე, პატიმრებს. სარდაფი ვიწრო გამოქვაბულს ჰგავდა. გამოქვაბულის ბოლოს სინათლე მოჩანდა, იქ კარი ღია იყო. კართან სატვირთო ავტომანქანა იდგა. „ტელოგრეიკიანი“ თმაგადაპარსული არსებანი სხდებოდნენ შიგ. ბიძინა ძლივს მიხვდა, რომ ესენი ქალები იყვნენ. მხოლოდ მოუხერხებელი ნიშანდობლივი მოძრაობა ამჟღავნებდა იმათ ქალობას. ისინი თოფმოღერბული გუშაგებით იყვნენ გარშემორტყმულნი. სანამ იმ ჯგუფს მიუახლოვდებოდნენ, ზედამხედველები შედგნენ, ერთერთი საკნის კარი გააღეს და ბიძინა შიგ შეუშვეს. საკანი ბნელი იყო, პატიმრებით სავსე. უმრავლესობა ფეხზე იდგა, დასაჯდომი ადგილი არ იყო. აქ ბიძინას არცერთი ნაცნობი სახე არ დაუნახავს. თმა ყველას გადაპარსული ჰქონდა იმ ქალებივით. ბიძინა კედელს მიეყრდნო და გაიფიქრა ის შინსახკომელი რაღაც ათ წელს რომ ახსენებდა, მე ხომ არ მომისაჯეს ათი წელიო? ნაღდად ასე იყო! დახვრეტა სხვაგვარად ხ[illegible]თქოს სიმძიმე აჰცილ[illegible] გულიდან, სუნთქვა გაუადვილდა. „სად გვაგზავნიან?“ ჰკითხა გვერდით მდგარ პატიმარს, არცოდნის ნიშნად მან მხრები აიჩეჩა. ბიძინამ უცნაური ბორგვა იგრძნო სხეულში, თითქოს შიგ რაღაც ხდებოდა. კუჭი აეწვა, ალქმა გაუმახვილდა, თითქოს საიდანღაც ბრუნდებოდა. ნაღდად, დასახვრეტად არ მიჰყავდათ, სხვა რამეში იყო საქმე. „სად გვაგზავნიან?“ ჰკითხა მის გვერდით მდგარ მეორე პატიმარს. არც ამან იცოდა არაფერი. როდის იყო პატიმარს წინასწარატყობინებდნენ, თუ სად მიჰყავთ და რას უპირებენ? თავისი უაზრო შეკითხვების თვითონვე შერცხვა. ხმასობაში ჩამოღამდა. ზედამხედველებმა კარები გააღეს. გვარების ამოკითხვა დაიწყეს. ამოკითხულნი ტალანში გაჰყავდათ, ზოგიერთს თავისი პატარა ბარგი ჰქონდა. ეს იმედს ბადებდა. მაგრამ იყვნენ უბარგონიც, ეს ეჭვებს ამძაფრებდა. ბიძინა განზრახ არ იცვამდა „ტელოგრეიკას“, რომ ხელი დაკავებული ჰქონოდა და ბარგიან კაცად გამოჩენილიყო. საკანი განახევრდა. ისევ ჩაკეტეს კარი. ტალანში გასულნი სადღაც წაიყვანეს. ბიძინა დაჯდა. ახლა უკვე შეიძლებოდა იატაკზე დაჯდომა. საშინლად მოუნდა თამბაქოს მოწევა. დაფარული მღელვარება, ზოგჯერ, სხეულში ცახცახით უვლიდა. ისევ გააღეს კარი და ხელახლა დაიწყეს გვარების ამოკითხვა. „ნიგურიანი!“ აშკარად გაიგონა ბიძინამ თავისი გვარი და აქა ვარო, წამოიძახა. ტალანში გაიყვანეს და დანარჩენ პატიმრებს შეუერთეს. ისევ ჩაკეტეს საკნის კარი. ტალანში მყოფნი ციხის ეზოში ჩარეკეს. აქედან მხოლოდ ბნელი ცა ჩანდა. წელიწადი იქნებოდა ბიძინას ცა არ დაუნახავს და თავაწეულმა მაღლა აღაპყრო მზერა. ირგვლივ გალავნისა და ციხის შენობის კირით შეფეთქილი გლუვი კედლებ

ალმართულიყვნენ. პირქუში ციხე ოთხკუთხედი, რკინისუჯრებიანი შავი ფანჯრებით მიწიდან ამოთხრილ უზარმაზარ თავის ქალას ჰგავდა. ასფალტზე რამდენიმე დახურული მანქანა იდგა. ბიძინა ერთერთ მანქანაში შეტენეს. სრულ სიბნელეში ვილაცის მუხლებს წააწყდა და წაებლაუჭა. სადღაც ჩასვეს.

— სად მივდივართ?

— ალბათ, გადასახლებაში!

— ციმბირში?

— შეიძლება, ყაზახისტანში!

— იქნებ, ჩრდილოეთში, ვინ იცის?!

მანქანა დაიძრა. ძრავის ღმუილმა ყრუ წყვდიადში შემოაღწია. შეუწყვეტელი ჯანჯლარი აზრის მოკრეფის საშუალებას სპობდა და ასე უაზროდ იმგზავრეს კარგა ხანს. მერე მანქანა გაჩერდა და გაჩუმდა. გაიღო კარი. დამთბარ ჰაერთან ერთად, გარედან ადამიანთა დაგუბული ხმები და ორთქმავლის ხისტი კივილი შემოიჭრა. ამას მოჰყვა გვარების ამოკითხვა. ბიძინა მიხვდა, სადგურზე იმყოფებოდნენ. ცოტა ხნის მერე, გუშაგებით გარშემორტყმული პატიმრები ნავთლუღის სადგურის გაშანდაკებულ კედელთან იდგნენ ხროვად. კედლის გადაღმა დრო და დრო ორთქმავლები ბობოქრობდნენ და მიათრევდნენ ვაგონებს სადღაც სიუცხოვეში, სადაც მათ ელოდათ ქარისგან შეშფოთებული ღამე. სადღაც, სულ ახლოს, ქარი არახუნებდა სახურავიდან აგლეჯილ თუნუქის ფირფიტას. ბიძინას საშინელი სევდა შემოაწვა გულზე. მოენატრა სახლი, რომელიც დიდი ხნის დაჰკარგა. სიბნელეში ქალაქის სინათლეები ციმციმებდნენ. იმ შორეულ სახლებში რომელთა ფანჯრებიდან გამომკრთალი შუქი ციცინათელებივით კრთოდა სივრცეში, ცხოვრობდნენ ოჯახები, დალხინებულიც და დაულხენელიც. ზოგიერთ ოჯახში შეიძლება ეხლა მაგიდასთან ისხდნენ და სვამდნენ ტკბილ ჩაის. ბიძინას მოენატრა ტკბილი ჩაის გემო. მოაგონდა დედამისი ადუღებულ რუსულ სამოვარს რომ ჩამოდგამდა აივანზე, ამშვენებულს, თბილს და მყუდროს. მაგრამ იქნებ, ჩაის სასმელად ყველას არ ჰქონდა საქმე ამ საღამოს? იქნებ, რომელიმე, პერქვეშ, შუა ოთახში იდო კუბო, რომელსაც გარს უსხდნენ დამწუხრებული ან სულაც თავზარდაცემული ჭირისუფლები და სწორედ იმ ოთახიდან გამოსულ სინათლეს ხედავდა ახლა მათგან შორს, სულ სხვა მხარეს მყოფი ბიძინა.. სინათლის სხივი ხომ ყველგან ვრცელდება, ყველა მიმართულებით? „გავიქცევი!“ გაუელვა აზრმა კედელს ზურგით მიყრდნობილს. სწორედ ამ დროს გაისმა ბრძანება, პატიმრები გზას გაუყენეს. კედელის გასწვრივ ატარეს, ცალ მხარეს დახშული სივრცე იყო, მეორე მხარეს — თოფმოღერებული ბადრაგი. მერე კედელი ჩათავდა, პატიმრები ლიანდაგებზე გადაიყვანეს და უბრძანეს მიწაზე დასხედითო. ყველანი დაეყარნენ ორ ცარიელ ლიანდაგს შორის დარჩენილ ადგილზე. „სად გაიქცევი?“ ფიქრობდა ბიძინა. საკმარისი იყო წამომდგარიყავი და გუშაგი მაშინვე გესროდა. მოშორებით ვილაცეები დარბოდნენ და ვილაცეების გვარებს გაიძახოდნენ. ესენი პატიმართა ჭირისუფლები იყვნენ. ბიძინას არ ჰყავდა ჭირისუფალი. მისი ცხოვრება ისე აეწყო, რომ არავინ იცოდა სად იყო ახლა. მისი გვარი არავის წამოუძახნია. შეიძლება, ისე მომკვდარიყო, ახლობლებს ვერც კი გაეგოთ. ორთქმავალმა ანთებული თვალები შემოანათა წყვდიადში გაქცეულ ლიანდაგს და პატიმრების გადასაყვანად სასაქონლე ვაგონები შემოაგორა მათ წინ. ისევ გვარების ამოკითხვა, გაუთავებელი, სულისწამღები, რახრახით გაალეს ვაგონის კარები, პატიმრები შიგ შეჰყარეს. „ახლა კი ვერსად ვერ გავიქცევი“, ბიძინა იატაკზე დაჯდა და ტელეგრეიკა მოიხურა. გარეთ ვილაცეები კვლავ ვილაცეებს უხმობდნენ. ვაგონში დამწყვდეული პატიმრები

რკინის ბადეაკრულ პატარა სარკმელს მიხროვილნი რაღაცას პასუხობდნენ სიბნელიდან მომავალ ხმებს, ბადრაგი დედას იგინებოდა და მერე, როდის-როდის მატარებელი რწევით დაიძრა. სიბნელეში ჩაუარეს შემხვედრ შემადგენლობას, ჩაიქროლა, ჩაიჩუქჩუქა ორთქლმავალმა და შთაინთქა სადღაც და ჩამოდგა სიჩუმე, რომელსაც ჭრიჭინობელების კვნესა-ჭრიჭინი და ძველი, გაცვეთილი ვაგონის უნუგეშო ჭრიალი მოაცილებდა.

მატარებელმა სვლას უმატა, იგი მიისწრაფოდა შესახვედრად ხელეწგაშლილი მომავლისკენ, რომელიც უკუნეთს ემსგავსებოდა. მომავალი მართლაც არის უკუნეთი. ადამიანი თვითონაც ვერ გრძნობს ისე მიილტვის სიკვდილისაკენ, მისი ფიქრები, ოცნებები, ქმედებანი სულ წინ, მერმისისკენ არის მიმართული, სადაც იგი ელის სიკეთეს, მაგრამ მერმისი, საბოლოო ანგარიშით, სიკვდილთან და უკუნეთთან შერწყმაა.

საოცარი მარტოსულობა იგრძნო ბიძინამ. კაცი არ იყო ხმის გამცემი, არავის არ იცნობდა იგი აქ. თვალი მოავლო ვაგონს. თავჩაქინდრული პატიმრები იატაკზე და ნარებზე ეყარნენ. ვაგონის ერთ კუთხეში იატაკი ვიწროდ იყო ამოხვრეტილი, რათა ეს ადგილი ჩეჩმად ეხმარათ. ვიღაცას კუჭი აეშალა და ჩაცუცქდა ნახვრეტთან. ბიძინამ თვალი მოარიდა. მან მტკივნეულად გაიაზრა, რომ სამუდამოდ ტოვებდა სამშობლოს.

11.

ბაქოს ციხეში ბიძინა ორი თვე იჯდა. რამდენჯერ უოცნებია წინათ ამ ქალაქზე, როცა თავისუფალი იყო. ბიძამისი კონსტანტინე აქ მსახურობდა და აქ დაავადდა უკურნებელი სენით. მამამისი მიხაკოც ბევრჯერ ყოფილა აქ ქალაქში სამსახურის საქმეზე. ერთ დროს უამრავი ქართველი ცხოვრობდა და მსახურობდა ბაქოში. ქართული სკოლაც ჰქონდათ და ქართული თეატრიც. როცა ვინმე რამეს ჰყვებოდა მის ოჯახში, ხშირად ახსენებდნენ ბაქოს და ამ ქალაქთან დაკავშირებულ ამბებს. მიხაკოს უყვარდა მოყოლა, თუ როგორ გაიცნო ბაქოში ნოე ჟორდანია, საქართველოს მენშევიკური მთავრობის მომავალი თავმჯდომარე, რომელიც მაშინ პოლიციას ემალებოდა თურმე. ყოველივე ეს ბიძინასთვის ძალიან საინტერესო იყო და თვითონაც სურდა ენახა რუსეთის იმპერიის ნავთობის ცენტრი, სადაც, როგორც ამბობდნენ, ცხოვრება დუღდა და გადადუღდა. მაგრამ როცა პატიმრების მატარებელი საღამო ხანს ბაქოს სადგურის ერთერთ მიყრუებულ ჩიხში გაჩერდა და ვაგონის კარი გაალეს და პატიმრები ძირს ჩამორეკეს, ბიძინამ, სასურველი ქალაქის მიწას ფეხი რომ დააკარა, არავითარი სიხარული და სიამე არ უგრძვნია. თავის ირგვლივ იგი მხოლოდ გაზინგლულ ვაგონებს ხედავდა და თოფმომღერებულ ბადრაგს. არც კასპიის ზღვა ჩანდა, არც თვითონ ქალაქი, არც ნავსადგური, არც ნავთობის სარეწები. მხოლოდ ვაგონები გამურული რკინისგზა, მაზუთის და მჟავარტლის სუნი. იმ საღამოს ჯგუფების ამოკითხვის შემდეგ, პატიმრები მანქანებში შეყარეს და ციხეში მიიყვანეს.

ორი თვე გაატარა ბიძინამ ბაქოს ციხეში. ვიღას არ გაეცნო ციხის საკნებში, მაგრამ აქაური პატიმრებიდან მხოლოდ ერთი დაამახსოვრდა ყველაზე მკაფიოდ, ეიდელმანი, რადგან იგი ერთი უბრალო ყურბანი თათარი იყო, რომელიც გერმანულ გვარს ატარებდა და ორი სიტყვა არ იცოდა თათრულის გარდა. უცნაური იყო მისი ისტორია. თურმე, ეს ჩვენი ალიათათარი ყოფილა ერთი უბირი, უპასპორტო გლეხი, ირანის აზერბაიჯანის საზღვართან ერთი მიყრუებული სოფლის მკვიდრი. აქაური მაცხოვრებელნი, როგორც ირანის ქვე-

შევრდომნი ამას წინათ თავიანთი ადგილებიდან აურიათ, ირანის საზღვართან მიუყვანიათ და იქეთ გადაურეკიათ. უვლია ალიას უცხო მიწაზე, უვლია, მოშიებია, მოსწყურებია და როცა დაღამებულა, ისევ უკან გამობრუნებულა თავისი სოფლისკენ, საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. საზღვარზე დაუჭერიათ ჩეკისტებს, ვითარცა საზღვრის დამრღვევი. ვინაიდან ალიამ თათრულის გარდა ენა არ იცოდა, ვერც სახელი და გვარი გააგებინა წესიერად მათ, ვერც თავისი სოფლის სახელწოდება, ვერც წარმომავლობა. არავითარი საბუთი მას არ გააჩნდა და მაინც ვერ დაამტკიცებდა თავის სიმართლეს. აულიათ და ბაქოს ჩეკაში გაუგზავნიათ, იქ კი, ამ დროს ეძებდნენ, თურმე, გერმანიის აგენტს ეიდელმანს, რომელიც რაღაცნაირად ხელიდან გასხლტომიათ და აი, ეს ჩვენი ალია თათარი მოუნათლავთ ეიდელმანად და ათი წელი მიუსჯიათ გერმანიის სასარგებლო ჯაშუშობისთვის...

ამბობდნენ, ბაქოში ეტაპი უნდა შედგესო, რომელსაც ალბათ, სადღაც, მოუსავლეთში გააგზავნიდნენ. ახლა ამაზე წუხდნენ პატიმრები, ვინ სად მოხვდებოდა, რა ბედი ეწეოდათ მომავლის შიში და წარსულზე დარდი იყო პატიმრების მუდმივი საგონებელი.

ერთხელ, აბანოში რომ წაიყვანეს, უცებ ნაბანავებ პატიმართა ჯგუფში ბიძინამ თვალი მოჰკრა თავისი კლასის ამხანაგს ემილი მახარაძეს და მოახერხა შორიდან გამოლაპარაკება. ემილს რვა წელი ჰქონდა მისჯილი პოლიტიკური დანაშაულისათვის და ახლა აქ, ბაქოში ეტაპს ელოდა. მისგანვე შეიტყო, რომ მათი თანაკლასელი შოთა მამაცაშვილი დაეხვრიტათ, მისი ცოლი კატო ხუთი წლით გადაესახლებინათ, იმათი შვილი უპატრონო ბავშვთა სახლში მიებარებინათ, ხოლო ტარიელ ვარდანიძე წიფლნარში დაბრუნებულიყო საცხოვრებლად. მეტის თქმა აღარ მოხერხდა.

ერთხელაც, საღამო ხანს, საკანში ზედამხედველი შემოვიდა და ბიძინას გვარი ამოიკითხა. ბიძინამ თავისი ტელეგრეიკა მოიხურა და ტალანში გამოვიდა. წარმოდგენა არა ჰქონდა სად მიჰყავდათ, დასაკითხად, ციმბირში გასაგზავნად თუ სხვა საკანში გადასაყვანად. იგი ერთ ფართო ოთახში შემოიყვანეს, სადაც ორი ახალგაზრდა რუსი შინსახკომელი დახვდა. ერთ-ერთი, რომელიც უფრო მაღალი იყო წამოდგა და ბიძინას უთხრა, მე და ჩემმა კოლეგამ ამ საღამოს თქვენ სამგზავრო მატარებლით თბილისში უნდა ჩაგიყვანოთო, სადაც გამოძახებული ხართ დამატებითი გამოძიებისათვისო. ამის შემდეგ, ჩეკისტებმა ბიძინა ციხის ეზოში გამოიყვანეს, მანქანაში ჩასვეს და სადღაც გაემგზავრნენ. მაღალ შინსახკომელს იღლიაში პორტფელი ჰქონდა ამოდებული, რომელშიც ალბათ, ბიძინას საბუთები იდო. ქამარზე ორივეს პისტოლეტები ეკიდათ.

მანქანა სადგურის მოედანზე გაჩერდა, ზედ ბაქანზე ასასვლელ კიბეებთან, სადაც მგზავრები თავიანთი ბარგი-ბარხანით ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ. შინსახკომელებმა ბიძინა მანქანიდან გადმოიყვანეს, აქეთ-იქედან ამოუდგნენ და ლიანდაგზე ახლად ჩამომდგარი მატარებლის წინა ვაგონისაკენ წაიყვანეს. ბიძინამ წაიკითხა ვაგონებზე მიმაგრებული წარწერა „ბაქო—თბილისი". აღარ ეგონა თბილისისკენ დაბრუნება თუ ოდესმე ეღირსებოდა და ახლა არ იცოდა გახარებოდა თუ წყენოდა. გული იქეთ მიუწევდა, მაგრამ შიში უკან ექაჩებოდა. ჩაუარეს შემნახველ საკანს, აყროლებულ საპირფარეშოს და პირველ ვაგონს მიადგნენ. მოშორებით, მებარგულებს ბარგით დატვირთული ურიკა მიეყენებინათ საფოსტო ვაგონთან და ცლიდნენ. ჩეკისტებმა უსიტ-

ყვოდ აიყვანეს ბიძინა ვაგონში, კიბესთან მდგარ კონდუქტორს ხმა არ ამოუღია. კონდუქტორის კუპეში შეიყვანეს და დასვეს, კუპის კარი მოღებული დატოვეს, რომ ცოტა ჰაერი განიავებულიყო. კუპეში საპირფარეშოს მყრალი სუნი შემოდიოდა. საერთო ვაგონი ნელ-ნელა ივსებოდა ხალხით. ვიღაც ნასვამი ოფიცრები ამობრახუნდნენ, მომდევნო ღია კუპე დაიკავეს და მყისვე სუფრის გაწყობას შეუდგნენ. ბიძინას მათი ხმები ესმოდა. შავგვრემანმა, ულვაშიანმა სამხედრომ ვაგონის გამცილებლის კუპეში შემოიხედა და ბიძინას თანმხლებ ჩეკისტებს ჭიქა თხოვა. ამათ ჭიქისა არაფერი იცოდნენ. შავგვრემანი ოფიცერი ვაგონიდან ჩავიდა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა ორი ჩაის ჭიქით ხელში და ჩეკისტები სუფრაზე მიიპატიჟა. ამათ, ცხადია, უარი უთხრეს. შავგვრემანი წავიდა. ამხანაგები ამ მოხერხებული ადამიანის მარიფათს „ვაშას" ძახილით შეხვდნენ. სულ მალე გაისმა ჭიქების წკრიალი. ამასობაში, ვაგონში ზედახორა დაიწყო, მგზავრები თავისუფალ ადგილებს მიაწყდნენ. ქვემოთ, კიბეებთან მდგარი კონდუქტორი ღრიალებდა, ძლივს აკავებდა ვაგონში ერთბაშად ასვლის მსურველთ, ილანძღებოდა და იწყევლებოდა. ათასნაირ ბარგს მოათრევდნენ აქლოშინებული მამაკაცები, დედაკაცები წიკვინებდნენ, ბალღები ტიროდნენ და ბოლოს, როცა ყველა ასე თუ ისე დალაგდნენ, მატარებელი შეინჯღრა და დაიძრა. შავგვრემანი ოფიცერი ისევ გამოჩნდა კონდუქტორის კუპეში, ამჯერად არყით სავსე ორი ჩაის ჭიქით ხელში. ერთი ჭიქა ერთ შინსახკომელს გაუწოდა, მეორე — მეორეს. ამათ პატივი დაიდეს, არ შეიძლებაო, მაგრამ სამხედრო ოფიცერი აძალებდა. რუსულად კარგად ლაპარაკობდა, ოღონდ შესამჩნევი აქცენტით, თუმცა საკმაოდ თავდაჯერებულად. მაშინ მაღალმა ჭიქა გამოართვა და გადაკრა, ხოლო დაბალი ერთხანს კიდევ იკავებდა თავს, მაგრამ ვეღარც მან გაუძლო ცდუნებას. მატარებელი სვლას უმატებდა და დრო და დრო ისმოდა ორთქმავლის შეკივლება, ფანჯარაში ჩანდა მკრთალად განათებული კუპე და ქვედა თაროზე მსხდომნი: შუაში ბიძინა, აქეთ-იქეთ ორი ჩეკისტი. ოფიცერი წავიდა, ცარიელი ჭიქები წაიღო, გაზეთის ქაღალდზე დადებული პური, ძეხვი და მჟავე კიტრი მოიტანა და კიდევ ერთი არყით სავსე ჭიქა, რომელიც ბიძინას მიაწოდა. ბიძინამ არყის დალევაზე უარი განაცხადა და მომწოდებელს თვალი მოარიდა. ამჯერად თვითდაჯერებულ ოფიცერს არაფერი გაუვიდა, ბიძინა საქეიფო გუნებაზე არ იყო. მაღალმა ჩეკისტმა ჭიქა გამოართვა და თვითონ გადაჰკრა. ოფიცერმა ჭიქა წაიღო და ავსებული დაბალს მოუტანა. ეს ერთხანს თავპატიჟს იდებდა, მაგრამ ბოლოს დალია. ოფიცერი თაროზე ჩამოჯდა და ჩეკისტებს განუცხადა, ეროვნებით ინგუში ვარ, შუა აზიიდან მოვდივარ, სამშობლოში მივემგზავრები, სადაც სამი წელია არ ვყოფილვარო. „შენ ვინღა ხარ?" ჰკითხა ბიძინას. „არავინ!" უპასუხა ბიძინამ.

„ღმერთს სამება უყვარს!" განაცხადა ინგუშმა ოფიცერმა და რატომღაც ბიძინას თვალი ჩაუკრა. მან კიდევ ერთხელ დაალევინა ჩეკისტებს არაყი. ამის შემდეგ ვაგონი მიწყნარდა. ოფლის სუნი და ღონიერი ხვრინვა ტვირთად დააწვა ღამის სიმხუთრეს. ზოგჯერ ტამბურიდან კარების ბრახუნი ისმოდა და ვიღაცეები განუწყვეტლივ დადიოდნენ ვიწრო გასასვლელში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვაგონს ეძინა. ინგუში ოფიცერი აღარ გამოჩენილა, ხოლო ბიძინას თანმხლებ შინსახკომელებს წარამარა ეყვინთებოდათ არყისგან და ვაგონის რწევისაგან მოთენთილთ. მატარებელი სრულ

წყვდიადში გზას მიიკვლევდა საქართველოსკენ, რომელიც ბიძინასთვის უფრო მეტ ხიფათს შეიცავდა ახლა, ვიდრე ორი თვის წინ შორეული ციმბირი. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ სასიკეთოდ არ იბარებდნენ, თუმცა ვინ იცის?.. ჩეკისტები ძილს თავს ველარ ართმევდნენ, მერე დაბალმა კუპე ჩაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო. „ადგილიდან არ დაიძრე!“ უბრძანეს ბიძინას და მინებდნენ ძილის უძლეველ ძალას.

ბიძინას არ ეძინებოდა. მატარებელი მიდიოდა და მიდიოდა სადღაც შეუჩერებლივ, ბიძინა კი ზედ ცხვირის წინ წამოწეულ კედელს შესცქეროდა. უეცრად კარი შეჯანჯღარდა, გარედან გასაღები გადატრიალდა, კარი გაიღო და კუპეში ვაგონის გამცილებელმა შემოჰყო გაბურძგნული თავი. უკმაყოფილოდ დახედა მძინარე ჩეკისტებს, საიდანღაც ჰუჰყიანი ვედრო გამოათრია და კვლავ გავიდა. ჩეკისტებს არც მისი მოსვლა გაუგიათ და არც მისი წასვლა. და მეყვსეულად ბიძინა მიხვდა, რომ შეეძლო გაქცევა. რა თქმა უნდა, ჩეკისტებსაც შეეძლოთ ესროლათ, თუ შეატყობდნენ ამ განზრახვას. მატარებელი სვლას უკლებდა, ახლა იყო ხელსაყრელი მომენტი, ბიძინას გული გამალებით უცემდა, მაგრამ მუხლები მოკვეთოდა, ჩეკისტებს თითქოს ღრმა ძილით ეძინათ, მაგრამ რომ გაღვიძებოდათ? ბიძინას შეეძლო საპირფარეშო მოემიზეზებინა, ხოლო თუ ტამბურში გასვლას მოახერხებდა, მყისვე უნდა გადამხტარიყო გაქანებული ვაგონიდან, არადა ძალიან იყო დასუსტებული ციხეში ჯდომისაგან, დრო კი სახიფათოდ იწელებოდა და ბიძინა წამოდგომას ვერ ბედავდა. იქნებ, არც ძინავთ და მითვალთვალებენ? ბორბლების რახარუხი ვაგონის იატაკქვეშ სულ უფრო და უფრო შენელდა და როცა ორთქლმავლის კივილი გაისმა, ბიძინა ფეხზე წამოდგა. რამოდენიმე ხანს იდგა გარინდული, თვითონ ვერც კი გრძნობდა წამი გავიდა თუ საათი, ჩეკისტებმა ვერ გაიგეს მისი წამოდგომა, თუმცა მაღალმა რაღაც სიზალვათე შეიგრძნო და შეიშმუშნა, მაგრამ ძილს თავი ვერ აართვა. ბიძინა სწრაფად გამოვიდა კუპედან და ტამბურში გავარდა. მთელი სხეული უცახცახებდა და ეს ხელს უშლიდა ნების მოკრებაში, მაგრამ მაინც გამოაღო კარი, ბუფერებზე გადავიდა, იქედან ფრთხილად გაძვრა კიბეზე, სახელურს მოეჭიდა და საფეხურზე დადგა ფეხი. სრული წყვდიადი იყო გარშემო, მიწა არ ჩანდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სიცარიელეში უნდა გადამხტარიყო პარაშუტისტივით, შემხვედრი ქარი შუბლში ეჯახებოდა და სუსხი თავისი წვეტიანი ფრჩხილებით სახეს უკაწრავდა, თანდათან თვალი წყვდიადს შეეჩვია, ვაგონის ფანჯრებიდან გამოსულმა შუქმა გაუმჭირვალ უკუნს გამოგლიჯა რკინისგზისპირას გაელვებული ბუჩქები. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. უეცრად მოსწყდა ადგილს და უკან გადაზნექილმა ქვემოთ ისკუპა. როგორც კი მიწას ფეხი შეახო, ინერციამ წინ ისროლა, გრუხუნით მიმავალი მატრებლის გასწვრივ გააქანა, რაღაცას წამოედო, წაიქცა და უმწეოდ გაგორდა.

მატარებელმა ჩაიარა. სიჩუმემ იწყო გამოღვიძება. საიდანღაც გომბეშოს კრუალი გაისმა. ბიძინამ ტანზე მოისვა ხელი. ცოცხალი და საღი იყო. ამაში რომ დარწმუნდა, ნელა წამოდგა. მარცხენა ფეხმა გადადგმისთანავე უმტყუნა, ეტყობა ხელახლა იღრძო ერთხელ უკვე ბეთანიაში ნაღრძობი კოჭი ისევ დაჯდა. უჩვეულოდ გრძნობდა თავს. ცოცხალი და თავისუფალი იყო და მარტოდ-მარტო იჯდა მიწაზე რკინიგზის პირას, უცნობ და უდაბურ ადგილას. საკუთარი თავისუფლება ბიძინას აოცებდა და უეცრად ცრემლები მოერია და რაკი არ-

ავინ უთვალთვალებდა, თავს შვება მისცა, გულიანად ამოიღმუვლა.

ქვაზე ქვეწარმავალი გადასლიკინდა და ბუჩქებში შემძვრალმა ხმელი ბალახიააშრიალა. ბიძინა გამოერკვა, ტირილი შეწყვიტა, ისევ სიჩუმეს მიუგდო ყური, აქეთკენ ხომ არავინ მოდისო. ჩქამი არ ისმოდა. სრულიად ნათლად გაიაზრა, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი იყო, ახლა არანაკლები საშიშროება ელოდა, ვიდრე ციხეში მყოფს. ადგილზევე შეეძლოთ მოეკლათ, როგორც გამოქცეული პატიმარი. მისი თავისუფლება თავისუფლება არც კი იყო, რადგან უზარმაზარ ხიფათს შეიცავდა. ამგვარი თავისუფლება დევნილი ნადირის განწირულ სრბოლას ემსგავსებოდა, ოღონდ, მაინც ეს ერჩივნა მყრალ ოთხკედელში ჯდომას და ღრმად ამოისუნთქა სიხარულით, ლაღად, თუმცა ჯიცოდა, მცველები მალე დააღწევდნენ თავს არყის ზარხოშს და ბიძინას ადგილზე რომ ვერ მოიკითხავდნენ, ქვეყანას ააწრიალებდნენ.

„ვის რას ვუშლი, რას მერჩიან?“ გაიფიქრა ბიძინამ და წამოდგა.

ამ ადგილს სასწრაფოდ უნდა გასცლოდა, მაგრამ საით წასულიყო, უკან ბაქოსკენ, თუ წინ საქართველოსკენ? ბაქო ახლოს იყო, საქართველო შორს, მაგრამ მაინც წინ გასწია საქართველოსკენ, ფეხნაღრძობმა, დაქანცულმა , მშიერმა, მწყურვალმა, მიმქრალი მთვარის შუქით მკრთალად განათებულ ხრიოკ ტრამალზე გაჭიმული რკინიგზის გასწვრივ და გამთენიისას, მთვარე რომ ჩაესვენა და ბინდმაც გადაიყარა, მოწყენილი და ფოთლებშემხმარი მწირი ალვის ხეებით გარშემორტყმულ პატარა სადგურს მიაღწია, სადაც კაცის ჭაჭანება არ ჩანდა და საიდანაც უდაბნოსებურ, მიხაკისფერ ფერფლწაყრილ ერთფეროვნებაში ვიწრო შარაგზა თეთრი ძაფივით მიიკლაკნებოდა გამოფიტულ გორაკებს მოფარებულ რომელიღაც შორეულ დასახლებისკენ.

ბიძინა ლიანდაგს მოშორდა, სადგურის პირდაპირ ბექზე ავიდა და ეკლიანი ჯაგებით დაფარულ ლოდიანებში ჩაძვრა. ბნელი ხვრელებიდან თავგამოყოფილი თვალებდაყვლეპილი ჯოჯოები გაყინული მზერით მოსჩერებოდნენ. აქედან სადგური ხელის გულივით ჩანდა. ჩაკეტილი სემაფორი, მინარეთივით გრძელი კოშკი, ორადორი ლიანდაგის ხაზი, შემხვედრ შემადგენლობებს რომ ერთმანეთისთვის გვერდი აევლოთ. სრულიად მიყრუებული ადგილი იყო, ბიძინამ იმედი დაჰკარგა, რომ ვინმეს გამოელაპარაკებოდა და პურის ნატეხს იშოვიდა. ეს ახლა საშიშიც იყო. დაღამებამდე აქ უნდა მჯდარიყო, რომ ბინდში ეცადა დასავლეთისკენ მიმავალ რომელიმე მატარებელზე აძრომა და თუნდაც კიბეზე მოკალათება. ახლა, ალბათ, უკვე ეძებდნენ აწრიალებული შინსახკომელები.

იმ დღეს მზის ჩასვლამდე ეძინა ყანგადაკრულ ლოდიანებში ჩაჭედილს. მთელი წელიწადი აბრიალებული ნათურა უჭყიტინებდა თვალებში და ადამიანურ ძილს იყო მონატრებული. ახლა შეეძლო თავის ნებაზე მოესვენა გარეშე თვალთაგან მოფარებულში, ქვიდან ქვაზე ხლაკვნით მძრომიალე ხვლიკების გარემოცვაში, და მართლაც გული იჯერა ძილით. იშვიათად ლიანდაგზე ჩავლილი მატარებლის გრუხუნი აღვიძებდა, თავს ასწევდა, გახედავდა სადგურს თავისი საფარიდან, იქ ამჩნევდა ვილაც ფაფახიან თათრებს, ძილმორეულ თვალს აყოლებდა მატარებელს და როცა უკანასკნელი ვაგონი ჩაივლიდა, ლიანდაგის გადაღმა ველზე მოფენილ ცხვრის ფარას მოავლებდა ზარმაც მზერას და ისევ ძილის ბურანში ეფლობოდა. შემოდგომის მზე სხეულს უფიცხებდა და თენთავდა, მაგრამ როგორც კი მზე ჩაესვენა და ცხრა მთას იქეთ გადაი-

კარგა, საგრძნობლად აგრილდა და ბიძინამ ძილქუშს თავი დააღწია. ბნელდებოდა, სადგურის შენობაში სინათლე აენთოთ. ჰაერში ღამურებმა დაიწყეს ფრენა. ბიძინა წამოდგა. ახლა უნდა ეცადა ბედი. თავს დასვენებულად გრძნობდა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღეა პირში ხემსი არ ჩაედო, თითქოს ძალაც მომატებოდა, თუმცა შიმშილი უფრო მეტად აწუხებდა, ვიდრე დილით. სამაგიეროდ, გამოძინებული იყო. ფეხიც ისევ სტკიოდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა დაეძლია ტკივილი. ლიანდაგებს მიუახლოვდა სადგურისგან მოშორებით და ბუჩქებში ჩაჯდა. ერთი საათის შემდეგ ნავთის ცისტერნების გამურული შემადგენლობა გაუჩერებლად გაგრუხუნდა ბაქოსკენ. ბიძინა მღელვარებამ აიტანა, ვაითუ ამ უკაცრიელ სადგურზე სულაც არ ჩერდებიან მატარებლებიო: კიდევ საათი გავიდა, შეიძლება, უფრო მეტიც. შორიდან ძაღლის ყმუილი გაისმა და ბიძინა თანდათან შიშმა შეიპყრო, სულ არ ჩავრჩე ამ უდაბურ ადგილას ულუკმაპუროდ, ძალაგამოლეულიო. კიდევ უფრო ჩამობნელდა და კიდევ უფრო აცივდა და სწორედ ამ დროს, ბაქოდან მატარებელი გამოჩნდა. მღელვარებამ, სიცივემ თუ მოლოდინმა: ციებიანივით აძაგძაგა ფეხზე წამომხტარი ბიძინა. მატარებელი ახლოვდებოდა, მოახლოვდა, ორთქლმავალმა წინ ჩაუქროლა და ვაგონებმაც ჩაიგრუხუნეს. ეს იყო საბარგო შემადგენლობა, რომელიც თანდათან სვლას უკლებდა, ვაგონები ნელა მირახრახებდნენ სიმძიმისაგან ჩაზნექილ რელსებზე და მიწაყრილზე ავარდნილმა ბიძინამ გაატარა ერთი ვაგონი, მეორე, მესამე, მეოთხე, არცერთზე არ იყო ხელის მოსაჭიდი რამ და ხსნის იმედი გადაეწურა, გაატარა კიდევ რამდენიმე ვაგონი და აჰა, როგორც იქნა დაინახა მისკენ მიმავალი საფეხური, რომელსაც სახელურიც თან მოჰყვებოდა, ფეხი აიყოლა ვაგონის სვლას, სახელურს [illegible] და ჰაერში ამხტარმა ტანმა [illegible]რია. აუწერელი სიხარული იგრძნო, თითქოს ყოველგვარ განსაცდელს თავი დააღწია და წინ მხოლოდ ნეტარება ელოდა. საფეხურზე ჩამომჯდარმა ჩაუქროლა აწ უკვე სულმთლად გაუცხოებულ პატარა სადგურს, გახსნილ სემაფორს, მეისრის ჯიხურს და მატარებელმა სვლას უმატა, ორთქლმავლის ამონასუნთქი კვამლი მიწას ეფინებოდა.

ახლა ბიძინა იმას ნატრობდა, მატარებელს შეუჩერებლივ ევლო საქართველომდე. ყოველი გაჩერება სასიკვდილო საშიშროებას წარმოადგენდა მისთვის, ნებისმიერ სადგურზე შეეძლოთ შეეპყროთ, და ამიტომ, როცა მატარებელი თავაწყვეტილი მიისწრაფოდა წინ, ბიძინა მხნევდებოდა, ხოლო როცა მატარებელი სვლას უკლებდა, ეჭვი და შიში გულს უკორტნიდა. საფეხურიდან ბიძინა ბუფერებზე გადაძვრა, იქედან ვაგონის სახურავზე ავიდა და ღია ვაგონში ჩაძვრა. აქ იგი კუთხეში მოკალათდა და მიყუჩდა. ძილი აღარ უნდოდა, მაგრამ შიმშილი უკანასკნელ ძალას აცლიდა. მატარებელი ზოგჯერ ჩერდებოდა პატარა სადგურებზე, სადაც წყვდიადიდან ისმოდა სტვენა, შეძახილები, ბორბალზე ჩაქუჩის მიკაკუნებით გაღვიძებული რკინის ყრუ ჟღარუნი, ვილაცის ფეხქვეშ ხრეშის ხრაშუნი, ზოგჯერ მატარებელი ძალიან დიდხანს იდგა ღამის უძრავ სიმყუდროვეში და კუთხეში განაბულ ბიძინას სუნთქვისაც კი ეშინოდა. მაგრამ მერე მატარებელი ისევ აგრძელებდა თავის გაუგებარ მსვლელობას გაუგებარი მიმართულებით ვარსკვლავებით მოჭედილ ღამეულ ცისქვეშ და ვარსკვლავებიც მოძრაობდნენ შეუცნობელ კანონზომიერებას დამორჩილებულნი უსასრულობის ბნელ ჯურღმულში, ბიძინას კი იმის შიში აწუხებდა, ვაითუ

საქართველოსკენ არ წავიდეს ეს შემადგენლობა და სადმე სომხეთისკენ გადაუხვიოსო.

მისი შიში არ გამართლდა. კარგა გათენებულში საბარგო შემადგენლობამ წითელ ხიდზე გადაიგრუხუნა და საქართველოს სანახებში შემოაღწია. მდინარისკენ დაქანებულ ღამენათევ ქალებს ბური ასდიოდა. ცოტა ხნის მერე მატარებელი გაჩერდა. ბიძინამ საფარიდან თავი გამოჰყო და წინ თეთრად შეღებილი პატარა სადგურის შენობა დაინახა. ქართულმა წარწერამ საშიშროება დაავიწყა. ძირს ჩამოხტა და სადგურისკენ გაემართა. სასტიკად სტკიოდა იღლია, გაჭვირვებულმა ტელოგრეიკის სახელოდან მკლავი გამოაძრო, ხალათი გადაიწია და იღლიის ქვეშ დაიხედა. კარგა მოზრდილი წითელი ძირმაგარა ამობურცვოდა კანზე. ესღა მაკლდაო, წყენით გაიფიქრა. რკინისგზის პირას, მონეხვილ მინდორში, ლარს გამოყოლილი მოჩუხჩუხე წყარო შეამჩნია და მიაშურა. წყურვილისგან პირგამომშრალმა ნეტარებით შესვა ცივი წყალი. სახეზეც შეისხა მაცოცხლებელი სითხე, ნატკენი ფეხიც შეუშვირა. ამასობაში, შემხვედრმა შემადგენლობამ ჩაიქროლა და ბაქოდან მომავალი საბარგოც დაიძრა. ბიძინამ გაუშვა მატარებელი და ბაქანზე გაბოტა შიმშილისაგან და ტკივილისაგან თავბრუდახვეულმა. ირგვლივ არავინ ჩანდა, გარდა ყვითელალმიანი რკინიგზელისა, რომელიც ბაქნის ბოლოში იდგა და მიმავალ მატარებელს აცილებდა. ბიძინა შენობაში შევიდა და იქაურობა მიათვალიერა, იქნებ, პურის ნატეხი ეგდოს სადმეო. ოთახში არავინ იყო და არსად არაფერი ეგდო. კედელთან გრძელი სკამი იდგა. ბიძინა სკამზე მიწვა. ეს ოთახი მოსაცდელსაც წარმოადგენდა, სალაროც აქვე იყო, სადგურის უფროსის კაბინეტიც. ცოტა ხნის მერე ალმიანი რკინიგზელი მოსაცდელში შემოვიდა და ბიძინას შეხედა. მხოლოდ ახლა შეამჩნია ბიძინამ, რომ ეს რკინიგზელი, მატარებელს რომ აცილებდა, წელან, საკმაოდ ახალგაზრდა, [illegible] ქალი ყოფილიყო.

— თქვენ რას უცდით? — ჰკითხა ქალმა რუსულად, თუმცა ეტყობოდა, რუსი არ იყო, არც ქართველი.

— მატარებელს, — უპასუხა ბიძინამ, — თბილისისკენ როდის იქნება მატარებელი?

— საღამომდე არავითარი მატარებელი არ იქნება!

ქალი თავის ოთახში შევიდა, ეტყობა ის იყო ამ სადგურის უფროსი. იგი ვიღაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა. ბიძინამ ინანა საბარგო მატარებელს ნავთლუღამდე რომ არ გაჰყვა. რის შეეშინდა? ახლა უფრო საშიში არ იყო მისი გაურკვეველი მდგომარეობა? ან რატომ ეგონა, რომ მაინცდამაინც აქ იშოვიდა ლუკმა პურს? ცოტაც მოეთმინა და ქალაქში იქნებოდა.

თვალები მილულა. სისუსტისგან ძილს თავს ვერართმევდა. რკინიგზელი ქალი თავისი ოთახიდან გამოვიდა, კარი ჩაკეტა და სადღაც წავიდა. შუადღეზე, როცა ქალი უკან დაბრუნდა, ბიძინა ისევ მერხზე იყო მიწოლილი და თვლემდა. ხმაურმა გამოაფხიზლა.

— თქვენ რამე ხომ არ გაწუხებთ? — ჰკითხა ქალმა, თავზე დაადგა და შეხედა იმის გადაპარსულ თავს, წვერმოშვებულ ლაწვებს და ჩაწითლებულ თვალებს.

— იღლიაში ძირმაგარა ამომივიდა, — ამოილუღლუღა ბიძინამ.

— წამოდით ჩემთან, მე აქვე ვცხოვრობ, ადამიანურად დაისვენეთ!

ბიძინა წამოდგა და უკან გაჰყვა.

ისინი ჩუმად მიუყვებოდნენ ბილიკს ბორჯღალი ხეების გასწვრივ. შორს ყვითლად მბზვინვარე ნაყანარები მოჩანდა. ამ არემარეზე, სადგურის შენობის სიახლოვეს კიდევ ერთი პატარა, ფინური სტანდარტული სახლი იდგა, რკინიგზელებისათვის რომ

შენდება მიყრუებულ სადგურებზე. სწორედ ამ სახლისკენ ჰქონდათ გეზი აღებული. სახლს მესერით შემოღობილი ეზო ეკრა, ეზოში ხეხილი გაეშენებინათ, ეზოს წინ, გუბეში, თეთრი ბატები ჰყუმპალაობდნენ, სახლის გვერდით, ყონდად დაწყობილ შეშაზე ქათმები ისხდნენ.

ქალმა ჭიშკარი შეაღო და სტუმარი შეუშვა, მაგრამ ჭიშკარი რომ ჩაკეტა, ისევ გადაასწრო და ახლა სახლის კარი გააღო. ამჯერად თვითონ შევიდა პირველ ოთახში. ოთახში იდგა მაგიდა, ფანჯარასთან ფართო ლოგინი, იქვე კომოდი, მეორე კედელთან — ტახტი. ტახტს ზემოთ ბელადის სურათი ეკიდა.

— მარტო ცხოვრობ? — ჰკითხა ბიძინამ.

— ქმარი ამ ზამთარს დამეღუპა.

— შვილი არა გყავს?

— არა, ბავშვი არ დაგვრჩა.

ახლაღა შეამჩნია ბიძინამ, რომ მისი მასპინძელი საკმაოდ მოსული, ღონიერი და სანდომიანი დედაკაცი იყო, ბიძინაზე ცოტათი უფროსი თუ იქნებოდა. ქალმა ტელოგრეიკა ჩამოართვა და ლურსმანზე ჩამოკიდა. მერე ს ლათიც გაახდევინა და წელს ზემოთ შიშველი დასტოვა. ბიძინა ისე იყო გამხდარი, ნეკნები ეტყობოდა, მაგრამ ისიც ეტყობოდა ღონიერი ჯიშისა და მოდგმისა რომ იყო. ქალი თითქოს მუშტრის თვალით ათვალიერებდა მის სხეულს, მკლავი ააწევინა, ძირმაგარა მოსინჯა, ამას შემწვარი ხაშვი ხელად გამორეწყავსო, და კარში გავიდა. ბიძინა ტახტზე ჩამოჯდა და გაიფიქრა, ამ ქალმა რამე არ მიშილთალოსო, მაგრამ ქალი მალე მობრუნდა, ნავთქურაზე ტაფა დადგა, ზედ ხაშვის ფურცლები დააწყო.

— გშია? — ჰკითხა უცებ ბიძინას.

— კი.

ქალმა ცხელი ხაშვის ფურცლები ძირმაგარაზე დაადო ბიძინას და გრძელი ჭინჭით მაგრა შეუკრა. ბიძინას ახსოვდა, დედამისი მინადორა ძირმაგარას მრავალძარღვათი მკურნალობდა. წყლულზე დადებულმა ცხელმა ხაშმა სიამე მოჰგვარა. ხაშვიც კარგი ყოფილაო, გაიფიქრა. სანამ ბიძინა ხალათს იცვამდა, ქალმა სუფრა გაშალა, შემოიტანა საჭმელი და არყის ბოთლი. ბიძინა ებდღვნა ხაშვში მოხარშულ კარტოფილს. დიასახლისს ცუღლუტად გაეცინა: ოტ კორტოშკი ტოლკო ვოროტნიკ სტოიტ, მაგრამ ბიძინამ ვერც კი გაიგო, ამ ხუმრობის ყადრი. მეორე ჭიქა არაყი რომ შესვა, საკმაოდ მოითენთა, ცვილივით მოილვენთა, ჭამა კიდევ უნდოდა, მაგრამ მეტი აღარ შეეძლო. დიასახლისი თავის ისტორიას უყვებოდა, მამით ოსი ყოფილიყო, დედით რუსი, მამა მილიციელი ყოფილიყო და ბანდიტებს მოეკლათ, ობლობაში გაეზარდა დედას, ქმარიც ასეთივე ნაჯვარი შეხვედროდა სომხისა და რუსისა. სადღაც, ტექნიკუმში სწავლისას გაუცვნიათ ერთმანეთი და დაახლოებულან, მერე შეუღლებულან და აქ გამოუგზავნიათ სამუშაოდ, მაგრამ ამ ზამთარს მის ქმარს მატარებელი დასჯახებოდა და დაღუპულა და ეს ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ქალი სრულიად მარტოდ-მარტო დარჩენილა ამ მიყრუებულ ადგილას და მოწყენილობისაგან არ იცის რა ქნას, სად წავიდეს, აქ სახლი აქვს, სამსახური, მაგრამ მარტოობა სულ უფრო აუტანელი ხდება, ოსეტინსკიე ქენშჩინი ოჩენ ტემპერამენტნი, დაასკვნა ქალმა, მაგრამ ბიძინას თვალები ელულებოდა.

— ა ტი კტო ტაკოი? — ჰკითხა უცებ.

— რაო?

— ვინა ხარ, სადაური ხარ?

— წიფლნარელი ვარ... წიფლნარელი კი არა ვარ, ახალციხელი ვარ.. თუმცა, თბილისშიც მყავს ნათესავები...

— პატიმარი ხომ არა ხარ?

ბიძინას სახე მოეღრიცა.

— რა მიგავს პატიმარს?

— ბევრი რამ!

— მაინც?

— არაფერი, ისე გკითხე.

— განჯიდან მოვდივარ, მივლინებაში ვიყავი... აქ ერთ ნაცნობს ვეძებ... — აერია ბიძინას დავთრები და აწრიალდა, მაგრამ ქალმა დროზე დაამშვიდა, ნუ მიხსნი. სულ არ მაინტერესებსო. კიდევ ერთი ჭიქა დაუსხა და ჩაანთქლევინა, მერე წამოდგა, ტახტზე ქვეშაგები გაშალა, დაწექი, დაიძინეო, მე მატარებელს შევხვდები და მალე დავბრუნდებიო, მაგრამ ყოველივე ეს ბიძინას ცნობიერებაში ძლივს აღწევდა. გაჭირვებით წამოდგა, გაიხადა, ლოგინში ჩაწვა და როგორც კი ბალიშს თავი დაადო, მკვდარივით დაეძინა.

როცა გაეღვიძა სრული წყვდიადი ალიქვა. ისევ საკანში ეგონა თავი, მაგრამ იქ არასოდეს არ ბნელოდა ასე. უცბად მოაგონდა სადაც იყო, პირი გაშრობოდა ილლიაც სტკიოდა. ალბათ, უკვე შუაღამე გადასული იქნებოდა, საიდანღაც საათის წიკწიკი ისმოდა. ბიძინა წამოდგა. „რას ეძებ?" გაისმა ქალის ფხიზელი ხმა წყვდიადიდან. „ჰაერზე გავალ და ისევ შემოვალ!" სიბნელეში ასანთი აჩხაკუნდა და კომოდზე ჩამოდგმული სანთლის ალმა ქოხი გაანათა. დიასახლისი ლოგინში იწვა. ბიძინამ კარს მიაგნო და გარეთ გავიდა. ღამის სიწყნარე ჩამდორებულიყო ირგვლივ, თვალი სიბნელეს ეჩვეოდა. ჩეჩმა არ უძებნია, პირდაპირ მესერს მიადგა და იქვე მოისაქმა. გრილმა მიწამ შიშველი ფეხის გულები დაუნამა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ციხიდან გამოქცეულმა პირდაპირ ზღაპარში ამოჰყო თავი. ჯერ კიდევ დაუჯერებლად ეჩვენებოდა ყველაფერი. კვლავ ქოხში შებრუნდა და კართან შეყოვნდა. სანთელი ოდნავლა ბჟუტავდა. საით წასულიყო, ტახტისკენ თუ ლოგინისკენ? ჯერ თითქოს ტახტისკენ დააპირა, მაგრამ ნაბიჯი რომ გადადგა, მიხვდა, ლოგინისკენ მიდიოდა. სკამი წააქცია და ელვის სისწრაფით შეძვრა ფართო ლოგინში თბილი საბნის ქვეშ ათრთოლებული სალუქი სხეულის გვერდით. „რა გინდა?" გაისმა შეშფოთებული, ქრჟოლანარევი, თითქოსდა მკაცრი ამოძახილი, რომელიც ამოკვნესას უფრო ჰგავდა და ეს კვნესა დიდხანს არ შეწყვეტილა და ბოლოს თავშეუკავებელ შეკივლებად გადაიქცა გამმაგებული საწოლის აწყვეტილ ჭყივილთან შერთული...

კარგა ხნის მერე, სიჩუმეში ქალის ხმა აკრუტუნდა.

— რა გქვია?

— ბიძინა. შენა?

— ფატიმა.

12.

მოულოდნელად გამოეღვიძა, ძილში რაღაცამ შეაკრთო და თვალები გაახილა. ოთახში დღის სინათლე იდგა, ლოგინში მარტო იწვა. ფატიმა უკვე ამდგარიყო. „ფატიმა!" დაიძახა ბიძინამ, მაგრამ ხმა არავინ გასცა. საათი ისევ წიკწიკებდა კომოდზე . ბიძინა წამოდგა და თავისი გაცვეთილი, ციხის საკნებში ნათრევი ჭუჭყიანი ტანსაცმელი ჩაიცვა. როცა დაიჭირეს, მაშინაც ეს ტანსაცმელი ეცვა და ციხეში ვინღა გამოუცვლიდა. პიჯაკი მთლად დაიკონკა, შარვალი საჯდომზე და მუხლებზე გადაიცრიცა, მოსკოვში ნაყიდი ფეხსაცმელები ჯღანებს დაემსგავსა. ბიძინა ტალანში გავიდა, სადაც დიასახლისს ტაბურეტზე ნავთქურა ედგა. ეტყობა სადილს აქ ამზადებდა, და კარებს მიაწვა, მაგრამ კარი გარედან ჩაკეტილი იყო. ეს კი აღარ ეპრიანა. უცბად დაიძაბა და აღელდა. ფანჯარას მივარდა, ფარდა გადაწია და გარეთ გაიხედა. სადგურის შენობის წინ ვიღაც კაცმა ჩაიარა ბაქანზე. წუხანდელი ღამე საოცნებო სიზმარს ჰგავდა, მაგრამ ქალის ნდობა მაინც არ შეიძლებოდა. რატომ ჩაკეტა გარედან კარი? ვინ იცის, სად წავიდა?

იქნებ, ახლა თავის კაბინეტში ტელეფონთან ზის და ჩეკას ატყობინებს მეტად საეჭვო პიროვნების გამოჩენას ამ სადგურზე? შეუძლებელია რკინიგზის შინსახკომთან კავშირი არა ჰქონდეს.

ლურსმანზე ჩამოკიდებული საჯაიასეული ტელოგრეიკა სწრაფად ჩამოხსნა, ჩაიცვა, ფანჯარა გააღო და ეზოში გადაძვრა. ფანჯარა ისევ მიხურა და ირგვლივ გაიხედ-გამოიხედა. ძეხორციელი არ ჩანდა თვალსაწიერზე. ეზო გადაჭრა, მესერზე გადაალაჯა და რკინიგზიდან მდინარისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. თან უკან იხედებოდა, ვინმე არ მომდევდესო, მაგრამ ჯერჯერობით არავინ მოსდევდა, იგი მარტო იყო ამ არემარეზე. მხოლოდ შეყვითლებული ხეების მწკრივი მოჩანდა ფატიმას სახლსა და სადგურის ირგვლივ. ფატიმასთან გატარებული წუხანდელი ღამე ტკბილად აგონდებოდა, მაგრამ მტკიცედ იყო დარწმუნებული რომ არა ჯერ არს ნდობა ქალისა, მით უმეტეს, როცა არც იცი ვინ არის ეს ქალი და რა აქვს უზურში.

ქარი უბერავდა და ციოდა, დაჭრუშული ღრუბლები უძრავად ეკიდნენ ცისკიდურზე. შიმშილი და ტკივილი ისევ ეძგერნენ სხეულს შიგნიდან და კვლავ გააწამეს. მიდიოდა და დრო და დრო უკან იხედებოდა. მერე ბილიკმა მარცხნივ გაუხვია და ასანთის კოლოფივით დაპატარავებული სადგურის შენობა ფატიმას პაწაწკინტელა ქოხთან ერთად მდოგვისფერ გორაკს მიეფარა. ერთბაშად მდინარის შხუილი შემოესმა და ჩამომზღვლეული ფლატე წყლისკენ დაეშვა. გაღმა ნაპირზე ქარის მონაბერს ლიშხიანი ჯანღი ჩამოეტანა და მინდორში კორომად მდგარი დამეხილი ხეებისათვის შემოეხვია. ბიძინა მდინარის პირას ჩავიდა და რიყეზე განაგრძო სვლა. უკაციელი იყო წყლის ნაპირები. ასე რომ აჰყოლოდა მდინარეს სათავისკენ დედაქალაქის შუაგულში ამოჰყოფდა თავს. მაგრამ ასე სად ივლიდა? ბილიკი ხშირად იბლანდებოდა, ზოგჯერ ისევ ფლატეზე უნდა [illegible] იყო, ზოგჯერ ისევ რიყეზე [illegible], თვითონაც არ იცოდა რა მანძილით დაშორდა პატარა სადგურს, საიდანაც მდევარის გამოდევნება იყო მოსალოდნელი. ხანდახან ახსენდებოდა ფატიმამ რომ ჰკითხა, პატიმარი ხომ არა ხარო? ალბათ, არ იყო ეს შემთხვევითი, და დაუსვენებლივ მიაბიჯებდა იგი, ვიდრე ერთ ადგილზე, მდინარისგან ნაპირზე გამორიყულ გვამს არ წააწყდა.

ეს იყო გვამი შუახნის მამაკაცისა, წყლისგან ძლიერ გაბერილი, მუცელი ამობურცვოდა, დიდი შუბლი, შუაში შეთხელებული შავი თმა, გრძელი შავი ულვაში გადატყავებული ცხვირი, იგი პირაღმა ეგდო თავთხელ წყალში, ტანსაცმელი არ ეცვა, მხოლოდ ტრუსები და ფეხსაცმელები შერჩენოდა, რამ დაახრჩო, ვინ დაახრჩო, ვინ ან რამ ჩაგდო წყალში?

სადღაც, ამ კაცს ვიღაცეები ეძებდნენ. ცხადია, მას გვარიც ექნებოდა და სახელიც, ალბათ, ნაცნობებიც ჰყავდა და ნათესავებიც, ალბათ, რაღაც საქმიანობას ეწეოდა და რაღაც იცოდა, მაგრამ ახლა ის იყო უშინაარსო გვამი.

ბიძინამ გალურჯებულ, გაბერილ გვამს თვალი მოარიდა, ბუჩქებში გაძვრა და მაღალ ბალახში შეაბოტა. იმედოვნებდა მდინარე სასურველ ადგილთან მიიყვანდა, ან შარაგზასთან, ან ისევ რკინიგზასთან, ან რომელიმე დასახლებასთან, სადაც ლუკმა პურის შოვნას მაინც მოახერხებდა. იმედოვნებდა როგორმე ჩააღწევდა ქალაქამდე და დაუსვენებლივ მიაბიჯებდა მდინარის გასწვრივ, უკაცრიელ მიდამოებში, ზოგჯერ ლიჰყიან ჰყანტობში ეფლობოდა, ზოგჯერ გამაგრებულ ქვიშრობს მიუყვებოდა, ერთგან ყურწუმელა და მრავალძარღვა შეამჩნია, მოკრიფა და ჯიბეში ჩაიტენა. რომ შესვენებისას ძირმაგარაზე საფენები გამოეცვალა, მაგრამ ჯერ არ აპი-

რებდა შესვენებას, სანამ შეეძლო მიდიოდა, რათა მალე გასცლოდა ამ ადგილებს და ღრუბლებს მოფარებული მზე რომ სადღაც გადაილირა, მდინარის პირას ორი კაცი დაინახა, სახელდახელოდ აგებულ ნეშოს კარავთან მოჩალიჩე. იმათაც დაინახეს მათკენ მომავალი ბიძინა. გვერდის აქცევა აღარ შეიძლებოდა, გინდაც მტერი და დუშმანი ყოფილიყვნენ ისინი. მიუახლოვდა და მიესალმა. სალამზე სალმით უპასუხეს. კარვის გვერდით ვედროები და სათევზაო ბადე ეყარა. გრძელი, ბამბუკისტარიანი ანკესებიც კარვის კედელზე იყო აყუდებული.

— დაიჭირეთ რამე? — ჰკითხა ბიძინამ.

— არ მოდის თევზი! — უპასუხა ერთერთმა ჩიფჩიფით.

ორივეს რეზინის ჩექმები ეცვათ. მოჩიფჩიფე უფრო დაბალი და გამხდარი იყო. ბიძინა ქვაზე ჩამოჯდა და საშინელი დაღლილობა დააწვა მის სხეულს. წასვლა უნდოდა, მაგრამ ფეხს ვერ დგამდა. მთელი დღე შეუსვენებლად სიარულმა ეტყობა ძალა გამოაცალა . ლამის თავბრუ დაეხვა. იჯდა და სულს ითქვამდა. მეთევზეები ცეცხლს ანთებდნენ. წყლისგან გამორიყულ ფიჩხს ხმელი ჯოყრები დაუმატეს და კოცონი გააჩაღეს. ზედ ქაფქაფა წყლით სავსე ვედრო დაადგეს და შიგ გამოშიგნული თევზები ჩაყარეს. ვიდრე ისინი ამ საქმიანობაში იყვნენ, ბიძინა ხმისამოუღებლად იჯდა.

— ვინ ბრძანდებით? — ჰკითხა ჩიფჩიფამ და გვერდით მოუჯდა.

— ქვემოთ ვთევზაობდი, მაგრამ წყალმა ბადე მომტაცა, — უპასუხა ბიძინამ.

ჩიფჩიფამ პაპიროსი მიაწოდა და გემრიელად გააბოლეს. მერე წყალი ადუღდა, ვედრო ცეცხლიდან ჩამოდგეს, ტომრიდან არყის ბოთლი და პურის ლიკანი ამოიღეს, მოხარშულითევზი ქვაბში გადაიღეს. სტუმარი მიიპატიჟეს და პურის ჭამას შეუდგნენ. ისევ ესიამოვნა ბიძინას ცხოვრება, ისევ გაუტკბა მისი გემ[illegible]გილიდან საკმაოდ ქვემოთ [illegible]გან წყალმარხში გამორიყული გვამი მოაგონდა, მაგრამ მეთევზეებთან ამის შესახებ სიტყვა არ დაუძრავს, რამე შარს არ გადავეკიდოო.

ის ღამე იმათთან გაათია. დილით მეთევზეებმა ბიძინაზე ადრე გაიღვიძეს და კარვიდან გამოძვრნენ. იმათ ხმაურზე ბიძინასაც გაეღვიძა. სიცივისგან აძაგძაგებდა ნამიან ნეშოზე მწოლარეს და ტელოგრეიკაში გახვეულს. წყლის დუდუნით შემკრთალი ცისკარი თალხებს იხდიდა. ჯმუხმა, სიტყვაძუნწმა მეთევზემ, ბიძინას ერთხელაც რომ არ გამოლაპარაკებია და ალმაცერად უცქერდა, თავისი გუდანაბადი აიკრა, ანკესები მხარზე გადაიკიდა და სადღაც გაემართა. ბიძინა შეშფოთდა, თავი გარეთ გამოჰყო და ჩიფჩიფას გასძახა, სად წავიდა შენი ამხანაგიო?

— მაგას ეჩქარებოდა, შუადღეზე მეც ვაპირებ წასვლასო.

ბიძინამ ტელოგრეიკა გაიხადა, ხალათიდან მკლავი [გაინთავისუფლა, იღლიაში ამოკრული ჩვარი მოიხსნა და ფატიმას დადებული ხახვის ფოთლები მოიშორა. წყლულიდან ბალღამი გადმოდიოდა, მუწუკის კიდეებს თითი დააჭირა და ჩირქი გამორწყო. მოყვითალო თხრამლში ამღვრეული სისხლიც მოედინებოდა. ჩიფჩიფამ დაინახა ბიძინას წვალება, მოვიდა, წინ ჩაუცუცქდა, ძირმაგარას დახედა და ჭინჭის ნახევით ჩირქი მოსწმინდა, თან ამშვიდებდა, კარგია, ორგანიზმი დაგეწმინდებაო. მერე ბიძინასაგან გამოწვდილი ბალახ-ბულახი აილო, მრავალძარღვა და ყურწუმელა დააფინა წყლულს და ძველი ჭინჭით მარჯვედ და მოხერხებულად შეკრა.

— რა კარგი შეხვევა გცოდნია, გამაწამა ამ ძირმაგარამ!

— ნუ გეშინია, ახლა მალე მოგიშუშდება, პირი გახსნილი აქვს, შეხ-

ვევა მართლა კარგი ვიცი, გვარდიაში მეტი რა ვისწავლე...

— გვარდიაში ხარ ნამსახური?

— აბა, არა ვარ? ჩემს თავზე მხოლოდ წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხ, რა ვქნა? შენ სადაური ხარ?

— წიფლნარელი.

— ბიჭოს! რა გვარი ხარ?

— უჯმაჯურიძე!

— უჯმაჯურიძეები წიფლნარში არ ცხოვრობენ.

— რა იცი?

— მეც იქაური კაცი ვარ წარმოშობით, კოლა უნდილაძე, გაფრინდასაც მეძახიან, — კეთილი, ნდობით სავსე თვალებით შემოსცქეროდა იგი ბიძინას.

— უნდილაძეები გამიგია. მე ბიძინა მქვია, მაგრამ გვარს ვერ გაგიმხელ, გამოქცეული პატიმარი ვარ.

— რას ამბობ, ბიჭო.

— ბაქოს ციხიდან გამოვიქეცი, ტყუილ-უბრალოდ დამიჭირეს, ახლა თბილისში მინდა როგორმე ჩავაღწიო და მერე რამეს მოვახერხებ...

— ნუ გეშინია, ჩააღწევ, აქ არა ვარ?

ცოტა ხნის შემდეგ, კოლამ უზარმაზარი მურწა დაიჭირა და თევზაობა შეწყვიტა. ისაუზმეს და აიყარნენ. ყოველშემთხვევისთვის კოლამ ბიძინას ტელოგრეიკა ჩაიცვა, იმას კი თავისი ბრეზენტის წამოსასხამი მოახურა. თევზიანი ტომარა და ბადე მხარზე გადაიკიდა, ვედროები ბიძინას დააჭერინა და გზას გაუდგნენ. სათევზაოდ ხშირად დავდივარ და აქაურ სოფლებში ყველა მიცნობსო, ზოგჯერ ღვინის და საქონლის დალალობას ვეწევიო, აქ ახლოს რკინიგზის ბაქანიცაა, მაგრამ გვიჯობს რკინიგზას ავერიდოთო, მიყრუებული ადგილი უფრო უსაფრთხოა ჩვენისთანა ხალხისთვისო, ენას არ აჩერებდა კოლა და ამ საუბრით მიაბიჯებდნენ, ბიძინას კი თანდათან უსივდებოდა ნატკენი ფეხი და სიარული უჭირდა, თუმცა ხმას არ იღებდა. ბოლოს სოფელს მიაღწიეს.

განიერი მდინარე, შორს, ზურგს უკან დარჩა, უდაბური ზეგანის [illegible] ჩავარდნილი და უჩინარ[illegible]ულ სოფლის მოედანზე, სადაც წივლის ჩიტები მტვერში გაბნეულ საკენკს ეძებდნენ, საბჭოს შენობის წინ დააწყეს ბარგი და დასხდნენ, მაგრამ კოლამ მყისვე გამონახა ნაცნობები, ლაპარაკის იშტა გაეხსნა და საუბარი გააბა, მერე ვიღაცას სადღაც წაჰყვა და კარგა ხანს არ გამოჩენილა.

წივის სუნით გაზავებულ ჰაერში, დრო და დრო, ძაღლების ყეფა, თხების პეტელი და საქონლის ბღავილი გაისმოდა. მიწურებიდან და ქოხებიდან გამომძვრალი, წყაროზე მიმავალი ტანსაცმელშემოფლეთილი ბალღები ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ საბჭოს შენობის წინ, ქვაზე ჩამომჯდარ უცხოს. ამ სოფელში, ეტყობოდა, თათრები, სომხები და ბერძნები ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ. როგორც ჩანს, კოლამ ყველა ეს ენა კარგად იცოდა, წელან ყველას თავიანთ ენაზე ელაპრაკებოდა. მაგრამ იგი იგვიანებდა და ბიძინა შეფიქრიანდა. ხოლო როცა მისკენ მიმავალი მილიციელი დაინახა, რაღაც ჩაწყდა გულში, უამრავმა უკეთურმა ფიქრმა გაურბინა თავში, ნუთუ კოლამ მიღალატა და მილიციელი მომიგზავნაო? გაქცევას რაღას მოახერხებდა და ამასობაში მილიციელი თავზე წამოადგა.

— ვინა ხარ შენა? — ჰკითხა მან უკმეხად.

— მეთევზე ვარ, კოლას ვახლავარ, უნდილაძეს

— კოლასთან ხარ?

— ჰო, კოლასთან ვარ.

— სად არი კოლა?

სწორედ ამ დროს კოლას ყვირილი გაისმა. იგი ორღობეში მორბოდა და ხელებს იქნევდა, რა გინდა ამ ჩემს სახლიკაცს რომ დასდგომიხარ თავზეო, ვითომ ეხუმრებოდა და ვითომ ემუქრებოდა მილიციელს, ფიჩხდაფენილი ბოგირი გადმოიარა და

ახლოს რომ მივიდა, ხელი მაგრა ჩამოართვა, მოდი აქ, შენთვის რა მაქვსო, ტომრიდან ამ დილით დაჭერილი მურწა ამოიღო და მისცა. იგი აშკარად გადაკრულში იყო, ადექი, [illegible]მანქანა ვიშოვეო, უბრძანა ბიძინას, მილიციელს ავადმყოფი ცოლის ამბავი გამოჰკითხა, წელან აშოტამ კარგი არაყი დამალევინაო, ესეც აუწყა და სამივენი ერთად დაიძრნენ სოფლის ბოლოს, ბოსლებისაკენ, სადაც გლეხებით გარშემორტყმული კოლმეურნეობის სატვირთო მანქანა ქალაქში წასასვლელად ემზადებოდა პირუტყვის ბოინში ჩასაბარებლად.

ცოტა ხნის შემდეგ კოლა და ბიძინა მძღოლის გვერდით მოთავსდნენ და იმ საღამოს ნავთლუღის სადგურთან ჩამოვიდნენ ჯონგა მოზვრებით დატვირთული მანქანიდან. ავლაბრამდის ტრამვაით განაგრძეს გზა, მერე ფეხით ავიდნენ კოლას სახლამდე.

ოთხი დღე იმალებოდა ბიძინა კოლასთან. თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა ბიძამისისთვის მიეწვდინა ხმა, მაგრამ კოლამ ამ განზრახვაზე ხელი აალებინა, სწორედ მანდ იქნება ჩეკა ჩასაფრებული, ბიძაშენი დიდი კაცი ყოფილა და სწორედ მანდ მოგელიან შენაო.

— აბა, რა ვქნა? პირდაპირ მამაჩემს რომ მივადგე წიფლნარში, იქაც ჩეკა დამხვდება ჩასაფრებული.

— წიფლნარი სოფელია. თუ მარჯვედ მოიქცევი, მოახერხებ უჩუმრად შეპარვას სახლში და მერე შენიანები დაგმალავენ, რამეს გიშველიან.

ბიძინამ დაუჯერა კოლას, სხვა რა გზა ჰქონდა, მთლიანად კოლაზე იყო დამოკიდებული, გზის ფულიც იმას უნდა გაეღო, ბიძინას გახვრეტილი შაურიანი არ ედო ჯიბეში. ოთხი დღე იჯდა ოთახში ჩაკეტილი. თუ რომელიმე მეზობელი მოდიოდა კოლასთან და კარზე აკაკუნებდა, პასუხს არ აძლევდა. მხოლოდ ღამე გამოდიოდა საპირფარეშოში, მეზობლებს ზედმეტად რომ არ შეჩხეროდა თვალში. თუმცა კოლას მეზობლებ[illegible] მეთევზე და მეორე მე[illegible]სანდო ხალხი იყვნენ, ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ, მაგრამ ახლა არც მათი ნდობა შეიძლებოდა, სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა. ბიძინამ წვერი და ულვაშიც გაიპარსა კოლას სამართებლით და ახლა ისე საეჭვოდ აღარ გამოიყურებოდა. ძირმაგარაც უშუშდებოდა. მისი ტელოგრეიკა კოლამ სადღაც წაიღო და ძველ დაძონძილ პალტოზე გადაცვალა, რომელიც ბიძინას მოკლე და ვიწრო მოუვიდა, მაგრამ მაინც ასე სჯობს, ნაკლებ ყურადღებას მიიპყრობო, ანუგეშა კოლამ. თავისი გრძელკარტუზიანი ძველი ქუდიც აჩუქა, თმაგადკარეჭილის უქუდოდ სიარული შენს დღეში მყოფი კაცისთვის ცეცხლთან თამაშია, უეჭველ ჩავარდნას ნიშნავსო. ბოლოს სამტრედიის ბილეთიც უშოვა დღის მატარებელზე. სადმე კუთხეში დაჯექი და ნურავის გამოელაპარაკები, მთელი გზა ფანჯარაში იცქირეო. სამაგიეროდ, წიფლნარში ღამით ჩახვალ და ისე შეიპარები შენს სახლში, ვერავინ შეგნიშნავსო. წასვლის წინა საღამოს პასპორტიც მოუტანა ვიღაც ავეტისოვის გვარზე.

— ამ პასპორტის პატრონი მკვდარია. თმა რომ წამოგეზრდება სურათი გადაიღე და შიგ ჩააკარი, იქნებ, გამოგადგეს ეს ყალბი საბუთი.

— კოლა, მამა არ გაუკეთებს შვილს, რაც შენ მე ამაგი დამდე. შენ გადამარჩინე უეჭველ დაღუპვას, თუ ცოცხალი დავრჩი, არ დაგივიწყებ ამას.

— მოვრჩეთ მაგაზე ლაპარაკს! — ბრძანა კმაყოფილმა კოლამ და სამთუმნიანიც ჩაუდო ჯიბეში.

მეორე დილით, ბიძინა უთენია გავიდა კოლას სახლიდან. ჩაიცვა პალტო დაიხურა ქუდი, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და დაღმართში დაეშვა. მატარებელი ცხრა საათზე გადიოდა, საათი ბიძინას არა ჰქონდა, მაგრამ იცოდა ცხრა საათამდე ცხრაჯერ მო-

ასწრებდა სადგურში მისვლას. შეეძლო ფეხითაც წასულიყო დროის გასაყვანად, მაგრამ წვრილი წვიმა ცრიდა და ძალზე ციოდა. ვიწრო პალტოშიც თავს მოუხერხებლად გრძნობდა, გასიებული ფეხიც ისევ აწუხებდა და სასეირნო გუნებაზე არ იყო, მაგრამ მეორეს მხრივ, ტრამვაიში ჩაჯდომაც არ უნდოდა, დახშულ სივრცეში უფრო ადვილია ყურადღების მიპყრობა, იქედან გაქცევაც ძნელია. ამ დილაადრიან ვის უნდა შეხვედროდა, რა ბევრი ნაცნობები იმას ჰყავდა თბილისში, მაგრამ ვინ იცის, რომ შეხვედროდა? ისევ ფეხით წასვლა ამჯობინა, ჩუღურეთის და სვანეთის უბნის გავლით. საგრძნობლად ღელავდა და კედელ-კედელ მიაბიჯებდა, მაგრამ არავინ აქცევდა ყურადღებას ამ ყიამეთში წვიმისაგან დაცარიელებულ ქუჩებში მიმავალ უშნოდ ჩაცმულ ახალგაზრდას. ვაგზლის საათის გრძელი ისრები ცხრის ოც წუთს უჩვენებდნენ, როცა ბიძინა სადგურში მივიდა. ბილეთის გარეშე პერონზე არავის უშვებდნენ. ვიწრო შესასვლელთან აწრიალებული და აყაყანებული ხალხი მიხროვილიყო. რომელიღაც ახლახან მოსული მატარებლიდან გადმოსული მგზავრების ნაკადი შიგნიდან მოაწყდა გასასვლელს ტომრებით, კალათებით, კარანჩხებით, ჩემოდნებით და ჩანთებით დაყაბთრული, მოედანს მოეფინა, სადაც განუწყვეტლივ წკარუნობდა ტრამვაის ზარი, და გვიანი შემოდგომისა და სოფლის ბაღჩების სურნელი მოაფრქვიეს გარემოს. უეცრად ბიძინას ვილაცამ ხელი სტაცა. ტუჩებწითლად შეღებილი, ფრჩხილებწითლად გაპრიალებული გაყვინიჟებული ახალგაზრდა ქალი იდგა მის წინ და რაღაცნაირი უტიფრობით შემოსცქეროდა.

— ვერ მიცანი? ქეთო ვარ სამსარაძე! მე თვითონ ძლივს გიცანი, ულვაში გაგიპარსია, გამხდარხარ ძალიან. როდის გამოგიშვეს ციხიდან?

ერთ წელიწადში ეს ქალიშვილი ისე საოცრად გამოცვლილიყო, ისე შეთქვირებულიყო და გაარყნებულ[illegible]ბიძინას მართლაც გაუჭირ[illegible]ბა და ძლიერ არ ესიამოვნა ეს შეხვედრა.

მეორე დღესვე გამომიშვეს, გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, — უკმაყოფილოდ უპასუხა შუბლშეჭმუხნულმა.

— ახლა სადა ხარ, სად მუშაობ, სად მიდიხარ?

— გორში მივდივარ!

— მე კი გორიდან ჩამოვედი, სტუმრად ვიყავი, ხილიც გამომატანეს...

— ტრამვაიმდე მიგატანინებ!

— არ მინდა, ნუ შეწუხდები, მარტო არა ვარ, — მართლაც, მოშორებით, ახალგაზრდა ქალი და ჭაბუკი ელოდნენ ქეთოს, — როგორც კი შემოგხედე, იმ წუთში გავიფიქრე, ეს ბიძინა ნიგურიანი უნდა იყოს-მეთქი, თუმცა ძალიან კი შეცვლილხარ...

— ელზა როგორ არის? — ბანზე აუგდო სიტყვა ბიძინამ.

— ელზა რამდენი ხანია დაიჭირეს, — წამით მოიქუფრა ქეთო, — მაგის ბინაში სხვები შეასახლეს. თუ თბილისში იქნები, მარჯანიშვილის თეატრში შემომიარე და მინახულე, იქ მოდელიორად ვმსახურობ და მიკითხე! — თავი მოიწონა საბოლოოდ.

— აუცილებლად! — შეპირდა ბიძინა და ერთმანეთს დასცილდნენ.

ამ შეხვედრამ ბიძინას გუნება დაუმჟავა. ძაფზე ეკიდა მისი ბედი. ვინ იცის კიდევ ვის გადაეყრებოდა? ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში ყოველ წუთს შეიძლებოდა ვინმეს ეცნო, დაესმინა და ქუჩაში გაესვანჩათ. ამ შიშს დაჭერისა ვერასოდეს ვერ მოიშორებდა, სანამ მართლა არ დაიჭერდნენ. გამოუვალ წრეში იყო მოქცეული. ჯიბიდან ბილეთი ამოიღო, კონტროლიორს აჩვენა და ბაქანზე გავიდა. თავის ვაგონში ასულმა ფანჯარასთან თავისუფალ ადგილს დაუწყო ძებნა, რათა კოლას რჩევისამებრ ჩუმად მჯდარიყო და გზისთვის ეცქირა, მაგ-

რამ ყველა ფანჯარასთან ვილაც იჯდა და უკან გამობრუნდა. სწორედ ამ დროს, ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი და არ შემკრთალა, ნაცნობის ხილვაზე წელანდელივით შიში არ განუცდია, არც თავის არიდება უფიქრია, პირიქით, მისკენ გაუწია გულმა და იგრძნო, დიდი ხანია მალულად ატარებდა ამ ხატებას გულში და ენატრებოდა, ახსოვდა, არ ავიწყდებოდა, არც არავის უმხელდა. შუაზე გაყოფილი შავი თმა და დიდრონი შავი თვალები აქეთ-იქეთ რომ დაეცეცებოდნენ თავისუფალი ადგილის საძებნად, მაიკო მუმლაძისა იყო, რომლის მარად კეთილი ღიმილი ჭხალციხეში ბიძინას სულს უმშვენებდა და ნუგეშს პირდებოდა. ახლა მაიკო შუბლმოჭმუხნილი. შეწუხებული სახით მოდიოდა გასასვლელში სანოვაგით სავსე ბადურას მიათრევდა, უცბად შეეჩეხა ბიძინას და როცა ბიძინამ მძიმე ჩანთა ჩამოართვა, მოულოდნელობისაგან „უიმეო“, შეჰყვირა.

— ბიძინაჯან, შენა ხარ? — გაელიმა უმალ, — ძლივს გიცანი ბიჭო, რათა ხარ ეგრე შეცვლილი?

— აბა, რა იქნები, — ბიძინამ აქეთ-იქეთ მიმოიხედა, თავი დახარა და ყურში ამაყად ჩასჩურჩულა: — ციხიდან ვარ გამოქცეული.

— რას მეუბნები, გაგიჟდი შენა?— არ დაიჯერა მაიკომ და გაიცინა.

— მართალს გეუბნები! — დაბეჯითებით გაიმეორა ბიძინამ.

ამჯერად მაიკომ დაიჯერა და შიშისგან გაფითრდა. თავისუფალ სკამზე ჩამოსხდნენ და მატარებელიც დაიძრა. დილის ცხრა საათი იყო. ნისლში ჩაწოლილი ქალაქი უკან მიქანაობდა თავისი ციხეებით, სასამართლოებით, საავადმყოფოებით და სასაფლაოებით. ამ რკალში ტრიალებდა კაცთა ცხოვრება და მაინც ამ რკალის გარღვევა ეწადა ყველას. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ბიძინამ უშანგი მოიკითხა და გაიგო, რომ იგი, თურმე, დაოჯახებულიყო და ამჟამად კახეთში გადასულიყო სამუშაოდ, კვლავ მიიტანა თავი მაიკოს ყურთან და ჩასჩურჩულა:

— მაიკო, ჩემი სული [illegible] შენს ხელშია!

— რა გინდა ბიჭო?

— ცოლად უნდა გამომყვე!

მაიკო გაწითლდა და გაიცინა.

— აბა, რას მეუბნები, სად გამოგყვე? — ვითომ ხუმრობაში გადაიტანა ბიძინას ნათქვამი.

— ეხლა თუ გამომყვები მაგას ექნება ფასი, თორემ დალხინებული რომ ვიყო, ვინ მეტყვის უარს?...

მაიკო ისევ იცინოდა და უნდობლად შესცქეროდა ბიძინას.

— რა გაცინებს ქალო, სასაცილოდ მაქვს საქმე?—ხმას აუწია ბიძინამ.

მაშინ მაიკომ სიცილი შეწყვიტა და თავი ჩაღუნა.

— რაკი ეგრეა, კარგი, წამოგყვები,— ჩაილაპარაკა ბოლოს მან.

კასპში მატარებლიდან ჩამოვიდნენ. აქ მტკვარზე ახალი ხიდი შენდებოდა და მაკო ბუღალტრად მუშაობდა მშენებლობაზე. ბიძინამ სურათი გადაიღო და ჩააკრა ავეტისოვის პასპორტში. ამ ყალბი საბუთით და მაიკოს შემწეობით მიიღეს იგი სამუშაოზე. ექსპედიტორად. ერთი კვირის შემდეგ კასპში ხელი მოაწერეს. სამი თვის განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ საერთო საცხოვრებლის ვიწრო ბარაკში. მაიკო უკვე ფეხმძიმედ იყო, როცა იგი ბიძინამ წიფლნარში ჩააგზავნა თავისი ამბის შესატყობინებლად და თავისიანების გასაცნობად. მინადორას მაინცდამაინც არ მოეწონა უცნობი რძალი და გულგრილად შეხვდა. იმ საღამოს, როცა უკმაყოფილო მაიკო წიფლნარიდან დაბრუნდა და ქმარს თავისიანების ამბავს უამბობდა, მაგარი ქარი უბეროდა, ღმუოდა, ბარაკის კედლებს აზანზარებდა, ხეებს წელში ღუნავდა. ამ დროს კარზე მოაბრახუნეს. ბიძინა კედელს აეკრა, ფარდა ოდნავ გადასწია, და ფანჯარაში გაიხედა. კიბესთან ვილაც უცნობი ტყავისპალტოიანი კაცი იდგა. „უთ-

ხარი, შინ არ არის-თქო“ , ანიშნა ცოლს და ფეხაკრეფით ფარდის უკან მიიმალა. მაიკომ კარი გააღო,

— ავეტისოვი აქა ცხოვრობს?

— დიახ.

— შინ არის?

— არა, აი, ამ წუთში გამოვიდა გარეთ, არ შეგხვედრიათ?

— საით წავიდა?

— დირექციაში.

— კარგი, იქა ვნახავ. მე მაგის თბილისელი მეგობარი ვარ, პატარა საქმე მქონდა, თუ მოვიდეს, არსად წავიდეს, დამიცადოს!

— კი, ბატონო.

მაიკომ კარი მიხურა და ბიძინა სწრაფად ფარიდან გამოვიდა. მყისვე შეუდგა ჩაცმას და წასასვლელად მზადებას. „ხომ მიხვდი, ვინ იყო? მაიკო პირში ენაჩავარდნილი შესცქეროდა ქმარს.

— ბიძინაჯან, რას აპირებ? — განწირულად ამოიძახა ბოლოს.

— ახლა საწყობში მივალ და იქედან ფულს ავიღებ, თუ დამიჭირეს, სჯობს ქურდად ჩავჯდე, ვიდრე პოლიტიკურ დამნაშავედ. სადმე თავს შევაფარებ და დაგიკავშირდები. შენ მაინც მოგხსნიან სამსახურიდან, თბილისში ჩადი და თავს მიხედე, ნუ გეშინია, იქ მოგაკითხავ! — ცოლს აკოცა და კარში გავიდა.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურა კვარაცხელია

I

# ციკლიდან „მონსტრები"

დადგენილია მაზანდა, მისხალიც არ დააკლდება:
ხუთი ათას შვიდას ოცი კილოგრამი ოქრო.
ამ ფასად გამოიხსნა კონკისტადორისაგან თავი
ინკა ატაულპამ — მზის ამაყმა ვაჟმა.
ვის ხელშია ახლა ის ოქრო, ერთი რომ დაამძიმა,
მეორეს კი კუთვნილი მოუპოვა?
კორტესის ძვლები, როგორც ვინმე ღვთის გლახის
გამრუდებული ხერხემალი, ფოსფორს ასხივებს
სადღაც, ოთხასჯერ მაინც გადაბრუნებულ მიწაში,
ფოსფორს — ოქროს უმინარევოდ.
ატაულპას თავისუფალი სული კი ლერწმებში მღერის...

* * *

ბოშა ქალის მხიარული მოსასხამივით ჭრელი სუფრა
კუთხეში მოისროლეს. ბავშვების სული და გული
გაჰყვა წითელ ვარდებს, შროშანებსა და ნარგიზებს,
იებისა და ლილილოების კონებს,
ყვავილწნულების ფერად არშიებს, მოტანილთ თითქოს
მორწმუნის ხელით დილის წირვისთვის
საკურთხევლის შესამკობელად.
ერთბაშად დადუმდა ფრინველების ჭიკჭიკ-ღუღუნი.
ობლად გაისმა ლალლის ავისმაუწყებელი ჭრიალი
და ისიც შეწყდა სამარისებურ მდუმარებაში.
„— პეპლები გაიგუდებიან!" — სლუკუნებს ჩუმად ჭორფლიანი
გოგო,
თვალს ვერ აშორებს დაჭმუჭნილსა და
კედელთან მიგდებულ სუფრას და გულს ისკვნის.
„— ნუ ტირი!" — აწყნარებს ფერმკრთალი ბიჭი —
პეპლები გადარჩნენ. ისე გაფრინდნენ,
თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი."
მასწავლებელი, რომელიც ლოგოპედის
ნახევარ განაკვეთსაც ითავსებს (მცირე
ხელფასის გამო და იმის გამოც, რომ
ქვეყანას უჭირს ლოგოპედები),
მაგიდაზე ალაგებს სათამაშოებს.
გაკვეთილის ყოველდღიური თემაა:
„სმენითი მეხსიერებისა და სმენითი აღქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარება" (შუასაუკუნეებიდან შემორჩენილი
სწრივით ბეუტავს ავიცენას აღმოჩენა
თავის ტვინისა და სახმო აპარატის ურთიერთკავშირზე,
მაგრამ პავილიონის შუაგულში ჩაყენებული
იუპიტერივით აშუქებს ბიოლოგიური დეფექტების
სოციალური ზემოქმედებით დაძლევის გზა).
რეზინის მძვინვარე ლომი და გუტაპერჩის უხეირო
ბაჭია ერთმანეთის პირისპირ დგანან,
დაცქვეტილბაფთებიანი გოგონა სხაპასხუპით ყვება,
რომ ლომი დიდი და ძლიერია,
ბაჭია კი — პატარა და სუსტი.
ლომი ღონივრად ღრიალებს: „ღრრრ!"
ბაჭია კი ულონოდ წრიპინებს: „წრიიი!"
ბავშვები უშეცდომოდ იმეორებენ,
ისინიც კი, ვინც „რ"-ს ძნელად გამოთქვამს,
მასწავლებლის მომთხოვნი მზერის შიშით
ენის წვერის ვიბრაციას აძლიერებენ.
ჯერი ჭორფლიან გოგონაზე დგება.
ფერმკრთალი ბიჭუნა ტუჩებს იკვნეტს
და არ იხედება გოგონასაკენ, რომელიც წრიპინებს,
როცა ლომს იყვანს ხელში
და ხმას იბოხებს, როცა ბაჭიას აჯავრებს.
უკიდურესად მომთმენი მასწავლებელი
ოცჯერ უსწორებს პატარას,
ოცდამეერთედ გრძნობს, რომ პროფესიული
ტაქტი და კეთილგანწყობა ლუზააკრეფილი
ხომალდებივით ტოვებენ,
მთელი ძალით ახეთქებს მაგიდაზე ჯერ ლომს,
რომელიც რეზინისაა და ბურთივით გადამხტარს
ვილაც ჰაერში იჭერს; დანარცხებული
ბაჭია კი შუა იხსნება ნიგვზის ნაჭუჭივით.
გოგონა ხმამაღლა ტირის.
მარტო ფერმკრთალმა ბიჭმა იცის რომ
გოგონა ბაჭიის გამო ტირის.
„— არაფერი სტკენია. სისხლიც არ გამოსვლია.
ხვალ წებოს მოვიტან და გავამთელებ," —ეუბნება
გოგონა ცოტა ხანს სლუკუნებს და ჩუმდება,
თუმცა ნიკაპი და მხრები უთახთახებს.
მასწავლებელი უეცრად ჩამდგარი ტაიფუნივით
სკამზეა მიგდებული, მაგრამ მისი გონება
ინტენსიურად მუშაობს, წალმა-უკულმა დარბის
პედაგოგიკის ბელელში, დიდაქტიკის საკუჭნაოში,
შემოქმედებითი წარმოსახვის უკიდეგანოდ მოტვლეპილ
ველზე, სადაც ხერხებისა და მეთოდების კონსტრუქცია
ფოთოლდაცვენილ ხესავით უნუგეშოდ დგას.
მარტო ფერმკრთალმა ბიჭმა იცის, რატომ წრიპინებს ლომი
და ღრიალებს კურდღელი.
იცის, რომ კურდღელი პატარაა, პატარა კი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდზე უფრო ძლიერი თუ არ იქნება, შეჭამენ.
მასწავლებელი დიაფილმს უშვებს.
დაბნელებულ ოთახში ოლროჩოლროდ მოჩანს
მაღალ-დაბალი ბავშვების სილუეტები.
მასწავლებელი კეთილი გულით ნატრობს
(ახლა სიკეთის გაკვეთილი ტარდება),
დაბლები ცოტა გაიზარდონ, მაღლები ცოტა დადაბლდნენ,
ერთ ზომაზე როცა დადგებიან, ყველა ერთნაირი იქნება.
ფიქრში თერძის ვეება მაკრატელიც კი მოიმარჯვა,
მაგრამ ისევ იმ საძაგელი გოგონას ტირილი გაისმა.
ბავშვები იცინიან, ჭინჭრით დასუსხული გოჭი კი
დამდუღრულივით გარბის და ახლა ეკლიან მავთულს ეხლება,
უარესად გადარეული ჭყვირილით კოტრიალობს მიწაზე.
მარტო ფერმკრთალმა ბიჭმა იცის, რატომ ტირის გოგონა.
გოგონა ვერ იცინებს, თუკი ვინმეს რაიმე სტკივა,
ვერც ნიშნის მოგებით შემოკრავს ტაშს,
თუკი ვინმეს სახლი ეწვება და შველას ითხოვს,
თუნდაც ეს ვინმე ერთი ამპარტავანი და გაქსუებული
ფისო ჰყოს, უშველებელი შარფი რომ მოუხვევია
არტისტულად კისერზე.
შუქი ინთება, გოგონას უსაქციელობით გაბეზრებულმა
მასწავლებელმა მზერით ჩამოუარა ყველას
და თითოეულში მორიგეობით ჩააქრო
მხიარულების ნაპერწკლები.
მასწავლებელი უკმაყოფილოა.
ახლა მას ეს ფერმკრთალი ბიჭი უფრო აღიზიანებს,
ვიდრე მტირალა გოგო,
იგი მას სხვა ბიჭს აგონებს, ცაციობისთვის
ხელებზე რომ ურტყამდა გამუდმებით.
თავისა გაიტანა, მოაშლევინა,
ენის კიდებასავით გადააჩვევდა, რომ დასცლოდა...
საკუთარ წარმატებას სახელმძღვანელოს ფრაზას
აწერდა თავმდაბლურად:
„საბჭოთა ლოგოპედია გამსჭვალულია
ოპტიმიზმითა და ღრმა ჰუმანიზმით".
გუშინდლამდე ჩუმჩუმად კიდეც ამაყობდა გამარჯვებით.
გუშინ კი... ქუჩაში შეხვდნენ ერთმანეთს
მოწაფე და მასწავლებელი, პირისპირ, მოულოდნელად.
დაკაცებულმა მარცხენა ხელით სწრაფად შეიკრა
საკინძე, ჯარისკაცივით გაიჭიმა და პატაკივით დაახალა:
„— სალამი ქალ-მეფეს! გონკონგის გრიპს გისურვებთ
ალსაზრდელების სახელით!"
პროფესიული პედანტობით მოუწონა გამართული მეტყველება.
გუშინდელის გახსენებამ სახე მოუქუფრა,
მრისხანედ შეხედა ფერმკრთალ ბიჭს
რომელიც ჭორფლიანის ფეხებთან ჩაცუცქული
ხატავს ცხენს ცაცით. დროდადრო ახედავს ნამტირალევ სახეში
და ჩალულად ეუბნება:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„— აი, ამ ცხენით გამოგიხსნი ქაჯეთის ციხიდან,
წაგიყვან შორს, თვალმიუწვდენელზე,
სადაც მარტო მწვანე მინდორია,
წითელი ყაყაჩოებით დაბეჭკილი."
ბიჭმა არ იცის, რომ ამისათვის
ხუთი ათას შვიდას ოცი კილოგრამი ოქრო საჭირო.
1989 წ.

* * *

შეიძლება ღამემ, რომელიც უხმოდ ადის ზეცაში,
იქ, სადმე ზევით, ათრასავით გაიტკაცუნოს,
დათოფილი ნადირივით აწკმუტუნდეს ძაღლი,
შეიძლება იყივლოს მამალმა,
რომელსაც ლაღუმის ეშინია...
შეიძლება იყივლოს მამალმა,
დეზებიანთა გადაძახილმა მორიგეობით ჩამოირბოს
ბურანში ჩაძირული კუთხე-კუნჭულები,
როგორც ძილზე შესწრებულმა, დაფეთებულმა ექომ...
შეიძლება საბუხრიდან ამოწვერილმა კვამლის სუნმა
ტკბილი ერუანტელი მოგგვაროს,
გაცოხნილი ბალახივით გაიწელოს
საქონლის ზმუილიც...
შეიძლება მდუღარე რძის ქაფი
დაასხრეს ჯამში ჩაფშვნილი მჭადის ლუკმებს,
კარგი მოსავლის ფქვილმა რომ იცის,
ის გემო დაგიგუბდეს ცხვირში
და თვალები ნეტარებით მიგაბნედინოს...
შეიძლება ღობის იქიდან
სირბილით აქოშინებულის ძახილი მოგესმას:
„— მოდიან!"
გული საგულედან ამოგივარდეს,
დაგორდეს თავდაღმართში მანქანის შესახვედრად,
ძლივს რომ მობობღავს ყირაგაჭიმულ გზაზე...
შეიძლება ეს ყველაფერი გამეორდეს,
მაგრამ მაშინ სხვა დროსა და სივრცეში უნდა ცხოვრობდე,
აქ კი არ იჯდე დალეწვერილი
ცაში ავარდნილი და გაბნეული ნაწილაკებით,
რომლებიც ეს-ესაა აზოტისა და გოგირდმჟავას
წვიმებად დაგატყდება თავს;
შემდრკალი — ტყვიის გამონაბოლქვით,
ზღვის ფსკერზე რომ იძირება
სუდარასავით ჩაფენილი;
კრიჭაშეკრული —
სტრატისფეროს აირში მოცეკვავე პესტიციდების გამო;
აქ კი არ უნდა უჯდე ტელევიზორს
იმის მოლოდინში,
კიდევ ვისი მოსაწყენი დიქტატურა დაემხო,
ვისი მდიდრული რეზიდენცია გადაუცა ქვრივ-ობლებს
და საკუთარ „ფაზენდაზეც" ვერ იოცნებო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნებადართული რეკეტის შიშით.
იქ უნდა იყოს, იმ სივრცესა და დროში,
რომელმაც მეტეორივით ჩაგიქროლა
და წყვდიადში გაუჩინარდა
როგორც უცოდნელი ბავშვობა.

1989 წ.

## ტრიპტიქი

1.

მღვრიე გალობის თალი
დაბზარული,
ვარვარა სალტედ
ქცეული შუბლზე.
მოლოდინი,
დამშვენებული
შრომჭანების
იშვიათობით.
შეუმჩნეველი
სილამაზის გაორმაგება.
მორჩილი მოლოდინი,
შველის მთხოვნელი.
სინანული.
თვინიერი შიში.
უსაყვედურო შეცბუნება
ტკივილის ციცაბო
ქიმების გამო.
არეული გალობა.
მოწამის სასოება.
ვედრების ლოცვა.
მორჩილი მოლოდინი.
სინანული.
დალუპვის წინათგრძნობა.
გამძაფრებული წადილი
სიცოცხლის.
წუწუნი.
სასოწარკვეთა
და
სულზე მოსწრებული
მოკრძალებული ცისფერი,
თავმდაბლურად მორცხვი,
თავმდაბლურად დამნაშავე.
მშვიდობის მომტანი.
განტევება.
გადაწურული სიხარულების
უეცარი დაბრუნება.
ხმაშეწყობილი გალობის
გამთელებული თალი.

სანუკვარი სიტყვის გუგუნი:
„იშვა!“

2.

ნატიფი, წყნარი,
იდუმალი ზეშთაგონება
უნაზისფერი აბრეშუმის
ბადეთას ბაგეთა
უნაზისფერსვე
ძუძუსთავს რომ მოაძებნინებს
და ერთი სულის
ორ ჭურჭლად აქცევს
შეკრულებს
მშვიდი პარაბოლის
მოთენთილობით,
უძრაობით
გრძნეული პოზის,
რითმის მუსიკას
რძისფრის მისტიკურ
სითეთრეში
თუ გაიგონებ.

3.

არყოფნის
მუნჯი სიმღერიდან
გამოქცეული
მთრთოლავი ბგერის
უცხო სზივივით
ზრუნვის ბუმბულა საფენებზე
გულაღმა წევხარ,
სურნელოვანი წინწკალი
ათრთობ
თეთრ კედლებში მომწყვდეულ სივრცეს
ანგელოზებს ეთამაშები.
ციცქნა წვივებში დაგირბიან
გაუვლელი კილომეტრები
და გიტოკებენ
ჭიანჭველზე დაუდგმელ
ფეხებს.

1991 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თედო ბექიშვილი

## ბრძოლების შემდეგ

შენი —
მამულო,
სიყვარული ვინც დაიქინა,
(ასეც ვიცოდი),
აღმოაჩნდათ
ველური მადა:

გადაიარა
გრიგალივით
ბრძოლის ყიჟინამ,
ახლა მოდგნენ და
ტურებივით
იყოფენ ნადავლს...

1990

## მტერი შინ და მტერი გარეთ

შვილნი შენნი მუშაკობენ
თავისთავის სარგოდ —
აბა როგორ გეშველება,
როგორ, ჩემო კარგო?!

წინაპართა მონფრშნული
გზა რომ დაიკარგოს —
აბა როგორ გეშველება,
როგორ, ჩემო კარგო?

რას მოგიტანს უცხო მხრიდან
უცხო გემო „არგო?"
იგი ლბმობს ამ მიწიდან
გაქრე, აიბარგო...

სხვის სასახლეს გირჩევნოდეს
შენი ქოხი აგო...
მტერი შინ და მტერი გარეთ —
ფრთხილად, ჩემო კარგო!

1991 სექტემბერი

* * *

ნისლი მოჰყვება
საქართველოს ლამაზ ალიონს,
ჩვენი ბრალია,
ყველაფერი ჩვენი ბრალია!

ჩვენი ბრალია
ეს გოდოლი ბაბილონისა —

ხემ სიძულვილის
რა ნაყოფი უნდა მოისხას?!

ყველა სიმაგრე
დაინგრევა მტრობით ნაშენი —
სხვა ფიქრი გმართებს
გალმა გასვლის და გადარჩენის;...

1991

## სიკვდილის გარდა

ო, არაფერი
აღარ მინდა

სიკვდილის გარდა, —
აფრიალებენ დროშის ნაცვლად
სისხლიან ფარდას!

ვინაც უმზეო
    დღეებს ჩემსას
        ნათელს აფენდა;
ვისზე ფიქრშიაც
    უთვალავჯერ შემომათენდა,
ვინც ორბის ფრთების
    ცაში გაშლას დიდხანს ელოდა —
გამოასვენეს
    დამონებულ საქართველოდან!..
სამშობლოვ ჩემო,

    საცოდავო,
        ვინ შეგიცოდა
ეროვნული ბიბლიოთეკა
წინ ვინ აღუდგა
    ალზევებულ კაენის ცოდვას?
გიფრიალებენ დროშის ნაცვლად
    სისხლიან ფარდას...
ო, არაფერი აღარ მინდა
    სიკვდილის გარდა! —

25/IX—91

* * *

არა ხმალს —
ბორკილს ჭედავს მჭედელი,
ვართ გათვალულნი და გათარსული.
ვდგავართ, ისე, ვით ციხის კედელი
ლიბომოშლილი და დახავსული.

ვერ შემოვლობეთ სხივთა არშიით
დღეის დღე ქუში და დაღვრემილი,
ვერ გავარიდეთ გული ხვაშიადს,
კედელს ლოდები სცვივა ცრემლივით...

რადგა გვიგზავნი ყვავილს უნაზესს,
ბედო-ავბედო, რა დროს ეს არი?..
წივის ლიბოში, როგორც უნასი,
დრო ულმობელი და დამგესლავი.

1991

## თავისთვის, თავისთვის

გართულებულია
    საქმენი ქართული,
საქმენი ქართული აბურდულია;
რთულს ვაიოლებთ —
    მარტივს ვართულებთ,
ცხოვრება უაზრო,
    აბსურდულია.
ურდული ციხისა
    ჩამოვარდნილია,
მეციხოვნეები დალლილან
                მთქნარებით.
ქვეყანს სკეფსისით
    ჩამობარდნილია,
თავისთვის,
    თავისთვის,
        რეკავენ ზარები!..

1991

* * *

ვაი, შენ, ჩემო საქვეყნოდ
მოყივნებულო სახელო,
ვაი, შენ, გულში უთქმელად
ჩაგუბებულო ნაღველო,..
ვინა ვარ, ვისი გორისა
ხმამაღლა ველარ გამხელავ!
რა წყევლა წამომეწია,
რა ცოდვა მქონდა ამხელა!

ვაი, თქვენ, მამა-პაპათა
ჩამოქცეულო ტაძრებო,
ვაი, თქვენ, დიდი რუსთველის
შეუსმინარო აზრებო,
მიმოვიხედავ, სადა ხართ,
სადღაც თავისთვის არსებობთ!

ყველა თავისას გაჰკივის,
არავინ ამბობს საშენოს,
არსად ჰიატი სინათლის —
ღამის წყვდიადი გარშემო!..
მტერმა ვერ შესძლო, ისევე
ჩვენ უნდა გადაგაშენოთ!

21/X—91 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცოტაც გაუძელ

ცოტაც გაუძელ,
გაუსაძლისს ცოტაც გაუძელ,
უსამართლობას,
ყელზე ყულფს და —
გულზე მაუზერს.

ცოტაც!
სანამდის დაეთვლება დღენი იუდას,
სანამ შენს ამბავს
ანგელოსი ღმერთებს მიუტანს.

ცოტაც!
დღემდის ხომ ყველა წამი იყო გაძლება,
ცოტაც —
სანამდის შვილი შენი შეგენაცვლება!

ცოტაც გაუძელ,
ცოტაც,
ღამე დილით იცვლება,
არ შეიძლება,
სხვანაირად არ შეიძლება!

1990

* * *

ჩანგო მოუკელ ქლერას,
გულო, მოუკელ ძგერას,
ნულარ დაეძებ ჩეროს.

გასრულდა ბედისწერა,
მიექანება ცერად
ფრთამოტეხილი წერო.

რაღა აზრი აქვს გარჯას,
სიტყვის ამაოდ ზარჯვას,
ჩამოქცეულო ჰერო?

მზე უკუნეთში ჩარჩა,
გზა სახვალიო არ ჩანს,
აბა რა უნდა წერო?!

1991

## გაზაფხულზე

გული ასე გრძნობს ყოველთვის
გზას რომ გავყურებ სავალს —
მე გაზაფხულზე მოვედი
და გაზაფხულზე წავალ.

გავხედავ ველებს მოხატულს,
ქუჩუნა წვიმით ნაბანს
და წავიფარებ მოქარგულ
მაის-ივნისის საბანს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელა გოჩიაშვილი

## ადამიანი — ცოცხალმშობიარე

მე იმ სახლში,
ბებიის სახლში,
ნიბლიია მერქვა.
სახლი კი შუა ზამთარში გვედგა.
ჩუმად თოვდა
სათონეზე, ლობეზე, ბლებთან.
დუღდა ზამთარი ჩაიდანში,
თუხთუხებდა,
და ორთქლზე ხელებმიფიცხებული
ოცდაცამეტი წლის ბიჭი —
ლოთი და ნიჭიერი —
ბიძა იყო ჩემი.
ნაციმბირალი დიდი პაპა
აღარ იყო უკვე ცოცხალი,
რომელიც ჩემმა დიდმა ბებიამ
დღეობაში გაიცნო თურმე.
„ჩოხა მხარ-იღლივ გადაეგდოო" —
იხსენებდა
და უბრწყინავდა
უბერებლად ლურჯი თვალები.
დაუსრულებლად თოვდა გარეთ...
არ ილეოდა სხვენში თაგვი
და „თამრო" მსხალი.
მთელი ზამთარი ირჩეოდა სიმინდი
ჩვენსა,
ირჩეოდა ნება-ნება,
თავის შექცევით.
ლამის ჩვენთან იზამთრებდნენ
უბნის ბებრები:
მაშო, ნანია,
ჩაის დროაო — ბრძანებდა პაპა,
წიგნში ფანქარს ჩაატანებდა;
გადმოვიღებდით ატმის მურაბას —
ჩაშაქრებულს და საწვალებელს,
ნაკვერჩხალში შემწვარ გოგრას
ბებო ნაცარს ჩამოაფხეკდა
და თოვდა გარეთ...
ნიბლია ჩიტს ეძინებაო —
იტყოდა ბიჭი —
ორთქლზე ხელებმიფიცხებული,
ლოთი და თვინიერი,
რომელიც ბიძა იყო ჩემი,
და რომელსაც
მხოლოდ დიდმა სისუსტემ და უმწეობამ
მისცა ძალა
ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევის.
...ორთქლზე ხელებმიფიცხებული —
ჩემს ხსოვნაში ასეთად დარჩა.
ნიბლია გოგოს ეძინებაო —
შეაყრუოლებდა სინაზისგან
ფუძის ანგელოზს,
მომიწვებოდა მერე ბებია,
ბამბაზიის და ზლაპრების სურნელით
სავსე,
ჩურჩულებდა დაკარგული ობლების
ამბავს,
კირით შეფეთქილ კედელზე კი
იძერწებოდა სამყარო,
მხოლოდ ჩემთვის ხილული,
და ისე ტკბილად მეშინოდა....
ჩემი ბებია —
ცხოვრებისგან გადაქანცული,
გაუხარელი, უბედური დედისერთა.
უდარდელობა დაიბრალა
და ხალხს ასე ემალებოდა.
ვერ გაიტანა დარდი გულიდან,
ლობე-ლობე ვერ გამოფინა.
შემოხიზნული კატა და დარდი
ცოდვით შინიდან არ გაიგდება.
. . . . . . . . ..
დღეს იმ ეზოში
უცხო კაცი დგას და იძახის:

ჩემი ეზოო,
ჩემი სამლიო,
ჩემიო, ჩემი!
იმისია, ღმერთმა ამრავლოს,
მაგრამ მე სად მოვიკითხო
ჩემი ბავშვობა,
ის ნიბლია სად მოვიკითხო?
ჩვენი ფესვი ამოთხარა ახალმოსახლემ,
ღობის გარეთ გადაისროლა
უსარგებლო, ზედმეტი, სხვისი..
ჩემო თოვლებო,
ჩემო ბებრებო,
ჩემო სხვენო და „თამრო"-მეხლეებო,
სად მოგიკითხოთ?
. . . . . . . ..
დღეს ვინ არის თქვენი ნიბლია?
არც არავინ —
თმენის ქალი
და
სიკვდილის პოეტი,
და არც ერთი ეპატიება,
რადგან ღმერთს მაინც
სულ სხვა ჰქონდა ჩაფიქრებული:
ადამიანი — ცოცხალმშობიარე.

ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთერ თედიაშვილი

# დისჰარმონია

მოთხრობა

გარეგნულად თითქოს მშვიდად არიან, შინაგანად კი ყველა აფორიაქებულია. სიმა რადიატორთან ზის და გამალებული ქსოვს. აი, ყველაზე კარგი საშუალება გრძნობების დამალვისა.

კონცერტმეისტერი ვიოლინოზე უკრავს და იქ მყოფთ ნერვებს უშლის. ეროვნული ძალღვი რომ ყველაზე ნაკლებად უტოკავს კარგად იციან, მაგრამ აშკარად აფორიაქებულია, ეს იმაზეც ეტყობა, რომ ურთულეს არპეჯიოებს უკრავს, თანაც გაჭირვებით, თორემ სხვა დროს კრეისლერი და დვორჟაკი არ დაუზოგავს. ალმასვლისას მეოთხე ოქტავის მი დაბალი მოსდის, მართალია უკანა გზაზე ასწორებს, მაგრამ მაინც უკმაყოფილო სახე აქვს. კაცმა არ იცის, რას ფიქრობს. შესაძლოა იმას ნანობს, სახლის მშენებლობა რომ წამოიწყო და ეხლა შიშობს, ვაითუ ამ არეულობაში მართლაც რამე მოხდეს და ამდენი ნაშრომ-ნაღვაწი წყალში ჩამეყაროსო. ანდა იხსენებს თავის ახლო წარსულს, გემზე რომ მუშაობდა მუსიკოსად და მთელ მსოფლიოს გარს უვლიდა. აფსუს, რომ არ აჩქარებულიყო ახლაც გემზე იქნებოდა და ვინ იცის, მერამდენედ გახედავდა მალტის ნაპირებს შთაგონებით, მერე კი მონტის ჩარდაშით აღაგზნებდა რესტორანში ლაღად მოქეიფე ლამაზ ქალებს.

დურუ ხემიანი ის კაცია, რომელიც არავის არაფერს აპატიებს. ჯერ კიდევ შარშან რეპეტიციის მსვლელობის დროს, დირიჟორის უსამართლო შენიშვნაზე—ყალბ ბგერებს გამოსცემო — მოიქნია დურუმ ხემი და მართლა ყალბი და მყრალი ბგერების კორიანტელი დააყენა.

ვიოლა ბელურასავით ატუზულა ფანჯარასთან და შეპარვით თვალყურს ადევნებს აფორიაქებულ ქალაქს. აფორიაქების მიზეზი გახლავთ ორი სამფეროვანი დროშის ჩუმი ორთაბრძოლა. თეთრცისფერყვითელა დროშა ვერ ეგუება შავ-თეთრნარევ შინდისფერი დროშის არსებობას.

ალტისა და კონტრაბასის „დუეტი" მხოლოდ უცნობს თუ დააინტერესებს და გაართობს, თორემ ორკესტრს მოყირჭებული აქვს მათი ხუმრობები და ახლაც გულგრილად აღიქვამს მათ სიცილ-ხარხარს.

— ახლა მაინც შეიკავეთ თავი, ხომ ხედავთ გარეთ რა ამბავია, რა გაცინებთ, — საყვედურობს ვიოლა და ახლადშემოსულ ბასას გზას უთმობს.

— იცი რას გეტყვი? საფლავშიც გვეყოფა პირმომუწული წოლა, — მკაცრად პასუხობს ალტი, რომელსაც ორივე დროშა ცალ ფეხზე ჰკიდია.

— მოყევით ახლა, რა ამბავია ქალაქში. ვინ მოკლეს, ვინ სცემეს, — სიგარეტს მოუკიდა დურუმ, — შენ გეცოდინება, — და ვიოლას მიაჩერდა.

— მე საიდან მეცოდინება, სახლში

ვარ გამოკეტილი და ყოველ წუთს თავდასხმას ველი. სამსახურშიც დღემდე ვერ გამოვსულვარ, მთელი ქალაქი ბანდებითაა სავსე. ის კი გავიგე, რომ ქალაქკომის მდივანი ქალებს თავისსავე კაბინეტში უცემიათ.

— კონკრეტულად ილაპარაკე, კონკრეტულად. სცემეს კი არა, დაასაჭურისეს, — თქვა დურუმ.

სიმამ ჩაიფხუკუნა და ისედაც ჩაქინდრული თავი უფრო მეტად ჩაქინდრა.

— რა გაცინებს, შენს ქმარს რომ დაასაჭურისებენ, ზოგიც მერე გაიცინე, — უთხრა დურუმ.

— აბა რა ეგონა, საშველად რომ უხმობდა თბილისელ ექსტრემისტებს, არიქა, ქართველებს გვავიწროვებენ, გვიშველეთო.

— რა მეტიჩრები ხართ ეს ქართველები, ყველაფერში ორიგინალობა გიყვართ. ჯერ იყო და ენის სტატუსზე ერთი ამბავი ატეხეთ, მერე გამოყოფა გვინდაო და აიკელით მთელი ქვეყანა ანტისაბჭოთა ლოზუნგებით და შოვინისტური შეძახილებით. ისე არა ქნათ, ბოლოს რუსებმა ენა გამოგიყონ და რაცა გაქვთ, ეგეც არ დაგაკარგვინონ, — სიტყვით გამოვიდა რუსი კონტრაბასი, საკუთარი მახვილგონიერებით კმაყოფილმა სკამი შემოატრიალა, ზედ მხედარივით გადაჯდა, თანაც დააყოლა — მალე ჩვენები მოვლენო და ცაში აიხედა.

— რაღა უნდა დაგვაკარგვინონ, ისედაც ყველაფერი დაკარგული არა გვაქვს? — მწარედ ჩაიცინა ვიოლამ.

— თქვე უსინდისოებო, რუსეთი გაჭმევთ და გაცხოვრებთ, თქვენ კი მესამე ძალას უწოდებთ და მათ წინააღმდეგ გამოდიხართ. ამას უმადურობა ჰქვია, — არ ჩერდება უთაო მხედარი.

— რა მაკვირვებს იცით? — ჩვეული სიდინჯით დაიწყო ბასამ, — როდესაც ცივილიზებულმა და პროგრესულმა ძალებმა ობიექტური შეფასება მისცეს სოციალისტური სისტემის მავნებლობას და იწყეს საერთო ჰიბრიდის გამოყვანის ყინით შეპყრობილი ცენტრის კლანჭებიდან [illegible], თქვენ სწორედ მაშინ [illegible] ვარულის ბუშტი წითელი კომუნისტების მიმართ.

— აუ, მოყვა ეხლა ფილოსოფიას, — გალიზიანდა სოლო და ოთახიდან გასვლა დააპირა.

— გაიგეთ, რომ საქართველო თავისუფლდება ყველა იმ მანკიერებისაგან, რაც მას საბჭოთა სოციალისტურმა რუსეთმა თავს მოახვია. მათ შორის, კომუნისტების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ხელოვნურად შექმნილი ავტონომიური ოლქისაგან. მითუმეტეს, რომ ოლქის მთავრობამ ოლქის სტატუსი არ იკმარა და რესპუბლიკა გამოაცხადა. როგორ ფიქრობთ, საქართველო თავისი ტერიტორიის ერთ მეოთხედს დაკარგავს? გაჩერდით და ვიცხოვროთ ისევ ისე მეგობრულად, ოღონდ თავისუფალ და არა სოციალიზმის საერთო ჯამიდან სალაფავნაკვებ საქართველოში.

— ის როგორი ასატანია, საკუთარ მიწაზე სტუმარს რომ გიწოდებენ, სამოცდაათი წელია აქ ვცხოვრობთ და კიდევ სტუმრები ვართ? — ავაზასავით ამოიხედა სიმამ და ჩხირები ნერვიულად აათამაშა.

— ეგ ტერმინი პირველად თქვენ იხმარეთ, როდესაც მკვიდრ ქართველ მოსახლეობას სტუმრები უწოდეთ, ქართველების მხრივ მხოლოდ პასუხი იყო თქვენს შეცდომაზე. ხოლო რაც შეეხება სტუმრობის ხანგრძლივობას, აქ ყველაფერი შედარებითია. სულ სხვაა, როცა კერძო ოჯახში სტუმარი სამოცდაათ წელს დაჰყოფს. რა თქმა უნდა, ის სტუმრად აღარ ჩაითვლება. მაგრამ როდესაც უცხო ტომი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დასახლდება და ადგილობრივი კომუნისტური მთავრობაც სტუმარს ჩვეული სტუმართმასპინძლობით გაანებივრებს, მერე კი უზრუნველი ცხოვრებით გაფუებული სტუმარი გაიზმორება, გაიზმორება და მკლავების გასაშლელი სივ-

რცე ეცოტავება, მასპინძელს შეავიწროვებს და ბოლოს გაგდებას დაუპირებს, აი მაშინ კი ნამდვილად უნდა შეახსენო სტუმარს, რომ ის სტუმარია.

კონცერტმეისტერი მეორე ოთახში გავიდა და იქ განაგრძო ვარჯიში. არპეჯიოებს შეეშვა, ეხლა ვივალდის კონცერტში ალმავალ სეკვენციას მიადგა და ისედაც დაძაბული სიტუაცია უფრო მეტად დაძაბა.

— რა ამბავია როდის აქეთ გახდით პოლიტიკოსები? — წარბშეკრული შემოვიდა დირიჟორი, დიპლომატი მაგიდაზე დადო და თვალები გადმოაბრიალა.

— მე ხომ აგიკრძალეთ ამ თემაზე ლაპარაკი. სულაც არ მსურს, ჩემს ჯანსაღ კოლექტივში ნაციონალური საკითხები ირჩეოდეს, იმის ნაცვლად, რომ ყველამ თავისი პარტია გაიმეოროს.

— რას ამბობთ მაესტრო, არსად წამოგცდეთ, პარტია ერთია, ერთად-ერთია. კომუნისტური პარტია ჩვენი ავანგარდია! — საოცრად პათეტიკურად წარმოსთქვა ალტმა და თან იმავე ტონით დააყოლა, — „ჩვენ ქართველები არ დაგნებდებით“ — და თვითონვე გაეცინა თავისსავე ყალბ პატრიოტულ შეძახილზე.

— ჰოდა, წინა ხაზზე დაამტკიცებ შენს ქართველობას, — მიაძახა დურუმ.

— ჯერ წამოდით, რეპეტიციაზე დამიმტკიცეთ ვინ რას წარმოადგენთ და მერე გაგიშვებთ წინა ხაზზე, — თქვა დირიჟორმა და ხელით ანიშნა მომყევითო.

— წინა ხაზი შენთვის დამითმია, — ეს უკვე დურუს მიმართა ალტმა და ბუდიდან ინსტრუმენტი დააძრო.

— ახ ყმაწვილო შენ „აკოფში“ გინდა იჯდე?

— ლა მომაწოდე ლა, „აკოფში“ რა მინდა, სახლში ვიჯდები თბილად. დამოკიდებულ საქართველოშიც კარგად ვიცხოვრებ და დამოუკიდებელშიც. საერთოდ კი იცოდეთ, რომ მე პაციფისტი ვარ!

დურუსაგან ლა რომ ვერ მიიღო, სოლოს ანიშნა თავით. სოლოს პარტიონსნად მიაწოდა ლა.

— მერე შვილებში და შვილიშვილებში დაიტრაბახებ, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ვიბრძოდით და ალბათ მთავრობისაგან პენსიასაც მოითხოვ.

— პაციფისტი ვარ მეთქი, ვერ გაიგეთ?

— შენ პაციფისტი კი არა, აფერისტი ხარ.

ალტს პასუხის გაცემის ხალისი დაეკარგა, როგორც კი პულტზე გადაშლილ კომპოზიტორ ჯატითის ახალ პიესას დახედა.

ბემოლების მოჭარბებული რაოდენობით თავგზააბნეული ბასა კონტრაბასს ჩაებღაუჭა, რომ არ წაქცეულიყო.

— აბა, აბა, ნუ წაგიხდათ ხასიათი. რაც ჩვენი გასაკეთებელია, იმას ვერსად ვერ გავექცევით. ერთ კვირაში მზად უნდა იყოს ეს ნაწარმოები, — თქვა მაესტრომ და დაძაბული მიაჩერდა პარტიტურას. ხუთი ტაქტი პაუზაა, მხოლოდ კონტრაბასი უკრავს ერთ ნოტს გაბმულად. შემდეგ ყველა შედის. სხვადასხვა რეგისტრში უნისონი ჟღერს.

— პიანო, — ანიშნებს მაესტრო და კისერს მხრებში მალავს.

— პიანო მეთქი, არ გესმით? რა გაყვირებთ, სსუუ, ოდნავ უნდა ისმოდეს, გამჭვირვალე ბგერები მომეცით, — მთლად აიწურა მაესტრო. — მსუბუქი ტრემოლოს ფონზე ცოტას გაიკუნტრუშებს პირველი ვიოლინო. მერე ეს კუნტრუში რიგ-რიგობით გადაედება ყველას, გარდა კონტრაბასისა.

მარშისებურ რიტმში აქა-იქ სყვეჯვო სეკუნდა გაისმის, რომელიც შემდეგ მაჟორულ აკორდში გადადის.

— ნუ ანაწევრებთ აკორდს, ერთი მთლიანი, შედუღაბებული აკორდი მომეცით! — ყვირის მაესტრო.

— საბჭოთა კავშირივით? — წამოიძახა ალტმა და კბილები გადმოყარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენმა რეპლიკებმა ხომ ბოლო მომიღო, — აღშფოთდა მაესტრო და ხელის მტევნები მკვეთრად აიქნია.

მაჟორულს მინორული აკორდი ცვლის. ამის შემდეგ ჩელა მარტო რჩება.

— იტირე, — ურჩევს მაესტრო ჩელას, — გამოავლინე შენი გრძნობები.

ჩელა ვერ ტირის, არ ეტირება და რა ქნას?

— ჯობს აპლიკატურა შეცვალო. აბა მეხუთე პოზიციაში სცადე, უფრო მჟღერი იქნება.

— ახლა არ შემიძლია მაესტრო, კონცერტზე ვიტირებ, — პირობას დებს ჩელა.

— მეტი ვიბრაცია, მეტი. რა გემართებათ, თითების ნაცვლად მოხარშული მაკარონები ხომ არ გაბიათ? — ბრაზობს მაესტრო და ყველაზე მეტად ჩელას გულგრილი გამომეტყველება აღიზიანებს. ჩელას ტირილს მთელი ორკესტრი უერთდება.

— ათი ფორტე, — ყვირის მაესტრო და... „შორიდან“ გამოძახილს ელოდება, მაგრამ ამაოდ, ალტმა დო დუბლდიეზს ვერ მიაგნო. დააგვიანა. მაესტრომ უსიამოდ ჩაიქნია ხელი, თავი ჩაქინდრა, შემდეგ ძალა მოიკრიბა და ორკესტრი ხელახლა შეამზადა სატირლად.

— ტყუილად ვირჯებით მაესტრო, ჩრდილოეთიდან დასახმარებლად მაინც არავინ წამოვა, — ჩუმად შეაპარა დურუმ.

მაესტრომ პირი დააღო. არ ეგონა, ასე ზუსტად თუ მიხვდებოდა ვინმე ამ ნაწარმოების შინაარსს.

— ჩასაბერი და დასარტყმელი ინსტრუმენტები გვაკლია. — სინანულით თქვა დირიჟორმა და ამით ვითომ სიტყვა ბანზე აუგდო დურუს.

— ამ კაკაფონიას ეგ ინსტრუმენტებიც რომ მიემატოს, იცოდეთ, საგიჟეთში მოხვედრა არ ამცდება, — საცოდავად ჩაიცინა ვიოლამ.

— ეჰ, — ამოიოხრა მაესტრომ, — ასეთი დაკვრით შორს ვერ წავალთ.

ბიბლიოთეკა

ავტობუსის ბოლოში ჩამომხრჩვალი კაცებივით ჰკიდია ფრაკები და ერთგვარ შირმას ქმნის. შირმის უკან სხედან ბასა, ალტი, კონფერანსიე ევა და ჩელა. ევას ქერა თმა, ცისფერი თვალები და ცხრა ნომერი სარძევე ჯირკვლები აქვს.

ავტობუსში მოსეირნე ვიოლინოს გრძელი ხელი გადმოსწვდა და იგი სავარძლებს შუა ჩამალა. ვიოლამ გაფაციცებით თვალი გააყოლა ძვირფას ინსტრუმენტს.

— ნუ ღელავ გენაცვალე, ჩემს ალტს მივუწვინე გვერდით. შენ ახლოს არ მიკარებ და ესენი მაინც იყონ ერთად, ცოტა გაიხარონ.

— ოხ, ეგ ენა რომ არ გქონდეს, რა გეშველებოდა.

— არც არაფერი, — იცინის ალტი და თვალებით ვიოლას, ხელით კი რალფს ელერსება.

რალფი შოტლანდიური ნაგაზია, ორკესტრის განუყრელი თანამგზავრი. ალტი ფანჯრის მხარეს ზის და მისი პროფილი მთელ პეიზაჟს ფარავს. ევა ამაოდ ცდილობს ალტის თავის მოძრაობის სინკოპირებულ რიტმში ჩაჯდეს რომ ფანჯრიდან რამე დაინახოს.

ალტი ანეკდოტებს ყვება და დროდადრო მზერა ევას სარძევე ჯირკვლებიდან რალფზე გადააქვს.

— შენ რა, გავიწყდება, რომ რუსებისაგან თავი ცოტა შორს უნდა დაიჭირო? — სიცილით ეუბნება ალტს კონტრაბასი და ევაზე მიანიშნებს.

— მაგას რას ეუბნები, ეგ ხომ თათარია, ჯობია ბასა გააფრთხილო, — წამოიძახა სოლომ.

— ნურას უკაცრავად, მე თათარი კი არა, სომეხი ვარ. თუმცა პასპორტში ეროვნება ქართველი მიწერია. აი, გაჩვენოთ თუ არ გჯერათ, — ალტმა პასპორტის ძებნა დაიწყო.

ავტობუსში სიცილ-ხარხარი ატყდა.

— რა გინდა რა, შენ უნდა დაიტრა-

ბახო კაცი ვართ. თათრული გვარი გაქვს, თავს სომხად ასაღებ, რუსულად ჰიკჰიკებ, პასპორტში კი ეროვნება ქართველი გიწერია, — თითებზე ჩამოუთვალა დურუმ.

— ხედავ რა აფერისტია? სად გათვალისწინა დღევანდელი სიტუაცია. ბიჭო, შენ შემთხვევით ებრაული სისხლიც ხომ არ გირევია, ისინი ყველაზე ჭკვიანი ხალხია, — ამბობს ბასა.

— ეგ რომ ვიცოდე, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნებოდა.

— ვითომ რატომ?

— არც დავფიქრდებოდი, ისე წავიდოდი ისრაელში.

— აი, მაშინ კი გამოგყვებოდი ცოლად, — ეშმაკურად გაიღიმა ვიოლამ და თავი შირმის უკან დამალა.

— რა ყველას გაქცევაზე გიჭირავთ თვალი, ცოტაც დაიცადეთ და მალე კაპიტალიზმში შევყოფთ თავს, — იმედიანად თქვა ბასამ.

— ერთი მითხარი, რა გარანტია გაქვს, რომ იმ კაპიტალიზმში მაინცდამაინც კაპიტალისტი იქნები, — მოუჭრა ალტმა.

— გარანტიებზე თუ ვილაპარაკეთ, არც აქ არა მაქვს არავითარი გარანტია, ცოცხალი დავრჩები თუ არა, — თქვა ბასამ.

— მე იმისა მეშინია, ყიზლარში ემიგრაციაში არ აღმოვჩნდეთ, რაღაც ცუდ დროს ავიტეხეთ ეს გასტროლები, — თქვა ვიოლამ და გაიცინა.

— რა გულუბრყვილოები ხართ, პირდაპირ მაოცებთ, „მალე კაპიტალიზმში შევყოფთ თავს," — გამოაჯავრა დურუმ. — სად შეყოფთ, როდის შეყოფთ, ან ვინ შეგაყოფინებთ, ჩვენ ბიჭო, იმისთანა აბლაბუდაში ვართ გაბლანდული, რომ თუ გარედან ვინმე არ დაგვეხმარა, ისე ჩვენით თავს ვერ დავაღწევთ. ჩვენი „მარჩენალი" ობობა კი საკმაოდ დიდი და ძლიერია, თანაც ფართო მასშტაბებითა აქვს ქსელი გაბმული და ჩვენისთანა ფუტკრები ბევრი ჰყავს გამოჭერილი. საკმარისია, თავის დასაღწევად გაიფართხალო, რომ მაშინათვე მცირე[illegible] — შხამს შემოგიშვებს, ჩვენისთანა ძალაგამოლეული ფუტკრებისათვის კი შხამიან ობობასთან არავინ გაიფუჭებს საქმეს და არ დაგვეხმარება. თანაც არ დაგავიწყდეს, ყველა ფუტკართან თითოოროლა კოლო ჰყავს მიჩენილი საკბენად და გასალიზიანებლად, თუმცა ბოლოს ეს კოლოც მისი მსხვერპლია.

— გამოდის, რომ ოსები და აფხაზები კოლოები ვყოფილვართ?! — თვალები დააბრიალა სოლომ.

— ყოჩაღ! რა მიხვედრილი ყოფილხარ! — ტაში დაუკრა დურუმ.

— იცოდე, შენი სიკვდილით არ მოკვდები, ჩემი მსხვერპლი იქნები! — საოცარი მსახიობური ნიჭი გამოავლინა სოლომ, ხელის გროტესკული მოძრაობებით ჩელას გულის ჯიბიდან დააძრო თეთრი ცხვირსახოცი და დურუს სახეში სთხლიშა, — დუელში გიწვევ!!!

— ამ ცხვირსახოცს რას ვერჩი, ჩელასია და აფსუსია, თორემ ისე... ცხვირი კი გაქვს მოსახოცი, — დურუმ მშვიდად დაკეცა თეთრი ცხვირსახოცი, ჩელას გაუღიმა და ჯიბეში ჩაიდო.

— ხვალ გარიჟრაჟზე შევხვდებით ერთმანეთს, იარაღი ამოირჩიე! — იმავე ტონით გააგრძელა სოლომ, თან ცდილობდა არ გასცინებოდა.

— ბიჭო, რაღა ყიზლარის საძოვრებზე გინდა დათესო ეგ ჩურჩუტი თავი, მე შენ გეტყვი და სასუქად გამოდგება შენი მძორი, წადი თუ ძალა გერჩის, შენიანებს გამოადექი, ეგება ეროვნულ გმირად გამოგაცხადონ.

— მაესტრო, უთხარით ამას ვისთანა აქვს საქმე, აუხსენით ამ ყეყეჩს, რომ ალანების შთამომავლები ვართ და ჩვენს ძარღვებში ცისფერი სისხლი სჩქეფს.

— ამ საქმისათვის არ ღირს მაესტროს შეწუხება, ახლავე გამოგადენ სისხლს და გავიგებ, რა ფერის სისხლი მოსჩქეფს მაგ შენი ძარღვებიდან.

ავტობუსი სიცილისაგან სულს ვერ ითქვამს.

— მერე, მერე, განაგრძე შენი ზღაპარი ობობაზე, ფუტკრებზე და კოღოებზე. გვითხარი ერთი, ვინ ვისა კბენს, სადა კბენს. ეგება ისიცა სთქვა, ფუტკარმა კბენა არ იცისო? — კბილებში გამოსცრა სოლომ.

— ფუტკრის ნაკბენი რომ სასარგებლოა, ეს არ გეცოდინება შენ, ჯერ პატარა ხარ. რომ გაიზრდები, იმასაც გაიგებ, რომ ფუტკარი მაშინვე კვდება, როგორც კი სხვას უკბენს. ხოლო ყარაყურთის, ან ტარანტულის — განვმარტავ, ესენი შხამიანი ობობებია — ნაკბენს მამაზეციერიც ვერ შველის. ხომ ხედავ, რამდენი რამ გასწავლე, თუ მეტ ინტერესს გამოიჩენ, უფრო კარგ ზღაპრებს მოგიყვები, — გაიღიმა დურუმ.

— აი, რას ნიშნავს, ადამიანი რომ შეცდომით ამოირჩევს პროფესიას. რად გინდოდა ბიჭო მუსიკა, შესულიყავი ბიოლოგიურზე, შენც წყნარად იქნებოდი და ჩვენც. მიგიჩენდნენ ერთ ადგილს მიკროსკოპთან და შენს ამპლუაში იქნებოდი, მარა იმისთანა საზიზღარი ხარ, იმ შენს თანამშრომლებს მიკროსკოპის ქვეშ მოაქცევდი და გადიდების ნაცვლად დაამცირებდი, — ხმადაბლა წარმოსთქვა თვალმოჭუტულმა სოლომ.,

— პროფესია რომ შეცდომით ავირჩიე, მეც ვნანობ, ხოლო რაც შეეხება მიკროსკოპს, ეს ხელსაწყო ადამიანების საზომად არ გამოუგონებიათ, ამ საქმისათვის საკუთარი თვალიც მყოფნის, — დამაჯერებლად თქვა დურუმ და ფართოდ გაიღიმა.

— ბრძოლის ველზე შევხვდებით ერთმანეთს! — თქვა სოლომ და თავის ადგილზე გადაჯდა.

— მალე გვირაბში გავალთ, — წამოიძახა ვილაცამ.

— მაესტრო! ვინ თქვა, ასეთი დაკვრით შორს ვერ წავალთო, ამაზე შორს სადღა უნდა წავიდეთ? — სევდანარევი ღიმილით ამბობს ჩელა და ქარისაგან აწეწილ თმას ნაზად ისწორებს.

მაესტრო ცუდ გუნებაზეა: ილუზიონისტმა უღალატა, არ წამოვიდა გასტროლებზე. ეხლა საგონებელშია. არ იცის, პროგრამა როგორ შეცვალოს.

— ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, სად კამერული ორკესტრი და სად ილუზიონისტი. რა აუცილებელია, მაყურებელმა იცინოს? ძალიანაც კარგი, რომ არ წამოვიდა ის ვიღაც ზიგფრიდი, — თქვა სიმამ.

— ზიგფრიდი კი არა, ალფრედი — შეუსწორა ჩელამ.

მაესტროს კუშტი სახის შემყურე, გაცინება ვერავინ გაბედა.

— მაყურებლის განწყობა სულ ცალ ფეხზე გვკიდია, იმაზე ვიფიქროთ, რითი შევავსოთ ჩვენი ღარიბი რეპერტუარი, — მაესტროს ნაცვლად უპასუხა კონტრაბასმა.

— რა გამოთქმაა „ცალ ფეხზე გვკიდია“, როგორ შეიძლება მსახიობს მაყურებლის განწყობა არ აინტერესებდეს? — გაბრაზდა მაესტრო და შოფრის გვერდით მდებარე სკამზე ნახევრად ზურგშექცევით ჩამოჯდა.

— თუ მხოლოდ რეპერტუარის შევსებაზეა საქმე, მაშინ ორი ნომერი მე მომანდეთ, ოღონდ წინასწარ ნუ შემეკითხებით, თუ რას გავაკეთებ. ეს იქნება სიურპრიზი! — მაცდურად გაიღიმა ალტმა და კონტრაბასს თვალი ჩაუკრა.

— ამ ჩვენი მწირი რეპერტუარითაც არნახულ წარმატებას მივაღწევთ, თუკი ჩვენს გოგონებს კაბებს დავუმოკლებთ, — თქვა დურუმ და ჩელას კაბა მუხლსზემოთ აუწია.

ჩელამ წარბი შეიკრა და პროტესტის ნიშნად სოლოსთან გადაჯდა.

— რატომ გეწყინა ჩემო ჩიტო, თუ გინდა, ჩვენ დავიმოკლებთ ფრაკებს და სულაც არ შეგვრცხვება, ასე არაა ბიჭებო?

— ჰო, ჰო, მინი ფრაკებით გამოვალთ, — სიცილისაგან ძლივს წარმოსთქვა ბასამ და სიგარეტის მოსაწე-

ვად უკანა რიგებში გადაინაცვლა.

ამ ხუმრობამ მაესტროც კი გაამხიარულა.

სოლომ ჩელა ფანჯრის მხარეს დასვა და თვალწარმტაცი ადგილების კომენტირება დაიწყო.

ავტობუსს უჭირს ალმართზე ასვლა.

— გვირაბში რომ შევალთ, რაღაცას გეტყვი, — უჩურჩულა სოლომ ფანჯარასთან შევიწროებულ ჩელას.

ორმეტრიანი ბასა ზლარბივით დამრგვალდა, წამოწვა სავარძელზე და დაიძინა.

კონტრაბასს მოშივდა, მაგრამ იცის, რომ ვიდრე გვირაბს არ გასცდებიან, ვასთირჯის რკინის ყულაბასთან ხურდა ფულს არ ჩაყრიან და ღმერთის სადიდებელს არ შესვამენ, ლუკმას ვერავინ გატეხს.

შირმა ისე ვერ ფარავს ევასა და ალტის ურთიერთლტოლვას, როგორც ბნელი გვირაბი. ისე შეეჯახნენ მათი სხეულები ერთმანეთს, თითქოს პირველად შეირყა ავტობუსი. ალტის მარცხენა უნებართვოდ დაბორიალობს ევას სიმრგვალეებზე. უეცარმა სინათლემ საწყისი მდგომარეობა დაუბრუნა ვნებააშლილებს.

— შენ კი ამბობდი, გვირაბი გრძელიაო, — საყვედურობს ევა.

— ეს მხოლოდ პირველი ფილიალი იყო გრძელი გვირაბისა, — დაამშვიდა ალტმა და ეხლაღა შენიშნა მძღოლის ზურგის მისაყუდებელ მინაში არეკლილი ვიოლას თვალები, რომელსაც კონცერტმეისტერი გატაცებით რაღაცას უყვებოდა.

მეორე ფილიალი კიდევ უფრო მოკლე აღმოჩნდა პირველზე.

მაესტრო საკუთარ თვალებს არ უჯერებს: მთავარი გვირაბის შესასვლელში, წითელი ჩემოდნითა და ზურგზე გადაკიდებული ცისფერი კურტაკით, არხეინად დგას ალფრედი და ირიბად იღიმება.

— მე ვთვლი, რომ ეს საუკეთესო ნომერია შენს პროგრამაში, — სიცილით შეეგება მაესტრო ალფრედს, მხარზე ხელი მოუთათუნა და მვებით იწოისუნთქა.

მძღოლმა მეორე სი[illegible] და სალონში შუქი ჩააქრო. კონტრაბასი შიმშილს ვერ იოკებს და ჩუმად ფათურობს სიმას საგზალში. „კარგად არ მოუხარშია“, თავისთვის ბრაზობს კონტრაბასი და მარჯვენა ხელით ბარკალს ეჯაჯგურება. „ძვალმსხვილი ყოფილა“, ფიქრობს ხორცის მოყვარული ალტი და ევას წვივის აყოლებაზე რბილ ადგილებს ეძებს.

— რა უნდა გეკითხა ჩემთვის? — ეკითხება ჩელა ერთ წერტილს მიშტერებულ სოლოს.

— აა, კი არ უნდა მეკითხა, უნდა მეთქვა, რომ, იცი რა? — დაიწყო ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სოლომ, — შენ რომ ჩელოს ნაცვლად ვიოლინო ამოგერჩია, ჩვენ ერთად გაცილებით მეტ საქმეს გავაკეთებდით.

— რა? — დაინტერესდა ჩელა და გაუკვირდა სოლოს სერიოზული ტონი.

— მე ვფიქრობ, რომ ჩელო მამაკაცის ინსტრუმენტია, მეტი ძალა, მეტი ენერგია სჭირდება. შენი ნატიფი თითები კი (სოლო ფაქიზად შეეხო ჩელას ხელს) ამისათვის არ შეუქმნია ღმერთს.

კონტრაბასს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ეუფლება, ვერაფერი ხეირიმალულად ჭამა.

რალფის გარდა ვერავინ გრძნობს, რომ ვიღაცა ხორცს ეთამაშება; ყნოსვადაძაბული ადგილზე ცმუკავს და რაღაცას გაფაციცებით ელოდება.

გვირაბში გრუნტის წყლები რუსავით მოედინება. შიდა სამუშაოები ჯერ კიდევ დაუმთავრებელია, მოსაპირკეთებელი მასალა გორებად ყრია და ტრანსპორტს აბრკოლებს. მოძრაობას ართულებს ფარული ღრმულებიც, რომელიც წყლით არის ამოვსებული და არ ჩანს. მძღოლზე გამაღიზიანებლად მოქმედებენ შემხვედრი მანქანები, რომლებიც ჭყვიტინით ცდილობენ მოძრაობის დაჩქარებას. ალფრედი მო-

უთმენლად ხტება ავტობუსიდან და მძღოლს ეხმარება გზის გაკვალვაში.

ახლადგამოღვიძებული ბასა თვალებს იფშვნეტს და დირიჟორს ვერ სცნობს. მერე თანდათან მოდის გონს და გულიანად ეცინება.

— მაესტრო, შეხედეთ, ეს ილუზიონისტი ლუკმაპურის ფულს გართმევთ და თქვენ ვერც კი ხვდებით.

მაესტრო დაბნეულად იღიმება და ბოლოს ავტობუსის წინ მდგომ „დირიჟორს“ აფიქსირებს. მართლაც, შესაშური ეკვილიბრისტიკით მიჰყავს ორკესტრი ტლფრედს.

გვირაბიდან კი გამოვიდნენ, მაგრამ მოსალოდნელი მკვეთრი სინათლის ნაცვლად, მწვანე ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტიორების ქარავანმა მოსჭრა თვალი ჩვენს მეგასტროლეებს.

— აი, ჩვენებიც მოვიდნენ! — გახარებულმა წამოიძახა კონტრაბასმა და "ექსტრემისტებს" ნიშნისმოგებით გადახედა. („ექსტრემისტებს“ ქართველებს უწოდებდა არსებული წყობილებისადმი მათი შეურიგებლობისა და გამოკვეთილი ეროვნული თავმოყვარეობის გამო.

— ახლა კი წესრიგს დაამყარებენ! თქვენ ეი, ჯარისკაცებო! აქეთ მოდით, აქ შოვინისტი ექსტრემისტები სხედან! — მთელი ხმით გაჰყვირის კონტრაბასი და სიცილში იხრჩობა. იცის, რომ ტანკების გრუხუნში მის ხმას ვერავინ გაიგებს, და ისიც იცის, რომ თუ მართლა ვინმე ხელს შეახებს მის მეგობრებს, პირველი თვითონ დაუდგება წინ და დაიცავს.

— რა დიდ გულზე ხარ, შენც მოგიწევს უკანა გზაზე ჩვენს ზოლზე გავლა და როგორ ფიქრობ, ჩვენს მოპიკეტეებთან მე ვერ ჩაგიშვებ? — სიცილითვე პასუხობს ბასა.

ყველაზე მეტს ალტი იცინის.

— როგორ, ეს სომეხი მშრალზე უნდა გამოვიდეს? — ბრაზობს სოლო და ალტზე მიუთითებს.

— ვინ თქვა მერე, რომ მშრალზე გამოვა? მაგას ტიტლიკანას თავდაყირა ჩავტენი ტომარაში, უკანალთან გამოვბანტავ და თათრებს სახელდახელო ნობათს გავუგზავნი, — [illegible] იხევა კონტრაბასი.

ვასთირჯის რკინის ყულაბა გემრიელად ახრამუნებს მისივე ჯიშის „ნამგალსა და უროს“ და გულუბრყვილო მგზავრებს უსაფრთხო მგზავრობის გარანტიას აძლევს.

— ახლა მე, ჩვენს ტრადიციულ სადღეგრძელოს შევსვამ. მოდით, ამ ჭიქით ჩვენს კოლექტივს გაუმარჯოს, ჩვენს გულწრფელ ურთიერთობას და ჩვენს სიყვარულს გაუმარჯოს, — ამბობს მაესტრო და ხველებით სიყალბის დაფარვას ცდილობს.

— აბა, თაიგული გავაკეთოთ, თაიგული, — გაიძახის ალტი და წითელი ღვინით სავსე ჭიქას წრიულად ატრიალებს.

— აი, აქ იყო გადაჭიმული უზარმაზარი თალი. შეხედე, ნანგრევები ეხლაც შემორჩენილია, აქ გადიოდა საზღვარი საქართველოსა და ოსეთს შორის, — ყურში ეჩურჩულება ბასა ჩელოს და თარგმულს უერთდება.

ქალაქის განაპირას, მწვანეში ჩაფლული მოგრძო დაბალი შენობა, ერთი ჩვეულებრივი სასტუმრო „მოტელია“. უჩვეულო მხოლოდ ის არის, რომ სასტუმროს შუაგულში ამოსულია ვაშლის მსხმოიარე ხე, რომელიც ყველა სართულზე განტოტვილია და მნახველთა ცხოველ ინტერესს იწვევს. ამ ხეს ყოველ სართულზე დარაჯი ჰყავს მიჩენილი, რათა მისი მაცდური ნაყოფით არავინ ისარგებლოს. ჩვენი დამშეული მუსიკოსები ღამღამობით ჩუმად ეპარებიან აკრძალულ ხილს და შიმშილს იკლავენ.

— მე მაინც ვფიქრობ, რომ ჩელო მამაკაცის ინსტრუმენტია — ჩურჩულებს სოლო და ჩელას ნატიფი თითებიდან კისრისაკენ ტუჩებით გზას იკვლევს.

— რას მთავაზობ? — კითხულობს ჩელა.

— გზას.

— საით?

— სხვა სამყაროში.

— სად არის სხვა სამყარო?

— იქ, სადაც ეროვნებას არ ეკითხებიან.

— ???

ძნელია ყურით მოთრეული მაყურებლის დაშოშმინება, მითუმეტეს, როცა უფროსებს ბავშვები ჭარბობენ.

მაესტრო მაყურებელს აცნობს კამერული ორკესტრის სპეციფიკას, თითოეული ინსტრუმენტის დანიშნულებას და ქლერადობას.

— ალტი ვიოლინოსაგან გამოირჩევა ზომით, ტემბრით, დიაპაზონით, — ამბობს დირიჟორი, რომელსაც მარცხენა ხელი ალტისათვის კისერში წაუვლია, ხოლო მარჯვენა ხელით ქვედა დეკას ეალერსება.

— შეხეთ, მიჩურინის ვიოლინო! — ისმის დარბაზიდან.

მაესტრო ღიმილით ცდილობს მოხარხარე პუბლიკის დაშოშმინებას. პერგოლეზი აქ უძლურია.

მხოლოდ ალფრედი, ჯოპლინის ჰანგებით ფრთაშესხმული, წითელი ჩემოდნითა და შავი ცილინდრით დაყუნცულებს სცენაზე და მოსალოდნელის სიურპრიზისათვის პირდაღებულ, გაყუჩებულ მაყურებელს თეთრ ბურთულებს ჩრის პირში.

— ვივალდი.

— ალფრედი.

— ალბინონი.

— ალფრედი.

— ბახი.

— ალფრედი.

— პერსელი.

— ალფრედი.

— ხაჩანოვი.

— ტაში.

ხახანოვის „ექსპრომტი“ დამაგვირგვინებელი უნდა ყოფილიყო გასტროლების წარმატებისა. დირიჟორი თვლის, რომ მისია შესრულდა და აამაღლა ეროვნული სულისკვეთება ის ხალხში.

სამი პიანო იდუმალების განცდას იწვევს ყოველთვის, მითუმეტეს თუ ბასი აქა-იქ გამოჩნდება (თითქოს სადლაც შეთქმულება მზადდება. პირველმა ვიოლინოებმა უნდა ჩაითრიონ მეორე ვიოლინოები. კონტრაბასი მონოტონურ პულსს იძლევა. ჩელო ძირითადი თემის ფრაგმენტს გვთავაზობს. სოლო მიზნად ისახავს ძირითადი თემის ატაცებას.

დირიჟორი მუხლებში იკეცება, თითქოს მოსალოდნელი დარტყმისათვის ამზადებს მსმენელს.

პულსი მატულობს. ჩელო თმობს ძირითად თემას და ფლაჟოლეტით კმაყოფილდება.

ალტი შუამავლის როლშია.

დირიჟორი ამხნევებს პირველ—მეორე ვიოლინოებს და კონტრაბასს წარბშეკრული უბიძგებს ტემპის მომატებისაკენ.

ჩელო გრძნობს, რომ სადღაც $\frac{1}{4}$ იკარგება.

პირველ და მეორე ვიოლინოებთან მეთექვსმეტედი და ოცდამეთორმეტედი ნოტების ზეიმია.

უცბად გონს მოდის ჩელო და შესაშური შემართებით პირველ გლისანდოს უშვებს ცინცაძის „საჭიდაოდან“.

დირიჟორი იბნევა, მაგრამ $\frac{3}{4}$ ზომას მაინც მკაცრად იცავს.

კონტრაბასი პულსს აძლიერებს.

დურუ, ბასა და ვიოლა თვალებგაბრწყინებულები უერთდებიან ჩელოს.

$\frac{3}{4}$ თუ $\frac{4}{4}$

დირიჟორი კბილებს აკრაჭუნებს და მკაცრად მოითხოვს $\frac{3}{4}$ ზომის შენარჩუნებას. დურუმ ლამის სიმები დაწყვიტოს.

ჩელო აზარტში შედის და თანდათან

ეგუება იმ აზრს, რომ სამსახური კარგავს.

ალტი მხოლოდ იმ ბგერებს გამოსცემს, რომელიც ორივე მხარეს წაადგება.

3 თუ 4

——

4 4

დირიჟორის რისხვას საზღვარი არა აქვს. სიამოვნებით ჩაარტყამდა თავში სადირიჟორო ჯოხს ჩელოს, მაგრამ პუბლიკას რა უყოს? პუბლიკა გრძნობს, რომ რაღაც ხდება ორკესტრში, საშინელი დისჰარმონია ქუხს, მაგრამ დირიჟორის სახეს ვერ ხედავს და მოთმინებით ელოდება ფინალს.

...რიტენუტო, დიმინუენდო, სამი პიანო.

გაყუჩდა ორკესტრი. ფართოდ გახელილი თვალებით ერთმანეთს მისჩერებიან და არ ესმით დარბაზში ატეხილი ხმაური, სტვენა.

დირიჟორი ფერმატოზე გაიყინა.

ხელებაწეული მაყურებლისაკენ ზურგშექცევით დგას და უკ[illegible]-ლად გამზადებულ [illegible]-ბით რაღაცას ევედრება.

ალფრედი ჯოპლინის თანხლებით, მომღიმარი სახით შემოდის სცენაზე. ჰრიალა თეთრი მოკასინებით რამდენიმე წრებრუნვას აკეთებს და შავ ცილინდრს ხელში ათამაშებს. ალესილ სამართებლებს ჯერ სათითაოდ, შემდეგ კი ბლუჯა-ბლუჯა იყრის პირში და გემრიელად ახრამუნებს. შემდეგ კი იგივე სამართებლები შავ ძაფზე ასხმულაკინძული, ნელ-ნელა გამოაქვს პირის ღრუდან და გაკვირვებულ მაყურებელს, გულგრილი ღიმილით ახალ საოცრებას სთავაზობს.

ცარიელი შავი ცილინდრიდან ამოჰყავს თეთრი მტრედები და დარბაზში უშვებს.

ტაშისა და ოვაციისაგან დამფრთხალი მშვიდობის მტრედები თავბედს იწყევლიან და დასაჯდომად საიმედო ადგილს ამაოდ ეძებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ბიბილური

# ესე იტყოდა ოთარაანთ ქვრივი

## პუბლიცისტურ-ლიტერატურული ესსეი

„ნეტავ სრულ იყვნეთ, თუნდ ვით ცხოველნი!
ხოლო ცხოველნი თვისებით უმანკოა".

ფ. ნიცშე — „ესე იტყოდა ზარატუსტრა".
თარგმანი ერეკლე ტატიშვილისა.

„იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა წაბლიანს დაარქმევ, ყველამ იცოდა ვინ არის ოთარაანთ ქვრივი. სოფლის გზირისათვის რომ გეკითხათ, ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნებურად".

„ნაცვალი თუ იასაული, — რაც გინდ დიდი საქმე ჰქონოდათ, — ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიჭაჭანებდნენ, და თუ როგორმე გაბედავდნენ, ისეთს ალიაქოთს ასტეხდა რომ ბედსა და თავს დააწყევლინებდა."

„ჯავრი რომ არ შევარჩინე, — ეს რაღა მღირს! ტყუილ-უბრალოდ რომ არ დავეჩაგვრინე, ცოტაა?! დეე ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს მეძახიან" — ეს თვით ქვრივის სიტყვებია.

„ჩვეულად რომ გლეხკაცობა სადმე მდგარიყო, ნამეტნავად თუ შიგ ერია სოფლის მოხელე ვინმე, — ნაცვალი თუ მამასახლისი, — და ოთარაანთ ქვრივი მომავალი დაენახათ, ისე გაიფანტებოდნენ აქეთ-იქით, თითქო ალალმა დაჰქროლა წიწილებსაო".

„ჩემი რად უნდა ეშინოდეთ? რა ბაყ-ბაყ დევი მე მნახეს! მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილ-უბრალოდ არავის დავეჩაგვრინები. თუ გაჭირდა, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდის ვივლიო" — ესეც ქვრივის სიტყვებია.

თავდაპირველადვე ზოგადი შტრიხი ქვრივის პორტრეტისა უკვე მოხაზულია. ისღა დაგვრჩენია მივყვეთ თვით მწერალს და თანმიმდევრულად ჩავიხედოთ გმირის იდუმალ სულში. ყველაფერი იმ იდუმალ სულში ხდება, ყველაფერს ის შფოთიანი მღელვარება განაგებს, რითიც ყოფილა აღსავსე ქვრივის შინაგანი ბუნება და თვით ცხოვრების წესი.

ფაბულა ნაწარმოებისა, თუ ორიოდე სიტყვით გადმოვცემთ, მეტად მარტივია: ოთარაანთ ქვრივს ქმრის იმ ქვეყნად წასვლის მერე ერთადერთი ვაჟი გიორგი დარჩა. გიორგის თავადის ქალი შეუყვარდა და გადაწყვიტა მის მოჯამაგირედ დამდგარიყო, და ერთ დღეს, სიყვარულით თვალებდაბნელებული ჭაბუკი თავის ზვინიდან ურმის ბოლს ჩამოეგება. გაუტეხელი ქვრივი მარცხდება სიკვდილის წინაშე, რადგან ცხოვრება „გასტეხს ქვასაცა მაგარსა", და თავადაც, ზამთრის ღამეში, პირველი სპეტაკი თოვლით დაფარულ სოფლის სასაფლაოზე, შვილის სამარესთან აღესრულება.

ეს არის და ეს...

მაგრამ რომელი ფაბულა არ მოჩანს მარტივი, თუ მას გავაშიშვლებთ და იმას ჩამოვაცილებთ, რისთვისაც ეს ფაბულა დაგვჭირდა? ამიტომ უაზრო საქმეა ფაბულის მიხედვით ნაწარმოებზე მსჯელობა, როგორც უაზრობა იქნება მდინარის ღირსება განსაზღვრო იმით, სად იწყება და სად მთავრდება. ფაბულის სულში ჩაწვდომაა აუცილებელი, იმის ამოცნობა, თუ რისთვის დასჭირდა მწერალს სწორედ ეს ფაბულა

ესეც ძალზე მოუხელთებელი საქმეა.

მაინც ვცადოთ. ცდა ბედის მონახევრეა.

რითი ყოფილა აღსავსე ქვრივის შინაგანი ბუნება?!

ყოფილა და აღარ არის?

ყოფილა და დაკარგულა?

ნუთუ ოთარაანთ ქვრივი ბედნიერ მოგონებად, ან უარესი, მხოლოდ მუზეუმის გაქვავებულ ექსპონანტად დარჩა?

ამის გაფიქრებაც კი შემზარავია.

მაგრამ მაინც გვაწვალებს ფიქრი, შთამომავლობა ფხიზელი თვალით წონის წარსულს, სურს ბევრ რამეს ზედმეტი შარავანდედი ჩამოაცილოს, რადგან ამ შარავანდედმა საკმაოდ დაგვაზარალა. ბევრ რამეზე თვალები აგვიბა და წარსულით გაამაყებულნი და გაბრუებულნი მიგვანდო დაუნდობელ საუკუნეს, რომელიც საცაა, სწორედ ჩვენს თვალწინ გაილევა.

სწორედ ამიტომ ვკითხულობთ:

სად არის ოთარაანთ ქვრივი? ნუთუ მხოლოდ ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში ჩასახლებულა და იქ დგას უძრავად, როგორც ძეგლი ქართველი დედა-კაცის ხასიათისა, დედა-კაცობისა და სიმტკიცისა. ნუთუ სამუდამოდ მოკვდა და ტრაგიკულად დაღუპულ შვილთან ერთად ყველაფერი თან წაიყოლა? ან იქნებ არც მაშინ არსებობდა, როცა მის დიდებულ პორტრეტს ილია ჭავჭავაძე ძერწავდა და მხოლოდ ფიქრი იყო ილიასი, მხოლოდ ოცნება სრულქმნილ ქართველ დედაზე, რომელსაც ჩვენმა წინაპრებმა შეგნებულად, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით შეარქვეს ქართული ენის საკადრისი მოქნილობის და სილამაზის სახელი დედა-კაცი, ანუ კაცივით მტკიცე და მაინც ქალი, მაინც დედა, თავისი უპირველესი დედური ვალით და მოწოდებით.

მე ვეძებ ოთარაანთ ქვრივს და ველარსად მიპოვია.

სადა ხარ, ოთარაანთ ქვრივო, გადმოგვხედე და ხმა გაგვეცი. ნეტავ იცოდე, როგორ გვჭირდება შენი მრისხანება, შენი მართალი სიტყვა, შენი დატუქსვა, შენი დიდებული ერთგულება და დედობა. იქნებ სამუდამოდ დამიწდი და მართლაც თან წაიყოლე ის დიადი, რაც გაგვაჩნდა, რითიც ვამაყობდით და რითიც დღემდე მოვიტანეთ თავი, იქნებ შენი ხასიათის ესა თუ ის ბწკარედი აქა-იქ, მრავალთა ხასიათში გაიბნა და ილიას მსგავსი ოსტატილა გვჭირდება, რომ ყველაფერს თავი მოუყაროს, ერთად შეკრას, აკინძოს და კვლავ გააცოცხლოს შენი სახე, არა, შენი კი არა, შენი შთამომავლებისა, დღევანდელი ოთარაანთ ქვრივებისა.

გეძებ, გეძებ და ამაოდ.

გეძებ და ვერსად მიპოვნიხარ.

მოდით, ჭერჭერობით ამ გაბნეულ ბწკარედებს მაინც მივყვეთ, რომელიც წლების მანძილზე, ხან სად, ხან სად, ხან ბარში და ხან მთაში, ხან შარაზე და ხან ბილიკზე, მატარებლებში, ხალხით გაჭედილ ავტობუსებში მიპოვია და მითქვამს: აი, ესა ჰგავს ოთარაანთ ქვრივს, ამას მხოლოდ ოთარაანთ ქვრივი გააკეთებდა...

არა, ოთარაანთ ქვრივი მარტო [illegible]. ჰყავს წინაპრები, ნათესავები და შთამომავლებიც. უჭელა ისინი ქართველი დედა-კაცის სინდის-ნამუსს, კაცობას და დედობას განასახიერებენ: ზოგი ჩაგრულია, ზოგის დაჩაგვრა არც ისე ადვილია, ზოგი პირქუშია, ზოგი — იუმორით აღსავსე და მაინც სხვანი არიან, ოთარაანთ ქვრივი მათგან განმარტოებით დგას, მაგრამ საამაყოდ ისიც ეყოფათ, რომ ასეთი დიდი წინაპარი ჰყავთ, მარადიული და უკვდავი, ვიდრე იქნება ჩვენი პლანეტა და მისი ერთი პატარა ნაწილი, კავკასიის მთებში შეყუჟული საქართველო.

ოთარაანთ ქვრივი მაინც სხვა იყო. სხვა მადლით მოსილი და სხვა ქვაში გამოკვეთილი.

ვინ იცის, რა იქნება ხვალ?

ჩვენ ჩაკეტილი ვართ საკუთარ ბუდეში, როგორც ის და-ძმანი — არჩილი და კესო და ველოდებით, როდის დააკაკუნებს ალაყაფის მძიმე ჭიშკართან ოთარაანთ ქვრივი, რათა ჩვენს დეკორატიულ ეზოში მთელი თავისი ღირსებით შემოვიდეს და მოურიდებლად პირში მოგვახალოს სიმართლე ამ უაზრო და მოდუნებულ ყოფაზე.

ჩვენ ველოდებით ოთარაანთ ქვრივს. ის კი კვლავ და კვლავ არ ჩანს.

რა დავკარგეთ დარბაისლურ ქართულ თვისებებთან და რა მოვიტანეთ მტკიცედ ბოლომდე, ამის განსჯას ვერ შევუდგებით. ყოველივე ილია ჭავჭავაძის გმირ დედაკაცს დავუკავშიროთ. ეს დედაკაცი იყო:

მხნე,

მუშაკი,

ჭირთა მთმენი,

ამაყი,

დედაკაცი, რომელიც არა ჰრიდებდა ქვეყანასა და მეფესა თვისსა.

სტუმართა და უცხოთა მოყვარე,

უხვი,

საუნჯეთა არამძეველი,

გონიერი,

მსწრაფლ მიმხვდომი.

„ოთარაანთ ქვრივი“ მცირე ერის რაინდული მორალის ნუსხაა. ის თავის თავში სრულად შეიცავს ამ მორალის პათოსს. ეს ის მორალია, რომელიც ან იყო და დაივიწყა კაცობრიობამ, ან სამომავლოდ მივისწრაფვით მისკენ, როგორც სრულყოფილი საზოგადოების საძირკვლისაკენ. მის შესაქმნელად არ კმარა არც ერთი დღე და არც თუნდაც ერთი საუკუნე. ის დროჟამის ცეცხლში ტარდება დიდხანს და მის სრულყოფილებას საზღვარი არა აქვს. ამიტომ სულ ერთია ვის წიაღში აღმოცენდება ეს მორალი, დიდი თუ მცირე ერისა, რადგან იგი მთელ კაცობრიობას ეკუთვნის. დიდი ნაწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოები ყველგან შეიძლება დაიწეროს, ხუთასმილიონ ქვეყანაშიც და პატარა კუნძულზეც, სადაც სულ რამდენიმე ათასი მოსახლეა. ცხადია, პატარა კუნძულს მეტი ძალისხმევა ჭირდება თავისი კულტურული მეობის დასამტკიცებლად. მისი საქმე გაცილებით ძნელია, საამისოდ კი მხოლოდ ერთი გზა არსებობს: მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაში მთელი არსებით ჩართვა. „კუნძული" კუნძულად არ უნდა დარჩეს. მან კარი უნდა გაუღოს სხვებსაც და სხვაგანაც თავისუფლად მიესვლებოდეს. ნიჭმა არც ადგილი იცის, არც საზღვრები. ნიჭი არ არის რომელიმე დიდი ან მცირე ერის მონოპოლიური კუთვნილება. იგი ღვთიური მადლია ღვთიური მადლი კი ჩვენი პლანეტის ყველა წერტილს ერთნაირად ეფინება. სულ სხვაა, რომელიმე „კუნძულზე" გაშუქებული ნიჭი გახდება თუ არა ქვეყნიერების კუთვნილება. ამას კი დიდი დრო ჭირდება, დიდი და ძნელი გზის გავლა. ეს დიდი დრო ბოლოს და ბოლოს გაივლის და აღმოუჩენელი აღარაფერი დარჩება.

არც ილია დარჩება აღმოუჩენელი.

კაცობრიობა ძნელად იტყვის უარს „ოთარაანთ ქვრივის" მორალზე, რადგან იქ ყველაფერი ბრძნულად და ნატიფადაა ჩამოქნილი.

ქართული ცივილიზაცია ერთი ნატეხია იმ დიდი ცივილიზაციისა, რომელიც მთელ წინააზიაში, ხმელთაშუა ზღვის აუზში და ახლო აღმოსავლეთში იყო გაფენილი. დახვეწილი მატერიალური კულტურა ერთი საუკუნის და თუნდაც ერთი ათწლეულის მანძილზე არ იქმნება. მას დრო-ჟამის გამოცდა, დიდი ქარტეხილების და კატაკლიზმების გადატანა უწევს და თუ ყოველივე ამას გაუძლო, ჩვენს დრომდე მოსული ინარჩუნებს თავის თვითმყოფად სახეს. ეს ნატეხები არსებობს და მას კარგა ხანია ცნობილი სწავლულები ჟამთასვლის მიღმა იკვლევენ. ისინი ერთმანეთს გვანან, როგორც თიხის დამსხვრეული ლარნაკის ნატეხები და ერთმანეთს ეძებენ, რათა ლარნაკი ძველებური სიდიადით აღსდგეს. მერე რა, რომ მას ბზარები დაეტყობა, რომ ის აღარ იქნება რაც ოდესღაც იყო. ეს არც არის საჭირო. გარდასულის იმ სახით აღდგენა, როგორიც იყო და თანაც დღევანდელი აგურით, მხოლოდ თამაშია, წყალწაღებულის ხავსზე ჩამოკიდება. ეს რომ არა, ბერძნები კარგა ხანია აკროპოლს თავიდან ააშენებდნენ და ტურისტებს მიიტყუებდნენ, შეხედეთ, აკროპოლი იგივეა, როგორიც ოდესღაც იყო. სირიელები ხელახლა ააშენებდნენ პირისაგან მიწისა აღგვილ და მხოლოდ საძირკვლის ნანგრევებად ქცეულ უგარიტს, სადაც იპოვეს ფინიკიური ანბანის ყველაზე უძველესი ნიმუში, თიხის ფირფიტა, ანუ „უგარიტული წარწერა" მაგრამ ამას არავინ აკეთებს უგარიტული ფირფიტა დაჭახკოს მუზეუმში მარტოდ მზირალი ანათებს ცისკრის ვარსკვლავივით და მას საგანგებოდ იცავენ. ძველის ნაცვლად ძველს მიმსგავსებულის აშენება არ იქნება მართალი.

ეროვნული

ჩვენ მხოლოდ წარმოდგენა — [illegible] წარმოდგენა გვსურს იმ სიდიადისა, რაც ოდესღაც ყოფილა და რაც ჩვენამდე სწორედ ნამტვრევების, მორღვეული კედლების და ჩაქცეული საძირკვლების სახითღა მოსულა.

ასეთ დროს დიდია როლი ე. წ. მცირე ხალხებისა. ეს ხალხები, უმეტესწილად სწორედ დიდი ცივილიზაციების ნაშთები არიან და უიმათოდ შეუძლებელი გახდება საერთო სურათის დადგენა.

ოთარაანთ ქვრივის ხასიათის, მისი მორალის წრთობა იმ ნანგრევების დროიდან იწყებს დასაბამს.

ეს იმ ხალხის მორალია, რომელმაც დიდი ისტორიული გზა გამოიარა — გზა სისხლით მორწყულიც, მხნეც, იმედიანიც და მხიარულიც. არც ერთი ამათგანი მისთვის უცხო არ ყოფილა. და ყოველივე ჩამოიქნა ერთ სულიერ ქურაში, გამოიწრთო და მიიღო უზოგადესი, მონოლითური ქართული სახე. ამიტომ შეიძლება „ოთარაანთ ქვრივს" ერის მორალის გამოხატულება ვუწოდოთ. ამგვარ მორალს კი ილია ჭავჭავაძე ცხოვრების თავდაპირველ საწყისად თვლიდა. „კაცია ადამიანს" წამძღვარებული „გონიერი ანდაზა" (ეს ილიას სიტყვებია) „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანო" „ოთარაანთ ქვრივის" ცხოვრების დეტალიცაა. ამ სიტყვებზე კი ილია წერს: „სადა ხარ ეხლა, ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაცა გქვიან. შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შენ და მხოლოდ შენ უკეთებ გულს იმას ვისაც „სხვისთვის" გული სტკივა. მაშინაც კი უკეთებ, როცა ის „სხვანივე" თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად უთვლიან გულის-ტკივილს."

და თუ მაინც ვიტყვით: სადა ხარ ოთარაანთ ქვრივო, მსგავსად ხალხური სიბრძნისა, ხალხში უნდა ვეძებოთ. ის ხალხშია და ბედის უკუღმართობას დღესაც შეუპოვრად უსწორებს თვალს. ის არ მომკვდარა.

მაგრამ როგორც ყოველ დიდ საქმეში, უძველესობაშიც დიდია სახიფათო ცდუნება. უძველესი ცივილიზაციის ერები თითქოს სულიერ განცხრომას ეძლევიან, და მხოლოდ იმით ტკბებიან, რაც ოდესღაც. ძალზე დიდი ხნის წინათ, დრომ და გარემოებამ უბოძათ. ამას ვერც ჩვენ ავცდით. ჩვენ მეტად დიდ დროს ვანდომებთ წარსულით სიამაყეს და ძალზე ცოტას — საამდღეოს და სამომავლოს. ამიტომ ის ძველი საძირკველი დროის ანაბარა რჩება. დუღაბი თითქოს ირღვევა, მძლავრობს ზამბნარი, დაწყებული შენობა კი გაგრძელებას, ახალი შინაარსის შეძენას ითხოვს.

ღმერთმა გამოგვიყვანოს წარსულით ტკბობის ამ მომთენთავი ცდუნებისაგან.

* * *

ახლა უთუოდ უნდა გავიხსენოთ „ოთარაანთ ქვრივის“ პირველი წაკითხვა მეგობართა ვიწრო წრეში, სარაჯიშვილის სახლში. თავისთავად აქ ყველაფერი ნაცნობია. „ივერიის“ თანამშრომელმა და ილიას ერთერთმა მარჯვენა ხელმა იაკობ მანსვეტაშვილმა ეს სცენა საკმაოდ დაწვრილებით აღწერა. ჩვენ აქ უფრო ის შენიშვნები გვაინტერესებს, რაც მოთხრობის წაკითხვის მერე ილიას მეგობრებმა დაუფარავად უთხრეს.

მაგრამ სიტყვა თვით მანსვეტაშვილს მივცეთ: „ილიამ წაიკითხა თავისი მოთხრობა. უნდა ითქვას, სხვათა შორის, რომ ილია კაი მკითხველი იყო, თუმცა ხმა ცოტა მოყრუო ჰქონდა, თითქოს გულზე ქონი აქვს მოკიდებული და ეს უშლის სიტყვის მკაფიობასო. კითხვა გათავდა. ჩამოვარდა სიჩუმე, ილია აღგზნებული სახით აქეთ-იქით იყურება.

თუ ხსოვნა არ მღალატობს, პირველად ხმა ამოიღო გრ. ვოლსკიმ. მაგ მოთხრობას მე „ოთარაანთ ქვრივს“ კი არა „ობოლ მარგალიტს“ დავარქმევდიო. ქვრივი, როგორც ტიპი, ჩამოსხმულია, გამოქანდაკებული. ენა ხომ ისეთია, რომ აქ ილიამ თვით ილიასაც გადაამეტა, გადააჭარბა. ერთი სიტყვით, მოთხრობა მხატვრობით, ფერადების სიუხვით, ნამდვილი ქართული მოსწრებული სიტყვა-პასუხით, მშვენიერია, შეუდარებელი. მხოლოდ გიორგის დიდბუნებოვანება, მისი სულიერი დიადობა არ ჩანს. მეჯინიბეს მადლიანად სცემა და მოჯამაგირეს ტყეში გვერდები ჩაამტვრია, ეს მაინცა და მაინც არც ისეთი დიდი გმირობაა, და არც დიდსულოვნებაო. მაშ რაზე ჰკიცხავთ კესოს, რომ გიორგის სიყვარულს ვერც კი მიუხვდაო. რაში გამოიჩინა გიორგიმ თავისი სულიერი სილამაზე, გონების წარმატებულობა, რომ კესოს თავი დამვიწყებოდა და გული შესტოკებოდა? რა ვქნა, ილია, არ მომწონს გიორგი. იგი ლანდია და არა ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანიო.

ახლა წამოდგა ნიკო ნიკოლაძე და ისიც კესოს გამოესარჩლა.“

„ზოგმა დაუწუნა ილიას გიორგის სიკვდილი: არა ბუნებრივია, შემთხვევითიაო. თვით მოთხრობის მსვლელობიდან არ გამომდინარეობს როგორც აუცილებელი, საბედისწერო შედეგი იმ მოვლენათა გადაბლართ-გადმობლართვისათვის, რომელსაც ცხოვრება ჰქმნის. თვით სიკვდილი გიორგისა: — პირაღმა გადმოქცეული წამოვიდა მაღლიდამ გიორგი და ურმის ჭალს ზედ დაეგო ზურგითაო“ — არ მოსწონდათ, „არა—ესთეტიურიაო“.

შემდეგ ზოგს რა უთქვამს, ზოგს რა. თურმე სხვა წვრილმან ნაკლოვანებებსაც აღნიშნავდნენ „საზოგადოდ კი, შთაბეჭდილება მოთხრობისა დიადი იყოო“ — დასძენს მემუარისტი.

შუაღამე გადასული და დავით სარაჯიშვილს ყველანი ვახშმად მიუწვევია. თამადად [illegible] რაფიელ ერისთავი ყოფილა — „ენა-წყლიანი, ჰკუა-მახვილი, ოხუნჯი.“

ილიამ ყველაფერი თავისებური სიდარბაისლით მოისმინა, მაგრამ გავიდა ხანი და მოთხრობა უცვლელად დაიბეჭდა. არ მიიღო ილიამ კრიტიკა და არც უნდა მიეღო. ნაწარმოები იწერება ისე, როგორადაც უნდა დაწერილიყო. ყველაზე ჰკვიანმა და განათლებულმა მრჩეველმაც კი შეიძლება დაგაკარგვინოს ჩანაფიქრი, რადგან მხატვრული ნაწარმოების აღქმა უაღრესად სუბიექტურია. თუ მწერალი რაიმეს შეცვლის, ისიც თავისი ჰკუის კარნახით უნდა შეცვალოს და საერთოდ არ მესმის იმ მწერლებისა, რომელნიც ყოველ ახალ გამოცემას რაღაც ახალს ამატებენ და ამით ნაწარმოებს „ამდიდრებენ“.

ამდიდრებენ კი?

ერთმა ზედმეტმა მონახაზმა, ან გამუქებულმა ტონმა შეიძლება მხატვრული ტილო დააზიანოს.

ასეა მწერლობაც.

მე მგონია, ყოველი მწერალი, ვინც თავისი ნაწარმოები „გაამდიდრა“, ბოლოს და ბოლოს თავდაპირველ ვარიანტს მისტირის.

ვიდრე „ოთარაანთ ქვრივის“ კრიტიკას დღევანდელი თვალთახედვით შევხედავდეთ, უადგილო არ იქნება ის წერილები გავიხსენოთ, რომელნიც ამ ნაწარმოების შესახებ მე-19 საუკუნის პრესაშია გაბნეული.

აქ არის აღფრთოვანებაც.

გაუგებრობაც.

უმეცრებაც.

პროვინციული, შეზღუდული თვალთახედვა...

თვით ღვარძლიც.

ქრესთომატიულ მკითხველს ხშირად ჰგონია, რომ კლასიკოსთა ირგვლივ მუდამ საამო კეთილდღეობა და ჰარმონია სუფევდა. მკითხველმა უმეტესად არ უწყის რა მტრულ გარემოცვაში იქმნებოდა და იქმნება მხატვრული შედევრები. რაც დროთა მერე ნათელია, იმას ზოგჯერ თანამედროვენი ბრმასავით ხვდებიან. დრო ეხმარება მწერალს, თუ ის ნამდვილი მწერალია, და იმავე დრო მუსრავს ყველაფერს, რაც ლიტერატურაში მედროვემ შემოიტანა.

გაუგებრობასა და გაბოროტებულ სიმკაცრეს ვერც ილია ასცდა და ვერც მისი გმირები — ოთარაანთ ქვრივი და გიორგი.

მოდით, გავიხსენოთ ზოგიერთი ნათქვამი ილიასდროინდელი პრესიდან:

შიო დავითაშვილი (მკითხველი) გვაცნობს საზოგადოებაში მოარულ დიალოგებს „ოთარაანთ ქვრივზე“:

„—ილიკო თურმე მოთხრობას სწერს.

— მართლა? კარგი ამბავია: ნეტავ რა აქვს ხაგნად?

— უემველია ჩვენი ცხოვრება.

— როდის გაათავებს, მალე მაინც იყოს."

მეორე დიალოგი:

„— წაიკითხა.

— სულ?

— სულ!

— როგორ მოგეწონათ?

— აბა რა, ილიკო განა ურიგო რამეს დასწერდა!

საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზედ და აკაკიც კი გაფითრებული და სულგანაბული ისმენდა. ნიკო ნიკოლაძე აღტაცებაში მოიყვანა. სხვებს ხომ სულის ძარღვები შეგვიხუთა: როცა გაათავა, კარგი ხანი გავიდა, ძლივს მოვედით გონს.

— მაშ კარგი რამ ყოფილა?

— არა წამიკითხნია რა მაგისი ბადალი. ყოველი ევროპიული ხალხის ლიტერატურაში დიდ განძად და ძვირფას სამკაულად ჩაითვლებოდა."

მესამე დიალოგი:

„— ხაგანგებო არ არის. თითქო რაღაც აკლია, თითქო დასრულებული არ არისო.

— დასრულება მეტიღა უნდა, ჩვენი ცხოვრება კი დასრულებულია? მაგან აღძრა კითხვა და ცხოვრებამ დაასრულოს. თავიდამ ბოლომდე გენიოსობა ეტყობა. ეგ უბრალო კალმით არ არის დაწერილი. მაგაზედ მეტი რაღა უნდა დაწერილიყო?"

იქვე ლვარძლიანი დიალოგი:

„— ამბობენ ნიკოლაძეს ძალიან მოსწონებია და ათარგმნინებსო. ერთსა და იმავე დროს გამოვა „ივერიაშიც" და რუსულადაც „ახალ მიმოხილვაში."

— რო თავის ქერქში დადგებოდეს ის ურჩევნია. ჯერ ქართულად ივარგოს და მერე რუსულად თარგმნონ."

საერთოდ შიო დავითაშვილის თამამი აზრები, ეტყობა, კარგად გამოხატავს საზოგადოების ერთი ნაწილის განწყობილებას. თუმცა ავტორი გვიმტკიცებს, პირში თქმა ქართველებს გადაგვავიწყდა და ეს მელა შევბედე ილიასო.

აი, ზოგიერთი მისი აზრი:

„ვინ არიან მოქმედნი პირნი — გმირნი მოთხრობისა. წარმოდგენილნი იმ ცხოვრებისა, რომელსაც ავტორი გვიხატავს?

ოთარაანთ ქვრივი? სამაგალითო ლანძღვაგინება რომ იცოდა, თუ შვილი რო ჰყავდა და ზედ დააკვდა ჭკუამიხდილი, სიცხიანი, ავადმყოფი?

გიორგი? პირუტყვთა სიყვარულით რო კაცებს სცემდა, თუ ვიღაც ქალი რო შეუყვარდა და თქმაც ვერ გაბედა.

არჩილი? ლაქ-ლაქ-ლაპარაკად რომ არის გადაქცეული?

კესო? გიორგის სიყვარულს რო ვერ მიუხვდა თუ ძმის ლაქლაქს რომ უძლებდა?

მეწისქვილე?

თუ ძაღლი, რომელიც [illegible] დაეროვნული ბიბლიოთეკაბოდვით, არამედ სრულის ჭკუით თავს იკლავდა თავის პატრონის. გაყინული ოთარაანთ ქვრივის გვერდით?

„რისთვის და ვისთვის არის საჭირო ეს ლანძღვა-თრევის ლექსიკონი? საშვილი-შვილოდ ხომ არ გინდათ შეინახოთ. ბარემ სკოლებშიც შეასწავლეთ".

„ჩემმა ერთმა მეგობარმა იხუმრა, გიორგი პირუტყვთა საზოგადოების წევრი ყოფილა პირუტყვის გულისათვის კაცს წაუშენს სახრესაო."

„საითგან, როგორ, რამ გააჩინა სიყვარული, რამ გაალვია? სად შეხვდა გიორგი კესოს, ლაპარაკი ჰქონდათ, უნახავს სადმე, თვალი მოუკრავს როდისმე თუ რა? მოთხრობაში ერთი სიტყვაც არ არის".

„რა წამს „ივერიის" ნომრებს იქით მისდებთ. შთაბეჭდილებაც თან მიჰყვება და, თქვენ სრული თავისუალი ხართ, როგორც ამას წინათ, როცა კითხვა დაიწყეთ".

„ამ რიგად, არც ერთს „ოთარაანთ ქვრივში" გამოხატულ სურათს, არამც თუ ნამდვილი — ორიგინალი მსგავსებაც ვერ ვუპოვნეთ ჩვენს ცხოვრებაში და ეს გვაფიქრებინებს, რომ ავტორს აწინდელ ქართველთა სახე კი არ გადაუღია, არამედ იდეალური სურათები თუ დაუხატავს და გარდმოუცია ჩვენთვის სახელმძღვანელოდ".

რა ქნას, ამ სტრიქონების ავტორს არაფრის დანახვა არ სურს. განაჩენი თავადვე გამოიტანა: „ოთარაანთ ქვრივი" მალე დავიწყებას მიაბარდა." ოთარაანთ ქვრივი ლანდი ყოფილა, რომელიც „ივერიის" გადაფურცვლისთანავე გავიწყდება. სამაგიეროდ კრიტიკოსი „თავქარიანების ცრუ გამარჯვების სიხარულმა" გააბრაზა. სხვა ყურმოკრულ გმირთა გვერდით აღტაცებულია მეჯლანუაშვილის, კუდურ-ხანუმის, ძუნწ-კარაპეტას და სხვათა მრავალთა სახეებით.

ღმერთმა სიკეთე მისცეს!

და ამაზე ამით მორჩებოდა ლაპარაკი, რომ ამგვარი მსჯელობა ტიპიური არ იყოს ილიას დროინდელი ლიტერატურული კრიტიკისათვის.

დავით სოსლიანი „ოთარაანთ ქვრივში" მხოლოდ „ჩატეხილი ხიდის" პრობლემას ხედავს და წუხს, რომ ეს პრობლემა ილიამ ერთი მცირე ზომის მოთხრობით ბოლომდე ვერ გადაწყვიტა.

მიხეილ ხელთუფლიშვილი უფრო შორს სცილდება თავის კომპეტენციას და ნათელმხილველივით გვიზიარებს როგორ დაწერა ილია „ოთარაანთ ქვრივს". ოთარაანთ ქვრივი" ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს კაცზე, თითქოს იგი იყოს ერთი რომელიმე ნაწყვეტი უფრო დიდის ქმნილებისა, და არა ცალკე დამთავრე-

ბული მოთხრობა. მკითხველს ძალაუნებურად თვალწინ ეხატება თუ როგორ უნდა ყოფილიყო ამ მოთხრობის შექმნის ისტორია. ავტორს ჯერ რაღაც დიდი ქმნილების დაწერა განუზრახავს და კიდევაც დაუწერია ამ ქმნილების შესაფერი რამდენიმე შესავალი ხანა, მაგრამ შემდეგ, რაკი ამ ფართო საზღვრებში დაწყებული მოთხრობის იმ გვარ საზღვრებშივე გაგრძელება და დამთავრება, ვერ მოუხერხებია, თუ დაზარებია, მოთხრობის ძაფი შეუწყვეტია და სიჩქარით და ფაცი-ფუცით შესავლისათვის რამდენიმე შეუმუშავებელი ხანა მიუბლანდია"...

მაგრამ გვეყოფა.

ეს ამონაწერები აღშფოთებას სულაც არა მგვრის. ბოლოს და ბოლოს ყველას აქვს უფლება შეჰბედოს თვით ისეთ მწერალს, როგორიც ილია ჭავჭავაძეა. „ხელშეუხებლობის სტატუსი" მხოლოდ დაბლა სცემს მწერლის ღირსებას და საეჭვოს ხდის მის შემოქმედებით ნიჭს. ნიჭს არაფრის არ უნდა ეშინოდეს და, ალბათ, არც ილიას ეშინოდა. სამწუხარო სხვა რამაა — აზრის სიღატაკე და ეს მაშინ, როცა მსოფლიოს უკვე ჰყავდა დიდი მოაზროვნეები, რომელთა გვერდით დადგომაც ქართველ კრიტიკოსს ვერ მოეთხოვებოდა, მაგრამ მათი ნააზრევის ცოდნა კი აუცილებელი იყო.

ეს ცოდნა არა და არ ჩანს.

ილიას დროინდელ ლიტერატურულ აზროვნებას მასშტაბურობა და თვითმყოფადობა აკლია. ყოველი კრიტიკოსი ცდილობს ნაწარმოების კონცეპცია ცნობილ, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ „კანონებს" მოარგოს. გერცენმა თქვა და ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა, ჩერნიშევსკიმ თქვა და წყალი არ გაუვა. რაღაც მონური მორჩილებაა! არ ჩანს სურვილი დადგენილი ჩარჩოდან გასვლისა, საკუთარი აზრის გამოთქმისა, თუნდაც ეს აზრი მცდარი იყოს. როცა კრიტიკოსი ნაწარმოების კომპოზიციას იწუნებს, ამის დასტურად მხოლოდ ის მოჰყავს, რომ მავანმა და მავანმა ცნობილმა მოაზროვნემ კომპოზიციის კანონები სულ სხვაგვარად ჩამოაყალიბა.

აქედან იბადება აზრის სიმწირე.

„ყველა თხზულება ემორჩილება საერთოდ ლიტერატურის ისტორიით გამორკვეულს, ცნობილ კანონს." — ესეც შიო დავითაშვილის სიტყვებია.

რას იზამ, „კანონს" ვერ გადაუხვალ.

მაგრამ ილიას კანონის დაცვა ლიტერატურაში სულაც არ მიაჩნდა აუცილებლად და მართალიც იყო. „კანონების" რღვევა უფრო თამამად დაიწყო ილიას მერე, მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში. ეს რომ არა, ლიტერატურა ერთ დონეზე გაჩერდებოდა. იყო „რეალიზმი" და იმის იქით გახედვა მკრეხელობად ითვლებოდა. „როგორც ცხოვრებაშია", „როგორც ხდება", „ცხოვრებაში ეს შეუძლებელი იქნებოდა". აი, კრიტერიუმები, რომლებიც კარგა დიდ ხანს უხუთავდნენ სულს შემოქმედ ნოვატორებს, რომელთაც ჯიუტად არ სურდათ წინამორბედთა გზით სვლა, რადგან საკუთარ გზას ეძებდნენ. მათ იცოდნენ, რომ ეს [illegible] არ იყო წინამორბედთა უარყოფა. ეს იყო მათი შესწავლა, ღრმა გაგება, ანალიზი და ამის საფუძველზე თვისობრივად ახლის შექმნა. ეს რომ არა, სულაც არ იქნებოდა საჭირო „ილიადას" და „ოდისეას" მერე კალმის ხელში აღება.

ილიას კრიტიკოსები ნაწარმოებს მხოლოდ „რეალიზმის" თვალით მიუდგნენ: „როდის იყო გლეხის ბიჭი თავადის შეყვარებას ბედავდა?" „სად ნახა გიორგიმ კესო, არ ვიცით" — თუმცა კესოს ნახვა რა ძნელი საქმე იყო, იმ სოფელში დაიბადა და ბოლოს იქვე ცხოვრობდა. მაგრამ ილიას პრიმიტიული რეალიზმის გზა ვერ დააკმაყოფილებდა. მას ფართო განზოგადება სურდა, უზოგადესის მოხილვა და მასში ადამიანთა ბედ-იღბალის დანახვა. „ჩატეხილი ხიდი" წვეთია ზღვაში იმ ვნებათა გვერდით, რასაც დედა-შვილის გული მოუცავს. ილია ბუნებრივად მივიდა იქამდე, რაც რეალიზმის შემდგომი საფეხური უნდა ყოფილიყო. მისი აზროვნება „ოთარაანთ ქვრივში" მითოსურ პლასტებამდე მაღლდება. მისი „ცხოვრებისეული სინამდვილე" მხოლოდ საფუძველია ახალი „მხატვრული სინამდვილის" შექმნისა. მწერალი ამას უნდა ეძებდეს, რადგან ცხოვრებისეული სიმართლე ყველასია, „მხატვრული სიმართლე" კი, რომელიც შენ შექმენი, მხოლოდ შენეულია, შენ გეკუთვნის და შექმენი იმიტომ, რომ სამყარო ქვეყანას შენეული თვალით დაანახო, ცხოვრებაში ამაღლებული (და თუნდაც მიწიერი) აპოვნინო, მედინთან ერთად დაანახო ის წარუდინებელი, რომლის გარეშეც ადამიანის არსებობას აზრი გამოეცლებოდა. ხალხს გადავიწყებოდა ნაწარმოების პირობითობის მომხიბვლელობა, სათქმელის საკუთარი, მხოლოდ შემოქმედისათვის, ნაწარმოებისათვის მოძებნილი მოდელი, რაც შეიძლება ყოველდღიურ ცხოვრებისეულ დეტალებს არ შეესაბამებოდეს, მაგრამ უმაღლეს მხატვრულ განზოგადებას ახდენდეს.

გადავიწყებოდა!

თორემ საამისოდ „ვეფხისტყაოსნის" მაგალითიც იკმარებდა.

ილიასი და მის მსგავსთა ხმა თითქოს სიცარიელეში ისმის.

თითქოს არ არსებობდა ეს „ვეფხისტყაოსანი".

არ არსებობდა ის წიგნებიც, რომელთა სიბრძნეზეც აღმოცენდა დიდი ქართველი პოეტის ქმნილება.

ესეც, ალბათ, დრომ მოიტანა.

და ილია თავგამოდებით ეჭიდებოდა დროს. ცდილობდა მის შეცვლას. ბორგავდა. იბრძოდა.

და ბოლოს ამ ბრძოლას შეეწირა.

„ოთარაანთ ქვრივს" ჩვეულებრივი საზო-

მი არ მიუდგება. აბა დააკვირდით, თვით გალიზიანებულ კრიტიკოსთა ნათქვამებშიც კი იგრძნობა რაღაც დიდის წინა შეძრწუნება. ის ლანძღავს ამ „დიდს", როგორც ვთქვათ, ცხარათავიან დევს, მაგრამ თან ეშინია მისი, მანძილს იცავს, რათა საჭიროების შემთხვევაში უკან დაიხიოს. „ჩვეულებრივი" გაღიზიანებას არ იწვევს. ვღიზიანდებით მაშინ, თუ უჩვეულოს დანახვა ვერ შევძელით, ან სულაც საკუთარ თავსაც კი ვერ გამოვუტყდით მის უჩვეულობაში.

თუ გიორგის ან ოთარაანთ ქვრივის საქციელს ზედაპირულად შევხედავთ, მართლაც შეიძლება ზოგი რამ გაუგებრადაც მოგვეჩვენოს. მართლაც რა აზრიება კაცის გალახვა, ან რა დიდი გმირობაა სიმართლე ვინმეს პირში უკმეხად მიახალო. მაგრამ თუ კი ეს ყოფითი, მოკვდავთათვის არცთუ მოსაწონი დეტალები დიდ მიზანს ემსახურება? თუ მათი მეშვეობით მონოლითური ხასიათები იკვეთება? თუ ეს წვრილმანი დეტალებიც დიდი მიზნისაკენ მიგვახედებს და თანდათანობით გვამზადებს მის მოსახილველად? მაშინ მათი არსებობა მარტო გამართლებული კი არა, აუცილებელიც ხდება. უამისოდ ოთარაანთ ქვრივი და გიორგი მართლა ლანდები იქნებოდნენ, ან მხოლოდ მწერლის ოცნება, რაც შეიძლება ლირიკაში გამომდგარიყო, პროზაში კი არა. ამიტომ კიდევ ერთხელ ვიყოთ მიმტევებელნი ილიას კრიტიკოსთა მიმართ, იმათ მიმართაც კი, რომელთაც ილიას შემოქმედებაში კარგი არაფერი დაენახვებათ. ისინი ვიწრო, პროვინციულ სამყაროში იზრდებოდნენ. საქართველო მოწყვეტილი იყო ცივილიზაციის დიდ შარაგზას. იგი ჩიხად გადააქციეს, რომლის იქით წახვლა აღარც ღირდა და კაცმა რომ თქვას გზაც კარგა ხანია შამბით და ბალახით დაფარულიყო. საქმეს ვერ შველოდა ვერც ცალკეულ ქართველთა პეტერბურგში მიღებული განათლება. ვერც ის მცირე „ევროპეიზმი", რომელიც ისევ და ისევ პეტერბურგის გზით აღწევდა ჩვენამდე. ეს გზაც ძველისძველი იყო, ოღრო-ჩოღრო, მოუკირწყლავი, ხიფათით სავსე. დილიჟანი თვეობით უნდებოდა ამ გზის დაფარვას და ერთი პატარა ცნობაც კი მაშინ აღწევდა დანიშნულების ადგილზე, როცა უკვე დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი ფასი. ისტორიულ წარსულთან შემაერთებელი ძაფები დაწყვეტილიყო და ამ ძაფებს ახლა დროის ქარიშხალი თავის ნებაზე აფრიალებდა. რაინდული სული, რომლის ნიადაგზეც წარმოიშვა იგივე „ვეფხისტყაოსანი" და რომელიც საუკუნეების მანძილზე კვებავდა მოწინავე ქართველის შეგნებას, დასამარებულიყო. „ქრისტიანობის და რაინდობის ეპოქა" — ასე გვიხატავენ ცნობილი ემიგრანტი ქართველები თამარ და აკაკი პაპავები საქართველოს უკანასკნელი დედოფლის ხანას. და აბა წარმოვიდგინოთ წაგვართვან სწორედ ის, გაქრეს სწორედ ის, რაც საფუძვლად საუკუნეთა მანძილზე ედო ხალხის ყოფას, შეგნებას და სახელმწიფო პოლიტიკას.

ერის ამგვარ დაცემას ილია ჯერ კიდევ მაშინ ჩაუხვდა, ანუ, უფრო სწორად, თვალწინ სახიერად მაშინ დაუდგა, როცა პეტერბურგიდან განათლებული ჭაბუკი თერგდალეულთა გზით საქართველოში ბრუნდებოდა.. მოხევე ლელთ-ღუნია გამოხატულებაა ტრაგიკული სიტუაციისა, რაც საქართველოში შექმნილიყო. გახსოვთ ილიას კითხვა მოხევისადმი, უწინდელი შფოთიანი დრო ჯობდა თუ ახლანდელი — მშვიდობიანიო? მოხევე პასუხობს: „ადრინდა ავად თუ კარგად ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკეთ. ადრიდ ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვაჟობდის, ქალი ქალობდის. ადრიდა?! ერთურთს ვიხვეწებნდით. ადრიდა? ქვრივ-ობოლთ ვიფარევდით, შინ მიწრიელს, გარეთ მავნეს დავულაგმდით..." „ახლა ერობა დაიშალის, მეძავი მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთ-სულობაი დავარდნის, მტრობა ბრძარვანი გახშირდნის. აწანა ქვრივ--ობოლ ვინ განიკითხის, ატირდომილ ვის გააცინის, დაცემულ ვინ აღადგინის?" „წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესით—წყობით. ადრიდა ქვეყანა იყვის. წარხდა, მოისრა ქვეყანაი". ბოლოს ილია ამბობს, მოხევის სიტყვების გამო „რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინაო. იქ, გულში გათხარა სამარე და დაიმარხაო".

მას მერე ილიას მთელი შემოქმედება გამხელაა თუ გადმონთხევაა ამ ტკივილისა. ამ ტკივილს, ცხადია, ვერ ასცდებოდა „ოთარაანთ ქვრივიც", — აწეწილ წუთისოფელში ქართული სიდარბაისლის, რაინდობის, სულიერი სიწმინდის და სილამაზის ძიება....

ტრაგედია დღემდე გრძელდება. ის, რაც ისტორიულად ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო, დღეს, ისე, რომ საკუთარ თავსაც არ გვინდა გავუმხილოთ, ცხოვრების წესად ქცეულა. ამიტომ ვერ ეგუება განათლებული, ინტელექტუალური ქართველი არსებულ სინამდვილეს. და ეს შეუგუებლობა ჩვენ, გულუბრყვილოებს, ხან ნიჰილიზმად გვეჩვენება, ხან ანტიპატრიოტობად. „ვეფხისტყაოსნის" სულიერ სიმაღლეზე აღზრდილი ადამიანისათვის, რომელსაც „ბუნებამაც უშველა", ყოვლად გაუგებარია ირგვლივ გამეფებული სულიერი ქაოსი. და თუ მართალნი ვიქნებით, თვით „ვეფხისტყაოსანიც" გაუგებარია მავანთათვის, რადგან ის მხოლოდ ხელსღა გიშლის, გაფრთხილებს, გაშინებს არ გაანათოს და დღის სინათლეზე არ გამოიტანოს შენი სულიერი სიღატაკე. ამიტომ ვაქციეთ ეს პოემაც ძეგლად, რომელიც სადღაც ზემოთ დგას, ჩვენგან განრიდებული და ჩვენი არაფერი მოეკითხება

ჩვენ კი მის სიმაღლეს ვერ ვწვდებით და თავს ვიმართლებთ, რომ მისი კანონებით არ ვცხოვრობთ. ჩვენ გვაშფოთებს, როცა გვეუბნებიან „ვეფხისტყაოსანი" მკვდარი ძეგლი კი არ არის, ცოცხალი ქმნილებაა, რომელიც ჩვენ გვერდითაა, ჩვენშია, როგორც უფალი და პირჯვარს ვისახავთ, ღმერთო დაგვიფარეო. ვემალებით, გავურბით, არა გვსურს ვალი გვქონდეს მისი. დაე იყოს დიადი (და ასეც არის — ვამაყობთ), მაგრამ შორს იყოს, პრაქტიკულად რომ ვთქვათ. ჩვენ საქმეში ნუ ჩაერევა.

სწორედ ჩვენს საქმეში ჩარევას ცდილობენ ოთარაანთ ქვრივი და მისი ვაჟი. უმაღლესი მორალური კანონები განსაზღვრავენ ჩვენდამი მათს დამოკიდებულებას. ჩვენ მზადა ვართ მათ გავუსწორდეთ, ან მხრები ავიჩეჩოთ, „გიჟები არიან ვიღაცანიო." და ასეც მოხდა. რაკი წიგნები არ იწვიან, გავუსწორდით მათ ავტორს. მაგრამ ამაზე ბოლოს: „ოთარაანთ ქვრივი" მოთხრობის მთავარი გმირის ტრაგიკული სიკვდილით დასრულდა. ჩვენც ეს უბრალო ესსე ქვრივის ცხოვრებასა და ქადაგებაზე მისი ავტორის სიკვდილით უნდა დავასრულოთ. ეს არ არის სურვილი რაღაც სიმბოლიკის ძიებისა და არც „ლამაზი დასასრულისა". ეს ლოგიკური აუცილებლობაა, რადგან სხვისი არ ვიცი და მე კი მჯერა, რომ ავტორი თავისი სრული სახით ერთ რომელიმე ნაწარმოებში განსაკუთრებით მკვეთრად მჟღავნდება ხოლმე.

ასე გამჟღავნდა ილია „ოთარაანთ ქვრივში".

და დარწმუნებული ვარ ეს მისი ფარული სურვილიც იყო.

ილია ოთარაანთ ქვრივია.

აქ მინდა კვლავ გავახსენოთ ილიას თანამედროვეთა მოგონებები. როგორი იყო მათ თვალში ილია? რას ხედავდა მის პიროვნებაში გარეშე თვალი?

„ილია მაგარი იყო, როგორც სალი კლდე და დროკა ვერ უყვეს. ვერც ხმლის ელვარებით, ხანჯლების ტრიალით, ვერც დამბაჩების მიბჯენილი ლულით ვერ შეაშინეს ილია, ვერ მოახრევინეს ქედი, ვერასოდეს ვერ გადაათქმევინებდნენ ხოლმე იმას, რაც მართლად მიაჩნდა".

„ასეთი სიმაგრე, შეუპოვრობა, სიმკვახე, მოურიდებლობა იყო მიზეზი იმისა, რომ ილია არა ერთხელ ყოფილა ბარიერთან მდგომი, არა ერთხელ ყოფილა მისი სიცოცხლე ბეწვზე დაკიდებული."

„ბევრისგან გამიგონია ილია მკაცრი, სასტიკი და ხშირად მკვახე ადამიანიაო. ტყუილად ხომ არ ამბობდნენ, რომ ოთარაანთ ქვრივი თვით ილიაა. მხოლოდ კაბაში გადაცმული. რამდენადაც მე ვიცნობდი ილიას, ვერ ვიტყვი, რომ ეს სავსებით მართალი იყოს. ილია უფრო გულჩათხრობილი კაცი იყო, მაგარი, გაუტეხავი, ცოტა ჯიუტიც, მაგრამ სასტიკი კი არა".

„ვიცოდი, რომ ჩანახა[illegible] მოთხრობა, რომლისთვისაც [illegible] ქონია, მგონი „გიორგი" ეწოდებინა სახელად, მერე კი „ოთარაანთ ქვრივი" დაარქვა" (ი. მანსვეტაშვილი).

„კუშტი, შუბლშეკრული, ფიქრებდაყურსული, უმეტეს. მოზიდულ წარბ-წამწამში მწყვდეულ თვალებით პირდაპირ გამჭრიახი — გამცქერი". (ი. იმედაშვილი).

და კიდევ იმავე იოსებ იმედაშვილის თქმით: სიბეჯითე, პირისკაცობა და შეურიგებლობა ყოფილა ილიას ხასიათის მთავარი განმსაზღვრელი.

ოთარაანთ ქვრივის ლიტერატურული წინამორბედები საქართველოს ისტორიული მიწიდან, ქართველის ბუნებიდან არიან ამოზრდილი. ეს ბუნება საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა, იწრთობოდა და იხვეწებოდა. რა თქმა უნდა, ყოველი ეპოქის კვალად ჩნდებოდა ბზარები, ზოგი რამ კეთილი იჩქმალებოდა, ზოგი რამ მისი ბუნებისათვის უცხო იკვეთებოდა, მაგრამ ერთი მთავარი ხაზი, ხშირად ხილული, ხშირად უხილავი, მაინც მიდიოდა. ესაა მდინარე, რომელსაც მუდამ დაწმენდა ჭირდება, რადგან არა არის რა იმაზე ადვილად ასამღვრევი, ვიდრე მდინარეა, მით უფრო, როცა სათავიდანვე იმღვრევა.

ყოველგვარი შედარება პირობითია, მაგრამ „ოთარაანთ ქვრივის" გვერდით უფრო ხშირად ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის" ალაზა მიდგება თვალწინ. იგივე ქუფრი ფერები, იგივე ანტიკური სტატიურობა. ბოღმა, რომელიც ადგილს ვერ პოულობს, სადაც გადმოინთხევა, მაგრამ მაინც თანდათანობით გუბდება. იგივე სიდიადე ადამიანის ამ ქვეყნად მოსვლისა და თვით გარეგნობაც... რა თქმა უნდა ორივე ქალს, ორივე დედაკაცს ყოველი მკითხველი თავისი თვალით ხედავს, და ჩემს თვალშიც რაღაც ნათესაობა უფრო საცნაური ხდება.

ალაზა ზოგადია, ამაღლებულია იმ დეკორატიული ფონივით, სადაც ვაჟასეული ტრაგედია თამაშდება. ოთარაანთ ქვრივი თითქოს უფრო ყოფითია, ჩვენს გვერდით არსებული, ცოცხალი. ის აქვეა, ჩვენს თვალწინ უძალიანდება წუთისოფელს, აქვე გრგვინავს, იწყევლება და ბოლოს, რაკი „გასტეხს ქვასაცა მაგარსა" წუთისოფელი, გმინავს, როგორც დამკარგავი უმთავრესი განძისა — შვილის სიცოცხლისა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, სადმე წუთისოფლის გზაზე რომ გადაეყრონ ოთარაანთ ქვრივი და ალაზა, ერთმანეთს აუცილებლად გაუგებდნენ. ალაზას ისევე გაუგებდა ქვრივი, როგორც ქისტმა ჯოყოლამ გაუგო ცოლს, ერთის შეხედვით ყველასათვის უცნაური და გაუგებარი საქციელი... მიუტევებდა ოთარაანთ ქვრივი ამ ცოდვას.

ვიწყებდა ალაზან ქისტობას და მისთვის იგი ქართველი ქალი იქნებოდა, რადგან მატარებელია იმ სიდიადისა, რასაც მუდამ ვეძებთ ქართველის ხასიათში, რასაც ჯიუტად ვეჩხრაფვით და რაც არ შეიძლება მხოლოდ ერთი ხალხის კუთვნილება იყოს. თავის მხრივ ალაზაც შემწედ მოევლინებოდა, მტლად დაედებოდა ქვრივს, რომელსაც არა და არ სურდა გატეხვა, მაგრამ მაინც გატყდა, როგორც ტყდება ამ ქვეყნად ყველაფერი მედიდი... დიახ, ისინი ერთად ჩამოსხდებოდნენ, ერთად იტირებდნენ, და დიდი იმედით გაავლებდნენ თვალს ზესკნელისაკენ, სადაც ყოველ ადამიანს, რომელსაც უსაზღვრო სამყაროში თავისი განუმეორებელი ვალი აძევს, წარუდინებელი ეგულება. ამ სტატიურ, მაგრამ დიად სურათს, ამ თეატრალურ ხატს, სადაც დეკორაცია ნამდვილია, სადაც მიიზლაზნებიან ნამდვილი ღრუბლები და ამოდის ნამდვილი მთვარე, ყრუდ, მძაფრი მუსიკასავით შემოუერთდებოდა მელოდია ვეფხისა და მოყმის ბალადისა. ეს ყოველივე ჩემთვის ერთი მთლიანი სამყაროა, ერთმანეთისაგან დროით, ადგილით და კოლიზიებით განსხვავებული, მაგრამ მაინც ერთიანი ქართული, ჩვენთვის ხშირად მიუწვდომელი, მაგრამ მაინც მშობლიური სამყარო.

ოთარაანთ ქვრივის წარმოდგენისას შეიძლება სხვათათვის ყოვლად მიუღებელი, მაგრამ ჩემთვის სრულიად ბუნებრივი შედარებაც თრთის. თავისი მონოლითური ხასიათით ქვრივი საქართველოს უკანასკნელი დედოფლის დიადი შეუდრეკელობით გამორჩეული მარიამს მაგონებს. მართლაც, სად დედოფალი საქართველოსი და სად ერთი ქართული სოფლის დედაკაცის ჭირვეული ხასიათი, სად ლიტერატურა და სად ცხოვრება. ოთარაანთ ქვრივი ცოცხალია, ნამდვილი, მაგრამ მაინც შეთხზული (ამიტომაც გვიზიდავს იგი), მარიამი კი — დედოფალი, რომელიც ორი საუკუნის წინ იტანჯებოდა, იწვოდა და ბოლოს ჩაქრა მშობლიური ხალხის თვალწინ.

შორეული ანალოგიაა?

იქნებ ხელოვნურიც?

მაგრამ მე მხიბლავს ეს შორეულობა და „ხელოვნურობა“. მწადია რომ იგი სხვათათვისაც ბუნებრივი იყოს. მეც მკითხველი ვარ და უფლება მაქვს რაღაცას ჩემი თვალით ვხედავდე. ჩემს წინაშე ახლა ეს ხატია, თავისი ორი გმირით (დიახ, გმირით), მაგრამ დედოფლით და გლეხის ქალით. მათ თვალებში ვხედავ უძირო ნაღველს, დაგუბებულ ხევდას, ტრაგედიის ღრმა განცდას, გარდუვალობის მძაფრ შეგრძნებას, რაც ერთად აღებული დედა-კაცობის სიდიადეს ქმნის.

დედოფალი და გლეხის ქალი ერთად ქმნიან ჩვენთვის იდეალად დასახულ ქართულ სამყაროს. ისინი ერთმანეთის გვერდით არიან, როგორც მარიამის გვერდით იყო ქართველი ხალხი. ოთარაანთ ქვრივი რომ დედოფალი ყოფილიყო, ისეთივე სიმტკიცეს [illegible] ჩენდა. როგორც დედოფალი მარიამ[illegible]ბდა და მისი ფიზიკური დამარცხება უხეში ძალის წინაშე იქნებოდა გამარჯვება ცად ამაღლებისა.

დედოფალი და გლეხი (ანუ ხალხი) ურთიერთმანეთოდ ვერასოდეს იცხოვრებს და თუ დამარცხება უწერიათ, ერთად დამარცხდებიან.

ახეც მოხდა!

ერთად დამარცხდნენ.

მოთხრობის დასაწყისში ქვრივს უკვე ვეცნობით ჭირგამოვლილ დედა-კაცად. მაგრამ ქვრივობამდე მან გზა განვლო ბედნიერებისა. როგორადაც შეიძლება ბედნიერი იყოს ნორჩი ქალი, რომელსაც მისთვის საამაყო მეუღლე ჰყოლია. ამას ვიგებთ მაშინ, როცა ოთარაანთ ქვრივი კრძალვითა და თაყვანისცემით მიესალება მეუღლის ნაქონ ნივთებს, რათა დროის მტვერი ჩამოაცილოს.

„მისი ქმარი დიდი გამრჯელი, მოამაგე, დიდი მუშაკაცი, განთქმული მონადირეც ყოფილა“. ქმრის თოფ-იარაღთან მიახლებული ოთარაანთ ქვრივი, ჩუმად, თავისთვის, შვილსაც რომ არ გაეგო, ლოცვასავით ლაღადებდა: „ვაი, ვაი, მე უბედურსა! სადედაბროდლა გახდა ეს ვაჟკაცის იარაღი. მოგიკვდათ, თქვე საწყლებო, კაი პატრონი! უიმე! განა მარტო თქვენ მოგიკვდათ!.. ხომ მეც მომიკვდა, მეც!.. წაიღო შავმა მიწამ ჩემი თევდორე... წამოგექცა, ოჯახო, დედაბოძი, დაგიმიწდათ თოფო და ხმალო, თქვენი ფანდი ვაჟკაცი... გატყდა შუაზედ ჩვენი წუთი-სოფლის უღელიცა, მოგიკვდა! ოთარაანთ ქვრივო, ტოლდასადები მეუღლე, დარჩი ცალადა... ვაიმე უშენოსა!.. ყვირილობის თავში რომ ირემს მომაყენებდი ურმით!.. იმისი ზარიანი ხმა რომ ყურს მომხვდებოდა, გული გადამიტრიალდებოდა სიხარულით. ჭირიცა და ლხინიც სულ მღერითა და გალობით იცოდა. კაცი იყო, კაცი!.. ვენაცვალე იმის ჩრდილსა... იმის მუშაობა რომ ენახა კაცს, — თუნდა მარტოც ყოფილიყო — ქორწილი ეგონებოდა. ქვასაც კი გაალღვიძებდა და ხელს გაანძრევინებდა. ვენაცვალე იმის სახელს!..“

მომაკვდავი თევდორე ცალად დარჩენილ ქვრივს იმგვარ ანდერძს უბარებს, რასაც ქვრივი მისთვის დარჩენილ წუთისოფელში საკუთარი ღირსების მთელი შეგნებით ასრულებს, გარდა ერთისა.

„ვირჯებოდი და უტკივარს ლუკმას ვჭამდი, (ახეა ქვრივიც). „ჭირს ნუ დაუტყდები, ნუ გალახვინებით“ (ქვრივიც არ დაუტყდა, გარდა ბოლოსი, როცა ის ერთი ანდერძი ვერ შეასრულა). „ე ჩემ პატარა გიორგის უპატრონეო, არ გამილარიბო, არავის დამიჩაგვრინო, არავის არ შემინატვრინოო! გაიზარდოს

და მერე თვითონ იცის. თუ იქნება, თავისით იყოს, თავის მარჯვენით „კაცობდეს" ის ერთი კი, რაც ქვრივმა ქმარს ვერ შეუსრულა, ბედმა, განგებამ აღასრულა. ბედის წინაშე უძლური გამოდგა თვით გაუტეხელი ქვა — ოთარაანთ ქვრივი, რადგან ასეა წუთისოფელი — „გასტეხს ქვასაცა მაგარსა".

აქ ერთი ძალზე მცირე დეტალია, რომლის უყურადღებოდ დარჩენა არ შეიძლება. თევდორეს სიკვდილის წინა სიტყვებია „ნეტავი კი ეგ (გიორგი) დავაჟკაცებული მენახა და... მერე თუნდა ურმის თვალზე გავცმოდით". ჩემთვის აქ ბედისწერის ლანდი იკვეთება. ის უკვე სადღაც ახლოს დაძრწის. გავა ხანი და გიორგი ურმის თვალზე არა, მაგრამ ურმის ჭალზე ჩამოგდება და ურმის ჭალი შეუნგრევს გულმკერდს.

ოთარაანთ ქვრივი ბედნიერი ქალი იყო.

მერე ეს ქალობა გაზუნდა და დედაკაცი გახდა. და როცა მას მოთხრობის დასაწყისში ვხვდებით, ის უკვე პირქუში, მიუკარებელი და ტკბილი სიტყვის უარმყოფი დედაა, რომელმაც „ქმრის ანდერძს არ უღალატა, ოჯახიც შეინახა, სარჩო-საბადებელსაც თუ არ მიუმატა, არა დააკლო რა, იარაღსაც კარგად უვლიდა და მკვდარსაც უურვებდა იმით, რომ ყოველ კვირას კორკოტსა და წანდილს სარშავდა იმის სულის საცხონებლად და ყოველწლივ აწირვინებდა".

ეს მოხდენილი ახალგაზრდა ქალი, თუმცა ილია ამაზე არაფერს ამბობს, ალბათ იმიტომ რომ ისედაც თავისთავად იგულისხმება, გახდა იმგვარი, როგორადაც მოთხრობის პირველი წინადადებიდანვე ვეცნობით.

მიზეზი კი ის არის, რასაც თავადიშვილების ეზოში მოსული ოთარაანთ ქვრივი, კესოს ხუმრობაზე „მკვახედ იცი ლაპარაკი და კაი დედაკაცი კი ხარო", მისთვის ჩვეული უკმეხობით ამხელს: „შენც რომ ჩემი დღენი გამოგევლო, ჩემს ტყავში დამწყვარიყავ, შენც ეგრე ილაპარაკებდი. ან სხვაფრივ ლაპარაკი რა საჭიროა? ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს. ქვეყანაზედ რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა".

ოთარაანთ ქვრივი უარყოფს ტკბილ სიტყვას.

იმისი ხელი და ფეხი დილიდამ საღამომდე არ დადგება.

ოთარაანთ ქვრივს სძულს მუქთამჭამელი...

ეს ყოველივე კი სოფელს ათქმევინებს: „ოთარაანთ ქვრივს გულის მაგიერ ქვა უდევს", რადგან სოფელი ზედაპირულად სჯის, ხედავს მხოლოდ იმას, რაც გარედან ჩანს. სულში ჩასახედად არ სცალია გატანჯულ სოფელს ყველას თავისი ჯავრი და სატკივარი აწუხებს.

ქვრივის გარჯაზე ილია ჭავჭავაძე თითქმის ყოველ თავში გველაპარაკება. საყურადღებოა ეს ფრაზა, რასაც მომაკვდავი თევდორე სხვა მრავალთა შორის ქვრივს უბარებს, გიორგი „არ გამიდარიბო, არავის დამ[illegible]—ერ-ვის არ შემინატრინოო..." [illegible] ღირსებად არ ითვლებოდა ძველ საქართველოში, სიღარიბე ხშირად სინონიმი იყო სიზარმაცისა და მცონარობისა. ეს მეცხრამეტე საუკუნემ მოიტანა გათელილ და დამცირებულ საქართველოში და აქედან მწერლობაშიც — გაძვალტყავებული, დამშეული, დაგლეჯილი ქართლი, რომლის კვალიც დღემდე აღწევს ამ უქონელი, დამცრობილი გლეხკაცობის მტკივნეული განცდა გვაფორიაქებს გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეში" მაგრამ ილიასათვის გაძვალტყავებული და თავის ბედს შეგუებული საქართველო მიუღებელი იყო, თუმცა ყოველივეს სხვაზე უკეთ გრძნობდა. საქართველოს ხსნის გზას იგი „შრომის სუფევაში" ხედავდა ამიტომ არ მიიღო მისმა ბრძნულმა ბუნებამ „უპოვართა და გლახაკთა" რევოლუცია, ამიტომ გახდა უცხო და გაუგებარი მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის შეერთების შეთხზული პათოსი, რომელსაც უნდა ეხსნა კაცობრიობა, ანუ ერთი დიქტატურა შეეცვალა მეორეთი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ვთქვათ, მსოფლიოს ინტელექტუალურ აზრს ზიარებული ბაგრატოვანთა დინასტია, უმეცართა და წყრა-კითხვის უცოდინართა დინასტიით შეეცვალა, რომელნიც, სხვა სიკეთესთან ერთად ამ უმეცრებით თავსაც იწონებდნენ, დასტურად თავიანთი ისტორიული ნებისა — ემართათ ქვეყნიერება. ამიტომ მოხდა, რომ ნაცვლად გიორგი მერჩულისა, ეფრემ მცირესი, ექვთიმე და გიორგი ათონელებისა, ქართულ კულტურას დაეპატრონენ ტაძრების მგრეველნი, ეროვნული განძეულის მიმტაცნი, ნაწერისა და ნაბეჭდის მოზიზღარნი.

არა, ამგვარ თოფ-იარაღით აღჭურვილ ძალაუფლებას ვერ მიიღებდა ილიას დემოკრატიული, ჰუმანური ბუნება. ამიტომ იმარჯვებს „გლახის ნაამბობის" ფინალში ბავშვობა გმირებისა, რომელთაც ერთ დროს სიყვარული აკავშირებდათ, მერე მტრად იქცნენ, ამ მტრობამ კი არც ერთს მოუტანა სიკეთე, არც მეორეს. ამიტომაა გაუგებარი მოხუც პეტრესთვის („სარჩობელაზედ") რატომ, რა უფლებით, რის გამო შეიძლება ჩამოახრჩონ ჭაბუკი, რა დააშავა, რა შესცოდა, ან რა შესცოდა ყველამ და მათ შორის მოხუცმა პეტრემაც, ამ ჭაბუკის წინაშე.

მაგრამ დავუბრუნდეთ „ოთარაანთ ქვრივს", თუმცა ამ გადართვების უფლებას თვით ნაწარმოები და, უპირველეს ყოვლისა, ოთარაანთ ქვრივის შეურყვნელი, პირუთვნელი მორალი იძლევა. ეს მორალი მრავალმხრივია, მიწიერი, ხალხური ნიადაგით ნასაზრდოები და თვით ცხოვრების ქურვარამში გამობრძმედილი. ეს მორალი თვითონ ცხოვრებაა, ადამიანია მთელი

მისი ცოდვა-მადლით. მას სახარების მორალთან, პირველყოვლისა, ის აკავშირებს, რომ ოთარაანთ ქვრივის მორალი ერთადერთი თუ არა, მაინც უტყუარი გზაა სახარების საშყაროსმიერი მორალისაკენ.

ესე იტყოდა ოთარაანთ ქვრივი... ესე იცხოვრებდა... ესე მოკვდებოდა...

ახლა, როცა უკვე კარგად გავეცანით ოთარაანთ ქვრივს, ყური შევაჩვიეთ მის მკვახე სიტყვას, გავიგეთ მიზეზი მისი სიმკაცრისა და სხვათაგან გამორჩეული, უცნაური, და გამოტეხილად თუ ვიტყვით, მოგვწონს კიდეც, რომ შეიძლებოდეს მისებურად ცხოვრებაზე არც ჩვენ ვიტყოდით უარს.

მოთხრობაში თანდათანობით სულ უფრო მეტ ადგილს იჭერს ქვრივის ვაჟი გიორგი. როგორც უკვე გაგახსენეთ, ილიას თანამედროვენი გვარწმუნებდნენ, რომ თავდაპირველად ამ მოთხრობის ჩანაფიქრი გიორგის გარშემო ტრიალებდა. „გიორგი უნდა რქმეოდა სახელად მოთხრობასაც. ასეთია შემოქმედებითი ბუნება. იბადება ჩანაფიქრი და ხშირად ამ ჩანაფიქრს ან თვითონ ცხოვრება ცვლის, ან მომავალი ნაწარმოების მხატვრული ქსოვილი. ალბათ, იწერებოდა მოთხრობა ქაბუკ გიორგიზე და მის გაუტეხელ დედაზე, მაგრამ გზადაგზა დედა უფრო წინ გამოდიოდა, დედა განსაზღვრავდა თითქმის ყველაფერს, რაც მოთხრობაში უნდა მომხდარიყო, — დედა და ბედისწერა. ამ დედის შვილია გიორგი და ბედისწერის ნებაა მისი უდროო, ტრაგიკული წასვლა ამ ქვეყნიდან. და მოთხრობამ ის სახელწოდება მიიღო, რომლის გარეშეც დღეს იგი ყოვლად წარმოუდგენელია („ოთარაანთ ქვრივი"). ნაწარმოების მხატვრულმა ბუნებამ, სათქმელმა, კომპოზიციურმა ქსოვილმა სათავეში ოთარაანთ ქვრივი დააყენა და, ცხადია, ავტორი არ შემცდარა. ოთარაანთ ქვრივს მეტი ცხოვრებისეული სიბრძნე აქვს, ვიდრე ქაბუკ გიორგის, მოთხრობის ავტორს კი სწორედ თავისი დედა-კაცის სიბრძნე, სულის სინათლე და გამოცდილება უფრო ჰქირდება.

„იმ დროს, როცა ჩვენს მოთხრობას ვიწყებთ, ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი ოც-ოცდაერთი წლის ბიჭი იყოო". ასე იწყება „დედაშვილობა", სადაც გიორგი ერთ-ერთ მთავარ გმირად შემოდის. გამოდის, რომ ოთარაანთ ქვრივი არცთუ ხნიერი ყოფილა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველ საქართველოში თხუთმეტიოდე წლის გოგოები უკვე ანიშნებოდნენ და თხოვდებოდნენ, ოთარაანთ ქვრივი ორმოციოდე წლისა თუ იქნებოდა აქი ქმრის გარდაცვალების მერე „ბევრი მთხოვნელი ჰყავანდა, ბევრი ეხარბებოდა ოთარაანთ ქვრივის ოჯახში შესვლას". მაგრამ ქვრივს გარდაცვალების დღიდანვე ლურჯი მილის პერანგი ჩაუცვამს, შავი კაბა [illegible] შავი მანდილი მოუხვევია და არ[illegible] ფერადი მხიარული ფერი არ მოუკარებია ტანზედ. ჩვენს წინაშე ოთარაანთ ქვრივი თალხით მოსილი დედაკაცია, და, როგორც ქვრივს შეეფერება, ალბათ, ქალობაგახუნებულიც.

გიორგი „ერთა ჰმუხი და ძარღვიანი ყმაწვილი კაცი დადგა, კუპრსავით შავი და კარგად დაკოკრებული წვერულვაში ლამაზად უხდებოდა მის შავგვრემანს და მოხდენილად მოყვანილ სახესა. თვალადობით მეტად სანდომიანი და მარილიანი იყო, და, უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ მისი დიდრონი ქორული თვალები ცოტა მრისხანედ არ გამომეტყველებდნენ.

გიორგი დედის ალი-კვალია.

მისი ქორული თვალები მრისხანედ გამომეტყველებენ.

კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა, რაც გაჭერებდათო, ამბობს ილია, რომ ჩვენებური გლეხის სამოსელსაც თავისი სიტურფე და სილამაზე აქვსო.

ბაზარში რომ გაივლიდა, იტყოდნენ ხოლმე: ერთი დოინჯის შემოყრა-ღა აკლია, თორემ თავადიშვილია და თავადიშვილიო.

„მუშაობაში ხომ მთელს სოფელში ამას სწორი არა ჰყვანდა.

ესეც ქვრივისეული ხასიათია.

და მამისეულიც, რომელიც ისე მუშაობდა, თითქოს ქორწილში ლხინობსო. გიორგის ხელური კი მთელ ძნას შეიკვრის, ბარს დამკრავს, ასე გგონია დედამიწა უნდა შუაგულამდე ჩაანგრიოსო, თუმცა „ცხონებულსავით (მამასავით) გულღია და გულმხიარული არ არის, სულ პირდაღვრემილია და წარბშეკრული.

„სულ ცხონებული მამაა, ცხონებული", უხარია ქვრივს.

მაგრამ, მსგავსად დედისა, მასაც მრავალი, სოფლისათვის გაუგებარი უცნაურობა სჭირს, რაც ხშირად აფიქრებინებს სოფელს: „გიჟია, თუ რა?"

„დედაც ხომ მაგისთანა გადარეული და დამთხვეული ჰყავს. მამაც კი — ღვთის წინაშე — ცოტა არ იყოს, მოუსვენარი კაცი იყო. ეგეები იმანაც იცოდა". „მაგათში ან დიდი ცოდო ჰტრიალებს, ან დიდი მადლი. აქ სხვა ნიშანწყალია".

ილია დიდ ცოდვასაც ხედავს და დიდ მადლსაც. იგი ქორო, რომელიც ვერ ფარავს თავის დამოკიდებულებას მომხდარის მიმართ. მისთვის ქვრივის ვაჟიშვილი გიორგი ვერც გადარეული იქნება, ვერც დამთხვეული. ქორო დიდი ნიშანწყლის, ღვთის მადლის მოლოდინითაა შეპყრობილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

# დიდი ბიორგი

## პირველი შეხვედრა და აულეგელი სიმინდი

ცხრაასორმოცდაორის მარტის ბოლო იყო თუ აპრილის დასაწყისი.

იმ დღეს რატომღაც სამუშაო საათების დამთავრებამდე წავედი სახლში.

შინ ამომაკითხეს. თბილისიდან გიორგი ლეონიძე ჩამოვიდა და რედაქციაში გელოდებათ.

ნუთუ გიორგი ლეონიძემ იცის ჩემი არსებობა?

რამდენჯერ, ვინ იცის, რამდენჯერ მინდოდა მასთან მისვლა, მისი გაცნობა... ვერ იქნა და ვერ მივბედე... არა და თბილისში ყოფნის. უნივერსიტეტში სწავლის რვა თვის მანძილზე არსად არ მომეცა მასთან შეხვედრის საშუალება.

სირბილით ჩავედი რაიონული გაზეთის რედაქციაში, სადაც მაშინ ვმუშაობდი.

რედაქციის შენობის წინ სკამზე მჯდარ კაცს შევხედე თუ არა, მაშინვე ვიცანი, პრესის ფურცლებზე ნანახი ფოტოსურათებით ვიცანი. გული შემიქანდა, მივუახლოვდი და ხმაშეთრთოლებით მივესალმე.

— შენა ხარ თეიმურაზი? — მკითხა ზეზეწამომდგარმა და ჩემი აწვდილი ხელი იმის მარჯვენა ხელისგულში ჩაიკარგა.

იმ ღამეს ბატონი გიორგი საგარეჯოში დარჩა. ღამის გათევას საგარეჯოზე მიბმულ სოფელ გიორგიწმინდაში, თავის დროზე ცნობილი პედაგოგისა და დრამატურგის იერემია გულისაშვილის, დედის მხრიდან თავისი ნათესავის ოჯახში აპირებდა, მაგრამ ძალიან რომ ვთხოვე და შევეხვეწე, ჩემთან დარჩა.

ომისაგან ხელ-ფეხგახსნილი შიმშილი ჯერ ბოლომდე არ იყო როლში შესული, მაგრამ ცხოვრება საგრძნობლად ჭირდა. სურსათი არ იშოვებოდა. არც ფული მქონდა.

დედაჩემმა ქათამი დამაკვლევინა. ვიდრე ბატონი გიორგი ჩვენს ბაღჩა-ბაღში გაივლ-გამოჰვლიდა, რესტორანში ჩავირბინე და მეპურეებს ხორცი, ღვინო და პური გამოვართვი ნისიად.

ორთა სუფრას გვიანობამდე ფარვანასავით დასტრიალებდა დედაჩემი.

იმ საღამოს ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა ამ ქვეყანაზე. მამიჩემისეული სახლის პერქვეშ მაგიდას ეჯდა გიორგი ლეონიძე. და იმ მაგიდასთან ვიჯექი მეც. მის პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული ჭაბუკი. ვიჯექი, ვესაუბრებოდი, პურს ვტეხდი, პირადად ვადღეგრძელებდი... და მას ღამე ჩვენს სახლში უნდა გაეთენებინა! მერე რა ვუყოთ,, რომ ის სახლი ერთ, ერთადერთ ოთახს წარმოადგენდა და მასში ერთი ხის ტახტი და ორი რკინის საწოლი იდგა.

ბატონმა გიორგიმ იმ საღამოსვე მითხრა საგარეჯოში ჩამოსვლის მიზეზი. ომს შიმშილი მოჰყავდა და შიმშილს დახვედრა უნდოდა.

მეორე დილას რაიონის ხელმძღვანელობასთან მივიდა. სადმე სიმინდი დამათესინეთ, ჩემს ოჯახს მჭადი მაინც ექნებაო.

გიორგიწმინდის მინდვრებში მისსავე ხარჯზე ათას კვადრატულ მეტრამდე ფართობის მოხვნა და დათესვა აღუთქვეს.

ჩემი მამულის მოურავობა შენ უნდა იკისრო, — ღიმილით მითხრა გოგლამ, როცა საჭირო იქნება, გაათოხნინე და მოარწყვევინეო. თქვენ მუშები იშოვეთ, გასამრჯელოს მე გადავუხდიო. ნათესების ყურისგდებას გიორგი-წმინდელებიც შეპირდნენ.

გიორგი ლეონიძე დაიმედებული დაბრუნდა თბილისში. მერე იქიდან რამდენჯერმე შემომითვალა, თოხნა და რწყვა არ დაუგვიანოთო. მე კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს შევეხმიანე. ყველაფერი კარგად არისო, გავთოხნეთო, მოვრწყეთო. მე კი, ჩემდა სამარცხვინოდ, ვერა და ვერ გავედი ივრისგაღმა მინდვრებში...

სიმინდის აღების დროც დადგა. ერთ დღესაც რედაქციაში კაცი მომადგა — ვასილ ნამ-

შურიძე, თვითონაც ლექსებს რომ წერდა და გიორგის დიდი პატივისმცემელი რომ იყო.

მე და თბილისიდან ჩამოსული ის კაცი მაშინვე გიორგიწმინდაში გადავედით. კოლმეურნეობის ბუღალტერმა მიხეილ გულისაშვილმა კაცი გაგვაყოლა მინდორში. ჩავედით და რა ვნახე: იქ, სადაც გოგლას სიმინდი უნდა ყოფილიყო დათესილი, მოშიშვლებული მიწა დაგვხვდა. საქონელს ზაფხულის დასაწყისშივე მოეძოვნა ნათესი. მიწა გამხეთქოდა და შიგ ჩავვარდნილიყავი, ის მერჩივნა. მაგრამ მიწა არ გასკდა. და მე ვიფიქრე, ბატონ გიორგის აღარასოდეს დავენახვები-მეთქი. ან რა პირით-და უნდა დავნახვებოდი...

ასე გაიარა ხუთმა წელიწადმა. მე მას მხოლოდ 1947 წელს შევხვდი, შემთხვევით შევხვდი პატარძეულში. და ამის მერეც დიდხანს მრცხვენოდა და თვალს ვერ ვუსწორებდი. გიორგი ლეონიძეს კი ერთხელაც არ გაუხსენებია ის ჩემი ყოვლად გაუმართლებელი დაუდევრობა თუ ბედოვლათობა. უფრო მეტიც, საყვარელი ადამიანის მიმართ ჩადენილი დანაშაული. გაუხსნებია კი არა, ოდნავადაც არ უგრძნობინებია თავისი წყენა.

დიდ პოეტურ ნიჭთან ერთად მიმტევებლობის უბადლო ნიჭიც უხვად ჰქონდა მომადლებული.

## თამარ ჭავჭავაძის ნაყიდი ღვინო

ცხრაასორმოცდაშვიდი თუ ორმოცდარვა წლის გაზაფხული იყო.

მაშინ საგარეჯოში ვცხოვრობდი.

ის იყო სამსახურში წასვლას ვაპირებდი, ქუჩიდან ადგილობრივი სასტუმროს თანამშრომელმა რომ შემომძახა:

— გიორგი ლეონიძემ შემოგვითვალა, სასტუმროში ვარ და მომაკითხეო.

მაშინვე წავედი. გოგლა ისევ ლოგინში იწვა. იმავე ოთახში სხვა ორ საწოლზე კარლო კალაძეს და საქართველოს კინოსტუდიის მუშაკს (მისი გვარი აღარ მახსოვს) ეძინათ.

— წუხელ გვიან გამოვედით თელავიდან, — მითხრა გოგლამ. — შოფერს გაუჭირდა და აქ გავჩერდით. ახლა წადი, სამსახურს ჩაბარდი და ერთ საათში მოდი, ნინოწმინდის ტაძრის ეზოში პაპაჩემის საფლავი უნდა მოვინახულო, რა თქმა უნდა, ქიქასაც წავუქცევთ...

რა ვიყიდო, რა ვიშოვნო-მეთქი, ვკითხე, ნურაფერზე შეწუხდები ყველაფერი გვაქვსო, მითხრა.

მაშინ ჭერ კიდევ ჭირდა ცხოვრება, პურის შოვნაც ჭირდა და ღვინისაც.

ორიოდე საათის შემდეგ უკვე ნინოწმინდის ტაძრის გალავანშიგნით ვიყავით. ახლად გაფოთლილი აკაკის ხეების ჩრდილში ლოდებზე ჩამოვსხედით, შოფერმა მანქანიდან ათლიტრიანი მუხის ხელკასრი გადმოიღო. მანქანიდანვე ჩამოაბრძანეს ცივად მოხარშული ქათამიც და ყველ-პურიც. ჭიქები და თეფშები ტაძრის გვერდით მცხოვრებ ოჯახში ვითხოვეთ.

პირველ რიგში წინაპრები ვადღეგრძელეთ და გოგლას პაპის საფლავთან დავზარეთ თავი.

ღვინო კანტიკუნტად ისმებოდა. უფრო მეტად ვსაუბრობდით, ვკამათობდით პოეზიაზე, ხელოვნებაზე, ისტორიაზე, ახლობლებზე შორეულებზე.

ბოლო სადღეგრძელოს წინა ჭიქით გოგლამ. ამ სუფრის თამადამ საკუთრივ მხაზიობი ქალი თამარ ჭავჭავაძე ადღეგრძელა.

თურმე იმ დღეს ქალბატონ თამარის კუთვნილ ღვინოს ვსვამდით. თამარს ეს ღვინო თავისი ოჯახის საჭიროებისათვის უყიდნია და გოგლასთვის გამოუტანებია. თვითონ კი მეორე დღეს უნდა დაბრუნებულიყო თბილისში.

— თამარის ღვინო რომ არა, რა უნდა გვექნა... აი ჩავალთ თბილისში, ღვინის სარდაფში მომუშავე ჩემი ძველი ნაცნობისაგან კარგ ღვინოს ვიყიდი და ამავე ხელკასრით მივართმევ თამარს.

გოგლას მეორე დღესვე უყიდნია ღვინო და თამარისთვის თავისივე მანქანით გაუგზავნია. ქალბატონი თამარი აღფრთოვანებული დარჩენილა ღვინითაც და საკუთარი თავითაც, და სუფრაზე სტუმრებისათვის ამაყად უთქვამს: არავინა თქვას თამარ ჭავჭავაძემ ღვინოს არჩევა და დაჭაშნიკება არ იცისო.

## მეზობელს შვილი დაუპატიმრეს

მაშინ გიორგი ლეონიძე საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის დირექტორად მუშაობდა.

და მე მას თბილისში ჩამოსვლისას ხშირად მივაკითხავდი ხოლმე თავის კაბინეტში.

და აი ერთ დღესაც, მარტონი რომ ვისხედით და ვსაუბრობდით, ჩემთვის უცნობი მოხუცი პატარძეულელი ქალი შემოვიდა. გამარჯობა თქვა და ბატონ გიორგის ჰკითხა:

— როგორ ბრძანდები, გოგი?

(გოგლას თანატოლი თუ უფროსი პატარძეულელები მას გოგის ეძახდნენ).

და ის ქალი მაშინვე საქმეზე გადავიდა:

— ჩემი შვილი დაიჭირეს და უნდა დამეხმარო, ძალიან რომ არ დასაჯონ.

— რაზე დაიჭირეს?

— რა ვიცი, კამეჩის მოპარვას აბრალებენ...

გოგლამ ერთხანს იყურა. სახე რაღაცნაირად შეეცვალა, ლაწვებზე სიწითლე წაეკიდა და იმ ქალს უთხრა:

— ცოტა ხანს კარში დამელოდე, მალე დაგიძახებ.

ქალი გავიდა.

— ეს რა ღვთის წყრომაა, — გაფიცხდა

გოგლა. — ათასნაირ სისაძაგლეს ჩაიდენენ და მერე მე მომადგებიან, გვიშველეო.

გოგლამ იშფოთა. უცებ მოწოლილი გაჯავრება გულიდან ამოიყარა, განელდა და თქვა:

— იცი, კარში რატომ გავიყვანე? ვიფიქრე, ამ გამწარებულ გულზე ეგ დედაკაცი არ შემომელანძღოს-მეთქი.

გოგლამ ზარის ღილაკს თითი დააჭირა, მდივანს სთხოვა. მანდ რომ ქალი მელოდება, შემოვიდესო.

შემოვიდა მომლოდინე. გოგლამ შინაგან საქმეთა სამინისტროში დარეკა ვილაც დიდი თანამდებობის პირთან. შინაურულად ელაპარაკა, მოებოდიშა კი, ხშირად გაწუხებო და დაპატიმრებულის გვარ-სახელი ჩააწერინა, პატიოსანი მშობლების შვილია და ყურადღება მიმიქციეთ.

გოგლამ ყურმილი დადო და იმ დედაკაცს მიუბრუნდა:

— მე ამ კაცს კიდევ დავურეკავ, შევახსენებ, არ მოვასვენებ, თუ რამე იყოს, მოდი არ მოგერიდოს...

## ოთხსიტყვიანი სადღეგრძელო

1950 წლის აპრილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრში საიუბილეო საღამოს დამთავრების შემდეგ რესტორან „თბილისისაკენ" გაგვიძღვა ამ საღამოს მთავარი გმირი, ორმოცდაათი წლის გიორგი ლეონიძე.

(გიორგი ლეონიძეს დაბადების ორმოცდაათი წელი 1949 წლის 29 დეკემბერს შეუსრულდა, მაგრამ ამ თარიღის აღნიშვნა მომდევნო წლის გაზაფხულისათვის გადაიტანეს, რადგან ის დეკემბერი სტალინის დაბადების სამოცდაათი წლის საიუბილეო თვე იყო).

გრძელი მაგიდებით დაწერილმა და ხორაგეულით დამძიმებულმა რუსულმა II-მ ძლივს დაიტია სტუმრები.

სუფრას აკაკი ხორავა გაუძღვა. დიდი მსახიობი იმ ღამეს პირველად ვნახე თამადის ამპლუაში, თამადობის დიდოსტატის გოგლას სუფრაზე ვნახე და მოვიხიბლე. ყოველი სადღეგრძელო ფერწერულ სურათს ჰგავდა, სიმღერას ჰგავდა, ლექსს ჰგავდა.

დადგა ჟამი გათენებისა.

ფანჯრის მინებზე მზის პირველმა უნაზესმა სხივმა დაიმორცხვა.

სადღეგრძელოთა შუალედში პატარძეულელი შაქრია გულიაშვილის ხმა გაისმა:

— თამადავ, ერთი სადღეგრძელოს თქმის უფლება მამეცი!

ბრძანეთ, ბრძანა თამადამ.

ყველამ გაკვირვებით შეხედა შაქრიას, ამ გლეხმა რა უნდა თქვასო.

დარბაზში სიჩუმე დასადგურდა.

წამოდგა შაქრია, წინა საღამოს ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე თავის პატარძეულელ კარის მეზობელს — გოგლას ხურჯინწამოკიდებული რომ წარუდგა და იმ ხურჯინის ცალი თვალიდან ბატკანს რომ ამოეყო თავი, ხოლო მეორედან — ტიკჭორასა და გარეკახურ შოთებს.

წამოდგა შაქრია, ხელში გალიცლიცებული ჭიქა აილო და თქვა:

— გაუმარჯოს საქართველოს თამარის მიჯნამდე!

ოთხადოთხი სიტყვა... მეტი არაფერი...

და იმ ოთხადოთხმა სიტყვამ მთელი სუფრა ფეხზე დააყენა.

და შაქრიასაგან ნათქვამ იმ ოთხადოთხ სიტყვას ოქროპირებმა ვერაფერი დაამატეს.

ფანჯრების მინებზე შუქად ილვრებოდა ამომავალი მზის პირველი უნაზესი სხივი.

მ ი ნ ა წ ე რ ი: შაქრია გულიაშვილი გოგლას თანატოლი და თანშეზრდილი იყო. გოგლასგან გაგონილი მქონდა: შაქრიას დედა ძუძუს მეც მაწოვებდაო, გოგლასვე უთქვამს ჩემთვის: „ღვინჯუას" რომ ვწერდი, თვალწინ შაქრია მედგაო. შაქრიას სკოლაში არ უვლია, მაგრამ ცხოვრებაში ჩახედული, ნიჭიერი და აწკარგიანი კაცი იყო.

## არ იშიმშილო!

თბილისში ახლადდაბინავებულმა მწერალთა კავშირის კლუბში დავიწყე მუშაობა. მწერალთა კავშირს მაშინ გიორგი ლეონიძე თავმჯდომარეობდა.

ერთ დღეს, მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მწერალთა კავშირის შენობის მეორე სართულის ვესტიბიულიდან თავმჯდომარის მდივანმა ჩამომძახა, ბატონი გიორგი გეძახისო. მაშინვე კიბეებზე ავირბინე და გოგლას კაბინეტის კარი შევაღე. მარტო იყო. მაგიდასთან მიდგმულ სკამზე მიმანიშნა, დაჯექიო. თვალებში ჩამაცქერდა და მითხრა:

— გულახდილად თქვი, მშიერი ხომ არა ხარ?

—არა, ბატონო გიორგი, ამ დილას კარგად ვისაუზმე.

— მე მარტო საჭმლის ჭამაზე კი არ გეკითხები. ცხოვრება ძალიან ხომ არ გიჭირს?

მხრები ავიჩეჩე. მიჭირდა, როგორ არ მიჭირდა, მაგრამ როგორ მეთქვა...

გოგლამ ჩემს პასუხს აღარ დაუცადა:

— ჰოდა, რასაც გეტყვი, დაიხსომე, მაძღარი ვერ ამჩნევს სხვა რომ მშიერია. არც უნდა, რომ შეამჩნიოს. და თუ მაინც შეამჩნია, შეიძლება ის კაცი შეიძულოს კიდეც. მე, ასე თუ ისე, მაძღარი ვარ და თავი არ შემაჯავრო. მითხარი ხოლმე, რა გიჭირს, აი, მაგალითად, ახლა როგორა გაქვს საქმე?

მაინც ვერაფერი ვუთხარი. თავი ჩავღუნე და, ვგონებ, ავწითლდი კიდეც.

და ისევ გოგლა ალაპარაკდა:

— დაუბეჭდავი ლექსები ხომ გაქვს?

თავი ავწიე, მაქვს-მეთქი. დაუბეჭდავი ლექსების მეტი რა მქონდა.

— ხამახი-ოთხახი სტრიქონი კარგად გადაწერე ან გადააბეჭდვინე და ხვალისთვის მომიტანე. მწერალთა კავშირი შეიძენს.

მეორე დღეს თავმჯდომარის კაბინეტს ლექსების ხელნაწერით მივადექი. ბატონმა გიორგიმ ხელნაწერის პირველ გვერდს წააწერა: „სიმონ კახიანს. გაეცით სტრიქონში ათი მანეთი". მერე ზარის ღილაკს თითი დააჭირა და შემოსულ მდივანს დაავალა, სიმონს დამიძახეთო (სიმონ კახიანი, ეს დახვეწილი ინტელიგენტი, მწერალთა კავშირის მთავარი ბუღალტერი იყო. სხვათაშორის ბუღალტერიაშივე მუშაობდა დიდი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის ქვრივი, ქალბატონი თამარი).

— ბატონო სიმონ, — უთხრა გოგლამ სიმონს, — გთხოვთ დღესვე უანგარიშოთ და მისცეთ კუთვნილი თანხა.

## კაკალი მოჭრეს

სიღნაღიდან მოშუადღევებულზე გამოვედით. შოფრის გვერდით გიორგი ლეონიძე იჯდა. უკან ხანდრო შანშიაშვილი და მე ვისხედით.

მანავს გამოვცდით.

გზის მარცხენა ნაპირს ოცი-ოცდაათიოდე მეტრის სიგრძეზე თავშლებით თავებწაკრული დედაკაცების მძივი ახხმოდა. ხის დაბალ სკამებზე ჩამომსხდარ ქალებს წინ პატარა სუფრები გაეშალათ. იმ სუფრებზე დედას პურები, ყველი, ცივად მოხარშული დედლები, რაგინდარა ხილი ეწყო.

მაშინ უკვე გაიშვიათებული იყო ასეთი რომანტიკული, ალალი და ჯანსაღი ბაზრები. რამდენი სილამაზე და მადლი კი ჰქონდათ იმ დალოცვილებს!

ცოტახნით შევჩერდეთო, თქვა გიორგი ლეონიძემ.

ერთმანეთში მოსაუბრე უმუშტრებო ქალებმა მზერა ჩვენი მანქანისკენ მომართეს და თავშლები შეისწორეს.

გოგლამ თავიდან ბოლომდე ჩაუარა გზის პირზე ჩამომსხდარი მანდილოსნების მწკრივს, თითქმის ყველა მათგანს გამოელაპარაკა, მოიკითხა, გაამხნევა.

მე გოგლას მივდევდი მხარში.

ხანდრო არც გადმოსულა მანქანიდან. თბილისში ჩქარობდა ჩასვლას.

ჯერ კიდევ სიღნაღიდან გამოსვლის დროს გოგლას ვთხოვე, საგარეჯოში ჩემს სახლში შევიაროთ, ჩემიანები გავახაროთ-მეთქი. შენთანაც შევიაროთ და პატარძეულშიც გავჩერდეთ, ჩვენი ხმის გაგონება ჩემს სახლსაც მოენატრებოდაო.

და აი ახლა მეუბნება:

— შენს სახლში ხომ უნდა შევიაროთ. ცოტახნით აივანზეც ხომ უნდა ჩამოვსხდეთ. შენიანებმა კი არ იციან, ჩვენ რო უნდა ჩავიდეთ. ჰოდა, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავაყენოთ, აქვე ვიყიდოთ მოხარშული ქათმები და ყველ-პური. ამ ქალებსაც ცოტა ხეირს მივცემთ.

სწორეს ბრძანებდა ბატონი გიორგი.

ჯიბეზე ხელი რომ შევივლე, შუბლი შეიკრა. ფულის გადახდის ნება არ მომცა.

საყიდლები ვიყიდეთ ყოველგვარი შევაჭრების გარეშე. გოგლამ საერთოდ შევაჭრება არ იცოდა.

საგარეჯოს ცენტრიდან ჩრდილოეთისაკენ შევუხვიეთ.

ჩემს სახლს უკვე მიახლოებულები ვიყავით. გოგლამ შოფერს მანქანა რომ შეაჩერებინა. დავაპირე მეკითხა, რა მოხდა-მეთქი, მაგრამ, გოგლას რომ შევხედე, კითხვა ენაზე შემეყინა სახე შეცვლოდა, გამკაცრებოდა.

მყისვე მანქანის კარი გააღო და გადავიდა. მეც გადავყევი.

ხელმარცხნივ, ქუჩის პირზე, ეზოს გარეთ მდგარი კაკალი იყო მოჭრილი. ირგვლივ ჯერ ისევ წყლიანი ნაფოტები ეყარა. ტოტებაკაფული ხის ტანი ღობის გასწვრივ იდო.

— ვინ ჩაიდინა ეს? — დაიბუზღუნა შუბლშეკრულმა გოგლამ და თავი ისე ჩაღუნა, თითქოს მის წინ კაკლის მორი კი არა, ახლობლის ცხედარი ყოფილიყო დასვენებული. — არა, ეს არ უნდა ეპატიოს! ასე არ დავტოვებ. პასუხს ვაგებინებ.

ეზოდან მოხუცი კაცი გამოვიდა. გოგლა მაშინვე მიაცხრა იმ კაცს:

— ვინ მოჭრა ეს კაკალი? ვისი ნებართვა ჰქონდა?

— კაკალი ჩემი იყო, ნებართვა ალმასკომმა მომცა, — დამნაშავესავით ჩაილაპარაკა მოხუცმა. — არც თუ დიდი ხნის წინათ, გზა რომ გააფართოეს, ეს კაკალი ეზოს გარეთ დარჩა და ტრანსპორტის მოძრაობას უშლიდა ხელს...

— კაკალი მაინც არ უნდა მოგეჭრათ. სხვა საშველი უნდა გამოგენახათ, — არ ცხრებოდა გოგლა.

— ეგ კაკალი ბებერიც იყო, — თავისმართლებას განაგრძობდა მოხუცი.

— ბებრებს არა ხოცავენ. ბებერი თავისი სიკვდილით უნდა მოკვდეს! — ლამის იყვირა ლეონიძემ და მცირე დუმილის შემდეგ ჰკითხა:

— მერე მაგის სანაცვლო კაკალი თუ დარგე სადმე?

მოხუცმა თავი გადააქნია.

— ჰოდა, ახლა კაცური სიტყვა მომეცი, რომ დარგავ.

ეგრე იყოსო, შეეხმიანა მოხუცი და თავისი

დამარღვეული ხილი გოგლას გაუწოდა.

იმ მოჭრილ კაკალზე საუბარი ჩემი სახლის აივანზეც გაგრძელდა.

— საქართველო მარტო ქართველი კაცი როდია, — თქვა გიორგი ლეონიძემ, — საქართველო ეს კაკალიც და ვაზიც არის, ჩვენი დიდებული, ჩვენი ქართული ბუნებაც არის. ბუნების დაცვა და გამდიდრება სამშობლოს დაცვა და გამდიდრებაც არის.

...იმ ჩემმა მოხუცმა მეზობელმა, ჩემთვის უბრალოდ ნიკა ძიამ, პოეტისათვის მიცემული პირობა იმ წელიწადსვე შეასრულა — სწორედ იმ მოჭრილი ხის ადგილზე, ოღონდ ეზოს შიგნით, ღობის ახლოს დარგო კაკლის ნერგი.

აღარც ნიკა ძიაა ცოცხალი აღარც გიორგი ლეონიძე...

მაშინ დარგულმა კაკალმა კი თავის ჩრდილქვეშ ლამის ნახევარი გზა მოიქცია.

## ის მარტო ვენახი როდი იყო

გიორგი ლეონიძეს, მამისეული ორროთახიანი სახლისა და მტკავლისდადება ეზო-კარის გარდა, მამის ოფლითა და დედის ცრემლებით დაფესვიანებული ვენახიც ჰქონდა.

პოეტისათვის სულის უჩვეულო ზეიმი იყო ივრის პირზე გაშენებულ იმ ათასიოდე კვადრატული მეტრის ფართობის ვენახში ყოფნა და ტრიალი. ვაზებს ცოცხალი არსებებივით ეფერებოდა, ესაუბრებოდა, ეთილისმებოდა. ხანდახან ფიქრიან თვალებში სევდის ნისლი ჩაუდგებოდა, სახეზე გულიდან გამოსული შუქი აუთამაშდებოდა და ჩადაბლებული ბუბუნა ხმით თავისსავე სტრიქონებს ბუტბუტებდა: „ვხედავ. პატარა ბაღჩაში ფუსფუსებს ჩემი მშობელი. გადაკვალთული კალთებით, დღე-ღამე მოხაქმობელი, წინსაფარში რომ უწყვია ბოსტნეული და კვერცხები... მამაპაპური კერისა ყოველდღე მომნაკვერცხლები... თან რომ ჭიკჭიკით დახდევენ წიწილები და მერცხლები..."

ვაზის ფოთლების შეტოკება დედის თავშლის შრიალად ჩაესმოდა, ყურძნის მარცვლებზე ჩამომსხდარ ნამის წვეთებს დედის ცრემლებად აღიქვამდა, თავის და თავისი და-ძმების ბავშვობას ელაციცებოდა ვაზებს შორის მოხიარულე პოეტი.

იმ პატარა ვენახში რთველობაც ზეიმად იქცეოდა ხოლმე. მიწისა და კაცის ვაზისა და ღვინის ზეიმად. იმ ზეიმში თბილისიდან ჩამოსულ პოეტის მეგობრებთან ერთად პატარძეულელი კარის მეზობლებიც მონაწილეობდნენ პირველ რიგში კი ისინი, ვინც გოგლას ვენახის მოვლა-დამუშავებაში ეხმარებოდნენ ხოლმე. საღვინედ დარჩენილი ყურძნის ნაწურით კი პოეტის სახლის წინ, ეზოში ჩაგდებული ქოცო ივსებოდა.

ასე იყო ხრუშჩოვის აღზევებამდე. მერე კი... სოფელ ადგილებში ყველას დაუზომეს საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და ვისაც დადგენილ ნორმაზე მეტი აღმოაჩნდა, ჩამოართვეს. გულმოდგინე ყურადღებით [illegible] ამ [illegible]-რებზე, რომლებიც ქალაქად ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ — მათ, როგორც სოფლის მეურნეობასთან კავშირგაწყვეტილებს. მთლიანად ჩამოართვეს მიწის ნაკვეთები.

ჩამოჭრილი და ჩამორთმეული ნაკვეთების მოვლა-პატრონობა კოლმეურნეობებმა ვერ შეძლეს და ნაღოღიავები ვენახები, ბაღები და ბოსტნები ორი-სამი წლის შემდეგ მთლიანად გავერანდა.

სოფლის მეურნეობასთან კავშირგაწყვეტილთა შორის აღმოჩნდა გიორგი ლეონიძეც. ადგილობრივი ხელისუფლების მაშინდელმა ხელმძღვანელებმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე აღასრულეს მოქმედი კანონის მოთხოვნები (რასაც აუცილებლად ზემდგომ ხელისუფლებსაც მოახსენებდნენ) და იმისთვისაც კი არ შეიწუხეს თავი, რომ ვენახის ჩამორთმევის ამბავი მისი პატრონისთვის ეუწყებინათ. მას ეს ამბავი ვენახის მემიჯნავეებმა გააგებინეს.

ის დღეები იდგა, როცა ისრიმში სიმწიფის შუქი იკვირტებოდა. იმ წლის ვაზის ყვავილობის დღეებში კი პოეტი სიამაყითა და კმაყოფილებით წერდა: „მე აქ ვუყვარვარ ყველას. ყველაფერს, როგორც ნამდვილი შვილი მამულის, ხან მტევანს ვკოცნი წითლად შენაფერს. ხან თავთავებში ვარ დამალული"...

პოეტს საწნახელში ჩაჭყლეტილი მტევანივით მოეწურა გული, ძალზე მტკივნეულად განიცადა ვენახის ჩამორთმევა, უფრო ზუსტად — წართმევა. მაგრამ თავი არ დაუმდაბლებია. არავისთვის, არც დაბლა და არც მაღლა, არაფერი უთხოვია.

— ბატონო გიორგი, — შევბედე და ვუთხარი, — იქნებ მთავრობაში ან ცენტრალურ კომიტეტში უთხრათ ვინმეს... ქვეყანას არაფერი დაუშავდება, ის ვენახი რომ დაგიბრუნონ...

შემომხედა და ნაღვლიანად მითხრა:

— ვის ვუთხრა... რა ვუთხრა... გამიგებენ კი... ის ჩემთვის მარტო ვენახი როდი იყო...

დიახ, მიწის ის უმცირესი ნაგლეჯი გიორგი ლეონიძისთვის მარტო ვენახი როდი იყო, ის პოეტის სულის ნაწილიც იყო, მშობლების გულის სითბოთი გამთბარი და ბავშვობის სიზმრებით აფერადებული. მის მგრძნობიარე გულში სწორედ იმ ვაზების ჩრდილმა ჩაუყარა საძირკველი ქართული მიწის ძლიერ და ღვთაებრივ სიყვარულს, იმ ვაზების შრიალში გამოიკვირტა პოეტის პირველი სტრიქონები.

მას შემდეგ გიორგი ლეონიძე ივრის პირებზე საკოცნელად აღარ დახვედრებია წითლად შენაფერ მტევანს.

## სუფრაზე დაბადებული კაფია

ერთი ჩვენი მწერლის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავ სუფრაზე გიორგი ლეონიძეს ვიჯექი გვერდით. ბატონი გიორგი საერთოდ ფაქიზი მჭამელი გახლდათ და საჭმელს მაინც და მაინც არ ეტანებოდა. პურობის დროს სუფრაზე თვალის ჩამოტარება კი უყვარდა — აინტერესებდა, ვინ რამდენს და როგორ შეექცეოდა. და იგი ყველაზე მაგარ მჭამელებს სუფრის კომბაინებს ეძახდა.

გოგლამ იმ სუფრაზეც რამდენჯერმე ჩამოატარა თვალი.

სუფრა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, გოგლა რომ მომიბრუნდა და ყურში ჩამჩურჩულა:

— შენს გვერდით მჯდომს გადასჩურჩულე, რასაც ახლა მე გეტყვი და სთხოვე, რომ მან თავის მეზობელს გადასცეს, — და გოგლამ წამოიწყო:

თუ სადმე ნახა მაძღარი,
გასუქებული ქელეხი,
ამირან გაბესკირია
იქუხებს როგორც ქვემეხი.

მერე გოგლა თავის მარცხენა მხარში მჯდომ მეზობელს მიუბრუნდა და მასაც იგივე წასჩურჩულა და გოგლას კაფია ორივე მხრიდან დაიძრა, გზადაგზა ფარული და უხმაურო ღიმილი დატოვა, ჩვენს გადასწვრივ სუფრის შუაში მჯდომ ამირან გაბესკირიას აქეთ-იქიდან მიადგა და შეჩერდა. შეჩერდა, იყოყმანა იყოყმანა და ბოლოს ერთ-ერთ გვერდზე მჯდომის პირით ადრესატსაც წარუდგა.

თვალებში ამირანსაც აუთამაშდა ღიმილი.

მეორე თუ მესამე დღეს მწერალთა კავშირიდან მომავალი ილია ხოშტარია შემხვდა, მკითხა, გუშინდელ სუფრაზე თუ იყავით, გოგლას ამირანზე ეს რა კარგი რამ გამოუთქვამსო.

— რატომ ამირანზე? — ვკითხე ხუმრობის ხასიათზე დამდგარმა. — ის ლექსი შენზეა.

— როგორ თუ ჩემზე? — გაიკვირვა ილიამ და ლექსი ხმამაღლა წარმოთქვა, ოღონდ მესამე სტრიქონში თავისი გვარ-სახელი ჩასვა. — აი ხომ ხედავ, ჩემი გვარსახელი ვერ ჩაჯდა, მარცვალი დააკლდა.

— ეგ სტრიქონი ეგრე არ არის, როგორც შენ სთქვი. აი, ასეა, — ლექსი ახლა მე წამოვიწყე და ბოლო ორი სტრიქონი ასე წარმოვთქვი: „დაშხოშიანი ილხოში იქუხებს როგორც ქვემეხი“ (ბატონ ილიას თავისი გვარ-სახელის პირველი მარცვლებისაგან შედგენილ ამ სახელს მოფერებით ეძახდნენ ხოლმე ახლო მეგობრები).

— ძალიან კარგია, ნამდვილად მშვენივრად ჟღერს ეგ სტრიქონი, მაგრამ ეს ლექსი ჩემზე მაინც არ ითქმება. ხვა რომ არაფერი კუჭის ოპერაცია მაქვს გაკეთებული და, სულითაც რომ მინდოდეს, ხევრის ჭამა არ შემიძლია.

ბოლოს ილიამ სიტყვა ჩამომართვა, რომ ლექსის ჩემეულ ვარიანტს არავის უკითხავდი. გოგლას ექსპრომტი კი მხიარულად დადიოდა ლიტერატორთა საზოგადოებაში და ადამიანებს კარგ ხასიათზე აყენებდა.

გოგლას უყვარდა ხუმრობა, უბოროტო და კეთილი ხუმრობა. ხუმრობითა და ღიმილით იმსუბუქებდა და სხვასაც უმსუბუქებდა ცხოვრებისეული ტკივილების სიმძიმეს.

## ნამცეცები

* * *

— ბატონო გიორგი, თქვენს საიუბილეო საღამოზე თქვენდამი მოძღვნილი ლექსით გამოვალ, — ვუთხარი გიორგი ლეონიძეს.

— შენ იცი, — მითხრა და მცირე პაუზის შემდეგ დაამატა: — თუ არ დაგიწერია, იქნებ სადმე ჩააგდო ეს ორი სიტყვა: ივრის ვაჟი.

დავალება შევუსრულე. იმ ლექსში ასეთი სტრიქონებია: „განა წნორი ხარ, მუხა ხარ, შორს გამყივარი არწივი, შე ივრის ვაჟო, სიმღერავ მუშის, მწყემსის და მხვნელისა“.

1950 წლის აპრილში, ოპერის თეატრში გამართულ საღამოზე ახალგაზრდა მწერლებიდან ორნი მივესალმეთ გიორგი ლეონიძეს — არჩილ სულაკაური და მე.

* * *

აღარ მახსოვს, კახეთიდან ბრუნდებოდა თბილისში თუ თბილისიდან მიდიოდა კახეთში. გოგლა საგარეჯოში შეჩერდა და გაზეთის რედაქციაშიც შემოგვიარა. მაგიდაზე იმ წლის ნომრების კონა იდო, აიღო, აფურცლა.

— ეს ლექსები ვისი დაწერილია? — მკითხა იმ ხელმოუწერელ ლექსებზე, რომლებიც დასავლეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების კარიკატურებთან ერთად იყო დაბეჭდილი

იმ ხანებში, ომის დამთავრების მომდევნო წლებში, ხშირად ვიღებდით პოლიტიკური კარიკატურების კლიშეებს სათანადო ტექსტებიანურთ. ამ ტექსტების მიხედვით ვწერდი სატირულ ლექსებს, რა თქმა უნდა, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, უბრალოდ, მინდოდა, რომ გაზეთი უფრო სახალისო საკითხავი ყოფილიყო. ვინ იცის რამდენი დრო და ენერგია დამიხარჯავს მათზე...

ჩემია-მეთქი, ვუთხარი, ხელს რატომ არ აწერო. აქ ყველამ იცის, რომ ჩემია და სხვაგან კი ამ გაზეთს არც კითხულობენ-მეთქი.

კარგ საქმეს აკეთებო, ყოჩაღო, მითხრა გოგლამ.

გავიდა რამდენიმე წელი. უკვე თბილისში ვცხოვრობ და ვმუშაობ.

და აი ერთ დღეს მწერალთა არც თუ ვიწრო წრეში კარგ ხასიათზე მყოფი გოგლა ჰყვება:

— ამ რამდენიმე წლის წინათ საგარეჯოს გაზეთში ჩერჩილისადმი მიძღვნილი თეიმურაზის ლექსი წავიკითხე. ტყავს აძრობს, დაუზოგველად ანადგურებს, შე ქეციანოო, შე მათხოვაროო. ეუბნება. ვეკითხები, კაცო, შენა ხარ ლორდი თუ ისა-მეთქი, თქვენს შორის რომელი უფრო ქეციანია-მეთქი.

ჰყვება გოგლა და გულიანად იცინის, სხვებიც იცინიან. ისე ლამაზად ჰყვება, რომ მეც მომწონს მისი ნაამბობი და მეც ვიცინი.

სხვათაშორის არც თუ დიდი ხნის წინათ გადავხედე გაზეთის იმ წლების კომპლექტებს. სატირული ლექსი ჩერჩილზე არ დამიწერია, არც დაბეჭდილა. გოგლამ უბრალოდ თავგასართველად და გასაცინებლად შეთხზა ის ამბავი. მაგრამ თურმე კეთილად ნათქვამმა ხუმრობამაც შეიძლება სისხლი აგიმღვრიოს, თუკი იგი გულღრძოთა ყურში მოხვდა. ზოგიერთი ჩემი კეთილისმდომელი ახლაც იხსენებს იმ „ეპიზოდს“, იმ არარსებულ ლექსს ჩემს გასაკილად, ჩემზე სახითხითოდ.

* * *

— გაზეთ „ბახტრიონის“ რედაქციაში გამოსაქვეყნებლად განცხადება შემოვიდა, ამა და ამ დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნებაო პუჩინის „ტოსკა“, — ჰყვება გიორგი ლეონიძე, რომელიც თავის ახალგაზრდობაში, 1922——1928 წლებში ხსენებულ გაზეთს რედაქტორობდა. — განცხადება სტამბაში გაგზავნის წინ წავიკითხე, ვიფიქრე, რუსული **тоска** ქართულად ხომ კაეშანს ნიშნავს-მეთქი და „ტოსკა“ კაეშნად გადავაკეთე. ასეც დაიბეჭდა. აბა რა გგონიათ, — გულიანად იცინის გოგლა, — ხანდახან გენიოსებსაც მოსდით შეცდომა.

* * *

გოგლამ ეშმაკურად მოხუჭა თვალი და თქვა:

— თუ გინდოდეს კაი კომში,
მიაკითხე რაიკომში.

მერე ცოტახანს იყუჩა და განაგრძო: — არა, არა, რაიკომს ეწყინება..., ასე აჯობებს:

თუ გინდოდეს კაი კომში,
მიაკითხე ალმასკომში.

* * *

— ადამია ატამია, ისიც კრუშონის, ისიც ადამიანია... — თქვა გოგლამ და მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო: — რაღაც კაფია მინდოდა შემეთხზა და ბოლომდე ვერ გავედი, აბა ვინ დამიმთავრებს.

სადილის სუფრასთან გოგლას სამნი ვესხედით გვერდში. სამივენი ჩავფიქრდით. ერთმა ჩვენთაგანმა დანარჩენებს დაგვასწრო: „ისიც ადამიანია, ლექსს თუ უშოვნი“.

გოგლა მოიღუშა და შუბლშეჭმუხვნით თქვა:

— მე უბრალოდ გვარის და ადამიანის გათამაშება მინდოდა მის სარითმო და ალიტერაციულ სიტყვებთან, და სრულებითაც არ მიგულისხმია პოეტი ალიო ადამია. ამ საინტერესო პოეტზე კი ეგ სიტყვები არავითარ შემთხვევაში არ ითქმება.

საუბრის თემა მაშინვე შეიცვალა.

* * *

ერთმა თანატოლმა თანამოკალმემ მიამბო:

— ღვინის სარდაფში, ჩუღურეთის მოედანთან, პატარა დაბალი მაგიდის ირგვლივ ვისხედით და ვსაუბრობდით. სიტყვა იოსებ გრიშაშვილზე ჩამოვარდა, ტვინში ბახუსშელიტინებულმა უშნოდ გავტულარჯე გრიშაშვილის სიქაბუკის დროინდელი სტრიქონი „მარალოჯან არ შეგცივდეს“. გოგლას არ ესიამოვნა, დამტუქსა:

— როგორ გეკადრება! არასოდეს დაგავიწყდეს, რომ იოსებ გრიშაშვილი ჩვენს ლიტერატურაში ერთადერთი და განუმეორებელია თავისი ხმითაც, — თავისი თემატიკითაც და თავისი პოეტური ეზო-კარითაც.

* * *

— ირაკლი, კიდევ ჩაის ჭიქით ხომ არა სვამ ღვინოს? — ჰკითხა გოგლამ საგარეჯოდან ჩამოსულ ჩემს ძმას.

სუფრასა და სადღეგრძელოს გააჩნიაო, უპასუხა ირაკლიმ.

— რა სუფრაცა და სადღეგრძელოც არ უნდა იყოს, ჩაის ჭიქით ნუ დალევ, თუ გინდა რომ შენს თავსაც პატივი სცე და ღვინოსაც.

* * *

შუადღე იქნებოდა, მე და ირაკლიმ წყნეთში, თავის სააგარაკო სახლში რომ მივაკითხეთ ბატონ გიორგის.

აივანზე ოციოდე წუთის საუბრის შემდეგ მასპინძელმა გვითხრა:

— რა ვქნა, ასე როგორ გაგიშვათ. არა და ექიმებისაგან სასტიკად გაფრთხილებული ჩემი მეუღლე დალევას კი არა, სახლში ღვინოს შემოტანასაც მიშლის.

იმ ხანებში ბატონი გიორგი სისხლის მაღალ წნევას უჩიოდა.

დიასახლისს, ქალბატონ ეფემიას დავემშვიდობეთ და გოგლასთან ერთად ეზოში ჩამოვედით. გოგლამ ერთ წუთს დამიცადეთო, გვითხრა და აივანქვეშ ოთახში შევიდა. უკან მობრუნებულმა შემოგვთავაზა:

— ჩემი ბაღი დაათვალიერეთ, ნახეთ, რა კარგი ატმები და ვაშლები მეზრდებიან.

იმ ივლისის მიწურულში ახალგაზრდა ხეხილს ნაყოფი უკვე დამსხვილებოდა. ხეებქვეშ სპეციალურად დათესილი ბალახი ხასხასებდა.

წინ გოგლა გაგვიძღვა.

ბაღის სიღრმეში რომ შევედით, გოგლამ, თითქოს ფეხი რაღაცას წამოჰკრაო, წაიბორძიკა, შეჩერდა, დაიხარა და ბალახებიდან ღვინით სავსე საცობდაცმული ბოთლი აიღო. ხის ტოტებს აზიდა და გაიცინა, აი ხო ხედავთ ამ ვაშლს ღვინის ბოთლი ჩამოვარდნიაო. მეორე ხის ქვეშ მეორე ბოთლი „ჩამოვარდნილიყო" და ბალახებში გაუჩინარებულიყო. იქვე ახლოს ფიცრის უბრალო პატარა მაგიდა იდგა. გოგლამ გრძელი საშინაო ხალათის ჯიბიდან ქაღალდში გახვეული პურის ნაჭერი, ყველი და ჭიქა ამოიღო (ტყუილად არ შეხულა აივანქვეშა ოთახში).

— აბა მაშ რა ვქნა, სტუმარს ისე ხომ არ გავუშვებ, — თქვა გოგლამ და ჭიქა შეავსო.

* * *

დღის ბოლოს მაჩაბლის ქუჩის დასაწყისში ფეხით მიმავალ გოგლას მე და ჩემი ძმა — შალვა წამოვეწიეთ. ერთმანეთი მოვიკითხეთ. მცირეხანს ვისაუბრეთ.

— ბატონო გიორგი, — უთხრა ჩემმა ძმამ, — თუ დრო გექნებათ, გთხოვთ თქვენი დღეგრძელობის საშუალება მოგვცეთ.

— არ არის ცუდი წინადადება, წავიდეთ. ეს ჩემთვის წამალიც იქნება. მთელ დღეს თავაუღებლივ ვმუშაობდი.

— მაგრამ სად წავიდეთ, საჭმელიც რომ გვეგემრიელოს და სასმელიც?

ბევრი ვიმსჯელეთ. ადგილის შერჩევა გაგვიჭირდა.

და აი შალვამ მორიგი ვარიანტი შემოგვთავაზა:

— საიქიოში წავიდეთ. ამ დღეებში გახლდით იქ და დიდად კმაყოფილი დავრჩი.

— რაო, რა სთქვი? სად წავიდეთო? — გოგლამ ლამის წამოიყვირა.

— საიქიოში. ახლად გახსნილი რესტორანია.

— საიქიოს რათ ეძახიან?

— გვერდით ვაკის სასაფლაოა და იმიტომ.

გოგლას შევხედე. ის გოგლა აღარ იყო, რომელსაც ჩვენ ნახევარი საათის წინ შევხვდით. სახე ჩამოშლოდა, თვალები მოწნისვლოდა.

— მერე მაგ სახელის რესტორანში, და ისიც სასაფლაოს გვერდით, პურს როგორ სჭამენ, ერთმანეთს როგორ ადღეგრძელებენ... — ჩაილაპარაკა გოგლამ.

შალვამ ენაზე კბილი დაიჭირა. თავი ჩაღუნა. ახლა მე დავასახელე რამდენიმე რესტორანი

— დღეს ნუღარსად წავალთ. სხვა დროისათვის გადავდოთ, — გადაჭრით გვითხრა გოგლამ და დამძიმებული ნაბიჯით გააგრძელა გზა.

* * *

ჯიბიდან ამოღებული „პრიმას" კოლოფიდან ერთ ღერს ამოაცურებს და პირში ჩადებს. კოლოფს ისევ ჯიბეში ჩააბრუნებს, მარცხენა ხელს ისე იჭერს, თითქოს ახანთის კოლოფი ეკავოს და იმ არარსებულ კოლოფს მარჯვენა ხელს ისე ჩამოჰკრავს, როგორც ასანთის ღერს ჩამოკრავენ ხოლმე. მერე მარჯვენა ხელი პირში ჩადებულ სიგარეტთან მიაქვს, ტუჩებში შეთამაშებულ სიგარეტს ღრმად მოქაჩავს და ღრმადვე ისე ამოისუნთქებს, თითქოს ფილტვებიდან თამბაქოს ბოლს უშვებდეს.

ასე უცეცხლოდ და უკვამლოდ „ეწევა" სიგარეტს, რომლის პირში ჩადებულ უმუნდშტუკო ბოლოსაც ნერწყვით ალბობს და დასველებული თამბაქოს ნაფშვენებით ტუჩებს იმწარებს

თან მარტო სიგარეტს ატარებს, ასანთს კი არ იდებს ჯიბეში, ფრთხილობს, ხელი არ წამიცდეს და სიგარეტს მართლა არ მოვუკიდოო ცეცხლი.

რამდენიმე თვის შემდეგ მისი ხელები ისევ იმეორებენ ზემოთაღწერილ მოძრაობებს. კვამლის „ჩასუნთქვის" დროს ლოყებზე ისევ უჩნდება ღრმულები, ხოლო „გამოშვების" დროს ის ღრუბლები ისევ ქრებიან.. მაგრამ მას ამჯერად ჯიბეში არ უდევს სიგარეტის კოლოფი, ხოლო პირში — სიგარეტი.

ასე გრძელდება რამდენიმე თვეს.

ამ მოძრაობების გადაჩვევასაც დრო სჭირდება თურმე.

მაგრამ,

რაც მთავარია,

გიორგი ლეონიძე თავს ანებებს თამბაქოს წევას,

* * *

სოფელ ორბეთში ვიყავით სტუმრად.

სუფრას, რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდა.

— ნივრის გალა მომიტანეთ, — სთხოვა გიორგი ლეონიძემ სუფრისდედებს (იქნებ სუფრისდედები დავარქვით იმ ქალებს, მუხლჩაუხრელად რომ ემსახურებიან ქართულ სუფრას, მის სისავსესა და სილამაზეს).

ნახევარი საათის შემდეგ გოგლამ გაიმეორა თავისი თხოვნა.

ნიორი მაინც არ მოიტანეს.

— მესამედ უკვე საყვედური გამოთქვა გოგლამ:

— თქვე დალოცვილებო, გალა თუ არ გემეტებათ, ნივრის ერთი თავი მაინც მოგეტანათ...

შეწუხდნენ სუფრისდედები.

— ბატონო გიორგი, ჩვენ გვეგონა ხუმრობდით. აგერ სუფრაზე ნიორწყალია მოტანილი და გაუსუფთავებელ ნიორს როგორ შემოგკადრებდით.

გოგლას წინ დაუდგეს თეფში, რომელზეც რამდენიმე თავი ნიორი იდო.

— ახლა კი ნამდვილად სრულყოფილია ჩვენი სუფრა. აბა, წყალგარეული ნიორი რა ნიორია, — გოგლამ ნივრის თავის დაკბილვა დაიწყო და იკითხა: — ვინ იტყვის სადაური ნიორია ყველაზე კარგი?

ვინ რა თქვა, ვინ რა. ბოლოს ისევ გოგლამ უპასუხა თავის შეკითხვას:

— ქვიშხური. თამარ მეფესთან ქვიშხეთიდან მიჰქონდათ ნიორი.

* * *

მწერალთა ყრილობის იმ სხდომის დამთავრებისთანავე, რომელმაც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში ასარჩევი კანდიდატები დაასახელეს, ფოიეში გიორგი ლეონიძეს შევხვდი. ძალზე გულმოსული იყო გამგეობის წევრობის ერთ-ერთ კანდიდატზე. არა, ის არჩევის ღირსი არ არის და მე მას ხმას არ მივცემო.

საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვასა და სხვა საკითხების მოგვარებას ლამის სათზე მეტი დასჭირდა.

იმ დღისით გიორგი ლეონიძე აღარ მინახავს. მეორე დღეს შევხვდი მხოლოდ. საუბრის დროს დრო ვიხელთე და ვკითხე, რა ჰქენით, ესა და ეს კაცი ხომ წაშალეთ-მეთქი.

შეკითხვა არ ესიამოვნა.

— წაშლის ღირსი კი იყო, მაგრამ ხელი არ დამემორჩილა. არ წამიშლია, არ გამიშავებია. ყველას თავისმა სინდისმა მოჰკითხოს...

* * *

მაჩაბლის ქუჩის დასაწყისში კარგად ნაცნობი ახალგაზრდა პოეტი მხვდება.

— თქვენთან, „ლიტერატურული გაზეთის" რედაქციაში მოვდიოდი, აი, ეს წერილი უნდა გადმომეცა, — მეუბნება იგი და კონვერტს მაწვდის. ვართმევ. გიორგი ლეონიძე მწერს, ამ ბარათის მომტანი ნიჭიერი ახალგაზრდაა და გთხოვ ხელი შეუწყო ლექსების დაბეჭდვაშიო.

— რათ შეაწუხე ის მოუცლელი კაცი? — ვეუბნები შუბლშეკვრით. — შენი პირველი და ერთადერთი დამხმარე და რეკომენდატორი შენივე ლექსი უნდა იყოს. წერილებით საქმის გაკეთება, სხვა რომ არაფერი სასირცხვილოა.

არა და ამ ახალგაზრდის ლექსები უკვე იბეჭდება, შესაძლებლობის ფარგლებში არც ჩვენი რედაქცია სტოვებს უყურადღებოდ.

— ჰოდა, ასეთი რამ აღარ გააკეთო, ნუ შეაწუხებ, დროს ნუ წაართმევ იმ ღმერთკაცს, — ვეუბნები და ვიგერიებ მის თავისმართლებას, და, არ ვიცი რატომ, იმ წერილს უკანვე ვუბრუნებ.

მეორე თუ მესამე დღეს რედაქციის იმ დიდი ოთახის კარი იღება, სადაც ჩემი სამუშაო მაგიდაც დგას. ღია კარში, რომელსაც პირდაპირ გავყურებ, გიორგი ლეონიძის ვეება ტანი აისვეტა. ტალანში გამოდიო, მანიშნებს. გავდივარ.

— შენგან ამას არ მოველოდი. ჩემი წერილის წაკითხვაც რომ არ გიკადრია...

საკმაოდ ფიცხი იყო იმ დიალოგის დაწყება ბატონი გიორგის მხრივ. მისთვის თავის მიერვე შეთხზული ამბავი მიეტანა ჩვენს საერთო ნაცნობ ახალგაზრდას.

ბატონმა გოგლამ უცებ იცოდა გულის მოსვლა და გაავდრება. გამოდარებაც მეუხსეულად იცოდა. არ სჩვეოდა გულში წყენის ჩატოვებაც.

რამდენიმე წუთის შემდეგ გოგლას პირკოცნით დავემშვიდობე.

* * *

გიორგი ლეონიძე ხშირად ჩამოდიოდა პატარძეულში და თითქმის ყოველთვის თან რამდენიმე სტუმარს ჩამოიყვანდა ხოლმე. პურ-მარილს თბილისიდან გამოიყოლებდა, სუფრის გაშლაში მეზობლები ეხმარებოდნენ.

პირველად აქ, პატარძეულში ვნახე და გავიცანი ილია ვეკუა, ალექსანდრე ქუთათელი, შალვა რადიანი, შალვა აფხაიძე, გიორგი შატბერაშვილი...

გიორგი ლეონიძე ვერც თავის სახლში და ვერც სხვაგან უსიმღერო და უმუსიკო სუფრას ვერ იტანდა. მეზობლებსა და მასპინძლებს მანამდე არ მოასვენებდა, ვიდრე საიდანმე გიტარის ან ჩონგურის დამკვრელ მომღერალ ქალს არ გამოაჩხრეკინებდა. სუფრასთან ლექსების კითხვაც უყვარდა. თავად კი არც თუ ხშირად კითხულობდა.

მაგიდაზე, რომელსაც გოგლა უჯდა, მხოლოდ ღვინის ჭიქა ტრიალებდა, მხოლოდ ღვინის ჭიქა! ღვინოს თრობის ძალა უცრიატდებოდა, დამათრობელი და დამატკბობელი ძალა ეძლეოდა სიმღერას, ლექსს, ოქროპირობას, აელვარებულ სადღეგრძელოს, ერის გაცოცხლებულ ისტორიას, ლამაზი ზღაპარივით იწყებოდა და მთავრდებოდა პურობა, რომელსაც გიორგი ლეონიძე თამადობდა.

* * *

— კარგია არაყი ძარღვებში სითბოსავით რომ ჩაიღვრება და ტანში სიამოვნების ჟრუანტელად დაგივლის, — იტყოდა გოგლა და მაშინვე დაამატებდა: — მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ის ვერაგული სიამოვნებაა და მაცდური ჟრუანტელია. სწორედ ამიტომაც ჭკვიანმა კაცმა არაყი არ უნდა დალიოს. ის ბასრი სამართებელია კაცის გონებისა და ენერგიისათვის.

არასოდეს მინახავს რომ გოგლას არაყი დაელიოს.

* * *

ახლობლების ვიწრო წრეში პურობის დროს გოგლა სიმღერასავით ჩაიბუბუნებდა ხოლმე თავისთვის: „ლეონიძე, კობტა ბიჭო, შენ გენაცვალეო“. რამდენჯერმე მინდოდა მეკითხა, ვისია ეგ სტრიქონები--მეთქი და ვერ შევბედე.

* * *

გიორგი ლეონიძეს „ლიტერატურული გაზეთის“ (შემდეგ „ლიტერატურული საქართველოს“) რედაქციაში, სადაც მე მისი სიცოცხლის ბოლო რვა წლის მანძილზე პოეზიის განყოფილებას ვხელმძღვანელობდი, ლექსები უმეტესწილად გადაუბეჭდავად, ხელნაწერად მოჰქონდა ხოლმე, ხან კი თავის შოფერს გამოატანდა. გამოატანდა და შემოგვითვლიდა, ქალბატონ დაროს (დარო ჩიქვაიძე მრავალი წლის მანძილზე რედაქციის მბეჭდავი იყო) გადააბეჭდინეთ და შემიდარეთ დედანთანაო. არც ამისი თქმა თუ დაბარება ავიწყდებოდა — თუ რამ არ მოგეწონოთ, მითხარითო.

გადავბეჭდავდით, დედანს შევუდარებდით და სასტამბოდ მოვამზადებდით. ასაწყობად გაგზავნის წინ თავად შემოგვივლიდა და გადაბეჭდილ გვერდებს წაიკითხავდა, თუ ვინმეს რაიმე შენიშვნა ჰქონდა, გულდასმით მოისმენდა და, თუ ჭკუაში დაუჯდებოდა, ჩაასწორებდა. ზოგიერთ ადგილს თავისითაც გაჰკრავდა შალაშინს. თუ რედაქციაში მოსვლას ვერ მოახერხებდა, სტამბაში მოვიდოდა და დაკაბადონებულ გვერდებში წაიკითხავდა. სტამბაში დედნის საწინააღმდეგო სწორებები არ უყვარდა.

გიორგი ლეონიძე მესტამბეთა შრომის დიდი დამფასებელი იყო. მახსოვს ასეთი შემთხვევები. თავისი ლექსებისა თუ სტატიის წაკითხვას რომ მორჩებოდა, იკითხავდა, ნომერზე მუშაობას რომელი საათისათვის მორჩებითო. და იმ საათისათვის მის მძღოლს სტამბაში მოჰქონდა რამდენიმე ბოთლი ღვინო, პური, ყველი, ძეხვი. სტამბის მუშებმა და რედაქციის თანამშრომლებმა ერთმანეთიც დალოცეთ და ჩემი სტრიქონებიცო.

რამდენჯერმე გიორგი ლეონიძის ახალი წიგნის „დასველებასაც“ შევსწრებივარ. საპატიო ადგილზე ასოთამწყობები, დამკაბადონებლები და მბეჭდავები ისხდნენ თავიანთ საამქროების უფროსების გვერდით.

* * *

პატარძეულის სახლის ეზოს ჭიშკრის ზღურბლზე გადავაბიჯეთ თუ არა, გოგლამ ღრმად ამოიოხრა და ლამის თან გული ამოაყოლა.

— იმ კაცზე საცოდავი არავინ [illegible] მებს რომ დაკარგავს და მარტო დარჩება ამ ქვეყანაზე... — თქვა და აივანს [illegible] თუ დალანდა თავისი წასული [illegible]

[illegible] ბიბლიოთეკა

* * *

გიორგი ლეონიძე ჭირში თანადგომის ნიჭითაც უხვად იყო მომადლებული. რაღაც განსაკუთრებული რამ უნდა მომხდარიყო, რომ რომელიმე ახლობლისა თუ ნაცნობის სამძიმარზე ან დაკრძალვაზე არ მისულიყო. მგლოვიარეთა ტკივილი არ შეემსუბუქებინა სულიერადაც და მატერიალურადაც და, თუ საჭიროება მოითხოვდა, თავისი სიტყვაც არ ეთქვა.

ერთ დღეს, მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნობისას, სიღნაღიდან დეპეშა მიიღო. გლეხი პოეტი გიო კანანელი გარდაიცვალაო. დამიძახა. ძალიან სწუხდა. დაკრძალვის დღისათვის ბილეთი ჰქონდა აღებული, მოსკოვს უნდა წასულიყო. მთხოვა, სიღნაღში წადი, მამაშენი მაინც იქაური იყო, და მგლოვიარეებს ჩემი სახელითაც მიუსამძიმრეო.

და ის მარტო სამძიმრის სათქმელად, ვინმესთვის თავის საჩვენებლად კი არ დადიოდა... გულით განიცდიდა და იზიარებდა სხვათა მწუხარებას, რაც მის ღრმა ცისფერ თვალებში მკაფიოდ ირეკლებოდა ხოლმე.

აღარ მახსოვს, ვის პანაშვიდზე ვიყავით. ქუჩაში გამოსულები უხმოდ გავუყევით ტროტუარს. გოგლამ ფეხი შეანელა, ღრმად ამოიოხრა და არ ვიცი, მე მითხრა თუ თავისთვის ჩაილაპარაკა:

— კაცი ჯერ თავის თავს უკვდება და მერე სხვას...

* * *

გოგლას ორშაბათი დღე არ უყვარდა. ამ დღეს ყოველმხრივ ცდილობდა რაიმე მნიშვნელოვანი საქმისთვის თავის არიდებას. აუცილებლივ სხვა დღეებისათვის გადასდებდა თუ რამ მნიშვნელოვანი საქმე გამოუჩნდებოდა გადასაწყვეტი.

და მაინც მოხდა ასეთი ამბავი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1953 წლის 22 ივნისს, სწორედ ორშაბათ დღეს, მოულოდნელად დანიშნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელმაც ფაქტიურად განიხილა ერთი საკითხი — გიორგი ლეონიძე მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გაანთავისუფლეს.

პრესაში გამოქვეყნებულ ცნობაში კი ნახსენებიც არ იყო, რომ მანამდე მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობა არსებობდა და ამ თანამდებობაზე გიორგი ლეონიძე იყო არჩეული. იგი მხოლოდ იმას იუწყებოდა, რომ მწერალთა კავშირის გამგე-

ობის პლენუმმა „განიხილა ორგანიზაციული საკითხები. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შემოქმედებითი მუშაობისადმი კოლექტიური ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით შეიქმნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის სამდივნო პირველი მდივნის და ორი მდივნის შემადგენლობით“. ამრიგად კავშირის თავმჯდომარის თანამდებობა ფაქტიურად გააუქმეს და იგი პირველი მდივნის თანამდებობით შეცვალეს. გიორგი ლეონიძეზე კი მხოლოდ იმას იტყობინებოდნენ, რომ იგი გამგეობის ერთ-ერთ მდივნად იყო არჩეული, მეორე მდივნად კი ძველი მდივანი დარჩა.

* * *

თუ არ ვცდები ცხრაასორმოცდათორმეტი წელი იყო.

სამგორის არხის გაყვანასთან დაკავშირებით იმ ხანებში სოფელ სართიჭალას ტახავლეთის მხრიდან საცხოვრებელი სახლების დიდი უბანი მოება, რომელშიც იმერეთის მთიანი სოფლებიდან ჩამოსახლებულები დაასახლეს.

თბილისში სალამოხანს ვბრუნდებოდით პატარძეულიდან. მასპინძელთან, გიორგი ლეონიძესთან ერთად მანქანაში შალვა აფხაიძე, მე და კიდევ ერთი მწერალი იჯდა, რომლის ვინაობაც ველარ გამიხსენებია. გოგლამ პატარძეულშივე თქვა, სართიჭალში რომელიმე ახალმოსახლეს ვესტუმროთ და კერა დავულოცოთ. და მანქანაში ორი ბოთლი ღვინო ჩადგა.

ძველ სართიჭალას გამოვცდით თუ არა, მანქანამ მარცხნივ დაუხვია და ალალბედად შერჩეულ სახლთან შეჩერდა. მასპინძლებს ვუხმეთ. გამოგვხედეს. მათ მაშინვე იცნეს ლეონიძე. შინ შეგვიპატიჟეს. ოჯახში ჩვენი ღვინით შევედით. მასპინძლებმა სუფრაზე სახელდახელოდ გამოდგეს პურ-ყველი. მაგიდასთან არც დავმსხდარვართ, ისე დავლოცეთ ახლად დაფუძნებული კერა. გოგლამ მასპინძლებს კედელთან მიდგმული ჯერ კიდევ ცარიელი ახალი შიფონერი შემოატრიალებინა და მის ზურგზე აკრულ ფირფიცარზე ფანქრით ახალი კერის დამლოცველი გულითადი წარწერა გააკეთა და იმ დალოცვაზე ჩვენც მოგვაწერინა ხელი.

* * *

სამუშაო დღის ბოლოს გიორგი ლეონიძემ მითხრა: დღეს ამა და ამ მწერალთან ვართ მიპატიჟებული და ნუღარ დავაგვიანებთ, იქ უკვე კარგა ხნის წინ მიუსხდებოდნენ სუფრას.

ასეც იყო. მარტო სტუმრების მომსახურებით გართული მასპინძელი ჩანდა ფხიზელი. სუფრაზე ერთი ქოთქოთი, ლამის ჩხუბში გადასული კამათი იყო.

ბატონი გიორგი და მე ერთმანეთის გვერდიგვერდ დავსხედით. ოციოდე წუთის შემდეგ გიორგიმ მითხრა:

— აბა, გარითმე სიტყვა „სამ[illegible]“.

ჩავფიქრდი და დავიწყე:

— ამ კეცებს.

— კიდევ!

— დავკეცე.

— კიდევ!

— ნამცეცებს.

— კიდევ!

— არ მეძებ.

— კიდევ, კიდევ!

— მე შევჩერდი. გიორგიმ ფიქრად ქცეულს ერთხანს მაცალა და მერე კი მითხრა:

— ამ ვითარებისათვის არც ერთი ეგ რითმა არ ივარგებს. მთავარ შესარითმ სიტყვას მაინც ვერ მიაგენი. ჰოდა, აი ახლა მე გეტყვი: სამხეცე — გაახამკეცე. ენერგია გაახამკეცე დიახ, ამის გარეშე ამ სუფრასთან გაძლება შეუძლებელია.

ჩვენი გასამკეცებული ენერგიის მიუხედავად, გიორგიმ ნახევარი საათის შემდეგ მუჯლუგუნი წამკრა, ადექი, წავიდეთო.

* * *

1965 წლის შემოდგომაზე სერგეი ესენინის დაბადების სამოცდაათი წელი სრულდებოდა. ამ თარიღს ჩვენი, „ლიტერატურული საქართველოც“ უნდა გამოხმაურებოდა. რედაქციის შუამავლად გიორგი ლეონიძეს ვეახელი. ესენინის ქართველ მეგობართაგან ამჟამად მარტო თქვენღა გვეამაყებით და გაზეთისათვის რამე უნდა დაგვიწეროთ-მეთქი. გიორგი ლეონიძეს საერთოდ თითქმის არ სჩვეოდა რედაქციის თხოვნაზე უარის თქმა. და თუ შეგვპირდებოდა, არც დაგვალალატებდა. ამჯერად კი გადაჭრით ვერ მითხრა თანხმობა. ვეცდებიო, მხოლოდ ამ სიტყვით გამისტუმრა.

მეორე დღეს კვლავ შევახსენე თავი. ვერ მოვასწრებო, მითხრა. დროს მართლაც ცოტას ვაძლევდით. მესამე დღესაც მივაკითხე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. შუბლი შეიკრა.

— ბატონო გიორგი, სხვა რომ არაფერი ესენინთან თქვენს წაჩხუბებაზე ათასნაირ ლეგენდებს ჰყვებიან. დღევანდელმა ახალგაზრდებმა და მომავალმა თაობებმა ხომ უნდა იცოდნენ, რა მოხდა... ჰოდა, თუნდაც მარტო ამაზე დაწერეთ.

გოგლას თვალებში შუქმა გამოკრთა.

— რა კარგი დრო იყო, რა ახალგაზრდები და კარგები ვიყავით!.. — უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა და სივრცეს ჩააშტერა თვალი. რამდენიმე წუთს ასე იყო. მე მას მდუმარედ შევყურებდი.

წამოდგა, გაიარ-გამოიარა და მომიბრუნდა.

— მაინც გამტეხე. ხვალ შუადღისას გამომიარე.

მეორე დღის ნაშუადღევს მისი ხელნაწერი უკვე მდივან-მემანქანის მაგიდაზე იდო, ხოლო მესამე დღეს, 1965 წლის 1 ოქტომბერს ხალხი კითხულობდა მოგონებებს სათაურით „რამდენიმე სიტყვა სერგეი ესენინზე“, რომელიც გაზეთის პირველ გვერდზე იწყებოდა და მეორეზე მთავრდებოდა. „ამ საოცრად ლაკონიური და პოეტური მოგონებების ერთი ქვეთავი 1926 წლის ნოემბერში რესტორან „ქიმერიონში“ ლეონიძისა და ესენინის წაჩხუბებაზე მოგვითხრობს. არცერთი დამთმობი არ ვიყავით და ერთმანეთს გავებრჯენით. საქმეში მილიცია ჩაერია, პრესამაც ატეხა განგაში.

უსაზღვროდ მიხაროდა და მეამაყებოდა, რომ ჩემი დაჟინებით ახეთი საინტერესო მოგონება დაიწერა, მაგრამ როგორ წარმოვიდგენდი, რომ ეს იქნებოდა ჩემი უკანასკნელი თხოვნა, რომელიც დიდმა გიორგიმ თავისი სიცოცხლის ბოლო თვეებში შემისრულა.

ის მოგონება მერე ალარსად დაბეჭდილა. გაზეთის კომპლექტებში ჩარჩა... პრესის ფურცლებზე გიორგი ლეონიძის სხვა ბევრი ნაწარმოებიცაა მიმობნეული, რომლებიც მზრუნველი ხელით შეკრებასა და ერთ ჰერქვეშ დაბინავებას ელოდებიან...

თუმცა...

გიორგი ლეონიძის გარდაცვალებიდან გასული მეოთხედი საუკუნის მანძილზე გამოვიდა მხოლოდ ხუთი წიგნი: სამ თუ ოთხთაბახიანი პოეტური კრებული „აზლოს მოიწი, სამშობლოს გულო“, ხუთთაბახიანი ლექსების ორი, — „ქართული პოეზიის“ სერიით, და „მერანის“ მიერ ორიოდე წლის წინ დასტამბული კრებული, დაბადების ოთხმოცი წლისთავზე გამოცემული „რჩეული“ და „ნატვრის ხე“. კომენტარს ალარ გავაკეთებ. ვიტყვი მხოლოდ: უსამართლობაა.

და ერთიც, სათანადო კრიტიკული წერილის თანდართვით რატომ ხელახლა არ უნდა გამოვიდეს გიორგი ლეონიძის პოემა „ბელადი“ — ქართული ბუნების, ხასიათების, ტრადიციების მადიდებელი ეს დიდებული ნაწარმოები?

* * *

ჩემს სამუშაო ხოროში, ერთი მტკავლისდადება ამომინულ ლოჯიაში, წიგნის მინებს შიგნით დასურათხატებულყდიანი წიგნებისა და ოჯახის წევრებისა თუ ახლობლების ფოტოსურათებს გამომფენს ხოლმე ჩემი შვილი — ნინო. და აი ამასწინათ ეს გამოფენა განახლებული ექსპოზიციით დამახვედრა. ჩემი ყურადღება მიიქცია თარომ, სადაც მიჯრით დაწყობილი წიგნების ყუებზე ერთმანეთზე მხარიმხარ აიყუდებინა მამაჩემისა და გიორგი ლეონიძის ფოტოსურათები.

მამაჩემი ვერ შეესწრო შვილიშვილებს. მათს დაბადებამდე კარგა ხნით ადრე დედამიწის რომელიღაც კუთხეში დალია სული.

გიორგი ლეონიძემ საკუთარი შვილიშვილებივით დალოცა მისი შვილიშვილები.

მამაჩემი თავის ლვიძლ შვილს მხარში ვერ ამოუდგა ცხოვრების გზაზე.

გიორგი ლეონიძემ მის შვილს მამური სითბო აადევნა ცხოვრების სუსხიან ბილიკებზე.

ესეც სათქმელია, გოგლას შვილიშვილი ბიჭო გოგია და ჩემი შვილი მზია ერთ სკოლაში, ერთ კლასში სწავლობდნენ.

და აი ჩვენმა ნინომ ერთმანეს მხარში ამოუყენა ალექსანდრე ჯანგულაშვილი და გიორგი ლეონიძე, ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს არ იცნობდნენ და რომლებთანაც მამაშვილური სიყვარული მაკავშირებს.

და აი ამ სტრიქონების წერის დროსაც გადმომყურებს ორი მშობლიური სახე. მათი ნალვლიანი თვალებისა და შეკავებული ღიმილის შუქი ადგას ჩემს საწერ მაგიდასაც და ჩემს ოჯახსაც.

* * *

გიორგი ლეონიძე დიდად განიცდიდა, როცა თავის სახელს სადმე შემოკლებულად დაწერილს თუ დაბეჭდილს ნახავდა.

მწერალთა კავშირში ჩემი მუშაობის დაწყების პირველ ხანებში მისი სახელის შემოკლების გამო რამდენჯერმე მეც მისაყვედურა. მარტო ლეონიძისა კი არა, სხვისი სახელის შემოკლებასაც მოერიდეო, ამ სიტყვებით დაამთავრებდა ხოლმე თავის საყვედურს.

და მე მას მერე მუდამ და ყველგან სრულად ვწერ გიორგი ლეონიძის სახელს.

## გიორგი ლეონიძის გარდაცვალების მესამე დღეს დაწერილი სტრიქონები

ყველაფერს ახწრებდა გაუტეხელი გულისა და ჯანის მთაკაცი. ყველაფერს — ლექსსა თუ გამოკვლევას, პოემას თუ სტატიას, მოთხრობას თუ სუფრაზე ნათქვამ სადღეგრძელოს — მისი ნათელი გონებისა და კურთხეული მარჯვენის ნათელი ედგა.

მის მონუმენტურ გარეგნობას საოცრად ეხამებოდა მისი ვაჟკაცური სიტყვა.

ჩვენს დედაქართულს მის ხელში ხულ სხვა ეშხი და იერი ჰქონდა. ქართული ენის მარგალიტების უმდიდრესი მფლობელის სტრიქონებიდან მშობლიური მიწის თავბრუდამხვევი ტკბილსურნელი გვცემდა. მის სიტყვაში ერთნაირი სილამაზით ბრდღვიალებდა ულრანი ტყეც და მარტოხე ოლეც. ჩვენი ველებიც,

მთებიც, მდინარეებიც, ნაკადულებიც, ქალაქის ასფალტიცა და სოფლის მდელოც.

თანამედროვეობის დიდმა მესიტყვემ თავის მარადცოცხალ პოეზიაში ქართლის შორეული საუკუნეებიც შემოიყვანა, ჩვენი დიდი მამების ტკივილები აზიდა და მათს მხარდამხარ დადგა. ჩვენს შორის დადიოდა ქართული პოეზიის ჭეშმარიტი ოსტატი, დიდი ქართველი, რომელსაც ერთსა და იმავე დროს საოცრად ამშვენებდა მეცნიერის სიდინჯე და პოეტის სიფიცხე. მოხუცის სიბრძნე და ბავშვის გულუბრყვილობა. იგი სიყვარულში კეთილი და გულჩვილი რაინდი იყო და სიძულვილი არ ეხერხებოდა.

„ილია ჭავჭავაძეს შუბლის წყლულზე მუხის ფოთოლი ეფარა“, — ასეთი ეპიგრამა აქვს წამძღვარებული გიორგი ლეონიძის ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსს „მუხის ფოთოლს“. მუხის ფოთლები ახლაც მოსულან სამგლოვიაროდ, მწერალთა სასახლეში დადგმულ აზალშეკრულ კუბოს ირგვლივ მუხის ტოტები აქვს შემოწყობილი.

გიორგი ლეონიძეც მუხა იყო, ახოვანი, ფესვმაგარი და რტომრავალი.. მას ფესვები მშობელი ხალხის შორეულ წარსულში ჰქონდა გადგმული, მისი ტანის ახოვანება თანამედროვეობაში ბრდღვიალებდა და მძლავრი ტოტები მომავლის დღეებს შეშრიალებდნენ.

გიორგი ლეონიძეს ერთი სადღეგრძელო უყვარდა ძლიერ. აუცილებლად ზეზე წამოდგებოდა, თვალებში შუქი აუბრიალდებოდა და იტყოდა:

— იმ ქართველებს გაუმარჯოთ, ვინც ახლა, ამ წუთში დაიბადნენ.

და მან ჩვენი ხალხის მომავლის სადღეგრძელოდ დატოვა თავისი უბერებელი სიმღერა.

დადუმებულა ამ სიმღერის სათავე. აგვისტოს მცხუნვარე მზეში ჩაფერფლილა მისი ცხელი გული, რომელთანაც სიკვდილმა ვერ გაბედა ჯიქურად მისვლა. იგი ქურდულად მივიდა მასთან, მალულად ჩაუჯდა ჯანში და შიგნიდან ჩამოანგრია და ჩამოფერფლა. გიორგი ლეონიძემ თავისი პოეტური ნათლიის ვაჟა-ფშაველას ხვედრი გაიზიარა — აგვისტოს პაპანაქებაში ბალახის სიგრილე ინატრა ცეცხლმოკიდებული გულით.

მე კი მისი ავადმყოფობაც ვერ წარმომედგინა... სიკვდილი როგორ დავიჯერო...

ცრემლებს ვიმშრალებ და ვყვირი:

— ნუ იტყვით გიორგი ლეონიძის სიკვდილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გოილაძე

# ქართლის ერისთავთ-მთავარი სტეფანოზ I

ქართლის ერისთავთა-მთავარი სტეფანოზ I ადრეფეოდალური ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთ კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენს. იგი არის მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის ერთ-ერთი აღმშენებელი. ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ამოკვეთილ წარწერაში სტეფანოზი ბიზანტიური-პატრიკიოსის საკარისკაცო ტიტულით იხსენიება (ამავე წარწერაში სტეფანოზის ძმა დემეტრე და კახეთის მთავარი ადარნასე ჰიპატოსებად იწოდებიან. 4:96).

რთულ საერთაშორისო ვითარებაში მოუხდა სტეფანოზს ქართლის ერისთავთა-მთავრის ტახტზე ყოფნა. მისი მმართველობის ხანაში წინააღმდეგობებმა ბიზანტიის იმპერიასა და ირანს შორის უმაღლეს წერტილს მიაღწია. მათ წინააღმდეგობათა ორბიტაში ჩაბმული აღმოჩნდნენ საერთაშორისო ასპარეზზე ახლად გამოსული ისეთი ძლიერი პოლიტიკური ერთეულები, როგორებიც იყვნენ აღმოსავლეთ ევროპაში ავართა კაგანატი, აზიაში თურქთა დასავლეთი და აღმოსავლეთი კაგანატები. ასევე, დახვეწილებულ სახელმწიფოთა მიერ დამორჩილებული ათეულობით ხალხი. ბიზანტიასა და ირანს შორის არსებული წინააღმდეგობა ჩქარა ომში გადაიზარდა.

602 წელს ირანის შაჰმა ხოსრო II ფარვიზმა (591—628) ბიზანტიის წინააღმდეგ ომი დაიწყო (როგორც ირანის გავლენაში მყოფი ქვეყნის გამგებელს, სტეფანოზს ამ ომში ირანის მხარეზე უნდა ებრძოლა). ომის ბოლო ეტაპზე — 627—628 წლებში სამხედრო მოქმედებათა ძირითადი ასპარეზი ქართლი და მისი დედაქალაქი თბილისი გახდა. ამჯერად, სტეფანოზ I ანტიირანული კოალიციის ძალებისაგან ირანელებთან ერთად თბილისს იცავდა; თბილისის აღების შემდეგ, ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს (610—641) მოკავშირე თურქთა დასავლეთი კაგანატის ჯარების სარდლების ბრძანებით, სტეფანოზს სასტიკი წამებით ამოხადეს სული.

მიუხედავად იმისა, რომ სტეფანოზს ასეთი მძიმე ხვედრი ერგო, მისი გმირული თავდადება და მოწამებრივი სიკვდილი ქართულმა ეკლესიამ იმთავითვე უყურადღებოდ დატოვა. ხოლო, ზოგი ისტორიკოსის მტკიცებით, იგი 604 წელს გადაყენებული იქნა. ამიტომ, თბილისის აღების შემდეგ წამებით სულამოხდილი ერისთავთა-მთავარი სტეფანოზი კი არა. IX ს. ბიზანტიელი ქრონისტის — თეოფანე ჟამთააღმწერლის მიერ ქართველთა მთავრად დასახელებული ვარსამუსე იყო.

რამ განაპირობა ძველადვე სტეფანოზ I-ის პიროვნებისადმი ქართული ეკლესიის უყურადღებობა (იგი ქართულ ეკლესიას წმინდანად არ შეურაცხავს)?

როგორც ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" გამგრძელებელი (ქვემოთ მას ფსევდო-ჯუანშერად მოვიხსენიებ) გვარწმუნებს, „ესე სტეფანოზ იყო ურწმუნო და უშიში ღმრთისა, არა ჰმსახურა ღმერთსა, არცა ჰმატა სჯულსა და ეკლესიათა" (10:222). ნამდვილად კი, როგორც ზემოთ ითქვა, სტეფანოზი მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის ერთ-ერთი ქტიტორთაგანია. ამასვე გვაუწყებს ძველი ქართული მატიანე „მოქცევაი ქართლისაი": ქართლის ერისთავთა-მთავარმა გუარამმა, — ნათქვამია მასში, — „დადვა საფუძველი პატიოსნისა ჯუარისაი; და მისა შემდგომად ერისთვობდა სტეფანოზ ძე მისი, ძმაი დემეტრესი. და იქმოდა ეკლესიასა ჯუარისასა"[1] (8:826).

---

[1] სტეფანოზის „ურწმუნოება" შიო მღვიმელის მერვე „სასწაულშიც" არის ასახული. სადაც ნათქვამია: სტეფანოზი თავდაპირველად

ამრიგად, თუ ფსევდო-ჯუანშერისათვის სტეფანოზ I „ურწმუნოა“, რომელმაც „არა ჰმსახურა ღმერთსა“, არცა ჰმატა ეკლესიათა, „მოქცევაი ქართლისაჲს“ ავტორი სტეფანოზ I-ის ურწმუნოებაზე არაფერს წერს და მას მცხეთის ჯვრის აღმშენებლად მიიჩნევს (წყარო ეს ცნობა მცხეთის ჯვრის წარწერებით დასტურდება).

როგორც ვხედავთ, ფსევდო-ჯუანშერი ისეა განაწყენებული ერისთავთა-მთავრის „ურწმუნოებით, რომ მის ყოველგვარ ღვაწლს უარყოფს. უფრო მეტიც, 628 წელს სტეფანოზის მოწამებრივ სიკვდილს მისივე ურწმუნოებით ხსნის. მაგრამ, „ურწმუნო“ სტეფანოზი რადგან მცხეთის ჯვრის ერთ-ერთი აღმშენებელია, გარკვეულ დრომდე ერისთავთა-მთავრის „ურწმუნოება“ იმ დროინდელი ქართლის საზოგადოებისათვის მისაღები ხომ არ იყო? და ბოლოს: რამ განაპირობა მცხეთის ჯვრის წარწერებში ირანის ქვეშევრდომ ქართლის მესვეურთა ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულით მოხსენიება?

დასმულ კითხვებს რომ პასუხი გავცეთ; უნდა გავითვალისწინოთ სტეფანოზის თანადროულ ქართლში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, რაც, თავის მხრივ, ნათელს მოჰფენს ჩვენთვის საინტერესო საკითხს — 604 წელს ქართლის ერისთავთა-მთავრის ტახტიდან იგი გადაყენებული რომ არ ყოფილა.

589 წელს, ჰერათის ბრძოლაში თურქებზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ირანის შაჰის ჰორმიზდ IV-ის ცნობილი სარდალი ბაჰრამ ჩუბინი „გაადგა სპარსთა მეფესა“ და თავი ირანის შაჰად გამოაცხადა. ამით ისარგებლეს შაჰის მმართველობით უკმაყოფილო დიდებულებმა, ჰორმიზდ IV ტახტიდან გადააყენეს, თვალები დასთხარეს და ტახტზე მისი ძე ხოსრო (ხოსრო II ფარვიზი) დასვეს. ახალგაზრდა შაჰი ვერ გაუმკლავდა ძლევამოსილ სარდალს, დახმარების საძებნელად ბიზანტიაში გაიქცა და იმპერატორ მავრიკიოსის (582—602) შემწეობით ტახტი დაიბრუნა. ბიზანტიასა და ირანს შორის მანამდე არსებული მტრობა მეგობრობით შეიცვალა, რამაც ირანის მიერ დამორჩილებული ამიერკავკასიის ქრისტიანული ხალხების მდგომარეობაზეც იქონია გავლენა. დახმარების სანაცვლოდ, VII ს. სომეხი ისტორიკოსის სებეოსის ცნობით, 591 წ. ხოსრო II-მ მავრიკიოსს, თავისი სამეფოს სხვა ტერიტორიებთან ერთად, გადასცა „...უდიდესი ნაწილი ქართლის ქვეყნისა ქალაქ ტფილისამდე“ (12:48). რის შედეგადაც ქართლი ორად გაიყო. გარდა ტერიტორიულისა, ხოსრო ბიზანტიელთა მიმართ სხვა დათმობებზეც წავიდა. დახმარების მოლოდინში იმპერიის ტერიტორიაზე მყოფ ხოსროზე ბიზანტიელებს ისეთი დიდი გავლენა მოუხდენიათ, რომ ირანის ტახტზე ხოსრო II-ის დაბრუნების შემდეგ ქრისტიანთა მდგომარეობა ირანში საგრძნობლად გაუმჯობესდა. ირანში იყო საფუძველი თვით შაჰის ფარულ ქრისტიანობაში შეეტანათ ეჭვი (14:118).

ხოსრო II-ის რელიგიური შემწყნარებლობა, ცხადია, მის მფლობელობაში დარჩენილ ქართლის ნაწილზეც უნდა გავრცელებულიყო. რაც შეეხება ბიზანტიელთა ხელში გადასულ ქართლის ნაწილს, რა თქმა უნდა, იმპერატორი მავრიკიოსი შეეცდებოდა იქ თავისი პოლიტიკა გაეტარებინა, კერძოდ, რა ღონისძიებანი გაატარა მავრიკიოსმა თავის კუთვნილ ქართლში, საისტორიო წყაროებიდან არა ჩანს. მაგრამ, ცნობილია, რომ მან, იმავე ხელშეკრულებით, ირანისაგან მიღებულ ტერიტორიაზე სომეხი მოსახლეობის დიოფიზიტობაზე მოქცევა სცადა. რის შედეგადაც სომხეთის ეკლესია ორ საპატრიარქოდ გაიყო (12:50).

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ქართლში? ირანსა და ბიზანტიას შორის 591 წელს დადებული შეთანხმებით ქართლიც ხომ ორად გაიყო. რა მრწამსისა იყო იმ დროისათვის ქართლის მოსახლეობა? თავის კუთვნილ ქართლში მავრიკიოსმა როგორი პოლიტიკური და რელიგიური მმართველობა დაამყარა?

ძველ ქართულ წყაროებში არსებული ცნობებით თუ ვიხელმძღვანელებთ, 591 წლის აქტის შემდეგ მხოლოდ „ქართლის დიდი ნაწილი ტფილისამდე“ კი არა, ირანელთა ბატონობისაგან ქართლი მთლიანად უნდა განთავისუფლებულიყო რადგან მავრიკიოსი, ფსევდო-ჯუანშერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სრულსა სიყვარულსა ზედა“ იყო ირანის შაჰთან, შეთანხმებია მას, „ქართლი ჩუენ შორის იყავნ თავისუფალ მშჳდობით“, მავრიკიოსს თვითონ უკისრია ყოფილიყო „მწე და მოურავი ყოველთა ქართველთა და ყოველთა ქრისტიანეთა (10:221. წყარო ეს ცნობა გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. 7:271).

ახლა რაც შეეხება ქართლის მოსახლეობის მრწამსს, როგორც ცნობილია, ქრისტიანობის გამარჯვებისას ქართლში ნიკეის მრწამსი (შემდეგში ქალკედონურ-დიოფიზიტური) დაინერგა. მაგრამ, ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების (491 წ.) შემდეგ ქართლში ირანელთა პოზიციები თანდათან გამყარდა. დაახლოებით 587 წელს ქართლში მათ მეფობაც გააუქმეს. ამის შემდეგ სასანიანი შაჰები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ქართლის მოსახლეობის მონოფიზიტობაზე მოსაქცევად და გარკვეულ წარმატებასაც

„ეკლესიათა ფრიად ძჳრსა უყოფდა“. შემდეგ „ყოველნი ეკლესიანი გაანთავისუფლა მძლავრობისა და ხარკისა მიხდისაგან“.... იწყო კეთილის ყოფად ეკლესიათა და პატივისა პყრობად ეპისკოპოზთა... აშენა ეკლესიასა ზედა ჯუარისასა“ (ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 203).

მიაღწიეს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ 591 წლისათვის, როცა „უდიდესი ნაწილი ქართლის ქვეყნისა ქალაქ ტფილისამდე" ირანმა ბიზანტიას დაუთმო, შემდეგ კი იმპერატორი მავრიკიოსი „ყოველთა ქართველთა და ყოველთა ქრისტიანეთა მწე და მოურავი" გახდა, ქართლის მოსახლეობა თითქოს ისევ დიოფიზიტობისაკენ უნდა მობრუნებულიყო.

ასეთი მსჯელობა თითქოს მისაღები ჩანს, მაგრამ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართლში მავრიკიოსის „მწეობისა და მოურავობის" ხანა სულ სხვაგვარად არის გაგებული. ასე მაგ. ზ. ალექსიძის მტკიცებით, მავრიკიოსის „მწეობისა და მოურავობის" ხანაში ქართლი კვლავ მონოფიზიტურ ქვეყნად დარჩა და მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ, როცა ბიზანტიის წინააღმდეგ დაწყებულ ომში ხოსრო II-მ დიდ წარმატებას მიაღწია,, ქართლმა კურსი მაშინ აიღო ბიზანტიისაკენ (8:187).

თუ ეს მართლაც ასე იყო, მაშინ მავრიკიოსმა იმპერიის ქვეშევრდომობაში გადასულ სომხეთის მოსახლეობას ხომ დაამალა დიოფიზიტობაზე მოქცევა და თეოდოსიოპოლში სომხეთთა დიოფიზიტური საკათალიკოსოც კი შექმნა. ასეთი პოლიტიკისაგან რატომ შეიკავა თავი ქართლში? მას ხომ შეეძლო „თავის კუთვნილ" ქართლში მაინც სახელმწიფო რელიგიად დიოფიზიტობა გამოეცხადებინა?

როგორც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც მიღებულია, ასეთი ნაბიჯი მავრიკიოს ქართლის მიმართ არ გადაუდგამს.

მავრიკიოსის „მწეობა და მოურავობა" მთელ ქართლზე ნომინალური ხომ არ იყო? ხოსრო II-მ თავის კუთვნილებაში დარჩენილ ქართლზე იქნებ კვლავ გააგრძელა პატრონობა. ალბათ, აღნიშნულით უნდა აიხსნას სტეფანოზ I-მა, როგორც ფსევდო-ჯუანშერი გადმოგვცემს, „მეფობისა სახელი [რომ] ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა-მთავრად ხადოდეს" (10:222). სტეფანოზის შიში „სპარსთა და ბერძენთა მიმართ სწორედ 591 წლის შეთანხმების შემდგომ ხანაზე მიგვითითებს. სტეფანოზს ამ იერიდან ორი ბატონისათვის — ირანის შაჰის ხოსრო II-ისა და ბიზანტიის იმპერატორის — მავრიკიოსისათვის უნდა გაეწია ანგარიში. ვფიქრობ, სწორედ შექმნილ ვითარებას უნდა განეპირობებინა ხოსრო II-ესა და მავრიკიოსს შორის ქართლის მოსახლეობის რელიგიური მრწამსის საკითხებში ურთიერთდათმობა. ე. ი. ქართლში რელიგიის მხრივ მათ Status quo შეინარჩუნეს. როგორც ჩანს, იმ დროის ქართლში ერთდროულად თანაარსებობდა მონოფიზიტური და დიოფიზიტური საეპისკოპოსოები. იმავე დროულად მიმდინარეობდა მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის მშენებლობა. მას „ყოველ ქართლი" აშენებდა.

მავრიკიოსის „მწეობისა და მოურავობის" ხანა ქართლში ხანმოკლე გამოდგა. 602 წლის 28 ნოემბერს ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე მავრიკიოსის მკვლელი ფოკას ასვლასთან დაკავშირებით, ხოსრომ იმპერიასთან მეგობრული ურთიერთობა მტრობით შეცვალა. ამ დროიდან ბიზანტიამ პოლიტიკური გავლენა დაკარგა არა თუ მთელ („ყოველ ქართლზე"), არამედ 591 წელს ხოსროსაგან მიღებულ ქართლის ნაწილზეც კი.

591 წ. ზავის პირობებისათვის თავი რომ დაეღწია (თან ახალი ტერიტორიები დაეპყრო), ხოსრო ჯერ კიდევ მავრიკიოსის სიცოცხლეში ცდილობდა ბიზანტიასთან მშვიდობიანი ურთიერთობა დაერღვია (18:445). ხოლო ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე ფოკას ასვლისთანავე „იწყო ძებნად სისხლისა" და იმპერიასთან ომი დაიწყო (თეოფანე ჟამთააღმწერელი ომის დაწყების თარიღად 603 წელს თვლის, ხოლო საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიაში 602 წელია მითითებული. იხ. 11. ნ. პიგულევსკაია უპირატესობას 604 წელს ანიჭებს. (14:198). ფსევდო-ჯუანშერი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: ქასრემ (ე. ი. ხოსრო II-მ) იწყო შესლვად და ტყუენვად საბერძნეთისა განძლიერდა ბერძენთა ზედა, და ვერ წინააღუდგა ფოკას კეისარი. ხოლო სტეფანოზ, მთავარი ქართლისა, შეუშინდა მეფესა სპარსთასა, განუდგა ბერძენთა და მიექცა სპარსთა" (10:228). ე. ი., როცა ხოსრომ ბიზანტიასთან ომი დაიწყო, სტეფანოზი კვლავ „ქართლის მთავარი" იყო და ხოსროს გამარჯვებებით შეშინებული „განუდგა ბერძენთა" და „მიექცა სპარსთა".

სტეფანოზ I-ის მოღვაწეობის დროისათვის როგორც თვით ბიზანტიისა და ირანის ურთიერთობაში, ისე მათდამი დამორჩილებული ქვეყნების ცხოვრების ყოველ მხარეში განსაკუთრებული მნიშვნელობა რელიგიურ მრწამსს ენიჭებოდა. ბიზანტიელთა საწინააღმდეგოდ ირანის შაჰები მონოფიზიტებს მფარველობდნენ. „სტეფანოზ I-იც მონოფიზიტი მოღვაწე იყო.

სწორედ სტეფანოზის მონოფიზიტური მრწამსი, მისი პროირანული ორიენტაცია დაედო საფუძვლად ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ იმ მოსაზრებას, რომლის თანახმად ქართლის კათალიკოსმა კირონმა 604 წელს, თითქოს ირანის შაჰთან ხოსრო II-სთან შეუთანხმებლად, მონოფიზიტობისათვის სტეფანოზი ქართლის ერისთავთა-მთავრის ტახტიდან გადააყენა და მის მაგივრად ტახტზე ბიზანტიური ორიენტაციის, დიოფიზიტ-ქალკედონიტი ადარნასე დასვა. მაგრამ 628 წელს, თბილისის აღების შემდეგ, ძველ ქართულ წყაროებში ქართლის ერისთავთა-

მთავრად რადგან კვლავ სტეფანოზი იხსენიება, ის მკვლევრები, რომლებიც 604 წელს სტეფანოზის გადაყენების შესახებ წერენ, იძულებული არიან 614/616 წლიდან ქართლის ერისთავთა-მთავრის ტახტზე კვლავ სტეფანოზის ასვლის შესახებ მიუთითონ. ზ. ალექსიძის თანახმად, მას შემდეგ, რაც 604 წელს კირონმა სტეფანოზი გადააყენა და ქართლის ერისთავთა-მთავრად ადარნასე დანიშნა, ირანის შაჰი ხოსრო II ქართლში იტანდა ქალკედონიტური ორიენტაციის, უფრო სწორად, უნიონალური ხაზის განმტარებელ კათალიკოს კირონს და ერისთავთა-მთავარს — სტეფანოზს. 614 თუ 616 წელს, ე. ი. „სპარსული კრების“ შემდეგ, — დასძენს იგი, — ხოსრომ მოიცალა და მის გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში (მათ შორის ქართლშიც. ვ. გ.) კვლავ ალადგინა მონოფიზიტობა. ქალკედონიტი მოღვაწეები იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ თავიანთი ქვეყნები. კირონი ფაზისში გადავიდა, ხოლო ადარნასე კახეთში დაბრუნდა, რომელიც უშუალო სპარსელთა ბატონობას გადაურჩა (8:251, შენ. 188, შდრ. გვ. 198. როცა ხოსრომ ბიზანტიის იმპერიის თითქმის მთელი აზიური პროვინციები და ეგვიპტეც კი დაიპყრო, რაც მთავარია, ქართლის სახელმწიფო იმთავითვე მისი ხელქვეითი იყო, კახეთი, რომელიც ქართლის სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა, როგორ გადაურჩა ირანელთა ბატონობას?). ქართლში, — განაგრძობს ზ. ალექსიძე, — კვლავ „ხომხური რედაქციის“ მოღვაწენი სტეფანოზ I და კათალიკოსი ბართლომე დაბრუნდნენ“. 616 წლიდან 628 წლამდე (ჰერაკლეს ლაშქრობამდე) ქართლის სახელმწიფო რელიგია მონოფიზიტურ-ქრისტიანული“ (8:251, შენ. 188). და, ცხადია, სტეფანოზიც შაჰის ნებასურვილის რელიგიური და პოლიტიკური კურსის გამტარებელი იყო.

602 წელს ბიზანტიასთან დაწყებული ომის შემდეგ 614/616 წლამდე ქართლში მიმდინარე ამბებისადმი ხოსრო II-ის „მოუცლელობის“ შესახებ ა. ბოგვერაძეც წერს, და ზ. ალექსიძეზე დაყრდნობით, იქვე მიუთითებს რომ ომის დაწყების შემდეგ ხოსრო II-მ „თავის სარწმუნოებრივ პოლიტიკას აშკარად გამოხატული ანტიქალკედონიტური და ანტიბიზანტიური მიმართულება მისცა“ (7:276—277). მაგრამ, 614 თუ 616 წელს ზ. ალექსიძე თუ ადარნასეს გადაყენებისა და კვლავ სტეფანოზ I-ის აღდგენაზე მიუთითებს, ა. ბოგვერაძის მტკიცებით, 614/616 წელს ადარნასეს მაგიერ ქართლის ერისთავთა-მთავრის ტახტზე ხოსრო II-მ ვარსამუსე დასვა[1] და იგი იცავდა 627/628 წლებში თბილისს ირანელებთან ერთად. თბილისის აღების შემდეგ, ჰერაკლემ „ჯოჯოხეთური სატანჯველი გადაუწყვიტა“. უბედურ ტყვეს ჯერ „თვალები დათხარეს, შემდეგ... ტყავი გააძვრეს...“ (7:279-282).

რამდენად მისაღებია ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ზემომოყვანილი მოსაზრებანი? ქართლის კათალიკოსმა კირონმა მართლა გადააყენა სტეფანოზ I 604 წელს ქართლის ერისთავთა-მთავრის ტახტიდან? (თუ ეს მოსაზრება არ დადასტურდება, მაშინ თავისთავად მოიხსნება 604 წელს ქართლის ტახტზე ადარნასეს, ხოლო 614/616 წლიდან ვარსამუსეს დასმის საკითხი).

ამთავითვე უნდა აღვნიშნო: 1. ძველ საისტორიო წყაროებში ქართლის ერისთავთა-მთავრის ტახტიდან სტეფანოზის გადაყენების შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება. 2. ზემოდასახელებული ავტორები სტეფანოზის გადაყენების თარიღად 604 წელს მიიჩნევენ. მეორე მხრივ კი, მცხეთის ჯვრის წარწერებში სტეფანოზი, მისი ძმა დემეტრე და კახეთის ერისთავი ადარნასე, რადგან ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებით იხსენიებიან, გამოდის, რომ წარწერები და ბარელიეფები ჯვრის ტაძარზე ქართლში მავრიკიოსის „მწეობისა და მოურავობის“ (ე. ი. 602 წლის 28 ნოემბრამდე) ხანაში ამოიკვეთა. იმ დროისათვის შექმნილი ვითარების გამო, როგორც ითქვა, დიოფიზიტური და მონოფიზიტური მრწამსი ქართლში მშვიდობიანად თანარსებობდა და მცხეთის ტაძარზე „ყოველი ქართლის“ მმართველნი ერთი-მეორის გვერდით გამოხატეს.

როცა მცხეთის ჯვრის წარწერები იკვეთებოდა, ქართლის საკათალიკოსო ტახტზე უკვე კირონი იჯდა, მაგრამ 602 წლის 28 ნოემბრამდე იგი სტეფანოზს არ დაპირისპირებია. ხოლო ამის შემდეგ, მისი დაპირისპირება სტეფანოზისადმი ეფექტური არ უნდა ყოფილიყო. რადგან, მავრიკიოსის მოკვლის შემ-

[1] ქართლის ერისმთავრად ვარსამუსე ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა მიიჩნია (9:306) 1973 წელს „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომში, ა. ბოგვერაძემ ეს მოსაზრება გაიმეორა. 1976 წელს მე დამაჯერებლად ვაჩვენე, რომ ვარსამუსე თბილისში კი არა, 627 წლის 12 დეკემბერს ნინევიის ნანგრევებთან ბრძოლაში იქნა დატყვევებული ბიზანტიელთა მიერ (იხ. 2). მიუხედავად ამისა, 1979 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში ა. ბოგვერაძემ მაინც შესაძლებლად ჩათვალა ვარსამუსე ქართლის ერისმთავარი ყოფილიყო (1:90). მისი ეს თვალსაზრისი აისახა 1988 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეორე ტომის რუსულ თარგმანში (გვ. 168).

დეგ. ირანისაკენ „მიქცევა“ სტეფანოზს ტახტის მყარად პყრობის გარანტიას აძლევდა. გამარჯვებული ხოსროსაკენ „მიქცეული“ ერისთავთ-მთავარი ამიერიდან ხელშეუხებელი პიროვნება უნდა გამხდარიყო. 602 წლიდან, როცა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე მავრიკიოსის მკვლელი ფოკა ავიდა და ხოსრომ იმპერიის წინააღმდეგ სამარი მოქმედება დაიწყო, არც ქართლის გარეთ და არც ქართლში არ იყო ძალა, რომელიც ხოსროს შიშით აიძულებდა სტეფანოზს ტახტი დაეტოვებინა. ე .ი. 602 წლის 28 ნოემბრიდან ირანის შაჰის შიშით გაბედავდა კირონი (თუნდაც მის კომპეტენციაში ყოფილიყო ქართლის ერისთავთა-მთავრის შეცვლის იურიდიული უფლება) ტახტიდან გადაეყენებინა ირანული ორიენტაციის, მონოფიზიტი — „სპარსეთისაკენ მიქცეული“, თუნდაც ქართლისათვის „ურწმუნო“ სტეფანოზი და მის მაგივრად ბიზანტიური ორიენტაციის, ქალკედონიტი ადარნასე დაესვა? ვფიქრობ, რომ ვერა. ამ დროიდან თავისი ქვეშევრდომი საეპისკოპოსოებისა და ეპისკოპოსთა მიმართ თვით კირონიც ხომ შემრიგებლურ-უნიონალური პოლიტიკის გატარებას ცდილობდა (8:269, შდრ გვ. 251, შენ. 188). მით უმეტეს იგი თავს შეიკავებდა ისეთი ნაბიჯი გადაედგა, რომელიც შაჰს გაანაწყენებდა.

602 წლიდან კირონს ბიზანტიიდან არავითარი მხარდაჭერის გარანტია არ ჰქონდა. გარდა იმისა, რომ თვით იმპერიის შიგნით რთული მდგომარეობა შეიქმნა (14:180—181), ომის დაწყებისთანავე ხოსრომ დიდ წარმატებას მიაღწია, დაიპყრო იმპერიის თითქმის მთელი აზიური ნაწილი, 614 წელს აიღო იერუსალიმი, შემდეგ ეგვიპტეც კი დაიპყრო.

ბიზანტიელთა წინააღმდეგ ძლევამოსილად დაწყებული ომის მიუხედავად, ზ. ალექსიძის თანახმად, ხოსროს დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობისათვის რელიგიური თავისუფლება მიუცია და „ხორციელი სამსახურით“ დაკმაყოფილებულა. მხოლოდ იერუსალიმის „წარტყვევნის“ შემდეგ, — წერს იგი, — შეცვალა ხოსრომ რადიკალურად პოზიცია და ე. წ. „სპარსული კრებაც“ სწორედ ამიტომ მოიწვია, კრების განხილვის საგანი იყო ირანის სახელმწიფოს ხელქვეით მყოფი ქრისტიანი ქვეყნებისა და ტომების ალსარების საკითხი.. „კირონისა და აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მიმოწერის პერიოდში, — დასძენს ზ. ალექსიძე, — ქართლი მნიშვნელოვანი რელიგიურ-პოლიტიკური თავისუფლებით სარგებლობდა საერთაშორისო ასპარეზზე“ (8:196—197). აქედან გამომდინარე, იგი ფიქრობს, რომ 614 წლამდე კირონს მოქმედების თავისუფლება ჰქონდა.

ჯერ ერთი, საეჭვოა „საერთაშორისო ასპარეზზე“ ქართლს ასეთი „თავისუფლებით“ ესარგებლა. მეორე, მართალია, კირონი ხოსრო II-ის მიერ მოწვეულ ე. წ. „სპარსულ კრებაზე“ არ გამოცხადდა და ქალკედონის რწმენას არ უღალატა. მაგრამ, სამაგიეროდ, ხომ იძულებული გახდა ქართლის კათალიკოსის ტახტი დაეტოვებინა (8:198). ვფიქრობ, კირონს არც „სპარსულ კრებამდე“ უნდა ესარგებლა დიდი „რელიგიურ-პოლიტიკური თავისუფლებით“, რადგან, როგორც წყაროებიდან ჩანს, რელიგიურ შემწყნარებლობას ხოსრო მხოლოდ ახლადდაპყრობილი ბიზანტიური პროვინციების მოსახლეობის მიმართ იჩენდა. ხოლო 591 წლის შეთანხმებით ბიზანტიისათვის გადაცემულ ოლქებში, სადაც მავრიკიოსმა დიოფიზიტების დანერგვა სცადა, მან მაშინვე აღადგინა მონოფიზიტობა. მაგ., 607 წ. გააერთიანა სომხეთის ეკლესია, ასევე ქ. ედესის აღებისთანავე (607 წ.) ქალაქის მოსახლეობას მოსთხოვა ნესტორიანობის ან მონოფიზიტობის აღსარება და არავითარ შემთხვევაში „ქალკედონის რწმენისა“, რადგან ეს რწმენა იყო... ბიზანტიელებისა (14:202. მესოპოტამიის დაუფლებისთანავე ხოსრომ ბრძანება გასცა ქალკედონიტებს დაეტოვებინათ საეპისკოპოსო კათედრები. იქვე. გვ. 282).

ის მკვლევრები, რომლებიც მონოფიზიტური მრწამსის გამო კირონის მიერ სტეფანოზ II-ის გადაყენებაზე წერენ. „ეპისტოლეთა წიგნის“ მონაცემებს ეყრდნობიან. აღნიშნულ წყაროში 606—608 წლების ქართლის ამბებიცაა გადმოცემული და მიმოწერაში სტეფანოზი არ იხსენიება. სამაგიეროდ ქართლის მთავართა შორის „ატრნერსე“ (ადარნასე) ყოველთვის პირველად არის დასახელებული (იგი პირველად XI ეპისტოლეში იხსენიება. ზ. ალექსიძე ამ ეპისტოლეს 606 წლის ზაფხულით ათარიღებს. 8:143—144, შენ. № 2).

დავუშვათ „ეპისტოლეთა წიგნში“ მოხსენიებული ადარნასე მართლაც იყო ქართლის ერისთავთა-მთავარი, რომელ წელს უნდა შეეცვალა მას სტეფანოზ I?

ივ. ჯავახიშვილს ადარნასეს მიერ ქართლის ერისთავთა-მთავრის ტახტის დაკავების თარიღად 604 წელი მიაჩნდა (ტფილისის უნ-ტის მოამბე, II, 1922/23, გვ. 325). ამავე აზრისაა ზ. ალექსიძე (8:251 შენ. 188). გ. ჩუბინაშვილი ამ მოვლენას 604-607 წლებს შორის მომხდარად მიიჩნევს (15:23), ხოლო ა. ბოგვერაძე 602-603 წლებით ათარიღებს (7:276). ასე რომ, ზემოდასახელებული ავტორები სტეფანოზის გადაყენებას მავრიკიოსის მოკვლის შემდეგ მომხდარ ფაქტად თვლიან. გამოდის, რომ ის, რაც ვერ შეძლო მავრიკიოსმა 591 წლიდან 602 წ. 28 ნოემბრამდე, ქართლში თავისი „მწეობისა და მოურავობის“ ხანაში, მისი სიკვდილის შემდეგ, როცა საერთაშორისო ვითარება აშკარად სტეფანოზის სასარგებლოდ შეიცვალა, ქართლის კათალიკოსმა კირონმა თავისუფლად მოახერხა. „საკვირველი ის არის,

წერს ზ. ალექსიძე, — რომ სწორედ ხოსრო II წარმატებათა ხანაში, როცა მავრიკე კეისარი ტახტიდან ჩამოგდებულია, ფოკას წაგებული აქვს კავკასიის ასპარეზზე სპარსეთთან ცილობა დიპლომატიურად და პოლიტიკურად, როცა აღმოსავლეთის ქრისტიანი ქვეყნები, და მათ შორის სომხეთი, ირანის მხარეს იკავებს, ქართლი გაბედულ ნაბიჯს დგამს: კურსს იღებს ბიზანტიისაკენ და დასტურად ქალკედონის კრებას აღიარებს“ (8:187). კირონმა „ქართლი მონოფიზიტობიდან ქალკედონიანობაზე მოაქცია“, თუმცა „ქართლში რჩებოდნენ მონოფიზიტი ეპისკოპოსები და საეპისკოპოსოებიც კი (ან კიდევ, თემები ამ საეპისკოპოსოებში), საეპისკოპოსო საყდრებს იკავებდნენ ნესტორიანები. ქართლის კათალიკოსი ტოლერანტული იყო ქრისტიანული სექტების მიმართ და უნიონალური პოლიტიკის გატარებას ცდილობდა“ (3:269). ზ. ალექსიძის მტკიცებით, სწორედ ამ დროს შეცვალა კირონმა სპარსული ორიენტაციის მქონე მონოფიზიტის ერისმთავარი სტეფანოზი თავისი ერთგული ადარნასეთი.

რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან?

კირონი ჯერ მონოფიზიტი იყო. შემდეგ ხოსროს გამარჯვებათა ხანაში, აშკარად ბიზანტიის მხარეზე დადგა და „ქართლი მონოფიზიტობიდან ქალკედონიანობაზე მოაქცია“, თუმცა ქართლში რჩებოდნენ მონოფიზიტური საეპისკოპოსოებიც. იგი უშვებდა მწვალებლობებს, და ასეთი შემწყნარებლური, „უნიონალური პოლიტიკის გამტარებელმა“ კირონმა მარტო მონოფიზიტი სტეფანოზ I (რომლის ზურგს უკანაც ძლევამოსილი ხოსრო II იდგა) ვერ აიტანა და იგი (რანგით თავისზე მაღალი მოხელე, ქართლის გამგებელი) ერისთავთა-მთავრის ტახტიდან გადააყენა.

კირონი იყო ასეთი ძლევამოსილი თეოკრატიული მმართველი? რა თქმა უნდა, არა. კირონის შემწყნარებლური პოლიტიკა სხვადასხვა მიმართულების მორწმუნეთა მიმართ იქნებ სწორედ სტეფანოზ I-ის მონოფიზიტობით იყო ნაკარნახები. კირონი ხომ ვალდებული იყო ანგარიში გაეწია როგორც ქართლის მმართველისათვის, ისე ირანის შაჰისათვის, რომელიც მონოფიზიტებს მფარველობდა და დიოფიზიტებს დევნიდა. კირონი მართლაც დიდ ანგარიშს რომ უწევდა შაჰს, ეს „ეპისტოლეთა წიგნიდანაც“ ჩანს.

სომეხთა კათალიკოსი აბრაამ ალბათანაცი თავის პირველ ეპიტოლეში კირონს წერს: „დაუჯერებლად გვეჩვენა: უცხო სამეფოსთან რომ შექმნა მეფეთა-მეფის მონათაგანმა სიყვარულის ერთობა“ 8:(68). კირონი პასუხობს. „ჩვენც და თქვენც.... მეფეთა-მეფის მონები ვართ... მეფეთა-მეფე ისევე უფალია რომაელთა, როგორც არიელთა ქვეყნისა და ასე არ არის, როგორც თქვენ მოიწერეთ, რომ სხვადასხვა არიან სამეფონით“ (8:71-72).

ზ. ალექსიძის ვარაუდით, კირონის ეპისტოლის ეს ადგილი X ს. სომეხ ისტორიკოს უხტანესს გადაუკეთებია და ცდილობს, კირონთან ერთად, კორექტივი შეიტანოს აბრაამის სიტყვებში და ბიზანტია სპარსეთის ქვეშევრდომად გამოაცხადოს (8:158, შენ. 5).

უხტანესმა მართლა გადააკეთა თუ არა კირონის სიტყვები, ახლა ამის დამტკიცება ძნელია. ფაქტი ისაა, რომ იმ დროისათვის ხოსროს იმპერიის აზიური მიწების უდიდესი ნაწილი ჰქონდა დაპყრობილი. შესაძლოა სწორედ ეს გარემოება აქვს კირონს მხედველობაში. კირონის ამ ხანის მოღვაწეობაში სულაც არ შეიმჩნევა „ბიზანტიისაკენ აღებული კურსი.“ ასეთი პოლიტიკის გატარებას კირონი მავრიკიოსის სიცოცხლეშიც კი ვერ ბედავდა. კირონის იმ დროის მოღვაწეობასა და საქმიანობას კარგად ახასიათებს უხტანესი. „კირონმა,— წერს იგი, — თავისი ნება ორად გაყო, გადაიხარა ბერძენთა მხარეს, თაყვანს სცემდა მავრიკე კეისარს“ (8:155). მეორეს მხრივ, თანც ეშინოდა, „რომ მეფისაგან სარწმუნოების გამოძიება იქნება სომეხ აზნაურთა გავლენითო და ამბობდა: „ღმერთმა ადიდოს მეფეო“. ასე ორივე ფეხით კოჭლობდა. იხრებოდა [ხან] ამ მხარეს (ხან იმ მხარეს 8:157).

ასეთი პოლიტიკის გამტარებელი კირონი ცხადია, სტეფანოზ I-ის წინააღმდეგ ვერ გამოქიდოდა.

დავუშვათ, 599 წელს ქართლის საკათალიკოსო ტახტზე ასული კირონი მავრიკიოსის მხარდაჭერით მართლაც დაუპირისპირდა სტეფანოზს. ამ შემთხვევაში სტეფანოზის წინააღმდეგ საბრძოლველად (გადასაყენებლად) კირონს სულ ცოტა 3 წელი (599 წლიდან — 602 წ. 23 ნოემბრამდე) ჰქონდა. მაგრამ, იგი ამ დროს უმოქმედობას იჩენდა. რატომ? ამაზე პასუხს ისევ უხტანესის თხზულებაში ვპოულობთ. კირონს ტახტზე ასვლისთანავე, — წერს იგი — არ გამოუაშკარავებია თავისი დიოფიზიტური მიმართულება, „ორ წელს ემორჩილებოდა ჭეშმარიტებას, ხოლო ამის შემდეგ იწყო ულმერთოება და ჭეშმარიტების მოტყუება“ (8:25). ე. ი. 599 წლიდან 2 წლის განმავლობაში კირონი კვლავ მონოფიზიტად რჩებოდა („ემორჩილებოდა ჭეშმარიტებას“). ამ ხანებში იგი სტეფანოზის წინააღმდეგ ვერ გამოვიდოდა. მან მხოლოდ 601 წლიდან დაიწყო ანტიმონოფიზიტური საქმიანობა. ამ შემთხვევაშიც კირონისა და მავრიკიოსის განკარგულებაში 1 წელი იყო, რათა მონოფიზიტი სტეფანოზი გადაეყენებინათ. მაგრამ, ამ დროსაც სტეფანოზი ქართლის მმართველად რჩებოდა. როგორც ზემოთაც ითქვა, გაკვირვებას იწვევს ქართლში მავრიკიოსის „მწეობისა და მოურავობის“ ხანაში მისი პა-

სიურობა. იგი ჯერ იწყნარებდა მონოფიზიტ კათალიკოს ბართლომეს, შემდეგ 2 წელი „ჭეშმარიტების მორჩილ" (ე. ი. მონოფიზიტ) კირონს. მან დიოფიზიტობაზე არ თუ „ყოველი ქართლის", თავისი კუთვნილი ქართლის მოსახლეობის მოქცევაც ვერ შოახერხა.

სავარაუდებელი ერთია, როგორც ჩანს, ბიზანტიელთათვის გადაცემულ ქართლშიც კი მავრიკიოსის უფლებები ნომინალური იყო თუმცა, ქართლის მმართველებისათვის მას ბიზანტიის საიმპერატორო კარის ტიტულები უბოძებია.

ამრიგად, ქართლში მავრიკიოსის „მწეობისა და მოურავობის" ხანაში სტეფანოზ I ქართლის ერისთავთა-მთავრად რჩებოდა. 602 წლის 23 ნოემბერს, მავრიკიოსის მოკვლის შემდეგ, როცა ხოსრო II-მ ომი დაიწყო, სტეფანოზი „განუდგა ბერძენთა და მიექცა სპარსთა", რის შემდეგაც იგი ხელშეუხებელ პიროვნებად იქცა. და, მართლაც 604/605 წელს დამთავრებულ მცხეთის ჯვრის კედელზე იგი ხომ ცენტრალურ ფიგურადაა წარმოდგენილი.

ჯვრის მონასტრის რელიეფურ გამოსახულებათა შორის სტეფანოზ I-ის ცენტრალურ ფიგურად გამოსახვა განპირობებული უნდა ყოფილიყო არა მარტო მისი ერისთავთა-მთავრობითა და პატრიკიოსის მაღალი ტიტულით არამედ გორგასლიანთა სახლის შთამომავალთა შორის თანამდებობით უფროსობითაც. სტეფანოზი, როგორც ქართლის ერისთავთა-მთავარი, პირველი პიროვნება იყო „ყოველ ქართლში".

606/608 წლებში ქართლის ერისთავთა-მთავარი სტეფანოზ I რომ არ ყოფილიყო და იგი მართლაც კირონს გადაეყენებინა, ადვილი წარმოსადგენია, რა მწვავე ფორმით აისახებოდა ეს ფაქტი „ეპისტოლეთა წიგნში". დიოფიზიტობაზე კირონის გადასვლის ამბებზე სომხეთის სამღვდელოებამ თუ განგაში ატეხა. ცხადია, მას არაერთხელ დააყვედრებდნენ მონოფიზიტი სტეფანოზის გადაყენების საქმეში მწირეოდენ წვლილსაც კი. „ეპისტოლეთა წიგნში" სტეფანოზის მოუხსენებლობა, შესაძლოა იმ ხანად სტეფანოზის ქართლში არყოფნით იყო გამოწვეული. 602 წლიდან (ომის დასაწყისი) 618 წლამდე (ხოსროს მიერ ეგვიპტის დაპყრობა) სტეფანოზი მართლაც არ იქნებოდა ქართლში. იგი, როგორც ირანის ქვეშევრდომი ქვეყნის მმართველი, მოვალე იყო ქართლს ლაშქრით ხოსრო II დროშის ქვეშ ებრძოლა. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მართალია საისტორიო წყაროებში ცნობები არა გვაქვს, მაგრამ ირანის მხარეზე ქართლის ჯარის მონაწილეობის აუცილებლობაზე მიგვითითებს 627 წლის ამბები. იმ დროს როცა სტეფანოზი ირანელებთან ერთად თბილისს იცავდა, ქართლის ჯარი ნინევიის ნანგრევებთან ირანელთა მხარეზე იბრძოდა მითუმეტეს. 606—609 წლებში (ამ წლებში იხსენიება ეპისტოლეთა წიგნში" ადარნასე ქართლის მთავრად — როცა ქართლს გარედან საფრთხე არ ემუქრებოდა. სტეფანოზი ქართლის ლაშქრით შაჰის გვერდით იქნებოდა (ომის დაწყებამდე ხოსროს ჯარი სომხეთშიც შეუპყრებია). ამ წლებში ქართლის მთელ საქმეებს, როგორც ჩანს, კირონ კათალიკოსი განაგებდა. კირონის შემდეგ „ყოველ ქართლში" მეორე პიროვნება კახეთის მთავარი ადარნასე იქნებოდა. ამიტომ იხსენიება იგი „ეპისტოლეთა წიგნში" ქართლის მთავართა შორის პირველად.

ამრიგად, არ დასტურდება ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრება, 604 წელს ქართლის ერისთავთა-მთავრის ტახტიდან სტეფანოზ I-ის გადაყენების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, 604 წელს ადარნასე ვერ დაიკავებდა ტახტს, და 614 ან 616 წელს ხოსრო II-ის მიერ ადარნასეს გადაყენებაზე და მის მაგივრად კვლავ სტეფანოზის (ზ. ალექსიძე) ან ვარსამუსეს (ივ. ჯავახიშვილი, ა. ბოგვერაძე) დანმაზე საუბარი არ შეიძლება. დაახლ. 601 წელს დაიკავა რა სტეფანოზმა ქართლის ტახტი, იგი ამის შემდეგ გადაყენებული არ ყოფილა, ხანამ 628 წელს იმპერატორ ჰერაკლეს მოკავშირე თურქთა ლაშქარმა თბილისი არ აილო და რანელ მხედართმთავართან ერთად, იგი სიკვდილით არ დასაჯეს.

აი, როგორ არის აღწერილი სტეფანოზის ბრძოლისა და დაღუპვის ამბავი ფსევდო-ჯუანშერთან. 627 წელს, როცა მოკავშირეთა ლაშქარი თბილისს მოადგა, „ამან სტეფანოზ არა ინება განდგომა სპარსთაგან, და განამაგრა ციხე-ქალაქნი, და დადგა ტფილისსა შინა. მოვიდა ერაკლე მეფე და მოადგა ტფილისსა. ხოლო სტეფანოზ იყო ქუელი მხედარი და შემმართებელი; დღეთა ყოველთა გამოვიდის ჯართა ქალაქისათა, და ებრძოდის ბერძენთა. მაშინ უკუე მას წყობასა შინა ჩამოაგდეს სტეფანოზ და მოკლეს (10:224).

სტეფანოზი 628 წელს თბილისის დედა ციხის -კალას აღების შემდეგ დასაჯეს, მაგრამ როგორ?

627 წელს მოკავშირეებმა როცა თბილისი ვერ აიღეს, ამით გათამამებულმა ქალაქის დამცველებმა იმპერატორსა და მის მოკავშირე ჯაბღუს დასცინეს, იმპერატორს „ვაც-ბოტობით" უხმეს, ხოლო ჯაბღუს სახე გოგრაზე გამოხატეს. მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, 628 წელს, როცა ჯაბღუმ კალა აიღო, მის წინაშე ქალაქის დამცველთაგან ორი ტყვე წარადგინეს. ჯაბღუმ ბრძანა მათთვის თვალები დაეთხარათ, იმის სამაგიეროდ, რომ შეურაცხყოფის მიზნით მისი სახე სურათზე ბრმა დახატეს" (5:77. ფსევდო-ჯუანშერის თანახ-

მად, ციხისთავს ჯერ „პირი დრამკნითა აღუვსეს“, „მერე გააძვრეს ტყავი“. (10:225).

იმ ორ პიროვნებას შორის, რომელთაც ჯიბღუმ წამებით ამოხადა სული, ერთი ირანელი სარდალი, მეორე კი სტეფანოზი უნდა ყოფილიყო. ახეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას ფსევდო-ჯუანშერის შემდეგი ცნობა იძლევა. იგი, დატყვევებული პიროვნებების ამბავს როცა გადმოგვცემს, იქვე დასძენს: „ესევითარითა სიკვდილითა წარეგნეს სტეფანოზ და მსახურნი მისნი“. შემდეგ ნიშნის მოგებით უმატებს: „ამისთჳს უყო ესე ღმერთმან მთავარსა მას სტეფანოზს, რამეთუ არა მინდობითა ღმრთისათა ცხოვნდებოდა: მორწმუნეთა ემტერებოდა და ურწმუნოთა მოყუარობდა“ (10:226).

სტეფანოზის სიკვდილის დასჯის შემდეგ, „შვილნი სტეფანოზისნი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა“ (10:226). ქართლის გამგებლად ჰერაკლემ ვახტანგ გორგასლის უფროსიძის — დაჩის შთამომავალი, კახეთის მთავარი დიოფიზიტი ადარნასე დასვა (10:225—226). როგორც ქართულ ენციკლოპედიაში ჯვრის ტაძრისადმი მიძღვნილ სტატიებში (ტ. XI, ჯვარი მცხეთისა, ჯვრის წარწერები, იქვე ჩანართზე წარწერები) და ქართული წარწერების კორპუსში (4:86) არის ნათქვამი, თითქოს ადარნასე სტეფანოზის ძე და მემკვიდრე იყო არაა სწორი. სტეფანოზის მამა გუარამი ვახტანგ გორგასლის (მეორე მეუღლის დედოფალ ელენესაგან ნაშობი) ახულის წული იყო. დედით ფარნავაზიანი, მამით ბაგრატიონი (10: 218. შდრ. ქსე, ტ. 8, სტ. გუარამი).

რაც შეეხება ვარსამუსეს, იგი, როგორც ცნობილი გერმანელ აღმოსავლეთმცოდნე ი. მარკვარტი ფიქრობდა, ქვემო ქართლის პიტიახში უნდა ყოფილიყო (დაწვრილებით იხ. 2).

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ბოგვერაძე ა., ქართლის პოლიტ. და სოც-ეკონ. განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბ., 1979.

2. გოილაძე ვ., არის თეოფანე ჟამთააღმწერელთან მოხსენიებული ვარსამუსე ქართლის ერისმთავარი? „მაცნე“, ისტ. სერია, 1976 № 1.

3. ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968.

4. ლაპიდარული წარწერები. I, გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

5. მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985.

6. მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბ., 1979.

7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II თბ., 1973.

8. უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომხეთაგან. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975.

9. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თხზ. ტ. I, თბ., 1979.

10. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1955.

11. Грантовский Э. А., Ирано-византийские войны 6—7 вв. Советская ист. энциклопедия, т. 6.

12. История епископа Себеоса. Перевод с армянского С. Малхасянца, Ереван, 1939.

13. Кулаковский Ю., История Византии, т. II, Киев, 1912.

14. Пигулевская Н. В., Византия и Иран на рубеже VI и VII веков, М.-Л., 1946.

15. Чубинашвили Г., Памятники типа «Джвари». Тб., 1948.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელა პატარიძე

# „აღმართა ჯვარი მაღ“...

„წმინდა ნინოს ცხოვრება“ ქართული ორიგინალური მწერლობის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია. ეს თხზულება გარდა იმისა, რომ ქართლის განმანათლებლის — წმ. ნინოს ცხოვრებას ეხება, ის ქართლის გაქრისტიანების ადგილობრივ, ეროვნულ ვერსიას წარმოადგენს. ამიტომ ამ თხზულების გაგება ფაქტობრივად ნიშნავს ქართლის გაქრისტიანების არსის წვდომას იმ სახით, როგორც ეს ამ კულტურული აქტის თანამონაწილეთ ჰქონდათ წარმოდგენილი. ბუნებრივია, რომ „ნინოს ცხოვრების“ გაგებას უდიდესი როლი ენიჭება აღნიშნული აქტის (გაქრისტიანების) კულტურულ-რელიგიური არსის განსაზღვრისათვის.

ამჟამად ჩვენ შევეხებით ქართლის გაქრისტიანების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეპიზოდს — მცხეთაში ჯვრის აღმართვას. ეს მოვლენა (ჯვრის აღმართვა) „ნინოს ცხოვრების“ ორ, ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურად დაცილებულ ნაწილშია აღწერილი. ერთია „ნინოს ცხოვრების“ ორგანული ნაწილი, ერთ-ერთი თავი, რომელიც დასათაურებულია ამგვარად: „პატიოსნისა ჯუარისათვის, რომელი აღწერა იაკობ“, ხოლო მეორე წარმოადგენს შენაზარდ თავს — „აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისაჲ და მერმე კუალად გამოჩინებაჲ“. ეს ორი მონაკვეთი „ნინოს ცხოვრებისა“ თუმცა ერთსა და იმავე მოვლენას ეხება, მაგრამ როგორც კვლევა-ძიებამ დაგვანახა, მათ სრულიად სხვადასხვა ისტორიული და კულტურული სარჩული გააჩნიათ. ქვევით განვიხილავთ ამ ორივე თავს ცალ-ცალკე.

იაკობის მიერ აღწერილი თავი „პატიოსნისა ჯუარისათვის“ მცხეთაში ჯვრის აღმართვის ამბავს მოგვითხრობს. ის ასე იწყება: „და იყო რაჟამს მოეკუეთა ხჱ იგი პატიოსნისა ჯუარისაჲ და მოაქუნდა იგი ათსა ათეულსა კაცსა ზჱზჱ რტოითურთ“. მლოცველთა დიდ პროცესიას ხე ქალაქში შემოუტანია და ეკლესიის სამხრეთ კარიბჭესთან მიუყუდებია. ხე მოუჭრიათ 25 მარტს, პარასკევ დღეს. ოცდაჩვიდმეტი (37) დღის შემდეგ, პირველ მაისს, მისგან დაუმზადებიათ სამი ჯვარი, შეუტანიათ ეკლესიაში და იქ ერთი კვირით დაუსვენებიათ. 7 მაისს კი ჯვარი არაგვის გაღმა მდებარე ბორცვზე აღუმართავთ. ხოლო იმ დროს, როდესაც ჯვრები ეკლესიაში, ესვენა ღამით ზეციდან ჩამოვიდა „ჯუარი ცეცხლისაჲ დაგვირგვინებული ვარსკვლავითა და დადგრის ზედა ეკლესიასა ვიდრე განთიადამდე“. განთიადისას კი გამოვიდა მისგან ორი ვარსკვლავი, ერთი წავიდა აღმოსავლეთით, მეორე დასავლეთით. თავად ჯვარი კი „დგაჲ ბრწყინვალედ და ნელიად-ნელიად განდგის მიერ კერძო არაგუსა და დადგის ბორცუსა ზედა კლდისასა და მუნით ამაღლდის ზეცად“. ვარსკვლავებმა მიუთითეს ის ადგილები, სადაც ჯვრები უნდა აღემართათ: თხოთის მთა (მირიანის მოქცევის ადგილი) და დაბა ბოდი (წმ. ნინოს სიკვდილის ადგილი). ხოლო ცეცხლის ჯვარი დადგა და შემდეგ ამაღლდა იმ მთიდან, რომელზედაც მცხეთის ჯვარი უნდა აღემართათ.

წმ. ნინოს რჩევისამებრ, მეფემ გაგზავნა ხალხი იმ ადგილების მოსაძებნად, რომლებიც ცეცხლოვანი ჯვრიდან გამოსულმა ვარსკვლავებმა მიანიშნეს. ათი დღის ძებნის შემდეგ „პარასკევს შაბათ-ღა“ განთენდებოდა. დაბრუნდა დასავლეთით და აღმოსავლეთით გაგზავნილი ხალხი და აუწყა მეფეს ვარსკვლავების მიერ მითითებული ადგილები. მეფემ, ისევ წმ. ნინოს რჩევით, ორი ჯვარი აღმართა მითითებულ ადგილებზე. ამ ეპიზოდს მოსდევს მცხეთის ჯვრის აღმართვის სცენა, რომლითაც სრულდება იაკობის თავი.

იმისათვის, რომ ამ თავში აღწერილი რიტუალის მსვლელობა შეძლებისდაგვარად აღვადგინოთ, ჯერ თვით იაკობის თავის კომპოზიცია და მასში აღწერილ მოვლენათა თანმიმდევრობის გარკვევაა საჭირო.

საქმე იმაშია, რომ იაკობის მონათხრობზე

დაკვირვება აამჟღავნებს მისი კომპოზიციური აგების ერთ თავისებურებას. კერძოდ, ამ თავში მოვლენათა დროში თანმიმდევრობა არ არის მათი აღწერის თანმიმდევრობის იგივეობრივი.

უპირველეს ყოვლისა აშკარაა, რომ ავტორი რაღაც აზრს ხედავს მცხეთის ჯვრის აღმართვასთან დაკავშირებული თარიღების ურთიერთკავშირში, რადგან ცდილობს ისინი არ დააცილოს ერთმანეთს. ავტორი წერს: „და ესემოვმჯუეთეთ თუესა მრტსა: კე-სა (25, ლ. პ.). დღესა პარასკევსა, და დაადგრა ხე იგი ოც და ათჩვიდმეტ დღემდე, და არა შეიცვალა ფურცელი მისი, ვიდრემდის ყოველნი ხენი მაღნარისანი შეიმოსნეს ფურცლითა და ხენი ნაყოფიერნი შეიმკვნეს ყუავილითა. მაშინ თთუესა მაისსა ერთსა შეიქმნნეს ჯუარნი ესე და შჳდსა მის თჳსასა აღემართნეს ცეცხლის დადებითა მეფისათა, სიხარულითა და დიდითა წადიერებითა ყოვლისა ქალაქისაითა. იყვნეს რაი ყოველნი იგი (ჯვრები, ლ. პ.) ეკლესიასა შინა, იხილეს სიმრავლემან ქალაქისამან ბნელთა მათ ღამეთა და აჰა ჩამოვიდის ჯუარი ცეცხლისაი დაგჳრგვნებული ვარსკულავითა და დაადგრის ზედა ეკლესიასა ვიდრე განთიადამდე"...

როგორც ვხედავთ, ავტორი ჯერ საუბრობს ხის მოჭრის, ჯვრების შექმნისა და მცხეთის ჯვრის აღმართვის თარიღების შესახებ (25 მარტი, 1 და 7 მაისი), შემდეგ კი აღნიშნავს: როდესაც ჯვრები ეკლესიაში იყო დასვენებული, ღამით ესა და ეს სასწაული ხდებოდაო. და შემდეგ განაგრძობს თხრობას: მაშასადამე, ჯვრის აღმართვის თხრობაში ერთგან ავტორმა გაუსწრო მოვლენათა თანამიმდევრულ მსვლელობას, რათა ჯვრის აღმართვის ყველა თარიღი ერთ კონტექსტში გამოეთქვა, ხოლო ამის შემდეგ დაუბრუნდა იმ ადგილს, საიდანაც მომხდარი სასწაულების შესახებ საუბარი უნდა განეგრძო.

თხრობის ასეთმა სტილმა უზრუნველყო სასურველი ეფექტი. ჯვრის აღმართვის მთელი პროცესი, ძირითადი თარიღებითურთ დასაწყისში მოცემულია შემჭიდროებული სახით და ამით ადვილად აღიქმება ამ პროცესის ერთიანობა და მისი შემადგენელი მომენტების ურთიერთკავშირი.

ხის მოჭრის, მისგან ჯვრების დამზადებისა და მცხეთის ჯვრის აღმართვის „განრიგის" წარმოდგენის შემდეგ, იაკობ მღვდლის აღწერილ თავში საუბარია იმ სასწაულების შესახებ, რომლებიც ეკლესიის თავზე გამოისახება მაშინ, როცა ჯვრები ეკლესიაში ესვენა. აი როგორი იყო ეს სასწაული: „და აჰა ჩამოვიდის ჯუარი ცეცხლისა დაგვირგვინებული ვარსკვლავითა და დაადგრის ზედა ეკლესიასა ვიდრე განთიადმდე... და განთიად, რიჟურაჟუს იდენ, გამოვიდეს მისგან ორი ვარსკულავი; ერთი იგი წარვიდის აღმოსავლით და ერთი დასავლით, და იგი თავადი ეგრეთვე [illegible] დგან მბრწყინვალედ და ნელიად-ნელიად განდგის მეიერ კერძო არაგუსა და დადგ[illegible] კლდისასა, ზემო კერძო, აღ[illegible] რომელი—იგი აღმოადინეს ცრემლთა წმიდისა ნინოასთა, და მუნით აღმაღლდის ზეცად. ესე მრავალგზის იხილა ყოველმან სიმრავლემან ერისამან მაცხოვრებაი ღმრთისა ჩუენისაი".

ამის შემდეგ იაკობის მიერ აღწერილ თავში საუბარია იმის შესახებ, რომ წმ. ნინოს რჩევით მეფეს გაუგზავნია „კაცნი" იმ ადგილების მოსაძიებლად რომლებიც ცეცხლოვანი ჯვრიდან გამოსულმა ვარსკვლავებმა მიუთითეს. ათი დღის ძიების შემდეგ, პარასკევს „შაბათ-ღა განთენდებოდა იყო სასწაული იგივე". „ხვალისა დღე" (ე. ი. შემდეგ დღეს) დაბრუნებულან შიკრიკები და უთქვამთ სასწაულით მინიშნებული ადგილების მდებარეობა. მაშინ წაუღიათ ორი ჯვარი და აღუმართავთ დანიშნულ ადგილებზე. მკითხველმა უკვე იცის, რომ მთავარი ჯვარი არაგვის გაღმა მდებარე ბორცვზე აღუმართავთ ჯვრების შექმნიდან (1 მაისი) მეშვიდე დღეს — 7 მაისს, ხოლო დანარჩენი ჯვრებისათვის ადგილი ათი დღე უძებნიათ. გამოდის, რომ ჯერ აღუმართავთ მცხეთის ჯვარი და მხოლოდ ამის შემდეგ ორი დანარჩენი, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, იაკობის თავში ჯერ ორი ჯვრის აღმართვის შესახებ მოგვითხრობს ავტორი ,და მხოლოდ ამის შემდეგ აღწერს მთავარი ჯვრის აღმართვის ამბავს, რითაც ასრულებს მთელ მოთხრობას. მაშასადამე, მოვლენათა აღწერის თანამიმდევრობა აქ არ ემთხვევა მათ დროში თანამიმდევრობას.

მაინც როდის აღმართეს ორი ჯვარი? ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ შიკრიკები გაგზავნეს იმ დროს, როცა ეს სასწაულები ხდებოდა, ე. ი. 1 მაისიდან 5 მაისის ჩათვლით, რადგან 8 მაისს ერთი ჯვარი უკვე გამოტანილი იყო ეკლესიიდან (იაკობი იუწყება, რომ 7 მაისს, ჯვრის აღმართვის წინა ღამით, მათ „ნინოს წყაროსთან" უთევიათ ღამე). თუ გავითვალისწინებთ იმ მინიშნებას, რომ ვარსკვლავების ძიების მეათე დღე იყო პარასკევი („შაბათ-ღა განთენდებოდა"), უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის 7 მაისის სწორი შაბათი, ანუ 14 მაისი. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ მეფეს შიკრიკები 4 მაისს გაუგზავნია და იქიდან მეათე დღე სწორედ მცხეთის ჯვრის აღმართვის სწორზე — 14 მაისზე მოსულა. „ხვალისა დღე" მოვიდნენ მეფესთან დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხარეს გაგზავნილი შიკრიკები და აცნობეს სასწაულის ადგილი, რის შემდეგაც ეკლესიიდან უმალ გამოუტანიათ ორი ჯვარი და დანიშნულ ადგილებზე აღუმართავთ. „ხვალისა დღე" — ეს არის უკანასკნელი კონკრეტული მინიშნება ჯვრების აღმართვის საერთო ცერემონიალში. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის 15 მაისი.

მაინც რატომ მოგვითხრობს იაკობი მცხეთის ჯვრის აღმართვის ამბავს მხოლოდ ორი ჯვრის აღმართვის შემდეგ? როგორც დავინახეთ, თხზულებაში სრულიად კონკრეტულად არის მითითებული მოვლენათა თანამიმდევრობაც და მათი კალენდარული მაჩვენებლებიც; ასე რომ, ამ შემთხვევაში ავტორს დროის ფაქტორის უგულებელყოფას ვერ დავწამებთ; მოვლენების აღწერის ამგვარი თანამიმდევრობა იაკობის მიერ აღწერილი თავის სტილისტიკითა და კომპოზიციური მთლიანობის მიღწევის აუცილებლობით უნდა აიხსნას: ამ თავის დასასრულს ესაჭიროებოდა ამაღლებული ჟღერადობა, ესაჭიროებოდა ისეთი სურათის აღწერა, სადაც თვალნათლივ გამოჩნდებოდა, თუ როგორ ზეიმობდნენ ქართლში ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვებას განმანათლებელი, სასულიერო პირები, მეფე, წარჩინებულნი და მთელი ერი. შევახსენებთ თავის „პატიოსნისა ჯუარისათჳს“ ფინალს: „და დასდვა ხელი წმიდამან ნინო ერთსა ქვასა და ჰრქუა მე: „მოვედ. შენდა ჯერ—არს, დასწერე ჯუარი ქვასა ამას“. და მე ვყავ ეგრეთ. და მუნ აღჰმართეს ჯუარი იგი დიდებით მეფეთა. და მოდრკა მეფჱ მუხლთა თჳსთა ზედა და ყოველნი მთავარნი, და ყოველი სიმრავლჱ ერისაჲ და თაყუანის-სცეს ძლევით შემოსილსა ჯუარსა და აღიარეს ჯუარცმული იესო ქრისტე ჭეშმარიტად ღმრთად და ძედ ღმრთისა ცხოველისად და ჰრწმენა სამებით დიდებული ღმერთი ყოველთა, რომელსა შუენის დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ“.

კარგა ხანია სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო „ნინოს ცხოვრების“ ამ თავში წარმოდგენილმა საჯვარე ხის მოჭრის რიტუალის აღწერამ. ეს რიტუალი ზოგიერთი მათგანის მიერ ინტერპრეტირებულ იქნა ქართული წარმართული რწმენა—წარმოდგენების შუქზე. ნ. ხაზარაძისა და თ. ცაგარეიშვილის ნაშრომში — „ხეთურ-ქართული მითოლოგიური პარალელები“ — საუბარია ხეთურ მითოლოგიაში მომაკვდავი და აღორძინებადი ღვთაების — თელეფინუს მითში და სხვა ხეთურ რიტუალურ ტექსტებსა თუ დოკუმენტებში დადასტურებული საკრალური ხის (ეიას) იდენტიფიკაციის შესახებ. წერილის ავტორები მხარს უჭერენ თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ხეთური „ეია“ უნდა იყოს მარადმწვანე, წიწოვანი ხე — ურთხელი (Taxus ლათ.). ავტორების აზრით, ურთხელი, როგორც საკრალური ხე, დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიულ მასალაში, აგრეთვე ქართულ წერილობით წყაროებში. კერძოდ, ავტორებს მიაჩნიათ, რომ „ნინოს ცხოვრებაში“ მოხსენიებული ხე და მისი აქ წარმოდგენილი დახასიათება სრულ შესაბამისობაშია ხეთური ღვთაებრივი ხის ნიშან-თვისებებთან თუ ფუნქციებთან.

„ნინოს ცხოვრების“ განსახილველად წარმოდგენილ ეპიზოდს შეეხო რევაზ სირაძე. მკვლევარი თვლის, რომ იქ, სადაც აღწერილია 25 მარტს ნაძვის მოჭრა, [illegible] ზეიმით ქალაქში შემოტანა და [illegible] ადგილას — ეკლესიის მახლობლად მისი დასვენება, დადასტურებული უნდა იყოს მომაკვდავი და აღორძინებული ღვთაების თაყვანისცემის ელემენტები, რადგან ამ რიტუალს ბევრი რამ აქვს საერთო ფრიგიული ნაყოფიერების ღვთაების — კიბელას კულტის ზოგიერთ მხარესთან.

მკვლევარი თამილა მგალობლიშვილი ხის მოჭრის თარიღს — 25 მარტს გაზაფხულის ბუნიობის (დღეღამსწორობის) დღეს და მასთან დაკავშირებულ მითოლოგიურ—რელიგიურ რწმენა—წარმოდგენებს უკავშირებს.

„ნინოს ცხოვრების“ ხსენებულ ეპიზოდს შეეხო მკვლევარი კირილ თუმანოვი. 25 მარტს საკრალური ხის მოჭრის ფაქტი მას მიაჩნია „უდავოდ ავთენტურ დეტალად“, რომელშიც ხის თაყვანისცემის წარმართული წესია შემორჩენილი.

ამ რიტუალის კავშირი წარმართულ რწმენა-წარმოდგენებთან, მართლაც, ეჭვს არ იწვევს თუნდაც იმის გამო, რომ ამ ხეს თვით „ნინოს ცხოვრებაში“ მიეწერება ზებუნებრივი, სასწაულებრივი ძალა: „მონადირეთაგან ხმენით გუესმინა სასწაული ხისა მისს, — ამბობს მირიანი, — რამეთუ ოდეს ირემსაცა ეცის ისარი მიივლტინ ბორცუსა მას ქუეშე, რომელსა ზედა დგა ხჱ იგი, და სწრაფით ჭამნ თესლსა მას მის ხისასა ჩამოცვივნებულსა და სიკუდილისაგან განერის“. თუმცა ეს გარემოება აღნიშნული ფენომენის ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებას სრულიად არ უშლის ხელს, ვინაიდან, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია ნაჩვენები, ქრისტიანული რიტუალები ხშირად გარკვეულ შესაბამისობაში მოიყვანებოდა წარმართულთან, მაგ., გაზაფხულის ბუნიობის დღე მიჩნეული იყო ცოცხალი ბუნების საგაზაფხულო აღორძინებისა და მცენარეული ღვთაების მკვდრეთით აღდგომის დღედ. ზოგი ადრექრისტიანული სექტა ჯვარცმის დღეს ზეიმობდა არა მთვარის (მოძრავი) კალენდრის მიხედვით, არამედ ყოველ წელიწადს ერთსა და იმავე დღეს — 25 მარტს. ამიტომ ჩვენ დასაშვებად მივიჩნევთ, რომ 25 მარტს საჯვარე ხის მოჭრა სიმბოლურად უფლის ჯვარცმის გამომხატველი იყოს. ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს კრებულის კონტექსტი, კერძოდ ის, რომ ეს ხე „მოქცევაჲში“ ერთგან ქრისტესთან არის შედარებული: „და სულმამო იყო ხე იგი და შუენიერი ფრიად, ვითარცა მადლითა ქრისტე შემოსილი“.

შეხედულება 25 მარტს ქრისტეს ჯვარცმის შესახებ საფუძვლად დაედო ადრექრისტიანულ ქრონოლოგიურ გამოთვლას (ქრისტეს ჯვარც-

მის თარიღის გაანგარიშებისას) და სალვთისმსახურო კალენდარულ კრებულს.

25 მარტი არ არის ამ თავში მოხმობილი ერთადერთი რიცხვი. აქ ვხვდებით 1 და 7 მაისსაც. თუ ჩვენი დაკვირვება 25 მარტის სიმბოლური არსის ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირების შესახებ სწორია, უნდა გამოინახოს ლოგიკური კავშირი ამ რიცხვებს შორის ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფარგლებში.

„ნინოს ცხოვრებაში“ დაცული მცხეთის ჯვრის აღმართვის ამბავი პირდაპირ თუ არაპირდაპირ კავშირშია ადრექრისტიანულ ხანაში ფართოდ გავრცელებულ ლეგენდებთან, რომლებიც იერუსალიმში წმინდა ჯვრის პოვნას, აღმართვასა და სასწაულებრივ გამოჩინებას შეეხება. უკვე IV ს-ის იერუსალიმურ ღვთისმსახურებაში დასტურდება ამ ლეგენდებთან დაკავშირებული დღეების აღნიშვნა.

წმინდა ჯვრის იერუსალიმური დღესასწაულის ადგილი ადრეულ ქართულ ლიტურგიულ ძეგლებში შეისწავლა თამილა მგალობლიშვილმა. მკვლევარი თავის ნაშრომში მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქართულ მრავალთავში შემონახული წმ. ჯვრის დღესასწაულის საკითხავი (იერუსალიმში წმინდა ჯვრის პოვნის ლეგენდა) მრავალთავის არქეტიპს ე. ი. მის უძველეს ფენას განეკუთვნება; რომ ამ ლეგენდამ, როგორც ქართულმა, ისე ბერძნულმა და სომხურმა ვერსიებმა შემოგვინახა ჯვრის უძველესი იუდაურ-ქრისტიანული დღესასწაულის თარიღი. ესენია: არტემიზიის 20 (ბერძ.), ვარდობის 10 (ქართ.), მარერის 10 (სომხ.). თ. მგალობლიშვილის მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, ბერძნულ ვერსიაში მოცემული თარიღი იულიანური კალენდრით დაახლოებით 1 მაისზე მოვა. მკვლევარი ამ თარიღს უკავშირებს ქართულ წყაროებში („ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაი ქართლისაი“, იოანე ზოსიმეს კალენდარი, ხანმეტი ლექციონარი) დაცულ ცნობებს ჯვრის საგაზაფხულო დღესასწაულის შესახებ, რომელიც იმართებოდა აღდგომიდან მესამე კვირის ანუ აღდგომის „ზატიკის ზატიკს“, და თვლის, რომ „ნინოს ცხოვრების“ ცნობა 1 მაისს ჯვრების დამზადების შესახებ ჯვრის ხსენებული დღესასწაულის კერძო შემთხვევაზე უნდა მიუთითებდეს, რომელიც ქართლის გაქრისტიანების სავარაუდო ეპოქაში მოვიდოდა 826 ან 887 წელს (ავტორი უპირატესობას მეორე თარიღს ანიჭებს).

თ. მგალობლიშვილი იაკობის მიერ აღწერილ თავში დასახელებულ სხვა თარიღებსაც უძებნის ახსნას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი ხის მოჭრის თარიღს — 25 მარტს უკავშირებს გაზაფხულის ბუნიობის (დღეღამისწორების) დღეს, ხოლო 7 მაისს ჯვრის აღმართვას — კირილე იერუსალიმელის სახელთან დაკავშირებულ „ჯვრის გამოჩინების“ დღესასწაულს. კირილე იერუსალიმელი თავის ეპისტოლეში კონსტანტინე კეისრის მიმართ ქრისტიანობის ერთგულებისაკენ მოუწოდებს იმპერატორს და მას 851 წლის 7 მაისს იერუსალიმის ცაზე ჯვრის სასწაულებრივ გამოჩინებაზე მოუთხრობს, რასაც ხალხის მოქცევა მოჰყვა. ამ ფაქტს 7 მაისის ჯვრის დღესასწაულის დაწესება მოჰყოლია იერუსალიმში.

ამგვარად, თ. მგალობლიშვილი იაკობ მღვდლის მიერ მოთხრობილ თავში დასახელებულ ჯვრის შექმნისა და აღმართვის თარიღებს რიტუალურ საფუძველს უძებნის. ესენია: „აღდგომის ზატიკის ზატიკი“ და „ჯვრის გამოჩინების“ 7 მაისის დღესასწაული. ხომ არ გამომდინარეობს ამ მონაცემებიდან ის დასკვნა, რომ „ნინოს ცხოვრების“ ხსენებული თავის ავტორი სარგებლობს არა წერილობითი წყაროების მონაცემებით, არამედ, როგორც თვითმხილველი, აფიქსირებს იმდროინდელ საეკლესიო პრაქტიკის მსვლელობას? ასეთ შემთხვევაში დადგება დროის საკითხი: როდინდელი საეკლესიო წეს-ჩვეულებაა აღწერილი ამ თავში? თუ 7 მაისს მცხეთაში ჯვრის აღმართვის ფაქტი „ჯვრის გამოჩინების“ დღესასწაულს დაუკავშირდა, მაშინ იაკობი ამ თავში ვერც 826 და ვერც 887 წლის ამბებს ვერ აღწერდა, რადგანაც კირილე იერუსალიმელის დასახელებული ეპისტოლე 851 წელს დაიწერა. თუმცა შესაძლებელია იმის დაშვება, რომ ჯვრის ეს საგაზაფხულო დღესასწაულები რეალურად არსებობდა უფრო ადრე, ვიდრე ისინი წერილობით იქნებოდნენ ფიქსირებულნი მრავალთავებში, ეპისტოლეებში, მიმოსვლებსა თუ სხვა ჟანრის თხზულებებში. სწორედ ასეთი ვითარებაა წმ. ჯვრის პოვნის ლეგენდასა და იერუსალიმის ჯვრის დღესასწაულთან დაკავშირებით. მრავალთავში ამ დღესასწაულთან დაკავშირებული მასალა მხოლოდ V ს-ის მეორე ნახევარში შევიდა, ხოლო თვით ამ საკითხავში შემონახული თარიღის მიხედვით და სხვა წყაროების საფუძველზე ივარაუდება, რომ ჯვრის დღესასწაული უკვე უნდა არსებულიყო II-III სს-ის იერუსალიმურ ღვთისმსახურებაში.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მცხეთის ჯვრის აღმართვის თარიღები თავიანთ არქეტიპს იერუსალიმის სალვთისმსახურო პრაქტიკაში პოვებენ. 1 მაისი — ეს თარიღი დასტურდება როგორც წმ. ჯვრის აღმართვის დღე (ჯვრის პოვნის ლეგენდაში), ხოლო 7 მაისი, როგორც მისი ხელახალი გამოჩინების დღე (კირილე იერუსალიმელის ეპისტოლეში). ეს თარიღები უკვე IV საუკუნის იერუსალიმის ღვთისმსახურებაშია დადასტურებული. ხოლო რაც შეეხება მათი უფრო არქაული ფორმის

აღდგენისა და, საერთოდ ამ დღესასწაულის წარმოშობის საკითხს, ის დღესდღეობით საბოლოოდ გარკვეული არ არის. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ იერუსალიმში ჯვრის აღმართვის ფაქტი და საერთოდ კონსტანტინე დიდის დროს ქრისტიანობის გამარჯვების ისტორიამ ჯვრის გამოჩენის, პოვნისა და აღმართვის შესახებ წარმოშვა საკმაოდ ვრცელი ციკლი ლეგენდებისა, რომლებიც გავრცელდა მთელს რომის იმპერიაში და საკმაო ცვლილებები განიცადა სხვადასხვა ეთნო-პოლიტიკური თუ რელიგიური-კომფესიური სიტუაციების გამოისობით. თუ იაკობის მონათხრობი მცხეთაში ჯვრების აღმართვის შესახებ ერთგვარ ანარეკლს წარმოადგენს კონსტანტინე დიდის დროს იერუსალიმში მომხდარი ამბებისა, მაშინ იაკობის მონათხრობს გარკვეული ხინათლის შეტანაც კი შეუძლია იმ ვითარების წარმოსახვაში, რომელსაც იერუსალიმის ანალოგიით, მცხეთაში ჰქონდა ადგილი. საკითხის ამგვარი დასმა ლირებულია იმ შემთხვევაში, თუ იაკობი უშუალოდ არ სარგებლობს იმ წერილობითი წყაროებით, რომლებიც იერუსალიმში მომხდარი ხსენებული ფაქტის გარშემო შეიქმნა.

როგორც ვიცით, მცხეთის მთავარი ჯვარი 7 მაისს — შაბათ დღეს აღემართა. ბუნებრივად იბადება კითხვა—იერუსალიმში 351 წ. 7 მაისს ჯვრის ხელმეორედ გამოჩინებისა და მცხეთის ჯვრის აღმართვას შორის კავშირის არსებობის შესახებ. სარგებლობს თუ არა იაკობი კირილე იერუსალიმელის ეპისტოლეთი? და თუ არ სარგებლობს, რას უნდა მივაწეროთ ასეთი უცნაური თანხვედრა ჯვრის დღესასწაულის თარიღებისა მცხეთასა და იერუსალიმში?

იაკობი არსად არ უთითებს იერუსალიმში ჯვრის გამოჩინებისა და მცხეთის ჯვრის აღმართვას შორის რაიმე სიმბოლური კავშირის არსებობის შესახებ. იაკობის მიხედვით, 7 მაისი ჯვრის აღმართვის დღეა და არა ჯვრის ხელახალი გამოჩინებისა, როგორც ეს იერუსალიმელი ეპისკოპოსის ეპისტოლეშია მოთხრობილი. ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ იაკობი არ იცნობს კირილე იერუსალიმელის ეპისტოლეს და არც 7 მაისს უკავშირებს იერუსალიმში ჯვრის ხელახალი გამოჩინების დღესასწაულს. ამიტომ სავარაუდოა, რომ კირილე იერუსალიმელი და იაკობ მღვდელი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ეყრდნობიან ჯვრის საგაზაფხულო დღესასწაულის უფრო ადრეულ ტრადიციას და თავისებურ ინტერპრეტაციას უძებნიან მათ.

ელენე დედოფლის მიერ წმ. ჯვრის პოვნისა და აღმართვის ლეგენდების უძველეს რედაქციებში (როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ) მართლაც დასტურდება ჯვრის საგაზაფხულო დღესასწაულის თარიღი (ბერძ. — არტემიზიის — 20, ქართ. — ვარდობის — 19, სომხ. მარერის — 10). ეს თარიღები თ. მგალობლიშვილის მიერ გაიგივებულია [illegible]ჩის თვის დასაწყისთან. მკვლევარი[illegible] დღესასწაულს უკავშირებს იაკობის გადმოცემას მცხეთაში 1 მაისს ჯვრების შექმნის შესახებ, როგორც ამ უძველესი დღესასწაულის გამოძახილს. პ. ინგოროყვამ ხსენებული ჯვრის დღესასწაულის ქართული ვარიანტი (ვარდობის 10) განსაზღვრა როგორც 1 მაისი, ხოლო „ნინოს ცხოვრებაში" დადასტურებული თარიღების (1 და 7 მაისს ჯვრების შექმნა და აღმართვა მცხეთაში) შესახებ მკვლევარი ფიქრობდა, რომ ისინი ერთკვირიანი ჯვრის ხსენების ლიტურგიკული წესის გამომხატველია.

„ნინოს ცხოვრების" იაკობ მღვდელის მიერ აღწერილ თავში მოცემული 1—7 მაისის ჯვრის აღმართვის თარიღები, ჩვენი აზრით, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ხაზგასმით შესაძლოა, რომ IV ს-ის I ნახევრის ქართლის მოქცევის თანადროული პერიოდის რეალურად არსებულ სალვთისმსახურო პრაქტიკას ასახავდეს. ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ის გარემოება რომ ამ თარიღებთან ერთად ხსენებულ თავში გვხვდება კიდევ ერთი თარიღი — 25 მარტი, ხის მოჭრის დღე. ეს თარიღი არ დასტურდება იერუსალიმის წმ. ჯვრის დღესასწაულთან დაკავშირებულ არცერთ წერილობით წყაროში. ეს გარემოებაც იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ იაკობ მღვდელის მონათხრობში ჩვენ საქმე გვაქვს არა წერილობითი გზით შემოსულ ლიტერატურულ პარალელებთან, არამედ რაღაც კონკრეტულ ვითარების აღწერასთან. (მსგავსი შეხედულება გამოთქმული აქვს რ. სირაძეს: „ნინოს ცხოვრებაში ჯვრის აღმართვის ამბავი ლიტერატურული გამოძახილით კი არ უნდა იყოს შექმნილი, არამედ ისტორიულ რეალობას უნდა ასახავდეს...")

იმისათვის, რომ დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იყო ეს „კონკრეტული ვითარება", ისევ და ისევ იაკობის მონათხრობს უნდა მივმართოთ.

ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული ვარაუდის თანახმად, 25 მარტს, პარასკევს, მცხეთაში „სასწაულთმოქმედი" ხის მოჭრის რიტუალი შესაძლებელია სიმბოლურად ქრისტეს ჯვარცმას გამოხატავდეს. მაშინ 27 მარტი — კვირა დღე — უფლის აღდგომის დღედ უნდა ჩაითვალოს. ასეთი ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა იაკობის მონათხრობში საგანგებოდ აღნიშვნა იმისა, რომ ხის მშვენიერი სიმწვანე მისი მოჭრის შემდეგაც არ დამჭკნარა: „და არა შეიცვალა ფურცელი მისი, ვითარცა ძირსა ზედა მდგომარისა თავსა წყაროსასა". აქ უთუოდ სიცოცხლის, მკვდრეთით აღდგომის, უკვდავების მოტივი უნდა დავინახოთ. 27 მარტის კვირა დღიდან 15 მაისის კვირა დღე-

მდე (მცხეთაში ჯვრების აღმართვის რიტუალის უკანასკნელი დღე — ორი ჯვრის მცხეთიდან წაღება) ორმოცდაათმა დღემ გაიარა.

50-დღიანი ანუ შვიდკვირიანი დროის მონაკვეთი აღდგომიდან მარტვილიამდე, ქრისტიანული ღვთისმსახურების იერუსალიმური ტრადიციის მიხედვით უძველესი სადღესასწაულო ხანაა. გაზაფხულის ეს შვიდკვირიანი დღესასწაული, რომელიც იერუსალიმში ჯერ კიდევ IV ს.-მდე იყო გავრცელებული, საფუძვლად დაედო მთელი წლის ღვთისმსახურების მოძრავ სადღესასწაულო ციკლს, რომელიც ასევე 50-დღიან პერიოდებად იყო დაყოფილი. წლის ლიტურგიული ციკლის ასეთი დაყოფა დაადასტურა კ. კეკელიძემ იერუსალიმური წარმოშობის ქართულ და სომხურ საეკლესიო კალენდრებში.

ჩვენი აზრით, „ნინოს ცხოვრების“ იაკობის მიერ აღწერილ თავში სწორედ ასეთი 50-დღიანი სადღესასწაულო პერიოდის ანარეკლი უნდა დავინახოთ. „პატიოსნისა ჯუარისათჳს“, ჩვენი ვარაუდით, ასახავს ამ ტრადიციას მისი განვითარების შედარებით ადრეულ ფაზაში, როდესაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო აღდგომიდან მარტვილიამდე 50-დღიანი დღესასწაულის აღქმა, როგორც ერთიანი სადღესასწაულო ჟამისა.

ეს პერიოდი მართლაც იქნებოდა სადღესასწაულო ხანა, რადგან ძეგლის ავტორი მშვენივრად გვიხატავს იმ განწყობას, რომელიც მთელს ხალხში სუფევდა როგორც ხის მოჭრის დროს, ისე ჯვრის ბორცვზე ატანისა და აღმართვის პერიოდში. გავიხსენოთ, როგორ არის აღწერილი ამ რიტუალის დასაწყისი იაკობის მონათხრობ თავში: „და იყო რაჟამს მოეკუეთა ხჱ იგი პატიოსნისა და ძლევის შუოფელსა ჯუარისა და მოაქუნდა იგი ათსა ათეულსა კაცსა ზჱ ზჱ რტოითურთ და ფურცლით შემოაქუნდა ქალაქად და მისტყდებოდა ერი იგი მწუანის ფეროობასა მას და ფურცლიანობასა... ამ დღიდან, ე. ი. 25 მარტიდან ჯვრების აღმართვის რიტუალის დასასრულამდე — 15 მაისამდე, ჯერ ხე და შემდეგ მისგან შექმნილი ჯვრები ხალხისთვის მისაწვდომ ადგილას ესვენა. ჯერ ეკლესიის სამხრეთ კედელთან, შემდეგ კი თვით ეკლესიაში. ამიტომ ისინი საერთო სახალხო თაყვანისცემის ობიექტები იქნებოდნენ.

25 მარტიდან 15 მაისამდე დროის მონაკვეთი ერთიან სადღესასწაულო პერიოდად უნდა ჩაითვალოს, რომლის დროსაც მთელი მოსახლეობა ჩართულია საკრალურ დროში და საერთო სახალხო ჯვრის თაყვანისცემა მიმდინარეობს.

ამგვარად, 25 მარტს — პარასკევს ხის მოჭრა და შემდეგ მისგან ჯვრების შემზადება და აღმართვა 50 დღე გრძელდებოდა, ერთი მხრივ, იმის გამო, რომ არსებობდა ტრადიცია ქრისტეს 25 მარტს ჯვარცმის შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ — დარჩენილი იყო ხსოვნა 50-დღიანი პენტეკოსტის, როგორც ერთიანი სადღესასწაულო ციკლის. ეს ციკლი ქრისტიანობის ყველაზე მნიშვნელოვან და, იმავდროულად, ყველაზე ადრეულ დღესასწაულებს შეიცავს. ეს დღესასწაულები წარმოადგენს იმ დღეთა ხსოვნას, რომლებიც ფაქტობრივად ქრისტეს მრწამსის ქვაკუთხედია. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ახლად მოქცეულები სწორედ ამ პერიოდში ინათლებოდნენ, რადგან ნათლობა ქრისტესთან თანადაფლვისა და მისით აღდგომის სიმბოლო და ნიშანი იყო. ჯვრის აღმართვაც, როგორც ჯვარცმულის აღიარება, ქრისტესთან ზიარების და მასში აღდგომას ანუ სიცოცხლისა და დიდების მოპოვებას ნიშნავს. სწორედ ამიტომ, ჯვრის აღმართვა მცხეთაში ერთგვარი გამეორება, შესრულება იქნებოდა იმ გზისა, რომელიც მაცხოვარმა განვლო ჯვარცმიდან ამაღლებამდე, და რომლის მადლიც კაცობრიობას აღდგომიდან 50-ე დღეს მოციქულებზე სული წმიდის გარდამოსვლით მიენიჭა. ებრაული პასექის 50-ე დღის პანეტკოსტის დღესასწაულის აღსანიშნავად შეკრებილ მოციქულებზე გადმოვიდა სული წმინდა, რომლის ძალით მოციქულებს „ენამეცნიერება“ მიენიჭათ (ისინი სხვადასხვა ენებზე ამეტყველდნენ), რათა მათ ქრისტეს აღდგომა აუწყონ ქვეყნიერებას და ნათლისღებითა და ზიარებით ხსნა მოუპოვონ მას (საქმე მოციქულთა, II). მოციქულთა საკრებულოზე სული წმინდის გადმოსვლა ქრისტიანულ აზროვნებაში ერთმნიშვნელოვნად გაიაზრება, ქრისტიანული ეკლესიის, როგორც მკვდრეთით აღდგომის საიდუმლოს მოწამეობრივი მისიის მქონე საკრებულოს დასაწყისი. უნდა ვიფიქროთ, იგივე იდეა უდევს საფუძვლად მცხეთაში ქრისტიანული ეკლესიის დაბადებას, რომელიც ზეციდან „ჯუარი ცეცხლისაჲს“ გადმოსვლითა და შემდგომ ჯვრის აღმართვით აღინიშნა.

ამგვარად, მცხეთის ჯვრის აღმართვით თხზულებაში სიმბოლიზებულია ქრისტიანული ეკლესიის დასაწყისი, მისი საბოლოო გამარჯვება საქართველოში.

იაკობის მიერ აღწერილ თავში თითქოს მოსალოდნელი იყო ამ სიმბოლიკის ხაზგასმა და აშკარა დეკლარირება; მაგრამ აქ საპირისპირო ვითარებას ვაწყდებით. იაკობი ჯვრების აღმართვის სადღესასწაულო ციკლის აღწერისას, ზემოხსენებულ ქრისტიანულ დღესასწაულებს საერთოდ არ ახსენებს. მეტიც, მის თხზულებაში ვერცერთხელ ვერ ვხვდებით უფლის დღის — კვირის ან ზატიკის (აღდგომისა და მისი მომდევნო კვირა დღეების სულთმოფენობამდე სახელწოდება) ხსენებას. მიუხედავად იმისა, რომ იაკობი ახსენებს პარასკევს, შაბათს, შაბათის

მომდევნო დღეს — „ზვალისა დღე“. ჯვრების აღმართვის რიტუალის კალენდარული მნიშვნელობის შეფარვით, ავტორი აღწერილი ამბების მიმართ თითქოს მის ნეიტრალურ დამოკიდებულებას უსვამს ხაზს. რის შედეგადაც მცხეთაში ჯვრების აღმართვის დრო-ჟამის ეს საკრალური შესაბამისობა „სასწაულის“ ანუ მომასწავებელი ნიშნის მნიშვნელობით იტვირთება და ჯვრების აღმართვასა და საერთოდ ქართლის გაქრისტიანებას ღვთაებრივი ნების აღსრულების სახე ეძლევა.

„ნინოს ცხოვრების“ იაკობის მიერ აღწერილი თავის „პატიოსნისა ჯუარისათვის განხილვამ დაგვანახა, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს თვითმხილველის მიერ აღწერილ ჯვრის აღმართვის რიტუალთან. ეს რიტუალი პენტეკოსტის 50-დღიანი დღესასწაულის ქარგაზეა აგებული ის გააზრებულია როგორც სიმბოლო ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვებისა და ქრისტიანული დრო-ჟამის დასაწყისისა მცხეთაში. „ნინოს ცხოვრების“ ამ მონაკვეთს ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, როგორც მცხეთის IV ს-ის დასაწყისის ღვთისმსახურო პრაქტიკის ანარეკლს.

ამის შემდეგ არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული ამავე ფაქტის — მცხეთაში ჯვრის აღმართვის ამსახველი „ნინოს ცხოვრების“ კიდევ ერთი (შენაზარდი) თავის განხილვა, რომელიც დასათაურებულია ასე: „აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისაჲ და მერმე კუალად გამოჩინებაჲ“.

ამ ორ თხზულებას შორის მსგავსებისა და განსხვავების წარმოჩენა მნიშვნელოვანია, როგორც ამ თხზულებათა ურთიერთმიმართების დადგენის თვალსაზრისით, ისე მცხეთის ჯვრის აღმართვის დღესასწაულის რაობისა და მისი წარმომავლობის საკითხის გასარკვევად. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, „აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისაჲ და მერმე კუალად გამოჩინებაჲ“ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მხოლოდ ერთ რედაქციაშია დაცული და ცალკე საკითხავის სახითაა შესული აგრეთვე კლარჯეთ მრავალთავში. ეს თხზულება „ნინოს ცხოვრების“ ორგანულ ნაწილს არ წარმოადგენს. მ. ჩხარტიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით სავსებით სამართლიანად აღნიშნავს: „აღნიშნული შენაზარდი თავის გაჩენა ცხოვრებაში“, თუ არა რაღაც განსაკუთრებული მოთხოვნილება ამ ჯვრის საკითხის საგანგებო გაშუქებაზე, აუხსნელია. „ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში ჯვრის აღმართვის და მისი სასწაულების შესახებ ვრცლად საუბრობს იაკობ მღვდელი. ამ ამბავს უბრუნდება მირიანიც. ასე რომ, ამ თავის საჭიროება არც კომპოზიციურად და არც შინაარსობლივად არ არის.“ შემდგომი მსჯელობით მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეს შანაზარდე თავი არის პროდუქტი ვახტანგ გორგასლის ეპოქისა რადგან „ვახტანგის ცხოვრებაში“ ჯვართაგზის ჯვრის საზგასმული მეფის განსაკუთრებული ინტერესი როგორც საერთოდ მირიანისა და წმ. — ნინოს მოღვაწეობის მიმართ, ისე [illegible] ჯვრის მიმართ, რომელსაც „აღმართებაჲშიც“ და „ვახტანგის ცხოვრებაშიც“ მსგავსი სიმბოლური თუ ფუნქციური დატვირთვა გააჩნიათ.

მართლაც საინტერესოა, თუ რა იყო ის განსაკუთრებული მოთხოვნილება, რომელსაც ვერ დააკმაყოფილებდა იაკობის ასეთი დაწვრილებითი აღწერა მცხეთის ჯვრის აღმართვის ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისა? რა არსებითი განსხვავებაა ამ ორ თხზულებასა და მათ მიერ ამ მოვლენის ინტერპრეტაციაში?

1. თუ იაკობი თავის თხრობას პირველ პირში გადმოგვცემს, ისევე როგორც ეს „ნინოს ცხოვრების“ დანარჩენ თავებშია, „აღმართება“ მოთხრობილია მესამე პირით და ამით სრულად ამოვარდნილია „ნინოს ცხოვრების“ საერთო სტილისტიკიდან.

2. თუ იაკობი მცხეთაში და მის მახლობლად სამი ჯვრის აღმართვის შესახებ გვამცნობს, „აღმართებაჲ“ მხოლოდ მცხეთის ჯვრის აღმართვას ეხება. გარდა ამისა „აღმართებაჲ“ ახსენებს მცხეთის ჯვრის „კუალად გამოჩინების“ ამბავს, ასეთ რამეს კი იაკობი არ იცნობს.

3. თუ იაკობის მიხედვით, ჯვრების აღმართვის თარიღები მოცემულია კალენდრის რიცხობრივი მაჩვენებლებით (25 მარტი, 1 მაისი, 7 მაისი) „აღმართებაჲში“ ჯვრის აღმართვის დღე ათვლილია აღდგომის პასქალური ციკლის მიხედვით. კერძოდ, მცხეთის ჯვარი აღმართეს „აღდგომისა ზატიკისა ზატიკსა“, ხოლო მისი „კუალად გამოჩინება“ მომხდარა „მარტვილიისა უკუანა დღესა ოთხშაბათსა“.

4. „აღმართებაჲში“ აღნიშნულია რომ აღწერილი მოვლენის შემდეგ დაწესდა მცხეთის ჯვრის აღმართვის დღესასწაული ვიდრე „დღენდელად დღემდე“. ჯვრის დღესასწაულის დაწესებაზე იაკობი საერთოდ არაფერს არ ამბობს. მით უმეტეს მისთვის უცხოა ამგვარი დროული ინტერვალის არსებობა აღწერილ ამბებთან, როგორსაც გამონათქვამი: „ვიდრე დღენდელად დღემდე“ — შეიცავს.

მიუხედავად ჩამოთვლილი ძირითადი განსხვავებებისა, აშკარად საგრძნობია, რომ „აღმართებაჲს“ ავტორისათვის ამოსავალი წყარო იაკობის მიერ აღწერილი ამბავია — „პატიოსნისა ჯუარისათვის“ ამ განსხვავებათა გააზრების შედეგად უნდა ითქვას შემდეგი: თუ იაკობის მიზანი გარკვეული კულტურულ-ისტორიული ფაქტის აღწერაა ისეთი ფაქტისა, რომელიც ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში ახალ ეპოქას იწყებს. „აღმართებაჲ უფრო მცხეთის ჯვრის დღესასწაულის დაწესების შესახებ მოგვითხრობს. თხზულების ავტორს სურს დააჯეროს მკითხველი, რომ ჯვრის აღმართვის დღესასწაული, რომელსაც „დღევანდელად დღე-

მდე" ზეიმობს საქართველოს ეკლესია ჯერ კიდევ ქართლის გაქრისტიანების დროიდან ილებს სათავეს. ამიტომაც მას იაკობის მიერ მოცემული თარიღები ბის მოჭრის, ჯვრების შემზადებისა და მათი აღმართვისა არ აკმაყოფილებს. ავტორი გვაწვდის ჯვრის აღმართვის იმ თარიღს, რომელიც მცხეთის ჯვრის დღესასწაულისათვის იყო დადგენილი ღვთისმსახურებაში. ესენია: „ალვსების ზატიკის ზატიკი" (აღდგომიდან მესამე კვირა დღე) და მარტვილის შემდგომი ოთხშაბათი. ეს ორივე დღესასწაული მართლაც დადასტურებულია ლიტურგიკული დანიშნულების ძეგლებში (ხანმეტი ლექციონარი, იოანე ზოსიმეს კალენდარი, იერუსალიმური კანონარი). ამათგან უძველესი ხანმეტი ლექციონარი, რომელიც სპეციალისტთა აზრით მე-5 ს-ის პირველი ან მეორე ნახევრის სალვთისმსახურო პრაქტიკას უნდა ასახავდეს. ცხადია, სწორედ ამ დღესასწაულთა დაწესება უნდა ყოფილიყო ბიძგი „ალმართებაის" შექმნისათვის. მცხეთის ჯვრის დღესასწაული „ალმართებაიში" გააზრებულია, როგორც ერთიანი საქართველოს ეკლესიის დღესასწაული რადგან მცხეთის ძლევის მყოფელი ჯვარი მთელ საქართველოს ფარგლებში ქრისტიანობის ტრიუმფის განსახიერებაა. ამიტომ: „ვითარცა ალემართა ნიში ჯუარისაი ქუეყანასა მას ქართლისასა, მეყსეულად მას ჟამსა დაეცნეს ყოველნი კერპნი რომელნი იყვნეს საზღვართა ქართლისათა და შეიმუსრნეს, და საკერპანი დაირღუეს"

„ალმართებაის" ავტორისათვის უთუოდ ცხადი იყო ის სიმბოლიკა, რომელიც იაკობის მონათხრობშია ჩადებული ჯვრების აღმართვის თარიღებთან დაკავშირებით. ამიტომაც მცხეთის ჯვრის აღმართვა და კუალად გამოჩინება ისევ და ისევ აღდგომიდან მარტვილამდე (სულთმოფენობამდე) პერიოდს მოიცავს. მაგრამ ის ზუსტად ვერ გაიმეორებდა იაკობის მონათხრობში მინიშნებულ სიმბოლიკას, რადგან ასეთ შემთხვევაში მცხეთის ჯვრის დღესასწაული საერთო ქრისტიანულ დღესასწაულებს დაემთხვეოდა (აღდგომას, იერუსალიმში ჯვრის გამოჩინებას 7 მაისს, სულთმოფენობას). ამიტომაც თხზულების ავტორმა თუ იმ პირმა, ვისაც მცხეთის ჯვრის დაწესებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ისეთი თარიღები შეარჩია, რომლებიც აღდგომიდან სულთმოფენობამდე სადღესასწაულო ციკლს უკავშირდება, მაგრამ არ ემთხვევა ზოგადქრისტიანულ დღესასწაულს და საკუთრივ ქართლის ეკლესიის დაფუძნებას უკავშირდება. მცხეთის ჯვრის აღმართვა (იაკობის მიხედვით 7 მაისი) აღდგომის შემდგომ მესამე კვირას, ხოლო მისი „კუალად გამოჩინება" მარტვილის შემდგომ ოთხშაბათს დაუკავშირდა.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ, „ალმართებაის" ავტორი იერუსალიმის ჯვრის აღმართვისა და ჯვრის გამოჩენის ლეგენდების გარკვეულ ვავლენასაც განიცდის. ზოგიერთი მათგანის შესახებ შენიშნული აქვს კ. კეკელიძეს. ძლონდაც მეცნიერი „ალმართებაის" წყაროებს [illegible] „ნინოს ცხოვრების" ტექსტს — [illegible] დღესდღეობით, როცა ამ ორი თხზულების წარმომავლობა ერთმანეთისაგან აშკარად გამიჯნულია, ასევე უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან „ნინოს ცხოვრების" წყაროები და „ალმართებაის" წყაროებიც. ასეთი გამიჯვნის აუცილებლობას თვალნათლივ წარმოაჩენს „ნინოს ცხოვრებისა" და „ალმართებაის" ურთიერთშეპირისპირება. მაგ., „ალმართებაიში" ნათქვამია: „მას ჟამსა (როცა ხუროებმა ხის ჯვარი შექმნეს, ლ. პ.) გულისხმა-ყო და მოექსენე მეფესა, ოდეს-იგი დღე დაუბნელდა მთასა ზედა, ვითარიგი ნათელი ბრწყინვალებისა დიდისაი იხილა მსგავსად ჯუარისა, და ვითარ იხილა იცნა" (ხაზი ჩვენია, ლ. პ.). „ნინოს ცხოვრებაში" აღწერილია მირიანის მოქცევა თხოთის მთაზე მზის დაბნელებით, მაგრამ იქ არსადაა ნათქვამი, რომ მან ნათელი „მსგავსად ჯვარისა" იხილა. ეს დეტალი უთუოდ კონსტანტინეს მოქცევის ეპიზოდით არის შთაგონებული, ევსევი კესარიელი მოგვითხრობს „კონსტანტინეს ცხოვრებაში", რომ იმპერატორმა კონსტანტინემ ჩვენებით იხილა ჯვრის სახე, რომელსაც ეწერა „ამით სძლო" და ამის მსგავსად გამოსახა ის ნიშანი, რომელიც თავის ხპას წინ წარუმძღვარა და რომელმაც ძლევა მოუტანა მეფეს მის მტერზე. უნდა ითქვას, რომ „ალმართებაიში" ჯვრის ნიშს ძლევის ძალა ენიჭება როგორც წარმართული კერპების მიმართ, ასევე ბრძოლაში მტრების წინააღმდეგ. ის მოიხსენება, როგორც „ძლევის მყოფელი ნიში ჯუარისაი", რომელიც შემწეა იმათი, ვინც „გინა თუ ბრძოლასა, ლუაწლსა შინა ხადიედ პატიოსანსა ჯუარსა მცხეთისასა, მუნთქუესვე მძლე ექმნიან მტერთა".

„ალმართობაი" კირილე იერუსალიმელის ეპისტოლეს, იერუსალიმში ჯვრის გამოჩინების შესახებ, უტყუარ კვალს ატარებს. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ „ალმართებაი" გვაუწყებს არა მხოლოდ მცხეთის ჯვარის აღმართვის ამბავს (როგორც იაკობი), არამედ მის ხელახალ გამოჩინებასაც". გარდა ამისა, აქ ტექსტობრივ სიახლოვესაც აქვს ადგილი. მაგ. „ალმართებაი აღნიშნავს, ცაზე ჯვრის სასწაული რამოდენიმე ხანს გაგრძელებულა „ისე, რომ ის ყველას უხილავს: „და ესე არა ზედამოით იყო და არცა თანა-წარსლვით, არამედ მყუვარ ჟამ". იერუსალიმის ცაზე მივლენილი სასწაულიც ასეთივე ხასიათისა ყოფილა: „და ალარცა ესრე თუ ვინმე ჰგონებდეს მწრაფლ ოცნებით გარე-წარსულსა არამედ მყოვარ ჟამ თუალით ხილული გამცდით"...

ამგვარად, ცხადია, რომ „ალმართებაის" ავტორი იცნობს როგორც კონსტანტინე მეფის გაქრისტიანებასთან დაკავშირებულ ლეგენდას

ახევე კირილე იერუსალიმელის ეპისტოლეს, მიწერილს კონსტანტი კეისრის მიმართ 851 წ.— და სწორედ ამ წყაროთა გათვალისწინებითა და გავლენით ქმნის მცხეთის ჯვრის აღმართვისა და მისი კვალად გამოჩინების სადღესასწაულო საკითხავს.

ამგვარად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ „აღმართებაჲ" შეიქმნა, სწორედ როგორც საკითხავი მცხეთის ჯვრის აღმართვისა და კვალად გამოჩინების დღესასწაულისათვის, მაშინ, როცა ეს დღესასწაულები დაწესდა საქართველოში. როდის უნდა დაწესებულიყო ეს დღესასწაული?

როგორც აღვნიშნეთ, საკითხავში აშკარად გატარებულია იდეა იმისა, რომ მცხეთის ძლევით შემოსილი ჯვრის „ძალა" მთელს ქართლის სამეფოს ფარგლებში ვრცელდება. მისი აღმართვისას, ხომ კერპები დაეცა „საზღვარსა ქართლისასა". ამიტომ მცხეთის ჯვრის აღწერილი დღესასწაულიც საქართველოს, როგორც ერთიანი, ავტოკეფალიური ეკლესიის დღესასწაულად წარმოგვიდგება. მაშასადამე, მცხეთის ჯვრის დღესასწაულის დაწესება საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებასა და ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობას უნდა დავუკავშიროთ. ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაში, მართლაც, ჯვრის სიმბოლიკა მჭიდროდ უკავშირდება ხსენებულ საეკლესიო რეფორმას. აქ არაერთხელ ვხვდებით ჯვარსა და გვირგვინს, როგორც ქრისტეს ძლევითა და დიდებით შემოსვის ნიშანს. მაგალითად, ვახტანგის წინასწარმეტყველური ხილვა ასეთ ეპიზოდს შეიცავს: „რქუა კეისარმან (ვახტანგს ლ. პ.). „უკეთუ გნებავს, რათა მოგცე გვირგვინი, აღუთქუ ვინ ესე დგას ჩუენ ზედა, რათა ჰბრძოდი მტერთა მისთა და მიიღე მისგან გვირგვინი". მოიხილა ვახტანგ და იხილა ჯუარი, რომელსა ფრთეთა მისთა ზედა აქუნდა გვირგვინი, და უმეტესად ხილვამან ჯუარისამან დასცა შეძრწუნება, რამეთუ უსაშინლეს იყო ზარი მისი, და დადუმნა, ხოლო აღდგანინო და მიხედნა პეტრეს კერძო და სამოელისა, და ერთითა პირითა თქუეს: „ჩუენ ვართ თავსმდებნი, ვითარმედ უმეტეს ყოველთასა წარემართოს, პოი ჯუარო უძლეველო". და მიჰყო ქელი კეისარმან, და მიიღო გვირგვინი ჯუარისაგან, და დაარქუა გვირგვინი იგი ვახტანგს თავსა".

როგორც ვხედავთ, ამ სიმბოლიკის მიხედვით ქართლის მეფე-ვახტანგი ქრისტეს ჯვრის დიდებისა და უძლეველობის ნიშნით — გვირგვინით შეიმკო. ახლა გავიხსენოთ, რომ იაკობის მიერ აღწერილ თხზულებაში ზეციდან გადმოსული ცეცხლოვანი ჯვარი ერთი ვარსკვლავითაა დაგვირგვინებული. ამ ვარსკვლავიდან შემდეგ კიდევ ორი ვარსკვლავი გამოვიდა, რომელთაც დანარჩენი ჯვრების აღმართვის ადგილი მიუთითეს. შენაზარდი თავი „აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისაჲ" განსხვავებულად გადმოგვცემს ჯვრის [illegible], აქ ჯვარი თორმეტი ანგელოზითა და თორმეტი ბრწყინვალე ვარსკვლავითაა [illegible]. „ამა ესერა ხუეტი ნათლისა [illegible] ზედა ჯუარსა მას და ათორმეტნი ანგელოზნი დაგვირგვინებულ იყვნეს გარემოის მისა, და ეგრევე სახედ ათორმეტნი ვარსკულავნი დაგვირგვინებულ იყვნეს". როგორც ვხედავთ, იაკობის მონათხრობში — რიცხვი 3 სიმბოლიკაა, გამოყენებული, რომელიც „აღმართებაჲს" ავტორმა თორმეტით შეცვალა. თუ პირველი სამებას და სამ ჯვარს (უფლისა და ორი ავაზაკის) გამოსახავს, მეორე — ქრისტესა და თორმეტ მოციქულს უკავშირდება. თორმეტი რიცხვის სიმბოლიკა უფრო აქტუალური იყო სწორედ გორგასლის ეპოქაში: მეფემ კონსტანტინოპოლს პატრიარქისაგან კათალიკოსი და თორმეტი ეპისკოპოსი ითხოვა. და აღაშენა ხვეტი ცხოვლის ეკლესია, სიონნი 12 მოციქულის სახელობისა.

ამგვარად, ცხადია, რომ „აღმართებაჲს" სიმბოლიკა და შესაბამისად მისი იდეური მიზანდასახულება მჭიდრო კავშირშია ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმასა და კათალიკოსობის დამყარებასთან საქართველოში.

„აღმართებაჲს" შექმნა უნდა ყოფილიყო განპირობებული მცხეთის ჯვრის განსაკუთრებული დღესასწაულის დაწესების აუცილებლობით. ასეთი აუცილებლობა კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ოპოვებასა და მასთან დაკავშირებულ იდეოლოგიურ მოთხოვნილებებს უნდა გაეჩინა. ეს გარემოება, ვფიქრობ, „აღმართებაჲს" დათარიღებლადაც გამოდგება. დაწერის თარიღს დაახლოებით მე-5 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით შემოსაზღვრავს.

არის კიდევ ერთი გარემოება, რის გამოც ჩვენ აღნიშნულ ჯვრის საკითხავს სწორედ მე-5 ს-ით ვათარიღებთ და არა, ვთქვათ, VI—VII სს-თა მიჯნით, როცა „ნელად რე შეკრბა ქართლი" და როდესაც ქვეყანა პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ალორძინების გზას დაადგა. ამ ეპოქას უკავშირდება მცხეთის ჯვრის ეკლესიის მშენებლობა სწორედ იმ ჯვრის საპატივცემულოდ, რომელიც მირიან მეფის დროს აღემართა მცხეთაში. მაგრამ, ჯერ ერთი, „აღმართებაჲში" ჩანს, რომ მცხეთაში ჯვრის ეკლესია ჯერ კიდევ არ არის აგებული, რადგან აქ საუბარია მხოლოდ იმ გუმბათის შესახებ, რომელიც რევ მირიანის ძემ ააგო მცხეთის ჯვრის თავზე. ამასთანავე ჯვრის ტაძრის აგების პერიოდში არსებული სის ჯვრის ნაცვლად აღუმართავთ ქვის ჯვარი, რომლის პოსტამენტიც შემონახულია, და რომელიც ჯვრის აღმართვას მის თანამედროვე მოღვაწეებს სავსებით შეუფერებლად უკავშირებს. მცხეთის ჯვრის ქვარცხლბეკის წარწერა, ზ. ალექსიძის მიერ

შემოთავაზებული წაკითხვით, რომელსაც ჩვენ სავსებით ვიზიარებთ, ასეთი სახისაა:

„შეწევნითა ღმრთისაჲთა
ალხემართა ჯუარი ესე სალოცველად
სტეფანოს პატრიკიოსისა
დემეტრე ჰჳპატოსისა,
ადრნერსე ჰჳპატოსისა,
სულთა და ჴორცთა მათა მეოხად
და ყოვლისა ქართლისა მცველად“

(სტრიქონებად დაყოფა ჩვენია, ლ. პ.).

სრულიად აშკარაა, რომ აქ მცხეთის ჯვრის, როგორც „ყოველი ქართლის“ პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ერთობის მფარველისა და მცველის იდეა არა მარტო აღორძინდა, არამედ ახალ იდეოლოგიურ საფეხურზეც ავიდა.

ამგვარად ქართულ წყაროებში გამოიკვეთა მცხეთის ჯვრის, როგორც ქართველ ქრისტიანებისა და შემდგომ მისი სარწმუნოებრივი და ამდენად პოლიტიკური ერთობის სიმბოლოს გააზრების რამდენიმე ეტაპი. პირველი IV საუკუნის პირველ ნახევარში (სავარაუდოთ 826 წ.) მცხეთისჯვრის აღმართვა იქცა ქართლის სამეფოში ქრისტიანობის გამარჯვებისა და ძლევის სიმბოლოდ. V ს-ის მეორე ნახევარში, მცხეთის ჯვრის დღესასწაულის დაწესებით პატივი მიეგო მცხეთის ჯვარს, როგორც საქართველოს ქრისტიანული ავტოკეფალური ეკლესიის სიმბოლოსა და ქრისტიან ქართველთა არაქრისტიანების წინააღმდეგ ბრძოლაში შემწეს. VII ს-თვის მცხეთის ჯვარის როგორც ერთიანი სარწმუნოებრივ-პოლიტიკურად განუყოფელი „ყოველი ქართლის“ მცველის იდეა საბოლოოდ გამოიკვეთა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერი ინაძე

# აფხაზეთის ძველი მოსახლეობა

ანტიკურ ხანაში აფხაზეთის ტერიტორიაზე ანუ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ეთნიკური კუთვნილების, მათი წარმომავლობისა და ადგილსაცხოვრისის, ამ ტომებში მიმდინარე ეთნო-სოციალური და ეთნო-პოლიტიკური პროცესების შესწავლას მრავალი წლის ისტორია აქვს. ამ საკითხების კვლევა-ძიებას მიეძღვნა და დღესაც ეძღვნება როგორც სპეციალური ნაშრომები, ისე მეცნიერულ-პოპულარული წერილები, რომლებშიც აღნიშნული საკითხები მეტნაკლებად სისრულითა და ობიექტურობით არის გაშუქებული.

შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის სრულ შესწავლას ადრიდანვე სხვადასხვა გარემოებანი უქმნიდნენ დაბრკოლებას. ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი გარემოება წერილობით წყაროთა სიმცირე და ცალმხრივობაა. ცნობილია, რომ აფხაზეთის მიწა-წყალზე მობინადრე უძველესი მოსახლეობის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის კვლევის ძირითად ლიტერატურულ წყაროს სადღეისოდ წარმოადგენენ ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობები, რომლებშიც ამ მხარეში სანაპიროს გაყოლებით მცხოვრებ ტომთა ჩამოთვლა და მოკლე აღწერილობაა მოცემული, მეტწილად მათ შორის არსებული ეთნიკური სხვაობისა და მათი წარმომავლობის აღნიშვნის გარეშე.

წერილობითი ცნობების სიმცირე, განსაკუთრებით კი ბერძენ-რომაელ ავტორთა მიერ ამ სანაპიროს ტომთა ხსენება, ხშირ შემთხვევაში მათი ეთნიკური ვინაობის მითითების გარეშე, მნიშვნელოვნად აძნელებს აფხაზეთის ძველი მოსახლეობის ეთნო-პოლიტიკური პროცესების კვლევას და ხელს უწყობს ამ საკითხებზე მსჯელობისას მკვლევართა შორის კამათისა და აზრთა სხვადასხვაობის გაჩენას.

მაგრამ მაინც მთავარ სირთულედ აღნიშნული საკითხების გაშუქებისას გვევლინება ქართველ და აფხაზ მკვლევართა შორის არსებული დაპირისპირება, რომელმაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ამ უკანასკნელ წლებში მიიღო.

ზემოაღნიშნული გარემოებანი აფხაზეთის მიწაზე მცხოვრებ ტომთა ეთნიკური წარმომავლობისა და ისტორიის საკითხების მკვლევართაგან მოითხოვს წერილობითი წყაროებისადმი დიდი სიფრთხილით მიდგომას, მათ დეტალურ შესწავლას და პირუთვნელ შეფასებას.

წინამდებარე წერილიც სწორედ ამ წყაროების, ძირითადად ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობების, განხილვა-შეფასებას ეძღვნება.

საისტორიო წყაროებთან ერთად, ჩვენ ვითვალისწინებთ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ სპეციალურ ლიტერატურას, სადაც კონკრეტული მონაცემების შუქზე თეორიულად არის დამუშავებული ის საერთო კანონზომიერებანი, რომლებიც საფუძვლად ედო ამა თუ იმ ეთნოსის კულტურის თავისებურების, მათი ეროვნული თვითშეგნების, თვითსახელის ჩამოყალიბებას.

თანამედროვე ისტორიული მეცნიერება გამოჰყოფს ეთნოსოციალური ერთობის სხვადასხვა ტიპებს: ტომს, ეროვნებას, ნაციას (ერი).

ეს ტიპები, ამავე დროს, განასახიერებენ ხალხთა ამა თუ იმ კოლექტივის ეთნოსოციალური განვითარების ეტაპებს. ამასთან ეთნიკური ნიშნების (ასეთებია ენა, კულტურა, ეთნიკური თვითშეგნება) სახეცვლილება მჭიდროთ არის დაკავშირებული ამ კოლექტივის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პროცესთან.

ბერძენ-რომაელ და ბიზანტიელ ავტორთა ჩვენს ხელთ არსებული ცნობები განეკუთვნებიან სწორედ იმ ხანას, როდესაც აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაში იწყება და ინტენსიურად მიმდინარეობს სატომო ერთეულებიდან ეროვნების ჩამოყალიბების რთული პროცესი. ამდენად, აღნიშნულ ცნობებს, რაგინდ ნაკლული და ცალმხრივიც არ უნდა იყვნენ ისინი, მაინც დაუფასებელი მნიშვნელობა

აქვთ ჩვენთვის, რადგან მათი მეშვეობით გარკვეული შესაძლებლობა გვეძლევა თვალი გავადევნოთ ამ პროცესს, დაწყებული წინა და ადრეანტიკური ხანიდან — გვიანანტიკური ხანის დასასრულამდე და მის მომდევნო პერიოდშიც.

ანტიკურ ხანაში აფხაზეთის მიწა-წყალზე მცხოვრები ტომების შესახებ ყველაზე ადრინდელი წერილობითი ცნობები ძველ ბერძენ ავტორთა — ჰეკატაიოს მილეტელის [ძვ. წ. VI ს.], ფსევდო-სკილაქს კარიანდელის [ძვ. წ. IV ს.] გეოგრაფიულ ნაწარმოებებში ყოფილა დაცული. აღნიშნულ ავტორთა გადმოცემით, ამ მხარეში ოდითგანვე სახლობდნენ კოლხური ტომები. სახელდობრ, მათი ცნობების განხილვიდან ირკვევა, რომ კოლხურ ტომებს — კოლებსა და კორაქსებს ეჭირათ ქ. დიოსკურიის [დღევანდელი სოხუმის] ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორია, ხოლო თვით ეს ქალაქი კოლხთა მიწა-წყლის ფარგლებში შედიოდა. ფსევდო-სკილაქსი ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით, სანაპიროზე ჯერ ასახელებს ჰენიოხებს, მათ შემდეგ კორაქსებს, შემდეგ კოლიკეს ტომს, ხოლო ამ უკანასკნელის მერე [ანუ სამხრეთით] კოლხებსა და ქ. დიოსკურიას.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჰენიოხები აღებულ ხანაში განსახლებული იყვნენ მდ. ბზიფის და ბიჭვინტის ჩრდილოეთით, დაახლოებით დღ. ტუაფსემდე [ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი], უნდა ვიფიქროთ, რომ კოლებსა და კორაქსებს, რომლებიც ფსევდო-სკილაქსს დასახელებული ჰყავს ჰენიოხებსა და ქ დიოსკურიას შორის, ეჭირათ მდ. ბზიფსა და დღ. სოხუმს შორის მდებარე ტერიტორია [იგულისხმება როგორც სანაპირო ასევე მთიანი რეგიონები]. აღნიშნულ ტომთაგან კოლებს ძირითადად უნდა ეცხოვრათ კავკასიონის ფერდობებთან მდებარე ადგილებში. რადგან ჰეკატაიოს მილეტელის ჩვენებით, კოლები კავკასიონთან მოსახლე ტომია. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ამავე ავტორის მეორე ცნობაც, რომელშიაც მოხსენიებულია „კავკასიონის ქვედა ფერდობები, კოლიკედ წოდებული მთები", რაც შეეხება კორაქსებს, მათი ადგილსაცხოვრისი უმთავრესად დიოსკურიის მეზობლად, მის ჩრდილო-დასავლეთით უნდა ვიგულისხმოთ [მ. ინაძე, ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხისათვის, საქ. მეცნ. განყოფილების „მოამბე", 1960, № 2, გვ. 146].

ამრიგად, ჰეკატაიოსისა და ფსევდო-სკილაქსის ცნობების განხილვიდან, ჩვენი აზრით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ორი ბერძენი ავტორი ემყარება საერთო წყაროს, რომელშიც ადრეანტიკური ხანის ჩრდილოეთ კოლხეთში არსებული ეთნოპოლიტიკური ვითარება ასახული. დღ. აფხაზეთის მიწა-წყალზე მცხოვრებ ტომთა ეთნიკური კუთვნილების დადგენის თვალსაზრისით უთუოდ ანგარიშგასაწევია კოლების კავკასიონთან მოსახლე ტომად ხსენება ჰეკატაიოსის მიერ, რომელსაც ფრიად მნიშვნელოვანი და სანდო ცნობები ჰქონდა დაცული არაბერძნული ეთნიკური სამყაროს შესახებ. სახელდობრ, ეს ჩვენება იმით იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ აღნიშნული სახელწოდების ფუძე „კოლ" უფრო გვიან დადასტურებულია სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ოლქის სახელში „კოლა". ხოლო ორივე ეს სახელწოდება [„კოლები" და „კოლა"] უკავშირდება ამავე ფუძის მატარებელ ეთნონიმს „კოლ-ხი" [ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950, გვ. 12—14]. აღნიშნული გარემოება იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ დიოსკურიის მახლობლად, მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მთაგორიანი ადგილები და სანაპირო ზოლიც ადრეანტიკურ ხანაში ქართული წარმომავლობის ტომებით იყო დასახლებული. ამ დროს აქ, როგორც ჩანს, პოლიტიკურად და უთუოდ ეთნიკურადაც წამყვანია კოლხური ელემენტი. მყარია და ძლიერი აგრეთვე კოლხური კულტურის ტრადიციებიც, რომელთა გავლენა ჩანს ამ ტომებისგან შემორჩენილ მატერიალურ კულტურაში (ყულანურხვას სამაროვანი, ბომბორის სამარხი, ლიხნის და ბიჭვინტის [ლიძავის] ცულების განძი, არქეოლოგიური მონაპოვარი სოხუმის მიდამოებში და სხვ. М. М. Трапш, Памятники эпохи бронзы и раннего железа в Абхазии. Труды, I, Сухуми, 1970, გვ. 174—197). მთელი ეს მასალა მოწმობს, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის აღმოსავლეთ სექტორის ძველი მოსახლეობა ადრინდელი კოლხური კულტურის არეალში იყო მოქცეული და ასე გრძელდებოდა ეს ადრეანტიკურ ხანაშიც.

ამ დროის წყაროებში ჯერ კიდევ არ ჩანან კოლხური ეთნოპოლიტიკური ერთობისაგან ცალკე მდგომი, კავკასიონთან მოსახლე წვრილი და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, მრავალრიცხოვანი ტომები, რომელთაც მომდევნო ხანის ბერძენ-რომაელი ავტორები ასახელებენ ამ ადგილებში.

ყველაზე ადრინდელი მინიშნება კოლხეთის ჩრდილოეთით, კავკასიონამდე მცხოვრებ ტომებზე, რომელნიც კოლხებთან ერთად ნებაყოფლობით აღიარებდნენ სპარსეთის პოლიტიკურ გავლენას და ძღვენს უზიდიდნენ მის მბრძანებელს, დამოწმებულია ჰეროდოტეს ისტორიაში [Her., III, 97], მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ ტომებში უპირველესად უნდა იგულისხმებოდნენ წყაროების მიერ „კოლხურ ტომებად" დასახელებული კოლები და კორაქსები. საფუძველი გვაქვს ვი-

ფიქროთ, რომ უკვე ან ხანაში კოლხებისა და კორაქსების მეზობლად, მათ აღმოსავლეთით, კავკასიონის ფერდობებთან განსახლებული იყვნენ სვანური ტომებიც, რომელნიც უფრო მოგვიანო დროის ავტორთა [სტრაბონის და პოსიდონიოსის ჩვენებით, ფლობდნენ ქალაქ დიოსკურიის ზემოთ [უთუოდ ჩრდილო-აღმოსავლეთით] მდებარე მთიან ადგილებს.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ყულანურხის კოლხურ სამაროვანზე აღმოჩენილი სკვითური ინვენტარის შემცველი რამდენიმე სამარხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძვ. წ. VII ს-დან დღ. გუდაუთის რაიონში უკვე დასტურდება ჩრდილო კავკასიიდან სკვითური წარმომავლობის ცალკეული ეთნიკური ჯგუფების ჩამოსვლა. საერთოდ, არქეოლოგიური მასალებიდან ირკვევა, რომ მთელი ეს ტერიტორია ანტიკური ხანის მანძილზე წარმოადგენდა ჩრდილო-კავკასიიდან სხვადასხვა ტომების შემოჭრის ასპარეზს.

კოლხურ ტომებს — კოლებსა და კორაქსებს ძვ. წ. V—II სს-ში ჩრდილო-დასავლეთიდან ემეზობლებოდნენ ჰენიოხები [ფსევდო-სკილაქსი, არტემიდორე ეფესოელი].

პირველი, ვინც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ჰენიოხებს ასახელებს, არის ჰელანიკე მიტილენელი [ძვ. წ. V ს.]. იგი ჰენიოხებს იხსენიებს კერკეტების, მოსხების, ქარიმატებისა და კორაქსების მეზობლად. მაგრამ ჩვენამდე მოღწეული მისი ცნობა ფრაგმენტულია და მთლად გამართული არ არის. ჰენიოხთა საცხოვრისის შედარებით ზუსტი დადგენა ხერხდება არტემიდორე ეფესოელის ჩვენებით, რომელიც სტრაბონის „გეოგრაფიაშია“ დაცული. ამ ცნობის თანახმად, ნავსადგურ ბატადან [დღ. ნოვოროსიისკის რაიონში მდებარეობდა] სანაპიროზე ბინადრობდნენ ჯერ კერკეტები — 850 სტადიონის მანძილზე, შემდეგ აქეელები — 500 სტადიონის მანძილზე, მათ შემდეგ კი ჰენიოხები — 1000 სტადიონზე. ჰენიოხების მიწა-წყლის შემდეგ [იგულისხმება მის სამხრეთით], არტემიდორე ასახელებს ქ. პიტიუნტს [დღ. ბიჭვინტა] [Strabo, XI, 2, 14]. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ არტემიდორეს ჩვენებები და მანძილთა გამოთვლები, ჩვეულებრივ, სიზუსტით ხასიათდება, მაშინ ჰენიოხებს ზღვის სანაპიროს გაყოლებით ვრცელი ტერიტორია სჭერიათ. მათი საცხოვრისის ფარგლებში შედიოდა ბიჭვინტის, სოჭისა და სხვა რაიონები, ვიდრე ტუაფსემდე, დაახლოებით 180 კმ-ის მანძილზე [მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 148].

ჰენიოხური ტომების შესახებ მრავალმხრივ საყურადღებო ცნობები აქვს დაცული სტრაბონს. იგი გარდა იმისა, რომ გვამცნობს ჰენიოხთა სოციალურ-პოლიტიკური წყობის თავისებურებას: მათ ოთხი დიდი ტომთა კავშირი ჰქონიათ, ოთხი „მეფით“, ხოლო თითოეულ ამ ტომთა კავშირში მრავალი თემი იყო გაერთიანებული თავიანთი ბელადებით — სკეპტუხებით (Strabo, XI, 2, 13). კარგად ადასტურებს პლინიუსის ჩვენებაც მათი „მრავალსახელწოდებიანობის“ (ანუ მრავალტომიანობის) შესახებ [VI, 14, 15].

სტრაბონისა და პლინიუსის ამ ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ აღებულ ხანებში [ძვ. წ. I ს — ახ. წ. I ს.] საერთო სატომო სახელწოდება „ჰენიოხ“-ში ბერძნები გულისხმობდნენ მრავალი სხვადასხვა სახელწოდების მატარებელ წვრილ ტომებს. ხოლო წერილობითი წყაროების მიერ ამ ტომების სახელთა მოუხსენიებლობა იმით აიხსნება, რომ კრებითი ეთნონიმი „ჰენიოხი“ ფარავდა სხვა დანარჩენ სატომო სახელწოდებებს.

ჰენიოხთა მრავალსახელწოდებიანობა და მრავალტომიანობა, რასაც საგანგებოდ აღნიშნავენ ბერძენ-რომაელი ავტორები, სავსებით შესაძლებელს ხდის ჰენიოხებში ვიგულისხმოთ ეთნიკურად სხვადასხვა წარმომავლობის ტომები.

აღნიშნული გარემოება უკვე შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში. მიუხედავად ამისა, მკვლევარნი მაინც ცდილობენ ჰენიოხებში დაინახონ და გამოყონ მთავარი სატომო ბირთვი და იგი რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს მიაკუთვნონ. გ. მელიქიშვილის აზრით, ჰენიოხთა სახელს კრებითი ხასიათი უნდა ჰქონოდა, მაგრამ დროდადრო იგი სხვადასხვა წარმოშობის ტომთა აღმნიშვნელადაც გამოიყენებოდა. მკვლევარის აზრით, ადრეულ ხანაში ამ სახელწოდებაში ბერძნებს ეთნიკურად უპირატესად სვანური ტომები უნდა ეგულისხმათ. ანტიკურ ხანაში ჩრდილოეთ კოლხეთის ჰენიოხთა ტომებში ძირითადი ეთნიკური ბირთვი სვანური წარმოშობისა უნდა ყოფილიყო, ხოლო სამხრეთის ჰენიოხები ჭანები იყვნენ [გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი, 1965, გვ. 87].

საყურადღებოდ მიგვაჩნია ი. ორბელის მოსაზრებაც, რომელმაც „ჰენიოხის“ თავდაპირველ ფორმად მიიჩნია „ჰენიხი“, რაც გააიგივა „სანიგთან“, „სანთან“ და გამოსთქვა ვარაუდი, რომ ისინი იგივე სვანები არიან. ეს აზრი შემდეგ გაიზიარა ნ. მარმა.

ივ. ჯავახიშვილი ჰენიოხთა სატომო სახელწოდებას ხედავდა „შესაქმეთა“ წიგნის ენოხში [ჰენოხში]. იგი ჰენიოხებს ტომობრივად ჭანმეგრელებს მიაკუთვნებდა [ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, დამატება, I, თბ., 1951, გვ. 401, 403].

პ. ინგოროყვამ ჰენიოხების სახელი სვანებსა და სანიგებთან დააკავშირა და ყველა ესენი მეგრულ-ჭანურ ტომებად მიიჩნია [პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ.

186]. ანალოგიური მოსაზრება გვაქვს გამოთქმული ჩვენც [მ. ინაძე, დასახ. წერილი, გვ. 150, 151].

ჰენიოხური ტომების მეგრულ-ჭანური სამყაროსადმი კუთვნილების თვალსაზრისით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩრდილოეთ კოლხეთის ჰენიოხთა გაერთიანების მემკვიდრეებად გამოდიან სანიგები, რომლებსაც ბერძენ-ბიზანტიელი ავტორები სანებს — ჭანებს უკავშირებენ. მსგავსი სურათია სამხრეთ კოლხეთშიც, სადაც წყაროები ჰენიოხებს იხსენიებენ ხან სანებთან [ანუ ჭანებთან, Plin. VI], ხან კი მაკრონებთან [ე. ი. მეგრული წარმოშობის ტომთან] კავშირში [Arr, § 11]. ამასთან, ნიშანდობლივი ჩანს ისიც, რომ ეთნონიმი ჰენიოხი კრებით სახელწოდებად გვევლინება არა მხოლოდ ჩრდილოეთ კოლხეთში, არამედ სამხრეთითაც. ახ. წ. V ს-ის ანონიმური ავტორი აქ იხსენიებს „შერეულტომიან ჰენიოხებს", რომელთა ჩამომავლებად ახ. წ. VI ს-სათვის მრავალსახელწოდებიანი ჭანური ტომები გამოდიან [ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, თბ., 1965, გვ 216].

ჰენიოხთა მთავარი სატომო ბირთვის მეგრულ-ჭანური წარმომავლობის თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს უკანასკნელ ხანებში ბ. გიგინეიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად ჰენიოხი არის იგივე ჭანი [ტომობრივადაც და ენობრივადაც]. ჰენიოხთა ტომის მეგრულ-ჭანურ სახელწოდებას „ჭანი" ენობრივი კანონზომიერების საფუძველზე შეესაბამებოდა სვანური „ჰენი" და ქართული „წენი" [თუმცა სათანადო ფორმები დღეს არც სვანურში და არც ქართულში არ მოგვეპოვება. [ბ. გიგინეიშვილი, ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის, „მაცნე", ისტორიის სერია თბილისი, 1975, № 1, გვ. 116—124].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით ჰენიოხთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ ასეთია: შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ძვ. წ. V—II სს-ში მოსახლე ჰენიოხური ტომების ერთი ნაწილი სავსებით შესაძლებელია მართლაც სვანური წარმომავლობისა იყო, მაგრამ, სვანურ ტომებთან ერთად, ჰენიოხებში უნდა ვიგულისხმოთ „ჰენი" სახელწოდების მატარებელი ეთნიკური ბირთვი, რომელიც ადრიდანვე წამყვან როლს ასრულებდა როგორც ჰენიოხურ ტომთა კავშირების, ისე მათი საერთო, კრებითი სახელწოდების შექმნაში.

ამრიგად, ერთი რამ თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, ჰენიოხთა ტომები დასავლურ-ქართულია და ერთ-ერთი უძველესია მათი ადგილსაცხოვრისისა და სხვა ქართველური წარმომავლობის ტომებთან მათი კავშირის მიხედვით.

რაც შეეხება თვით სახელწოდებას „ჰენიოხი", რომელიც ბერძნულად მეეტლეებს ნიშნავს, სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე შენიშნულია, რომ იგი უთუოდ ადგილობრივი საკუთარი სატომო სახელია, მხოლოდ ბერძნების მიერ თავის ენაზე გამართული და გააზრებული [ს. ყაუხჩიშვილი, კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით. 2. ჰენიოხი. „მაცნე", ისტორიის სერია, 1980, № 4, გვ. 57—77].

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბერძნულად „ჰენიოხი" ნიშნავს არა მხოლოდ „მეეტლეს", არამედ, უპირველეს ყოვლისა, პირს, ვისაც ხელთ უპყრია ცხენის სადავე, ე. ი. „მხედარს" [ჰენია ნიშნავს სადავეს, ეხო — მაქვს]. და თუ ჰენიოხებად წოდებული ტომების ადგილობრივი ეთნონიმის ფუძე მართლაც „ჰენი" იყო, რასაც ენათმეცნიერული კვლევაც უჭერს მხარს, ამასთან, გავითვალისწინებთ იმასაც, რომ უძველეს ბერძნულ მწერლობაში [სტრაბონამდე] ჰენიოხთა ტომის მეეტლეებად გააზრების არავითარი კვალი არ ჩანს, საფუძველი გვაქვს „ჰენი", „ჰენიოხი" ეთნონიმის კავშირი ინდოევროპულ სიტყვებთან „ცხენის სადავე", „მხედარი" გაცილებით უფრო ადრეულ ხანაში ვივარაუდოთ, ვიდრე ბერძნები ამ სატომო სახელწოდებას მითოლოგიურ ნიადაგზე გაიაზრებდნენ, როგორც მეეტლეებს.

ჰენიოხთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. ზ. ანჩაბაძე ჰენიოხებს აიგივებს სანიგებთან და ორივეს აფხაზურ-ადიღეურ ტომებად — საძებად მიიჩნევს [ამის შესახებ ქვემოთ].

დღ. აფხაზეთის სანაპირო ზოლზე ძვ. წ. V—II სს-ში ჰენიოხების ჩრდილო-დასავლეთით მოიხსენიებიან აქეელები და კერკეტები, რომლებშიც მკვლევარნი ჩერქეზულ ტომებს ვარაუდობენ [კერკეტებს ჩერქეზებთან აიგივებდნენ კისლინგი, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა და სხვ. იხ. თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75]. ფსევდო-სკილაქსი კერკეტების შესახებ გვამცნობს: სინდიკის ნავსადგურის შემდეგ [იგულისხმება ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით — მ. ი.] კერკეტების ტომია, კერკეტების შემდეგ ტორეტების ტომი, მათ მერე აქეელები, აქეელების შემდეგ ჰენიოხთა ტომი [Ps—Scyl; 78—76); ხოლო ძვ. წ. II ს-ის მწერალი-არტემიდორე ეფესოელი [სტრაბონის გადმოცემით] ნავსადგურ ბატას შემდეგ ასახელებს კერკეტების სანაპიროს დაბებითა და ნავთსაყუდლებით, შემდეგ კი აქეელების მიწა-წყალს, ვიდრე ჰენიოხებამდე [Strabo, XI, 2, 14].

ამრიგად, ბერძენ მწერალთა ცნობებიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე სვანურ და ზანურ ტომებს ჩრდილო-დასავლეთიდან ძველთაგანვე ემეზობლებოდნენ ჩერქეზული ტომები — კერკეტები; მათ, აქეელებთან ერთად, ეჭირათ სანაპირო ტუაფსედან ძველ ნავსადგურ ბატამდე.

წერილობით წყაროებით დადასტურებული ეს ტერიტორიული მეზობლობა ადიღეური (ჩერქეზული), სვანური და მეგრული შტოს ტომებისა გვაფიქრებინებს, რომ ის ინტენსიური კონტაქტი, რომელსაც მკვლევარნი ვარაუდობენ ამ ტომთა შორის მათი ენობრივი მონაცემების მიხედვით, მართლაც ადრეულ ხანაში უნდა დაწყებულიყო. როგორც ვიცით, ადიღეურ (ჩერქეზულ) და ყაბარდულ ენათაგან შემოსული ლექსიკური, თუ სხვა ხასიათის ენობრივი მასალა ქართულში (სვანურში) საკმაოდ არის გამოვლენილი მკვლევართა მიერ. „ჩერქეზული ელემენტი სვანურში — წერდა ხ. ჯანაშია — მხოლოდ იმის მოწმობაა, რომ ამ ქართველურ ენას [იგულისხმება სვანური, მ. ი.]... რიგ ისტორიულ პერიოდებში მჭიდრო და ინტენსიური კონტაქტი ჰქონია ჩერქეზულ ენობრივ—კულტურულ სამყაროსთან“ [ს. ჯანაშია, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, შრომები, III, თბ., 1959, გვ. 86—102].

ადებულ ხანაში ჩერქეზული ეთნიკური ჯგუფების ბინადრობა შეიძლება ვივარაუდოთ არა მხოლოდ კოლხეთის სანაპიროს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სექტორში, არამედ მის სამხრეთ რეგიონებშიც, სადაც აგრეთვე მეგრულ-ჭანური ტომები სახლობდნენ. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ხ. ჯანაშიას მიერ ჩერქეზულ ტოპონიმებად მიჩნეულ „ყვა“ ნაწილაკიანი გეოგრაფიული სახელები, რომლებიც მკვლევარის დაკვირვებით, თავმოყრილი აღმოჩნდა დღ. გურია-აჭარის ტერიტორიაზე. ამგვარი სტრუქტურის სახელებია — მდ. აგიდაყვა, ღელე ბერიყვა, მდინარე და სოფელი აჭყვა; იმავე აღნაგობის სახელწოდებებია, მხოლოდ გართულებული ქართული — თ. სუფიქსით: ჯურუყვეთი, ხობოყვათი, მურყვეთი და სხვ. სამხრეთ კოლხეთის ტერიტორიაზე დამოწმებული ეს ტოპონიმები შესაძლებელია მართლაც ამ რეგიონებში ჩერქეზული მოსახლეობის არსებობის ნაკვალევი იყოს. თუმც ამ სახელების საფუძველზე შორსმიმავალი დასკვნების გაკეთებისას უთუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ წერილობით ცნობებში ამგვარი ტოპონიმები დადასტურებული არ არის, რის გამოც ჩვენ მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას ლიტერატურული წყაროებით შევამოწმოთ კოლხეთში ამ სახელების წარმოქმნის ქრონოლოგიური ჩარჩოები. მიუხედავად ამისა ჩერქეზულად მიჩნეული ტოპონიმების თავმოყრა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მაინც ანგარიშგასაწევი ფაქტია, რადგან ჩვენ ხელთაა სტრაბონის ერთი მეტად საგულისხმო ჩვენება, რომლის თანახმად, ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ მცხოვრები ტიბარანების, ქალდების და სანების ახლოს სახლობდნენ აპაიტები, უწინდელი კერკეტები [Strabo. XII, 3, 18]. სტრაბონის ამ ცნობით, თითქოს უფრო სარწმუნო ხდება ადრეულ ხანაში კერკეტების ანუ ჩერქეზთა მონათესავე ეთნიკური ჯგუფის ბინადრობა კოლხეთის სამხრეთ რეგიონში (მდ. ჭოროხის შესართავთან), სამხრეთით და ჩრდილოეთით განსახლებულ მეგრულ-ჭანური ტომების — მაკრონ-ხანების მახლობლად.

ამ რეგიონში დასავლეთ-ქართველი ტომების მეზობლად, ჩერქეზული მოსახლეობის დამკვიდრება შეიძლება აიხსნას ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მწირ და უნაყოფო ადგილებში მცხოვრები ჩერქეზების ერთი ტომის აქ ჩამოსახლებით. ასეთი ეთნოპროცესები შეინიშნება ისტორიის სხვა მონაკვეთებშიც, უკანასკნელ ხანებამდე. ამ გზით შეიძლება ვივარაუდოთ ყვა-თი წარმოებული ტოპონიმების (მალთაყვა და სხვ.). გავრცელება კოლხეთის სანაპიროს სხვა ადგილებშიც.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ადიღეური (ჩერქეზული) მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალევს ს. ჯანაშია ვარაუდობდა დასავლეთ საქართველოს ფს-დაბოლოებიანი მდინარეთა სახელწოდებების შესწავლის საფუძველზედაც, ხოლო ამაზე ადრე აღნიშნულ საკითხს იკვლევდა ივ. ჯავახიშვილი (ამის თაობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

აქვე საჭიროა შევეხოთ ზოგიერთი ბერძენი ავტორის მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კერკეტებისა და ჰენიოხების მეზობელი მოსხების განსახლების საკითხს, რადგან დასახელებულ რეგიონში მოსხთა ბინადრობის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის ძველი მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის გარკვევისათვის.

დღ. აფხაზეთის მიწა-წყალზე მოსხებს ასახელებენ ჰელანიკე მიტილენელი (ძვ. წ. V ს.), პალეფატე აბიდოსელი (ძვ. წ. IV ს.) და მითრიდატეს ომების ისტორიკოსები.

ჰელანიკე მიტილენელი მოსხებზე წერს: „კერკეტების ზემოთ ცხოვრობენ მოსხები და ხარიმატები, ქვემოთ ჰენიოხები, ზემოთ კი კორაქტები“. მსგავსი ჩვენება აქვს დაცული პალეფატე აბიდოსელს. იგი გადმოგვცემს: „კერკეტებს ემეზობლებიან მოსხები და ხარიმატები, ფლობენ პართენიოსს ევქსინის პონტომდე“. მდინარე პართენიოსი მცირე აზიის დღ. მდინარე კოჯა-ირმაკია, რომელიც პაფლაგონიელების ქვეყანას ჩამოუდიოდა. ამდენად, პალეფატეს ეს მითითება იმას ნიშნავს, რომ ამ ჩვენებაში ლაპარაკია მცირე აზიაში მცხოვრებ მოსხებზე, რომელნიც აქ მატიენებს ესაზღვრებოდნენ და მათთან ერთად მართლაც პართენიოსსა და პაფლაგონიამდე ვრცელდებოდნენ (ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბილისი, 1984 გვ. 12—24).

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ მესხთა ადგილსამყოფელის განსაზღვრისას პალეფატე აბიდოსელს ერთმანეთში ჰყავს აღ-

რეული მოსხები, რომელნიც დღ. აფხაზეთის მიწა-წყალზე კერკეტების მეზობლად სახლობდნენ, ძვ. წ. VI ს-ში მცირე აზიაში მობინადრე მოსხებთან.

უფრო ახლოს დგას თავის პირველწყაროსთან ჰელანიკეს გადმოცემა, რომელიც ადრეა შექმნილი, ვიდრე პალეფატეს ნაწარმოები და ამდენად შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე კერკეტების, ჰენიოხებისა და კორაქსების მეზობლად მოსხთა ხსენება მასში შედარებით უფრო სრული და ნაკლებად შეცვლილი სახით უნდა იყოს შემონახული (თუმცა ეს გადმოცემაც საკმაოდ ფრაგმენტულად არის ჩვენამდე მოღწეული).

ჰელანიკეს ცნობაში აღსანიშნავია აგრეთვე მოსხების კერკეტების ზემოთ (ე. ი. ჩრდილო-აღმოსავლეთით) დასახელება, რაც უნდა გულისხმობდეს მათ განსახლებას არა დღ. აფხაზეთის სანაპირო ზოლზე, არამედ მის შიდა, მთიან რეგიონში. გავიხსენოთ ძველი ბერძენი ლოგოგრაფოსის ჰეკატაიოსის გადმოცემა კავკასიონის კალთებთან მოსახლე ტომის — კოლების შესახებ, რომლებიც ეთნიკურად აგრეთვე ქართულ (კოლხურ) სამყაროს ეკუთვნოდნენ. ნათელია, რომ როგორც ჰეკატაიოსი, ისე ჰელანიკე ამ შემთხვევაში სარგებლობდნენ მათ თანამედროვეთა მიერ შეკრებილი მონაცემებით, რომლებიც უთუოდ ანგარიშგასაწევია ადრეანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI—V სს.) დღ. აფხაზეთის მიწა-წყლის შიდა რეგიონში მცხოვრები ქართული მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის კვლევა-ძიებისას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსხებს ასახელებენ მითრიდატეს ომების ისტორიკოსებიც, რომელთაც, სტრაბონის სიტყვით, მეტად დაეჯერებათ ვიდრე სხვა ავტორებს. მითრიდატეს ომების აღმწერთა თანახმად შავი ზღვის სანაპიროს ამ ნაწილში სახლობდნენ აქეელები, მათ შემდეგ (ე. ი. სამხრეთით) ზიგები, მერე ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები...

მოსხების კერკეტებთან ერთად მოხსენიება, ჩვენი აზრით, იმას ნიშნავს, რომ ეს ავტორებიც უთუოდ იმავე ძველ წყაროს იყენებენ, რომლითაც სარგებლობენ პალეფატე და ჰელანიკე, მაგრამ მას, ამავე დროს, რაღაც განსხვავებულ, უფრო გვიანდელ მონაცემებს ურთავენ. ამაზე მიუთითებს მოტანილ ცნობაში ზიგების დასახელება. ზიგები ანუ ჯიქები მხოლოდ ძვ. წ. II—I სს-ის მიჯნაზე ჩნდებიან შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე (ნ. ბაზარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 18—16; მ. ინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 148).

მითრიდატეს ისტორიკოსთა ცნობებში განსაკუთრებით იმაა საინტერესო, რომ მათი მიხედვითაც მოსხები კოლხების ზემოთ (ჩრდილოეთით) ცხოვრობდნენ და არა მათ სამხრეთით. ამდენად, ამ ცნობებითაც დასტურდება ჩრდილოეთ კოლხეთში მოსხთა ბინადრობის შესახებ გაბმული საისტორიო ტრადიციის არსებობა პალეფატეს და ჰელანიკეს დროიდან, ანუ ძვ. წ. V—IV სს.-დან მითრიდატეს ისტორიკოსთა ხანამდე — ძვ. წ. I ს-მდე (თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II—I ათასწლეულები), თბილისი, 1974, გვ. 21).

ამ საისტორიო ტრადიციას თუ დავუჯერებთ, ძვ. წ. V-I სს-ში მოსხთა ადგილსაცხოვრისი დღ. აფხაზეთის შიდა მთაგორიან ადგილებშია უფრო სავარაუდო, ვიდრე უშუალოდ სანაპირო ზოლზე, რითაც შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ბერძენი ავტორები — ფსევდო-სკილაქსი, არტემიდორე, ძველი პიტიუნტიდან (ბიჭვინტიდან) ტრაპეზუნტამდე სანაპიროზე მცხოვრებ ტომთა შორის მოსხებს არ ასახელებენ. თვით ისეთი დაკვირვებული და კარგად ინფორმირებული ავტორიც კი, როგორიც სტრაბონია, საკუთრივ მის მიერ შედგენილ და ამდენად მისი თანადროული ვითარების ამსახველ აღწერილობაში მოსხებს უშუალოდ ზღვასთან, სანაპირო ზოლზე არ იხსენიებს. სინდიკესა და გორგიპიის შემდეგ „ზღვასთან" ის აღნიშნავს მხოლოდ „აქეელთა, ზიგთა და ჰენიოხთა სანაპიროს" (Strabo XI 2, 12. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, გვ. 118).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხწორედ ზემოთ განხილულ საისტორიო ტრადიციის საფუძველზე პ. ინგოროყვამ გამოთქვა მოსაზრება ძვ. V—I სს-ში მოსხების აფხაზეთის შიდა, მთაგორიან სექტორში განსახლების შესახებ.

მომდევნო პერიოდში მოსხთა ბინადრობა ჩრდილოეთ კოლხეთის მთის სხვა რეგიონებში დასტურდება უფრო გვიანდელი, კერძოდ ახ. წ. VI ს-ის ბიზანტიელი ავტორის პროკოპი კესარიელის მონათხრობის მიხედვითაც. პროკოპი გვამცნობს, რომ ლაზების ქვეყნის ჩრდილოეთით, სკვიმიის (ლეჩხუმის) და სვანიის გვერდით, კავკასიონთან მდებარე მთებში, იბერიის გასწვრივ, მის დასავლეთით ცხოვრობდნენ ძველთაგანვე იბერთა ქვეშევრდომი მესხები. პროკოპის გადმოცემით, „მესხთა საცხოვრისი... სავსეა ყოველგვარი სიკეთით, რადგან მესხებიც მიწის მუშები არიან და იქ ვენახებიც არის. ამ ქვეყანაში მთები მეტად მაღალია... და ისინი გავრცელებულია ვიდრე კავკასიის მთებამდე... ამ მთებით... ჩამოდის მდინარე ფაზისი, და პონტოს ერთვის ნახევართმთვარის ნაპირის შუაში" (Proc BG VIII, 2; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. 2, თბ., 1965, გვ. 126 127). ამ ცნობაში ე. წ. მესხთა ადგილსაცხოვრისი და მათი სამეურნეო საქმიანობა იმდენად ზუსტად არის აღწერილი, მასში ისეთი დეტალები

დაცული, რომ ძნელია დაეჭვება აღწერილი სურათის რეალურობაში. ნათელია, რომ ცნობაში საუბარია დღევანდელი სვანეთის მეზობლად კავკასიონთან მდებარე მთაგორიან ადგილებზე, საიდანაც სათავეს იღებს მდინარე ფაზისი ანუ რიონი [ძვ. რაჭა] და აქ მცხოვრებ მოსახლეობაზე, რომელსაც პროკოპი კესარიელი მესხებს უწოდებს.

ამრიგად, წერილობითი წყაროების განხილვამ გვიჩვენა, რომ ანტიკურ ხანაში და მის მომდევნო პერიოდშიც [ახ. წ. VI ს.] ჩრდილოეთ კოლხეთის მთიან რეგიონებში შეიძლება ვივარაუდოთ მესხური ტომების ბინადრობა. როგორც ზემოთ გაირკვა, მოსხებად წოდებული ერთ-ერთი ტომთაგანის განსახლება სავარაუდოა აფხაზეთის ტერიტორიაზე. დასავლურ-ქართული [ჭანურ-ზანური] და სვანური მოსახლეობის გვერდით. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ადგილებში მოსხთა მიგრაციის პროცესი ამაზე ადრე, ჯერ კიდევ წინაანტიკურ ხანაშია [ძვ. წ. VIII—VII სს-ში] საფიქრებელი. ეს პროცესი უნდა მობყოლოდა ალებულ ხანაში ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში მომხდარ მნიშვნელოვან ეთნო-პოლიტიკურ ძვრებს. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ტოპონიმის „მცხეთაშ" გაჩენა ჩრდილოეთ კოლხეთშიც, სახელდობრ, სვანეთში [თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 21], რომლის მეზობლად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ანტიკური ხანისა და მის მომდევნო პერიოდის წყაროებში მესხური ტომების განსახლებაა ფიქსირებული.

ამრიგად, მთელი ზემოთ მოტანილი წერილობითი ცნობების, აგრეთვე, სხვა მონაცემების კვლევა-ძიება მოწმობს, რომ ძვ. წ. VI—I სს-ში ძვ. აფხაზეთის როგორც სანაპირო, ისე მთაგორიანი ადგილების მოსახლეობაში ეთნო-პოლიტიკური თვალსაზრისით წამყვანია ქართველური, უმთავრესად დასავლურ-ქართული [მეგრულ-ჭანური, სვანური] წარმომავლობის ტომები. სავარაუდოა მესხური ეთნიკური ჯგუფებიც ამ მოსახლეობის მეზობლად. მათ დასავლეთით წყაროებით დასტურდება ადილეური (ჩერქეზული) ტომების განსახლებაც. ალებულ ხანაში დასავლეთ-ქართველი ტომები გვევლინებიან კოლხური კულტურის ტრადიციების გამგრძელებლებად.

გვიანანტიკური ხანის წერილობითი წყაროების განხილვა გვარწმუნებს, რომ ძვ. აფხაზეთის მიწა-წყალზე მცხოვრები მოსახლეობა ახ. წ. I ს-დან მკვეთრ ეთნო-პოლიტიკურ ცვლილებებს განიცდის. ეს ცვალებადობა უნდა გამოეწვია, ერთი მხრივ, აღნიშნულ ტერიტორიაზე ტომთა ადგილგადანაცვლებას. მთაგორიან რეგიონებში, ახევე დასავლეთით, სანაპირო ზოლზე ჩრდილო კავკასიიდან ტომთა ახალი ნაკადის მოწოლა-ჩამოსახლებას, მეორე მხრივ, აქ ადრე არსებულ ტომთა კავშირების დაშლას და მათ ადგილას ახალი ეთნო-პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნას.

სახელდობრ, ახ. წ. I ს-დან [illegible] სანაპიროზე პლინიუსი აღნიშნავს [illegible] ტომის სახელწოდებას — „სანიკი" [VI, 14]. ერთ ხანს ამ ეთნონიმის მატარებელი ტომი ჰენიოხთა გვერდით მოიხსენიება, მაგრამ ახ. წ. II ს-ის დამდეგისათვის მრავალი წვრილი ტომის შემცველი ჰენიოხთა გაერთიანება, ისევე როგორც ეს სახელწოდებაც, ქრება წყაროებში და მათ ადგილს სანიგთა სამთავრო იკავებს.

სანიგთა სამთავრო, ისევე როგორც ჰენიოხთა სატომო კავშირები, ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. ფლავიუს არიანეს გადმოცემით, მათ მიწა-წყალზე მდებარეობდა ქალაქი სებასტოპოლისი (ძვ. სოხუმი), დასავლეთით კი იგი მდ. აქეუნტს (შახეს) აღწევდა (Arr., 11).

ახ. წ. II—IV სს-ში, წერილობითი წყაროების მიხედვით, სანიგთა სამთავრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეულია. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ახ. წ. I—II სს-ის ბერძენი ავტორი მემნონი მითრიდატე ევპატორის დროს პონტოში მომხდარი პოლიტიკური მოვლენების გადმოცემისას კოლხეთის სანაპიროზე, მის ჩრდილოეთ ნაწილში ასახელებს მხოლოდ ორ ეთნიკურ ჯგუფს — ლაზებს და სანიგებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ალებულ ხანში ამ ორ დიდ ეთნო-პოლიტიკურ ერთეულს თავისი მნიშვნელობით და სიძლიერით გამორჩეული ადგილი ეჭირა ამ სანაპიროზე არსებულ სხვა ტომურ წარმონაქმნთა შორის.

სანიგთა ეთნიკური კუთვნილების საკითხი სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე სადავო საკითხთაგანია ჩვენს საისტორიო მეცნიერებაში. ამავე დროს, იგი ჩვენი ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხიც არის, რადგან აფხაზთა სამთავროს შექმნამდე სანიგებს ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დიდი ნაწილი ეჭირათ და ამდენად, ბუნებრივია, ისინი მონაწილენი იყვნენ გვიანანტიკური ხანის აფხაზეთის მოსახლეობაში მიმდინარე ეთნო-პოლიტიკური პროცესებისა; გარკვეულ როლს ასრულებენ ისინი ამ მხარის კულტურულ ცხოვრებაშიც.

მკვლევართა ერთი ნაწილი დამაჯერებლად მიიჩნევს ი. ორბელის მოსაზრებას, რომლის თანახმად, სანიგები — იგივე ჰენიოხები, წარმოადგენენ სვანურ ტომებს. ამის დამადასტურებელ საბუთად იმოწმებენ იმ გარემოებას, რომ სვანებს, ანტიკური და ბიზანტიური წყაროების მიხედვით, ძველად უცილებით დიდი ტერიტორია ეჭირათ, ვიდრე შემდეგ.

სანიგების სვანებთან გაიგივების სასარგებლოდ მეტყველებს იპოლიტე რომაელის [ახ. წ. IV ს.] ცნობის ერთ-ერთი ვარიანტი, სადაც ეკითხულობთ: „სავნეხი ე. წ. სანიგები" [ს. ყა-

უხჩიშვილი. გეორგიკა, 1, თბილისი, 1961, გვ. 20].

განსხვავებული აზრი ჰქონდა ამ საკითხზე ს. ჯანაშიას, რომელიც ემყარებოდა ახ. წ. IV ს-ის ავტორის ევსებიოსის ჩვენებას სანიგებისა და მეგრულ-ჭანური ტომის სანების იგივეობის შესახებ. ევსებიოსთან ვკითხულობთ: „სანნები, რომლებიც იწოდებიან სანიგებად" [ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა, I, თბილისი, 1961, გვ. 81, 82]. მოტანილი ცნობის საფუძველზე ს. ჯანაშიამ სანიგები მიაკუთვნა მეგრული მოდგმის ტომს, რომლის არსებობა, მისი აზრით, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აქ აფხაზთა დამკვიდრების უწინარეს უეჭველობით არის საგულისხმებელი. მკვლევარის დაკვირვებით, სახელწოდება ამ ტომისა იყო „წანი," რომელიც „ზანისა" და „ჭანის" ბუდეს ეკუთვნის [ს. ჯანაშია, თაბალ-თუბალი, ტიბარენი, იბერი. შრომები, III, თბილისი, 1959, გვ. 11—15].

სანიგთა მეგრულ-ჭანურ ეთნიკურ სამყაროსადმი კუთვნილებას ვარაუდობდა პ. ინგოროყვაც. სანიგთა ვინაობის კვლევისას მან ყურადღება გაამახვილა იმ კავშირზე, რომელიც არსებობს ბერძენ-რომაელ ავტორთა სან-სანიკებს —სანიგებსა და ჰენიოხებს შორის [პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 185].

ჩვენი აზრი სანიგთა ეთნიკური შედგენილობის შესახებ შემდეგია: სანიგთა სამთავრო, ისევე, როგორც ჰენიოხთა სატომო კავშირები, შერეულტომიანი უნდა ყოფილიყო. სანიგთა სამთავროს აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობა, ვფიქრობთ, ახლოს იდგა სვანურ ეთნიკურ სამყაროსთან და ენათესავებოდა კიდეც სვანთა მრავალრიცხოვან ტომებს, რომელნიც დიოსკურიის ზემოთ მდებარე მთებში ბინადრობდნენ (თვით ეს ქალაქი სანიგთა სამთვაროში იხსენიება). სამთავროს დასავლეთ ნაწილში, რომელიც მდ. შაზემდე ვრცელდებოდა, უპირატესად განსახლებული უნდა ყოფილიყვნენ მეგრულ-ზანური ტომები, რომლებიც შავიზღვისპირეთის ამ მონაკვეთში კვლავ წამყვან როლს ასრულებდნენ, როგორც სანიგთა პოლიტიკური ერთეულის შექმნაში, ისე მის შემდგომ ცხოვრებაში.

ზანური ელემენტის დიდ ხვედრით წონას სანიგთა სამთავროს დასავლეთი ნაწილის მოსახლეობაში და მის პოლიტიკურ ცხოვრებაში, სხვა მონაცემებთან ერთად, უნდა მოწმობდეს ფლავიუს არიანეს თხზულებაში სანიგთა სამთავროს უკიდურეს დასავლეთ სექტორში მოხსენიებული გეოგრაფიული სახელი „ძველი ლაზიკა", რომელიც ახ. წ. V ს-ის ანონიმი ავტორის მიერ გაიგივებულია ნიკოფსიასთან (Anon., 17), რაც ქართული წყაროებით კარგად ცნობილი ნიკოფსიაა. არიანეს და ანონიმის ამ ცნობებთან ერთად, ყურადღებას იქცევს ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში" დაცული უძველესი საისტორიო ტრადიცია, რომლის თანახმად, ეგრისი უძველეს ხანაში დიდი ტერიტორიის მომცველი ქვეყანა იყო. თარგამოსმა ეგროსს დაუმტკიცა [illegible] ქედიდან ზღვამდე, „სადა [illegible] კავკასიისა" (ე. ი. კავკასიონის ქედის უკიდურეს დასავლეთ კალთებამდე, რომლებიც სწორედ ძველ ნიკოფსიასთან ეშვებიან ზღვაში) [ქც. I, ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955, გვ. 5].

ბერძნულ-ბიზანტიური წყაროების (არიანე, ანონიმი) შუქზე ლეონტი მროველთან დაცული ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ადრეულ ხანაში „ეგროსის წილი ქვეყნის" ანუ ეგრისის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის შესახებ ჩვენ ძალიან მნიშვნელოვნად გვეჩვენება. ორივე ეს მითითება, არიანეს იმ ჩვენებასთან ერთად, სადაც სანიგთა სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრად მდ. აქეუნტია (დღ. შახე) დასახელებული, იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ მეგრულ-ზანური (ლაზური) სატომო ბირთვის პოლიტიკური გავლენა ახ. წ. II ს-სათვის შორს ვრცელდებოდა და, შესაძლოა, მართლაც კავკასიონის დასავლეთ კალთებს აღწევდა. მაგრამ იმავე ანონიმის ნაშრომში შემორჩენილი ცნობების განხილვა ნათელჰყოფს, რომ ახ. წ. II ს-დან შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ამ სექტორში არსებული ეთნო-პოლიტიკური ვითარება თანდათანობით იცვლება. ამ ცვლილებებს სათავე წინა საუკუნეებში უდევს. აღნიშნული პროცესი ჯერ კიდევ ძვ. წ. II—I სს-ში დაწყებულა ჰენიოხების დასავლეთით ჯიქების (ბერძნული წყაროებით — ძიქების) ჩამოსვლა-დამკვიდრებით.

ამავე ხანის (ძვ. წ. II—I სს) წყაროების თანახმად, დღ. აფხაზეთის მთიანი ზონა ძირითადად სარმატული ტომებით დასახლებული მოჩანს, სარმატებში კი, როგორც ცნობილია, სხვა ჩრდილო-კავკასიურ მთის ტომებთან ერთად, იგულისხმებიან ჩერქეზულ-ადიღეური ტომებიც (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 528). სტრაბონის ჩვენებით, სვანების მეზობლად, მათ დასავლეთით) ცხოვრობდა მრავალი წვრილი ტომი, რომელთა დიდ ნაწილს სარმატები შეადგენდნენ, ხოლო ყველანი ერთად კავკასიელებად იწოდებოდნენ (თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 120, Strabo, XI, 2, 16). დღევანდელი აფხაზეთის მთებში იხსენიებს სარმატულ ტომებს პლინიუსიც. სებასტოპოლის (დიოსკურიის), ჰერაკლეისა და პიტიუნტის მახლობლად, ქვეყნის შიგნით, „კავკასიის მთებში" უცხოვრია სარმატულ ტომს — „ეპაგერიტებს" (Plin., VI, 16).

სარმატული ტომების დამკვიდრება ძვ. წ.

II ს-დან აფხაზეთის მთიან ზონაში უთუოდ იწ ადგილების მახლობლად, სადაც წყაროების მიხედვით ადრე ქართული მოსახლეობაა დადასტურებული (კოლები, კორაქსები, მოსხები), მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული დიდ ეთნიკურ ძვრებთან, რაც ძვ. წ. III—II სს-ში ჩრდილო-კავკასიისა და სამხრეთ უკრაინის ვრცელ ტრამალებზე ხდებოდა სარმატულ ტომთა ახალი მასების მოზღვავების შედეგად.

ზემოთქმულთან დაკავშირებით ფრიად საგულისხმოდ გვეჩვენება სოხუმის მახლობლად ეშერის ნაქალაქარზე სკვითურ-სარმატული ტიპის ძვ. წ. III—II სს-ის საბრძოლო იარაღის აღმოჩენა.

სარმატული ტომების მოწოლის კვალდაკვალ ადიღეური (ჩერქეზული) ტომების ახალი ნაკადის — ჯიქების ჩამოსახლებამ დღ. აფხაზეთის სანაპიროს დასავლეთ სექტორში, აქ მობინადრე ზანური ტომების ჰენიოხ-სანიგების გვერდით, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად შეცვალა ამ მხარის ეთნიკური სურათი. სახელდობრ, თუკი არტემიდოროს მიხედვით კერკეტები (იგივე ჩერქეზები) ჰენიოხების დასავლეთით მოსახლე ტომებად გვესახება, მითრიდატეს ამბების აღმწერნი, რომელთაც, სტრაბონის სიტყვით, უფრო დაეჯერებათ, ვიდრე არტემიდოროს, კერკეტების ადგილას ათავსებენ ძიქებს ანუ ჯიქებს, ხოლო თვით კერკეტებს მოსხების გვერდით მოსახლე ტომად წარმოგვიდგენენ [Strabo, XI, 2, 14]. თუ ეს ცნობა მართლაც რეალურ ვითარებას გადმოგვცემს, მაშინ მნიშვნელოვანი ეთნოპროცესები უნდა იყოს ასახული. სახელდობრ, საქმე უნდა გვქონდეს ძვ. წ. I ს-ში ჰენიოხ-სანიგთა ჩრდილო-დასავლეთით ადრე მოსახლე ჩერქეზულ ტომების ერთი ნაწილის აღმოსავლეთით გადმონაცვლებასთან.

მომდევნო პერიოდში, ჩრდილოეთიდან ჩერქეზულ-ადიღეური ეთნიკური ელემენტის მომძლავრების პროცესი კვლავ გრძელდება. V ს-ის ანონიმი გვამცნობს, რომ ძველ ლაზიკაში მის დროს არსებობდა [ქალაქი?], ნიკოფსისი, რომლის ახლოს მოედინებოდა იმხანად ფსახაფსისად წოდებული მდინარე. სახელი შეცვლია სხვა მდინარეებსაც: ძველ აქაიასთან არსებულ მდინარეს ტოფსიდა დარქმევია, ხოლო მდ. აქეუნტს —ბასისი [Anon., 15—18] ეს ცვლილება, რომელიც, ანონიმის თანახმად, ახ. წ. II ს-ის შემდეგ სანიგთა ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სანაპიროს ტოპონიმიკას განუცდია, ტომთა იმ ადგილგადანაცვლების შედეგი უნდა ყოფილიყო, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ანალოგიური პროცესი, ადიღეური ტომების ჩამოსახლებისა, როგორც ჩანს, მიმდინარეობს სანიგების სამთავროს აღმოსავლეთით, ამ უკანასკნელთა და ლაზებს შორის მდებარე ტერიტორიაზე და ქვეყნის შიდა რეგიონში, სადაც ანონიმის მიერ აგრეთვე დამოწმებულია მდინარეთა სახელწოდებების შეცვლა [Anon., 8). მაგრამ ნიშანდობლივია ისიც, რომ პიტიუნტის ჩრდილოეთით მდ. აბასკოსი კვლავ ინარჩუნებს თავის სახელს.

სანიგებსა და ლაზებს შორის მდებარე მიწა-წყალზე ტოპონიმების ცვლა, როგორც ჩანს, თან ერთვოდა აქ ახალი ეთნო-პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნას, რაც ამ მხარეში ადიღეური ტომის — აფსილების გაძლიერებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მაგრამ ვიდრე ამ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, გვინდა ყურადღება შევაჩეროთ კიდევ ერთ მომენტზე.

მართალია, სანიგთა ეთნო-პოლიტიკური გაერთიანების გარშემო ახ. წ. I ს-ში [და ამის შემდეგაც] შეინიშნება ადიღეური (ჩერქეზული) ტომების მომძლავრება, ამასთან, არიანეს მიერ სანიგთა ტერიტორიაზე მდინარე აბასკოსის [ბზიფის] აღნიშვნა მოწმობს უკვე ამ დროს მის მახლობლად აბასკ-აბაზგებად წოდებული ეთნიკური ჯგუფების არსებობას, მაგრამ არ შეიძლება კრიტიკული თვალით არ შევხედოთ იმ მკვლევართა მოსაზრებებს, რომელთა მიხედვით, სანიგებში ძირითადად უნდა ვიგულისხმოთ აფხაზურ-ადიღეური ტომების მონათესავე საძების წინაპრები.

სანიგთა ეთნიკური ვინაობის საკითხი განხილულია ზ. ანჩაბაძის წიგნში „Из истории средневековой Абхазии", რომელშიც საუბარია სანიგთა და საძების იდენტურობაზე. სანიგების და საძების ეთნიკური იგივეობის დამადასტურებელ ძირითად საბუთად მკვლევარს მიაჩნდა ის გარემოება, რომ ახ. წ. VI ს-ში სანიგებს თითქოს ეჭირათ ის ტერიტორია [ბზიფის ჩრდილოეთით გაგრისა და ადლერის რაიონები], რომელზედაც შემდეგში საძები ბინადრობდნენ.

ანალოგიურ თვალსაზრისს ავითარებს სანიგთა ვინაობის შესახებ შ. ინალ-იფაც [Ш. Д. Инал-Ипа, Абхазы, Сухуми, 1956, გვ. 97]. მისი აზრით, სანიგები იგივე საძები არიან. შ. ინალ-იფა ეყრდნობა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ იმ მოსაზრებას, რომ „სანიგის" ფუძე „სან" შემონახა გეოგრაფიულ სახელწოდებაში „ცან-დრიპშ", რომელიც თითქოს წარმოადგენს საძების ტომთა ერთ-ერთი ძირითადი განშტოების სახელს [Х. С. Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка, Тб., 1964, გვ. 288]. მაგრამ თუნდაც რომ სანიგის ფუძე „სან"-ში „ცანი" დავინახოთ და მისი ბუდიდან ნაყარ ისეთივე ვარიანტულ სახესხვაობად მივიჩნიოთ, როგორიც იყო ზანი, წანი, ჭანი, — შესაბამისად დავუშვათ, რომ სანიგთა სამთავრო ცანების ეთნო-პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, რა სა-

ფუძეებზე უნდა ჩამოვაშოროთ ეთნონიმები „სან“-ი, „სანიგი“ და ამ სახელწოდებების მატარებელი ტომები დასავლურ-ქართულ ეთნიკურ სამყაროს [ჭანებს, სვანებს] და ისინი მაინცდამაინც დავუკავშიროთ აფხაზურ-ადიღეურ ტომს საძებს, რომელნიც მხოლოდ XVII—XVIII ს-დან არიან ცნობილნი დასახელებულ ტერიტორიაზე. სხვა არსაიდან არ ჩანს, რომ ამაზე ადრე ასეთი სახელწოდების ტომი ცხოვრობდა სანიგთა განსახლების ადგილას (დღ. სოხუმისა და ბიჭვინტის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სანაპიროზე). სადაც საძების ოდითგან ბინადრობის დამტკიცებას გულმოდგინედ ცდილობს შ. ინალ-იფა [ინალ-იფას მოსაზრებები სანიგთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ საფუძვლიანად აქვს განხილული ნ. ლომოურს წერილში „აფხაზეთის ადრეული ისტორიის ზოგიერთი საკითხი, პასუხი პროფ. შ. ინალ-იფას“. „მაცნე“, ისტორიის სერია, № 3, 1990, გვ. 158—174].

ახ. წ. I ს-დან წერილობით წყაროებში სანიგებისა და ლაზების მეზობლად, მათ შორის მდებარე ტერიტორიაზე აფსილებად წოდებული ტომი ჩნდება. პლინიუს უფროსი აფსილებს იხსენიებს მდინარე ახტელეფოსის [კოდორი] და მდინარე ზრისთოროსის [კელასური] მახლობლად, ხოლო ფლავიუს არიანე ასახელებს მათ მეფეს [„ბასილევსს“] იულიანეს, რომელსაც სამეფო ხელისუფლება ადრიანეს მამის, იმპერატორ ტრაიანესგან მიუღია. პლინიუსის ჩვენებიდან გამომდინარე, აფსილებს აღნიშნულ ხანაში [ახ. წ. I—II სს] უნდა სჭეროდათ მდ. კოდორის ხეობა [წებელდის მხარე]. ჩრდილო-დასავლეთით მათი მიწა-წყალი უთუოდ ციხე-ქალაქ სებასტოპოლისამდე [დღ. სოხუმამდე] აღწევდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი სვანთა ქვეყანამდე. მაგრამ პლინიუსის ცნობიდან არ ჩანს, რა ტერიტორია ეჭირათ აფსილებს შავი ზღვის სანაპიროზე. თუ გავითვალისწინებთ ახ. წ. II ს-ის გეოგრაფის კლავდიუს პტოლემაიოსის ჩვენებას, რომლის თანახმად კოლხეთის სანაპირო ზოლს ამ დროს ლაზები ფლობდნენ, ასევე მემნონის ზემოთ მოტანილ ცნობას, რომელშიც მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობად მხოლოდ ორი ეთნიკური ერთობა — ლაზები და სანიგებია დასახელებული, მაშინ გამოდის, რომ აფსილებს ამ ხანაში — ახ. წ. I—II სს-ში სანაპირო ზოლზე დიდი ტერიტორია არ უნდა სჭეროდათ.

პ. ინგოროყვას აზრით, აფსილები ცხოვრობდნენ მდინარე კელასურის [ძველი კორაზის, კორაქსის] ხეობის ზემო ნაწილში, გუმისთის ხეობიდან ვიდრე კოდორის ხეობამდე [პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 185, 186].

აფსილთა ეთნიკური ვინაობის საკითხი ერთ-ერთი რთული საკითხია ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ეს აიხსნება პირველყოვლისა იმით, რომ ანტიკური ხანის წყაროებში არავითარი პირდაპირი მითითება არ არის დაცული მათი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. მკვლევართა დიდი ნაწილი დღესდღეობით [illegible]რება, რომ ისინი აფხაზური ან ადიღეური წარმოშობისა იყვნენ. ამის ერთ-ერთი მყარი საფუძველი არის აფსილთა ეთნონიმის ფუძე აფს, რომელიც ემთხვევა აფხაზთა დღევანდელი თვითსახელის — აფსუას ფუძეს.

ბოლოკიდური — ილ ელემენტი ამ ეთნონიმში ქართული სადაურობის — ელ სუფიქსის ვარიანტი უნდა იყოს. სატომო სახელწოდება აფსილი თავისი ფუძით — აფს უკავშირდება ძვ. წ. IV ს-ის ბერძნულ წყაროებში [ფსევდო—სკილაქსთან] მოხსენიებულ მდინარის სახელს — „აფსარ“ [დღევანდელი ჭოროხი] და ეთნონიმ აფსარ-ს, რომლებშიც — არ ელემენტი უნდა აიხსნას როგორც სადაურობის — ელ სუფიქსის ზანური [მეგრულ-ჭანური] შესატყვისი. ამიტომ აფსარ ფორმა სუფიქსის მიხედვით აფს-ძირიანი სახელწოდების აღნიშნულ ზანურ ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ.

როგორც ცნობილია, ადიღეური მოსახლეობის ოდითგანვე არსებობას დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ვარაუდობდა ივ. ჯავახიშვილი. ამგვარი მოსაზრების გამოთქმისას მკვლევარი ყურადღებას ამახვილებდა იმ გეოგრაფიულ სახელებზე, რომელთა მეორე ნაწილსაც ფს და ფშ ელემენტი შეადგენს, ასეთებია მთელი რიგი მდინარის სახელები აფხაზეთში. ამ ჰიდრონიმთა საფუძველზე მკვლევარი მათ სახელმდებლად ჩერქეზ-ყაბარდოელთა ტომებს ვარაუდობდა.

ამასთან, ფს—ბოლოკიდურებიანი ტოპონიმების — სუფსა, აკმფსისის დადასტურება სამხრეთ კოლხეთის მიწა-წყალზე ივ. ჯავახიშვილს საშუალებას აძლევდა მის ძველისძველ მოსახლეობაშიც ადიღეური ელემენტი დაენახა [ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 43, 44, 46].

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ აფხაზეთის მდინარეთა სახელებში გვხვდება „სხა“ ბოლოკიდურიანი ჰიდრონიმებიც, მაგალითად, ფსირტსხა. ასეთი სახელების დაბოლოებას, მკვლევარის აზრით, აფხაზურში განმარტება არ ეძებნება, ჩერქეზულად და ყაბარდოულად კი თავს და სათავეს ნიშნავს [ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 46].

როგორც ზემოთ ითქვა, ფსა-დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელების, ისევე როგორც ყვა-მაწარმოებლიანი ტოპონიმების საფუძველზე ჩერქეზულ-ადიღეური მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალევს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში [დღ. გურია-აჭარა და სხვა ადგილებში] ვარაუდობდა ს. ჯანაშიაც [ს. ჯანაშია, ჩერქეზული [ადიღეური] ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში. შრომები, III, თბ., 1959, გვ. 117—128].

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნოგენეტიკური პროცესების კვლევის საქმეში მართალია ს. ჯანაშია გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა ტოპონიმიკურ მასალას, მაგრამ ამ მასალის გამოყენებისას მოითხოვდა დიდ სიფრთხილეს. მისი სიტყვით, „ტოპონიმიკა ადვილად შესაძლოა ზღვა შეცდომების წყაროდ იქცეს მეთოდოლოგიური სიმკაცრის ოდნავი შესუსტების პირობებში" [იქვე, გვ. 118].

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში [60-იანი წლებიდან დღემდე], ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებებზე დაყრდნობით, ფეხს იკიდებს დებულება უძველეს ხანაში არა მარტო დასავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში, არამედ მის მთელ სანაპიროზე აფხაზურ-ადიღეური ტომების განსახლების შესახებ. ფს-ძირიან ტოპონიმებს ზოგიერთი მეცნიერი საკმაოდ შორსმიმავალი დასკვნების გაკეთებისათვის იყენებს კოლხეთის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხებზე მსჯელობისას და მათ მთელ დასავლეთ საქართველოში ქართველთა წინაპრების მოსვლამდე აფხაზურ-ადიღეური სუბსტრატის —ეთნიკური მასის არსებობის დამამტკიცებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად წარმოადგენს [**Ш. Д. Инал-Ипа. Абхазы;** მისივე, **Вопросы этно-культурной истории абхазов, Сухуми 1976**, გვ. 420]. მაგრამ კოლხეთის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხების შესწავლისას არ უნდა დავივიწყოთ ცალკეულ ადგილებში ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ტომთა სპორადული დასახლებების წარმოქმნის შესაძლებლობა, არც ის, რომ სხვადასხვა ხალხებს, მით უმეტეს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ტომებს შორის ხშირია ცალკეულ სიტყვათა, ფუძეთა, აფიქსთა სესხება (რ. გორდეზიანი, „ფასის" ტერმინის ეტიმოლოგიისათვის", თსუ შრომები, B — 2 [140] 1971, გვ. 181—186].

ამის გარდა, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შენიშნულ თითო-ოროლა ადიღეურ სახელებსაც დამაჯერებელი დათარიღება სჭირდება [იმისი განსაზღვრა თუ როდინდელი წარმოების სახელებთან გვაქვს საქმე]. უამისოდ მათი გამოყენება რამდენიმე ათასი წლის წინანდელ ვითარებაზე მსჯელობისათვის შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს [ნ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიისათვის, გვ. 47].

დაბოლოს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არსად, არც ერთ თავის ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია ზემოთ განხილულ ტოპონიმებს არ უკავშირებდნენ საკუთრივ აფხაზურ ეთნიკურ სამყაროს. ყველა, როგორც ფს-დაბოლოებიანი ისე ყვა-ნაწილაკიანი ტოპონიმი მათ მიერ მხოლოდ ადიღეურ (ჩერქეზული) ენის საფუძველზე იხსნება. აღნიშნულ მკვლევართა აზრით, აბაზგები უფრო გვიან, მხოლოდ ახ. წ. I—II სს. ჩნდებიან დღევანდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ძვ. წ. IV ს — ახ. წ. I ს-ით დათარიღებულ წერილობით წყაროებში დამოწმებული აფს-ძირიანი სახელები: ერთი მხრივ, ლაზების ჩრდილოეთით მოსახლე ტომის ეთნონიმი — აფსილი, მეორე მხრივ, სამხრეთ კოლხეთის მდინარე ჭოროხის სახელწოდება აფსაროსი — აფსარი, უფლებას გვაძლევს არაუგვიანეს ძვ. წ. IV ს-ისა კოლხეთის ზოგიერთ რეგიონში ადიღეური ეთნიკური ჯგუფების ბინადრობა ვივარაუდოთ. მაგრამ „აფს" ძირიანი სახელების გაფორმება ქართულ-ზანური [ელ-ილ-არ] სუფიქსებით, იმის მაუწყებელიც არის, რომ ეს ადიღეური ტომები ამავე დროს თანაარსებობდნენ ქართულ მოსახლეობასთან და გარკვეული ხნის განმავლობაში ქართული ეთნიკური სამყაროს გარემოცვაში იმყოფებოდნენ.

ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი სტრაბონის ცნობაზე, საიდანაც ირკვევა აფსარ-ჭოროხის შესართავის მახლობლად ძველად მეგრულ-ჭანური მოსახლეობის მეზობლად კერკეტების [ჩერქეზების] ეთნიკური ჯგუფის განსახლება. ასევე ადრეულ ხანას შეიძლება მივაკუთვნოთ აფს—ძირიანი ეთნონიმის მატარებელი ტომის — აფსილების ბინადრობა კოდორის ხეობაში, სადაც იგი ემეზობლებოდა სვანურ, ზანურ, მესხურ ტომობრივ სამყაროს. ყოველ შემთხვევაში, იგი ქართული მოსახლეობის გარემოცვაში არსებობდა ახ. წ. I ს-ზე ადრე, რადგან ამ დროს ეთნონიმი—აფსილი, უკვე ქართული სუფიქსით გაფორმებული შედის ბერძნულ-ლათინურ მწერლობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: თუ კი აფსარ-ჭოროხის შესართავის მახლობლად მოსახლე კერკეტ-ჩერქეზების მეზობელ დასავლურ-ქართველ ტომებთან შერწყმისა და გათქვეფის პროცესი შედარებით ადრე დასრულდა, და მათი ადიღეური წარმომავლობის კვალი უმთავრესად მდინარე აფსაროსის და მითიური პერსონაჟის აფსირტეს სახელებში შემორჩა, ჩრდილოეთ კოლხეთში, კოდორის ხეობაში მობინადრე აფსილები უფრო დიდხანს ინარჩუნებენ საკუთარ ეთნიკურ სახელწოდებას, ამასთან ცალკე პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებული საუკუნეების მანძილზე განაგრძობენ არსებობას. აღნიშნული გარემოება, ჩვენი აზრით, ძირითადად ორი ფაქტორით იყო განპირობებული.

ფლავიუს არიანეს (მონათხრობის თანახმად, აფსილთა მეფეს იულიანეს მეფობა [ანუ მთავრობა] იმპერატორ ტრაიანესაგან მიუღია [Arr., § 11); აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ აფსილების სამთავრო ახ. წ. I ს-ის დასასრულს უკვე არსებობს. აფსილთა სამთავროს წარმოქმნა ლაზებისა და სანიგების სამეფოების

შორის, ზღვისპირეთიდან დაშორებულ ხეობებში, რომელთა მეშვეობით ადვილი იყო ჩრდილო კავკასიის ტომებთან დაკავშირება, ამასთან, მათი ხელისუფლების დამტკიცება რომის იმპერატორის მიერ, ნიშანდობლივი ფაქტებია და უთუოდ გასათვალისწინებელია აფსილებში მიმდინარე ეთნოპოლიტიკური პროცესების გარკვევის თვალსაზრისით. საზელდობრ, ეჭვი არ არის, რომ ამ ეთნიკური ერთეულის ჩამოყალიბება და მისი გამოსვლა პოლიტიკურ სარბიელზე, ისევე როგორც აბაზგების წინ წამოწევა [ამის შესახებ ქვემოთ], გამოწვეული იყო რომის მცდელობით ზურგიდან საფრთხე შეექმნა და ხელი შეეშალა პოლიტიკურად მზარდ სანიგთა, განსაკუთრებით კი ლაზთა სამეფოების შემდგომი გაძლიერებისათვის. აფსილთა სამთავროს დაწინაურებით და მასზე თავისი პოლიტიკური გავლენის დაწესებით რომი მყარ პოზიციებს იქმნიდა ლაზთა სამთავროს ზურგში, ამასთან, აფსილთა მიწა-წყალზე მდებარე დიდმნიშვნელოვან სტრატეგიულ გზებს თავის მეთვალყურეობის ორბიტაში აქცევდა. ლაზთა და სანიგთა სამთავრო-სამეფოების მორჩილებაში ყოლის მიზნით არანაკლებ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მათ სანაპირო ზოლშიც — პიტიუნტის, სებასტოპოლისის, ფასისის (იმაგრეების დაარსებით და აქ რომის მეციხოვნე რაზმების ჩაყენებით. ბიზანტიელ ავტორთა ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ ლაზიკაში ამ პოლიტიკის გამგრძელებლებად მომდევნო ხანაში აღმოსავლეთ რომის იმპერიის — ბიზანტიის ხელისუფალნი გამოდიან.

აფსილთა სამთავროსთან რომის მჭიდრო პოლიტიკურ კავშირსა და მის დიდ გავლენას ამ სამთავროს მესვეურზე, სხვა მონაცემებთან ერთად, უნდა მოწმობდეს თვით ამ „მეფის“ სახელი — იულიანე, ასევე მისი საგამგეო ერთეულის ადრე მოქცევა რომის პოლიტიკური ინტერესების სფეროში (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 54; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968).

მეორე მხრივ, აფსილთა სამთავროს ჩამოყალიბება — დაწინაურებაში, ჩვენი აზრით, დიდი როლი უნდა შეესრულებინა ახ. წ. I—VI სს-ის განმავლობაში მათ ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან ადიღეური ტომების ახალი დიდი ნაკადის ჩამოსახლებას. რის შესახებ ანონიმთან დაცული ტოპონიმიკური მასალის საფუძველზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ამას აფსილთა სამთავროს სამხედრო პოტენციალი მნიშვნელოვნად უნდა გაეზარდა. მაგრამ, ტოპონიმიკურ მონაცემებთან ერთად, ჩვენ ხელთაა კოდორის ხეობაში, წებელდის არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ღირსშესანიშნავი მასალები, რომელთა შესწავლა, ადრებიზანტიურ და ქართულ წყაროებთან ერთად, შესაძლებელს ხდის თვალი გავადევნოთ მათ სამთავროში მიმდინარე ეთნოპოლიტიკურ და სოციალურ პროცესებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე შენიშნულია, რომ ახ. წ. I ს-დან აფსილთა სამთავრო საკმაოდ დაწინაურებული პოლიტიკური ერთეულია, რაც თავისთავად გულისხმობს აფსილთა ეთნიკურ ერთობაში შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და კულტურის განვითარების გარკვეული დონის არსებობას.

ამას ადასტურებს აფსილთა პოლიტიკური ცენტრის — წებელდისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებიც. მკვლევარნი შენიშნავენ, რომ წებელდაში გამოვლენილი კულტურა, რომელიც ახ. წ. II IV სს-ის ქრონოლოგიური ჩარჩოებით იფარგლება, აღმოცენდა ადგილობრივ ბაზაზე. იგი წარმოადგენს კოლხური კულტურის ტრადიციების შემდგომი განვითარების შედეგს, ავლენს უწყვეტ კავშირს კოლხური კულტურის ტრადიციებთან, მაგრამ, ამავე დროს, მასში შეინიშნება მთელი რიგი თავისებურებანი. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა წებელდის სამაროვანზე გვიანსარმატული მატერიალური კულტურისათვის დამახასიათებელი რკინის იარაღის აღმოჩენა. ეს იარაღი ადგილობრივ არის დამზადებული გვიანსარმატული ნიმუშების მიხედვით [М. М. Трапш, Культура горной Абхазии в начале эпохи средневековья, Труды, 4, Тб., 1975, გვ 9—70].

აფსილთა ქვეყანა თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ადვილად უკავშირდებოდა, ერთი მხრივ, კოლხეთის შიდა და ზღვისპირა რეგიონებს, მეორე მხრივ, ჩრდილო კავკასიას, რის შედეგად კულტურულ და პოლიტიკურ სფეროში, ასევე ეთნიკური თვალსაზრისითაც შეინიშნება აფსილთა მჭიდრო ურთიერთობა როგორც მეზობლად მცხოვრებ ქართველ მოსახლეობასთან, ისე ჩრდილოკავკასიის ტომებთან. ყოველივე ეს ზეგავლენას ახდენდა წებელდის კულტურის თავისებურებათა ჩამოყალიბებაზე, ასევე, აფსილთა ისტორიის შემდგომ მსვლელობაზე.

არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება აგრეთვე კულტურული ურთიერთობა და სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები რომაულ სამყაროსთანაც [რომაული მონეტები]; შეინიშნება ბერძნული კულტურის გარკვეული გავლენაც [ვრცელდება ბერძნული ენა, მონეტის სამარხში ჩატანების წესი და სხვ.].

ყოველივე ეს მიუთითებს აფსილთა ეკონომიკურ განვითარებაზე ახ. წ. IV ს-ში, რაც თავის გამოხატულებას ჰპოვებდა სოციალურ ურთიერთობებშიც: საზოგადოებაში გამოიყოფოდა პრივილეგირებული ზედაფენა. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი შეადგენდა ქვეყნის სამხედრო ძალას.

ქართული მოსახლეობის გარემოცვაში მოხვედრა [აქ იგულისხმება მეგრულ-ჭანური, სვანური და აღმოსავლურ ქართული მოსახლეობაც — მოსხები] და მასთან ხანგრძლივი კონტაქტები უთუოდ ზეგავლენას ახდენდა აფსილთა ენასა და კულტურაზე. მათ მიწა-წყალზე დადასტურებულია არაერთი ქართული, მათ შორის სვანური ტოპონიმი, რაც აფსილთა ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობის კიდევ ერთი მაუწყებელია.

ბიზანტიურ წყაროებში დაცულია აფსილთა მთავარი პოლიტიკური ცენტრის სახელწოდება— წიბელი-უსი [დღ. წებელდა], რომელსაც, ჩვეულებრივ, უკავშირებენ ქართულ სიტყვას წიფელი. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ გამოდის, რომ ეს სიტყვა წარმოდგენილია აღმოსავლურ-ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმით წიფელ-ი-, ჭანური წიფ-ურ-ი, წიფ-რ-ი, მეგრული წიფ-ურ-ი, სვანური წიფ-რა. აქვე ისადება კითხვა, ხომ არ უკავშირდება ტოპონიმების ასეთი გაფორმება აღმოსავლეთ-ქართველი ტომების განსახლებას ამ მხარეში.

ძლიერი ჩანს აფსილებისა და სვანების ენობრივ-კულტურული კონტაქტებიც. VII ს-ის ბიზანტიელი ავტორის თეოდოსი განგრელის გადმოცემით, აფსილებისა და მისიმიელების მხარეში მდებარეობდა ფუსტას ციხე. შენიშნულია, რომ სვანურ ღვთაებათა პანთეონში ფუსტას ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი ეჭირა, როგორც უზენაეს ღვთაებას. სვანურ ენაზე ფუსტა ნიშნავს უფალს, ბატონს [ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, I, გვ. 44, 50].

აფსილთა და მათ მეზობლად მცხოვრებ სვანთა ენობრივი დაახლოვების თვალსაზრისით მეტად საინტერესო ცნობები აქვს დაცული აგათია სქოლასტიკოსს. მის თანახმად, აფსილთა მეზობლად (ჩრდილო-აღმოსავლეთით) მცხოვრები მისიმიანები განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობდნენ, განსხვავებულ კანონებს მისდევდნენ და აფსილთა მონათესავენი იყვნენ [ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. 3, გვ. 86, 161, 162].

საინტერესო ის არის, რომ მკვლევართა დიდი ნაწილი მისიმიელებს სვანთა ერთ-ერთ ტომად მიიჩნევს. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ისინი ერთ-ერთ სვანურ გაერთიანებას წარმოადგენდნენ. ეს სახელი სვანთა სახელის ადგილობრივი ფორმის მუშვან-ის სახეცვლილი ფორმა უნდა იყოს [ს. ყაუხჩიშვილი, მისიმიანთა ტომი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, ტფ.—1936, გვ. 277—280]. მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისიმიანები ქმნიდნენ აფსილთა და სვანთა მოსახლეობისაგან შემდგარ გაერთიანებას, რომელიც ამ ორი ეთნოსის ხანგრძლივი თანაარსებობის, ერთმანეთთან შერევის შედეგად წარმოიშვა აფსილებისა და სვანების მოსაზღვრე ტერიტორიაზე. თუ მისიმიანთა სატომო სახელწოდების მიხედვით ვიმსჯელებთ, წამყვანი ეთნიკური ელემენტი მათ გაერთიანებაში სვანების ერთ-ერთი ტომი უნდა ყოფილიყო.

როგორც წყაროების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, ასეთივე პროცესი მიმდინარეობს აფსილთა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, რომლითაც იგი ლაზთა სამეფოს ესაზღვრებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლაზთა გავლენა განსაკუთრებით ძლიერი იყო აფსილთა ტომის იმ ნაწილზე, რომელსაც ზღვისპირეთი ეჭირა [კოდორსა და ღალიძგას შორის მდებარე სექტორში]. ლაზ-აფსილთა შერწყმის პროცესი, რაც გამოიხატა აფსილთა გალაზებაში, VI ს-ისათვის უკვე თვალსაჩინო იყო [ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1990,]. ამას უთუოდ ხელი შეუწყო ლაზთა მიერ აფსილთა პოლიტიკურმა დამორჩილებამ ახ. წ. IV—V სს-ში და უთუოდ, ლაზებთან ერთად, აფსილთა ადრე გაქრისტიანებამ [ახ. წ. IV ს-ში].

პროკოპის გადმოცემით, „აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან“ [ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. 2. თბ., 1965, გვ. 128, 162]. აქედან ჩანს, რომ ახ. წ. III—IV სს-ში პოლიტიკურად და სამეურნეო თვალსაზრისით გაძლიერებულ ლაზებს აფსილები თავის გავლენაში მოუქცევიათ. ახ. წ. VI ს-ის ამბების აღწერილობაში არაფერია ნათქვამი აფსილთა მთავარზე. ამასთან, ლაზთა მეფეს აფსილეთში თავისი მოხელეები [მაგისტროსი] ჰყავდა [Proc, BG VIII, 10]. აღნიშნული გარემოება ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ აფსილეთი VI ს-ში უშუალოდ იყო შესული ლაზების სამეფოს შემადგენლობაში [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 546, და ტ. II, თბ., 1973, გვ. 166].

ახ. წ. III—IV სს-ში აფსილთა და ლაზთა შორის დამყარებული ეს მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა რელიგიურ სფეროშიც პოვებს თავის გამოხატულებას. აღნიშნული გარემოება კარგად აისახა ბიზანტიელი ავტორის იმ ცნობაში, სადაც იგი მოგვითხრობს აფსილთა ლაზების ქვეშევრდომობაზე და იქვე დამატებით გვამცნობს, რომ ისინი ძველითგანვე ქრისტიანები იყვნენ [Proc., BG VIII, 2]. მოტანილი ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ აფსილთა და ლაზთა პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი ეს ორი მნიშვნელოვანი ფაქტი მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ ლაზების მიერ ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად გამოცხადებას IV ს. ში უნდა ჰქონოდა ადგილი. [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 187, 188]. ზემოთ მოტანილ ცნობაზე დაყრდნობით ვფიქრობთ, ამავე ხანებში უნდა მიეღოთ ქრისტიანობა აფსილებსაც. საინტერესოა, რომ აფსილთა ცენტრალური ციხე-ქალაქის — წებელდის სამაროვანზე აღმოჩენილ კერამიკულ

ქურჭელსა და მინის სასმისებზე გვხვდება ჯვრის გამოსახულებები. IV საუკუნით თარიღდება ვერცხლის მედალიონი ქრისტიანული წარწერით — „ერთარსი ღმერთი. მშველელი შემწირველთა" და ოქროს პატარა ჯვარი. წებელდის ნეკროპოლის სამარხთა უმეტესობის დამარხვის წესიც წმინდა ქრისტიანულია. ყოველივე ეს კი მოწმობს, რომ ქრისტიანობას აფსილთა ქვეყანაში გზა ადრე გაუკვლევია. (დ. ლეთოდიანი, აფხაზების [აბაზგების] გაქრისტიანების დათარიღებისათვის, „მაცნე", ისტორიის სერია, № 4, თბ., 1989, გვ. 52—54).

აფსილთა [იგევე როგორც მათ ჩრდილო-დასავლეთ მეზობელ სანიგთა], გაქრისტიანებაში დიდი როლი უნდა შეესრულებინა უკვე IV ს. პირველი მეოთხედის ბოლოს ბიჭვინთაში არსებულ საეპისკოპოსო კათედრას, რომლის მღვდელმთავარი ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე იყო.

აფსილების ადრე გაქრისტიანება კიდევ ერთი მოწმობაა მათი დაწინაურებისა. ამან მყარი საფუძველი შეუქმნა აფსილთა უფრო დაახლოებას ქართულ სამყაროსთან.

საწინააღმდეგო პროცესი მიმდინარეობს აფსილთა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით. ეს პროცესი იმით იწყება, რომ აფშილები ჯერ ჩრდილოეთ მეზობელ სანიგთა სამთავროს აღმოსავლეთ ნაწილს იკავებენ, დაახლოებით ციხე ანაკოფიამდე (ახალი ათონი). ქართული წყაროებით ცხუმი (სოხუმი), რომელიც ახ. წ. II ს-ში სანიგთა სამთავროს მიწა-წყლის ფარგლებშია დასახელებული [Arr.; § 10], მომდევნო საუკუნეებში აფშილთა კუთვნილი ქალაქი ხდება. ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი შენიშნავს: „და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფიისასა" [ქც, I, გვ. 235). ამ ცნობის თანახმად, სებასტოპოლისი — ცხუმი აფშილთა კუთვნილი ქალაქია.

მას შემდეგ, რაც აფშილები იერთებენ სანიგთა სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს ციხე ანაკოფიამდე, ბიზანტიური წყაროებით, ციხე ტრაქეამდე (თანამედროვე ახალი ათონი თუ გაგრა?), ისინი უმეზობლდებიან აბაზგებს. აქ საჭიროა შევეხოთ აბაზგთა საცხოვრისის, მათი პოლიტიკური ერთეულისა და ეთნიკური ვინაობის საკითხებს.

აბაზგებს ფორმით „აბასკოი" პირველად არიანე იხსენიებს თავის „პერიპლუსში"—აფსილებისა და სანიგების მეზობლად. იგივე არიანე ხადგომ პიტიუნტის ჩრდილოეთით ასახელებს ამავე სახელწოდების მდინარეს [აბასკოს], რომელიც დღევანდელ მდ. ბზიფს უნდა უდრიდეს, არიანე მეტს არაფერს გვამცნობს აბაზგთა ადგილსამყოფელის შესახებ, მაგრამ [illegible], რომ აფსილების ჩრდილო-დასავლეთით უშუალოდ სახლობდნენ სანიგები, რომელთა მიწა-წყალი სებასტოპოლისიდან მოკიდებული მდ. აქეუნტამდე [შახემდე] ვრცელდებოდა, გვაძლევს საფუძველს გავიზიაროთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, ახ. წ. II ს-ში აბაზგთა დღ. აფხაზეთის მთიან რეგიონებში განსახლების შესახებ. აბაზგ—აფხაზთა ამდროინდელი საცხოვრისი კოლხეთის მთიან ადგილებში ჰქონდა ლოკალიზებული ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილს. იგი შენიშნავდა: „კოლხეთის ჩრდილოეთი მაღლობი ადგილები აფშილებსა და აფხაზებს სჭერიათ; უკანასკნელებს მთა ადგილებში უცხოვრიათ". აფშილთა და აფხაზთა აღმოსავლეთით მდებარეობდა სვანეთი და სკვიმნია [ივ. ჯავახიშვილი, ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, სამშობლო და უძველესი ბინადრობა. ქართველი ერის ისტორია. წ. I, დამატ. I, თბ., 1951, გვ. 420), ანალოგიური მოსაზრება აქვს გამოთქმული პ. ინგოროყვას [გიორგი მერჩულე, გვ. 187].

მიუხედავად იმისა, რომ ახ. წ. II ს-ზე ადრეულ ბერძნულ-რომაულ წყაროებში არსად ვხვდებით აბაზგთა ტომის ხსენებას, ხავსებით შესაძლებელია მათი მცირე ეთნიკური ჯგუფების არსებობა ვივარაუდოთ იმ მთიელ ტომთა შორის, რომელთაც, სტრაბონის გადმოცემით, საერთო, კრებითი სახელი — კავკასიელები ეწოდებოდათ. მაგრამ უდავოა ისიც, რომ აბაზგთა ეთნონიმის მატარებელი ტომი ამ დროს არ ასრულებდა რაიმე ღირსშესამჩნევ როლს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ცხოვრებაში, ხოლო ახ. წ. II ს-ის დასაწყისიდან არიანეს მიერ მოხსენიება აბასკების მთავრისა (—რესმაგა), რომელსაც იმპერატორ ადრიანესაგან მიუღია „მეფობა", იმის მაუწყებელია, რომ აბასკაბაზგები ამ დროისათვის ისეთ პოლიტიკურ ძალად იქცნენ, რომელთანაც რომის იმპერიას სჭირდებოდა გარკვეული ურთიერთობის დამყარება, თავის გავლენის სფეროში მოქცევა. ამასთან, ლაზთა სამეფოს ზურგში ძლიერი სამხედრო პოტენციალის მქონე სამთავროს შექმნა და მისი მეშვეობით კავკასიონის გადმოსასვლელების საიმედო დაცვა, მათზე მეთვალყურეობის დაწესება.

აბასკ-აბაზგთა გაძლიერებას, ჩვენი აზრით, ბიძგი მისცა ჩრდილო კავკასიიდან ახ. წ. I—II სს-სათვის აფხაზურ-ადიღეური ტომების ახალი ნაკადების ჩამოსვლამ დღ. აფხაზეთის ცენტრალურ მთიან ზონაში.

კავკასიონის უღელტეხილებთან ახლო მცხოვ-

რები ტომები, როგორც ჩანს, მოხერხებულად იყენებდნენ ახლად ჩამოსულ ჩრდილო-კავკასიელთა სამხედრო ძალებს თავიანთი პოლიტიკური გაძლიერებისათვის.

ამასთან დაკავშირებით ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ პლინიუსი [ახ. წ. I ს.], რომელიც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე აბაზგებს ჯერ კიდევ არ იხსენიებს [ახაზელებს მხოლოდ აფსილებს], ჩრდილო კავკასიაში, მეოტიდისა და კასპიის ზღვებს შორის, ამ უკანასკნელის ახლოს, აღნიშნავს „აბზოე" სახელწოდების მრავალრიცხოვან ტომებს, სხვა სარმატული ეთნიკური ჯგუფების გვერდით. [Plin, VI]. თუ დავუშვებთ, რომ ამ ცნობის ავტორს ხელთ არ ჰქონდა ზუსტი გეოგრაფიული კოორდინატები აბზოე ტომების საცხოვრისის განსაზღვრისას, რასაც თვით ცნობაზე დაკვირვებაც გვაფიქრებინებს [ამას ВДИ-ს კომენტატორიც შენიშნავს] და ეს აბზოე ტომები უფრო დასავლეთით უნდა იქნენ ლოკალიზებული [სარმატულ ტომებთან ერთად], მაშინ შესაძლებელია გარკვეული კავშირი დავინახოთ ამ ეთნონიმსა და აფხაზური ტომების კრებით სახელს „აბაზა"-ს შორის, რომელიც XIX ს-მდე ყველა აფხაზის საერთო სახელად იხმარებოდა [მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 182]. თუ ეს ასეა, მაშინ პლინიუსის ცნობა იმ მოსაზრების კიდევ ერთ საბუთად უნდა მივიჩნიოთ, რომ აბაზგთა მთავარი ეთნიკური ბირთვის ჩამოსახლება ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთის მთიან რეგიონში მართლაც ახ. წ. I ს-ის დასასრულისთვის არის სავარაუდო.

წყაროებიდან ირკვევა, რომ ახ. წ. II ს-დან გაძლიერებული აბასკები [აბაზგები] აფხაზეთის მთიანი რეგიონებიდან თავიანთ პოლიტიკურ გავლენას ავრცელებენ სანაპირო ზოლში მდებარე სანიგების სამთავროზე. აღნიშნული პროცესი კარგად ჩანს ფლავიუს არიანეს [ახ. წ. II ს.] ცნობების შედარებიდან ახ. წ. V ს-ის ანონიმური ავტორისა და პროკოპი კესარიელის [ახ. წ. VI ს.] ცნობებთან. სახელდობრ, თუ კი II ს-ში სანიგებს ვრცელი სანაპირო მიწები ეპყრათ ქ. სებასტოპოლისიდან მდ. აქეუნტამდე [შახემდე]. V ს-სათვის სანიგებს ამ ტერიტორიის მხოლოდ ნაწილი შერჩენიათ მდ. აბასკოსიდან [ბზიფიდან] აქეუნტამდე. სანაპირო ზოლი კი მდინარე ბზიფიდან დაახლოებით დღევანდელ ახალ ათონამდე [ძველი ანაკოფია] აბასკების პოლიტიკურ ერთეულში იყო შესული. აბასკთა მიერ სანიგების მიწების შეერთება ამაზე არ შეჩერებულა. ეს პროცესი გრძელდებოდა V ს-ის შემდეგაც. VI ს-ისათვის აბაზგების პოლიტიკურ გაერთიანებაში ექცევა სანიგთა სამთავროს დანარჩენი ნაწილიც. საყურადღებოა ამ მხრივ ის გარემოება, რომ პროკოპის აბაზგების დასავლეთ მეზობლებად დასახელებული ჰყავს უკვე არა სანიგები. არამედ ზექები [ზიქები, იგივე ჯიქები] Proc., BG, VIII, 4. [ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. 2, გვ. 185].

აღსანიშნავია ისიც, რომ [illegible] სანიგებს აღმოსავლეთიდან [illegible] აფსილები, რომელნიც თავიანთ სამთავროს ფარგლებში აქცევენ ოდესღაც სანიგთა მიწა-წყალზე მდებარე სებასტოპოლის — ცხუმის მიდამოებს და თავიანთ პოლიტიკურ გავლენას ავრცელებენ ტრაქეის ციხემდე. ეს იყო აბაზგთა მიერ აგებული სატომთაშორისო სიმაგრე, რომლითაც ისინი თავს იცავდნენ აფსილებისაგან და ამავე დროს ემუქრებოდნენ მათ.

ამრიგად, ახ. წ. VI ს-სათვის დღევანდელი აფხაზეთის მიწა-წყალზე იქმნება, ერთი მხრივ, სამეურნეო და კულტურული განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ აფსილთა ეთნო-პოლიტიკური ერთეული, რომლის სამხრეთი მხარე გაქართველებულია (გალაზებულია), ჩრდილო-აღმოსავლეთი კი სვანთა გავლენის სფეროშია მოქცეული, ხოლო მეორე მხრივ აბაზგთა გაერთიანება. ახ. წ. VI ს-დან აბაზგთა პოლიტიკურ აღმავლობას — ხელს უმართავს ბიზანტია, ისევე როგორც წინა საუკუნეებში [რომის იმპერატორების დროს], ახლაც ბიზანტიის ხელისუფალნი ცდილობენ ლაზთა მეფის საწინააღმდეგოდ რიგი ღონისძიებების გატარებას. აბაზგთა ქვეყანაში თავისი პოზიციების განმტკიცების ერთ-ერთ მძლავრ იარაღად იმპერატორ იუსტინიანეს მათი გაქრისტიანება ესახებოდა. შემთხვევითი არ არის პროკოპი კესარიელის მიერ ხაზგასმით იმის აღნიშვნა, რომ „აბაზგები ქრისტიანენი არიან და ძველითგანვე რომაელთა მეგობრები" [Proc., BP, II, 29] (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. 2, გვ. 100). აქედან კარგად ჩანს, რომ აბაზგთა გაქრისტიანება იუსტინიანესთვის პირველ რიგში პოლიტიკური მნიშვნელობის აქცია იყო. აბაზგთა მოქცევა, ისევე როგორც მათ ქვეყანაში იუსტინიანეს მიერ საგანგებოდ ჩატარებული სხვა ღონისძიებები, აბაზგთა და რომაელთა შორის, „ძველითგანვე არსებული მეგობრობის" შემდგომ განმტკიცებას და იმპერიის ხელისუფლების ხელში მათი ერთგულების უზრუნველყოფას ემსახურებოდა.

ამრიგად, თუ კი ახ. წ. IV ს-ში აფსილების დიდი ნაწილი ლაზთა სამეფოსაკენ იხრება და ქართულ სამყაროსთან დაახლოვების, მასთან შერწყმის ტენდენციას ავლენს, აბაზგები [ანუ აფხაზები] ძირითადად ბიზანტიურ ორიენტაციას არჩევენ და ბერძნული კულტურის გავლენაში ექცევიან (ქართული საისტორიო წყაროებში ეგრისწყალს ქვემოთი ქვეყანა, ანუ „აფხაზეთი" განიხილება როგორც ბერძენთა სამფლობელო, „საბერძნეთი" (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1990).

პოლიტიკური მოძლიერების მიუხედავად, აბაზგია ახ. წ. VI ს-ში თავისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დო-

ნით საგრძნობლად ჩამორჩებოდა როგორც ლაზთა სამეფოს, ისე მის მეზობელ აფსილთა სამთავროს. პროკოპი კესარიელის ცნობებზე დაკვირვება ნათელყოფს, რომ ალებული ზანიხათვის აბაზგებს ჯერ კიდევ არ გადაულახავთ ტომობრივი დაყოფის ჩარჩოები. ამ დროს ქვეყანაში არსებობს ორი ეთნოპოლიტიკური ერთეული, რომელთაც თავიანთი მთავრები განაგებენ [Proc., BG. VIII, 8]. აღნიშნული გარემოება მოწმობს, რომ აბაზგებში ტომობრივი საზღვრების საბოლოო წაშლის პროცესი ნელა მიმდინარეობდა და მათი ეროვნებად ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ გრძელი გზა იყო გასავლელი. აბაზგთა დარჩენას ტომურ ჩარჩოებში ხელს უწყობდა მათი ეკონომიკის სუსტი განვითარება. წყაროების მიხედვით, ქვეყანაში არ არსებობდა ქალაქები [ბიჭვინტა და სებასტოპოლისი ამ დროს ფაქტობრივად ბიზანტიელთა ციხე-სიმაგრეებია]. საზოგადოებრივი წყობის თვალსაზრისითაც არ ჩანს, რომ აბაზგები დიდად დაწინაურებულნი ყოფილიყვნენ. ამის დასტურია მათი მთავრების მიერ ბავშვებით ვაჭრობა და აგრეთვე ქვეყანაში გამეფებული წარმართობა. პროკოპის გადმოცემით, მათ მხოლოდ იუსტინიანეს მეცადინეობით [ე. ი. მისი ძალდატანებით] აღიარეს ქრისტიანობა... „მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიცააშენა და მათ მღვდელმსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები" [Proc., BG. VIII, 8], (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. 2. გვ. 184, 185).

ახეთი ვითარება იყო აბაზგიაში ახ. წ. VI ს-ში, როცა მის მეზობლად ჯერ კიდევ არსებობდა აფსილთა პოლიტიკური ერთეული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინა ხანაში აფსილებს მკვეთრად უპირისპირდებოდნენ აბაზგები [ამის მანიშნებელია, აფსილთა ქვეყნის საზღვარზე მათ მიერ „ძველთაგანვე" ტრაქიის ციხის აგება]. მაგრამ VII—VIII სს-ში აბაზგები თავის სამთავროს ფარგლებში აქცევენ აფსილებსაც, ჩაჩის ტომის გარდა, რომელიც ლაზებს შეერწყა (ჩაჩ-ტომი აფშილების მონათესავე უნდა ყოფილიყო და როგორც ვარაუდობენ ეგრისის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ამასთან დაკავშირებით იმასაც აღნიშნავენ, რომ ჩაჩ ტომს „აფხაზებს" არ ეძახდნენ, არამედ ჩაჩ-შარვაშიძეს „ქართველს" უწოდებდნენ; (ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 605-607), ამიერიდან აფშილეთის ქალაქი ცხუმი აფხაზეთის ქალაქი ხდება. აქვე არსდება აფხაზეთის სამთავარეპისკოპოსო ცენტრი (ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშ. გვ. 596).

ამავე დროს (ახ. წ. V—VII სს) მიმდინარეობს აბაზგთა შერწყმა სანაპირო ზოლზე ძველთაგანვე მოსახლე დასავლეთ-ქართველ ტომებთან — სანიგებთან.

უკვე ლივე ამის შედეგად II ს-დან სახელწოდება „აბაზგი" სცილდება ეთნიკურ ფარგლებს და უფრო ფართო მნიშვნელობის [illegible] იქცევა. ამიერიდან „აბაზგებში" [illegible] მხოლოდ ერთი წარმომავლობის ტომს, არამედ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მთელ ქართულ და არაქართულ მოსახლეობას, რომელიც ამ დროიდან აბაზგთა სამთავროში შედის (მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბილისი, 1990).

საზოგადოებრივი განვითარების მხრივ ამდროინდელი (VII ს) აფხაზეთის მოსახლეობა ორი სხვადასხვა სახეობისაა. პირველი — ბარის, ეგრის წყლის (დღ. ღალიძგას) „ქვემოთი" ანუ მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სანაპირო ზოლის მკვიდრნი — მეგრულ-ზანური და სვანური წარმომავლობის სანიგები და ძველიდანვე ქრისტიანული, ქართული კულტურის ძლიერ გავლენაში მყოფი, გალაზებული აფსილები, მეორე — მთიანი ზონის მოსახლეობა, რომელსაც შედარებით ნაკლებ განვითარებული, მეტწილად აფხაზურ-ადიღეური ტომები შეადგენდნენ. მომდევნო ხანაში აფხაზთა ერისთავი ლეონ II ისარგებლებს ბიზანტიის დასუსტებით („რა ჟამსა მოუძლურდეს ბერძენნი"), ხაზართა მეფის დახმარებით („ძალითა მათითა") განუდგება ბერძნებს და აფხაზეთს ეგრისს (ლაზიკას) შეუერთებს [მატიანე ქართლისა, ქც. I, 251; С. Н. Джанашиа, Абхазия в составе Колхидского царства и Лазики. Образование «Абхазского царства» „მაცნე", ისტორიის სერია, 1990, № 2], რის გამო სახელწოდება „აფხაზეთი" კიდევ უფრო ფართო პოლიტიკურ მნიშვნელობას იღებს და მთელ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდება.

აფხაზთა სამთავროსთან აფსილთა შეერთების შემდეგ, როგორც საფიქრებელია, უფრო ძლიერდება ამ უკანასკნელთა ენის გავლენა აფხაზეთის მოსახლეობაზე, განსაკუთრებით კი მთის აბაზგ-აფხაზთა ენაზე, რასაც, ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, უნდა მოჰყოლოდა აბაზგთა ძველი ენის შევიწროება და მათ შორის განსხვავებული დიალექტების გაჩენა Л. И. Лавров, Историко-этнографические очерки Кавказа, Л., 1978, с 44, 45) ამ თვალსაზრისით უთუოდ ნიშანდობლივია ქართულ საისტორიო ტრადიციაში აფხაზთა ენის აფსართა [ანუ აფსილთა] ენად ხსენება. წყაროში დაცული შენიშვნა გვამცნობს: „ლაშასა, რომელი განმანათლებელად სოფლისა თარგმნა [აფსართა ენითა]". (ქართლის ცხოვრება... (უამთააღმწერელი, ქც. II. 1959, გვ. 68). აქ აფსართა ენაში აფხაზური ენა იგულისხმება.

აფსილთა ცალკეული ეთნიკური ჯგუფების შერევა აბაზგებთან, აფსილთა ენის ზეგავლენა მათზე, იმაშიც პოვებს თავის გამოხატულებას, რომ ამ მოსახლეობის გარკვეული ნა-

წილი აფსილებისაგან ითვისებს მათ სატომო სახელწოდებასაც — აფსილი, აქედან აფს-უა, რომელიც თანდათან მთელ აფხაზურ მოსახლეობაზე ვრცელდება და მისი თვითსახელი ხდება. აფხაზები დღესაც თავის თავს აფსუას უწოდებენ.

ამრიგად, მთელი ზემოთ განხილული მასალა ნათელყოფს, რომ აბაზგ-აფხაზთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი სწორედ იმ ხანაში მიმდინარეობს, როდესაც ისინი თავს აღწევენ ბერძნულ-ბიზანტიურ გავლენას და მათი პოლიტიკური ორიენტაცია ბიზანტიიდან საქართველოსკენ იხრება. ამ დროს, ერთი მხრივ, აფხაზები — როგორც აქტიური სამხედრო ძალა, მონაწილეობენ დასავლეთ საქართველოს მთელ მოსახლეობასთან ერთად ქართული სახელმწიფოს შექმნაში, რის შედეგად აფხაზეთის ბარის მცხოვრებნი, განსაკუთრებით მათი ზედაფენა ქართველდება, ეზიარება და ითვისებს ქართულ კულტურას, ქართულ ენას, სარწმუნოებას, დამწერლობას და ქართული ფეოდალური საზოგადოების ნაწილი ხდება [ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII. მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბილისი, 1990]. აფხაზეთის ბარის მკვიდრთა ქართველ ხალხთან კონსოლიდირებაში, ვფიქრობთ, თავისი წვლილი შეაქვს ლაზების მოსაზღვრე, გაქართველების გზაზე მდგარ აფსილთა დაწინაურებულ ნაწილსაც. ხოლო რაც შეეხება აფხაზეთის მთიანი რეგიონების მცხოვრებთ, სადაც მეზობელ და მონათესავე მთიელ აფსილებთან შერწყმის თანმხლები ეთნოპროცესები მიმდინარეობს, ისინი მაინც ინარჩუნებენ თავიანთ განსხვავებულ — აფხაზურ-ადიღეურ ეთნიკურ სახეს და ენას.

იმისათვის, რომ ბოლომდე თვალი გავადევნოთ აფხაზეთის ძველი მოსახლეობის მიერ განვლილ ისტორიულ განვითარების გზას, საჭიროა აქვე ყურადღება შევაჩეროთ და უფრო დეტალურად შევეხოთ აფხაზთა ეთნიკური კუთვნილების საკითხს, რომლის კვლევა-ძიების შედეგად სამეცნიერო ლიტერატურაში ფრიად საყურადღებო, მაგრამ ზოგ შემთხვევაში სრულიად განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. მკვლევართა დიდი ნაწილი — ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ს. ყაუხჩიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ქ. ლომთათიძე, გ. მელიქიშვილი, ნ. ლომოური და სხვანი ბერძნული წყაროების აბაზგებს აფხაზურ ეთნიკურ სამყაროს მიაკუთვნებენ. ერთ-ერთი რეალური საფუძველი ასეთი დებულების წამოყენებისათვის არის ის, რომ ხალხი, რომელიც ეთნონიმ „აბაზგის" მსგავს სახელწოდებას „აფხაზს" ატარებს და დღეს დაახლოებით იმავე მიწა-წყალზე ცხოვრობს, რომელზედაც ანტიკურ ხანაში აბაზგები სახლობდნენ, აფხაზური წარმოშობისაა. ასეთი მოსაზრების გამოთქმისას მკვლევარნი იმასაც ითვალისწინებენ, რომ სატომო სახელწოდების „აბაზ-გი", „აბაზ--ხი" ფუძიდან „აბაზ" ნაწარმოები სახელი „აბაზა" მე-19 საუკუნემდე იხმარებოდა შემკრებლობით — გამაერთიანებელ ტერმინად ადიღეველთა (ჩერქეზთა) და აგრეთვე თვით აფხაზთა მიერ, როგორც ჩრდილო, ასევე სამხრეთ კავკასიის აფხაზთა მიმართ. ხოლო მე-19 საუკუნის შემდეგ იგი მკვიდრდება საკუთრივ ჩრდილო-კავკასიაში მოსახლე აფხაზთა სახელწოდებად. [ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი. თბილისი, 1944; მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 157]. აფხაზთა ეთნიკური კუთვნილების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თვით სახელწოდებათა „აბასკ"—„აბაზგი" და „აფხაზის" იმ ენათმეცნიერულ კვლევას, რომელიც მათი ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევას ისახავს მიზნად. ამ კვლევა-ძიების შედეგებიდან ყურადღებას იქცევს ს. ყაუხჩიშვილის და ნ. მარის დებულებები.

მარის, ისევე როგორც ს. ყაუხჩიშვილის მტკიცებით, აბაზგის ამოსავალი ფორმაა აბაზ-ზ, ე. ი. ზ-ანიანი ფორმა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მართალია, ნ. მარი მის მიერ აღდგენილ ფორმას „აბაზს" როგორც ფუძით, ისე ფორმანტითაც ადიღეურ [ჩერქეზულ]—ყაბარდოულ სატომო სახელებს—„აბაძახი" და „აბაზა" უკავშირდება, მაგრამ აფხაზების წინაპრებად მოსხებს ანუ მოსხ-მესხებს მიიჩნევდა (Н. Я. Марр, История термина «абхаз», კრებულში О языке и истории абхазов. М.—Л., 1938, стр. 44—52.

მოსაზრება მოსხ-მესხისა და აფხაზის ურთიერთკავშირის შესახებ შემდეგ განავითარა პ. ინგოროყვამ. მკვლევარის მიერ წამოყენებული დებულების თანახმად, აბაზგები ისეთივე ქართველი ტომები იყვნენ, ქართულის წარმოშობისა და ქართულ დიალექტზე მოლაპარაკე, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა ტომები — ქართები, მეგრელები, სვანები [პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 116].

პ. ინგოროყვას მტკიცებით, ანტიკური ხანის ყველა საისტორიო წყაროში [ძვ. წ. V ს-დან I ს-მდე] აბაზგებს ეწოდებოდათ მხოლოდ ეს სახელი — „მოსხი". რაც შეეხება ტერმინებს „აბასხი", „აფხაზი", რომლებიც, მისი აზრით, დიალექტური სახესხვაობაა იმავე ძველი სატომო სახელწოდებისა „მოსხი", ესენი ბევრად უფრო გვიან შემოდიან ხმარებაში. დღევანდელი აფხაზების წინაპრები ე. წ. აფსუები, პ. ინგოროყვას შეხედულებით, ამ მიწა-წყალზე შუა საუკუნეებში ჩამოსახლდნენ, ხოლო სახელწოდება „აფხაზი" აქ ოდითგანვე მცხოვრები ქართველი აფხაზებისაგან მიიღეს [პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 187—189].

ზემოთ, წერილობითი წყაროების განხილვამ ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ აფხაზეთის შიდა რეგიონებში ძვ. წ. V—II სს-ში ძლიერია კოლხური ელემენტი. ამასთან,

აქვე, სხვა ტომებთან ერთად, თითქოს ხავარაუდოა მოსხური ეთნიკური ჯგუფების ბინადრობაც, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მომდევნო ხანაში ამ მიწა-წყალზე დასახლებულ (უთუოდ ჩამოსახლებულ) ტომთა მთავარი ეთნიკური ბირთვი ახ. წ. II ს-სათვის აბაზგთა სახელწოდების პოლიტიკურ ერთეულს ქმნის.

ამდენად, ჩვენ ხელთ არსებული მასალა საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ არა მოსხების და აბაზგების იგივეობაზე, არამედ ვივარაუდოთ, რომ ძველთაგანვე აფხაზეთის შიდა რეგიონების ქართველი მკვიდრნი აბაზგთა ახლადშექმნილი სამთავროს ფარგლებში შედიან და ისევე როგორც სანაპირო ზოლზე მცხოვრები ზანური მოსახლეობა (ძველი სანიგები); გარკვეულ როლს ასრულებენ ამ სამთავროს შემდგომ პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ აფხაზები მარტო შუა საუკუნეებში იღებენ თავიანთ თვითსახელს — „აფსუას“, ჩრდილოკავკასიიდან ჩამოსახლებული ტომისაგან, წყაროები უფრო უჭერენ მხარს არაერთი მკვლევარის მიერ გამოთქმულ ვარაუდს, რომ თვითსახელი „აფსუა“ აფხაზებმა მიიღეს მეზობელი მკვიდრი აფსილებისაგან (ამ საკითხის შესახებ იხ. თ. გამყრელიძის წერილი „ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან...“ „მაცნე“, ისტორიის სერია, № 2, 1991, თბ., გვ. 7-17).

ამრიგად, არსებობს მთელი რიგი არგუმენტები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია აბაზგთა ანუ თავდაპირველ აფხაზთა წარმომავლობის კვლევის დროს.

მაგრამ ერთია აბაზგ-აფხაზთა ეთნიკური წარმომავლობა, მეორე, ისტორიული განვითარების ის გზა, რომელიც ამ ტომმა ქართულ საზოგადოებასთან ერთად განვლო მისი ეროვნებად კონსოლიდირების პროცესში. სწორედ ქართული სამყაროს გარემოცვამ, მასთან შერწყმადაახლოებამ განაპირობა აფხაზთა თანამონაწილეობა იმ დიდ მოვლენებში, რომლებიც საქართველოში აღმავალი ფეოდალური ურთიერთობებისა და ქართული ეროვნული სახელმწიფოს შექმნა-ჩამოყალიბების ხანაში ხდებოდა. ამ დროს იქმნება საქართველოს ფეოდალური ორგანიზაცია, რომელშიც თანაბრად ებმება ქვეყნის ყველა სოციალურად დაწინაურებული მხარის საზოგადოება დამოუკიდებლად იმისგან თუ რა მონათესაობისა არის იგი. მთა, სადაც საზოგადოებრივი განვითარება სხვა დონეზეა, ამ პროცესში ვერ იღებს მონაწილეობას და მის გარეთ რჩება (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი). აქტიურად ებმება აფხაზეთის მოსახლეობა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებშიც, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ერთიანი საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს შექმნის იდეა პირველად ქართლში იბადება და ამ იდეის განხორციელების მეგემონად, მრავალი სხვადასხვა ვითარების შედეგად, უფრო განვითარებული და სოციალურ-კულტურულად დაწინაურებული, ძლიერი ქართის ტომი გამოდის. საქართველოს პოლიტიკური ერთიანობისა და ქართლის მეგემონობის იდეა მწიფდება ჯერ კიდევ ახ. წ. VII ს-ის პირველ ნახევარში, როდესაც იქმნება პირობები ქართლის წინამძღოლობით, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო გაერთიანებისათვის. ამავე ხანაში შეინიშნება ქართლში ეროვნული აღორძინება, საერთო პოლიტიკური აღმავლობა (ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 1968, გვ. 175-181, 187).

ქართლის პოლიტიკური და საეკლესიო წრეების წარმომადგენელნი ხვდებიან, რომ „ყოველი ქართლის“ შემომტკიცებისა და მისი ერთმთლიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმად შესაკრებად საჭიროა მღვდელთმსახურებაში ყველგან ქართული ენის დამკვიდრება და რომ ქართული ღვთისმსახურება ერთი უძლიერესი ფაქტორია შინაპოლიტიკური ერთობისათვის (კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., I, 1960, გვ. 547). საამისოდ მომწიფებულ პოლიტიკურ პირობებში ხდება „ქართლის“ ფართო პოლიტიკური ცნების შემუშავება (ს. ჯანაშია, ფეოდ. რევ. საქ., შრომები, I).

ამ ეროვნულ აღორძინებას, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური კონსოლიდაცია, არაბთა ბატონობამ ჩასცა ლახვარი (VII ს-ის შუა ხანებში) და მისი განხორციელება რამდენიმე საუკუნით უკან დასწია. მაგრამ VII ს-ის დამდეგს არჩეული გეზიდან ქართლს აღარ გადაუხვევია.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში სახელწოდება „აფხაზები“ VIII ს-ზე ადრე არ არის დადასტურებული. ეს ტერმინი ქართულ მწერლობაში ჩნდება მას შემდეგ, რაც იგი აღნიშნავს არა მხოლოდ საკუთრივ აბაზგთა ეთნოსს, არამედ საერთოდ, აფხაზეთის მიწა-წყლის მკვიდრთ,

რომლებშიც მეგრულ-ზანური, სვანური და სხვა ტომებიც უნდა ვიგულისხმოთ. როგორც ზემოთაც ითქვა, მოსულენი ხანაში სახელწოდება აფხაზთ კიდევ ახალ შინაარსს იღებს, იგი უფრო ფართო შემკრებლობით — გამაერთიანებელი ტერმინიც ხდება და მასში იგულისხმება დასავლეთ საქართველოს ყველა ის ქართველი და არაქართველი, რომელიც „აფხაზთა სამეფოში" შედის და აქ არსებული, აღმავალი ფეოდალური ურთიერთობების გზაზე მდგარი, ქართული ქრისტიანული ეკლესიის გარშემო შემოკრებილი საზოგადოების ნაწილს შეადგენს. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა (მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი), რომ დასავლეთ საქართველოს ამ სამეფოში წამყვანი ადგილი ეჭირა ქართველ [illegible]ებას, ქართულ კულტურას, ენას, დამწერლობას, სარწმუნოებას, ქართულ ფეოდალურ ურთიერთობას, ამდენად, „აფხაზთა სამეფო" ქართული სახელმწიფო იყო, ხოლო „აფხაზი" ამ დროს ფართო გაგებით ნიშნავდა ქართველს. ლიხთიქითში ქართული სამეფოს შექმნას დიდად ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილში (არგვეთი, საჯავახო, მოხირისი, გურია, რაჭა, აჭარა) აღმოსავლურ-ქართული მოსახლეობის შეღწევა-დამკვიდრების პროცესი VIII ს-სათვის ძირითადად უკვე დასრულებული იყო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, მაჩაბლის ქ. № 18.

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 98-55-11, მთ. რედაქტორის მოადგილის 98-55-16, პ/მგ მდივნის — 98-55-13 და განყოფილებების — 98-55-14; 98-55-17; 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 04. 02. 92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 02. 92 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58, ტირაჟი 9.000. შეკვეთა 122.
მ. კოსტავას ქ. № 14.

ფასი 5 მან.
ხელმომწერთათვის 2 მან.

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«МНАТОБИ»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ